# მნათობი

ეროვნული ბიბლიოთეკა



11-12

2001

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მნათობი

წელიწადი 77-ე    № 11-12    2001 წელი

საქართველოს მწერალთა კავშირის ორგანო

*დამფუძნებლები:*
*საქართველოს მწერალთა კავშირი*
*და ჟურნალ „მნათობის" რედაქცია*

## შინაარსი

### პოეზია, პროზა

ჯანსუღ ჩარკვიანი – ლექსები ........ 3
ფრიდონ ქარდავა – ძაფზე მოფარფატე სული. მოთხრობა ........ 9
გივი ბერაია – ლექსები ........ 28
გოჩა მანველიძე – უბის წიგნაკი. მოთხრობა ........ 33
ვაჟა ეგრისელი – ლექსები ........ 52
ნოდარ ხუნდაძე – ლექსები ........ 55

### პირველი ნაბიჯები

ია წერეთელი – „ციფერბლატი". პიესა ........ 58
მაკა მეტრეველი – პიესები ........ 65

### კრიტიკა, პუბლიცისტიკა

თამაზ ბუაჩიძე – ნიკოლაი დობროლიუბოვი – არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცენზენტი ........ 71
გიორგი ცქიტიშვილი – ქართული თეატრის ისტორია ........ 75
ნინო მშვენიერაძე – დიმიტრი უზნაძე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის" შესახებ ........ 79
შოთა ზოიძე – პოეტი-მეფე ........ 81

*იხ. მე-2 გვ.*

ელექტრონული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

*(გაგრძელება)*

## ინტერვიუ

ამირან გომართელი – ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს ........ 84

## პუბლიკაცია

დომენტი თომაშვილი – წინაპართა სახეები. წინასიტყვაობა აკაკი ხინთიბიძისა ........ 88

## მეცნიერება

ნანა კიკაბიძე – გაზეთ „დროების" ფურცლებზე ........ 96
ნინო მამარდაშვილი – უიარაღოს რომანი „მაძიებელნი" ........ 99
ქეთევან სოხაძე – „ქვათა ღაღადის" ეპოქამდე და შემდგომ. ნაწილი III ........ 106
ბესიკ ბარათელი – ტრიადის საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში ........ 119

## თარიღები

### ჭაბუა ამირეჯიბი-80

უდრეკი სულის მწერალი ........ 124

### ლაშა ჯანაშია-70

დურმიშხან ცინცაძე – ჩვენი თაობის მშვენება ........ 125

## ხელოვნება

ნათელა ურუშაძე – მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს... დასასრული ........ 127
ეთერ ლონდარიძე – ზარათაშვილი ქართულ მუსიკაში ........ 135

## რეცენზია

ლერი მჭედლიშვილი – ფილოსოფიური კლასიკის კიდევ ერთი ნიმუში ქართულ ენაზე ........ 141

ჟურნალ „მნათობის" 2001 წლის ნომრების შინაარსი ........ 145

მთავარი რედაქტორი
თამაზ ჭილაძე

სარედაქციო საბჭო:
მარიამ აგიაშვილი
ანდრო ბუაჩიძე (მთ. რედაქტორის მოადგილე)
აკაკი მინდიაშვილი
მანანა მიქელაძე
მზია შატბერაშვილი
ვაჟა ჩორდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პოეზია, პროზა

**ჯანსუღ ჩარკვიანი**

დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა გამოჩენილ ქართველ პოეტსა და საზოგადო მოღვაწეს ჯანსუღ ჩარკვიანს. ჟურნალ „მნათობის" რედაქცია ულოცავს მას საიუბილეო თარიღს, უსურვებს ჯანმრთელობას და *შემოქმედებით წარმატებებს.*

## გახსენება

### ძველი სოფლების გახსენება

ჩემი სოფელი თაფანი,
ჩემი ქცია და კრწანისი,
მოხველ თაფანის თაფლივით
და გულზე შხამი წამისვი.

შარბათს გაწვდიდი შარაბეთს,
გუთანი ხანჯლით შევცვალე,
ვერ გადავურჩით არაბებს,
ვერცა ყიზილბაშს, ვერცა ლეკს.

რა იქნა, ჩვენი ბირთვისი,
ჩვენი ერწო და ახვრისი,
ქარცხილავ, ვინ მიითვისა
ჩემი სახლი და სახნისი.

ჩრდილი ადგია სამზეოს,
შენც დილავ, როგორ ჩამღნარხარ,
სადა ხარ, ნადარბაზევო,
შენც, ლიყურეთო, სადა ხარ.

წობავ, დოლანო, ოძისავ,
ხორბუკო, წრისავ, ვანათო,
გამდელო ჩემი მოძმისა,
კვლავ უნდა გამოანათო.

კვლავ უნდა აღსდგეთ, მტრის ჯინზე,
რძე მისცეთ ოჯახს აკვნიანს,
მზეი გვაკლია, გვიჭირს მზე,
თქვენი წილი მზე გვაკლია.

### აღსარება

ერეკლე ვარ, ვახტანგი ვარ,
ვარ და, ყალმით ნახატი ვარ,
გორდა მაქვს და სიათა მაქვს —
ნაღდად არა, სიაფანდად.

ჯიმშერი ვარ, ჯანსული ვარ,
მგოსანი ვარ, აშული ვარ,
მოჯირითე მხედარი ვარ,
რა ვქნა, ხმალში დედალი ვარ.

სიცოცხლეა, სიკვდილია,
ვუმზერ, როგორც განუკითხველს,
ვენაცვალე დიდ ილიას,
ჩემგან მარად წაუკითხველს.

წარბს შევკრავ და ზამთარი ვარ,
არ გავტყდები, უარი ვარ,
სუყველასთან მართალი ვარ,
შენთან მუდამ მტყუანი ვარ.

ტაშით მხვდება საკრებულო,
მეცოდები ვაჟას გულო,
ვაი, ხმალო ჩაგებულო
და ქარქაშში ჩაჟანგულო.

რა ვქნა უნდა მიგატოვო,
დავითი ვარ, გივარგი ვარ,
პურმარილში — კი ბატონო,
სიმღერაში — კი ბატონო,
მეომრად არ გივარგივარ.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ᲬᲔᲠᲢᲘᲚᲘ

როგორ დაძველდა კიბე, სარკმელი,
როგორ გახუნდა მზისფერი ფარდა,
აღარაფერი არ მაქვს სათქმელი,
შენ გენაცვალე, მადლობის გარდა.

როგორ დაბერდა წიგნის კარადა,
ის ძველი ლექსიც როგორ დაბერდა,
ბნელში ვიღაცის თოფი გავარდა,
ვიღაცამ თავის მოკვლა გაბედა.

დასავლეთისკენ უბერავს ქარი,
სტრიქონის ბოლოს დავსვი წერტილი,
კუთხეში გდია პოეტის ქნარი,
სევდიანი და სიმდაწყვეტილი.

სინათლე გულში მაგრა ჩაგკვრია,
საუფლო ცაში მზე რომ გაღირსოს,
შენ ეი, გესმის? რამ გადაგრია —
რა მიწას ეძებ ძველო სახნისო.

## ᲜᲣ ᲘᲢᲧᲕᲘᲗ...

„რუსთაველიც სხვის მიწაში გვიწევს“
(ნ. ადეიშვილი)

შენ მიწავ, ოქროცურვილო,
ბედი გვქონია კრულიო,
ნუ ვიტყვით, ყველა ცრუიო,
ნუ ვიტყვით, ყველა ყრუიო.

ველარ ვპოულობთ სამართალს,
ეშმამ სისხლისგან დაგვცალა,
რაცა ვართ, მოდი არა ვთქვათ,
ისიც გვეყოფა რაცა ვართ.

## ᲓᲘᲐᲮ, ᲐᲡᲔᲐ ᲔᲡ...

ნახევარი საქართველო
ვანგაა და კლოსია,
ნახევარი საქართველო
აკადემიკოსია.

მთავარია — ამბიცია,
კიდევ — ამპარტავნობა,
უნდა იყო ამაყი და
უნდა იყო თავნება.

ერთი კაცი, იმ მეორეს,
კაი რამეს ებნება, —
ჩვენზე კარგი მსოფლიოში
არსად მოიძებნება.

ქართველებზე უფრო კარგი,
გეკადრებათ, ბატონო?!
ქართველი რომ იბადება,
მთელ მსოფლიოს პატრონობს.

მთელ ქვეყანას ჩვენთვის ვჩემობთ,
ჰაი, ჰუი, გურჯიო,
შენ კი არა, ძმაო ჩემო,
ჩემს თავს უნდა ვურჩიო.

სანამდე ხარ ქვეყანაზე,
სანამ კიდე ჯანმრთელობ,
აფხაზეთი დაიბრუნე —
უბედურო ქართველო.

## ᲑᲝᲠᲝᲢᲔᲑᲘᲡ ᲖᲔᲘᲛᲖᲔ

ქვეყანაზე კაცისნებით
ჟამი ლოცვით ვიდოდა,
ღვთის შეწევნით ვაცილებდით,
უფლის აღთქმის კიდობანს.

ვაცილებდით ბუკის ცემით,
საყვირებით, ქნარებით,
შორით გვჭვრეტდნენ ულირსები,
ზმორებით და მთქნარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალი კლდიდან ამოჩქეფილს,
ვეწაფოდით წყაროსა,
წყაროსპირას ყვავილს ვკრეფდით —
მზით ვუფენდით ტაროსსა.

საგანძურად ძმობა გვქონდა,
ელერდა ოქროსფერი მზე,
რაღა ახლა მომაგონდა —
ბოროტების ზეიმზე.

## რუსთაველის გამზირზე

ვდგავარ ჩაფიქრებული
და რუსთაველს გავყურებ,
ოხ, ამათი სიფათი,
ოხ, ამათი საყურე...

მე შენ გეტყვი, ერთ წამში
ვერ გაგხდიან იჭვიანს,
მე რომ გოგო მეგონა,
ნუ იტყვით და ბიჭია.

ის დრო არ დაბრუნდება,
არც გაივლო ფიქრადა,
როცა გოგო გოგოს და
როცა ბიჭი ბიჭს ჰგავდა.

ღმერთო, დიდ დღეს ნუ მისცემ,
ვინც ეს სენი შეგვყარა,
რა დააწყობს ნეტავი
ამ არეულ ქვეყანას.

## იყიდება საქართველო

გადმოხედე მთაწმინდიდან,
აი, რასაც უმზერ,
ყველაფერი, ყველაფერი
იყიდება ფულზე.

ადრე, ერთურთს ვყიდიდით და
ციხეებში ვყრიდით,
ახლა კაცი რომ არ ფასობს,
საქართველოს ვყიდით.

იქეთ სამეგრელოს ვურჩევთ,
აქეთ კიდე — კახეთს,
შე საბრალო საქართველო, —
მყიდველიც ვერ ვნახეთ.

სიძულვილით, სიძულვილით
ყველაფერი წახდა,
სიყვარული აღარ ფასობს
იმერთა და კახთა.

შინაური, გარეული,
ჩვენს სისხლს დაეწაფა,
იყიდება საქართველო —
იაფად და სწრაფად.

შიგნით გულღვიძლგამომწვარი,
მტერი უმზერს ფასადს,
იყიდება საქართველო,
სიძულვილის ფასად.

ყურადღება! მოუსმინეთ
ციდან ნოსტრადამუსს —
„ნუ გაჰყიდით, თორემ ეგეთს
ვერ იყიდით მამულს“.

# საუცბისო სტრიქონები

## აირია მონასტერი

აირია მონასტერი
ძაღლი პატრონს ვერა ცნობს,
თურმე სხვისი ცოლი იყო,
როცა თვლიდი შენად ცოლს.
ადრე ვინც რომ ვერას სწოვდა,
ახლა იმას ვერა სწოვს,
ერთი კაცი, მეორესთან
ვერ იქნა და ვერა სძოვს,
ვაჰ, მეპურე ექიმია,
ექიმი პურს ვერ აცხობს,
აირია ყველაფერი —
ძაღლი პატრონს ვერა ცნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ბაზარი!

რა ღირს ძია, კაცის მოკვლა?

ესეც რიყე —
გვერდით მიჰყვე,
გვერდით კიდე — ბაღი,
იქით ხიდი,
ხიდთან სახლი,
სახლთან დიდი თაღი.

ერთმანეთში
არეულა
უგონო და საღი,
მზე ყველაფერს
ხედავს, ხალხნო,
მზე გადმოგვცქერს მაღლით.

იყიდება
ოქრო, ვერცხლი,
ყველა, თავის დამღით,
იყიდება
ქალი, კაცი
მგელი, ცხვარი, ძაღლი.

ყველაფერი
იყიდება —
ნემსი, თეფში, ჭაღი,
ვხედავ ჯორკოს,
ზედ ჩამომჯდარს
მოხუცს ვხედავ —
დაღლილს.

რა ღირს, ძია,
კაცის მოკვლა?
ეკითხება ბაღლი.
— აილე და მანდვე მოჰკალ,
არაფერიც არ ღირს...
პასუხობს და
ეფინება
ტუჩს ღიმილი
ლაღი.

ღმერთო ჩემო,
დანგრეულა
ჩვენი ძველი სახლი,
მზეს გავხედე,
უხდებოდა
მხრებზე ღრუბლის თალხი.
ხალხი მიდის,
ხალხი მოდის,
ხალხი, ხალხი, ხალხი.

## ზურგის ხანჯალი

„სანამ მძინავს,
არ ვარ საშიში"
(გია ჭანტურია)

სიცოცხლეა
მტრის და მოყვრის ჭიდილი,
რაო? გძინავს?
გეშინია სიკვდილის?
ვინ, სიფხიზლე,
ვინ კი, ძილი არჩია,
პირს დააბჩენ?
პირში ხანჯალს ჩაგჩრიან.

ვერ გაუძლებ
წამებას და ტანჯვასა?
ზურგს უჩვენებ? ზურგში ჩაგცემს
ხანჯალსა.
ზურგში ჩაგცემს ხანჯალსა.

სისხლიანი მიწის გული
შეინძრა,
გაიღვიძე?
ჩაგაძინებს შენივ ძმა.

სამარემდე მიგიტანენ
ცხენებით,
შიგ კუბოში
დაგკორტნიან შენები.

მერე, გულზე
დაგადგამენ ობელისკს,
მერე, რჩებით
შენ და შენი მშობლები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრო მოვა და
დასჭირდება ქვეყანას,
ყაყაჩოთი მოჭქარგავენ
შენს ყანას.
და ის ხალხი,
ვინც გაგყიდა გროშებზე,
უსინდისოდ
მიგახატავს დროშებზე.

ბოლოს მოვა
ჩვენთან სალაპარაკოდ —
ჩვენს სიყვარულს
ლექსად იტყვის პოეტი:
„გამარჯობა,
ჩემო თბილის-ქალაქო,
დაკარგული
შენი შვილი მოვედი".

## მოღალატის სახელი

ხეს აყვავებულს შეუძახე
თუ გინდა გახმეს,
ადვილად არ ჭრის
სიტყვა მართალთა...
ვიღაცა ბრიყვი

მოღალატის
დაგარქმევს სახელს,
ხალხსაც რა უნდა? —
თუ დაგარქვეს,
მორჩა, გათავდა!

## სიზმარი

რა დამისხით?
შარბათი თუ შხამი არის,
ველარა ვგრძნობ —
დღე არის თუ ღამე არის.

ეს ვინ მოდის?
ბოროტი თუ კეთილია,
ყველაფერი
ნუთუ ღმერთთან შეთვლილია.

ეშმაკია?
არაფრის არ ეშინია,
ეს ქვეყანაც
ეშმაკივით შეშლილია.

სიკვდილია,
თუ სიცოცხლის საზღვარია,
მიწას სძინავს —
მიწა ლეშით გამძღარია.

რა გვიშველის?
არაფერიც არ გვიშველის,
ქვაზე ვწევარ —
უსირცხვილოდ ვარ შიშველი.

ჩიტუნებო,
ნეტაი რა გემღერებათ,
ვინ გასწავლათ
ყელის ასე შღერება.

ეშმაკებით
ამღერებულ უფსკრულში ვარ,
არა, იქნებ,
ძველ სახლში ვარ, უშგულში ვარ.

მაშ, სადა ვარ?
სადაური სიზმარია,
ზის ბულბული
ვარდზე გალობს მზის არიას.

იქნებ მართლა
არც მტრებთან ვარ, არც ჩხუბში ვარ,
იქნებ, მართლა
ძველ სახლში ვარ, მაჩუბში ვარ.

ნუთუ, ღმერთო,
ყველაფერი სიზმარია?
ზის ბულბული
ვარდზე, გალობს მზის არიას.

დიახ, დიახ,
უშგულში ვარ,
ღმერთთანა ვარ,
სიყვარულო,
ალავერდი შენთანა ვარ!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## დაღმართი

*იქნება, ბევრი რამე იქნება*
*(გალაკტიონი)*

ჰაი დედასა, რა დრო გასულა?!
რა შორეული, რა უცაბედი,
როგორ გაქრა და როგორ გასრულდა
ის ძველი ცეცხლი და კვესაბედი.

ჰაი დედასა, რას გპირდებოდი?!
მაგრამ მოვიდა და ჩამეკონა,
მეგონა ცისკენ გავფრინდებოდი,
მეგონა, ბევრი რამე მეგონა.

მეგონა, სძლია ბოროტს კეთილმა, —
მეგონა, მოკვდა ღვთის დაწყევლილი,
მაგრამ უფალთან რაიც შეცვლილა —
უნდა აღსრულდეს ის დაწერილი.

ო, თითქოს ვმაგრობ, თითქოს ვვაჟკაცობ —
ცაში კამარას კრავენ ქორები
ვეჭიდავები, მინდა დავქანცო,
მინდა დავქანცო, თუნდაც დროებით.

მაგრამ ერთმანეთს შემოვეხარჯეთ,
ჩემო მტკვარო და ჩემო არაგვო,
მოვა ვიღაცა, ენას შეგვაჩვევს
გაგვხდის ქალაქის სალაპარაკოდ.

ჩემთვის ვტრაბახობ, ჩემთვის ვქილიკობ,
მორჩა, გათავდა, აწი რას ველი?
უკან დავბრუნდი, ჩემო ბიძიკო,
მე აღარა ვარ სადმე წამსვლელი.

ფრიდონ ქარდავა

ბიბლიოთეკა

# ძაფზე მოფარფატე სული

## მოთხრობა

შავი ღვინით სავსე ფიალა მიჭირავს ხელში. თითქოსდა ბურანში მყოფს ჭალების შორეული შრიალივით ჩამესმის თავშეკავებულად წარმოთქმული სადღეგრძელოები. მწარედ ჩაფიქრებული ვუმზერ მოლივლივე სითხეს, აგუნას დალოცვილი წვენით თუ რაღაც ბუნდოვანი მიუწვდომლობით ათრთოლებული და ვფიქრობ განუწყვეტლივ ოდესღაც მომხდარ თუ უბრალოდ შეთხზულ შემთხვევებზე, უკვე ათასობით საუკუნის მტვერწაყრილზე, მაგრამ ჩემთვის აწმყოსა და მომავალთან გადახლართულზე, სადღაც ხმელთაშუა თუ ეგეოსის ზღვის ნაპირებთან დატრიალებულ, ჩვენთვის უკვე ზღაპრადქცეულ ამბებზე, ადამიანთა და ღმერთთა უცნაური ურთიერთკავშირების უჩვეულო გადმოცემებზე და არც კი ვიცი ახლა ჩემთვის ის ათასწლობით დაშორებული ზღაპრებია უფრო სარწმუნო და ახლობელი თუ ახლანდელი, სულ ახლახან მომხდარი... ვერ გამირკვევია, რომელი უფრო მიზიდავს, რომელი უფრო მოქმედებს ჩემზე; ერთი კი ცხადია — აწმყოსავით განვიცდი უძველესს და უფრო ადვილად ვითავისებ, მაგრამ იმ არაკებზე, იმ არაკების ერთი შეხედვით არაჩვეულებრივ, ზოგჯერ კი საოცრად ჩვეულებრივ, საოცრად ადამიანურ გმირებზე ფიქრი რატომღაც უცნაურად მღრღნის და მაწვალებს მათი სულის მეტამორფოზებში ბოლომდე ვერგარკვეულს.

ეტყობა, მასაც არეული ჰქონდა გულისთქმანი... არეული თუ გმირის გამბედაობით ფიქრობდა განუწყვეტლივ ერთზე — მიზანზე? ნეტავ თუ ეშინოდა? თუ ელოდა მზაკვრობას? მამისათვის უცნობი მოდგმა! თვითონაც მზაკვრულად არ მოექცა მერე სულზე უძვირფასესს? მაგარი გმირობაა შენმა მზემ — უშფოთველად დაძინებულს, ძილისშორისში ლაღად მონავარდეს გამოეპარო! რა ულმობლად მიაგდო უკაცრიელ ნაპირს! მხსნელად ლიბერი მოევლინა განწირულსა და მავედრებელს! ისიც თავისი გულმავიწყობით დაღუპა, სინდისის ქენჯნით გათანგულმა და მომნანიემ! მაინც რა საოცარი ხალხი იყო... ასე ეჭვმიუტანლად სჯეროდათ ბედისწერისა! ვგრძნობ მეკიდება ღვინო, საოცარი სურვილი მაქვს ხმამაღლა ვისაუბრო, ვისაუბრო გაუთავებლად. ვცდილობ თავი შევიკავო, რაც ნერვებს მიშლის და უაზროდ ვუჭერ თითებს ღვინის ფიალას, ვგრძნობ რა საამოდ მეღვრება მისი რაღაცნაირი სიგრილე და მასში მოლივლივე სითხის მისტიური ენერგია სხეულში და ვმშვიდდები თითქოს.

ოთახში დედაჩემი შემოდის და ღვინით სავსე დოქს მაწვდის. ვართმევ და მაგიდაზე ვდგამ. ხელი მიკანკალებს. მამაჩემი მამჩნევს, რომ ვთვრები (სახე მიხურს და ვწითლდები სმისას) და მეუბნება:

— ნუ სვამ, სიმთვრალისას არ შეიძლება.

ვცდილობ, გაღიზიანება არ შევიმჩნიო.

— რა დამათრობს, ორი ჭიქა დავლიე!

— ჰოდა, ის ორი ჭიქაც არ შეიძლებოდა! — ამბობს მამაჩემი თავშეკავებულად, თითქოს სახვათაშორისოდ და მაგიდის მიღმა უსწორებს მზერას ოთახის თითქოსდა სადღაც გაუჩინარებულ კუთხეს.

მოთმინებიდან გამოვყავარ ხოლმე მის თავდაჯერებულ კილოს... თუ არ შეიძლებოდა, აქამდე რას უცდიდა?! თვითონაც არ იცის, რა უნდა...

— ღვინო ღვთის გაჩენილია, არა მგონია, სულს აუხეშებდეს, — რაღაც გესლიანად გამომდის.

— შენ ვინც კი შეგხედავს, საპირისპიროს დაასკვნის, — ისე მშვიდად ამბობს, თითქოს მე კი არა, ვიღაც სხვას ესაუბრებოდეს.

— დაწყნარდი, რა გჭირს?! — მეუბნება ავთო, გრძნობს, რაღაც მწარეს თქმას რომ ვაპირებ, — არ შეიძლება, ესე იგი არ შეიძლება! როგორც უფროსი ამბობს, ისე უნდა მოვიქცეთ, მეტს აღარ დავლევ!

მინდა შევეპასუხო, მაგრამ ვიცი კამათი ატყდება, თან ვხვდები, მართლები არიან; უკვე მიბრუის თავი და კიდევ რომ დავლიო... საოცარია, მართლები არიან და სწორედ ეს მაღიზიანებს: ყოველნაირად ჩვეულებრივსა და ცხადს ასე პედანტურად რომ მასწავლიან, ამიტომ ვღიზიანდები.

ავთო ჩემს ჭიქას არ ავსებს, ჩემი მშობლების ერიდება და არც მე ვაძალებ, მაგრამ ეტყობა, რაღაც გაკვირვებული თვალებით ვუყურებ და თავისმართლებასავით გამოსდის:

— მიხედე ახლა შენს საქმეს! — ისე ამბობს, ვხვდები, არსებითად მთხოვს, „ნუ გააწბილებ, რაო".

— ავთო, ჯერ მანქანა არაა მზად!

— შენ მოემზადე და მანამდე მანქანაც მოვა! — ისევ მამაჩემია.

დავაში ამიყოლიებს და ყველაფერი ჩაიშლება. ვდგები, მეორე ოთახში შევდივარ. საოცარი არეულობაა, ათასგვარ ფუთებს შორის კი ჩემი და საქმიანად დაბორიალობს. ცოტა ხანს უაზროდ ვდგავარ, შემდეგ კი თითქოსდა მეც საქმიანად ვეკითხები:

– ძაფები მოამზადეთ?! – თავს მიქნევს და მზერით შავი პარკისკენ მანიშნებს. პარკს ვშლი და ჩავყურებ: ხუთიოდე ძაფის კოჭი დევს.

– ეს ეყოფა?!

– აბა არა?! – მეუბნება მშვიდად, მაგრამ როგორც კი მისი მზერა ჩემს დაძაბულ სახეს აწყდება, სასწრაფოდ უმატებს, – როგორ არ ეყოფა, დასაკარგავში ხომ არ მიდიხარ?!

– რომ არ ეყოს?! მოგეტანა კიდევ!

– თუ არ შეგიძლია, ნუ სვამ! – მეუბნება უხეშად.

უკმაყოფილოდ ვიყურები, არ ვიცი რა ვუთხრა ისეთი, ჩემი განრისხება მთლიანად რომ გამოხატოს.

– რა გაყვირებს, ბიჭო! – ჩემკენ იხედება მამიდა, – თავიდან ბოლომდე კი არ უნდა ძაფი... სადაა ამდენი? აგერ მისმინე: იქ, ლოგინის თავზე დაამაგრე და შენობიდან გამოსვლის შემდეგ გაწყვიტე, ამდენივე მანქანას გამოაბი და ეყოფა... სულაც არ უნდა გაუთავებელი ფაცი-ფუცი!

– ასე, შენ რომ ნახვალ, მაშინ გააკეთე!

– მე რომ მაგას ვაკეთებდი, შენ დაბადებული არ იყავი! – გაკაპასდა მამიდა. დაბალი ქალია, პუტკუნა და გაბრაზებისას თვალები უფართოვდება, მგონი სიმაღლეშიც ემატება ცოტა.

– თუ საჭირო არ არის და მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად გინდათ გააკეთოთ, მაშინ საერთოდ არა აქვს აზრი და მე თავი დამანებეთ!

– დამიჯერე, ბიჭო, ასე ჯობია, – მამაჩემი შემოდის და მამიდაც ახლა მის გასაგონად მიმეორებს, – აბა, ამდენი ძაფი სადაა: ერთი ბოლო იქ მოაბი ლოგინს და შემდეგ, ეზოდან რომ გამოხვალთ, გაწყვიტე, მანქანაზე დაამაგრე და ასე წამოიყვანეთ!

– როდის, როდიდან აკეთებენ ასე!!! – ყვირის მამაჩემი და მამიდას ხმა უწყდება. გულში სასოწარკვეთით მეღიმება, ახლა მამიდა მეცოდება.

– რომ ყვირი, ის თუ გესმის, რომ რელიგიურად ეს ადათი საერთოდ ცოდვად ითვლება?! – ვიცი, გულუბრყვილოდ გამომდის, მაგრამ სხვანაირად მაინც ვერ ისაუბრებ ამათთან, სისხლში აქვთ ჩვევა გამჯდარი!

– შენ რას მასწავლი, მოძღვართან ვიყავი ეკლესიაში! გაუკვირდა კიდეც – აქამდე არ გაგიკეთებიათო?!

წარმოუდგენელია, რომელი ღვთისმსახური ეტყოდა?! მაგრამ გულში ხინჯად აქვს ჩარჩენილი და ვერ ისვენებს. არც კი ეჭვობს, არც კი ორჭოფობს! ჩაჭედილა ტვინსა და გონებაში და ვერანაირი ლოგიკით ვეღარ ამოუფხვრი, იქნებ მასაც ეეჭვება?! ნეტა ის თუ ეჭვობდა მითაყამინდელ წარსულში, თუ ფიქრობდა საერთოდ მასზე, სადღაც ოდესღაც დატოვებულ ნაშიერზე თუ ჩანასახზე?! ნეტავ საერთოდ თუ ახსოვდა უცნაური ნაწინასწარმეტყველები? ან კი იყო მისი? ტყუილად ხომ არ აწერდა ხალხი ზღვათა მეუფეს, თუ მართლაცდა თვითონ იქცა შემდეგ ზღვათა მეუფედ? ნეტავ მართლა თუ ფიქრობდა შვილზე მაშინ, უცნაური გმირი რომ ეწვია სასახლეში?! ორჭოფობდა თუ გაუაზრებლად უჯერებდა ყველასაგან უარყოფილ, ახლა კი მის მეუღლედ მოვლინებულ ქალს, რომელსაც სულ მალე თვითონაც უარყოფდა, აოტებდა სამეფოდან შორს! ვინ იცის! რომ არ ეცნო? სულაც რომ არ დაეკარგა ფეხსაცმელი?! რა ადვილად დასთანხმდა კაცის მოწამვლას? მერედა რა, რომ უცნობი იყო, სტუმარი ხომ ღვთისაა? განა უცნობი მოდგმისას ტილჭირით უნდა გაუმასპინძლდე? ღმერთს არ შესცოდა? ღმერთო ჩემო, როგორი ცრუმორწმუნეა! თუმცა მეც ხომ ვგრძნობ რაღაც საკრალურსა თუ იდუმალ შიშს, არა, შიშს კი არა, უფრო – მოწიწებას ამ ვინ იცის როდის ჩასახული ჩვევისა თუ რელიგიური მისტერიის მიმართ? ჩემს თავს ვუტყდები: ხომ დარწმუნებული ვარ, სისულელეა ყოველი – მაინც რაღაც ორჭოფული კითხვა მებადება ხანისად: მაგრამ დავუშვათ და მართალია?!

წინა ოთახში გავდივარ. მეზობლები შემოსულან. მალე მამაჩემიც შემოდის.

– შენ ხომ არ დაგილევია, ნანა? – მეკითხება ნაზია. ოთხმოცსაა მიღწეული, იქ, სოფელშიც, ჩვენი მეზობელი იყო. საოცრად სახნიერია ბუნებით, წლოვანებაც, მაინცდამაინც, არ ეტყობა.

– არა, ნაზია მამიდა, ორიოდე ჭიქა დავლიე.

– ხო, ნანა... სიმთვრალეში ვაშინერს, უცებ დაფრთხება და ახლოსაც არ მოგეკარება.

– ნაზია, გაყევი შენაც, არასოდეს გაუკეთებია, რა იცის ამან, – ეუბნება მამაჩემი.

– კი, ნანა, გავყვები მეც, – ამბობს ნაზია და მიყურებს. – ეს ტანსაცმელი უნდა გამოიცვალო, შავი ვაშინერს, ნანა, რაიმე სამხიარულო ჩაიცვი.

ჩემი და კარადასთან მიდის, ტანსაცმელს ეძებს. სუფრიდან ბიჭები გაკვირვებულნი მიყურებენ... ჰმ, საოცარია! ყველას სულის სიღრმემდე სჯერა ან სულაც ბავშვობიდან მიაჩვიეს, რომ ეს უნდა სწამდეთ და ჰგონიათ, რომ სწამთ, ხოლო მათ მზერაში ყველაფრის უარმყოფელი და

სასაცილოობამდე გამაუაზროებელი გაურკვევლობა რომაა გამოსახული, ამას ველარ აცნობიერებენ...

და პიჯაკს მანვდის. შავს არ ვიხდი, გარედანვე ვიცვამ.

– შავი გაიხადე, ნანა, ვაშინერს, – მეუბნება ნაზია და მიმზერს, მევედრება თითქოს.

– არ ჩანს, ნაზია მამიდა,

– ხო, შენ გააბრიყვებ იმას, არა?! – შორიდან ჩამესმის მამაჩემის ხმა.

გაკუმატებული ვიხდი შავ პერანგს, მაისურსაც და შიშველ ტანზე ვიცვამ თეთრ პიჯაკს.

– მეჩონგურე ვინ იქნება? – კითხულობს ნაზია.

– გამახარიას ბიჭმა იცის ჩონგურზე დაკვრა, – ამბობს ბადრი სუფრიდან.

– ვუთხარი გუდუნას, მოვალო, – პასუხობს ჩემი და, თან ხელებს შლის დამნაშავესავით.

– ცოტა ვიჩქაროთ, თორემ ღამდება უკვე, – სწუხს დედაჩემი, – საავადმყოფოშიც არ დაგვხვდებიან გვიან! ან მანქანა სადაა ამდენ ხანს?!

– ვისი მანქანაა? – გვეკითხება მთვარისა. ესეც ჩვენი მეზობელი იყო სოფელში, დღეს ჩვენთან ერთად მოდის. ორმოცდაათს მიღწეული ქალია, სოფლის ადათ-წესები რომ არ გამოეპარება არასოდეს, ისეთი.

– ბორანას ვთხოვეთ, – ამბობს იმედო და ჭიქებს ავსებს.

– მერედა როდის მოვა ბორანა, ხომ იცი გვიან ღამემდე მუშაობს, შუქრის ვერ უთხარი?! – ხმას უწევს მამაჩემი.

– შუქრი არაა, თანაც მანქანა არ უვარგა.

– ერთ რამესაც ვერ მოაბი თავი! ღვინო რომ ყოფილიყო საშოვი, მთელ ქვეყანას მოივლიდი...

იმედო ჩემი ბიძაშვილია, ყველაზე უფროსი. მამაჩემი თავისიანებთანაა გაცილებით უხეში და ჭირვეული.

– რა გაცხარებს, მოვა საცაა!

– მოვა კი არა, მიდი ახლავე და ნახე! – ყვირის.

ისევ საშინლად ვლიზიანდები: ცხადია – ახლა რამეს ვიტყვი გესლიანს და უფრო გავაცოფებ. საბედნიეროდ, გუდუნა შემოდის; თორმეტიოდე წლისაა, ხორცსავსე, ოქროსფერი თმები აქვს, ხუჭუჭა.

– ოდი, ბებომ თქვა, ერთი წუთით მოვიდესო, – მეუბნება და უხერხულად ეტმასნება კედელს.

მივყვები. ჩვენსავე სართულზე ცხოვრობენ, სამოცდამეექვსე ოთახში.

გუდუნას ბებია, ძალუა, ავადაა: ქვედა კიდურები წართმეული აქვს. როდესაც მის უცნაურად გამჭოლ თვალებს, თითქოსდა გაყვითლებულ სახესა და ჩამოღვენთილ ლოყებს ვუცქერი, პრეისტორიული ხანის ქურუმს წარმოვიდგენ ხოლმე, თუმცა სრულაც არა ვარ დარწმუნებული, იყვნენ თუ არა პრეისტორიულ ხანაში ქურუმები.

– გამარჯობა, ძალუა ბებია, – ვეუბნები ჩაბნელებულ ოთახში სავარძელში ჩამჯდარსა და წელსქვემოთ, იატაკამდე მუქ ნაბლისფერ შალის ქსოვილში გახვეულ ქალს.

ძალუა მარჯვენა ხელს მიჭერს მაჯაზე და არ მიშვებს.

– რომ მიხვალთ, შვილო, ოთახში პირველად გუდუნა შეუშვით, მამალი მიეცით ხელში, მამალი ოთახში გაუშვას, მერე შენ ან რომელიმე სხვა მიჰყევით ანთებული სანთლით. სანთელი ლოგინის თავზე დაამაგრეთ. შემდეგ გუდუნამ დაუკრას და იმღეროს. რომელიმე ქალმა კი ლოცვები წარმოთქვას სანთელთან. ამის მერე ძაფი გამოაბით ლოგინის ბოლოს, სანთელი სამჯერ შემოატარეთ ოთახში, შემდეგ მამალს შემოსწერეთ ამდენჯერვე და სიმღერით გამოდით გარეთ. – თავს ვუქნევ და ვცდილობ, სერიოზული გამომეტყველება მქონდეს.

– დაიმახსოვრე, სიმღერით უნდა შეხვიდე, სუ ყველანი მხიარულნი უნდა იყოთ; რომელიმეს გაბრაზება თუ შეგატყოთ, აღარ გამოგყვებათ, იცოდე. – თითქოსდა რაღაც ზემოქმედების უნარი აქვს ძალუას თვალებს, ჟრუანტელი მივლის სხეულში.

– ასე ვიზამთ, ძალუა ბებია.

– აქეთობისას მთელ გზაზე, უნდა იმხიარულოთ. გუდუნამ დაუკრას და იმღეროს, ქალებმა ილოცონ, ძაფს შენ მიხედე.

– მადლობთ, ძალუა ბებია, ყველაფერი გასაგებია. – ჰმ... ყველაფერი გასაგებია... კარში გამოვდივარ და ისევ მესმის ძალუას ხმა:

– გაბრაზება არ შეგატყოთ რომელიმეს, თორემ ახლოსაც არ მოგეკარებათ, იცოდე!

ყველანი ემზადებიან, არეული დავაბიჯებ ოთახებში, ვერსად ვერ ვჩერდები და ვისვენებ, აუარება გულისთქმა გონებას მირევს, თავი ამატკივა მოუხელთებელმა ფიქრთა რიალმა. მაინც როდინდელია ეს ჩვეულება? ვინ მოიგონა პირველად? ვის მოუვიდა აზრად? იქნებ მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა? მაგრამ თუკი სიმბოლურია, მაშინ ხომ ცხადია, – სუბსტანციურად არსებულის სიმბოლო უნდა იყოს. მაგრამ ამის დაშვება განა შეიძლება? ამის დაშვება ხომ უკვე ნიშნავს... არა, მეც რომ დავსერიოზულდი, რა გულწრფელობით ვეკიდები?! ხომ შევუთანხმდი ჩემს ცნობიერებას: ვაკეთებ მხოლოდ იმიტომ, იმათ არ ჩარჩეთ-მეთქი რაიმე გულში ხინჯად. განა ასეთივე გრძნობით არ

ვთანხმდებოდი ვყოფილიყავი მეკვლე პატარაობისას? დილით დედასთან რომ ვიწექი და დედა ჩუმად მალვიძებდა, ისე რომ ხმას არ ამოიღებდა, ვითომდა „მე არაფერ შუაში ვარ, მძინავსო", ჰოდა, მეც ვითომ ვერ ვხვდებოდი, მეც თითქოს ჩემით გამღვიძებოდეს – ჩუმად გავდიოდი გარეთ. გარეთ კი სუსხი იდგა (რამდენჯერ ავტირებულვარ: არ მინდა მეკვლეობა, მცივა-მეთქი), საჩქაროდ ავიღებდი ჩიჩილაკს, ნედლ ტოტებს და ვიწყებდი ოთახის კარზე კაკუნს „კარი გამიღეთ-მეთქი", თითქოს იქიდან არ გამოვსულიყავი ხუთიოდე წუთის წინ. მაგრამ არა, ის მაინც სხვანაირი გრძნობა იყო: იქ, უბრალოდ, შესრულება გახლდათ სასაცილო, თორემ არსებითად ყველას გვწამდა, ვინც მეკვლე იქნებოდა... უფრო სწორად – ექნებოდა თუ არა მეკვლეს ბედნიერი ფეხი, იმაზე იყო ოჯახის კეთილდღეობა დამოკიდებული. აქ კი? თუნდაც ბრწყინვალედ შევასრულო ყველაფერი, აქვს კი აზრი?! სასაცილო არაა?! თუმცა ეს „სასაცილო" თუკი ყველას გულწრფელად სჯერა, მაშინ კეთილი უნდა ინებო და თუ გულით არ დაიჯერებ – არ უნდა გაიცინო მაინც, მითუმეტეს, როცა შენაც ეჭვიანობ და ორჭოფობ.

– აბა, ჩქარა, მოვიდა ბორანა! – შემოდის დედაჩემი ოთახში, სადაც მხოლოდღა ახლა აღმოვაჩენ საკუთარ თავს, ლოგინზე ინახით მიწოლილი. აუჩქარებლად ვდგები და დერეფანში გამოვდივარ. აქ უაზროდ დაბორიალებენ ოჯახის წევრები და მეზობლები: მე, ძაფებჩაწყობილ პარკს მაჩეჩებენ, ნაზიას და მთვარისას სანთლები ჩაუწყვიათ შავ ჩანთაში და ახლა ცდილობენ, მამალიც ჩასვან შიგ, ისე რომ არ აფართხალდეს. ძალუა დერეფანში გასასვლელ კარამდე მოჩოჩებულა და ჩონგურმომარჯვებულ გუდუნას უხსნის რალაცას. მინდა ქვემოთ ჩავიდე და დერეფანს მივუყვები. ძალუამ, ეტყობა, თვალი მომკრა და მაჩერებს:

– იქ, ოთახში, პირველად მამალი შეუშვით და შემდეგ მიყვეს გუდუნა.

ისევ მაპყრობს ჭროლა, გამჭოლ თვალებს. საჩქაროდ ვუქნევ თავს და ვეცლები. ის მომძახის:

– გაბრაზება არ შეგამჩნიოთ რომელიმეს, თორემ არ გამოგყვებათ, იცოდე, ახლოსაც არ მოგეკარებათ.

როგორც იქნა, ჩავდივარ ეზოში. გიორგობისთვის სუსხიანი სალამოა, თუმცა ღვინისაგან გახურებული ველარ ვგრძნობ სიცივეს. ზეცა მოსარკულია: უთვალავი ვარსკვლავი ციმციმებს ზესკნელს მცებართა იდუმალი ნათებით.

ეზოში ბორანას ვლანდავ, მისკენ მივდივარ.

– განუხებთ, ბორანა...

– რას ამბობ, რა შენუხებაა! მზად ხართ უკვე?

– ახლავე ჩამოვლენ, – ვპასუხობ.

ეზოში გუდუნა ჩამოდის ჩონგურით ხელში და მანქანასთან დგება. საოცრად გულწრფელი თვალები აქვს, ისეთი ბავშვია, გინდა, სულ ეფერო. მალე ნაზია და მთვარისაც გვიერთდებიან. მანქანის კარს ვაღებ და სამივენი უკან სხდებიან. მე ბორანას გვერდით ვჯდები და მანქანაც იძვრის ადგილიდან. უკვე კარგად მოსალამოვებულია. ზღვისპირზე გავდივართ და სანაპიროს გასწვრივ გრძელ ქუჩას მივუყვებით. მანქანების სანათები თვალებს მიჭრელებს. ყველანი ჩუმად ვართ. ძრავის თუხთუხში ისმის, როგორ ქშინავს ზღვა, უშველებელი ურჩხული და რა გავეშებით ეხლება ტალღები ქვით მოპირკეთებულ ნაპირს: ისეთი შეგრძნება მაქვს, მიწისქვეშეთის წყალთა მეუფის გამძვინვარებული ყვირილი მესმოდეს თითქოს.

ბორანა გაფაციცებით გაჰყურებს გამზირს და ისევ მითაჟამინდელი შუმერული სურათი მახსენდება. ქალებიც ჩუმად არიან, გუდუნალა აჩხაკუნებს ჩონგურს ხანისად, ვარჯიშობს, ეტყობა.

– ასე გვიან დაგვხვდებიან, შვილო, საავადმყოფოში?! – მეკითხება მთვარისა შეწუხებული ხმით.

– აბა, სად წავლენ, ხომ არ დაკეტავენ საავადმყოფოს?! – ოდნავი გალიზიანება ეტყობა ბორანას.

– გაფრთხილებული ხომ არიან, შვილო, უარი არ გვითხრან?! – ისევ მთვარისაა.

– არ გვეტყვიან, მთვარისა ბიცოლა, ავუხსნი ყველაფერს, – ვამშვიდებ.

მსიამოვნებს ქროლვა მანქანების შუქით გაჩირაღდნებულ გამზირზე, რალაც მისტიური სითბო თუ ექსტაზი მეუფლება თითქოს.

მანქანა ხიდზე გადის: ყოროლისწყალი გადავლახეთ. კიდევ კარგა ხანი მივსდევთ სანათებისაგან უცნაურად აელვარებულ გზატკეცილს, შემდეგ კი მარცხნივ ვუხვევთ. რამდენიმე წუთში მანქანა საავადმყოფოს შესასვლელთან ჩერდება. დასახლებაში შუქი არაა, მხოლოდ საავადმყოფოს რომელიღაც ოთახიდან ბჟუტავს ციცქნა სინათლე. წყვდიადი უსიამოვნო ჟრჟოლას მგვრის, განწირულობის შეგრძნება მეუფლება სხეულში.

– თქვენ ჩადით, მე მანქანას მოვაბრუნებ.

ჩამოვდივარ და სხვებს ვეშველები. გუდუნას სიცივისაგან აკანკალებს.

– წამოდით, – ვამბობ ჩუმად. უსიამოვნო განწყობა მიმძაფრდება. რა აუხსნის ახლა ამათ სათითაოდ, ან ავუხსნი კი?! და გაიგებენ საერთოდ?

რკინის კარიბჭეს ვაღებ: საზარელი ჭრიალი ისმის, სულში რომ ატანს რეცა. დარაჯს, ეტყობა, ხმაურზე გამოეღვიძა, თვალების სრესვით მოდის.

– ღამე მშვიდობისა, – ვეუბნები. თავს მიქნევს და კარიბჭის დასაკეტად მიდის, სადაც უკვე შემოვიდნენ ჩემი მხლებლები. ალბათ, ავადმყოფების სანახავად მოსულებად ჩაგვთვალა, არაფერს გვეკითხება. აგაშენა ღმერთმა, ერთ ზედმეტ ახსნა-განმარტებას გადავრჩი.

საავადმყოფოს შესასვლელ კარს ვაღებ და დერეფანში შევდივართ. მაღალ კარადაზე სანთელი შემოუდგამთ, მის მკრთალ შუქზე ზემოთ ასასვლელი კიბის საფეხურები ნახევრად მოჩანს. მეორე სართულზე ავდივართ, გრძელ დერეფანში სისანდობა არ ისმის, აქაც ერთგან ბჟუტავს დანჯღრეულ სკამზე დადგმული სანთელი. მივუყვები დერეფანს, იქნებ სადმე საუბარი გავიგონო. ერთი პალატიდან სინათლე გამოსჭვივის, კარს ფრთხილად ვაღებ და შიგნით ვიხედები: ათიოდე ლოგინი ორ მწკრივადაა დაწყობილი. ერთზე ავადმყოფი წევს. ლოგინთან, პატარა კარადაზე ჭრაქი ლიცლიცებს, ავადმყოფს პირი ნახევრად გაუღია და კვნესაშერეულად ხვრინავს. თვალწინ მოკუნტული ჩონჩხებით სავსე სარკოფაგები დამიდგა, უძველესი დროისა, არქეოლოგიურ გათხრებზე ყოფნისას ნანახი. კარს საჩქაროდ ვხურავ და გზას ვაგრძელებ.

– კი მაგრამ, ნუთუ არავინაა?! – შეშფოთებული კითხულობს მთვარისა.

– მორიგე იქნება სადმე, მაგრამ სძინავს, ეტყობა, – ვპასუხობ.

უცებ ერთი პალატის კარი იღება და თეთრხალათიანი ქალი გამოდის, ცოტა არ იყოს, უკვირს ჩვენი დანახვა, გაფართოებული თვალებით გვიმზერს.

– ვინ გნებავთ?! – მეკითხება. ორიოდე ნაბიჯზე ვუახლოვდები.

– გამარჯობათ, ქალბატონო.

– გამარჯობათ!

– მორიგე თქვენ ბრძანდებით?

– დიახ, რით შემიძლია გემსახუროთ?! – მეკითხება საჩქაროდ. ისევ მეუფლება უსიამოვნო გრძნობა, მაგრამ უკვე ინსტინქტურად ვამბობ:

– იცით რა... თუ გახსოვთ, ერთი თვის წინ ამ საავადმყოფოში ახალგაზრდა გოგო გარდაიცვალა.

– დიახ, დიახ... მახსოვს!

– ჩვენ გვინდა ოთახი, რომელშიც ის იწვა. სულ ოციოდე წუთს მოგაცდენთ.

ქალს გაკვირვებული სახე ექუფრება და მისი შეშინებული, გაფართოებული თვალები უფრო მაბნევს.

– იცით რა... – თითქოს ენა დამება, ცოტას ვისვენებ და სულ სხვა კილოზე ვიწყებ... – ჩვენთან წეს-ჩვეულება იყო ასეთი, სულის წამოყვანას ეძახიან... ეს ადათი უნდა შევასრულოთ, ბოდიშს გიხდით, თუ შეიძლება, სულ ოციოდე წუთს წაგართმევთ...

– კი, ბატონო, – ჩურჩულებს მორიგე, თუმცა უარესად შეშინდა, ეტყობა, ჯოჯოხეთის მოციქულებად გვთვლის, – როგორ გეკადრებათ! ფერხისა! – იძახის საჩქაროდ.

ოთახიდან ოციოდე წლის გოგონა გამოდის. მახსენდება, აქ შემხვდა ერთხელ, ექთანია. მასაც შეშინებული თვალები აქვს, შავი ნაქსოვი ზედატანი და ასევე მუქი კაბა აცვია, რაც ამ სიბნელეში უფრო კუნაპეტად წარმოაჩენს.

– ნათიას ოთახი უნდათ, რაღაც წესი უნდა შევასრულოთო.

ფერხისა მე მიყურებს: ვერ მცნობს.

– გამარჯობათ, – ვესალმები. დაბნეული მპასუხობს.

– როგორ უნდა შეასრულოთ წესი? – მეკითხება მორიგე გზადაგზა, მგონი, ჯერაც ეეჭვება, ხორცშესხმული ეშმაკები რომ არა ვართ.

– არაფერი ისეთი: სანთლებს დავანთებთ, აგერ ეს ბავშვი ჩონგურზე დაუკრავს, ქალები ლოცვებს იტყვიან, – ვცდილობ მშვიდი ხმა მქონდეს.

– თქვენი რა იყო ნათია?! – მეკითხება ფერხისა.

– დაა ჩემი.

მხოლოდ ერთხელ ვყავარ ნანახი, ვერ გამიხსენა, ეტყობა.

– ვუი, საცოდავი! – ვერ ვხვდები ვის გულისხმობს ფერხისა.

ყველანი დერეფანს მივუყვებით. მორიგე ერთი პალატის კარებთან ჩერდება, ორივე კარს აღებს და ჩვენკენ მობრუნებული ამბობს:

– ამ ოთახში იწვა!

არ ვიცი რატომ და ნათიას სახე დამიდგა თვალწინ, რაღაცნაირად დაუცველი და უმწეო, თითქოს ერთი წლის ჩვილისთვის, ძლივს რომ აიდგა ფეხი, ხელი შეეშვათ და მარტოკა გაეშვათ ყოვლად ეული. რატომღაც ასეთი მეჩვენა მაშინ ნათია; საცოდავად და უნუგეშოდ მინებებული ცხოვრების საზიზღარ, თუმცა ყველასათვის აუცილებლად გასავლელ გზას.

წვიმის ხმაური სასიამოვნოდ იჭრებოდა ოთახში. დასასვენებელი სახლის აივნიდან ბამბუკებისა და ლამაზი ვარჯოვანების ტყე მოსჩანდა, უფრო სწორედ ბოტანიკური ბაღის მცირედი ხედი. ოდესღაც აქაურობას ათასობით ტურისტი და დამსვენებელი ავსებდა, ახლა კი ჩვენ ვიყავით ჩასახლებულნი, ჩვენ – იძულებით დამსვენებლები.

მარჯვენა ხელი თავქვეშ მქონდა ამოდებული, მარცხენაში ნახევრადჩ-ალეული სიგარეტი მეჭირა; ორიოდე კვირა იყო, რაც ვეწეოდი და ჯერაც მაბრუებდა. ახლაც გონდამძიმებული ვუსმენდი მამიდას, რომელიც დალონებული, მწარედ მიყვებოდა დიდი ხნის წინანდელ ამბავს:

– ბოლომდე მაინც არ გამენდო, მინიშნებით მეუბნებოდა: შეიძლება ხვალ უსიამოვნება შემემთხვესო. კი მაგრამ, რატომ მამიდა-მეთქი? არაფერი მითხრა, ძალიან შეწუხებული იყო. „ნუ გეშინია, გოგო, ხვალ მე მოვალ-მეთქი ბაღში", „არა, არ მინდაო". – მამიდამ ამოიხვნეშა, – მაშინ შევცდი, მაშინ! თორემ ახლა ცოცხალი იქნებოდა. სულელმა! სულელმა! არ მითხრა, ყველაფერს მეუბნებოდა, ის კი დამიმალა, და მეც შევცდი, ოციოდე წუთი დავიგვიანე, ოცი წუთი! ბაღში რომ მივედი, დირექტორი და აღმზრდელები აჩოჩქოლებულნი დამხვდნენ. დირექტორმა რაღაც ამრეზით გადმომხედა და „თქვენთან სალაპარაკო მაქვს, ქალბატონოო", მითხრა, „ნათია სად არის-მეთქი", „ოთახშიაო", მითხრა ერთ-ერთმა აღმზრდელმა, ახალგაზრდა იყო, ადრე სულ იმას მიმტკიცებდა: „ნათია ჩემი განუყრელი მეგობარიაო"! ღამისა ერქვა. ოხ, ის გათახსირებული ისა, თმებით რომ არ ვათრიე! როგორ არ მითხრა ან როგორ შეატოვა მარტო! „მერე ვილაპარაკოთ-მეთქი", ვუთხარი დირექტორს და ნათიასთან შევედი. კინაღამ გავგიჟდი: ცრემლებისაგან იხრჩობოდა, თმა ასწეწვოდა, ნაღდად არ შემშლია – ლოყები დაკაწრული ჰქონდა! „რა გჭირს, მამიდა-მეთქი", უფრო აზლუქუნდა, სიტყვა არ დასცდენია! მერე მითხრა ღამისამ: ვარაზის ნაცოლარი, ის კახპა ისა, და მისი ჯიბგირი ძმა მოსულან, ერთი აყალ-მაყალი აუტეხიათ: „შენ რომ არ იდგე შუაში, ვარაზი არასოდეს მიმატოვებდაო, შე კახპაო", რა არ უძახიათ, „დაანებე თავი, თორემ მოგკლავო", დამუქრებია ძმა! ღმერთო, შენი სახელის ჭირიმე! – ზემოთ აიხედა მამიდამ, – აუხდა, აუხდა! ჩემი წყევლა! შუაზე გახლიჩა ბომბმა სოხუმში! ნეტა, ის კახპაც ყოფილიყო იქ! მაგრამ არც იმას დაადგება კარგი დღე, როგორც ნათია მოსპეს და დაღუპეს, ისე გაამწარე, ღმერთო! – ცრემლი მოიწმინდა მამიდამ და ისევ გააგრძელა, – არ მიატოვა ზლუქუნი, ძლივს დავაწყნარე ბოლოს, ერთი წუთით შევედი დირექტორთან, არ ვიცოდი, რა უნდოდა.

„ქალბატონო, ალბათ, კარგი იქნება, თუ ნათია აღარ მოვა სამსახურშიო", „კი მაგრამ, რატომ-მეთქი", „რას იფიქრებენ ბავშვებიო, ყველამ გაიგონა, რა არ უძახა იმ ქალმაო, ცუდია ზნეობაზე აღმზრდელებს ვესაუბრო, როდესაც ამდენი ბავშვი გვყავს აღსაზრდელიო". მე გავმწარდი, არ მცოდნოდა მაინც იმ გათახსირებული ქალბატონის ზნეობა და მთელი ცხოვრება! ვერ მოვითმინე და მივახალე, „გიჯობს, შენს საკუთარ ზნეობას მიხედო, იქნებ ცოტათი უშველო-მეთქი, ჩვენს გვარში კი არასოდეს გვქონია ეს პრობლემა-მეთქი" და მივუჯახუნე კარი. ნათიამ არაფრით არ დამიჯერა, „ვარაზი უნდა ვნახოო", „კარგი, მამიდა, დამშვიდდი და მერე ნახე-მეთქი". არა! ეტყობა, თავიდანვე სჭირდა რაღაც, თორემ რამ შეაყვარა ის ლოთი და ჩხუბისთავი! ქალი არ იყო სოფელში, ის არ გაარშიყებოდა! მხატვარიაო! არაფერი მინახავს მისი დახატული! კი, ცოდვას ვერ ვიტყვი, ჩემთან არასოდეს მოქცეულა ცუდად, მაგრამ მთელი სოფელი ასე ლაპარაკობდა: უქნარობისა და ლოთობის მეტს არაფერს აკეთებსო! მივედით; ვარაზი და ჟუჟუნა იყვნენ, საცოდავი მერი, მათ ჯილაგში ერთადერთი ნორმალური ადამიანი, მიწას ებარა უკვე, – იმანაც აწკურა თვალები და ამრეზით გადმოგვხედა. ღმერთო ჩემო; რა გვჭირდა იმ მათხოვრების შესახვეწარი! არა, საცოდავი ნათია როგორ იყო მართალი, რამ შეაყვარა, რამ?! დამანებე, ვარაზ, თავიო, უთხრა, გთხოვ, ნურასოდეს ნუ მნახავო! არადა, შემდეგ მითხრა, რამ მათქმევინა, რამ მათქმევინაო! სწორედ ის სტანჯავდა, მიტოვება რომ დააპირა, უფრო სწორად, ენით წარმოთქვა, თორემ, მე მაინც ხომ ვიცი – ნათია ვერასოდეს ვერ მიატოვებდა ვარაზს. ვარაზმაც იცოდა... საცოდავი! სწორედ მეორე დღეს იყო, რომ წაჰყვა ტყეში მორების ჩამოსატანად... საბედისწეროდ! ღმერთო, შენ გაამწარე ის გათახსირებული! ვარაზიც ცოცხალი იქნებოდა ახლა და ნათიაც! მორჩა, იმ დღის მერე დამთავრდა ნათიას სიცოცხლე! მერმინდელი თორმეტი, თუ რამდენი, – დაფიქრდა მამიდა, – ცამეტი წელი ჩათვალე, არც კი უცოცხლია! – მერე ჩაფიქრდა და ამოიოხრა: – ღმერთო, შემინდე, რაებს ვბოდავ! ეს სამი წელი, ეჭვი არ მეპარება, სრულიად მორჩენილი ეთქმოდა, რომ არა ომი, ვინ იცის... ღმერთო, შენ გაამწარე ამ ომის დამწყებიც და დამამთავრებელიც!

გუდუნასკენ ვიხედები, რაღაც მინდა ვუთხრა, თუმცა არ ვიცი, რა და უაზროდ ვაჩერდები ისედაც შეცბუნებულ ბავშვს. ნაზია მაფხიზლებს:

– ახლა შენ ჩონგურზე დაუკარი გუდუნა და მამალს როდესაც შევუშვებთ, უკან მიჰყევი სიმღერით.

მთვარისა და ნაზია ჩანთებს ექაჩებიან, ცდილობენ, ფრთხილად ამოიყვანონ მამალი. მორიგე და ფერხისა კედელს აკვრიან, გაკვირვებულნი გვიმზერენ. ასეთივე

გაკვირვებით შეხედავდნენ, ალბათ, სასწაულს... ცით მოვლენილ სასწაულს.

გუდუნა ჩონგურზე უკრავს და სიმღერას იწყებს. კარგი ხმა აქვს, რაღაც იდუმალი, რომელიც ამ სიბნელეში ოდინდელ საკულტო გალობასავით ჩამესმის. ნაზია კარის ზღურბლზე სვამს მამალს. ფრინველი უცებ ვერ გრძნობს ასე უშურველად მინიჭებულ თავისუფლებას, გაუნძრევლად დგას, შეშინებული აბრუნებს თავს ხან მარცხნივ, ხან მარჯვნივ, გაოცებული გვათვალიერებს. ლამაზი მამალია, წითელი, ალაგ-ალაგ ყავისფერი ფრთები და ჯიშიანი, შავი ბოლო აქვს. ფრინველი კიდევ კარგა ხანს დგას გაკვირვებული, შემდეგ, თითქოს მძიმე გადაწყვეტილება მიეღოს, ფრთხილი ნაბიჯებით შედის ოთახში.

თვალს ვავლებ პალატის თეთრად შეღებილ კედლებს, უმწეოდ და დამთრგუნველად მაცახცახებს; ადრეც ვარ აქ ნამყოფი, მაგრამ მაშინ ნათია იყო აქ და მისი ღიმილიანი და ნუგეშით აღსავსე გამოხედვის წყალობით, ეტყობა, აღარ განვიცდიდი ასე გამანადგურებლად აქაურობას. ღმერთო, სად დავტოვეთ! სად დავტოვე! ჩაშავებულ, ჩამჟავებულ, ჩანესტიანებულ ოთახში! უკაცრიელი პალატების შემყურე! აქ რა მოარჩენდა! თვითონ ხომ არაფრით არ დამტოვებდა აქ! არაფრით! ნუთუ მართლა გავიმეტე?!

კავკასიონის მთაგრეხილები უნდოდ გადმოგვყურებდნენ. მწვერვალებისკენ თოვლი ეფინა, როგორც ჯერად შერჩენილი უბიწოება.

საკენში უკვე ელოდნენ თოვლს, ორჯერ დაითრთვილა კიდეც სიმწვანე. მთის ძირას, ნაძვნარში, მე და ავთომ ტოტებისაგან კარავი შევაკოწიწეთ და დილიდანვე გავაჩაღეთ ცეცხლი. ნათია ცეცხლს მიეფიცხა: გასავათებულს, გატანჯული სახე ჰქონდა. ავთოს პატარა ბიჭი, ნუკრი, შეშას აყრიდა ცეცხლს. ათამდე ვიქნებოდით. კარავთან ვიდექი და უწყვეტად მომავალ ხალხს გავყურებდი, თითქოს ხიდი გაბმულიყო უშველებელი, საკენიდან იქით – ლათამდე, მერხეულამდე, მოუსავლეთამდე, უკუნეთისა და სიბნელის საწყისამდე. უკვე შეჩვეული ვიყავი და არანაირ გრძნობას არ აღძრავდა ლტოლვილთა ცქერა, მხოლოდ ეს იყო – ხანდისხან სასოწარკვეთით გამეღიმებოდა: ზოგს უშველებელი ფუთები მოჰქონდა, ზოგს ორი ბავშვი მოჰყავდა ერთად, ზოგი საქონელს მოდენიდა... ვიეთს დიდი საბარგო მანქანის ძარაზე დაეკრა თავისი სარჩო-საბადებელი და თვითონაც ზედ შემოსკუპებულიყო. ერთ ასეთ მგზავრში ცნობილი მწერალი შევიცანი. თვალი ამარიდა, ანდა მომეჩვენა. „რას მიცნობდა, ერთხელ თუ ორჯერ ვყავვარ ნანახი?!" უცებ მაჯაზე ხელის შეხება ვიგრძენი: ნათია იყო.

– ოდი, ოდი ისაა?! – გამეღიმა და თავი დავუქნიე, – როგორ, კი მაგრამ, როგორ არ... – ნათიამ არ დაასრულა, თვალები საბარგო მანქანის ძარაზე შემომჯდარისთვის ჰქონდა მიშტერებული.

– ნათია, – ვთქვი წყნარად, მან შემომხედა, თვალებში უსაშველო დაღლილობასთან ერთად უსაშველოდ დიდი ცრემლი ედგა, ცრემლი, რომელშიც, არ ვიცი მომეჩვენა თუ მართლა, მთელი ჩემი სახე ჩანდა; სახე, სახლი და ბავშვობა.

– ნათია, ნათია, დღეს ყველანი ერთ დღეში ვართ; წელან სარდალმა ჩაიარა; დღეს ყველანი ერთნაირები ვართ.

– არა, ოდი, სარდალი სხვაა; უნდა მივიდე, რაღაც უნდა ვუთხრა! – აღელდა ნათია და ავტომანქანისაკენ წაიწია. მე ოდნავ მოვქაჩე ხელი.

– ხომ არ გაგიჟდი, ნათია! – უმწეოდ შემომხედა.

ისევ გავხედე ტაატით მიმავალ მანქანას და ჩემდაუნებურად გამიელვა თავში სტრიქონმა „სად იყო მთვარე საქართველომდე..." და უცებ ტანში ჟრუანტელმა დამიარა, რადგან ნათიამ ზუსტად ამ სტრიქონის გაგრძელება წაიბუტბუტა:

– სად წავა მთვარე საქართველოდან?..
– შევხედე და მივხვდი: ახლა ორივენი ერთზე და თითქმის ერთნაირად ვფიქრობდით.

აღმართს შევუდექით. ძლივს მოდიოდა ნათია. ვბრაზობდი: თავისი სიჯიუტით ჩაიგდო თავი ამ დღეში – ქუთაისში იყო ამდენ ხანს და მაინცდამაინც თოთხმეტ სექტემბერს ჩამოფრინდა სოხუმში, ოდის ვნახავ და წამოვალო უთქვამს. თუმცა რა, ნათია კი არა, ბევრი მოატყუა დროებითმა (უფრო სწორად – საშინელმა!) მშვიდობამ. მე ლექციას ვესწრებოდი, როდესაც მსხვილკალიბრიანი დანადგარების გრუხუნი ატყდა, გაოცებული ლექტორი ხაფანგში მომწყვდეული თაგვივით აცეცებდა თვალებს.

მერეც ჰქონდა შანსი: რამდენჯერ მივაცილე გემბანამდე, ის-ის იყო უნდა გამგზავრებულიყო, ბოლო წუთს მაინც უკან გამომყვებოდა, – მეშინიაო, სინამდვილეში უჩემოდ არ უნდოდა წასვლა, თანაც ის იყო – მეც მეშინოდა მისი გემით გაშვება. ნავებივით ძირავდნენ ჩვენ გემებს. ბოლოს ძლივს დავითანხმე, მერხეულში დამლოდებოდა. კაცმა რომ თქვას, მეც რას ვაკეთებდი... არეული დავბორიალებდი ნახევრად დანგრეულ, განძარცვულსა და გაპარტახებულ, საკუთარი შვილებისაგან და თვით ღმერთისგანაც მისატოვებლად განწირულ ქალაქში. სწავლა დაიწყოო და იარაღი ჩავაბარეთ... უკვე უნიათონი ვიყავით, უსუსურნი და უსურვილონიც თითქოს, იმის

უნარი და ძალი არ შეგვრჩა, მივსულიყავით, ისევ აგვეღო იარაღი და ბრძოლა გაგვეგრძელებინა, დამარცხებას შევურიგდით წინასწარ... ხელი ჩავიქნიეთ და დავთმეთ, საბოლოოდ გავწირეთ ის, რისი დათმობისა და გაწირვის შემდეგაც უკვე აღარ ცოცხლობს ადამიანი ან კიდევ ცოცხლობს, მაგრამ მის სიცოცხლეს აღარ ჰქვია სიცოცხლე, რადგან მთელ შემდგომ ცხოვრებას სინანულსა და ვაებაში ატარებს.

თითქმის ავათავეთ აღმართი. კავკასიონი დამდურებით გვიმზერდა, გვსაყვედურობდა თითქოს რაღაცას, ცოცხალი ადამიანივით. ნათიამ შემომხედა და, თითქოს ჩემს სულისკნელში შემოეღწიოს, თქვა:

— ვის ვუტოვებთ ამ მთებს?! — თვალებში ვეებერთელა ცრემლი ედგა.

მამალი თითქოსდა დაბნეულად და გაოცებით, მაგრამ როგორღაც დინჯად მიაბიჯებს ოთახში, სადაც ორი სარეცელი დგას კედლებთან, შუაში ფართო გასასვლელია. სანთელი ანათებს და ამ ციცქნა შუქის ფონზე უფრო შემზარავად იჭყიტება მნათობებგაუჩინარებული, კუნაპეტი ღამე სარკმლიდან. მამალს გუდუნა მიჰყვება სიმღერით, შემდეგ ნაზია და მთვარისა მოდიან, ხოლო მორიგე ფერხისა და მე მოგვიანებით შევდივართ ერთად. საოცარია, აქ რომ მოვდიოდი, ირონიული, გალიმებული სახეების დახვედრას ველოდი. თუმცა, ეტყობა, ამათზე საავადმყოფოს ჩაბნელებული პალატები და ჩემი მხლებლების გულწრფელი სერიოზულობაც მოქმედებს. მაგრამ... ყველაზე მთავარი მაინც სიკვდილია, სიკვდილთან ხომ ყველანი გულწრფელები ვართ.

— რომელ ლოგინზე იწვა, ნანა? — ეკითხება ნაზია მორიგეს.

— ლოგინზე?! — იბნევა მორიგე უცებ, შემდეგ ერკვევა, — აი... აი, ამაზე!

— საოცარია, — ამბობს მთვარისა, — როგორ გამოარჩია, ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი, შენი სულის ჭირიმე... — ჩურჩულებს მთვარისა და მამალს სასოებით შეჰყურებს.

მეც კი ვგრძნობ, როგორ აჟრჟოლებს მორიგეს. ღმერთო ჩემო, რა არის საოცარი?! სულ ორი საწოლია, ერთ-ერთის ქვეშ ხომ უნდა შესულიყო, აბა, ჩვენს გვერდით ხომ არ გაჩერდებოდა?! გუდუნა ისევ მღერის. ნაზია სანთელს იღებს ჩანთიდან და სარეცელის თავზე ამაგრებს.

— მამალი რისთვის გინდათ? — ჩურჩულით მეკითხება ფერხისა. შავი, სქელი მოსასხამი მოუტანია, შემოუხურავს და ხელებით იმაგრებს შიგნიდან მკერდთან.

— წესია ასეთი, — რა ავუხსნა ახლა ამას? მაინც ვცდილობ, გაიგოს იქნებ. — სჯერათ, რომ ფრინველს გამოჰყვება სული.

ფერხისა გაოცებული მიყურებს შეშინებული თვალებით და ჩემდა გასაკვირად, მის მზერაში ვიჭერ, თითქმის ყველაფერს ხვდება, რასაც ვეუბნები.

მთვარისა სანთელს ანთებს. იდუმალად ბრიალებს ლამაზად ჩამოქნილი თაფლის სანთელი და მისი ციცქნა შუქი ირიბად ეღვრება სარეცელს, რომელზედაც განუტევა სული, მთრთოლვარე სული, ნათიამ — ჩამუქებული სენაკის უდაბურობით გათანგულმა და გულშეღონებულმა, ალბათ, ჩამუქებული სენაკისა, სადაც ახლაც დაბურდული, ულრანი ტყის ოჩოკოჩებივით დაბოგინობენ ლიცლიცა სანთლის პაწია ნათელთაგან წამოჭრილი აჩრდილები ჩვენივე საკუთარი სხეულებისა, რაც საოცარს, მისტიურს ხდის ჩემს, ისედაც არეულ, ფიქრებს, გრძნობათა თუ შეგრძნებათა ულრან ლაბირინთებში რომ მიზიდავს და გამოსასვლელ, იქიდან გამოსაღწევ გზებს მიბნევს და მიწიოკებს ისედაც არსებობაზე და ყოფაზე გულისთქმებში დანთქმულს. თუკი მათ რწმენას დავუჯერებ, ამ ოთახში უნდა იმყოფებოდეს ახლა ნათიას სული. სული თუ თვითონ ნათია? განა სახელი სულის კუთვნილება არაა? იქნებ სულს კი არა, სხეულს ვაკუთვნებთ სახელს, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ჩემთვის ხომ ნათია და ნათიას სული განუყოფელი რამ იქნებოდა, თუკი არსებობს სული საერთოდ, ჰოდა მათი რწმენით, ახლა ამ ოთახში ხომ უნდა იყოს მისი სული? ამ ოთახში უნდა დაბორიალობდეს ჩვენი უმეცარი ქცევების თუ ფიქრებისაგან განაწყენებული ან იქნებ სულაც გამხიარულებული: მათ ხომ ასე სწამთ, რომ გამხიარულებული იქნება და აღფრთოვანებით გამოგვყვება უკან, საკუთარი ტანსაცმლით ნიშან-გაფენილ სარეცელისაკენ?! ეჭვიც კი არ ეპარებათ საკუთარ რწმენაში; საავადმყოფოში დასტრიალებდეს იქნებაო სიკვდილის სარეცელს ჯერაც, დაბნეული, და არაფრისდიდებით არ მოშორდება მასო. მაგრამ თუკი სული გათავისუფლებაა სხეულისაგან, სხეულის ტვირთისაგან, რაღა ანაღვლებს, რაღას დასტრიალებს ამ სარეცელს, როგორც შეყვარებული მიჯნურის გვამს, რაღას დაბოგინობს ამ ჩახუთულ სენაკში, უდიდესი საპყრობილისაგან თავდაღწეულს ნუთუ ამ ოთახიდან განკიდეგანება არ ძალუძს?! იქნებ სწორედ გარდაცვალების შემდეგ ესაჭიროება სულს წარმოუდგენელი გარჯა, რომ არ დაიბნეს და ერთადერთი ჭეშმარიტი ბილიკი არ დაჰკარგოს? ძველი ტიბეტელებივით საკრალური ლოცვები ვუკითხოთ მიცვალებულს? იქნებ მართლაც და არ იყოს აზრსმოკლებული გონსმილმიური სულის, საიქიოს გადანაცვლებული სულის სააქაოდან გამხნევება და მეგზურობა? მაგრამ რაღა მამალი უნდა

ჰყავდეს წინაგამკაფველად? როგორა სწამთ? – სწორედ მამალი გრძნობს და ხედავს კიდეც უხილავ სულს, ადამიანთაგან განსხვავებითო. კი მაგრამ, ნუთუ ფრინველებზე მაღლა არ ვდგავართ ადამიანები? უძახე მამალი... როგორ დასტრიალებს გარს ამ სარეცელს, რა გაოცებით უყურებს...

– ერთიც არ მოშორებია, დაილოცოს შენი სახელი, გამჩენელო, – ბუტბუტებს ნაზია თავისთვის და ვგრძნობ, თუ რა სიწრფელით სწამს, სჯერა იმისა, რასაც აკეთებს. სარეცელთან მიდის, ცდილობს, მამალი არ დააფრთხოს, და ლოცულობს ჩუმად. სიტყვებს ველარ ვარჩევ, მაგრამ რიტმი ისე მწყობრად მიედინება, სახატო დღესასწაულებში ხელთდასხმულების გაბმული ხოტბა მახსენდება, უფლისადმი აღვლენილი.

– რას შვრება? – ჩურჩულით, მფრთხალი ჩურჩულით მეკითხება ფერხისა და შემკრთალი მიცქერს თვალებში.

– ლოცულობს. – ასევე ჩუმად და შთამაგონებლად ვპასუხობ. ახლაღა ვამჩნევ, თავიდანვე მთელი გულწრფელობით ვცდილობდი, როგორმე დამერწმუნებინა ფერხისა ყოველივე ამის სიმართლეში, გარდაუვალ საჭიროებაში. მაგრამ არ ვიცი, რისთვის, რისთვის ვლამობ ამას?

– რატომ ლოცულობს? – ისევ ბავშვივით მეკითხება ფერხისა, ჩუმად. მეც ერთხელ დაჭერილი ტონით ვაგრძელებ:

– უნდა, ნათიას სული გაამხნევოს, შეიჩვიოს, რომ გამოგვყვეს და აქ არ დარჩეს ისევ. – ღმერთო ჩემო... თვითონვე მიკვირს...

მამალი, თითქოსდა ნაზიას ლოცვებმა იმოქმედესო, ფრთებს შრიალით იქნევს და მსუბუქად ხტება სანთლის შუქისაგან ზედაპირგადანათებულ სარეცელზე. სიკვდილის შემდგომაც არ ვანებებთ თავისთვის, ბუნებრივად ყოფნას, სიკვდილის შემდგომაც ვცდილობთ, ჩვენებური, ამქვეყნიური, სულელური თამაში მოვახვიოთ თავს!..

გაკვირვებული ვუმზერ სარეცელზე გარინდულ მამალს, რომელსაც ისეთი გამომეტყველება აქვს, თითქოს სარკეში იმზირებოდეს იმ ბავშვივით, ვინც პირველად ჩაიხედა სარკეში და გაოცებული დარჩა თავისი ორეულის ხილვით. იმასაც ვგრძნობ, მორიგე ექთანი და ფერხისა რაოდენ გაოგნებულნი არიან ამ საოცარი, მათთვის აუხსნელი და გაუგებარი, მაგრამ, ეტყობა, ქალებში ჭარბად არსებული, მგრძნობიარე ინსტინქტებისთვის არც თუ ისე უცხო მოვლენით. მაინც გრძნობების სფეროა ეს ყოველივე, ამიტომაც, თუმცა გაოცებით, მაინც უეჭველი გულწრფელობით იღებენ ყველაფერს. მთვარისასა და ნაზიასათვის არაფერია ახალი. მათ თავიანთი დღედამოსწრება ასეთი საქმეების მეტი რა უკეთებიათ, უნახავთ და არც არასოდეს მოუცლიათ რაიმე ეჭვის შესატანად, იქნებ გაუჯდათ სისხლ-ხორცში, გუდუნა კი ჯერ არაფერს აანალიზებს და განსჯის, მხოლოდ იღებს მას ისეთად, როგორც არის და იმისი შიში აქვს, ბებიას – ძალუას – დარიგებები არ გამორჩეს, ჩონგურის სიმები არ აერიოს, სიმღერა არ შეეშალოს.

– ეს ბავშვი რატომ მღერის?! – მეკითხება ფერხისა. მე უკვე აღარ ვფიქრობ იმაზე, თუ რა ვუპასუხო, კარგა ხანია ინსტიქტურად ველაპარაკები.

– სულს უმღერის, რომ არ გაბრაზდეს და უყოყმანოდ გამოგვყვეს.

ალარ მიკვირს, თუ როგორ იმორჩილებენ ბრბოს. მე ხომ სულით ხორცამდე მომიცვა ამ საოცარი წესის, იმათი რელიგიური მრწამსის ხორცშესხმამ; მე ხომ მთელი სერიოზულობითა ვარ ჩაფლული ნაღდად წარმართობისდროინდელ როკვაში, მაშ, რა მნიშვნელობა აქვს, მწამს თუ არა მწამს, მჯერა თუ არა მჯერა?

მთვარისა ღვინით სავსე დოქს იღებს ჩანთიდან და ნაზიას აწვდის.

– მე არა, ოდის მიეცი, – ამბობს ნაზია და სანამ რამეს მოვიფიქრებდე, დოქს მაჩეჩებენ ხელში.

– გადაუწიე, შვილო, აპკურე ზედაშე, – მეუბნება მთვარისა და თვალებით სარეცელისაკენ მანიშნებს.

დაბნევით ვართმევ მთვარისას შავ, ყოლოსავით შავ, ღვინით სავსე ჭურჭელს, ერთხანს ხელში მიჭირავს და ვათვალიერებ მოლივლივე სითხეს. შემდეგ სარეცელს ვუახლოვდები და რამდენიმე წვეთს ვაპკურებ ქვეშაგებზე. ღვინის წვეთები გახსნილ ჭრილობასავით აჩნდება თეთრეულს. მამალი ამრეზით მიყურებს, არც კი ფრთხება, მხოლოდ ესაა, რაღაც იძულებული კაცის მანერით, რამდენიმე ნაბიჯით იხევს კედლისკენ. ჭურჭელს იქვე, პატარა მაგიდაზე ვდგამ და უკან ვბრუნდები, მორიგესა და ფერხისას გვერდით ვდგები, კედელთან.

არა, ეს სულაც არ იყო შიში, არც უმწეობა, ეს სულ სხვა რაღაც იყო, ყველაფრისაგან განსხვავებული, ყველაფრისაგან განცალკევებული, გამოხალვათებული და ეულად, მარტოდმარტო მდგომი – შეგრძნება იმისა, რომ ახლობელი, შენი უახლოესი ადამიანი გაუცხოებულია, სხვად გამხდარია, გაუჩინარებულია შენთვის და შენ რაც არ უნდა იფიქრო, ილვანო და იდავიდარაბო, მაინც აღარაფერი ეშველება, აღარაფერს აღარ შეუძლია დააბრუნოს, უფრო სწორად, შენ დაგაბრუნოს მასთან, კვლავაც იგივე გახადოს შენი წარმოდგენა, კვლავაც ჩვეულებრივობა დაუბრუნოს შენს ურთიერთობებს – მოაშოროს, ჩამოაგლიჯოს საი-

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

დანლაც გაჩენილი, გამოჩორკნილი ბურუსი თუ მოუშორებელი ნიღაბი და პირველყოფილი სიხალასე დაუბრუნოს – რასაც ასე ესწრაფვი, ასე ეძიებ, მაგრამ ვეღარ გიპოვია, ვეღარ მისწვდომიხარ და შენც, გამძვინვარებულსა და გაბოროტებულს, ხელი ჩაგიქნევია, ამოგიოხრებია და დინებისათვის, ამსოფლიური, მუხთალი, ყოვლისშემმუსვრელი, მაგრამ ყველასათვის თავდაუღწეველი, ყველასათვის თითქოსდა გარდაუვალი დინებისათვის მიგინებებია.

ნათიას ოთახში შევედი: დედის, ბებიასა და დის გარდა, ხუთიოდე მეზობელიც იყო და ნათიას შეჰყურებდნენ. ნათია ლოგინში იჯდა და ისტერიულად ყვიროდა. საშინაო ხალათი ეცვა, შიშველი ტერფები ფლოსტებში ჰქონდა წაყოფილი, თმები ჩამოშლოდა და მკერდსა და მხრებზე ეყარა. ნათიასთან ბებია იჯდა და ამშვიდებდა.

– შენც... შენც, შენაც ველარ გიტან! – დედას შეხედა ნათიამ რისხვაჩამდგარი თვალებით, სახე საოცრად დაძაბვოდა, – სუყველანი მჩაგრავდით, ყველანი მიტანჯავდით ბავშვობას, სულ გრცხვენოდათ, რომ თქვენი შვილი ვიყავი!

– ნათია, დაწყნარდი, შვილო, – ეხვეწებოდა გაფითრებული დედაჩემი.

ეს მართლაც სხვა ნათია იყო. ასე მეგონა, უწინდელი ნათია დამსხვრეულიყო, ათასობით ნაწილად დაცალკევებულიყო, დაფანტულიყო და, მიუხედავად მთელი ძალისხმევისა, ვერ ახერხებდა, ველარ ძალუძდა გამთლიანება.

– არ მომეკაროთ! – ყვიროდა ნათია.

– რა დაგიშავეთ, შვილო! – ატირდა დედაჩემი.

– წავიდა ვინმე სასწრაფოს მოსაყვანად? – იკითხა ვილაცამ.

როცა უმწეო ხარ ადამიანი, უმნიშვნელო რამეც იმედად და მშველელად წარმოგიჩნდება ხოლმე, ამიტომაც მოველოდი სულმოუთქმელად ექიმის მოსვლას. მან კი უხეშად გადააცვა შავი ჯემპრე ნათიას და ძალით (სამი წლის შემდეგ თქვა ნათიამ, თითქოს სიზმრისეულ ბურანში ვიყავი, ზმანებასავით მახსოვსო), ჯიკავჯიკავით წაიყვანა მანქანისაკენ. ნათიას საოცრად გაფითრებული სახე ჰქონდა და უაზრო გამომეტყველება... ექიმს ხელებით ჩაბღაუჭებოდა და ლასლასით, გაუაზრებლად, თითქოსდა ინსტინქტურად მიჰყვებოდა. მაშინ იყო, საბოლოოდ დავკარგე იმედი. რაღაცა ჩამწყვიტა, საოცრად ჩამწყვიტა იმის გაფიქრებამ, რომ ექიმისათვის ის ერთ-ერთი ჩვეულებრივი ავადმყოფი იყო და არა ისეთი განუმეორებელი და შენთვის ესოდენ ძვირფასი არსება, რომელსაც ყველასაგან გამორჩეულ, ერთადერთ, განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებდი და გსურდა, სხვებსაც ასე შეეხედათ და აღექვათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა უკვე ნაზიამ გადააქცია ღვინო, სარეცელის წინ იატაკზე. ნეტა ეს როდინდელია? ღვინის გადაწევა? ღმერთმა გაანათლოს მისი სული... აცხონოს... ღმერთმა შეუნდოს... განა ღმერთმა უკეთ არ უწყის, აცხონოს და შეუნდოს თუ წარსწყმიდოს?! აქედან თხოვნა-მუდარა რა საჭიროა, ანდა ვინ გვეკითხება თვითონ ცოდვილებს სხვისი ცოდვების შენდობას?

გუდუნა ისე ეშხიანად მღერის, საეჭვოა ნაწყენი დარჩეს აქ მობორიალე სული. ღმერთო ჩემო! როგორ დარჩა აქ? თუკი დარჩა! თუკი საერთოდ არსებობს?იმად გამოაღწია სხეულის ტყვეობას, რომ ამ, სხეულზე გაცილებით უბინძურეს, საპყრობილეში დარჩენილიყო? ისე მაინც არ მოუნდა განავარდება გარეთ, თვალუწვდენელ ველებზე, ხასხასა ეთერში, მიუღწეველ უსასრულო ზესკნელისაკენ, რომლის უსაზღვროება მშვენიერი თავშესაფარი იქნებოდა მისთვის, ახალთავდახსნილისათვის წუთიერი ამაოებისაგან, უაზრო ყოფისაგან, მომქანცველი არსებობისაგან, რომელიც მთელი ცხოვრება, თითქმის მთელი ცხოვრება, ფიტავდა, სძიძგნიდა და ისე აწამებდა, როგორც დედინაცვალი საძულველ გერს, და ნუთუ, მაინც აქ, ამ ჩახუთულ, ჩანესტიანებულ პალატებში, პალატებში, რომელნიც მხოლოდ სიკვდილის, გახრწნის, განქარვების მშობლადღა გაგრძნობინებს თავს, არჩია ყოფნა, ვინემ ჩვენ არ დავიხსნიდით მას, ჩვენ თვითონ დასახსნელნი?! მოდი და ასეთი გულისთქმების შემდეგ ირწმუნე მათი მრწამსი, უყოყმანოდ, ეჭვშეუტანლად დაასრულე ეს მითაჟამინდელი წეს-ჩვეულება, საგვარტომო სჯული თუ საკულტო რიტუალი, თან სხვებიც დაარწმუნე, რომ ეს მართლაცდა ასეა, რომ ყოველივე ეს ცხადი ჭეშმარიტებაა, რომლის ასრულებაზეცაა დამოკიდებული სულის (სიცოცხლეში გამწარებული სულის) ბედი.

დავუშვათ, ყოველივე სიმართლეა, აქედან გამოთავისუფლებული სული იქ რომ მიგვყავს, ტანსაცმელით ნიშანგაფენილ სარეცელთან, განა იქაც ტყვეობაში არ მოვაქცევთ? მაშ, რა იცვლება? თუმცა არა, მათ ხომ სჯერათ, რომ ასე ორმოცი დღე იქნება მხოლოდ და შემდეგ ზეცაში წარონინდება მისი სული. რა მშვენივრად უთავსებენ თავიანთ წარმართულ წარმოდგენებს ქრისტიანობას?! თვითონაც კი არ შეაქვთ ეჭვი; ეს ორმოცი დღე მუდმივ გამოცდასა და ცთუნებაში იმყოფებაო, ამიტომაა, რომ „ორმოცს" დიდი მონდომებით უხდიან ხოლმე მიცვალებულს. კარგად მახსოვს,

სოფელი ვისამე „ორმოცს“ თუ არ მოიწონებდა, ხალხი ამბობდა, „უკეთური პატრონის გამოისობით ვერ შეაღწია სულმა ზეციურ სასუფეველშიო“. ეტყობა, მათ რწმენას ათასწლობით ჩამოყალიბებული ჩვეულება აქვს შემოვლებული კედლებად და ჩემი გულისთქმები ციცქნა, პაწაწკინტელა ქვებია, რომლებიც ვერას დააკლებენ ამ ტრადიციის საუკუნოობით განმტკიცებულ ლიბოს.

– ოდი, მიდი, ნანა, გააკეთე ახლა ძაფი, დროა უკვე, – მეუბნება ნაზია და იდუმალი, მაგრამ საქმიანი მზერით მიყურებს.

– ოდი, შვილო, ხომ გითხრა ნაზიამ, გააბი ახლა ძაფი! – ხმამაღლა გამოუდის მთვარისას. რატომღაც ვკრთები, საჩქაროდ ვხსნი ძაფის კოჭების პარკს, ერთ თეთრ ძაფს ვილებ, ვხსნი კოჭს, თავს ვუძებნი, ცოტაზე ვარღვევ და სარეცლის თავზე ვნასკვავ. შემდეგ კარისკენ მივდივარ, გზადაგზა ვხსნი ძაფს. კართან ვჩერდები: ძაფი თეთრად იჭიმება ოთახში და სინათლის შუქზე ზღვის ზედაპირიდან ასხლეტილ, ჩამავალი მზის ათინათივით კრიალებს.

– ეს რა არის?! – გაოცებულ ფერხისას ენა ებმება.

– ეს ძაფია, ამას უნდა გამოყვეს სული...

– მერედა, სანამდე უნდა გაჭიმოთ ეს ძაფი?!

– ბოლომდე, ჩვენს სანატორიუმამდე.

– როგორ?! – გაკვირვებული მიმზერს ფერხისა. მე არაფერს ვეუბნები, ჩუმად ვუყურებ ნაზიას, რომელიც მამალს სვამს ჩანთაში. გუდუნა უფრო მონდომებით მღერის, უცებ ყველანი კარისაკენ მოდიან. ნაზია მლოცველივით ამბობს ხმამაღლა:

– წამოდი, ნათია, გენაცვალე, შენს სახლში წამოდი, შენიანებთან წამოდი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, არ გაგვიწყრე, ნათია, არ გაგვინაწყენდე, გოლუაფირო, თუკი რამეში შევცდით, გვაპატიე, შურიგე, მხიარულად გამოგვყევი, შურიგე...

ფერხისა და მორიგე გაოცებით უყურებენ ნაზიას. მაგრამ არ უკვირთ (რატომღაც მეგონა, რომ მათ სიცილი აუტყდებოდათ), ვამჩნევ, რომ ფერხისას ცხვირსახოცი მიაქვს თვალებთან. ძაფს ნელ-ნელა ვხსნი და ისე მივდივარ დერეფანში. აქ ბორანა გვიერთდება, ამ ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში უფრო ფართოდგახელილი მოუჩანს თვალები. ისეთი გამოხედვა აქვს, თითქოს მეუბნება, მე არა მიკვირს, მე ეს ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი მინახავსო.

გუდუნა ხმამაღლა მღერის, თუმცა მაინც ისმის ნაზიას ვედრება. ფრთხილად მოვდივარ და დერეფანს მთელ სიგრძეზე ეფინება თეთრი სუსტი ძაფი, რომელიც მხოლოდ სანთლით განათებულ ადგილას თუ მოსჩანს ჩემს სიახლოვეს, შემდეგ კი შავ, ბურუსიან წყვდიადში იკარგება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ღრმად ჩაფიქრებული მზერა ჰქონდა ბავშვს; ძველი მისტიკოსი ბრძენის თვალებით მიყურებდა. დედამისმა მითხრა, კივილმა შეაშინაო, სამიოდე წლისა გახლდათ და ასეთი გამაყრუებელი წივილკივილი არათუ ბავშვს, დიდს დაზაფრავდა, მითუმეტეს, ტირილის დღე იყო. მის წინ ჩავიკუნტე.

– რატომ ტირი, ნუკრი?

– ნათია სადაა? – მკითხა. უცებ დავიბენი და ვერაფერი ვუპასუხე, შემდეგ თავით სანატორიუმის დარბაზისაკენ ვანიშნე, მიცვალებული იქ ესვენა.

– ნათია იმ ოთახშია, ნუკრი.

– იქ ლატომაა?!

– იქ ძინავს, ნუკრი.

– ლატომ ძინავს? – გაბრაზებული მიყურებდა სატირლად გამზადებული თვალებით.

– ძალიან შორს უნდა წავიდეს და ისვენებს, – შევეცადე, დამაჯერებელი ხმა მქონოდა და დამემშვიდებინა.

– ალა! – შემომხედა ნუკრიმ გამწყრალი თვალებით და უცებ დასძინა, – თვალები ალა აქვს!

მე წამით გავოგნდი, თითქოს რაღაც ჩამსკდა მკერდში, გაოცებულმა გავიმეორე სიტყვები:

– თვალები არა აქვს?! – თავი დამიქნია.

– ხო, თვალები ალა აქვს ნათიას!

ნუკრის ხელები გავუშვი და დარბაზში შევლასლასდი. ღმერთო ჩემო, როგორ შენიშნა... მიცვალებულს გავხედე; აქ იყო ნათია მთელი თავისი სხეულით, თითქოს არაფერი აკლდა, იგივე იყო, მხოლოდ თვალები ჰქონდა დახუჭული და უპეები ჩაწეული, ძლიერ ჩაცვივნული. თვალები ალა აქვს... რა თქმა უნდა, მთავარი არაა აქ... მთავარმა დატოვა სხეული და ნათია უკვე აღარაა ნათია... ეს, ეს სხეული აღარაა ნათია, ნათიამ დატოვა... სულმა დატოვა სხეული... სიმბოლო... აშკარაა... თვალები სულის სარკეა... ბავშვმა უცებ შენიშნა... თვალები ალა აქვს ნათიას.

საავადმყოფოს ეს უკაცრიელი, ჩაბნელებული პალატები, ასე ხშირად რომ ჩანან ღია კარებიდან, დროთა სვლისაგან გაპარტახებულ უძველეს ქალაქს მაგონებს, მიწისქვეშეთში გაშენებულს თითქოს, სადაც ვერ აღწევს დღის მნათობის სინათლე, სადაც წარხოცილია ყოველგვარი კვალი ამქვეყნიური ცხოვრებისა, ადამიანთა ყოფისა, სადაც ეს ორიოდე მანდილოსანიც, რომელთაც აქ ნებისმიერი ვინმეს მოსვლა რაღაცნაირად, მათგან განკიდევანებულ,

ამსოფლიურ ზრახვათ ალუძრავს, სხვა დროის, სხვა ყოფის ქმნილებებია თითქოს, აქ შემთხვევით, მათდაუნებურად მოხვედრილნი, ბოლო, ერთადერთი კავშირიც რომ არ გაწყდეს იმ ნათელი ყოფის ხალხთან, უკანასკნელი ნიშანიც რომ არ დაიკარგოს აქ ამქვეყნიური ცხოვრებისა, თორემ ეს რამდენიმე გაძვალტყავებული, ცალიერ ჩონჩხად ქცეული ავადმყოფი ისედაც სიკვდილისა და მარადიულად მზეგადასულთა საუფლოს ბინადართ გაგონებს ადამიანს, გარედან უეცრად შემოჭრილსა და სულ სხვაგვარი რამის მომლოდინეს. მითუმეტეს, თუ ღამით მოგიწევს მოსვლა და გარეთ მოციმციმე მნათობთა და ათასობით მორონინე ტიტანთა მიერ განათებულ ზეცასთან შედარებით ასე ჩამუქებული, ჩაშავებული და ბაბაჭუათა ქსელებით დახლართული ჭერი აგეჩხება, მართლაც ქვესკნელში მოხვედრილად იგრძნობ თავს! ღმერთო ჩემო, აქ განა შეიძლებოდა ვინმე მორჩენილიყო? აქ ნებისმიერი ჯანმრთელი განუტევებდა სულს.

— ფრთხილად, კიბეებია! — მეუბნება ფერხისა. კიბის ხარიხებზე სწორად იჭიმება ძაფი და თეთრად ქათქათებს სინათლის შუქზე.

— ეს ძაფი როდემდე უნდა იყოს აქ? — გვეკითხება მორიგე.

— დილამდე ნუ დახევთ, შვილო, თუ შეიძლება. მე მგონი, არაფერში არ შეგიშლით ხელს, — მორიგეს ემუდარება ნაზია.

— არა, როგორ გეკადრებათ! სწორედ ამიტომ გკითხეთ! ხელსაც არავინ ახლებს.

ერთი სული მაქვს, როდის გამოვაღწევთ ამ სიბნელიდან, უკვე საოცრად მახრჩობს ათასგვარი წამლების, საპირფარეშოებისა და, ღმერთო, მიშველე, ავადმყოფების სუნი.

მესამე ჯგუფში ვიყავი, სოფელი რომ შეარყია და დაზაფრა ხმამ, ვარაზი დაიღუპაო; ასე მოულოდნელად, ტყეში სამშენებლო ძელების ჩამოსატანად წასული (ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა, ახალი სახლი დაედგაო, ამბობდნენ მეზობლები), მანქანის ძარაზე, ვეებერთელა მორზე შემომჯდარი ჩამოვარდნილა ძირს და ჩამოშლილი მორები დაქცევია თავს, ხერხემალი გადაუტეხია ერთს, როგორც შემდეგ ყვებოდა მეტყევე, სანამ ქოხში შევიყვანდით ცოტახანს კი ედგა სულიო, მაგრამ სხეული ისე ჰქონდა დაგლეჯილ-დაფლეთილიო... რამდენი ვეხვეწეთ, ნუ ახვალ ძარაზე ჩვენთან ჩაჯექი, ყველანი დავეტეოდით, გავიჭირვებდით ცოტასო; არ ქნა, არაფრით, მე რა მიჭირსო, თქვა გალიმებულმა, ტყავის მოსასხამი შემოიხვია და ავიდაო. სწორედ მაგან დაღუპა — გასრიალდა, ეტყობა, სველ მორზეო.

მორები სუსტად ყოფილა დამაგრებული ძარაზე, როგორც შემდეგ გაირკვა, სულ პატარა ორმოში ჩაშვებულა მანქანის წინა, მარცხენა თვალი, ოდნავღა შერხეულა მანქანა, რაც სრულებით საკმარისი აღმოჩენილა მორების ჩამოსაშლელად . როგორც მეტყევე ჰყვებოდა, არაფერი ეშველა, ვერაფრით გავაჩერეთ სისხლიო, სად გადაგვეხვია არ ვიცოდით, ისე იყო დაფლეთილიო.

ბუხართან ვისხედით. გარეთ ისევ წვიმამ დაუშვა. ჩემი და შემოვიდა ოთახიდან, მართა.

— ოხ, რა არიან ეს ქალები. სამძიმარზე რომ შევედით, გავიგონე — ყველა ერთმანეთს ეჩურჩულებოდა: „ესაა, ესააო?!" და ჩემზე ათითებდნენ.

დედამ მწარედ ამოიოხრა და თქვა:

— ეჭვად მაინც მცოდნოდა, ეჭვად!? როგორ ვიფიქრებდი, ცოლ-შვილიან კაცს შეიყვარებდა ნათია?!

— ღმერთო ჩემო, რა ბიჭი გამოაკლდა სოფელს, — ამოიკვნესა მართამ.

— საცოდავი ვარაზი, შე საცოდავო ბიჭო! — მოთქმით აღმოხდა დედაჩემსაც.

საოცრად მსურდა, საკუთარ ოთახში შეყუჟულ ნათიასთან გავსულიყავი, მაგრამ ვერაფრით გადამეწყვიტა, მეუხერხულებოდა. ნათია, აგერ უკვე მესამე დღე იყო ვარაზის სიკვდილიდან, ოთახიდან არ გამოდიოდა, მარტო ბებია თუ შეაკითხავდა და გამოესაუბრებოდა, დედას კი მხოლოდ მოკლე-მოკლე პასუხებს აძლევდა კითხვებზე და თითქოს მშვიდად ეუბნებოდა, არაფერი არ მტკივაო. გულში სასოწარკვეთით მეღიმებოდა, როცა სხვებიც იგივეს იმეორებდნენ, არაფერი უჭირსო, — მაოცებდა მათი გულგრილობა და რაოდენ სასაცილოც არ უნდა იყოს, რატომღაც ძალიან მაინტერესებდა, თუ ვინ უთხრა ნათიას ვარაზის დაღუპვის ამბავი.

ჯერ იყო და, ოთხი დღის წინ ატირებული მოვარდა სახლში, მამიდაც გაფითრებული იყო, რაღაც უსიამოვნება შეემთხვა ბაღშიო და მეტი არაფერი უთქვამს. ნათია კი სწორედ მაშინ შეიკეტა თავის ოთახში, მერე კი, გუშინწინ ვარაზის დაღუპვის ამბავი რომ შეიტყო, აღარავინ შეუშვია ოთახში, იქიდან ჩამიჩუმიც არ ისმოდა, სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ერთხელ, შუაღამით, გავიგონე სლუკუნის, შეკავებული ტირილის ხმა.

როგორც იქნა, გამოვედივართ სასახლიდან და საავადმყოფოს ეზოში, თითქოსდა დაბლა დაწეული ზეციდან ათასობით მოციმციმე მნათობთა მსჭვალავი ჩხორიებით განათებულ ეზოში ვჩერდებით, ჯერაც ვერგამოსული იმ დამთრგუნველი შთაბეჭდილ-

ებებისაგან, რაც ამ საავადმყოფოს ჩამუქებულმა, ჩაშავებულმა ტალანებმა და ლანდადქცეულმა ბინადრებმა დატოვეს. ისეთი შეგრძნება მეუფლება, საავადმყოფოდან კი არა, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამომეღწიოს თითქოს, ადამიანთა სატანჯველი საშინელი მანქანიდან.

დარაჯი სანთლის მბჟუტავი შუქით ოდნავ განათებული ჯიხურიდან მიყურებს, სარკმლის ჩარჩოდან მხოლოდ ნახევარი სახე მოუჩანს და თვალი ციკლოპივით აქვს დაჭყეტილი.

— ულრმესი მადლობა, ქალბატონო, — ეუბნება მთვარისა მორიგეს, — გვაპატიეთ, ასე რომ შეგაწუხეთ.

— როგორ გეკადრებათ! — ხელებს შლის მორიგე.

— გმადლობთ! — ვეუბნები მეც და შემდეგ ვუმატებ, — კარგად ბრძანდებოდეთ!

— ნახვამდის! — ამბობს ფერხისა, მაგრამ, ეტყობა, ვერ კმაყოფილდება ასეთი მშრალი გამომშვიდობებით და მოგვძახის: — კეთილი გზა!

ისევ საოცარი ხმით ჭრიალებს კარიბჭე და მცირედით ილება. ძაფს საჩქაროდ ვხსნი კოჭიდან და გარეთ გამოვდივარ, ვფრთხილობ — ძაფი არ გაწყდეს.

— კოჭში ეს ლურსმანი გაუყარე და თავისით გაიხსნება, — მეუბნება ბორანა. ჭკუაში მიჯდება ასეთი აზრი და დაჟანგულ ლურსმანს ვუყრი კოჭში. ლურსმანი მოკლეა, მხოლოდ მცირედი ნაწილი მრჩება ხელში დასაჭერად.

— წავედით? — თავს ჩემკენ აბრუნებს ბორანა.

— წავედით, ოღონდ, ჯერ ნელა.

მანქანა იწყებს სვლას. ძაფს ხელით ვშლი კოჭიდან. თანდათან უმატებს სიჩქარეს. ლურსმანს თავითა და ბოლოთი ვიმაგრებ ხელებში და გარეთ ვყოფ სარკმლიდან; კოჭი ტრიალებს და ძაფი თავისით იხსნება. მალე ხელები მეწვის, უცებ ლურსმანი იჩხირება კოჭში და ხელიდან მისხლტდება.

— მოიცა, გამივარდა! — ვიძახი.

ბორანა ამუხრუჭებს. საჩქაროდ ვაღებ კარს და გადმოვდივარ, არსად ძაფის ნაკვალევი არა სჩანს. თხუთმეტიოდე ბიჯს გავდივარ, გზაზე ხელებს ვაფათურებ. როგორც იქნა, ვაწყდები ძაფს.

— ვერ იპოვე? — მეძახის ბორანა.

— კი, — ვპასუხობ. მივყვები ძაფს და მალე ვპოულობ თხრილში ჩავარდნილ კოჭს.

— ეს ლურსმანი გაგვაწამებს! — ვეუბნები ბორანას.

— უფრო მოგრძო რამე რომ იყოს, კარგია.

— მაცალე, იქნებ წვრილი ჯოხი ვნახო. — გზისპირას ვეძებ. ბლომად ყრია ტოტები, მაგრამ არ ვარგა: ხმელია და გამიტყდება. მოშორებით დაფნის წვრილ რტოს ვტეხ, კანს ვაცლი და სხარტე, მოყვითალო წკნელს ძაფის კოჭში ვუყრი. ვსინჯავ, კოჭი თავისუფლად ბრუნავს.

— გააკეთე?

— მგონი ივარგებს! — ვჯდები მანქანაში და ისიც ჯერ ნელა მიდის, შემდეგ კი თანდათანობით უმატებს სიჩქარეს.

— ფრთხილად, ნანა, — ეუბნება ნაზია ბორანას, — არ გაუსხლტეს ძაფი.

ბორანა რაღაცას ამბობს თავისთვის.

თვალებს არ ვაშორებ კოჭს, რომელიც თავბრუდამხვევი სიჩქარით ტრიალებს ისე სწრაფად, თვალი ველარ არკვევს მის ფორმას, ესაა მხოლოდ, ვიცი, რომ კოჭია და წარმოდგენით ვათავსებ ამ ჯარასავით მბრუნავ სხეულში მას. თავს ვყოფ სარკმლიდან და უკან ვიხედები; შორს მანქანის სანათები ელვარებენ და მათი შუქით განათებულ გზაზე სიგრძით იჭიმება თეთრად მოქანავე ძაფი, როგორც სიმბოლური, იდუმალი კავშირი საკრალურ საწყისებთან, მიღმიურ სამყაროსთან; თეთრად აკრიალებული ძაფი, როგორც მისტიური ბილიკი ყოველგვარი არაამქვეყნიური ყოფისაკენ. მანქანამ მოსახვევში შეუხვია და შუქი გაქრა, მოკრიალე ძაფის ბილიკი წყვდიადმა შთანთქა. ნუთუ ამ ძაფს მოჰყვება სული? ნუთუ ასეთი უსუსური რამაა, ასეთი უმწეო — ჯერ მთელი ცხოვრება, ადამიანის მთელი არსებობის მანძილზე მის სხეულშია მოქცეული საპყრად, მის ნებას დამორჩილებული, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობისთვის მაინც, და მისგან განთავისუფლების შემდეგაც ამ უსუსურ ძაფს საჭიროებს ბილიკად?! ნუთუ თვითონვე არ შეუძლია საკუთარი ნებით იაროს, იქროლოს, ინავარდოს? ნუთუ სხვის მიერ შერჩეულ, სხვისგან შეთავაზებულ გზებს მიჰყვება?! ნუთუ სულსაც სჭირდება ზრდა, როგორც იმათ ჰგონიათ, ზრდა სხეულისაგან გათავისუფლების შემდეგ, ორმოცი დღე?! ორმოცი დღე, ღმერთო, რა უაზრობაა ყოველივე... და მაინც საიდან გაჩნდა ეს ჩვევა, როდიდან წარმოდინდა ეს საკრალური გრძნობა?!

— ოდი, ფრთხილად, კარი არ გაიღოს! — მაფრთხილებს მთვარისა. ვშორდები სარკმელს. მხოლოდ ახლა ვგრძნობ, როგორ გამყინვია სახე. ისევ კოჭს ვაკვირდები; სწრაფად ბრუნავს, წისქვილის ქვასავით და ერთიან, კრიალა ზედაპირის შთაბეჭდილებას სტოვებს.

გუდუნას ჯერ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სიმღერა, რაღაც სევდა შეჰპარვია ამ თითისტოლა ბავშვსაც, თითქოს გრძნობს დღევანდელი ღამის იდუმალებას. რა დარწმუნებული და გულწრფელი სიმართლით მოუყვება ყველას ამლამინდელის შესახებ, ის ხომ ამ ღამის მითიური გმირია, სულის

გამომხმობი, სულისთვის მოგალობე, რათა დაატკბოს, მოხიბლოს თავისი საამო სიმღერებით, დაუამოს ახლობლებთან მიმავალი გზის მთელი სიმძიმე, აზრიანი გახადოს ამ „მოგზაურობის" არსი, რომელშიც ეჭვი არ ეპარება, მთელი მონდომებითა და გულმოდგინებით ჩაბმულა თავის საქმიანობაში, რომლის ღვთიურობა, ზებუნებრიობა, უფაქიზესი მისტიურობა, თავიდანვე შთააგონა ძალუა ბებიამ, ამ თითქოსდა პრეისტორიული ხანის ჩვენამდე მოღწეულმა ქურუმმა, სულთა და ყოველივე იმქვეყნიური იდუმალების მესაიდუმლემ, ყოველ შემთხვევისათვის ხალხის თვალში მაინც, იმათი ღრმა რწმენით.

— ხომ არ დაიღალე, ნანა? — მესმის ნაზიას ხმა.

— არა, ნაზია მამიდა. — ვეუბნები და უაზროდ მეღიმება.

რაღაც იდუმალი, ბნელი წყვდიადიდან მოდიოდა შუქი, მეტ სინათლეს რომ ჰფენდა ნახატს, ჯერაც მოლბერტზე მყოფს, დაუმთავრებელს და ამ დაუმთავრებლობით უფრო სრულყოფილს, უფრო შთამაგონებელს ხელოვნების მარადიულობაზე, უმაღლეს ჭეშმარიტებაზე ჩამაფიქრებელს.

მოლბერტი შუა ოთახში იდგა. ოთახი ელნათურით იყო გაჩირაღდნებული. ნათია რამდენიმე ნაბიჯიდან ჩაფიქრებული შეჰყურებდა სურათს. ვარაზი კუთხეში მიმდგარიყო და ნათიას აკვირდებოდა.

ნახატზე მღვრიე, ატალღებული ზღვა იყო გამოსახული, რომელსაც საავდროდ გამზადებული შავი, ლეგა ღრუბლები მოსწოლოდნენ და უფრო პირქუშ იერს აძლევდნენ. ზღვის თითქმის შუაგულში ვეებერთელა სვეტი აღმართულიყო. სვეტი ოთხკუთხა, ჩუქურთმებიან კვარცხლბეკზე იდგა. სვეტის თავზე ასევე უცნაური ჩუქურთმები იყო. სვეტიც ოთხკუთხა იყო და ქვემოდან ზემოთ ოდნავ ვიწროვდებოდა, ღრმა ჭრილები მიუყვებოდა შვეულად. სვეტთან შორიახლო რამდენიმე ფრინველი ირეოდა, თოლიები ვგონებ. ახლოს მივედი; ფრინველებს სხეულის თითქმის არც ერთი ნაწილი არ მოუჩანდათ მკვეთრად, მაგრამ მთლიანობაში ისეთი სრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, წამსვე თვალწინ დამიდგა სოხუმის ზღვის სანაპირო, ათობით მოფარფატე თოლიებით აღსავსე.

სვეტი ისე ლამაზად იდგა ზღვაში, თითქოს მისი ბუნებრივი ნაწილი ყოფილიყოს, ვერც კი წარმოიდგენდით რომ ეს მობობოქრე ზღვა შეიძლებოდა არსებულიყო ამ სვეტის გარეშე. ხომ მღვრიე იყო ზღვა, მოქანავე, თეთრთავება ტალღები კი აქოჩრილიყვნენ ალაგ-ალაგ, სვეტი კი მაინც მტკიცედ იდგა, ისე მყარად, თითქოს მინაში ჰქონოდეს საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ მცირედით დასავლეთისაკენ გადახრილიყო, მაინც საოცრად მტკიცედ მდგარი, ზღვას თანშეზრდილი მოგეჩვენებოდათ, ლიბო ზღვის ფსკერზე ჰქონოდა თითქოს. შორს, ზღვის დასალიერიდან ოდნავი შუქი გამოსჭვივოდა, თუმცა, ის სრულებით კმაროდა იმისათვის, რომ მასში მზე შეგეცნო, ღრუბლებს მიფარებული, მათი შავი ბლანტი სხეულებიდან მალულად გამომკრთალი ნათელი სხივის არილით, სწორედ ეს შუქი იყო რომ საოცრად, გასაოცრად ანათებდა მუქ პირქუშ სურათს.

სწორედ მაშინ, იმ ნახატის ნახვისას შევშინდი პირველად, შემეშინდა ხატვის, ხატვის საერთოდ და ვარაზისიც.

ნათიას გავხედე, ცალ თვალზე ხელისგული აეფარებინა და ისე უყურებდა ნახატს. მე ისევ სურათს შევხედე და გამიკვირდა, კი მაგრამ, მეტი რა უნდა მოამთავროს-მეთქი?!

ახლა ჩემს ახლოსაა სული, ალბათ, მხედავს და მიყურებს, შეიძლება ირონიულად. თუმცა არა, თუ ჩემს ახლოსაა, გამოდის, ყოველივე ჭეშმარიტია და მაშინ ირონიულად არ შემხედავს. მაგრამ თუ უაზრობაა ყოველი, როგორც მე ვფიქრობ, მაშინ?! მაშინ... მაშინ ხომ ისედაც არა აქვს აზრი? მაინც რატომ არ ვუშვებ შესაძლებლობას, რომ ეს ყოველივე მართალი იყოს! მაგრამ, მაშინ ხომ უნდა წარმოვიდგინო სული, რომელიც ამ ციცქნა ძაფზეა გამოკიდული... როგორ მიუყვება სული ძაფს? ან ეს მამალი რაღაა? თავი ამოუყვია პარკიდან და ცის დასალიერს გაჰყურებს გარინდებული. ნეტავ ამ წესს რომ აღვასრულებთ, მერე სად წავა? ვინც იცის, ის ხელს აღარ წააკარებს, მაგრამ ვინაც არ იცის? დასახლებაში უპატრონოდ გაშვებულს, თავისუფლად მობორიალეს, დიდხანს ვინ აპარპაშებს? ნეტავ კიდევ რა დანიშნულება ეკისრა მაშინ, ამ უცნაური ადათის გაფურჩქვნისას? შევყურებ მამალს, არც ის მაშორებს თვალს. ახლა პარკში რომ არ იყოს მომწყვდეული, ფრთებს ააბათქუნებდა და სივრცისაკენ გაუტევდა.

— ხომ?! — მეკითხება გუდუნა და ახლაღა ვფხიზლდები, რამდენი ხანია მიყვება რაღაცას.

— ხო, — ვეთანხმები ჩუმად და შევყურებ, რაღაც გაბრწყინებული თვალები აქვს, მთელი ენთუზიაზმით ჰყვება.

— მახუტელას საერთოდ არ უჩვენებია თითები, არც შეშინებია, ისე გაყოლია. ტყაშმაფას არაფერი სცმია, მაგრამ ისე გრძელი და შავი თმა ჰქონია, ტანსაცმელივით უფარავდა თურმე სხეულს. შუაღამემდე უვლიათ

და ტაბაკონას მთაზე ასულან. ისეთი ლამაზი ყოფილა ტყაშმაფა...

რალა ტაბაკონასთან დააკავშირეს ჯადოქართა მითიური სადგომი? ნაკლებმისანვდომი იყო ხალხისთვის და ამად დაედო ტაბუ? შემდეგ კი, აბა, ვინ დაარღვევდა ვაშინერს?არადა, მაინც ტყაშმაფასაკენ რომაა ხალხის განწყობა? არა, უთუოდ ქალღმერთი იყო ის ოდესღაც, მაგრამ მიივიწყეს, ეტყობა.

— ... დაქადნებია მზია მახუტელას: ვიცი, რატომაც დადიხარ ასე ხშირად სანადიროდ და აღარ გირჩება გული ოჯახშიო, ბავშვი მაინც შეიცოდე, თორემ განანებ იცოდეო. არ მოუშლია მახუტელას...

ქართულში მაინც ჩაძირკვულია ტრადიციაში: მიტოვება — წარმოუდგენელია, მთელი მოდგმის ფსიქიკისათვის გაუგებარია; მიტოვება, დატოვება ღალატად იშიფრება... იქნებ გვაკლია თავისუფალი სულის შეგრძნება, იქნებ მხოლოდ ეგოისტურად შეგვიძლია სიყვარული და ერთგულება?! ბერძნებმა კი სიყვარულთან მაინცდამაინც ფსიქე დააკავშირეს, ნაზი, პეპლისფრთება გოგონა... ეტყობა სწორიცაა: უმეტესად ეს გრძნობა აშიშვლებს, ალბათ, სულს ძირისძირობამდე, სწორედ სიყვარულს შეუძლია სამუდამო დაღი დაამჩნიოს ფსიქეს; ღალატი, მიტოვება — აი, უდიდესი მტერი ფსიქესი! საოცარია, იმანაც რომ მიატოვა? ყოვლადწმინდა გაანირვინა და დაათმობინა სიყვარულისათვის და მაინც მიატოვა! თუმცა არც ის დაიბნა, შური იძია, მაინც არ შეიმჩნია: ის ხომ ამაყი ქართველი იყო! თანაც ქალი! მაგრამ იქ უფრო უბრალოდაა: მოსწყინდა, გული აუცრუვდა და სხვა მოუნდა, ახალი მოუნდა, ტახტი მოუნდა. ეს კი?! როგორ ნაღვლობდა... ჩაუწვდომელია... თუკი ასე გაუჭირდებოდა, რაღას სტოვებდა? ღმერთის ნება იყო, ღმერთს დაუთმო, თუ ღმერთმა დაათმობინა?! ვითომ? რაღად შეეპუა თუნდაც ღმერთს? წარმოუდგენელია! უბრალოდ, ეტყობა, არ ელოდა, რომ ასე გაუჭირდებოდა უიმისოდ, ამიტომაც მიაგდო უკაცრიელ ალაგას, ზედმეტი ტვირთი მოიშორა თავისი ჭკუით, ადამიანებმა კი გაამართლეს, უფრო სწორად, გასამართლებელი რაღაცეები მოუძებნეს, ყველაფერი ბედს მიაწერეს, განგებას, ღმერთთა ნებას! იქნება გმირებს იმათი მიტოვების გასამართლებლად ისიც მიუსართეს, რომ ქალებმა, ერთმაც და მეორემაც, საკუთარი ძმები გასწირეს, მართალია, პირველმა უმანკო, მეორემ კი ნახევრადურჩხული, ცოდვის შვილი, მაგრამ მაინც ხომ ძმა! თუმცა არა, აქ, ეტყობა, უფრო მარაგით ზრახვაა, — მან გმირის ბოროტების სიმბოლო, სადღაც საოცარი ხელოვანის მიერ საზარლად გაბლანდულ ლაბირინთებში დამკვიდრებული ურჩხული დაამარცხებინა, ამადაც დაასაჩუქრა შემდეგ [illegible]ლიბერმა, თუმცა სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მაინც ცაში, ზესკნელს მიუჩინა ბინა სამარადისოდ. ნეტავ იმ ხალხს საერთოდ არ სწამდა სიყვარულში ერთგულებისა? დავიჯერო, ასე თავისუფალნი იყვნენ? თავისუფლები კი არა, რაღაცნაირად ცივები არიან... იქნებ უბრალოდ, ერთგულების ასე გაგებაა სასაცილო?! ნეტა თავისუფლება, უკომპლექსობა კულტურის დონეზე მეტყველებს?! მაშინ ხომ პირველყოფილი ველურები ყოფილან უდიდესი კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელნი?..

— ... ოჩოკოჩი, საოცრად ბანჯგვლიანი თმა ჰქონია მთელ სხეულზე, ღამესავით შავი ყოფილა. მკერდზე დიდი ძვლის ნაჯახი ჰქონია ამოზრდილი. არ მოხვიდე აქ მახუტელა მეორეჯერო, უთქვამს ოჩოკოჩს. ამას, თურმე, იმიტომ ეუბნებოდა, რომ, თუკი მახუტელა დაეთანხმებოდა, მაშინ მას ტყაშმაფა თვითონ მოუღებდა ბოლოს.

რა გულწრფელად მიყვება. ეშინია ღამის და უნდა საუბრით გაერთოს. ეტყობა, ღრმად ჩაეჭრა გულში ძალუას მონათხრობი. ჩემზედაც რომ მაგიურად მოქმედებს?!

გავყურებ გზის გაყოლებაზე მთვარის მოკრიალე ალასაგან აქათქათებულ ძაფს. შორეთში იკარგება. ასე წვრილია და როგორ მოსჩანს? არა, მანქანის სანათები როცა მოაშუქებს, მაშინღა იელვებს ცხადად. შორს, შორეთში უჩინარდება და დასაბამიც არ ცნაურდება თითქოსდა მისი, იდუმალების უკუნში ჩანთქმული ისევე უკვალოდ, როგორც თვით ამ გონმიუწვდომი წესის თუ ჩვევის მითაჟამინდელი ფესვები, — საუკუნეთა გადასახედში, წარმართობისდროინდელ მითოსშიც იქნებ. საოცარია: როგორ შეინარჩუნა დღესაქამომდე თავისი ცხოველმყოფელობა, როგორ სწამთ დღესაც, თუ არა სწამთ, რაღაც უცნაურ ჟრჟოლასა თუ თრთოლას ხომ გრძნობენ მაინც მისი შეხსენებისას?! თუმცა, ეტყობა, ესენი სწორედ ის ურვილი კითხვებია, რომლებზეც ჭკვიანი გონნაწრთობი დუმილით გიპასუხებს, ალბათ.

— მშვიდად სძინებიათ ჩახუტებულებს. განრისხებულა მზია, იქვე გავაცხებინებ ორივეს სულსო, უფიქრია, მაგრამ დროულად მოუთოკავს თავი. გახსენებია, რომ ტყაშმაფას ვერარა სულიერი ვერ მოერეოდა და ისევ ხერხი უხმარია: მხრების გასწვრივ მოუჭრია მშვენიერი თმა ტყაშმაფასთვის და სასწრაფოდ გამოქცეულა უკან...

თვალი გაუყოლებია უწმინდურ დათვისთვის, რომელიც ლამის აფრენილა მწვერვალზე და სწორედ ამ დროს ჩამოქცეულა კლდის ქიმი. თოფი გავარდნია ხელიდან

მახუტელას და ცალი ხელით დაკიდულა კლდის შვერილზე. ისევ დაბრუნებულა უწმინდური დათვი და უცებ უცვლია სახე: ოჩოკოჩი წამოჭიმულა, საოცრად ბანჯგვლიანი და მკერდზე ნაჯახგამოჩრილი; ხომ გითხარი, მახუტელა, მოშორდი ტყაშმაფას-მეთქი, უთქვამს და საოცარი ხარხარი აუტეხია. შემდეგ დაუკრავს კლდისთვის ფეხი და ის შვერილიც ჩამოშლილა, უბედური მახუტელა რომ იყო ჩამოკიდებული. იმ საღამოს დიდიჭყონშიც ისმოდა თურმე ტაბაკონას თავზე რომ მოსთქვამდნენ ტყაშმაფები, ასე თქვა ძალუა ბებიამ.

სისულელეა, თითქოს, ვსხედვართ ამ დროჟამისაგან განძარცვულ, გატიალებულ მანქანაში და მითაყამინდელ წეს-ჩვეულებას ვასრულებთ. იქნებ დრომ მასაც შემოაძარცვა ყოველივე, რასაც მაშინ, ჩემი წინაპრები ჩალით დახურულ წნულებში თუ ტაფა ქვებისაგან ახორხლილ სახლებში რომ ცხოვრობდნენ და შუაცეცხლის კვამლისაგან ცრემლგამომშრალი თვალებით ბუნების იდუმალებას მიშტერებოდნენ, – მართლაც ჰქონდა მნიშვნელობა? მაგრამ, ნუთუ, სულ არაფერი შეცვლილა ადამიანის სულში ამ ხნის მანძილზე? ახლაც რომ სჯერათ? და ბოლოსდაბოლოს რომ ვორჭოფობთ, ეს უკვე თითქმის დაჯერება არაა? იქნებ არავითარი მნიშვნელობა არა აქვს დროს? იქნება ოცი საუკუნის შემდეგაც ისევე შეაკრთობთ ჩვენს ნაგრამთ ყოველი გამოძახილი წინაპართა ჩვევისა? მაშ, დროს ჩამოცილებულია? ზედროულია? მაშინ ხომ...

– გუდუნა, ახლა ისევ იმღერე, ვუახლოვდებით უკვე, – ეუბნება მთვარისა. გუდუნა ჩონგურს იღებს ხელში და უკრავს. ჯერ არ მღერის და მეც გულში ვუწყობ: ნა ნი-ნო-ნო ნა, ნა ნო-ნო-ნო ნა-ააა... ესეც, ესეც მითაყამინდელია, იქნება სულაც ერთად წარმოიშვნენ! სული ხომ მუდამ სიყვარულთანაა გადახლართული, თითქმის ხომ ერთია! ნეტა, რომელია უფრო იდუმალი?!. თუმცა, სიყვარული რა, ნაკლებ იდუმალი?! ეტყობა, სიყვარულის ხორცშესხმა იშვიათად, მაგრამ მაინც რომ ხდება, ამადაცაა თვალშესახები ზოგჯერ, ამადაცაა სული უფრო იდუმალი. თუმცა სხეული განა სულის ხორცშესხმა არაა?! არა, რა თქმა უნდა არა, წარმოუდგენლად სხვანაირადაა ეტყობა! იქნება არც სიყვარულის თვალით ხილვა იყოს შესაძლებელი? იქნება ხორცშესხმული სიყვარული, ხორცშესხმული სულივით არც კი იყოს სიყვარული?

მანქანა საბოლოოდ უქცევს მხარს ზღვის უსასრულობას და მარჯვნივ უხვევს, მწვანე ტევრში ეხვევა, რასაც, რა თქმა უნდა, ველარ ვხედავ ღამის სიბნელეში. მანქანის სანათები კი რაღაც იდუმალ, ჯერაც აღმოუჩენელ ფერს ანიჭებენ გარემოს – მუქ, ჩაბნელებულ სიმწვანეს. არა, სიმწვანეს, ეტყობა, ჩემი წარმოსახვა უმატებს, მახსოვრობის წყალობით. ისევ ძაფს გავყურებ: შეუფერხებლად იშლება. მანქანა საბოლოოდ სძლევს უკანასკნელ აღმართს და სანატორიუმის შვიდსართულიან სახლის წინ ჩერდება. ახლა უფრო ვგრძნობ ღამის სუსხს. გამჭვირვალე, გამთოშავი ეთერი მეკვრის გარს მანქანიდან ჩამოსვლისას. თავს ზემოთ, ათასობით ციურთა კრიალით გაბრწყინებულ ცის თაღს გავყურებ და ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, თითქოს მარტოდმარტო ვიდგე დედამიწის გადაშლილ დისკოზე, სასწაულად გადმომხობილ ცარგვალის ამარა, სული კი – უჩინარი სიმბოლო ქვეყანაზე ადამიანის ეულობისა, – თითქოს უხილავი სიოა, მდუმარედ რომ მელამუნება სახეზე, უფრო კი იდუმალად – სულისკნელში.

– ახლა ფრთხილად აგვყევი, ნანა, ზემოთ, კართან შეჩერდი, ჯერ მამალი უნდა შევუშვათ, – მიხსნის ნაზია.

მთვარისას მოკრძალებით ამოჰყავს მამალი ჩანთიდან. მამალი არც კი ცდილობს შეფართხალებას, გაყუჩებული აბრიალებს თვალებს და გაკვირვებული იყურება, ეტყობა, ღამის სიბნელე მოქმედებს მასზე.

ეტყობა, სცოდნია აყოლიება, რომ არ მოელი ისე, სრულიად მოულოდნელად, ჯერაც დამოუკიდებელი რომ გგონია თავი, უკვე გახვეული ხარ სულეთის მისტიკაში. ნარკოზივითაა, – გგონია, ჯერ არ მომერევა, ჯერ არ ჩამეძინებაო და გძინავს უკვე, გათიშული ხარ, უცნაურად დაჰიპნოზებული. ვგრძნობ, თითქოს არც კი მემორჩილებიან თითები, ძლივს ვატრიალებ ძაფის კოჭს და არეულად, ბორძიკ-ბორძიკით მივუყვები კიბის საფეხურებს. არა, შეუძლებელია ყველაფერი უაზრობა იყოს! დაბოლოს ჯანდაბას ყველაფერი; ეს ღამე ხომ რეალობაა?! მაშ, მთვარიდან ჩამოფრენილმა ხომ არ გააბა ძაფი საავადმყოფოდან აქამდე?! ეს ხომ მე ვიყავი? მაშინ რას ვჯიჯგნი ჩემს სულისკნელს იმის გამოსაკვლევად, მწამს თუ არა მწამს, მჯერა თუ არ მჯერა, უაზრობაა თუ ჭეშმარიტებაა?! რატომ არ მინდა შევეგუო, რომ ეს ყველაფერი მხოლოდდამხოლოდ ისაა, რაც არის, მორჩა და დამთავრდა! ეტყობა, მალე ოჯახურ წრეში რომ ვიქნები, ის მალიზიანებს. საოცარია! საკმარისია მათთან სიახლოვე ვიგრძნო და ყოველგვარ გულწრფელობას ისე გავურბივარ, როგორც მოკვეთილი – სოფელს! იქნებ ნათიამ იქონია გავლენა? ისიც ხომ ასევე გაურბოდა მათ ბოლოს, როგორც კი თავისი მეობა დაუბრუნდებოდა, გაურბოდა, სანამ წამლების გავლენის ქვეშ იყო, ასე თუ

ისე ახერხებდა მათთან ურთიერთობას. მერე კი, მერე... ღმერთო, როგორ მარტო იყო!

— ცოტა ნელა, ოდი! — მეძახის მთვარისა.

ნაბიჯებს ვანელებ. ნუთუ შესაძლებელია სრული მარტოობა? რატომ მაქვს შეგრძნება, რომ ყველამ დავაგდეთ, და გამოვესწრაფეთ?! ხომ არ დაგვლალა? ან იქნებ ჩვენც მარტონი აღმოვჩნდით მაშინ? მაშ რატომ, რატომ ვიგრძენი შური, რატომ შემშურდა მისი, ბოლოს?!

ვგრძნობ, როგორი თვითკმაყოფილება მეუფლება, თითქოს სფინქსის გამოცანა ამომეცნოს — გრძნობა საკუთარი ღირსებისა. ფრთხილად ვშლი ძაფს და ნელა მივუყვები საფეხურებს ზემოთა სართულებისაკენ: კოჭი ტაატით ტრიალებს. უკან მთვარისა მომყვება ანთებული სანთელით ხელში, შემდეგ კი გუდუნა მოდის სიმღერით. მესამე სართულის ბაქანზე ვისვენებ, კიბის საფეხურებზე უშნოდ გაბლანდულ ძაფს ვასწორებ და ისევ ვაგრძელებ გზას. ასეთი მაღალი არასოდეს მომჩვენებია, რაღა ახლა გახდა უსასრულო? ნეტა მასაც უჭირს? არა, სული მსუბუქია და დაუღალავი. უკვე ისე ვმსჯელობ, თითქოს მართლა სული მომყავდეს. იქნებ უბრალოდ შევეჩვიე აზრს? როგორი კმაყოფილი სახე გაუხდება მამაჩემს... იქნებ განზრახ არ გაშალა თეთრი აფრები? იქნებ ქვეცნობიერში ჩალექილმა ბოღმამ იფეთქა? თუკი მას დაავიწყდა, რაღა ყველას ამოუვარდა მეხსიერებიდან? გამარჯვებულებს რაღამ დაავიწყათ. ანკი რა გახსენება ამას უნდოდა: არავის არ შეეჩხირა თვალებში იმხელა შავად მოელვარე იალქნები?! ეტყობა, უნია!.. ზღვაშივე ჩაიხრჩო თვითონაც! იქნებ მართლაც დაავიწყდა დაკარგულ თუ მიტოვებულ სულისწორზე მონანიეს?.. მაგრამ განა ისიც თვითონვე არ გასწირა ლაჩრულად? თუნდაც ღმერთს, რაღაისთვის უთმობდა?! ხოლო შემდგომი მწუხარება — საკუთარი უსუსურობისა და უნიათობის ტრიუმფი მხოლოდ... და თუნდაც არ გაეცნობიერებინა, თუნდაც მართლაც დავიწყნოდა: შედეგით მაინც მკვლელი არ გახდა? მის სიკვდილში წილდებული მაინც?! მეშვიდე სართულზე ამოვსულვარ უკვე. დერეფანი განათებულია. მეზობლები გამოფენილან და სანთლები უკავიათ. შინაურები ნათიას ნიშანთან იქნებიან, ალბათ, ოთახში.

დერეფანში მივაბიჯებ და ძაფს ნელა ვშლი კოჭიდან. გუდუნა მთელი მონდომებით უკრავს ჩონგურზე, ეტყობა ექსტაზშია. ღია კარში შევდივარ. ნაზია მაჩერებს.

— ჯერ მამალი უნდა შევიდეს, ნანა, — მამალს მთელის რუდუნებით უშვებენ ოთახში.

— მოდი, ნათია, მოდი, შვილო... შენს ოთახში შემოდი, შენს საწოლზე დაიძინე, შვილო, — მესმის დედაჩემის მავედრებელი ხმა... რაღაც ყალბად მეჩვენება. არ მჯერა — მას სწამდეს ყოველივე ამისა, — შემოდი, შენჭირიმე, ნუ გაგვინაწყენდები, ნათია, მშვიდად მოთავსდი შენს ადგილზე, შემოგევლე, მოდი, ნათია, გენაცვალე...

ძაფის კოჭს ნათიას ლოგინზე ვდებ და უკან ვიხევ. ნაზია სანთელს ანთებს. მამიდა და კიდევ რამდენიმე მეზობელი ოთახში არიან, სხვები ღია კარიდან იხედებიან, ყველანი მამალს მისჩერებიან, თითქოსდა სასწაულს ელიან რასმე. განთავისუფლდა სული... წარმოდგენა დაიმშვიდეს იმისი აღქმით, რომ ნიშანთან ეყოლებათ საავადმყოფოს ბნელი ტალანებიდან გამოხსნილი. მთავარია, სხვისი გავლენიდან გამოვიხსნათ, და ჩვენ თუ დავამწყვდევთ, ამას გათავისუფლებას ვეძახით... მაინც რა საოცრად იჭიმებოდა გზაზე?! თითქოს ცეკვავდა. წარმომიდგენია მასზე სული რომ ყოფილიყო მოსიარული, გამალებით... მაინც როგორ დაუთმო?! ნუთუ ერთხელაც არ შეეწინააღმდეგა? იქნებ მართლაც ღმერთმა მოუკლა?! მერე რას არ დათმობდა... თუ მოსწყინდა ლა ულმობლად მიაგდო ნაპირს? შემდეგ კი ღმერთის ნებით სცადეს გმირის გამართლება. ხალხს ხომ უყვარს ყველაფრის ღმერთის ნებით, ღმერთის სურვილით ახსნა... გმირს რომ მარტოდმარტო არ შეატოვებდნენ ლაჩრულ ქცევას? შემდეგ რაღას სწუხდა? თუ ეს წუხილი იყო საჭირო, უარესი ცოდვა რომ შეემსუბუქებინათ გმირისთვის? რომ არა ეს „წუხილი", ხომ არ დაავიწყდებოდა, მაშინ ხომ არ მოკვდებოდა?! ნუთუ მხოლოდ მიზანსცენა იყო ის „წუხილი"?! რა გაფართოებული თვალებით მისჩერებიან: გამოთაყვანებული ხალხი, ელოდებიან, ხომ არ ალაპარაკდება მამალიო! თუმცა რას ვერჩი, ეტყობა, ის მაღიზიანებს, ცოტათი მეც რომ გამხვია თავის მისტიურობაში. გამოვდივარ ოთახიდან და ბორანას ვეძებ, მეზობლები გზას მითმობენ.

უხმოდ მივაბიჯებდი. სამგლოვიარო პროცესია კარგა შორს იყო გაჭიმული. დროდადრო გაისმოდა მოთქმა, ხმა ჩაწყვეტოდათ უკვე. შორიდან გამოჩნდა სასაფლაო, ბორცვზე იყო გაშენებული. მაღალი, ვარჯოვანი ხეები შრიალებდნენ ნაზად. დიდი ხნის წინათ იყვნენ, ალბათ, დარგულნი, ადამიანთა იმქვეყნიური საცხოვრისი ალაგი აქ თუ იქნებოდა, არავის აზრადაც არ მოუვიდოდა, ალბათ, მაშინ, ამ მშვენიერ ბაღს რომ გეგმავდნენ. სხვათა შორის, პატარა იყო სასაფლაო: ბორცვის თავზე, შედარებით მორზენებულ ადგილზე თორმეტიოდე სამარე თუ იქნებოდა. მეტი აღარც დაეტეოდა და მამაჩემმაც ბორცვის ფერდობზე ჩააჭრევინა და მოასწორებინა მიწა. ბიჭები ორი დღე მოუნდნენ მიწის გას-

წორებას, ხოლო შემდეგ სამუდამო ბინის ამოთხრას. თუმცა მამაჩემი დარწმუნებული იყო, რომ „სამუდამო" ბინა არ იქნებოდა ეს ნათიასათვის, აკი ასე თქვა გამოსამშვიდობებელ სიტყვაში: როგორც კი დავიბრუნებთ მშობლიურ კუთხეს, შენს ნეშტს გავიმძღვანებთ წინ და ისე წავალთო, მერედა რა, რომ მე გამაღიზიანა ასეთმა თავდაჯერებულობამ და უადგილო გულგაუტეხლობამ? მერედა რა, რომ ვიღაც უცნობმა, ჩემ უკან — „მკვდრებს კი არა, ცოცხლებს გელირსებოდეთ იქ დაბრუნებაო", ჩაილაპარაკა? — ეს სულაც არ ცვლიდა არაფერს. ეს ბინა ნათიასათვის მაინც „დროებითად" იქნა აღიარებული ყველას მიერ. საოცარია: ადამიანებს როგორ გვამშვიდებს სიტყვა „დროებითი", თუკი ის რამე ცუდთანაა დაკავშირებული, და საზიზღრად გვძულს სიტყვა „მარადიული" ამ დროს. ამიტომ, ეს სასაფლაო „მარადიული" რომ არ იყო ნათიასათვის, საოცრად ამშვიდებდათ. ისე თუკი არაფერი აღარაა მარადიული, იქნებ არც სიკვდილი იყოს გამონაკლისი.

გამოჩნდა ფერდობზე გამორღვეული მიწა, პირდაფჩენილი ორმო და მის გვერდით ორმოდან ამოღებული მიწის ზედახორა, რომელიც ოდნავ გაესწორებინათ და ბორცვის სახე მიეცათ. ორმოს საშინლად დაელო ხახა. „საოცარია, თითქოსდა ერთი ციდა თხრილია, სინამდვილეში რაოდენი სიღრმე აქვს, რამოდენა სამყაროსთან აკავშირებს... ჩვენს სინამდვილეზე რამდენჯერმე უფრო დიდთან, უზარმაზართან... ღმერთო ჩემო, ნუთუ აქ ჩაწოლაღაა საკმარისი ადამიანთაგან ჯერაც აუხსნელი და მიუღწეველი, მისტერიული სიბრძნისა და არსის საზიარებლად?!

კუბო, წესისამებრ, სამჯერ შემოატარეს საფლავს და ბორცვზე დაასვენეს. უკანასკნელი გამოთხოვების შემდეგ, ფრთხილად დაახურეს თავსარქმელი, სამ ადგილას დაჭედეს ლურსმნით, ორი მესაფლავე სამარის ორმოში ჩავიდა, სამმა კი კუბო მიაწოდა ზემოდან.

ესეც ჩვევაა: მესაფლავენი აუცილებლად მოგვარენი, ან უკიდურეს შემთხვევაში, ოჯახის ძალიან ახლობელნი უნდა იყვნენ, თანაც, საკუთარი სურვილით წამოსულნი, აუცილებლად კენტნი — სამნი, ხუთნი, შვიდნი და ასე შემდეგ. შემვსებად, ეტყობა, მიცვალებული იგულისხმება. თუკი ლუწნი იქნებიან, ერთ-ერთი აუცილებლად გარდაიცვლებაო. ნეტა ვინმეს თუ დაებადა სურვილი, დაერღვია ეს ვაშინერსი, შემოწმების მიზნით? თუმცა, აბა, ვინ გაბედავდა ბედისწერასთან ასეთ შეთამაშებას! გასამართლებელ საბუთად თუნდაც ის ექნებოდა, სხვები არ შესწირვოდნენ მის ურწმუნობას, თანაც ერთს თუნდაც გაებედა — სხვები არ წაჰყვებოდნენ ასეთ მკრეხელობაზე. ჩემს სიყრმის მეგობარს დავუსვი ერთხელ ასეთი კითხვა. მან კარგა ხნის ფიქრის შემდეგ მითხრა: კი მაგრამ, ეს ხომ იგივეა, კაცმა თავი მოიკლას იმის გასაგებად, არის თუ არა მიღმიური სამყარო. მაშინ გამეღიმა, მაგრამ შედარებამ მაინც ჩამაფიქრა.

კუბო სამარეში ჩაუშვეს, თან ფეხები და სახელურები მოაძვრეს. შემდეგ ის ორი მესაფლავეც ამოვიდა. სამარიდან ამოსვლისას მათთვის ხელი არავის მიუშველებია — ვაშინერსო, სხვის დაუხმარებლად უნდა ამოვიდნენო.

ყველამ სათითაოდ მიაყარა სამ-სამი მუჭა მიწა. ესეც ჩვევაა. მეც ჩავყარე: ფხვიერად განიბნა ყავისფერი მიწა ყვითლად შეღებილ ფიცრებზე.

მესაფლავენი გულმოდგინედ მუშაობდნენ, სამარის ორმო თანდათანობით მიიწევდა ზემოთ, ქვესკნელს შთასასვლელი კარიბჭე იგმანებოდა თითქოს. საფლავი ამოივსო მიწით, გაუთანაბრდა დედამიწის ზედაპირს და შემდეგ მოგრძო ბორცვად აღიმართა სამარის თავზე.

ოთახში მთვარისა შემორბის.

— მამია! დედის სულს გაფიცებ, მამია, წამოდი! — საოცრად აღელვებულია, — წამოდი, როგორ იქცევა მამალი!

ცოტა ხანს გაჩერებულია, არ უნდა შეიმჩნიოს, რომ შეშფოთებულია და მთლიანადაა გახვეული ჩვეულების გულწრფელობაში. შემდეგ დგება და ნათიას ოთახისაკენ მიდის. ჩვენც მივდივართ.

ოთახში ქალები გასუსულები სხედან. დედაჩემი ხელისგულებში ლოყებჩასვენებული შეჰყურებს მამალს. მამალი ნათიას ნიშანგაფენილ ლოგინზეა წამოსკუპებული. ბიბილო წითლად ულაჟღაჟებს, ბუმბული აწეწვია, ფრთები ოდნავ გაუშლია და აქოჩრებულა, რაღაც საოცარი გაგულისებით შესცქერის ნათიას სურათს, თითქოს ისეთ რამეს ხედავს, რასაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ, შემდეგ თავს მაღლა სწევს და ზესკნელს აჩერდება, სარკმლის ჭრილში დატყვევებულს.

— ღმერთო, დაილოცოს შენი სახელი! — პირჯვარს იწერს ნაზია. მამაჩემი და ოთახში მყოფნიც იწერენ პირჯვარს.

კარს ვშორდები და დერეფანში გავდივარ. ვერ მივმხვდარვარ, რა გრძნობასა ვყავვარ ატანილი: თითქოს მაღიზიანებს რაღაც, რაღაც კი მამშვიდებს. ქვეცნობიერად გამივლის წამიერი სიამოვნება ამქვეყნიური საწუთროების დავიწყებისა, მედინის უგულვებელყოფისა, მყოფობის განქარვებისა და ასევე წამისად ამიტანს ეჭვები მარადიულობის უაზრობისა, თვალწინ ამესალტება ჟამის მჩქროლავი ჭრიალი, თან რომ

ნარიტაცებს ყოველს. საკუთარ სულისკნელში მობობოქრე სულის ხვაშიადში ვერგარკვეული დაბლა ვეშვები კიბის საფეხურებით და ეზოში ჩავდივარ.

გამჭვირვალე, თითქოსდა ხელშესახები ჰაერი მელამუნება. სხეულში მატანს რეცა ღამის მომნუსხველობა. როგორ ამბობს? – მარტოდენ ღამით ღვთაებრივი გვხიბლავს სიბნელე, – იქნებ ამადაც შემძრა ამ ადათმა? მაგრამ განა მარტო ღამით მოქმედებს ასერიგად? იცოდნენ ძველებმა, ეტყობა, უფრო იცოდნენ, ჩაღრმავება! უღრმავდებოდნენ პირველყოფილ სიველურეს და ახლოსაც მიდიოდნენ სამყაროსთან, გაგიხარიან, ხელშესახებადაც ახლოს! ჯერაც მეცხრამეტე საუკუნეში შეეძლოთ მთელის უშუალო ნაწილად ეგრძნოთ თავი! აკი თქვა –... გლახ, მოკვდავნი განგებას ციურს! ნუთუ მართლაცდა მხოლოდ იძურისი გვანკიდეგანებს სამყაროს?

სახეს ზესკნელისკენ ვიშვერ: მირიადი მცებარი მაჩერდება ერთად. შეუძლებელია, ამ ძალას გაუძლო და მეც ნეტარების მომგვრელი სითბო თუ სილბო მეღვრება სულში, ძელსკამზე პირაღმა ვწვები და უფრო მოხერხებულად ვუმზერ ცამყარს. საოცარია: ცამყარი! როგორ სჯეროდათ მითაყამში, რომ ცაში, შორს, ზესკნელში, მყარი არსებობდა, რომ ცაში ცხოვრება შესაძლებელი იყო. უკვე ვხვდები, რას გულისხმობდნენ ჩემი უჩვეულო წინაპრები „ცანი ცათანში“... უკვე აშკარად ვიცლები ყოველგვარ უსიამოვნო, დამაეჭვებელ თუ ხელშესახებ გრძნობებისაგან, საერთოდ აღარ ვგრძნობ სხეულს, ჩემს ქვემოთ თითქოს არაა მიწა, არც მყარი, თითქოს ყველაფერი ცად იქცა, სრულიად ვერნყმი ციურთა ციმციმს, გაწონასწორებული დავქრი გონმიუწვდომ სხეულთა შორის; მელნისფერ, მოკრიალე ზესკნელში ამაყად დარონინებენ ციურნი, რაღაც იდუმალი და ნაზი ღალიმებით დაციმციმებენ ჰაიდები, თვალს მიპაჭუნებენ უთვალავ ვარსკვლავთა შორის ცარგვალში მოფარფატენი. მინავლდება სული თითქოს, აღარსადაა მტანჯველი სიმძიმე. ცოტაც და აჩქარებით მიქროლებს გვერდით მენახირის თანავარსკვლავედი, დაბორიალობს მასუკან ციური ქალწული, სხივერადობს, იდუმალ დაეძებსო თითქოს ვილაცას. მეძებარ ძაღლთა ვარსკვლავთ ჯგუფიც მიქრის ძალუმად... მიმჩატდება სული, თითქოსდა სრულებით ვერნყმი კოსმოსს, მოუაზრებლად მიმოვქრი მნათობთა შორის, გაშმაგება მიპყრობს რაღაცნაირად გაწონასწორებულს და უცებ ცის ბინადრებში ვლანდავ ვარსკვლავთა კრებულს მუხლმოდრეკილ გველისმპყრობლისას, ვგრძნობ, რომ სადღაც ახლოსაა ნანატრი... წამისად ცის ელვარე ხვიარში იელვებს მუქმოციმციმე, ისაა... მთელი არსებით, სულის ნრთოლვამდე ვენთები მისკენ, მისი ნაკვალევის უეცარი გაელვებისაკენ... მომნუსხველად კრთებიან აცისკროვნებული ვარსკვლავნი ჩემს ირგვლივ, დავქრივარ აზვირთებულ, ანთებულ მცებართა შორის და, თითქოსდა მეც სამყაროს გიჟურ ქაოსს შერწყმული, სულისშეძვრამდე მონატრებულს დავეძებ...

საოცარი სუსხი მელამუნება სახეზე. ვიშმუშნები. ხელები დამბუჟებია, ვდგები სკამიდან, მნათობებით აკრიალებულ ზესკნელს ვაჩერდები მზერით და ვიზმორები; ცის ელვარება ჟრუანტელად მივლის სხეულში და უცებ ძლიერი სურვილი მებადება, საოცრად მინდება მისი სურათი ვნახო. ორიოდე ბიჯს ვდგამ და ჯერაც ვერგამორკვეული უხილავი ზმანებისაგან თუ გულისთქმებისაგან, სულისკნელში აღძრული გულისთქმებისაგან, ნაღვლიანად გავყურებ ზესკნელს. შემდეგ ნელი ნაბიჯებით მივდივარ შენობისაკენ, შესასვლელში შევდივარ და რაღაცნაირად შეცვლილი მივუყვები კიბის საფეხურებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გივი ბერაია

### სოფელში

დილიდან სამზადის წინ
ჯორკოზე ვზივარ
ენა მებმება გაოგნებულს, სიტყვა მებნევა:
    მზის ამოწვერვის ხატ-სასწაულს ვერ იმეორებს.
ალვის ხეები თეთრჩოხოსანთ ჰგვანან მეომრებს,
    რო გაუმქრქალდათ მთვარის ემბლემა...
გაეკიდება აწმყო ნამყოს და მომავალიც
    ქორის სიცქაფით ჩამოუვლის ორივეს — წრეში
დატრიალდება ქრონოსი ეშხით:
    მრავალში — ერთი, ერთში — მრავალი,
ზის აივანზე ჩვიდმეტი წლის ბებიაჩემი
    და ბზის სავარცხლით ურჩ თმებს აყუჩებს,
შემართავს ქარი მიყოლებით ვარდის ჩაქუჩებს,
    ჭას ზარავს შიში მარტო დარჩენის
და ციკლოპივით ზეცას ასცექრის,
    სწყდება ბელურა მსხლის ტოტს ისე, როგორც
                                        ქვა შურდულს
და თითქოს ჩემი წარმოსახვის სიცხადის შურდეს, —
    ჩრდილს წამოაფენს ოდა, დაცერილს.
მერევა მითი სიცხადეში: ნაირნაირი
    ყვავილ-ფოთლების ნაყშიანი შრიალებს ფარდა.
აგერა — იო, თეთრქათქათა, დგას ქართის კართან,
    აგერა — ცეცხლი, აგერ — წყალი, აგერ — ჰაერი:
სამი სტიქია — საფუძველი ჩვენი მყოფობის,
    ცახცახებს მიწა, გაუხსნია ზეცისთვის მკერდი
და იზმორება ადონისი, ალმდგარი მკვდრეთით,
    აგერ — გოგმანებს მზის სხივებით თმებში — ოფოფი.
და, გაოგნებულს, სიტყვა მებნევა:
    მნათის ჩაწურვის ხატ-სასწაულს ვერ იმეორებს.
ალვის ხეები შავჩოხოსანთ ჰგვანან მეომრებს,
    რო უქათქათებთ მთვარის ემბლემა.

●

რა უცნაური მაჟრჟოლებს ნატვრა:
— ნეტავ, ოთახში შემოვიდეს დედაჩემი,
მიმოიხედოს და ერთი წუთით
შეიგრძნოს ჩვენთან თანყოფნა სრული...

### კაპრიჩო

მივესალმები იმ კაცის იმედს,
რომელიც... ასე მალიზიანებს:
დაჯღარკულ თითებს შეახებს სიმებს
და აპამპულებს ფაქიზ იარებს

და ამით... მიჯნავს მიწისგან ზეცას.
გული, განმდგარი, ბალღივით მიცემს:
მზერა იოლად მიჰყვება მერცხალს
და ეხეთქება აწყვეტილ სივრცეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თავიდან...

რაც გამიხუთხავს აქამდე, ამ წყალს გავატან ახლა, —
ფონს რო გასცდება, აიწყვეტს, სხივების ლაგამს დახრავს,
შორს, ჰორიზონტის ზიგზაგზე, მზის გაანელებს ალმურს
და, ნარინჯისფერთ, დამიქნევს კიკნა ღრუბლების ალმებს.
მიიკლაკნება გამდნარი ვერცხლი — მივყვები ნაპირს,
ბადეს ამოსწევს მეთევზე, ოფლს იწმენდს ჭილის შლაპით
(თუ ნანობს? — ბადეს დაუსხლტა მთვარე: თამარის ქოში)
და, დაჭმუჭნილი სიფათით, უკან გამქაჩავს დროში:
ძველ სილამაზეს მაძალებს, მე კი უარვყოფ კრძალვით,
რადგან უცნაურ სიცინცხლეს ვგრძნობ —
დღეს ვიხუთხავ ჩავლილს...

## ბაგები. მთვარიანი ღამე

ერთხელ... სიკვდილთან პირისპირ დავრჩი,
მეწვია წიაღ სულის გვემათა,
შემომღიმოდა პაპიროსგაჩრილს,
ვგრძნობდით, ერთურთის არრა გვემართა:
ის მორჩილებდა თავის ბუნებას,
ყველასთან მუდამ ცამდე მართალი,
არც დაირცხვენდა, თუ გაბრუნებას
დააძალებდნენ ახლა. ფართქალით
მიაწყდა კიდეც უეცრად სარკმელს,
ვით მხილებული ღამის მსტოვარი.
გაიმეორა ანაზდად სარკემ
ლურჯი სიზმარი სავსე მთოვარის.

## გაქცევა

ყოფნა მარტივი: მწყემსის კარავი,
რომელსაც ველტვი და თავს ვაფარებ.
თხმელებს მიაფრენს ბინდის ფაფარი,
მამშვიდებს ლხინის ხმა შემპარავი.
ღვინო. ელარჯი. ფიჩხის ტკაცუნი:
თან უჩვეულო და თან ნაცნობი.
მძაფრი... ზეიმი კეთილკაცობის, —
მონატრებულის, გენში დაცულის!
და მუსაიფი სულ სხვა ენაზე;
ნაღდი — ტკივილიც და სიხარულიც.
ჯუმში მყვინთავი მთვარის მხარულით
აღტაცებული გული — ენამზე...

●

თავს რო უშველო? — განა გული გიზამს, ეულმა,
შენთვის, იხვივით, იყვინთაო ცისფერ შვებაში?
ქარმა ფოთლების დაგიხვავოს ოქრო — ფეშქაში! —
გულში ჩაგიკრას მზემ, სამოსელშემოხეულმა?!
რას აქნევ თუნდაც მეფის სკიპტრას,
ბრძენის მანტიას,
თულის სილაღეს, თუკი კერპის თაყვანად დგახარ
და თუ მოყვასიც თავს ვერ ართმევს სიხარბის ხახას,
თუ სიტყვაც — ღმერთად ღირსდებული — სიაბანდია!
თუ ჟამს, ამღვრეულს — წყალს ნაფოტი —

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაჰყვა ღირსება,
სულიდან გარეთ გამოსულა მზერა: მესავის
გეში ვერ სწვდება ლოცვის სიღრმეს —
ნათელს მზესავით,
სიყვარულის წილ — გული კაცის — ბოღმით ივსება.
ასე რო, გულღრჯო თუ იგუებს განმარტოებას,
ოდეს ბოროტით დაღდასმული ჰგიეს დროება!

## ტრივიალური დასკვნა

კაცი, რომელიც გაურბის ტკივილს,
ძმად არ მჭირდება, ის არც მტრად ვარგა, —
ვამბობ: ყოველდღე ვიღაცას ვკარგავ
და მერე, გულში, უჩუმრად ვტირი.

წავალ (ლარნაკში ჩავტოვებ წერილს:
ვარდების ხელში) გავანდობ ვარდებს,
რასაც გულდაგულ ვმალავდი ადრე:
ღმერთო, მიმრავლე მოყვარეც, მტერიც!

## საჩოთირო ალუზია

ფეხი დამადგეს, გულზე დამადგეს ფეხი,
ბოდიშიც არ მოუხდიათ
და მე გულწრფელად შევახსენო მინდა
უხიაგთ:
— ვეღარ შეგინდობთ! —
მე არც მეფე ვარ რადგან ბრწყინვალე,
თან — უწინარეს —
ამ სოფლად ულირსთ ქედს არ უხრიან:
სინდისს და ნამუსს — საყრდენთ სულისას! —
არ გასწირავენ...

## ურთის გზაზე

*დედის და ძმების ხსოვნას*

აქ შენი სული ტრიალებს, დედა,
და ყველაფერი უცხო ჩანს მაინც.
ინათა. მხარი იცვალა ქედმა.
ცაიშიც ხელში აიყვანს მაისს
და ბუნებრივად — სატრფო და მეტრფე —
გადავლენ ნათლში. ხოლო ის, ძველი,
ყოფა — ზედ, გულზე, კვლავ მადგამს ტერფებს
და ძმებს... ან რაღაც სასწაულს, ველი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

დილაბინდზე გავმზერ ტაძარს —
მიწის სულის ციურ ანძას,
მზეც ყოვნდება თითქოს წამით.
— ამინ! —
ხმობს ეს გული: ჩრდილთა ჩიტებს
ეფერება. მზე ამშვიდებს
და ისრუტავს უნეტარეს ამინდს.

და „იყოს“ რო დაუსხლტება
და „იქნებას“ მაცთურ ვნებას,
იმვრის „ახლაც“ იდუმალი ჩქამით.
და, მორჩილი, გავმზერ ტაძარს,
მიწის სულის ციურ ანძას:
მეუფლება უფლის ჟამი...
— ამინ!

## ალმართ-დალმართი

დილამ გიბიძგა: ცის ლაჟვარდებს აჰყევი — ვითომ
თავს გაეხიზნე, ორპირების მახეში გაბმულს.
ისიც საქმეა, თუ სხივების შეირგებ ამბორს,
კვლავ თუ შეიძლებს გაბრუებას გულის —
ზღვის ხვითო.
ზღვარს იქით — ფრთების რიალია, ჩიტი ხმობს,
ჩიტებს
განელტვის კიდეც, შეუცნობი განცდით ძლეული.
ზღვარს აქეთ — ქარაფს დაჰფარფატებს
შფოთი სხეულის
და ტკივილამდე გამძაფრებულ ცდუნებებს იტევს.
ვით სილამაზის მოყირჭებას — ახსნა არა აქვს,
ან თუ აქვს — ძნელად ჩასაწვდომი
და გასაგები:
არსი საგნების, იდეალის თარგზე ნაგების,
უნდა მიილო. და შეუვრდე — სხვა რა ჩარაა.
ჰოდა... მიგიხმობს ვილაც უკან (ვილაც
თუ რაღაც)
და მალე დალმართს დაუყვები — ჩქერივით
ლაღად...

## დარჩელელი თანატოლების ხსოვნას

თქვენით მდიდარი ის ჟამი მიყვარს,
რომელსაც უკვე წარსული ჰქვია:
იქ ჩვენი ყრმობის ქარები ჰქრიან,
გულთა სიფიცხე ფერფლად რომ მიჰყვა.

ხელი დაგვრია — ვზივარ მარტოკა —
ჟამმა სასტიკმა, ავად მყეფარმა
და თქვენზე დარდი გადაეფარა
მზით განათებულ იმ რომანტიკას.

●

დინტირიაშ ქიანა რე თე ქიანა*! — ანდაზას
დელგმის გადაუარა ტალღამ ასიათასმა
და სილაღე სურვილთა მართლაც შეკრა-გათასმა,
მაგრამ მაინც არ იქნება —
დიდი სიბრძნის ხანდაზმა!

* დაეტიეს ქვეყანაა ეს ქვეყანა (მეგრ.)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ზღვის მოქცევა

ფანჯრიდან ცხუმის გავცქერი სისხამს,
ზღვა ჩემკენ მორბის, დგება ყირაზე:
რო შეიწოვა სუნთქვამ და სისხლმა,
იმ წამთა ხსოვნის კერთვი მირაჟებს.
ოლეანდრები... ჰორტენზიები... —
თვალს და გულს ისევ ესალბუნება
სიტყვები, — ტრფობით კვნესის ზიარი
და ვნებიანი, ვით მზის ცთუნება.
— ჩემია, ჟამის რაც გაჰყვა ქარებს,
ჩემი — დე ფაქტოც და დე იურეც! —
ვამბობ: გამომაქვს გულიდან გარეთ
განცდა — მართალი და მშობლიური!

## აგვისტო თბილისში

წავალ, გავცდები ამ ყალბი ყოფის
წირთხლს: მობეზრებულ ტყუილს და მართალს.
შუადღის ზეცა ნაძვებზე ართავს
მზის გორგალს —
მართავს ჩრდილების ფოფინს.
გადვიწერ პირჯვარს: ჩავუვლი სიონს
და ნარიყალის გავყვები გზაწვრილს.
იგონებს ახალ და ახალ საწყისს
და არ ბეზრდება ფუსფუსი სიოს.
მე — ეჭვებს ვზლუდავ. და წამებს — ვწელავ:
მინდა დაბნეულ ჩემს თავს ვუყვირო,
რომ მიხარია — ეს გულუბრყვილო
ხალხი რაღაცას მიელტვის... წრფელად!

## ბუნიობა ღამის სიზმარი

უარვყოფ ყოფის ბანგს — ინერციას,
შენს ხურდასავით მოგდებულ ღიმილს.
და ვგრძნობ — აწ გულის გზა დამრეცია
თუმც...
ნაცარწაყრილ ღველფივით ღვივის
და ელოდება მარტის ქარებით
ფრთების გაშლას და ატკაცუნებას.
და თვალს ვუსწორებ სივრცეს ყარიბი,
რო ვერ იგუეს ამ კაცუნებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოჩა მანველიძე

# უბის წიგნაკი

## მოთხრობა

შემოდგომის წვიმიანი დილა იდგა. ქუჩაში სწრაფად მიმავალ მანქანაში ორნი ისხდნენ. ტაგანროგის ოქტომბრის რაიონის მილიციის უფროსი, ზურაბ ჭელიძე და მისი მძღოლი. ზურაბი ხმამაღლა, ჯანმრთელი სიცილით ისმენდა ენაწყლიანი მძღოლის მონათხრობს, როდესაც რადიოსადგური ამუშავდა.

– საპატრულო ჯგუფმა ვინაობის დადგენის მიზნით, ქუჩაში შემჩნეული საეჭვო გარეგნობის ახალგაზრდის შეჩერება სცადა. ახალგაზრდამ ლაბადის ქვეშ შენიღბული ავტომატიდან გაუხსნა ცეცხლი და პორტის მიმართულებით მიიმალა. სროლის შედეგად არავინ არ დაზარალებულა, დევნა ახლაც გრძელდება. მისი ნიშნები: ტანმაღალი, მოკლედ შეკრეჭილი თმებით, ტანთ რამდენიმე ზომით დიდი, ჩაფართხუნებული ლაბადა აცვია. შეიარაღებულია ავტომატით. – მშვიდი ხმით გადმოსცემდა მეკავშირე.

– პორტისკენ, – სწრაფად ესროლა ზურაბმა მძღოლს, ქამარზე მორგებული პისტოლეტი მოსინჯა და რადიოსადგურით აცნობა მეკავშირეს, რომ ინფორმაცია მიიღო და დევნაში ერთვებოდა.

მანქანა პორტის სიახლოვეს დატოვეს, თვითონ კი პისტოლეტმომარჯვებულებმა გააგრძელეს გზა. პორტის კედლის გაყოლებაზე გამავალი სარკინიგზო ლიანდაგის გასწვრივ მოძრაობას უწესრიგოდ გაფანტული, ჯართად ქცეული ლითონის კონსტრუქციები აძნელებდა. ასაკით ბევრად ახალგაზრდა მძღოლმა რამდენიმე მეტრით წინ გადაუსწრო. დევნილი მოულოდნელად გამოჩნდა. მძღოლმა პირველმა შეამჩნია ფორმადაკარგულ საზღვაო კონტეინერს გამოცილებული სილუეტი, მაგრამ დევნილმა დაასწრო და მომარჯვებული ავტომატიდან მოკლე ჯერი ისროლა. ზურაბის თვალწინ, მძღოლმა ფრინველის ფრთებივით აიქნია ხელები და უკან გადავარდა. ზურაბმა, მოულოდნელი თავდასხმით დაბნეულმა, ფეხი რაღაცას წამოჰკრა, წონასწორობის შენარჩუნება ვეღარ შესძლო და წაიქცა. წაქცევისას მუხლი ლითონის წამახულ დეტალს დაჰკრა, მწარე ტკივილისაგან თვალებში დაუბნელდა. მაინც შესძლო გონების მოკრება, მაგრამ უკვე გვიანი იყო. ავტომატშემართულ თავდამსხმელს მიზანში ჰყავდა ამოღებული. თვალებში ავად შემოანათა წვიმის წვეთებით დაცვარულმა შავმა ლულამ. თავზარდაცემულს წამის მეათედში, მეასედში თუ მეათასედში განვლილმა ცხოვრებამ ელვასავით გაურბინა გონებაში, – რა უაზროდ, – გაიფიქრა სასოწარკვეთილმა, – რა უაზროდ დამთავრდა ყველაფერი, ახლა სასხლეტს დააწვება და ყველაფერი დამთავრდება, როგორი უაზრო სიკვდილია.

... მაგრამ ახალგაზრდამ აღარ ისროლა, წამონთებული მზერა უკიდურესმა გაოცებამ შეცვალა, შემართული ავტომატი ძირს დაუშვა და შიშისაგან გაფართოებულ თვალებში ჩააკვდა. ეს სულ ორიოდე წამი გაგრძელდა, ზურაბმა ძალა მოიკრიბა, მარჯვენა შემართა და ისროლა. ტყვია მუცელში მოხვდა. ორად მოკეცილი მძიმედ დაეშვა სველ მიწაზე, ხელები ავტომატს შეუშვა და ჭრილობაზე მიიჭირა, მაგრამ ტკივილით და გაოცებით ალსავსე მზერა მაინც არ მოუშორებია მისი თვალებისთვის. განვლილი შიშით გაავებულმა ზურაბმა მისი სახე ამოიღო მიზანში. ახალგაზრდამ ხმამაღლა დაიყვირა, – მამა, – მაგრამ მას აღარ გაუგონია მისი ყვირილი, გონება მხოლოდ მის და მისგან მომდინარე საშიშროების მოსპობას ითხოვდა. ტყვია ყვრიმალში მოხვდა. მოშვებული სხეული უკან გადავარდა და სახით ძირს ჩაემხო.

ზურაბი ფეხზე წამოდგა. სროლისთვის გამზადებული პისტოლეტით ფრთხილად მიუახლოვდა, როდესაც კეფაზე გამჭოლი ჭრილობა შენიშნა და დარწმუნდა მკვდარიაო, ფეხით გადააბრუნა ზურგზე.

მის წინ თვრამეტ-ცხრამეტი წლის ახალგაზრდა იწვა. გაოცდა, მხოლოდ ახლა მიხვდა, რომ რამდენიმე წუთის წინ ეს არ შეუმჩნევია. ყვრიმალზე გაჩენილი ნატყვიარიდან უხვად გადმოდენილი სისხლი სახის ნახევარს ფარავდა და ღიად დარჩენილი თვალის უპეში გუბდებოდა, ტალახით მოსვრილ სახის მეორე ნახევრიდან კი კვლავ გაოცებით უმზერდა გაყინული თვალი.

ზურაბმა თვალი აარიდა გაფითრებულ, სისხლში და ტალახში ამოსვრილ სახეს, სველი მიწიდან ავტომატი აიღო, მიცვალებულს ზურგი შეაქცია და მძღოლს მიაშურა.

მისდა სასიხარულოდ ის ცოცხალი და სრულიად უვნებელი აღმოჩნდა.

— ვერ გამიგია რა მოხდა, — შეშინებულმა მოისრისა მკერდი, — დავინახე როგორ გამოსცდა კონტეინერს, შემდეგ ისროლა, მკერდში დარტყმა ვიგრძენი, მიწა თავისთავად გამომეცალა ფეხქვეშ, მაგრამ არაფერი არ მომსვლია, ჭრილობა კი არა განაჭერიც არ მაქვს, მაგრამ როგორ, ტყვია თუ არა, მაშინ რა მომხვდა? — გახედა ზურაბს.

ზურაბმა ჩაფიქრებული მზერა ბეტონის კედელს ესროლა. კედელზე აშკარად ჩანდა რამდენიმე ნატყვიარი.

— კედლიდან ამომტვრეული ნამსხვრევები მოგხვდა, — დაამშვიდა მძღოლი.

— ალბათ ასეც იქნებოდა, ტყვიას ვერანაირად ვერ გადავურჩებოდი.

— ასეთ მანძილზე როგორ აგაცილა? — ჩაილაპარაკა ზურაბმა პაუზის შემდეგ.

— შეშინებული იყო, ხელები უკანკალებდა.

— არ ვიტყოდი ამას, — არ დაეთანხმა ზურაბი, — თავს როგორ გრძნობ?

— კარგად.

— მაშინ აქ დარჩი, გვამს უპატრონოდ ვერ მივატოვებთ, მუხლი მაწუხებს, მანქანაში დავბრუნდები, თანაც ოპერატიულ ჯგუფს შევატყობინებ, — თქვა ზურაბმა და კოჭლობით გაუყვა ლიანდაგს.

რამდენიმე ნაბიჯის გავლის შემდეგ შეჩერდა. უკან მოიხედა. ხელებგადაყრილი სხეულის ქვეშ დამდგარი სისხლი წვიმის წვეთებში ერეოდა, ცივდებოდა, ბაცდებოდა და განწყალებული წვრილ ნაკადებად იშლებოდა ატალახებულ მიწაზე. აუხსნელი შიშის გრძნობა დაეუფლა, შებრუნდა და რამდენადაც ნატკენი მუხლი ამის საშუალებას აძლევდა, სწრაფად გაეცალა იქაურობას.

●

— მართლაც გივაჟკაცია ზურაბ, ეს ხვადაგი გაძლიერებული რეჟიმის კოლონიიდან გაექცათ ათიოდე დღის წინ, მკვლელობისთვის თორმეტი წელი ჰქონდა მისჯილი, ბადრაგი თავში დარტყმით გააბრუა, ავტომატი გაიტაცა და მიიმალა, საოცარია როგორ შეძლო აქამდე მოღწევა, — მანქანის სავარძელზე დაშვებისთანავე წამოიწყო სამართველოს ოპერატიული განყოფილების უფროსმა. — არ ვიცი აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა, შენი თანამემამულეა, — ეს ჯიბეში აღმოაჩნდა, — გააგრძელა პაუზის შემდეგ და სისხლით ყდაგაჟღენთილი უბის წიგნაკი მიანოდა. — ქართული ტექსტია, თუ გინდა გვარს დაგიზუსტებ, ოპერატიულ შეტყობინებაში იქნება, — ხელი გაიშვირა რადიოსადგურისკენ.

— არ არის საჭირო, — შეაჩერა ზურაბმა, — რა მნიშვნელობა აქვს მაგის ეროვნებას, ჩემთვის ყველა მკვლელი მხოლოდ მკვლელია, ჩემი აქ ყოფნა საჭირო აღარ არის, მუხლი მაწუხებს, წავალ.

— ნადი, ისე, ცოცხლად რომ აგეყვანა, უკეთესი იქნებოდა, ძალიან ახალგაზრდა იყო, თვრამეტი წლის.

— არ გამოდიოდა, ისროდა, თანაც მეგონა, რომ მძღოლი მომიკლა, ჩემს ხელში გაზრდილი ბიჭი, შვილივით ვუყურებ, თავს ველარ მოვერიე, ავტომატი შემართული ჰქონდა, დასწრებაზე იყო ყველაფერი.

— მესმის, იქნებ მოგვიანებით ეს უბის წიგნაკი გადაათვალიეროთ, შეიძლება რამე საინტერესოს წააწყდე, მისამართები, ნაცნობობა, მოკლედ არ გეწნავლება, — თქვა ოპერატიული განყოფილების უფროსმა და მანქანიდან გადავიდა.

— შენ თუ გაიგონე, რას ყვიროდა, — გახედა ზურაბმა მძღოლს.

— მგონი დედას უხმობდა საშველად, მაგის დედაც... — შეიგინა მძღოლმა, — ახლა გაახსენდა, თითქოს ჩვენ არ გვყავდეს დედები.

— რა დაიყვირა ზუსტად, თუ გახსოვს?

— დედა, მეტი არაფერი.

— დედა. — გაიმეორა ზურაბმა, — ეგ სიტყვა ქართულად მამას ნიშნავს.

— შეიძლება, მაგრამ რისთვის დაიყვირებდა ქართულ ენაზე, მას ხომ თავის სიახლოვეს არ ეგულებოდა ადამიანი, რომელიც გაუგებდა, თანაც რისთვის დაიყვირებდა მამას, ნამდვილად დედას უხმობდა.

— მართალი ხარ, — ჩაილაპარაკა ზურაბმა და მტკივან მუხლზე მოისვა ხელი, — წავედით!

●

ექიმმა ყურადღებით დაათვალიერა დაზიანებული მუხლი, სახვევი დაადო და რამდენიმე დღის განმავლობაში სახლში ყოფნა ურჩია. სახლში დაბრუნებულს ცოლი საძინებელში დახვდა, სახეზე სქლად წასმული კრემით. ზურაბმა გაღიზიანებული მზერა ესროლა ასაკში შესული ქალისთვის შეუფერებელ, ახალგაზრდულ ჩაცმულობას და მძიმედ დაეშვა საწოლზე.

— ტანსაცმლიანი ნუ წვები, — სწრაფად შეახსენა ცოლმა და მხოლოდ ამის შემდეგ ჰკითხა, — რატომ კოჭლობ?

— არაფერია, რაღაცას მივარტყი.

– ეგ რა არის? – დაინტერესდა ქალი უბის წიგნაკით, – სისხლიანია?

– ჰო.

– ახლავე მოაშორე აქედან, გადასაფარებელს დასვრის.

– გამანებე თავი, – დაიყვირა მოთმინებიდან გამოსულმა ზურაბმა, გაჭირვებით წამოდგა, სასტუმრო ოთახში გავიდა, ბარიდან კონიაკის ბოთლი გამოიღო და სავარძელში ჩაეშვა. ზედიზედ გამოცლილი რამდენიმე ჭიქის შემდეგ იმდენად დამშვიდდა, რომ უბის წიგნაკი გადაშალა, სისხლით გაჟღენთილი, შეწებებული ფურცლები ფრთხილად დააშორა ერთმანეთს და კითხვას შეუდგა.

•

როგორ შიშისმომგვრელად დაუცველია ჩვენი სიცოცხლე, საკმარისია ცივი ქარის ერთი მძლავრი შემოტევა და ის, რასაც ჩვენ სიცოცხლედ ვთვლით, უაზრო არსებობად, უფრო მეტიც, წამებად გადაიქცევა. რა აზრი აქვს ასეთ ყოფას, როდესაც აღარ არის საყვარული, ახლობელი ადამიანები, ცხოვრების მიზანი, ისინი სადღაც შორს დარჩნენ, წარსულში, სადაც დაბრუნება შეუძლებელია, ირგვლივ კი დამთრგუნველი სიცარიელე გამეფებულა. სიცარიელე ახლა და უარესი სიცარიელე მომავალში. თორმეტი წლის შემდეგ დედა აღარ იქნება, ამდენი ხანი ვერ დამელოდება. ეკა იქნება, მაგრამ ამ დროისთვის ის უკვე ჩემთვის უცხო ადამიანის ცოლი და მისი შვილების დედა იქნება, იქნებიან ბიჭები, ტოგოც იქნება, მაგრამ ისინი აღარ, ისინი სხვანი იქნებიან, თავიანთი ცხოვრება ექნებათ. ის, რაც გუშინ იყო, აღარასოდეს განმეორდება. ყველაფერი ერთ დღეს დასრულდა. როგორ შიშისმომგვრელად დაუცველია ჩვენი სიცოცხლე, საკმარისია ცივი ქარის ერთი მძლავრი შემოტევა და...

მე არ მსურს უაზრო და უმიზნო არსებობა, თქვენთვის მიჩუქნია, ვინც ყველაფერი წამართვით და მხოლოდ ის დამიტოვეთ, რაც ტკივილს მომაყენებს. თქვენ არ გჭირდებოდათ ჩემი სიცოცხლე, რომ მოგენდომებინათ, მასაც მიიღებდით, თქვენ უფრო უარესი განაჩენი გამომიტანეთ. მავთულხლართის იქით სიცოცხლე თავისთავად ჩაქრება, დარჩება მხოლოდ უაზრო არსებობა და შემდეგ წლების განმავლობაში ისიც გაქრება, მე არ მსურს ლოდინი, ჩემი წამებით სიხარულს არ მოგანიჭებთ.

უაზრობაა, სრული უაზრობაა, მე ჩემს მკვლელებამდე ვერ მივაღწევ, ეს საიქიოდან დაბრუნების ტოლფასი იქნება, მაგრამ როგორი უაზრობაც არ უნდა იყოს, ეს არის შანსი. შანსი კი, თუნდაც მიზერული, არასოდეს არ არის უაზრო. უაზრობა აქ დარჩენა და უეჭველი სიკვდილის გულხელდაკრეფილი მოლოდინი იქნება.

მაინც არ ეწერა ახდენა ჩემს ოცნებას. ისე მიწევს ამ ქვეყნიდან წასვლა, რომ მაინც ვერ შევხვდი მამაჩემს. ბავშვობის ოცნება, ოცნებად დარჩა, ბავშვობა დამთავრდა, ოცნება ბავშვობაში დარჩა და დამთავრდა ყველაფერი. ირგვლივ მხოლოდ სიცარიელეა, ყველგანმომსვლელი და დამთრგუნველი. პირველად და უკანასკნელად მიწევს სიკვდილ-არსებობას შორის არჩევანის გაკეთება და უდავოდ სწორ გადაწყვეტილებას ვიღებ.

•

დედა ვერ შეძლებს ამ ამბის გადატანას, მაგრამ მისთვის ისევ ასე აჯობებს, მამა რომ ყოფილიყო მის გვერდით, სულ სხვა იქნებოდა, მარტო ვერ გადაიტანს, მაპატიე დედა.

დედა! როგორ მსუბუქად წარმოსათქმელი სიტყვაა, ადამიანისთვის ხომ მთელი სიცოცხლე ამ ორი სიტყვით არის განსაზღვრული. ის ჩვენი პირველი და უკანასკნელი სიტყვაა. დედა ხომ ყველაზე ახლობელი ადამიანია, განსაკუთრებით ჩემთვის, მამისგან მიტოვებულისათვის.

ჩვენ ერთად, მხოლოდ ორნი მოვყვებოდით ჩვენს უბრალო ცხოვრებას. ერთი გვქონდა ტკივილი და სიხარული. თუმცა ტკივილი ყოველთვის სჭარბობდა იშვიათ სიხარულს, ახლა კი, სიხარული საერთოდ აღარ იქნება, თუმცა ტკივილიც მალე დამთავრდება, ჯერ ჩემთვის, შემდეგ მისთვის.

ვერასოდეს ვეღარ შევიტყობ, რისთვის მიგვატოვა მამამ, რატომ გაგვიმეტა ასე. განა შესაძლებელი იყო დედისგან ასე უკანმოუხედავად წასვლა, მაგრამ ამდენი ხნის შემდეგ დედას მაინც უყვარს. არ მიკვირს, აი, მე თვალითაც არ მინახავს, მაგრამ მაინც მიყვარს. მის სახეს მხოლოდ ოჯახურ ალბომში შემორჩენილი ახალგაზრდობის რამდენიმე ფოტოსურათით ვიცნობ. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ჩვენ ძალიან ვგავართ ერთმანეთს, მე ყოველთვის ვხატავდი მის სახეს. შემდეგ კი, ჩემი ფანტაზიით კარგად ნაცნობი სახის ნაკვთებს ასაკი მოვუმატე და ასეთი გზით მივიღე მისი დღევანდელი სახე. შეიძლება ჩვენ შემთხვევით შევხვდეთ ერთმანეთს და მან ვერ მიცნოს. მე კი აუცილებლად უნდა ვიცნო, თორემ

შეიძლება შემთხვევა აღარ განმეორდეს. მას შემდეგ, რაც ჩვენ მიგვატოვა, არც დედას და არც რომელიმე ჩვენს ახლო ნაცნობს აღარ შეხვედრია, ამიტომ არავის არ შეუძლია დაზუსტებით თქვას, მართლაც ასე გამოიყურება, თუ ნახატი მხოლოდ ჩემი ფანტაზიის ნაყოფია და ორიგინალთან არაფერი აქვს საერთო. მიუხედავად ამისა, მე მაინც მჯერა, რომ ჩემს მიერ შექმნილი სახე მამაჩემს ეკუთვნის და ზუსტად ასე გამოიყურება.

დედა არ იმჩნევდა, მაგრამ მე ვხვდებოდი, რომ ყოველთვის ჰქონდა მისი დაბრუნების იმედი, მეც მქონდა. არ შეიძლებოდა ცუდი ყოფილიყო ის ადამიანი, რომელიც ასე უყვარდა დედას. ამით იყო გამოწვეული ალბათ ჩვენი ოჯახის სამწევრიანობა, მე, დედა და მამა, რომელიც ყოველთვის სადღაც იყო წასული და ნებისმიერ წამს მოსალოდნელი იყო მისი სახლში დაბრუნება.

კიდევ მაპატიე დედა. შენთვისაც ასე აჯობებს. კიდევ ის მაპატიე, რომ ამ უბის წიგნაკში მეტი არაფერი არ არის შენზე, ჩემი ბავშვობა, სიყმაწვილე, ის დღეები ისე ჰგავდნენ ერთმანეთს. ჩვენ ერთიით ვსუნთქავდით, მთელი ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ერთიით ვცხოვრობდით, მე, შენ და მამა, რომელიც მაინც აღარ დაბრუნდა ჩვენთან.

სხვა არაფერი მქონია ცხოვრებაში. შენ, ეკა, ტოგო და ხატვა. ახლა ყველაფერი წარსულში დარჩა. მე აღარ შემიძლია სიცოცხლე და აღარც მსურს.

ერთადერთი ჩემი საქმიანობა, რომელიც ყოველთვის სიამოვნებას მანიჭებდა, ხატვა იყო. ვხატავდი ყველაფერს, თბილისს, მთაწმინდას, მტკვარს, ნარიყალას, ორთაჭალას, დღეს, ღამეს, ზამთარს, გაზაფხულს, მეზობლებს, მეგობრებს, უბანს, ჩვენი ქუჩის ჭადრებს, ვხატავდი ყველაფერს, რაც მიყვარდა და ვინც მიყვარდა. ვერ ვხატავდი მხოლოდ დედას. არ ვიცი, რატომ, რამდენჯერაც ვცადე, არაფერი გამოვიდა. შეიძლება მე სულ სხვას, წმინდანს ვხედავდი მასში და შემდეგ უკვე ნახატში ველარ აღვიქვამდი იმას, რასაც წარმოადგენდა ის ჩემთვის.

ახლა ვხვდები, რომ თურმე მთელი ცხოვრება სიყვარულში გამიტარებია. ვუყვარდი ყველას და მიყვარდა ყველა. პირველად შემხვდა ცხოვრებაში სიყვარულის საწინააღმდეგო გრძნობა, სიძულვილი და მე მაშინვე მოვინდომე მისი მოსპობა. ასეც მოხდა, მოვკალი სიძულვილი, დავკარგე ყველაფერი და მასთან ერთად ცხოვრების აზრი და თვით სიცოცხლეც.

●

ეროვნული

ჩემი უბანი და ქუჩა, ჩემი მეორე ოჯახი. თბილისელი ბიჭისთვის ამ მეორე ოჯახის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. ზოგისთვის ქუჩა მხოლოდ მოასფალტებული გზის გაყოლებაზე ჩამწკრივებული სახლებია და მეტი არაფერი. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის კი ქუჩა იგივე ოჯახი, ცხოვრებაში დამკვიდრების ასპარეზია, სადაც ყველაფერია, რაც ამისთვის არის საჭირო: კაცობა, ვაჟკაცობა, კაიბიჭობა, სიმართლე. იქ არავინ არავის და არაფერს არ ივიწყებდა, არც კარგს და არც ცუდს და რამდენიმე უბნელს, რომლებიც დაილუპნენ ან ციხე-კოლონიებში იმყოფებოდნენ, მათ ოჯახებსაც ქუჩა ეხმარებოდა, ვის რისი საშუალება ჰქონდა იმით. მაგრამ რისი საშუალება უნდა ჰქონოდა ჩემ და ჩემნაირების ოჯახებს, ფული კი ხეზე არ იზრდება, ჩვენ უკანასკნელ კაპიკებს ვუყრიდით თავს, თუ საჭირო იყო, ვიპარავდით კიდევაც, ისე, ბიჭურად, მანქანის საბურავებს, საქარე მინებს, თუ გაგვიმართლებდა, მაგნიტოფონებსაც. იშვიათად, ბინის ქურდობაც ხდებოდა, მაგრამ არასოდეს იქურდებოდა გაჭირვებული და ხელმოკლე ოჯახის ბინა, ეს ქუჩის მორალს ეწინააღმდეგებოდა. ალბათ, ყველას აქვს ეს ასაკი გამოვლილი, ჩვენ ხომ ბიჭები ვიყავით, ქუჩის ბიჭები. არავინ არ გვავალდებულებდა ასე ცხოვრებას, ყველაფერი შეგნებით და გულის კარნახით კეთდებოდა. ეს იყო ბიჭობა, რომელიც ხვალ დამთავრდებოდა და როგორც ყველა უფროსი თაობის მეგობრებისგან მსმენია, მომავალში ყველა ჩვენს გზას მოვძებნიდით, ზოგი ექიმი გავხდებოდით, ზოგი კი ვექილი.

ისეც ხდებოდა, რომ რომელიმე ჩვენს მეგობარს იჭერდნენ. ეს უკვე სერიოზული ამბავი იყო. მთელი უბანი იწყებდა სირბილს მეგობრის გამოსახსნელად, ფულის საშოვნელად, მაგრამ უფრო ხშირად მილიციელების მადა ბევრად აღემატებოდა ჩვენს შესაძლებლობებს, დაპატიმრებულის გამოსყიდვა არ ხერხდებოდა და იწყებდა მთელი უბანი სასამართლოზე სიარულს, შემდეგ კი ყველა ერთად ზრუნავდა მის ოჯახზე, ისე, როგორც თვითონ ზრუნავდა სხვის ოჯახებზე. ამას ჩვენი ქუჩა და ცხოვრების კაი ბიჭური წესი გვავალდებულებდა. ასე იყო ყოველთვის და ახლაც ასე იქნება, მაგრამ დედაჩემს არაფერი არ სჭირდება ჩემს გარდა, ჩემი მეგობრები ვერ შესძლებენ მის დახმარებას.

მეგობრები ბევრი მყავდა, მთელი ქუჩა, მთელი უბანი, მაგრამ ერთი მათ შორის მაი-

ნც გამორჩეული იყო. მე ძმა არა მყავს, არ ვიცი, როგორ უყვართ ერთმანეთი სისხლით ძმებს, მაგრამ თუ ისე უყვართ, როგორც მე – ტოგო, გამოდის, რომ უსაზღვროდ ყვარებიათ ერთმანეთი. ტოგო მეტსახელია, ის ტოგონიძეა და აქედან მომდინარეობს მეტსახელი, რომელიც ისე მიეკერა, რომ დედაც კი ასე უწოდებს. ჩვენ არ ვიცით, რომელი ასაკიდან ვმეგობრობდით, ალბათ დაბადებიდან, იმიტომ რომ ერთ ოჯახში ვართ გაზრდილები. მას ჩემსავით არა ჰყავს მამა, ოღონდ მამამისი პატიმარი იყო და რუსეთის რომელიღაც შორეულ კოლონიაში დაიღუპა. როდესაც ტოგოს დედა მამის მოსანახულებლად მიემგზავრებოდა, ის ჩვენს ოჯახში რჩებოდა. დედა არასოდეს გვანსხვავებდა, არ გვანსხვავებდნენ სხვებიც, ყველანი ძმებად გვთვლიდნენ და ჩვენც ასე ვთვლიდით მუდამ. თუმცა, ტოგო ყველას უყვარდა, უყვარდა იმათაც კი, ვისთანაც ნაჩხუბარი იყო, მას ხომ უბნის კოლორიტად და სილამაზედ სთვლიდნენ. მასაც ყველა უყვარდა, მთელი ქვეყანა, გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც მილიციის სამხრეებს ატარებდნენ. ნებისმიერ მათგანს, ტოგო მამის მკვლელად თვლიდა და ქუჩაში მუდამ ზიზღით სავსე მზერით ეგებებოდა. თუმცა ჩვენ არავის არ გვიყვარდა ისინი. ისინი ხომ მოსვენებას არ გვაძლევდნენ, აშვებული ნაგაზებივით დაგვდევდნენ უკან. იქურდებოდა რომელიმე ბობოლას ბინა, მაშინვე წამოგვკრიფავდნენ ქუჩიდან და შემდეგ გვიშვებდნენ, მოხდებოდა ჩხუბი ან ვინმეს დაჭრა, ისევ ჩვენ წამოგვკრიფავდნენ. ასეთი კი თვეში რამდენიმეჯერ ხდებოდა. ასე რომ, ჩვენი უბნის განყოფილება ჩვენთვის შინაური სამყოფელი იყო და მათი სიახლოვისაგან შეუძლებელი იყო მათ მიმართ სიძულვილის გრძნობა არ გაგვჩენოდა. ისინი გამორჩევით ემტერებოდნენ ტოგოს, ის ხომ არასოდეს არ მალავდა თავის შეხედულებას, მილიციაში მოხვედრილი ყოველთვის ლანძღვაგინებით გამოხატავდა თავის გრძნობებს და არ არსებობდა ადამიანი, რომელიც მის ჩაჩუმებას და შეშინებას შეძლებდა.

ერთადერთი, რაშიც საერთო ენას ვერ ვპოულობდით, ჩემი ნახატები იყო. მე ხშირად ვხატავდი ტოგოს, მაგრამ ის ყოველთვის უკმაყოფილო რჩებოდა ჩემი ნამუშევრით.

– რაც არ შეგიძლია, ხელს ნუ მოჰკიდებ, – მეუბნებოდა ყოველი ნახატის დათვალიერების შემდეგ, – საერთოდ არ მგავს, აბა, ასე მაქვს თმები აბურძგნული? – და ხელს ისვამდა მუდამ გაჩეჩილ ქოჩორზე. მაგრამ წუნის მიუხედავად, ნახატი ყოველთვის თან მიჰქონდა, იმიტომ, რომ იცოდა, მასზე ზუსტად ისეთი იყო გამოსახული, როგორიც იყო სინამდვილეში, მუდამ აბურძგნული.

•

ეკა სიზმარივით მოულოდნელად მოვიდა ჩემს ცხოვრებაში. ის ისეთი ოჯახისა და წრის წარმომადგენელი იყო, რომელთაც არაფერი აქვთ ჩვენთან საერთო და თავსაც შორს იჭერენ ჩვენგან.

ზაფხულის საღამო იყო. ჩვენ ყველა ერთად ვიყავით, მე, ტოგო, ბიჭები. წრედ ჩამდგარნი ხალხის თვალიერებით და ლაპარაკით ვკლავდით დროს. ქუჩაში ჩვენი თანატოლების ჯგუფი გამოჩნდა. სკოლებში ახალი დამთავრებული იყო გამოცდები. სკოლადამთავრებული ახალგაზრდების ჯგუფები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირეოდნენ. ისინიც ასეთები იყვნენ. ოდნავ შემთვრალი ბიჭები კაცობდნენ, ბოხი ხმით ლაპარაკობდნენ და თავი თამამად ეჭირათ. არ ვიცი, რა მოხდა მათ შორის, ეტყობოდა, ერთ-ერთმა აშკარად ვერ მოზომა და რაღაც საქციელით გაანაწყენა გოგონა, რომელიც მათ შორის ჩრდილოეთის ვარსკვლავივით ციალებდა.

გოგონამ ხელის კვრით მოიშორა მის მხარზე მკლავის გადახვევის მოსურნე ვაჟი და თანატოლებს გამოეყო.

– რამდენჯერ გაგაფრთხილე, მომბეზრდა შენი ტორლიალი, სადაც შენ იქნები, იქ არ წამოვალ! – თქვა გაბრაზებული ხმით.

– კარგი რა, ეკა, რა მოხდა, გაგეხუმრე, – სცადა მისი დამშვიდება ვაჟმა.

– არა-მეთქი, კმარა, – მოკლედ მოჭრა გოგონამ.

– არ წამოხვალ და ნუ წამოხვალ, არავინ არ დაგახევს კალთას, ყელში ამოვიდა უკარებას თამაში, შენი ნებაა, შეგიძლია შენი შესაფერისი თანამგზავრები მონახო, – აშკარად ჩვენზე მოუთითა ვაჟმა.

– რა უნდა ამ ახვარს? – მაშინვე წამოიქოჩრა ფიცხი ტოგო.

– გაანებე თავი, ვერ ხედავ, რა ტიპია, ძაღლებს დაგვახვევს, – შეაჩერეს ბიჭებმა.

– გინდათ რამე? – არ მოისვენა ტოგომ.

– არაფერი, მეგობარო, მე მგონი ამ გოგონას უნდა რაღაც, – ჩაიცინა მან.

სანამ ტოგო პასუხს გასცემდა, გოგონა ჩვენსკენ შემობრუნდა.

– თუ არ შეწუხდებით, სახლში გამაცილეთ, – თქვა მშვიდად.

– ჩვენ? – ერთხმად უპასუხეს ბიჭებმა.

– ყველა არა, ერთიც მეყოფა გამცილებლად.

– მაშინ თქვენ თვითონ გვითხარით, ვინ? – გაიჭიმა ტოგო.

– თქვენ გამაცილეთ, – მომიბრუნდა მე, – გთხოვთ, – დაუმატა პაუზის შემდეგ.

მის სახლამდე ჩუმად ვიარეთ. არც ერთს არ ამოგვიღია ხმა. მხოლოდ სადარბაზოს წინ მითხრა თავისი სახელი, რომელიც უკვე ვიცოდი, – ეკა.

მე უხმოდ დავუქნიე თავი.

– ლაპარაკი არ იცი? – გაიცინა მან.

– ვიცი.

– მე კიდევ მუნჯი მეგონე.

– არა ვარ მუნჯი, – ვთქვი დაბნეულმა, – მე თემო მქვია.

– კარგად იყავი თემო, მადლობელი ვარ, რომ არ დაიზარე და ჩემი გულისთვის ამხელა გზა გამოიარე, – გამომიწოდა ხელი.

არასოდეს არ შეხებია ჩემი თითები ასეთ ნაზ და სათუთ ხელს. პატარა ხელისგულიდან გადმოღვრილი სითბო მთელს სხეულს მოედო, ჟრუანტელი მომგვარა და შუბლი გამიცხელა.

– კარგად იყავი, თემო. – გაიმეორა მან და სადარბაზოში მიიმალა.

●

ის საღამო იყო და მომდევნო დილა სულ სხვანაირი გათენდა. ეკას მისამართის მეტი აღარაფერი მახსოვდა. სახლიდან დილით ადრე გამოვედი და ნაცნობ სადარბაზოს მივაშურე. მთელი დღე იქ გავატარე, მაგრამ მისი ნახვა ვერ შევძელი. მომდევნო დღეც იქ გავატარე, შემდეგ კიდევ, კიდევ, კიდევ. მხოლოდ რამდენიმეჯერ მომიწია მისი ხილვა, როდესაც ის სახლიდან გადიოდა, ან ბრუნდებოდა. ახლოს მისვლა და გამოლაპარაკება ვერ გავბედე, თუმცა რამდენჯერმე მივეცი თავს ამის პირობა.

არ ვიცი, როდემდე გაგრძელდებოდა ჩემი ასეთი ყოფა, ერთ მშვენიერ დღეს თვითონ რომ არ მოსულიყო ჩემთან.

ის ჩვეულებისამებრ გამოვიდა სადარბაზოდან, ჩემსკენ არც კი გამოუხედავს, მშვიდად ჩამიარა გვერდით, მოულოდნელად შემობრუნდა და გაბრაზებული თვალები შემომანათა.

– რისთვის მდარაჯობ, რა გინდა ჩემგან? – მოსჭრა მოკლედ.

დავიბენი, პასუხის გაცემა ვერ მოვახერხე.

– რისთვის მდარაჯობ? – ოდნავ შეარბილა ხმა. – რა გინდა ჩემგან?

– არაფერი. – ჩავილაპარაკე ხმადაბლა.

– შენ ყოველდღე მოდიხარ აქ, არაფრის გულისთვის?! ასე არ იქცევიან! ახლავე მითხარი, რა გინდა, თორემ... – ჩამაცივდა, ვეღარ გაიაზრა, რა უნდა მოჰყოლოდა თორემს.

– არაფერი, მხოლოდ შენი ნახვა მინდოდა, მეტი არაფერი.

– რისთვის?

– მე შენი დახატვა მინდა. – როგორც იქნა, თავი მოვუყარე სათქმელს.

– შენ ხატავ? – გაუკვირდა ეკას.

უხმოდ დავუქნიე თავი.

– ახლა არ შემიძლია.

– ხვალ? – ჩავებღაუჭე იმედს.

– არც ხვალ.

– ზეგ?

– არა, არა, არც ზეგ და არც ახლო მომავალში.

– აბა როდის?

– სექტემბერში. ამ დღეებში მშობლებთან ერთად დასასვენებლად მივემგზავრები, მხოლოდ სექტემბერში დავბრუნდები. შემდეგ მოდი ჩემთან, კარგი?!

– აქ მოვალ.

– არა, სახლში მოდი, აი, ჩვენი ბინის ფანჯრები. – გაიშვირა ხელი მესამე სართულისკენ.

– არა, აქ მოვალ.

– ქუჩაში?

– ჰო, აქ დაგელოდები.

– როგორ გაიგებ ჩემი ჩამოსვლის ამბავს?

– გავიგებ.

– უცნაური ბიჭი ხარ, თემო, აქ დგომას ხომ არ აპირებ? – თქვა სიცილით.

– არა.

– რა არა, უცნაური არ ხარ, თუ აქ დგომას აპირებ?

– ერთიც და მეორეც.

– მაშინ, კარგად იყავი თემო, სექტემბრამდე, პაემანის დანიშვნის უცნაური წესი გქონია. – მითხრა ღიმილით და ხელი გამომიწოდა.

ისევ დაურბინა სხეულს ხელისგულიდან გადმოღვრილმა ნაცნობმა ტალღამ.

●

სექტემბერი უსასრულოდ ნელა, მაგრამ მაინც მოვიდა. მისი დაბრუნებიდან მეორე დღეს დათქმულ ადგილზე შევხვდით ერთმანეთს.

– საიდან გაიგე ჩემი ჩამოსვლა? – მკითხა მოსალმების შემდეგ.

მე გაბრუებული შევცქეროდი თხელ, საზაფხულო კაბაში გამოწყობილ, მზემოკიდებულ ეკას.

— თემო, საიდან გაიგე, რომ ჩამოვედი? — გამიმეორა მან.

— გავიგე.

— შენ რა, მართლა ყოველდღე მოდიოდი აქ? — მკითხა გაოცებული ხმით.

უხმოდ დავუქნიე თავი.

— რისთვის, თემო?

— მე ხომ შენი დახატვა მინდა.

— ასე ძალიან?

— ჰო.

— ყველას ასე დაჰყვები, ვისი დახატვაც გინდა?

— არა.

— მე რატომ გამომარჩიე?

მე დაბნეული შევცქეროდი ფართოდ გახელილ თვალებში და უშედეგოდ ვცდილობდი საჭირო სიტყვების მოძებნას. ეკა მიხვდა, რომ დუმილი უსასრულოდ გაგრძელდებოდა.

— კარგი, თემო, დამხატე, ახლა თავისუფალი ვარ.

— წამოხვალ ჩემთან? — ვკითხე გაუბედავად.

— სად?

— ჩემთან, სახლში.

ეკა გამომცდელად ჩამაცქერდა თვალებში.

— წამოვალ. — თქვა ბოლოს.

ეკა ფანჯრის პირდაპირ დავსვი, მზეს რომ უკეთ გაენათებინა მისი სახე. მე მის წინ მოვეწყვე, ფანქრები მოვიმარჯვე და მუშაობას შევუდექი. მალე მივხვდი, რომ არაფერი გამომდიოდა. თვალები მიჭრელდებოდა, ხელი არ ემორჩილებოდა გონებას და ქაღალდზე გავლებული კონტური სულ სხვა იყო, ვიდრე მე მსურდა. თითქმის ერთსაათიანი მუშაობის შემდეგ ეკას დაღლა დაეტყო, დავიღალე მეც. ფანქრები გვერდით გადავდე, ფეხზე წამოვდექი და ფანჯარასთან დავდექი მისკენ ზურგშექცეული.

— რა არის ეს? — მომესმა მისი წყენით აღსავსე ხმა.

უკან მივიხედე. ეკა ცრემლებით სავსე თვალებით დასცქეროდა უაზროდ გავლებულ კონტურებს.

— არაფერი არ გამომდის, არ ვიცი, რატომ. იქნებ, სხვა დროს... — ვუპასუხე გაჭირვებით.

— სხვა დრო აღარ იქნება, — ხაზგასმით თქვა მან და სწრაფად გავიდა ოთახიდან. — ახლავე გამიღე კარები. — მომესმა დერეფნიდან ცრემლნარევი ხმა.

მძიმედ გავედი დერეფანში. ეკა უშედეგოდ ცდილობდა სადარბაზოში გამავალი კარის გაღებას და დროდადრო ხელით იწმენდდა ლაწვებზე ჩამოგორებულ ცრემლებს. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩემი მიახლოებისთანავე კუთხეში მიიკუნჭა.

— არ მომეკარო, თორემ ვიყვირებ, — წამოიძახა შეშინებულმა.

უხმოდ გავაღე კარი და ისევ ოთახში დავბრუნდი, ფანჯარასთან. კარი ხმაურით მიიკეტა.

— თემო! — ჩამესმა მისი ხმა.

გაოცებული შევბრუნდი. ეკა შუა ოთახში იდგა.

— მხოლოდ ერთ კითხვაზე მიპასუხე, სხვა არაფერი არ თქვა, მართლა ხატავ? თუ... — აღარ დაამთავრა სათქმელი.

პასუხი არ გამიცია. საძინებელ ოთახში გავედი და იქიდან გამოტანილი ნახატებით სავსე მოზრდილი საქაღალდე მაგიდაზე დავდე. ეკა ინტერესით შეუდგა ნახატების თვალიერებას.

— ესენი მართლა შენ დახატე? — გამომხედა გამომცდელად.

— მე დავხატე.

— ძალიან მომწონს, მაგრამ ახლა რატომ ვერ ხატავ?

— არ ვიცი.

— სხვა დროს თუ მოგსვლია ასე?

— არასოდეს. აი, მხოლოდ, არა, არაფერი. — მაშინვე გავჩუმდი.

— რისი თქმა გინდოდა?

— არაფრის.

— მაინც, — აღარ მომეშვა ეკა.

— დედას ვერ ვხატავ. — ვუპასუხე ყოყმანით.

— რატომ თემო, დედა ხომ ყველაზე ახლობელი და საყვარელია.

— ვერ ვხატავ, — ჩავილაპარაკე მე და თვალი ავარიდე.

— და მეც ვერ მხატავ? — ჩამეძია ეკა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

— რა უცნაური ბიჭი ხარ, თემო, მაპატიე, ცუდი რომ ვიფიქრე შენზე. მოდი, სხვა დროს კიდევ ვცადოთ, კარგი? — მითხრა შემრიგებლური ტონით და გამიღიმა.

— კარგი. — ვუპასუხე უხალისოდ.

ეკას არ გამოპარვია ჩემი შეცვლილი ინტონაცია.

— რატომ მოიწყინე? — მკითხა მაშინვე.

— არ მინდა, რომ წახვიდე, — ვუპასუხე გულწრფელად.

— მე არც მიფიქრია წასვლა, უბრალოდ, სხვა დროს ისევ გესტუმრები. კიდევ გაქვს ნახატები?

— რა თქმა უნდა.

— მაჩვენე.

რა კარგი იყო ყველაფერი იმ დღეს, ერთმანეთის გვერდით ვისხედით. ეკა ყურადღებით ათვალიერებდა ჩემს ნახატებს, მე კი ყველა მათგანის შესახებ ვუყვებოდი. ვუყ-

ვებოდი ჩემი თვალით დანახულ თბილისზე, ჩემს უბანზე, მეგობრებზე, ტოგოზე. ეკა ყურადღებით მისმენდა და მხიარულად იცინოდა ტოგოს თავგადასავლებზე. მე კი კვლავ ვუყვებოდი, ვუყვებოდი ყველაფერზე, ყველაფერზე, გარდა დედისა, რადგან ჩემს ნახატებში არ ერია არც ერთი მისი ნახატი, ვუყვებოდი და ვხვდებოდი, რომ მე ყველას ხატვა შემეძლო, იმათ გარდა, ვინც თავდავიწყებით მიყვარდა. რა კარგი იყო ყველაფერი იმ დღეს.

●

იმ დღის შემდეგ ჩვენ ხშირად, უფრო სწორად ყოველდღე ვხვდებოდით ერთმანეთს. ეკა თეატრალური ინსტიტუტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. ლექციების დამთავრების შემდეგ ჩვენ ვსეირნობდით ქუჩებში, პარკებში, ყველგან, ჩვენთვის სულერთი იყო, მთავარი ის იყო, რომ ერთად ვიყავით, სხვა არაფერი აღარ გვაინტერესებდა. მე მიყვარდა ეკა. მას არ ვიცი, ვხვდებოდი, რომ სულ მცირე, ჩემთან ყოფნა უხაროდა. მე ეს მცირედიც მყოფნიდა და მეტის კითხვას ვერ ვბედავდი იმის შიშით, რომ რისი მფლობელიც ვიყავი, ისიც არ დამეკარგა. ჩემსავით დუმდა ეკაც. ჩვენ შეუთანხმებლად დავადგინეთ რაღაც საზღვარი, რომლის გადალახვასაც არც ერთი არ ვაპირებდით, ყოველ შემთხვევაში, ჯერჯერობით.

●

ეკას ოჯახთან ნაცნობობა დეიდამისით დაიწყო. ის პროფესიონალი მხატვარი იყო და სამხატვრო აკადემიის სტუდენტებს გრაფიკას ასწავლიდა. ეკამ ძლივს დამითანხმა, ჩემი ნახატები თამილასთვის, ასე ერქვა მის დეიდას, მეჩვენებინა. კვირა დღეს, ჩემი საქაღალდეებით ხელში მივადექით მის ორსართულიან სახლს. ჩემდა გასაოცრად, თამილა სრულიად ახალგაზრდა, ძალიან ლამაზი ქალი გამოდგა. ეკას მეგობრად უფრო ჩათვლიდით, ვიდრე დეიდად. ის კარგად შეგვხვდა, სასტუმრო ოთახში მიგვიწვია და ჩემი ნახატების თვალიერებას შეუდგა.

— საკმაოდ ორიგინალური სტილი გაქვს, — აღნიშნა ბოლოს, — მოყვარულად აპირებ დარჩენას?

— რას ნიშნავს მოყვარული? — ვკითხე მე.

— როგორ აგიხსნა, — გაეღიმა თამილას, — მხატვრობას პროფესიად ისახავ, თუ უბრალოდ ერთობი?

— პროფესიად. — ჩავფიქრდი მე. — არ ვიცი, არ შემიძლია არ ვხატო, ეს უბრალოდ გართობა არ არის, მაგრამ მხატვარიც ხმამაღლა ნათქვამი იქნება.

— ეს ახლა, მაგრამ შენ შეგიძლია ისწავლო.

— სად?

— აკადემიაში. საკმაოდ კარგად ხატავ ამისთვის.

— არა, — სული შემეხუთა, — თქვენ ხუმრობთ.

— თემო ქუჩის ბიჭია, სად სცალია ამისთვის. — გამიღიმა ეკამ.

— ხუმრობა იქით იყოს და ქუჩის ბიჭობაც, — გააგრძელა თამილამ, — კიდევ გიმეორებ, საკმაოდ კარგად ხატავ, თავისუფალი დრო თუ გაქვს, რაიმე სხვა საქმიანობით ხომ არ ხარ დაკავებული?

— მაქვს.

— მაშინ ერთი წინადადება მაქვს შენთან, ერთ ადგილას მოგაწყობ სამუშაოდ. მუშად იქნები გაფორმებული, მაგრამ შენი საქმე ხატვა იქნება, ხელფასი დიდი არ გექნება, ახლა ამას არცა აქვს მნიშვნელობა, მთავარი ის არის, რომ მხატვრების გვერდით იქნები, გაეცნობი მხატვრობის საწყისებს, ასე ვთქვათ, საშუალება გექნება ღრმად ჩაიხედო მათ სამზარეულოში. ბუნებრივი ნიჭი უდავოდ გაგაჩნია, მაგრამ მასზე მუშაობაა საჭირო. პერიოდულად ჩემთან ივლი, ფანქრებით ხატვა სხვაა, მე მინდა, რომ ფუნჯით მუშაობა სცადო, მომავალ წელს კი აკადემიაში ვცდით ბედს.

— სად უნდა ვიმუშაო?

— რუსთაველის თეატრში, დეკორატიულ საამქროში. იქ ჩემი ნაცნობი მხატვარ-დეკორატორები მუშაობენ, მათი მეთვალყურეობის ქვეშ იქნები.

— რა კარგია, — ტაში შემოჰკრა ეკამ, — მეც ხომ იქვე ვიქნები, ყოველდღე გნახავ.

— შენ გინდოდა, დღეში ორჯერ გეთქვა, — ჩაეღიმა თამილას, — თქვენ ისედაც ყოველდღე ხვდებით ერთმანეთს, რას იტყვი? — მომიბრუნდა მე.

— რომ ვერ შევძლო, არ მინდა უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ.

— ორი აზრი არ არსებობს, შეძლებ, მე შენი ნახატებით ვმსჯელობ და არა ეკას აზრით.

— შეძლებ თემო, მე დარწმუნებული ვარ. — დაუმატა ეკამ.

— კარგით, თანახმა ვარ. — ვუპასუხე მე.

●

ახალმა სამყარომ ღრუბელივით შემისრუტა. სამუშაო მეტად საინტერესო გამოდ-

გა, დეკორატიულ საამქროს სპექტაკლებისთვის საჭირო დეკორაციებისა და რეკვიზიტის მომზადება ევალებოდა. ჩემს თვალწინ რაღაც ჯადოქრობა ხდებოდა. მუდამ უკმაყოფილო, გაღიზიანებული რეჟისორები, პრეტენზიული სცენარისტები, როლებში შესასვლელი გზების ძიებაში ჩაფლული მსახიობები, ფუტკრის სკასავით მოფუსფუსე დასი და ამავე დროს, საერთო, ოჯახური ატმოსფერო. ერთის შეხედვით გაურკვეველი სამყარო და მუდმივი ორომტრიალი, რომელიც მხოლოდ სპექტაკლის წინ წყნარდებოდა და მხოლოდ მაშინ ჩამოვარდებოდა სამარისებური სიჩუმე თეატრის შენობაში, ამ წუთებში ცოცხლობდა მხოლოდ სცენა და კულისის ნაწილი. მხოლოდ მაშინ დადგებოდა ერთ ლოგიკურ მოზაიკად მრავალი ადამიანის უანგარო შრომა. მე ვამაყობდი, რომ საერთო მოზაიკის შექმნაში ჩემი, თუნდაც უმნიშვნელო წვლილიც ერია და უდიდეს სიხარულს ვგრძნობდი, როდესაც სცენაზე ჩემი ხელით მომზადებულ დეკორაციებს ვხედავდი.

შეუძლებელი იყო ასეთ ატმოსფეროს, განსაკუთრებით კი ეკას გვერდით ყოფნას, გავლენა არ მოეხდინა ჩემზე. ჩვენ ყველა სპექტაკლს ვესწრებოდით. ჩვენთვის, ყველასთვის შეუმჩნევლად მივიყუჟებოდით სცენის კულისებში ისე, რომ ხელი არავისთვის შეგვეშალა და დანარჩენ სამყაროს მოწყვეტილები, ორი საათის განმავლობაში მხოლოდ სცენაზე მომხდარით ვცოცხლობდით.

ჩემი ახალი საქმიანობით დედამაც გაიხარა. მას ყოველთვის ეშინოდა, რომ ქუჩა წაართმევდა ჩემს თავს, თეატრმა კი ისეთი ძალით მიმიზიდა, რომ სხვა არაფრისთვის აღარ მრჩებოდა დრო. ალბათ ეს იყო, რაც ხშირად მსმენია უფროსი თაობის მეგობრებისაგან, ყველას თავისი გზა გაქვთ, ზოგი ექიმი გახდებით, ზოგი კი ვექილიო.

კმაყოფილი იყო ყველა, ტოგოს გარდა. ტოგო ჩემს ახალ საქმიანობას როგორც დროებით გატაცებას, ისე შეხვდა, მაგრამ როდესაც გატაცება სერიოზულ საქმიანობაში გადაიზარდა, ჯერ აბუზღუნდა, შემდეგ კი აშკარად შემომიტია. ის ხომ თეატრში ვერაფერ საინტერესოს ვერ ხედავდა და ჩემს საქმიანობას დროის უაზრო ხარჯვად თვლიდა. მაგრამ მალე დამშვიდდა, უფრო მეტიც, ხშირად მოდიოდა ჩემთან, თეატრში და პერიოდულად სცენების მომზადებაშიც კი მეხმარებოდა.

თამილასთან კვირაში ორჯერ მივდიოდი, ხან მარტო, ხანაც ეკასთან ერთად. ფუნჯით და საღებავებით მუშაობის საფუძვლები მალე ავითვისე, მაგრამ რაიმე სერიოზული ნამუშევრის წამოწყებას ჯერჯერობით ვერ ვბედავდი. მინდოდა, პირველი ნამუშევარი რაღაც განსაკუთრებულისთვის მიმეძღვნა. ბოლოს, მაინც გადავწყვიტე, ბედი მეცადა. ძველი დეკორაციების შესანახ ოთახში, სამუშაოდ საჭირო ფართობი გავათავისუფლე, განათება მოვაწყვე, მაგრამ ვიდრე ხატვას შევუდგებოდი, საათობით ვიჯექი მოლბერტის წინ და ტილოზე მომავალი ნამუშევრის დანახვას ვცდილობდი.

კონტურები ნელ-ნელა გამოიკვეთა, აუჩქარებლად შევუდექი მუშაობას. ტილომ გაცოცხლება დაიწყო. ეს იყო ქალის სახე, თეთრ ფონზე გამოსახული ქალის სახე, რომელიც არავის არ ჰგავდა, სახე არ იყო რეალური, ის ბუნდოვანი კონტურებით იყო გამოსახული. ამას არ ჰქონდა მნიშვნელობა, არც მიფიქრია მისი ვინმესთვის მიმსგავსება, ჩემთვის მთავარი იყო მხოლოდ თვალები, უძირო, ღრმა, მოლოდინით ალსავსე თვალები, რომლებიც ეკას ეკუთვნოდა, ამაში ორი აზრი არ არსებობდა. ამას თვითონაც მაშინვე მიხვდა, როდესაც ჩემთან მოსული, იმპროვიზირებულ სახელოსნოში შევიყვანე და აქამდე საიდუმლოდ შენახული ნამუშევარი ვუჩვენე. ეკამ ათიოდე წუთი უხმოდ უყურა ტილოს.

– ეს ჩემი თვალებია, თემო? – გამომხედა ბოლოს.

– მართალია, ეს შენი თვალებია.

– რას ნიშნავს, ეს თვალები?

– სხვანაირად ვერ დაგხატავდი ეკა, არ გამოვიდოდა, მხოლოდ თვალებზე მეყო ენერგია, ისინი მე მიყურებენ და მე ამ თვალებში მხოლოდ მოლოდინს ვხედავ, შენს დასმულ კითხვაზე პასუხის გაცემის მოლოდინს, იქნებ მეშლება რამე და, უბრალოდ, მინდა რომ ასე იყოს?

– რა კითხვაზე? – ოდნავგასაგონი ხმით თქვა ეკამ.

– მე ვერ შევძელი შენს ერთ კითხვაზე პასუხის გაცემა, ახლა შემიძლია, მზად ვარ ამისთვის.

– შენ გინდა, ამ ნახატით მითხრა, რატომ ვერ ხატავ დედას და რატომ ვერ დამხატე მე?

– მინდა. ამის მოლოდინს ვხედავ შენს თვალებში.

ეკამ პატარა ხელისგული პირზე ამაფარა.

– არ გინდა თემო, ახლა არა, – თქვა ჩურჩულით და ცრემლჩამდგარი თვალები ამარიდა, – მე წავალ, შენ ნუ გამაცილებ, გთხოვ, – მითხრა ხმადაბლა, თბილი ხელისგული ლოყაზე ჩამომისვა და ნელა გავიდა ოთახიდან.

●

როგორც ყოველთვის, ტოგო მოულოდნელად გამოჩნდა. საამქროში არ შემოსულა, ოდნავ ღია კარებიდან მანიშნა, გამოდიო.

ალექსანდროვის ბაღში ჩავედით. ზამთრის ცივი საღამო იდგა. ჩვენს სიახლოვეს არავინ ჭაჭანებდა.

— მოკლედ, ასეთი ამბავია, — პირდაპირ საქმეზე გადავიდა ტოგო, — ერთი კაცი საქმეს იძლევა, პასუხი ახლავე უნდა გავცე. აქვე მელოდება, ახლოს. ძნელი საქმე არ არის, ფულს ვიშოვით.

— ვინ კაცია და რა საქმეს იძლევა? — დავინტერესდი მე.

— კაცს რა მნიშვნელობა აქვს, მე ვიცნობ, სანდოა. საქმე კი, ქალს ხელჩანთა უნდა გამოვგლიჯოთ, დროსა და ადგილს თვითონ გაგვაგებინებს.

— რა არის ხელჩანთაში?

— ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, ხუთი ათას მანეთს გადაგვიხდის.

— მაინც?

— რაღაც იშვიათი გულსაბნევი, ისეთი იშვიათი, რომ ჩვენ მის გაყიდვასაც კი ვერ შევძლებთ.

— რომ არ იყოს?

— უეჭველი საქმეა, იქნება. რომ არ იყოს, მაინც გადაგვიხდის.

— ასე ადვილი თუა, თვითონ რატომ არ აკეთებს, რა, ზედმეტი ფული აწუხებს?

— ჯანმრთელობა არ უწყობს ხელს, სირბილი არ შეუძლია, თანაც ქვეყანა იცნობს.

მე კარგა ხანი ვიფიქრე.

— ტოგო, ხომ ხედავ, რასაც ვაკეთებ, აღარ მინდა ასეთი საქმეები, მაგრამ რახან მოხვედი, მაინც წამოვალ, მარტო შენი გულისთვის წამოვალ.

— ეე, ნუ დაიწყე შენებურები, — ხელი აიქნია ტოგომ, — რა ჩემი გულისთვის, ამ თეატრმა საერთოდ აგირია გონება. თვალი გაახილე, ეს საქმე ორივესთვის სულზე მოსწრებაა.

— ვერ გავიგე?

— რა ვერ გაიგე თემო, ხუთი ათასი მანეთი პატარა ფული არ არის, ხომ გიყვარს ეკა, — მოულოდნელად შეცვალა ლაპარაკის თემა. — არ დამიწყო შენებურები. — შენკიპა წარბები.

— მიყვარს, მაგრამ რა შუაშია აქ ეკა?!

— ხომ აპირებ სერიოზული გაგრძელება მისცე ამ ამბავს?

— ვფიქრობ.

— ფული გჭირდება?

— მჭირდება.

— მე მარტომ რომ გავაკეთო ეს საქმე და ფული მოგიტანო, გამომართმევ?

ბიბლიოთეკა

— არა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ფული ხეზე არ იზრდება, ეს კი საციხე საქმეა, მე არ მინდა, რომ ჩემი გულისთვის შენ რაიმე შეგემთხვეს.

— ვიცი, ამიტომ მოვედი შენთან, არც მე მემეტები საციხედ. საქმე უბრალოა, ეს ფული კი ჰაერივით გვჭირდება. შეხედე შენს თავს, როგორ ხარ ჩაცმული, ასე ხომ არ მიხვალ ეკას მშობლებთან, ბოლოს და ბოლოს, ვისზე ნაკლებები ვართ. თქვენს ბინას წავახმართ ხელს, იქნებ ახალი ავეჯიც შეგვეძინა. მოკლედ, კაცი რომ დაფიქრდეს, ხუთი ათასიც არაფერია.

— ხუთი ათასს რომ ანგარიშობ, შენთვის არაფერი გინდა?

— ტოგოს ფული რად უნდა ბიჭო, თვითონ განძია, — სიცილით გადაისვა ხელი აბურძგნულ თმებზე.

— არ გამოვა. — შორს დავიჭირე თავი.

— ეგ შენი საქმე არ არის, ჩემს წილს მივიღებ, იქიდან უბანს უნდა ვცე პატივი, დანარჩენი კი მე თვითონ ვიცი რაში დაიხარჯება, ამაზე მაშინ ვილაპარაკებთ, როდესაც ფული ჯიბეში გვექნება, ის კაცი მელოდება, პასუხი უნდა გავცე. რას იტყვი?

— უკვე გითხარი.

— ჯიგარი ხარ, თემო. — ღიმილით მითხრა ტოგომ, მუშტი მეგობრულად შემომარტყა მკერდზე და უკანმოუხედავად გავარდა.

●

ქალი აუჩქარებლად გამოვიდა ბინიდან, რომელშიც, როგორც საქმის მიმცემმა გვითხრა, რესტავრატორი თუ იუველირი ცხოვრობდა. ჩვენ სადარბაზოსთან ველოდით. ტოგო უკნიდან ეცა, ხელები შეუბორკა, მე ხელჩანთა გამოვგლიჯე. ქალი შიშისაგან გაფართოებული თვალებით შემომცქეროდა, მაგრამ კივილი და ხმაური არ დაუწყია. როგორც კი ჩანთა ჩემთან დავიგულე, ქალს თავი მივანებეთ და გავიქეცით. რამდენიმე სადარბაზოს და ეზოს გადაკვეთის შემდეგ გავედით გზაზე, სადაც თვითონ საქმის მომცემი გველოდა. სირბილი აღარ იყო საჭირო, ამით ზედმეტ ყურადღებას მივიქცევდით. აუჩქარებლად მივუახლოვდით მანქანას. ჩავსხედით თუ არა, მანქანა ადგილიდან დაიძრა. საქმის მომცემს დრო აღარ დაუკარგავს, იქვე ამოიღო ხელჩანთიდან ძვირფასი ქვებით შემკული გულსაბნევი, ყურადღებით შეათ-

ვალიერა, კმაყოფილი იერით ჯიბეში ჩაიდო, ჩვენ კი გაზეთში გადახვეული ფულის მოზრდილი შეკვრა გადმოგვცა. ასე, სიტყვის უთქმელად დავშორდით ერთმანეთს. ფული არ გაგვიყვია, მთლიანად ტოგომ წაიღო სახლში. მე თვითონ მოვისურვე ასე. თუმცა ყველაფერმა კარგად ჩაიარა, მაგრამ რაღაც შინაგანი, აუხსნელი გრძნობა მაინც არ მაძლევდა მოსვენებას, ქალის გაოცებული მზერა ვერანაირად ვერ ამოვიგდე გონებიდან. არა, ეს არ იყო სინდისის ქენჯნა, ამგვარი და კიდევ უფრო სერიოზული საქმეები ადრეც გვქონია გაკეთებული. ეს რაღაც სხვა იყო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს გულსაბნევი ვილაც ახლობელს წავართვი და ამის შესახებ არაფერი ვიცოდი, ამიტომ ველარც ფულზე ხელის ხლება შევძელი.

●

ორიოდე კვირა იქნებოდა გასული მომხდარი ამბიდან, როდესაც თამილამ ჩემი პირველი რამდენიმე ძველი ნამუშევრის მისი ნაცნობი მხატვრებისათვის გასაცნობად თავისთან მიმიწვია.

– ჩემთან აკადემიის მასწავლებლებიც იქნებიან, მინდა მათ წარვუდგინო შენი თავი, მომავალში გამოგადგება ეს ნაცნობობა, თუმცა რისთვის გელაპარაკები, ეკაც იქ იქნება, შენ ხომ არავინ გაინტერესებს მეტი. – დაუმატა ღიმილით.

თამილას სახლს დათქმულ დროს მივადექი. კარი თვითონ ეკამ გამიღო. კმაყოფილი მზერა მესროლა საგულდაგულოდ გამოწყობილს, ხელი ჩამკიდა და სასტუმრო ოთახისკენ გამაქანა. სასტუმრო ოთახში ათიოდე ქალის და მამაკაცის ინტერესით ალსავსე მზერა შემომეგება.

– გაიცანით, – წამოიწყო თამილამ, მაგრამ სიტყვის დამთავრება ველარ შესძლო.

– ამას აქ რა უნდა, ამ ყაჩალს! – წამოიკივლა სტუმართაგან ერთ-ერთმა ქალმა.

თვალებში დამიბნელდა. მაშინვე ვიცანი სადარბაზოსთან გაძარცული ქალი. თავისთავად გასაგები იყო, რომ მანაც ადვილად მიცნო.

ალარ მესმოდა, როგორ ყვებოდა ალელვებული ქალი რაღაცას. საერთოდ არაფერი ალარ მესმოდა. თვალწინ მხოლოდ გაოგნებული თამილა და ეკას გაფითრებული სახე მედგა. მძიმედ შევბრუნდი, ხელი არავის შეუშლია, არეული ნაბიჯით გამოვედი სახლიდან და უკანმოუხედავად გავიქეცი.

სახლში ალარ მივსულვარ, ის ლამე ტოგოსთან გავატარე. გათენებამდე ბნელ გვირაბში დაეხეტებოდა ჩემი ფიქრები. ვხვდებოდი, რომ ეს ყველაფრის დასასრული იყო, მაგრამ გონებას არ შეეძლო ამის დაჯერება, უბრალოდ, არ სურდა.

ტოგო დილით დაბრუნდა, დალლილი სახით შემოვიდა ოთახში და ჩემს გვერდით ჩამოჯდა საწოლზე.

– ცუდად არის საქმე, უარზეა, არ დაგვიბრუნებს. – თქვა ხმადაბლა.

– რატომ, ჩვენ ხომ ფულს ვუბრუნებთ?

– გულსაბნევი ორჯერ თუ სამჯერ მეტი ლირს, თანაც უკვე გაყიდულია, თუ გინდა ქურდებთან ავიდეთო.

– ავიდეთ.

– რა აზრი აქვს, სიმართლე მის მხარეზეა, მან საქმე შემოგვთავაზა, ჩვენ დავთანხმდით, ფული პატიოსნად გადაგვიხადა, არც ის დაუმალავს, რომ გულსაბნევი უფრო მეტი ლირდა. ახლა მასთან მილიცია რომ მივიდეს, ჩვენ ბოზების სახელით შევალთ ციხეში. ის ტოგო მოკვდეს, მამამისის შვილს ბოზი რომ უწოდონ. ფული უნდა ვიშოვოთ, ბიჭები დაგვეხმარებიან, მაგრამ ეს მოგვიანებით, ახლა კი შენ ეკას დეიდა უნდა მოინახულო, უნდა გავიგოთ, რამდენს მოგვთხოვენ გულსაბნევის სანაცვლოდ.

– ხომ არ გაგიჟდი ტოგო, იქ მისვლას სიკვდილი მირჩევნია.

– მესმის თემო, მაგრამ სხვა გამოსავალი არ გვაქვს, იმ ქალმა განცხადება არ უნდა შეიტანოს მილიციაში.

– იქნებ, უკვე იჩივლა?

– არა მგონია, უბანს დაეტყობოდა, შენს სახლთან სიწყნარეა.

– არა, – თავი გავიქნიე მე, – ვერ შევძლებ იქ მისვლას.

ზარის ხმამ ლაპარაკი შეგვაწყვეტინა. ტოგომ დაძაბული მზერა მესროლა.

– არავის არ ველოდები, ჩუმად იყავი, – მითხრა ჩურჩულით და ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდა.

– ეკაა, – მითხრა უკანდაბრუნებულმა, – არ გავულებ, მილიცია მოაგზავნიდა.

– გაულე.

– არა, ციხეში მიგეჩქარება?

– შენ არ იცნობ ეკას, ის არასოდეს არ მოიყვანდა მილიციას.

– მე მაგას არ ვამბობ, შეიძლება არც იცოდეს, არ იცი, რა გველები არიან? – მითხრა ჩურჩულით.

– გაულე ტოგო, შენ ხომ გინდოდა, რომ მის დეიდას შევხვედროდი, რა მნიშვნელობა აქვს ეკას ვნახავთ თუ დეიდამისს.

– ეგ ალარ მიფიქრია, – კეფა მოიფხანა ტოგომ და კარებს მიაშურა.

●

ეკას გაცრეცილმა სახემ და ნამტირალევმა თვალებმა მიმახვედრა, რომ მასაც მძიმე ღამე გადაეტანა.

– ტოგო, მე და თემოს სალაპარაკო გვაქვს, თუ შეგიძლია მარტო დაგვტოვე, – ხმადაბლა თქვა ოთახში შემოსულმა ეკამ მცირე პაუზის შემდეგ.

ტოგომ ქურთუკს ნამოავლო ხელი, უსიტყვოდ მანიშნა რა ვქნაო და როდესაც ჩემი თანხმობა მიიღო, ბინიდან გავიდა.

– რისთვის მოხვედი ეკა? – ვკითხე მე.

თითქოს ჩემი ხმის გაგონებას ელოდებოდაო, ულონოდ დაეშვა საწოლზე და აქვითინდა. მე გაქვავებული ვიჯექი. არ ვიცოდი, რა მომემოქმედებინა. როგორც იქნა, ეკა იმდენად დამშვიდდა, რომ ლაპარაკი შეძლო.

– მე უნდა გამომყვე, თემო. – მითხრა აკანკალებული ხმით.

– სად?

– თამილას სურს შენი ნახვა.

– არ შემიძლია, ხომ ხვდები, რომ არ შემიძლია.

– უნდა შეძლო თემო, ახლა მხოლოდ მას შეუძლია ჩვენი გადარჩენა.

– ჩვენი? – ვთქვი გაჭირვებით.

– პო, ჩვენი, ეს რა დღეში ჩამაგდე, თემო, – ულონოდ თქვა ეკამ, – შენ ხომ ისიც არ იცი, რომ ის ქალი დეიდაჩემი იყო. – ისევ ატირდა.

მისი სიტყვების გაგონებაზე, წესით, თავზარი უნდა დამცემოდა, მაგრამ იმ წუთებში გონებამ მხოლოდ ერთი ფრაზა აღიქვა, – ჩვენი გადარჩენა!

საწოლს მივუახლოვდი, იატაკზე დავეშვი და მისი ხელები ხელებში მოვიქციე.

– ყველგან წამოგყვები, ყველაფერს გავაკეთებ, მაგრამ ახლა მხოლოდ ერთი რამ მითხარი, რას ნიშნავს ჩვენი გადარჩენა? – ვუთხარი სულშეხუთულმა.

– რას უნდა ნიშნავდეს, თემო, მე უშენოდ სიცოცხლე არ შემიძლია, შენ რომ დაგიჭირონ... – აღარ დაამთავრა სათქმელი.

– ეს შენს მშობლებს უთხარი?

– ვუთხარი. – მიპასუხა ჩურჩულით. – დედა და მამა ძალიან გაბრაზებულები არიან, გულსაბნევი აღარც კი ახსოვთ, მილიციას არაფერს არ შეატყობინებენ, მაგრამ შენ უნდა წახვიდე ჩემი ცხოვრებიდან. არასოდეს არ შევურიგდები ამას, მირჩევნია ისევ ციხეში მოხვდე, მე დაგელოდები, ვიდრე ასე ვთქვა უარი შენზე. ეს თამილამაც იცის. ამიტომ დამრთო შენთან შეხვედრის უფლება და შენთან შეხვედრა ამიტომ სურს, ახლავე. – დაუმატა პაუზის შემდეგ.

გაოგნებული ვუსმენდი ერთის შეხედვით სუსტ გოგონას, რომელიც ჯერ კიდევ ბავშვი იყო. მხოლოდ ახლა მივხვდი, რამხელა ტკივილი მივაყენე მას და როგორი გაბედულება და თავდადება უნდა ყოფილიყო მასში, როდესაც მშობლებს ამ სიტყვებს ეუბნებოდა.

– კარგი ეკა, წამოგყვები თამილასთან, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, გონება უნდა მოვიკრიბო.

– არ არის საჭირო. ახლა თამილა ერთადერთი მეგობარია და მას დახმარება სურს, ის გველოდება, წავიდეთ.

●

თამილა მშვიდად შემხვდა, სავარძელში ჩაჯდომა მთხოვა, თვითონ ჩემს პირდაპირ მოეწყო და თვალებში ჩამაცქერდა.

– გულახდილად ვილაპარაკოთ თემო, ეკა გეტყოდა, რომ შენი დახმარება მინდა, – დაიწყო აუჩქარებლად.

– მითხრა.

– შენ გჯერა ჩემი?

– მე ეკასი მჯერა.

– კეთილი. არც კი ვიცი, რითი დავიწყო, არ დაგიმალავ, მე მომწონხარ თემო, მიუხედავად მომხდარისა, მაინც შევინარჩუნე შენს მიმართ კეთილი დამოკიდებულება. აკადემიაში, და ისეც, ახალგაზრდებთან ყოველთვის ახლო ურთიერთობას ვინარჩუნებ, რაც საშუალებას მაძლევს უკეთ ჩავიხედო თქვენს ცხოვრებაში. შენი საქციელის გამართლება არ შეიძლება, მაგრამ მე მომხდარს მხოლოდ შენს ახალგაზრდულ ასაკს მივაწერ და არა შენს სულიერებას. მე სულ სხვანაირს გიცნობ, შენმა ნახატებმა გამაცნეს შენი თავი. უსულო და ბოროტი ადამიანი ასე ხატვას ვერ შეძლებდა, თანაც ვხვდები, რისთვისაც ჩაიდინე ეს. ეკა გეტყოდა, რომ ის ქალი მისი დეიდა და ჩემი ღვიძლი დაა. წარმოიდგინე, რა მდგომარეობაშია ახლა ის, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ეკამ თქვენი ურთიერთობა დაუფარავად გააცნო. მაგრამ, როგორც არ უნდა მიყვარდეს ჩემი და, მაინც ვერ დავეთანხმები შენთვის ნორმალური ცხოვრების შესაძლებლობის დაკარგვას. ის გულსაბნევი ამად არ ღირს. მე შევძელი მისი დარწმუნება, რომ მილიციაში არ განეცხადებინა მომხდარის შესახებ. მთელი სამყაროს საგანძური ვერ მაიძულებდა ტკივილი მიმეყენებინა ეკასთვის, მაგრამ ამის სანაცვლოდ ეკას შენი დავიწყება მოსთხოვეს. არც კი ვიცი, რომელი უფრო მკაცრი განაჩენია, ციხე თუ... მაგრამ შენც ძლიერ გვატკინე გული თემო და პირველ რიგში ეკას.

მე მძიმედ დავუქნიე თავი.

– ჩემთვის მხოლოდ ერთი პოზიციაა მისაღები, – გააგრძელა თამილამ, – ეკას უყვარხარ, ასე რომ არ იყოს, მომხდარის შემდეგ შენი სახელის გაგონებასაც აღარ მოისურვებდა. მან კი უფრო მეტი გააკეთა, მშობლებს გულახდილად უთხრა ამის შესახებ და შენ აქ მოგიყვანა. მე მინდა თქვენი დახმარება, მაგრამ შენ პირობა უნდა მომცე, ვაჟკაცური პირობა, რომ შენს ცხოვრებაში მსგავსი აღარ განმეორდება. მე არ მოგცემ ეკასთვის ასეთი ტკივილის მიყენების შესაძლებლობას.

– აღარ განმეორდება, მხოლოდ ეკას ვაძლევ ამ პირობას. – ვთქვი მე.

– დარწმუნებული ვარ, რომ ასეც იქნება. ეკას სასტიკად აუკრძალეს შენთან შეხვედრა, არ ღირს მშობლების განაწყენება, – გადახედა ეკას, – ახლა ყველაფერი შენზეა დამოკიდებული, – მომიბრუნდა ისევ მე, – ყველას უნდა დაუმტკიცო, რომ ეს მართლაც ახალგაზრდობით მოგივიდა და შენ ნორმალური ცხოვრება შეგიძლია. ჩემი სახლის კარი ძველებურად ღიაა შენთვის, დანყებულის შეწყვეტა არ შეიძლება, შენი ნიჭის პატრონს ამის უფლება არ გაქვს, ზაფხულში გამოცდებია, უნდა მოემზადო. დრო ყველაფრის მკურნალია, შენ თვითონ დაფიქრდი, რა განსხვავებაა ქუჩის მძარცველსა და აკადემიის სტუდენტს შორის.

– რატომ აკეთებთ ამას? – წამომცდა თავისდაუნებურად.

– იმიტომ, რომ ეკა მიყვარს, და მიყვარს ყველა, ვინც ეკას უყვარს. იმიტომ, რომ ერთ დღეს მე არ მომეცა საშუალება ვყოფილიყავი იმ ადამიანის  გვერდით, ვინც მიყვარდა, და არც იმდენი თავდადება აღმომაჩნდა, როგორც ეკას. რა გამოვიდა აქედან?! სხვისი შეყვარება ველარ შევძელი, დავრჩი ასე უსიყვარულოდ. უსიყვარულოდ კი, მერწმუნეთ, ცხოვრება ძალიან უფერულია. – გულახდილად მიპასუხა თამილამ.

– რა კარგი ხარ. – მკერდში ჩაეკრა ეკა გულაჩუყებულ და თვალებზე ცრემლმომდგარ დეიდას.

– გულსაბნევი? – ვიკითხე მე.

– მე ვფიქრობ, რომ შენ მისი დაბრუნება აღარ შეგიძლია, სხვა შემთხვევაში ხელცარიელი არ მოხვიდოდი.

– ფულად ავუნაზღაურებ.

– ვის აუნაზღაურებ?

– ეკას მშობლებს.

– ისინი არასოდეს არ მოჰკიდებენ ხელს ამ ფულს, გულსაბნევი ოჯახური რელიქვია იყო. ის ეკას ეკუთვნოდა, ბებიასგან დარჩა სახსოვრად.

– მაშინ, როგორ მოვიქცე, ასე უბრალოდ ვერ დავივიწყებ.

– ეკამ მშობლებს უთხრა, რომ შენ გჩუქნის გულსაბნევს, მას აქვს უფლება თავისი შეხედულებისამებრ მოექცეს საკუთარ ნივთს.

– მე ვერ მივიღებ ასეთ საჩუქარს. – შევხედე ეკას.

– შენ ბევრად მეტი მიიღე, თემო, მაგრამ მე არ ჩავერევი თქვენს საქმეში, ახლა უკვე შეგიძლიათ თქვენით გადაწყვიტოთ ყველაფერი. – თქვა თამილამ და ფეხზე ადგა. – მარტო დაგტოვებთ, ალბათ ბევრი გაქვთ ერთმანეთისთვის სათქმელი.

●

რაღა უნდა დაგვრჩენოდა ჩვენ ერთმანეთისთვის უთქმელი, ალბათ, არაფერი. მაგრამ, არა, ასე არ იყო, ყველაფერი თქმული იყო, გარდა...

დიდი ხნის განმავლობაში თვალებაჭრელებული დავცქეროდი იატაკს და გონების მოკრებას ვცდილობდი. ბოლოს წამოვდექი, ეკას მივუახლოვდი, ფეხზე წამოვაყენე და თვალებში ჩავაცქერდი. მაშინვე დავკარგე რეალობის გრძნობა. ველარ გავარჩიე, რომელი იყო ჩემს წინ, ჩემით შექმნილი ნახატი, ნამდვილი თუ ერთიცა და მეორეც.

თვალები, უძიროდ ღრმა, კითხვით და მოლოდინით აღსავსე თვალები, მშვიდად შემომცქეროდნენ.

– მიყვარხარ ეკა. – ვთქვი სრულიად უბრალოდ, ისე უბრალოდ, რომ გამიკვირდა კიდეც. თურმე, რა ადვილი ყოფილა ამ ორი სიტყვის წარმოთქმა, რაც სულ ცოტა ხნის წინ წარმოუდგენლად მეჩვენებოდა. წვრილ წელზე შემოსალტულმა ხელებმა თავისთავად მოიზიდეს ჩემსკენ მისი სხეული. ეკა მკერდზე მომეკრა და თავი მხარზე ჩამომადო.

– მეც მიყვარხარ, თემო. – თბილ, ჟრუანტელისმომგვრელ სუნთქვად შემოიჭრა ყურში მისი ჩურჩული და მთელმა გარე სამყარომ არსებობა შეწყვიტა.

●

მომხდარის შემდეგ ველარავინ ველარ მცნობდა, ვერც შინ და ვერც გარეთ. რაღაც არაადამიანური ენერგიით, გაშმაგებული შევუდექი მუშაობას. დილით ყველაზე ადრე მისული თეატრში, მხოლოდ გვიან ღამით ვტოვებდი სახელოსნოდ ქცეულ ოთახს. თამი-

ლას თხოვნის მიუხედავად, ეკას მშობლებთან შემთხვევითი შეხვედრის თავიდან ასაცილებლად, მის სახლში აღარ მივსულვარ, მაგრამ ის მაინც არ მტოვებდა უყურადღებოდ, თვითონ მაკითხავდა თეატრში და მუშაობაში მეხმარებოდა. ეკას ძველებურად ხშირად ვეღარ ვხვდებოდი, მას თეატრში იცნობდნენ, იცნობდნენ მის ოჯახსაც. ჩვენ კარგად გვახსოვდა თამილას თხოვნა და ხანმოკლე შეხვედრებისთვის ისეთ ადგილებს ვირჩევდით, სადაც მას არავინ იცნობდა.

როგორც იქნა, ზაფხულამდე დარჩენილი დრო მიილია, დაიწყო გამოცდები.

არ ვიცი, რა იყო ეს, ღმერთის წყალობა, ჩემი დაჟინების, თამილას დახმარების, თუ ეკას სიყვარულის შედეგი, იქნებ ყველაფერი ერთად, მაგრამ მოხდა სასწაული და მე სამხატვრო აკადემიის სტუდენტი გავხდი.

ეს მოვლენა ყველამ თავისებურად აღიქვა: დედამ ტირილით, თამილამ სიამაყით, ის ხომ თავის აღმოჩენად მთვლიდა, ტოგომ მხარზე ჩამომარტყა ხელი.

— როგორ შეძელი ბიჭო, მიმღები კომისიის მოტყუება, შენ ხომ წარმოდგენაც არა გაქვს ხატვაზე, მაგარი ხარ, — მითხრა კმაყოფილი სახით და ძმურად გადამკოცნა.

ეკა?! — შეუძლებელია მისი სიხარულის გადმოცემა, ალბათ ამას ჰქვია მეშვიდე ცაზე ყოფნა და მეც, მასთან ერთად ვიყავი, სადღაც შორს, თეთრ, ქათქათა ღრუბლებში გახვეულ სამყაროში, ეს ხომ ჩვენი საერთო გამარჯვება იყო.

ეს იყო ჩვენი ერთად გატარებული უკანასკნელი ნათელი დღეები და ჩემი სიცოცხლის დასასრულის დასაწყისი.

●

როგორ შიშისმომგვრელად დაუცველია ჩვენი სიცოცხლე, საკმარისია ცივი ქარის ერთი, მძლავრი შემოტევა და ის, რასაც ჩვენ სიცოცხლედ ვთვლით, უაზრო არსებობად, უფრო მეტიც, წამებად გადაიქცევა.

●

ჩვენ მშვიდად ვისხედით კაფეში. ერთად ყოფნა გვიხაროდა, და სხვა არაფერი აღარ გვაინტერესებდა, ვლაპარაკობდით, რაზე? ხვალინდელ დღეზე, ჩვენი ახალგაზრდული ფანტაზიით ვხატავდით ჯადოსნურ „ხვალეს" და არ ვიცოდით, რომ ხვალ აღარასოდეს დადგებოდა, ვერ ვგრძნობდით, როგორ შეუმჩნევლად გვიახლოვდებოდა სიკვდილი, სიკვდილი უცხო ადამიანისა, რომელიც მომავალში ჩემი სიკვდილის პირდაპირი მიზეზი უნდა გამხდარიყო.

მაგიდას უტიფრად მოეახლა შემთვრალი ახალგაზრდა, რომელშიც ეკას ყოფილი თანაკლასელი ამოვიცანი, სწორედ ის, რომელიც ერთი წლის წინ ჩვენი უნებლიე გაცნობის მიზეზი გახდა. სხვა ვითარებაში გულითად მადლობას გადავუხდიდი მას, მაგრამ იმ საღამოს...

— ამას ვის ვხედავ, — წაიბორძიკა მაგიდასთან და ამღვრეული მზერა ეკას მიაპყრო, — გაისეირნე რამდენიმე წუთით, ჩვენ სალაპარაკო გვაქვს. — მომიგდო არნახული უტიფრობით და მხარში მიბიძგა.

ასე თავხედურად არასოდეს მომქცევიან, თავის შეკავება არც მიცდია, ფეხზე წამოვვარდი და სილა გავარტყი, მუშტი შეგნებულად არ მიხმარია, დამამცირებელი, ხმაურიანი სილა.

— ვის უბედავ ნაბიჭვარო! — წამოიძახამან და საპასუხოდ მომიქნია მარჯვენა.

თვალებში დამიბნელდა, უმამოდ გაზრდილს. ნაბიჭვარო! — ეს იყო ჩემი ყველაზე მტკივნეული ადგილი. საბოლოოდ დავკარგე წონასწორობა, ყველაფერი ერთმანეთში აირია, ყვირილი, ჭურჭლის მტვრევის ხმა. შეურაცხმყოფელს რამდენიმე დამხმარე გამოუჩნდა, არ მახსოვს სამი თუ ოთხი, უთანასწორო ჩხუბში აშკარად დავიჩაგრე. შემდეგ კი, წყეულიმც იყოს ის დღე, ეკას, რომელიც ჩვენს გაშველებას ცდილობდა, დაარტყეს. ის მოწყვეტილი წაიქცა.

ჩხუბი მოულოდნელად სწრაფად შეწყდა.

— მოჰკლეს! — საიდანღაც შორიდან ჩამესმა შემზარავი კივილი.

თვალებზე ჩამოწოლილი ბურუსი ნელა გაიფანტა. პირველი, რაც დავინახე, ეკას შიშისაგან გაფართოებული თვალები იყო. ოღონდ ისინი მე არ მიმზერდნენ. თვალი გავაყოლე მის მზერას. ჩემგან ოდნავ მოშორებით, იატაკზე გაშოტილ ახალგაზრდას რამდენიმე მამაკაცი ეხვეოდა თავს და ყელიდან გადმოხეთქილი სისხლის მფეთქავი შადრევნის შეჩერებას უშედეგოდ ცდილობდა. მათ გვერდით კი, მეორე, სახეგასისხლიანებული ახალგაზრდა ბორგავდა.

მარჯვენა ხელში რაღაც საგანი შევიგრძენი. დავხედე, სისხლში ამოსვრილი ბოთლის ნამსხვრევი აღმოჩნდა. თითები თავისთავად გამეშალა, ნამსხვრევი წკრიალით დაეცა ქვის ფილებით მოპირკეთებულ იატაკზე. გაოგნებულმა ისევ ეკას შევხედე, მანაც შემომხედა, — თემო, — ამოვიკითხე მისი ტუჩების უხმო მოძრაობაში. უკან გადაქანდა და იატაკზე ულონოდ ჩაიკეცა.

მისკენ გავქანდი.

– გარბის, დაიჭირეთ! – იყვირა ვილაცამ.

მხოლოდ მაშინ მივხვდი, რომ ეს სიტყვები ჩემი მისამართით იყო თქმული, როდესაც რამდენიმე ხელი მწვდა და სადღაც, ეკასგან წარმოუდგენლად შორს გამათრია.

●

მოგვიანებით საკანში შევიტყვე, რომ ის ახალგაზრდა მომკვდარიყო. მთელი უბანი ფეხზე დადგა, ყველა ჩემს დახმარებას ცდილობდა, ეკას მშობლებიც კი. მაგრამ დალუპულის ოჯახი ცხოვრებისეული იერარქიით ძალიან მაღალი აღმოჩნდა. მათი მცდელობა უშედეგოდ დამთავრდა.

სასამართლოზე გაოგნებული ვისმენდი მოწმეების ჩვენებებს: ახალგაზრდა ჩვენს მაგიდასთან წაბორძიკდა და ზრდილობიანად მოიხადა ბოდიში. მე ვიუკადრისე მისი საქციელი, სილა გავარტყი, შევაგინე. ჩემს უაზრო აგრესიას ეკას, ახალგაზრდა გოგონასთვის შეუფერებელი რეპლიკები კიდევ უფრო ამძაფრებდა. მისმა მეგობრებმა ჩვენი გაშველება სცადეს. ყველასთვის მოულოდნელად მაგიდიდან ბოთლი ავიტაცე, ერთ-ერთ გამშველებელს თავზე გადავამტვრიე და შემდეგ ნამსხვრევი ყელში ჩავეცი ახალგაზრდას. ნამსხვრევმა საძილე არტერია გადაჭრა, ახალგაზრდა მწვავე სისხლნაკლებობით დაიღუპა. მე საზოგადოებისათვის საშიში მკვლელი ვარ.

ყველაფერ ამას აგვირგვინებდა ჩემი უბნის მილიციიდან მიღებული დახასიათება, რომლის თანახმად, მე გამოუსწორებელი პოტენციური დამნაშავე ვიყავი. ამასთან ერთად, არაერთხელ ვიყავი დაკავებული ჯგუფურ ჩხუბში მონაწილეობისათვის, რომლებიც ადამიანის დაჭრითაც კი დამთავრებულა, კანონდარღვევა და დანის ტრიალი ჩემთვის უცხო ხილი არ იყო და მომხდარი ჩემი ცხოვრების ლოგიკური შედეგი გახლდათ.

ეკა, როგორ აწვალეს საწყალი. ის ცდილობდა, მაგრამ არ შეეძლო მის თვალწინ მომხდარის მშვიდად მოყოლა, როგორც ამას დანარჩენი მოწმეები ახერხებდნენ.

თორმეტი წელი. ეკა გულწასული გადაესვენა დეიდამისის მკლავებზე. დარბაზში დედის ტირილი გაისმა. ყველა ტიროდა. არ ტიროდნენ მხოლოდ მოსამართლე და ტოგო. ის გაქვავებული სახით იჯდა და ზიზღით ანთებული თვალებით ბურღავდა მოსამართლეს, რომელმაც აღარ იცოდა, სად დამალვოდა დარბაზში მყოფი ხალხის ტირილს და მის გამოხედვას.

თორმეტი წელი. ეს სასიკვდილო განაჩენი იყო. მე არ მსურს თორმეტწლიანი სიკვდილი და შემდეგ ისევ სიკვდილი.

მაპატიე დედა. შენთვის ასე აჯობებს, კიდევ ის მაპატიე, რომ ამ უბის წიგნაკში მეტი არაფერი არ არის შენზე, ჩემი ბავშვობა, სიყმაწვილე, ის დღეები ყველა ერთმანეთს ჰგავდნენ, ჩვენ ერთით ვსუნთქავდით, მთელი ჩვენი ხანმოკლე სიცოცხლის მანძილზე, ერთით ვცხოვრობდით მე, შენ და მამა, რომელიც მაინც აღარ დაბრუნდა ჩვენთან.

მაპატიე ეკა, ის მაპატიე, რომ ჩემთვის დავიტოვე ყველა ის მომაჯადოვებელი დღე, შენ კი მხოლოდ ტკივილი გარგუნე.

მე სხვა არაფერი მქონია ცხოვრებაში, დედა, ეკა, ტოგო და ხატვა. ახლა ეს ყველაფერი წარსულში დარჩა. მე აღარ შემიძლია სიცოცხლე და აღარც მსურს.

როგორ შიშისმომგვრელად დაუცველია ჩვენი სიცოცხლე, საკმარისია ცივი ქარის ერთი, მძლავრი შემოტევა და ის, რასაც ჩვენ სიცოცხლედ ვთვლით, უაზრო არსებობად, უფრო მეტიც, წამებად გადაიქცევა.

●

ზურაბმა ფრთხილად დახურა უბის წიგნაკი და ხელი კონიაკის ბოთლისკენ გაიწოდა. მხოლოდ ახლა შეამჩნია, როგორ უკანკალებდა მარჯვენა, ბოთლიც ცარიელი აღმოჩნდა. ბარს მიაშურა, მეორე ბოთლი გახსნა, სავარძელს დაუბრუნდა და კონიაკი პირდაპირ ბოთლიდან მოსვა დიდი ყლუპით. ხელების კანკალმა მაინც არ გაუარა. სავარძელში შებრუნებულმა თეძოსთან რაღაც მკვრივი იგრძნო. პისტოლეტი – გაუელვა გონებაში, ფრთხილად ამოიღო ქამარზე მორგებული ბუდიდან, შავად მოელვარე ლითონმა, რომელსაც დამწვარი დენთის ძლიერი სუნი ასდიოდა, ზიზღი მოჰგვარა, ისე შეუშვა ხელი, თითქოს გავარვარებული რკინა სჭეროდეს. პისტოლეტი ხმადაბალი ბრაგუნით დავარდა იატაკზე გაფენილ ხალიჩაზე. რატომღაც ხელები დაიყნოსა, მოეჩვენა, რომ სისხლის მწკლარტე სუნი იგრძნო. სწრაფად გავიდა სააბაზანო ოთახში, ხელებზე წყალი გადაივლო, სახეზეც შეისხა პეშვით, სახის პირსახოცით შემშრალებისას მოეჩვენა, რომ სისხლის სუნი უფრო გაძლიერდა. ამჯერად საპნით დაიბანა ხელები, კვლავ უშედეგოდ. ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა, ხალიჩაზე დაგდებული პისტოლეტი ფეხის დარტყმით შეაგდო დივანის ქვეშ, აკანკალებულ ხელებზე კონიაკი გადაივლო, რამდენიმე ყლუპი მოსვა და სავარძელში ჩაეშვა.

ღმერთო ჩემო, რისთვის დავიდე ამხელა ცოდვა, — გაიფიქრა შიშატანილმა, — საიდან გადავეყარე ამ უბედურს, არ მომეკლა მაინც, ის ხომ სროლას არ აპირებდა, აშკარად არ აპირებდა სროლას, მძღოლსაც შესაშინებლად ესროლა, ასეთ მანძილზე შეუძლებელი იყო აცილება, კედელს ესროლა, თავი რომ დაგვენებებინა და წასვლის შესაძლებლობა მიგვეცა. არც ჩემი მოკვლა სურდა, ავტომატი დაუშვა როგორც კი ნაქცეული დამინახა. მე კი მოვკალი, შევშინდი, შემდეგ კი შიშის გრძნობა ბრაზმა შეცვალა, ჩემს თავზე გავბრაზდი, როგორ უნდა შევეშინებინე კოლონიიდან გაქცეულ პატიმარს, რომელსაც თვითონ სძვრებოდა სული შიშისაგან, ასე გავიფიქრე მაშინ, ჩემს თავზე გავბრაზდი და ვესროლე, თანაც მძღოლი, მეგონა რომ მოჰკლა, ჩემი გაზრდილი ბიჭი მოჰკლა, შვილში რომ არ გამომერჩევა ისეთი.

ეს რამხელა ცოდვა დავიდე, ქართველი მაინც არ ყოფილიყო, თბილისელი. შემზარა მისმა ნაწერმა, თუმცა რა მნიშვნელობა აქვს მის ეროვნებას, დედა და შეყვარებული ყველას ჰყავს. თვრამეტი წლის ბიჭი, ჯერ ისევ ბავშვი, როგორ გაბედა ამდენი, ღმერთო ჩემო, საიდან გადამეყარა, არ მომეკლა მაინც. — ისევ ხარბად მოსვა კონიაკი და თვალდახუჭული გადაწვა საზურგეზე.

უცნობი ქართველი პატიმრის უბის წიგნაკმა, ახალგაზრდობაში მიტოვებული ქალი გაახსენა, — რუსუდან, — წამოსცდა თავისდაუნებურად, სინდისის მწვავე ქენჯნა იგრძნო.

ამდენი წლის განმავლობაში ერთხელაც არ დაინტერესებულა ქალის ბედ-იღბლით, რომელიც ფეხმძიმე მიატოვა. მაშინ ის ინსტიტუტს ამთავრებდა. ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა, გაცნობა, რამდენიმე ჩვეულებრივი პაემანი, არაფერი განსაკუთრებული და შემდეგ არაჩვეულებრივი, თავდავიწყებული სიყვარული.

შემდეგ, პრაქტიკის მისაღებად გაგზავნეს რუსეთში და მაშინ დამთავრდა ყველაფერი. ახალგაცნობილი რუსი ქალი ვერაფრით დაუდგებოდა გვერდით რუსუდანს, ვერც სილამაზით, ვერც ქალობით და ვერც სულიერებით. თვითონაც ხვდებოდა, რომ ქალს მხოლოდ მისი განიერი მკერდი და ძლიერი მკლავები იზიდავდა. მაგრამ ამ ქალს გააჩნდა ის, რაც არ ჰქონდა რუსუდანს, მამა, რომელსაც მაღალი თანამდებობა ეკავა, გააჩნდა ნაცნობების ფართო წრე და ქორწინების შემთხვევაში მისთვის ისეთი პერსპექტივა და ასპარეზი იქმნებოდა, რომელზეც ოცნებაც კი არ შეეძლო. თბილისში დარჩენილი საყვარელი, ფეხმძიმე ქალი, მომავალმა პერსპექტივამ და უცხო ტომის ცივმა ასულმა გაიტაცა.

შემდეგ კი ხვდებოდა, რომ საკმარისი იყო თვალის თუნდაც ერთი შევლება რუსუდანზე და უკვე დაბადებულ პატარაზე და ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მიატოვებდა უცხო ქალს მამამისის პერსპექტივებით. ამიტომ იკავებდა თავს მისი მონახულებისაგან.

მოგვიანებით, უცხო ქალისაგან შეძენილმა ვაჟმა რუსუდანის და უნახავი შვილის უკვე გახსენებული სურათი სულის რომელიღაც ბნელ კუნჭულში შეაგდო და სამუდამოდ დაასამარა.

●

ამით დამთავრდა მისთვის მშვიდი ცხოვრება. უცნობი ახალგაზრდისათვის წართმეულმა სიცოცხლემ მისი სიმშვიდე თან გაიყოლა. იმ დღის შემდეგ მოსვენება აღარ მიჰკარებია აფორიაქებულ გონებას, თვალწინ სირბილისგან სახეწამოწითლებული, ავტომატმომარჯვებული ახალგაზრდის გაოცებული მზერა ედგა მუდამ. ვეღარც უბის წიგნაკის მოშორება შეძლო. სასტუმრო ოთახში შეკეტილი, უკვე მერამდენედ იწყებდა კითხვას, ბოლოში ჩადიოდა, ხელებზე, მანიად ქცეულ, სისხლის მწკლარტე სუნს გრძნობდა, სააბაზანოში გარბოდა, ხელებს გულმოდგინედ იბანდა, სასტუმრო ოთახში ბრუნდებოდა, გულს კონიაკით იმაგრებდა და ისევ კითხვას იწყებდა.

პისტოლეტი მეორე დღესვე მოიშორა თავიდან, თვითონ ვეღარ გაბედა ხელის ხლება, მძღოლი დაიბარა სახლში და დივანის ქვემოდან მისი გამოღება სთხოვა.

— რა ვუყო? — იკითხა მძღოლმა და ხელისგულით მოაშორა იარაღს ზედ დადებული მტვერი.

— განყოფილებაში წაიღე, მე აღარ მჭირდება.

— ჩემსას დაგიტოვებთ.

— არა, არ მინდა, — სწრაფად თქვა ზურაბმა და უკან დაიხია. — წადი, საიარაღე ოთახს ჩააბარე, მომაშორე, რომ აღარასოდეს ვნახო, წადი-მეთქი, რას მიყურებ. — იყვირა მოთმინებიდან გამოსულმა, როდესაც მძღოლის გაოცებული მზერა შენიშნა.

●

მომხდარიდან ერთი კვირის თავზე, გვიან ღამით, კითხვა ზარის ხმამ შეაწყვეტინა.

კარი ცოლმა გააღო. დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა.

– აქეთ შემობრძანდი, – თქვა მისმა ცოლმა.

– ზურაბი სად არის? – იკითხა მამაკაცის ნაცნობმა ხმამ.

ვინ უნდა იყოს? – გაიფიქრა ზურაბმა. სანამ ფეხზე წამოდგებოდა, კარი გაიღო, სასტუმრო ოთახში მისი მოადგილე შემოვიდა. გაოცებული მზერა ესროლა იატაკზე უწესრიგოდ მიყრილ კონიაკის ცარიელ ბოთლებს, ნამწვავებით სავსე საფერფლეს, მის გაუპარსავ სახეს და ამღვრეულ თვალებს და გაუბედავად ჩამოჯდა სავარძელზე.

– რა დაგემართა ზურაბ, ავად ხომ არა ხარ? – ჰკითხა ფრთხილად.

– არაფერია, გადავიღალე. რამ მოგიყვანა ასე გვიან, რამე ხომ არ მოხდა?

– არა, არაფერი არ მომხდარა, მაგრამ რომ არ მიგვესწრო, ნამდვილად მოხდებოდა.

– რა მოხდებოდა?

– განყოფილებაში შეტყობინება შემოვიდა ახალგაზრდების ჯგუფზე, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ გამვლელებს. გამოძახებაზე ოპერატიული ჯგუფი გავიდა, დროზე მოასწრეს, უკვე ჩხუბობდნენ. დაკავებულებში ერთ-ერთი შენი ვაჟია, ზედმეტი მოუვიდათ დალევა, სერიოზულად უნდა მოელაპარაკო ზურაბ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, ვილაც არ მოუთმენს. ჩხუბის წამომწყებად ყველა მას ასახელებს.

– ახლა სად არის?

– თავის საძინებელში.

– სხვები?

– ისინი განყოფილებაში დავტოვეთ, უგონოდ მთვრალები არიან, დილით გავარკვევთ ყველაფერს.

– ის რაღას გამოარჩიე, დეპუტატია?

– კარგი, ზურაბ, რა საჭიროა ასეთი ლაპარაკი. – იწყინა მოადგილემ.

– დილით თვითონ მოვა განყოფილებაში. როგორც საჭიროდ ჩათვლი, ისე მოექეცი, არ მინდა წიხლი ვკრა შენს პატივისცემას, თორემ ახლავე უკან გაგაყოლებდი. – უკმაყოფილო სახით თქვა ზურაბმა.

– სამსახურში როდის გამოხვალ? – შეფარული მზერა ესროლა მოადგილემ მის გადაღლილ სახეს.

– რისთვის მეკითხები?

– საიდუმლოდ გეტყვი ზურაბ, ხელმძღვანელობას შენი დაჯილდოება სურს, ჩვენც პატარა სიურპრიზი მოგიმზადეთ, ასე რომ, მთელი განყოფილება მხოლოდ შენ გელოდება.

– რისთვის?

– საშიში ბოროტმოქმედის ლიკვიდაციის დროს გამოჩენილი მამაცობისთვის. – [illegible]ლონურად უპასუხა მოადგილემ.

– რომელი მამაცობისთვის? – მწარედ ჩაიცინა ზურაბმა.

– ყველამ ვიცით, მძღოლმა ყველაფერი გვიამბო, რა საჭიროა თავმდაბლობა.

– ჩემზე უკეთ იცით? – წინ გადაიხარა ზურაბი და თვალებში ჩააცქერდა.

– რა თქმა უნდა, არა. – დაიბნა მოადგილე.

– არავინ არაფერი არ იცით, ყველამ დამანებეთ თავი! – მოულოდნელად აყვირდა ზურაბი, ფეხზე წამოიჭრა და შვილის საძინებელს მიაშურა.

საწოლზე ხელებგადაყრილი მისი თექვსმეტი წლის ვაჟი უაზროდ ლუღლუღებდა, ბორგავდა და დედას ტანზე გახდის საშუალებას არ აძლევდა. ზურაბმა ბრაზით მოიშორა წინ ჩამოფარებული ცოლი, შვილს ქეჩოში სწვდა და ხელის ერთი მოქნევით ფეხებთან მიუგდო უკან დადევნებულ მოადგილეს.

– უკან წაიყვანე, საკანში, თავის მეგობრებთან. როდის მოასწრო თექვსმეტი წლის ბიჭმა გალოთება, – ყვირილით მიუბრუნდა შეშინებულ ცოლს. – შენ რას უყურებდი, თუ მარტო შენი ჭრელა-ჭრულა ტანსაცმელი გაინტერესებს?!

მოადგილის ფეხებთან მოკრუნჩხულ ვაჟს გულისრევა აუტყდა. დედა მაშინვე დასახმარებლად მივარდა. ზურაბს მოუნელებელი საჭმლის მჟავე სუნი ეტაკა სახეში, შეშინებული სახით დაიხედა ხელებზე.

– სისხლი! – ჩაილაპარაკა ხმადაბლა.

– მომეშველე, რას უყურებ, – ბრაზით მიაძახა ცოლმა, – ვერ ხედავ, ბავშვი ცუდად არის.

– როგორ მომაბეზრეთ თავი. – ხმადაბლა ჩაილაპარაკა ზურაბმა. შვილის მოკრუნჩხულ სხეულს გადააბიჯა და სასტუმრო ოთახში მიიმალა. სამუშაო მაგიდის უჯრიდან ფული ამოიღო, სავარძელზე დატოვებული უბის წიგნაკი ჯიბეში ჩაიდო, დერეფანში დაბრუნდა და სწრაფად ჩაიცვა ლაბადა.

– რას შვრები, სად მიდიხარ? – შეშინებული მზერა ესროლა ცოლმა.

– თქვენგან შორს. – მოკლედ ისროლა ზურაბმა. ბინის გასაღები ფეხებთან მიუგდო და სადარბაზოში გავარდა.

●

დიდი ხნის განმავლობაში ვერ გაბედა სადარბაზოსთან მიახლოვება. მოუსვენრად

ნრიალებდა რუსუდანის სახლის გარშემო, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და ბინის ფანჯრებს აკვირდებოდა. მხოლოდ შებინდებისას მოიკრიბა გამბედაობა და სადარბაზოში შეაბიჯა.

რუსუდანის ბინის კარი ღია დახვდა. ბინიდან ტირილის ხმა გამოდიოდა. ავი წინათგრძნობით შეპყრობილი ფეხარეული შევიდა ბინაში. შავ, სამგლოვიარო ტანსაცმელში გამოწყობილი მასპინძლები დუმილით შეეგებნენ. ვერავინ იცნო, მხოლოდ სახეზე ხელებაფარებული, მტირალი ქალის გვერდით ჩამომსხდარი ახალგაზრდა გოგონა და თმააბურძგნული ვაჟი მოეჩვენენ საოცრად ნაცნობად.

ქალმა სახეზე აფარებული ხელები ნელა ჩამოუშვა. ტკივილით და ცრემლით ავსებულ თვალებში უკიდურესმა გაოცებამ გაირბინა.

— ზურაბ. — ჩავარდნილი ხმით თქვა ქალმა.

— რუსუდან. — გაჭირვებით წარმოთქვა ზურაბმა, ორიოდე ნაბიჯი გადადგა და მის წინ დაეშვა იატაკზე.

— ზურაბ. — გაიმეორა ქალმა და დანისლული მზერით ჩააცქერდა სახეში.

— მაპატიე, თუ საერთოდ შეიძლება ჩემი პატიება. გვიან მივხვდი ჩემს შეცდომას და დანაშაულს. აღარ არსებობს ჩემთვის ადგილი, სადაც სიმშვიდეს მოვიპოვებდე, მაპატიე, რუსუდან! — სუნთქვაშეკრული ლაპარაკობდა ზურაბი.

— დაიგვიანე ზურაბ, სულ ცოტა დაიგვიანე, მაგრამ მაინც იმდენად, რომ შენი მოსვლა ვერაფერს ველარ შეცვლის, შვებას თუ მოგცემს, მიპატიებია. — დაღლილი ხმით უპასუხა რუსუდანმა.

— შეცვლის, მე ყველაფერს გამოვასწორებ.

— რისთვის, ვისთვის?

— ჩვენთვის და ჩვენი, ჩვენი... — გაიმეორა რამდენჯერმე და ოთახში მყოფ რამდენიმე ახალგაზრდას შეშინებული მზერა მოავლო.

— ვხვდები, რისი თქმაც გინდა, ჩვენი შვილისთვის.

— მართალი ხარ, ჩვენი შვილისთვის. მე მინდა, მასაც ვთხოვო პატიება, ის აქ არის? — იკითხა ხანგრძლივი პაუზის შემდეგ.

ოთახში სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა.

— არა, ჩვენი შვილი აქ არ არის, შენ დაიგვიანე ზურაბ, — დაარღვია სიჩუმე რუსუდანის ტკივილით აღსავსე ხმამ, — ძალიან დაიგვიანე, ჩვენ აღარ გვყავს შვილი.

ზურაბმა აშკარად იგრძნო, როგორ შეიჭრა მკერდში ყინულივით ცივი ხელი და ღრუბელივით გაწურა აცახცახებული გული. ტკივილმა ელვასავით დაუ[illegible] გულს.

— არა, ეს შეუძლებელია, — ჩაიჩურჩულა თავზარდაცემულმა.

— სიცოცხლეს დავთმობდი, ასე რომ იყოს. — დაიკვნესა რუსუდანმა.

— არა, ასე არ უნდა მომხდარიყო, ასეთი სასჯელი არ დამიმსახურებია, ამ ტვირთით სიცოცხლეს ველარ შევძლებ.

— მუდამ შენთან შეხვედრაზე ოცნებობდა, როგორ დაიგვიანე ზურაბ, მუდამ შენს სახეს ხატავდა.

— რას შვებოდა? — სუნთქვა შეეკრა ზურაბს, უზომოდ გაზრდილმა ტვირთმა იატაკისკენ დაქაჩა.

— შეხედე! — ხელი გაიშვირა რუსუდანმა.

ზურაბმა მზერა გააყოლა ხელს, კედელზე ფანქრით შესრულებული მისი ზუსტი ასლი ეკიდა.

— ყოველთვის სჯეროდა, რომ ადრე თუ გვიან, მაინც გაგვიხსენებდი.

ზურაბს მისი სიტყვები აღარ ესმოდა. ნახატის გვერდით შავ ჩარჩოში ჩასმულ ახალგაზრდა სახეს მოჰკრა თვალი. მისმა გონებამ ერთი კვირით წინ, წვიმიან ღლეში გადაინაცვლა.

ახალგაზრდამ აღარ ისროლა, წამონთებული მზერა უკიდურესმა გაოცებამ შეცვალა, შემართული ავტომატი ძირს დაუშვა და შიშისაგან გაფართოებულ თვალებში ჩააკვდა. ეს სულ ორიოდე წამი გაგრძელდა. ზურაბმა ძალა მოიკრიბა, მარჯვენა შემართა და ისროლა. ტყვია მუცელში მოხვდა. ორად მოკეცილი მძიმედ დაეშვა სველ მიწაზე, ხელები ავტომატს შეუშვა და ჭრილობაზე მიიჭირა, მაგრამ ტკივილით და გაოცებით აღსავსე მზერა მაინც არ მოუშორებია მისი თვალებისთვის. განვლილი შიშით გაავებულმა ზურაბმა მისი სახე ამოიღო მიზანში. ახალგაზრდამ ხმამაღლა დაიყვირა, — მამა, — მაგრამ მას აღარ გაუგონია მისი ყვირილი, გონება მხოლოდ მის და მისგან მომდინარე საშიშროების მოსპობას ითხოვდა. ტყვია ყვრიმალში მოხვდა. მოშვებული სხეული უკან გადავარდა და სახით ძირს ჩაემხო.

— არა! — მთელი ხმით იყვირა ზურაბმა, ხელები საფეთქლებზე იტაცა და გმინვით დაეშვა იატაკზე.

ოთახში მყოფი ახალგაზრდები მაშინვე მის გვერდით გაჩნდნენ, წამოაყენეს და რუსუდანის გვერდით დასვეს სკამზე. გოგონამ წყლით სავსე ჭიქა მიაწოდა, როდესაც მან დალევა ვერ შესძლო, თავისი ხელით მოასმევინა ფრთხილად.

— რა არის ეს, — შიშით შეხედა რუსუდანმა და თმებზე გადაუსვა ხელი, — შენ ერთ წამში გაჭაღარავდი ზურაბ.

– ჩემი შვილი, ჩემი თემო, კოლონიიდან გაიქცა? – იკითხა ჩახლეჩილი ხმით.

– გაიქცა და ვილაც არაკაცმა მოკლა ჩემი ბიჭუნა. – ატირდა რუსუდანი. – ახლა, მის მეგობრებს მისი თბილისში, ჩემთან ჩამოსვენება სურთ.

– ეს გოგონა ეკაა, ეს კი ტოგო. – შიშით შეხედა თმააბურძგნულ ახალგაზრდას, რომელიც დაძაბულ მზერას არ აშორებდა.

– საიდან იცი მათი სახელები? – ტირილი შეწყვიტა გაოცებულმა რუსუდანმა.

– აი, აი, ნახე რა მაქვს, აქ ყველაფერი წერია. – ლაბადის შიდა ჯიბიდან ამოღებული უბის წიგნაკი ხელის კანკალით მიაწოდა.

– რა არის ეს, ზურაბ?

– ეს მისია, ვერ ვიცანი, არ შემეძლო მეცნო, – წყვეტილად ლაპარაკობდა ზურაბი, – მან მიცნო, აღარ მესროლა, ავტომატი ძირს დაუშვა, ვერ მივხვდი, რატომ. შემეშინდა, ძალიან შემეშინდა, მერე კი გავბრაზდი და ვესროლე.

– ვის ესროლე? – ჩურჩულით ჰკითხა გაფითრებულმა რუსუდანმა.

– იმას, გაქცეულ პატიმარს, შემეშინდა, ეს იმ პატიმრის უბის წიგნაკია.

– ეს თემოს ხელწერაა, მკვლელო! – ოდნავ გასაგონი ხმით თქვა რუსუდანმა, ზიზღით ჰკრა ხელი და ფეხზე წამომჭრილი, რამდენიმე ნაბიჯით დაშორდა.

მუხლებზე დავარდნილი ზურაბი უკან მიჰყვა და ფეხებზე შემოეხვია.

– ვერ ვიცანი, – იმეორებდა ჯიუტად, – შემაშინა.

– არ შემეხო მკვლელო, მიშველეთ... – უღონოდ დაიკვნესა რუსუდანმა.

ტოგომ ყველას დაასწრო, ძლიერი მარჯვენით კისერში სწვდა და კეფ[illegible] მოისროლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

– ხელი არ ახლოთ! – მოკლე შეძახილით შეაჩერა ავად თვალებწამონთებული ახალგაზრდები, – ჩემი ხელით უნდა მოკვდე გველო! – ცივად გამოსცრა კბილებში და მძიმედ დაიძრა მისკენ.

– არა, – იყვირა მოულოდნელად გამოცოცხლებულმა ზურაბმა, – მე ვერავინ ველარ მომკლავს, ისედაც მკვდარი ვარ, – ფეხზე წამოიჭრა, შეშინებული სახით დაიხედა ხელებზე, – არა! – იყვირა მთელი ხმით, ერთი ნახტომით ფანჯარასთან გაჩნდა, მინა გაამტვრია და გარეთ გადავარდა.

რუსუდანი მკერდში ჩაკრული უბის წიგნაკით უგონოდ დაეშვა იატაკზე.

ეზოში უჭირისუფლოდ ეგდო სისხლში და ტალახში ამოსვრილი უსულო სხეული და არ დარჩენილიყო ამ ქვეყნად ადამიანი, რომელიც მის დატირებას მოისურვებდა.

ხელებგადაყრილი სხეულის ქვეშ დამდგარი სისხლი წვიმის წვეთებში ერეოდა, ცივდებოდა, ბაცდებოდა და გაწყალებული წვრილ ნაკადებად იშლებოდა ატალახებულ მიწაზე.

●

როგორ შიშისმომგვრელად დაუცველია ჩვენი სიცოცხლე, საკმარისია ცივი ქარის ერთი მძლავრი შემოტევა და...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჟა ეგრისელი

*ცნობილ ქართველ პოეტს ვაჟა ეგრისელს 60 წელი შეუსრულდა. ვულოცავთ მას ღირსშესანიშნავ თარიღს და ვუსურვებთ შემოქმედებით წარმატებებს.*

## ზედაზენი

კვლავ ჩაესმის მტკვარს და არაგვს,
შორით მოფრენილი მერცხლის
და ბულბულის ტკბილი ენა.
ისე მოჩანს ზედაზენი —
კიბედ ზეცის,
თითქოს მლოცველთ უხმობს ზენა.

მაინც

ჟამი ბობოქარ საუკუნეებს
ითვლის და ითვლის...
და ვერ ამთავრებს.
დგას მეხთატეხა და ქარიშხალი.
მაინც ანთია მცხეთას —
სამთავრო,
კოლხეთს —
ილორი,
ტაოს —
იშხანი.

## კოლხეთში

სიყვარულს და სათნოებას,
ისევ რეკენ აქ ზარები,
თუმც ზოგ-ზოგი ცოდვებს იდებს
და მიჰყვება შურის შარას.
მაინც დიდი ცოტნეს მოდგმას
დიდი ცოტნე აღმსარებლის
მზე და მადლი დაიფარავს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## გაზაფხული ქართლში

ქუხილის ეტლის გრიალით,
როცა ჩაივლის ელია —
ჭირისუფალი მეცხრე ცის,
ველ-მინდვრებს ფერი ეცვლებათ —
ვარდებს გაკვესენ ტალივით.
წუხს გაზაფხული —
მერცხლების
ფრთებით ქართლს ჩამოტანილი.

## ცივგომბორი

ცივად გვიმზერს ცივგომბორი
და შორიდან ალაზანი,
ვითარც ირმის ჩანს ნახტომი.
ელავს ელვა ათასფერად
თუ თელავში კახთ-ბატონი,
თავის პირბასრ ფრანგულს ფერავს!

## ბედიის ოქროს ბარძიმი

მიდიან საუკუნენი
და გზად სიცოცხლეს
კემსავენ,
არაფერია ხანგრძლივი.
თუმც ბრწყინავს —
ბაგრატ მესამის —
ბედიის ოქროს ბარძიმი.

●

მეძახის შენი ცა და სინათლე,
რა სანატრელი,
რა საამო ჟამი
მოვიდა.
მტკრევის ხმა მესმის საკუთარი სულის
და ძვალის.
და ამოვდივარ მიწიდან და სიმყუდროვიდან,
მე ამოვდივარ...
ამოვდივარ ბალახის ძალით!

ელექტრონული ბიბლიოთეკა

## ელვა

დრო მიაჭენებს ათასწლეულებს...
და ცის ტაძარში —
მლოცველივით მარტო მდგარ
მყინვარს,
უნაოჭდება დარდებისგან მაღალი შუბლი.
შორით რომ გაკრთა,
ელვა არა,
ესაა ბრწყინვა —
ბნელ წარსულიდან კოლხთა მიერ
ნატყორცნი შუბის.

●

უნდო ჟამისთვის რომ ყოფილიყო
ჩემი ქართული სიტყვა —
კერკეტი,
სტრიქონთა შორის — ქართლის ველ-მინდვრებს,
სემირამიდის ბაღად ვკიდებდი.
ჩემი სიცოცხლის მთელი მანძილი,
ამ ციცქნა ლექსებს ჩავკირკიტებდი.

## სურო

ქონგურით ხერხენ ციხეები საუკუნეებს...
ომებში ბევრი ციხე მოკლეს,
ბევრმა იცოცხლა
და ჩვენთა მტერთა მზერა მოისრა.
და ახლა ციხის კედელზე რომ
სურო მიცოცავს,
სურო კი არა,
სული არის მეციხოვნეთა.

## წიწამურთან

მწუხრი მწუხარე ზარების რეკვით,
ვითარცა გზირი
ჩამოდგა სოფლად
და გაილურსა,
გზას მიაპყრო თვალები სველი.
მერე როდესაც წიწამურთან იქუხა თოფმა,
შეკრთა და...
გულზე საქართველომ
იტაცა ხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოდარ ჩუნდაძე

## დიალოგი საკუთარ თავთან

— დარდი გაწუხებს, გიტყდება ძილი,
საერთო ჭირი გტანჯავს უდავოდ,
თუმც მაინც მღერი, ვერ გკრთობს თრთვილი, —
რა გემღერება, შე საცოდავო?

— თუმცა მაშფოთებს ტკივილი გულის,
მაინც არ მიჭირს ყელმოღერება,
სიმღერა არის მალამო წყლულის...
ისე, მართლაცდა რა მემღერება?!

●

ჩვენი ცხოვრების მიზანი დიდი:
არ იყოს ქვეყნად ცრემლი, გოდება,
არ ჭრიდეს სიტყვა მაცდურის, ფლიდის, —
ამიტომ გავჩნდით ჩვენ პოეტებად.

## პატარა გოგო

*ჩემს უმცროს ქალიშვილს — დალის*

დღეს მე ქვეყანას სხვა
თვალით ვუმზერ,
თუმც ისევ ვუჩლექ ენას პატარებს,
შენი ბავშვობა კვლავ მაზის ზურგზე,
თავის ნებაზე ისევ მატარებს.

საყინულეში მე გზრდიდით თბილად,
ენა ვერ იტყვის, მიჭირდა როგორ,
შენ დღესაც რჩები უმრწემეს შვილად,
როგორიც ადრე — პატარა გოგო.

უკვე დედა ხარ, მხცითშემოსილი,
გყავს ქალიშვილი და ორი ბიჭი,
ტყუილს ვერ ვიტყვი, — ვარ
ღვთის მორჩილი, —
მე უშენობა წამითაც მიჭირს.

●

... დიახ, ისა ვარ — შენი წარსული,
შეახე ხემი მდუმარე სიმებს,
სანუგეშო ხარ ჩემი ასული, —
დარდს ნუ აჰყვები, გთხოვ, გაიღიმე.

სანამ შენ ივლი სასაფლაოზე,
სანამ იჟღერებს სიმები ქნარის,
წყენა, ტკივილი ვერ დამაოსებს,
არ დაიჯერო, არა ვარ მკვდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შთამომავლობას

ქვეყნად ვიშვები თითქოს ხელახლა,
როცა მზიანი არის მაისი,
საგანი ჩემი ზრუნვის თქვენა ხართ, —
მსურს გისახსოვროთ ჩემი ხალისი.

მე ძველებურად მახრჩობს წყურვილი, —
მართალს ვამბობ, გთხოვთ, არ გაიოცოთ:
დღეს ერთადერთი შემრჩა სურვილი, —
რაც მაბადია, გადმოგილოცოთ.

●

მივდივარ. სავალს მილობავს ქარი.
მივდივარ ნელა, ვითვლი ნაბიჯებს.
შენი სიმდიდრით მე ვარ მდიდარი,
შენი ტკივილი მკლავს და მაგიჟებს.

ფრთხილი ნაბიჯით მივყვები ქუჩას,
ვეალერსები ქალებს და კაცებს,
ქუჩა გრძელია, ბოლო არ უჩანს, —
მოდი, ამკიდე, ტვირთი რაც გაწევს.

მივდივარ, ვხედავ — გოლგოთა მოჩანს,
ცოტაღა დამრჩა, მივაღწევ მალე,
ნუვინ მიწოდებს უნდილს და ოჩანს, —
გზას არ ვაცილებ მოჭუტულ თვალებს.

ქრის და კვლავ მარბევს ქარი აშარი,
მე შენი ლოცვა მიმაქვს სიმბოლოდ,
მხოლოდ დაღლილი და დამაშვრალი
იმ მთის კალთაზე მივწვები ბოლოს.

## ასპარეზი

ბედნიერი ვარ, — შენი მზე მთუთქავს,
მახარებს, ვხედავ, მთვარე ამოდის,
მე შენი ერთი ვარ ამოსუნთქვა,
მე შენი ჰიმნის ერთი ვარ ნოტი.

უკურნებელი არ არის სენი,
მჯერა, სატკივარს რომ მოევლება,

მე კამერტონი, პულსი ვარ შენი,
დილის რიჟრაჟი და გაელვება.

ბევრი რამ ძალმიძს, არა ვარ მარტო,
გვერდში მიდგანან ძმები — ამქრები,
მე ასპარეზი შენთვის ვარ ფართო,
კვლავ ვიბრიალებ და არ ჩავქრები.

## კმაყოფილება

მოგეახლება, როგორც ურჩხული
და იდუმალი მტარვალი, ღამე,
თითქოს ბნელაში გესმის ჩურჩული,
და გრძნობ, გულის წყლულს როგორ გიამებს.

ჩამოვარდება მერმე დუმილი
და მოგინდება დაქანცულს ძილი,
დაგავიწყდება ალხი, წყურვილი
და ჩათვლემ წამით კატის სიფრთხილით.

გაჰყვები ტალღას ღვთიური ეტლით,
აღარ გრძნობ უკვე უმწარეს წყლულებს,
კმაყოფილი ხარ საკუთარ ხვედრით, —
თითქოს სამოთხე მოინახულე.

## ბრალდება

ღმერთო, რამდენი რამე ყალბდება, —
ავსებულია პანდორას ყუთი,
აიწონება ნუთუ ბრალდება? —
ალბათ, იქნება ათასი ფუთი.
იყოს ნაკლები, თუ გინდა, მეტი,
ბრალდების წონას მე რაში ვაქნევ,
უსამართლობამ დამასხა რეტი,
გაუკუღმართდა სიტყვა და საქმე.

ვინ იფიქრებდა, შევძლებდით ამდენს, —
გვარგუნა ბედმა ვაი და ვიში,
ვისი იმედიც გვქონდა აქამდე,
დღეს თავზარსა გვცემს იმისი შიში.
ქრის ხეობიდან ბორიო ნელი,
ვარსკვლავთა კრება ისევ კამკამებს,
ვარდს დაუკარგავს ამო სურნელი, —
ტანჯვა-წამებით თავდება ღამე.

## სანამ...

მიმზიდველია ჩემთვის ცხოვრება,
ვითარცა წიგნი წაუკითხავი,
ყველაფრის მინდა დამახსოვრება,
რაც ლამაზია და მომხიბლავი.

მე სათხოვარი ერთი მაქვს მხოლოდ, —
მატკბობდეს მიწის დვრიტა და ხიბლი,
და არ მომიღოს საწუთრომ ბოლო,
არ წამიკითხავს სანამ ეს წიგნი.

## ვერ დამჯაბნა სიბერემ

თუმცა ფრთები დამაწყდა, ვერ დამჯაბნა სიბერემ,
ვარ ისევე ძლიერი და მხნედ მიცემს ეს გული,
დაცემას, სიძაბუნეს ვერასჯზით შევიფერებ, —
უკან მრჩება ცხოვრება — ველი გადათიბული.

მიკვირს, ჩემი ტოლები ბრმებია და ყრუები,
შემიძლია — ყანწს დავცლი, გავაბოლებ ყალიონს,
ნურავინ იოცნებებს, ბედს არ შევეპუები,
გულმხურვალედ მოველი გაზაფხულს და ალიონს.

## ვილოცებ შენთვის

მე ვარ დარაჯი შენი სიმშვიდის,
შენთვის შექმნილი მე ვარ სიმღერა,
შენთვის სიცვდილი შვებაა დიდი
და შენს პულსს ითვლის ეს გულისძგერა.

შენთვის შეთხზული ვარ თითქოს ლექსი,
მე ძვირად მიღირს შენი სიცოცხლე,
მე შენი მცირე ჩქამიც კი მესმის,
საიქიოშიც შენთვის ვილოცებ.

# პირველი ნაბიჯები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ია წერეთელი

## „ციფერბლატი“

### ერთმოქმედებიანი პიესა

მოქმედი პირები:

დედა
მამა
შვილის ხმა
ქალის ხმა
მეგობრის ხმა
სარკმელი
საბეჭდი მანქანა

*დედა – ქალი არც ახალგაზრდაა, არც მოხუცი, როცა ფარდა იხსნება, დგას სცენაზე, ზურგით მაყურებლისკენ, თითქოს სარკმელში იყურება, მის გვერდით დგას კონსოლი, რომელზეც დევს ტელეფონი. ქალი აბოლებს მუნდშტუკს ა ლა მარლენ დიტრიხ. ასხივებს აფორიაქებას. სპექტაკლის დასაწყისში იგი თამაშობს ახალგაზრდას, თითქმის ბავშვს, წარმოდგენის მსვლელობისას მისი გმირი, სულ უფრო და უფრო ბერდება. (სასურველია უგრიმოდ და მსახიობის გამოუცვლელად)*

სურათი I

**დედა:** – მოხვედი?

**შემოდის მამა სიტყვებით:**

**მამა:** – სად წავიდოდი?

**დედა:** – სადმე?!

**მამა:** – მაინც?

**დედა:** – რა თქვი?

**მამა:** – რა გემართება?

**დედა:** – მოხვედი!

**მამა:** – არა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, ამ გაძვალტყავებულ ქუჩას სახლში რომ არ მოვეყვანე? რატომ არ გჯერა ბებერი კაპიტნის, როცა ამბობს, რომ ცდუნების გემი ჩაძირულია?!

**დედა:** – იმიტომ, რომ მეშინია, ერთ მშვენიერ საღამოს, იმ გემთან ერთად ჩაძირული არ ვიპოვნო, რომელიმე დუქანში.

**მამა:** – რა სასტიკი ხარ, მე კი შენი სისასტიკით თავდავიწყებულმა, დღეს ცდუნებას ვერ გავუძელი...

**დედა:** – ჰმ, ტყუილი, არ ყარხარ.

**მამა:** – სამაგიეროდ შენ აყროლდები, სულ ცოტა ხანში!

**ჯიბიდან იღებს სუნამოს.**

**დედა:** – აუ! რა სუნი აქვს...

**მამა:** – აბა?! ბოთლზე რაღას იტყვი? სწორედ ასეთ ბოთლში აგროვებდა თურმე ოფელიაც ჰამლეტის ცრემლებს და მერე ლუციფერთან მიჰქონდა.

**დედა:** – არა?!

**მამა:** – ხო, ოფელიას ერთადერთი, ნამდვილი სიყვარული ლუციფერი იყო.

**დედა:** – მაშინ ჰამლეტი, რა შუაშია? ოფელიას ხომ საკუთარი ცრემლებიც ეყოფოდა, ლუციფერის მადის დასაკმაყოფილებლად.

**მამა:** – მადა რა შუაშია, ცრემლების სმას არავინ აპირებდა, აბა სად ცრემლის გრადუსი და სად...

**დედა ნარბის აწევით გახედავს.**

**მამა:** – არა, მე დილის სუსხი ვიგულისხმე, უფრო სასიამოვნოა, ვიდრე მდუღარე ცრემლი, ისიც ქალის, შენ როგორ ფიქრობ ძვირფასო, აგერ მე, უბრალო მოკვდავს არ მწამს ქალის ცრემლის და ლუციფერს ხომ მითუმეტეს. აი სამაგიეროდ ჰამლეტის ცრემლებს კი, სულ სხვა რამეში იყენებდა...

**დედა:** – მაინც რაში?

**მამა:** – მარცხენა რქას იპრიალებდა, ელვარებამდე. შეშლილი ოფელია მის თვალებში სიმართლის ამოკითხვას რომ დააპირებდა, მზის სხივი უნდა მოხვედროდა გაფითრებულ სახეში. ჭროლა თვალი ცინდალივით უნდა მოეჭუტა და ეთქვა...

**დედა:** – რა?

**მამა:** – მიყვარხარ... ოფელიას თმაც ასე ოქროსფრად ელავდა, ცრემლით გაპრიალებული რქის ანარეკლში.

**დედა:** – ლუციფერი?

**მამა:** – რა ლუციფერი?

**დედა**: – როგორი იყო?

**მამა:** – არ ვიცი, ის არასოდეს არავის უნახავს, მისი მხოლოდ ხმა ისმოდა, მხოლოდ ხმა...

**დედა:** – და კიდევ მე ვარ სასტიკი არა?

**მამა**: – ჩვენ ორივე სასტიკები ვართ.

**დედა**: – ხომ! ხომ, მაგრამ ჩვენმა ვაჟ-ბატონმა ყოველგვარ სისასტიკეს გადააჭარბა. სად არის აქამდე? რატომ არ რეკავს?!

**მამა:** – ჭარბი სისასტიკე ჭარბ წონაზე უფრო დამღუპველია. მე ვფიქრობ, რომ არასასტიკი მოზარდი ეხლა სახლში უნდა იყოს, ან სადარბაზოში მისი ფეხის ხმა ისმოდეს... მაინც...

**დედა**: – აი, ისმის კიდეც – ჰმ, ნეტავ ვის ჰგავს?

**მამა:** – უფრო შენ, იმიტომ რომ ეს ფეხის ხმა მეზობელს ეკუთვნის მეორე სართულიდან, რომელიც მოდის, რომ მკითხოს: „მაპატიეთ, თუ არ ვცდები თქვენ ეს-ესაა“ – დაიმახსოვრე – „ეს-ესაა შემოხვედით ეზოს კუთხეში, საათის ქვეშ შავი ძაღლი ხომ არ შეგიმჩნევიათ, ჩანითლებული მარცხენა თვალით?!..

**ხმა: კარზე კაკუნი. – მამა აღებს კარს. კარს მიღმა...**

მაპატიეთ, თუ არ ვცდები, თქვენ ეს-ესაა შემოხვედით... **დედა ფხუკუნებს, ცდილობს თავი შეიკავოს...**

**მამა:** – საათის ქვეშ ხუთი წლის დრო დგას და ცდილობს შეგაგნებინოთ, რომ თქვენ აღარ გყავთ ძაღლი და არც თვალი აღარ აქვს ჩანითლებული, თუ კიდევ საერთოდ... **(ხურავს კარს)**

**დედა:** – რა გემართება?

**მამა:** – ძაღლი მებრალება, შეეშვას ბოლოს და ბოლოს იმ საბრალო არსებას, ჯერ იყო და საათის ქვეშ აბამდა ცოფიანივით, ეხლაა და საათის ქვეშ დგომა გამოუწერა უსასრულოდ...

**დედა:** – მაინც?

**მამა:** – რა მაინც?

**დედა:** – რა გემართება?

**მამა:** – სად არის ბიჭი

**სივრცე თანდათან იძაბება, იძაბებიან დედა და მამაც, სცენაზე ყველაფერი გაშეშდება.**

**შვილის ხმა:** ... ხომ, მოიცადე, სახლში დავრეკავ, დედაჩემი მარტოა. **ტელეფონშზე აკრეფის ხმა...**

**მეგობრის ხმა:** – მოიცა რა, გასაჩხერად რომ წახვიდე, მაშინაც დედიკოსთან ხომ არ დარეკავ. წამო რა, დაანებე თავი მაგ ტელეფონს, დედაშენს ეხლა ძინავს და ფეხზე კიდიხარ...

**შვილის ხმა:** – რა თქვი?

**მეგობრის ხმა:** – კარგი რა, ჯერ ხომ არ მითქვამს დედიკოს შვილიკო-მეთქი.

**(ისევ სცენა)**

**დედა:** – ისე, რას ერჩი, შენი შვილი ვერც კი მოიფიქრებს, რომ დარეკოს, რომ უბრალოდ დარეკოს და თქვას...

**(სცენაზე ისევ ყველაფერი შეშდება).**

**შვილის ხმა:** – მოკეტე რა **(ყურმილს აგდებს).** მაგასაც გაგირკვევ, ვინ არის დედიკოს შვილიკო. კარგი, წავედით, მაჩვენე ერთი შენი სანდო ტიპები.

**მეგობრის ხმა**: – ძმა ხარ! წავედი!

**(სცენა)**

**დედა:** – მისი მეგობარი მაფიქრებს.

**მამა**: – მე, შვილი გაფიქრებდა მეგონა.

**დედა**: – იცი რა? სასტიკ ტიპთან ერთად იყო, ფული მთხოვა. მერე ჩავიდა და რაღაცაზე დიდხანს ბჭობდნენ, ვთხოვე არ დაიგვიანო-მეთქი. შენი მეგობარი საღამოს ჩვენთან დაპატიჟე-მეთქი. ამ სიტყვაზე ისე ჩაიცინა, როგორც ალბათ ის ბიჭი ყველა სიტყვის მერე იცინის. იმ ბიჭს ალბათ სულ არ ჰყავს დედა, ან სულ არ უყვარს, ან სულ აგინებს...

**მამა:** – პრინციპში, იგივეს აკეთებს ალბათ დედამისიც, კარგი რა, იქმნი პრობლემებს...

**დედა:** – იცი, ჩემს ბიჭს რაღაც შეშლილი სახე ჰქონდა, არ უნდა გამეშვა, მაგრამ ისეთი დამოუკიდებელია, ისეთი დიდი და აზრიანი, რომ ჩემი თავი მასთან ბავშვიც კი მგონია და იმის მაგივრად, რომ შენიშვნა მივცე, ბეჭდებს ვიხსნი, თითებს მის თმაში ვხლართავ და გულში ვიკრავ. ერთადერთი, რაც დამრჩენია იმისთვის, რომ თავი მშობლად ვიგრძნო, გულში ჩაკვრაა. მე ალბათ ვერ ვუგებ.

**მამა:** – სწორედ რომ შენ უგებ ყველაზე კარგად, არაფერს ეკითხები, ჰმ, მაგასაც ხომ ეს უნდა.

**დედა**: – ეს უნდა! თუმცა ხმას არ იღებს, მაინც ვიცი, რომ თვითონაც ვერ იტანს იმ აუტანელ ბიჭს, უბრალოდ რაღაც შეშლილ პერიოდშია, არ ვიცი, რა ემართება, მაგრამ რაღაც ნამდვილად სტანჯავს. ახ, მე ალბათ საშინელი დედა ვარ.

**მამა**: – ძვირფასო, არ ვიცი, რა გრძნობას იწვევს შენში სიტყვა – საშინელი, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, რომ ეს საშინელება ცოტათი სიმკაცრითად გამოიხატებოდეს. ისე, ხანდახან მაინც გეკითხა, სად მიდის...

**დედა:** – მაგითი რისი თქმა გინდა?

**მამა**: იმის, რომ შენ საშინელი დედა ხარ!

**დედა:** – შენი წარმოსახვა, თითქმის ემთხვევა ჩემსას. საერთოდ არ არის სხვაობა, არ არის.

**მამა**: არის ერთი, შენი პატარა და ფაქიზია, ჩემი უხეში და დამსხვრეული.

**დედა:** მორჩი წუწუნს, რაღაც ყველას გვემსხვრევა სიცოცხლეში.

**მამა:** – მართლაც, აი შენ, კვირაში თითო საფერფლეს თუ არ დაამსხვრევ, ალბათ, თავის ტკივილი დაგტანჯავს. ჰოდა, იმიტომაც არის ეს ოთახი, ერთი დიდი საფერფლე, შენ კი ფერფლის დედოფალი ხარ.

**დედა:** მე მართლაც დავიფერფლე გაურკვევლობისგან, სად არის ნეტავი, აი ახლა, სწორედ ამ წუთში, სად არის?

**მამა:** – სადმე...

**დედა:** – რა გულგრილი ხარ.

**მამა:** – კარგი რა, როგორი ხარ ხოლმე, მომისმინე...

**დედა:** – გისმენ!

**მამა:** – მისმენ! დარწმუნებული ხარ?

**დედა:** რაში?

**მამა:** – რომ თვითონ არა ხარ გულგრილი. შენი სიმშვიდე ხანდახან აუტანელია ასე აუღელვებლად სხვას არ შეუძლია, ერთი ხელის მოსმით გააცამტვეროს ადამიანი მორალურად, ფიზიკურად და საერთოდ, აღგავოს პირისაგან მიწისა. თავად გადაწყვეტ. სახეზე ცვილის ფერი დაგედება, ნიკაპიც თავისას იტყვის და მორჩა. ადამიანი აღარ არსებობს, თავი მოკვეთილია, შენს ფერხთით გდია და ფეხის გულებს გითვალიერებს, იქნებ იქ მაინც იპოვნოს ოდნავი სიბრალული.

**დედა:** – მაინც ვინ დავტოვე ასე უთავოდ, იქნებ...

**მამა:** – დიახ მე!

**დედა:** – მორჩი, არც ისეთი გაყინული ვყოფილვარ, რადგან ჯერ კიდევ დადიხარ.

**მამა:** – რაც უფრო ვკარგავ თავს, მით უფრო მეწევა შენკენ და მით უფრო გშორდები... იცი, დავიღალე თვითონ ვუმტკიცო თავს, რომ გიყვარვარ, თქვი რამე.

**დედა:** – სად არის ბავშვი? არა, მაინც როგორ ამომელო ხმა, როცა გასვლისას აქეთ მარიგებდა, როგორ მოვიქცე და რა ჯობია.

**მამა:** – ამ ეტაპზე?

**დედა:** – ამ ეტაპზე.

**მამა:** – მაინც რაო? მამა რომ მოვა კრინტიც არ დაძრა იმაზე, რომ გიყვარსო?

**დედა:** – **(ღიმილით)** გიყვარსო და ამიტომ საღამო მშვიდად გაატარეო, სახლის ისტერიულ ლაგებას, ჩემზე უაზრო დარდს ულალატე და მამას ლამაზი დახვდიო.

**მამა:** – ააა! აი, რატომ ხარ დღეს ასეთი გამყინავი სილამაზის ბურუსში გახვეული. დღეს ნამდვილი ბურუსის დედოფალი ხარ.

**დედა:** – ხანდახან რა აუტანელი ხარ!

**მამა:** – არა, მაინც როდემდე უნდა ინკმუტუნო, მაინც სად წავიდოდა, ან რა უნდა მოსვლოდა, თუ რა თქმა უნდა, ეს არ არის შენი სურვილი.

**დედა:** – რა უნდა მსურდეს, რასაც ვფიქრობ, ეს უბრალოდ ნერვების განგანიერებაა.

ბიბლიოთეკა

**მამა:** – რა ვიცი, ისეთი სიამოვნებით ელოლიავები მაგ აზრებს, რომ მიკვირს სულ როგორ არ დაწყდნენ, ან რატომ არ ცდილობ თავი დაიმშვიდო.

**დედა:** – როგორ?

**მამა:** – დაწყნარდი.

**დედა:** – არა, როგორ? ჩემი შვილი?

**მამა:** – აბა? კარგი ახლა, არ მითხრა გამოთვლებში შევცდი ოცდაერთი წლის წინო.

**დედა:** – არც ჩემია და არც შენია, ჩვენია და მორჩა. ეს რამეს ნიშნავს შენთვის? ან რა საჭიროა ეს დაქუცმაცება ყინულებად, დედოფლებად და კიდევ ათას სისასტიკეებად. შენ ხომ იცი, რომ თვითონ ხარ დამნაშავე, აი, ახლაც გრძნობ, რომ იგვიანებს და საკუთარ გრძნობებს იგნორირებას უკეთებ, ოხუნჯობ აქ.

**დედა:** – მე მიყვარს, როცა შენ ოხუნჯობ, მიყვარს შენი ფერფლისფერი თვალები, შენი ფერფლისფერი თმა **(უეცრად გააფთრებული ხელს კრავს. თვითონაც განზე იწევა)**, მაგრამ ვერ ვიტან ამ ფერფლს, სულ რომ ფანტავ და ფანტავ და ფანტავ... და...

**(აბსოლუტური მშვიდი ხმით, დაბალ ხმაზე)** რატომ ფანტავ შვილის სიყვარულს? მას შენი ყველაფერი ჰაერივით სჭირდება, მას შენგან არაფერი არ უნდა, უბრალოდ დაანახე, რომ მამა ხარ და არა ქვის ნატეხი. ამ ეტაპზე, სანამ შენ ჯერ კიდევ გულქვა ხარ, ლენი, რომელიც სასოწარკვეთილი ცდილობს მოგბაძოს, და ვერც კი ამჩნევს ამას, შენგან განსხვავებით ჯერ კიდევ საოცრად თბილი და საყვარელი ცხოველია. ნუ აქცევ მასაც ქვის ნატეხად. გადაარჩინე ამ უსასრულო დაქუცმაცებას და უაზრო მტკიცებებს, კარგი, ნუ იქნება როგორც მე, მაგრამ მაინც იყოს რაღაც ჩვენი და ნამდვილი, დამიბრუნე, შენთვის დაიბრუნე, შენი შვილი დაიბრუნე, სანამ ჯერ კიდევ შენია.

**მამა:** – ჩვენია.

**პაუზა.**

**შვილის ხმა:** – მოიცა... მოიცა... რას აკეთებ?!

**ქალის ხმა:** – გკოცნი. ჰმ, მოდი... მოდი, იცი რა ვქნათ?

**შვილის ხმა:** – რა?

**ქალის ხმა:** – გავაფრინოთ.

**შვილის ხმა:** – მოიცა რა, ჩვენ უკვე ორი საათია ვაფრენთ, შენ რამე ახალი თქვი.

**ქალის ხმა:** – რა ლამაზი თითები გაქვს და შუბლი. ვის გავხარ? დედიკოს თუ...

**შვილის ხმა:** – დედას.

**ქალის ხმა:** – როგორია?

**შვილის ხმა:** – მოიცა რა, რა დროს... ოოო...

**ქალის ხმა:** – მაინც! ესეთია? ჰა? (**კოცნის**) ესეთი? (**კიდევ კოცნის**)

**შვილის ხმა:** – ხო, თითქმის უყვარს შუბლზე რომ მკოცნის, შენ საიდან იცი?

**ქალის ხმა:** – მეც ხომ დედა ვარ, სულელო.

**შვილის ხმა:** – ხო, შენც დედა ხარ, დედაჩემი ახლა ზის და ნერვიულობს, აი ახლა, ალბათ, სულ ცახცახებს, იმიტომ რომ ეს წუთია უთხრა მამაჩემს ყველაფერი, რასაც ფიქრობდა, რაც აწუხებდა.

**ქალის ხმა:** – მოიცა რა, არ ნერვიულობენ, ალბათ დიდი ხანია სძინავთ.

**შვილის ხმა:** – ხო, მამას შეიძლება, მაგრამ დედას ახლა ჩემი პერანგი უგდია ფეხებთან და ჯღავის. ცოტაც და მიცვალებულივით გამომიტირებს (**მღერის სამგლოვიარო მარშს**), დმც, დმც, დდმც, დ-დდ-დდ-დდმც...

**ქალის ხმა:** – (**კისკისებს**) და ძირს რატომ უგდია?

**შვილის ხმა:** – რა?

**ქალის ხმა:** – შენი პერანგი.

**შვილის ხმა:** – იმიტომ, რომ ცოტა ხნის წინ ხელში ეჭირა, მერე ატირდა და პერანგი ხელიდან გაუვარდა ან სულაც ძალით გააგდო, შენც ხომ იტირებ ჩემთვის?

**ქალის ხმა:** – მიიდიი... მე ხომ კახპა ვარ.

**შვილის ხმა:** – ხო... შენ ყველაზე საყვარელი კახპა ხარ მსოფლიოში, შენი ცრემლები ჩემთვის ყველაზე ძვირფასია.

**ქალის ხმა:** – დედის?

**შვილის ხმა:** – ჰო, დედის! დედაც კახპაა. საერთოდ ქალები ხომ კახპები ხართ!

**ქალის ხმა:** – ჩვენ უკვე ორი საათია ვმუშაობთ ამაზე, შენ რამე ახალი თქვი.

**შვილის ხმა:** – უნდა წავიდე (**ისმის ადგომის და რაღაც მოძრაობების ხმები**), წავედი (**კარის მიკეტვის ხმა**).

**ქალის ხმა:** – წადი (ცივად)...

სურათი II

სცენა გაყოფილია ორ ოთახად, ერთი არის შედარებით ნათელი და ქოთნის ყვავილებით სავსე, ისინი ანტრესოლიდანაც კი ჩამოდიან. ხოლო მეორე, ზუსტი კოპირება პირველის, არის ბნელი, ძალიან არეული და ყველგან დევს საფერფლე, დიდი და პატარა. სურათის დასაწყისში ამ დეკორაციის წინ (რომელიც საკმაოდ ღრმად არის სცენაში), ჩამოფარებულია ფარდა, ფარდის წინ სცენაზე აფორიაქებულნი და უკვე საკმაოდ გალიზიანებულნი, იჭრებიან „დედა“ და „მამა“.

**დედა:** – ... მე უკვე აღარაფერს ვამბობ შენი სასუნთქი აპარატის გაძლიერებულ ხმაურზე.

**მამა:** – როგორ არა, სწორედ რომ ლაპარაკობ, შენ ეს უკვე თითქმის თქვი, მოიცა? შენ რა გინდა თქვა, რომ მე ვხვრინავ?

**დედა:** – არა, მართალი ხარ, მე ეს უკვე ვთქვი.

**მამა:** – მე არ ვხვრინავ!

**დედა:** – კი!

**მამა:** – არა, არ...

**დედა:** ხვრინავ!

**მამა:** – არა!

**დედა:** – კი!

**მამა:** – არა!

**დედა:** – კი!

**მამა:** – არა! არა!

**დედა:** – კი მაგრამ, რაღაცას ხომ აკეთებ?

**მამა:** – რაღაცას? კი, რაღაცას ვაკეთებ, როგორ არა, ამაზე ისე დავდებ თავს, როგორც იმაზე, რომ აგერ უკვე ოცი წლის, სახლში დაგვიანების მოყვარული შედევრი მოყვა ამ რაღაცას, მაგრამ ხვრინვა და მე, ეს ხომ აბსურდია.

**დედა:** – შენ რა გინდა, რომ წყალში ჩამიყარო ოცი წლის მოთმინება?

**მამა:** – ეს შენ გინდა წყალში ჩამიყარო...

**დედა:** – რა?

**მამა:** – მოთმინება. მოთმინება. მე ყოველთვის თავს ვიკავებდი შენი გულისთვის.

**დედა:** – და ამას ისეთი გულისხმევით აკეთებდი, რომ მე ეს მშვენივრად... მე ეს საშინლად მესმოდა.

**მამა:** – რა თქმა უნდა ძვირფასო, როცა ადამიანი გიყვარს, მისი ყველაფერი გესმის, მოთმინებაც.

**დედა:** – თუ მართლაც... ასეა... მაშინ მოთმინება, ეს ერთადერთია, რაც შენ ოდესმე გესმოდა ჩემში, თუმცა ის, ვისაც შენი თავშეკავებული ფშვინვა ესმოდა, ეს მე ვარ.

**მამა:** – ფშვინვა? ეს ალბათ სიკვდილმისჯილობის შემამსუბუქებელი ფორმაა?!

**დედა:** – მართლაც?! მაგრამ მე არა ვარ მსაჯული.

**მამა:** – შენ ყოველთვის მართალი ხარ.

**დედა:** – და ამის მიზეზი ყოველთვის შენ ხარ.

**მამა:** – ისე, სულ მქონდა რაღაც მსგავსი ეჭვი, მაინც როგორ?

**დედა:** – შენ ყოველთვის სტყუი.

**მამა:** – შენ რაღაც ბურუსში ხარ გახვეული, რაღაც არარეალურს ეპოტინები, არ გინდა დაინახო ის, რაც ელემენტარულია, გამიმართლა რომ ვიცი, რას ნიშნავს

შენი ეს გამოხედვა, მაგრამ შენ არასოდეს არაფერს ამბობ, შენგან გაგება, მე მინდა შენგან გაგება... რას ნიშნავს?!

**დედა:** – შემოდგომა, როცა ბურუსში ვეხვევით, ეს შემოდგომას ნიშნავს. შემოდგომაზე კი იქნება ეს ელემენტებით გაჭყეპილი მოვლენა თუ ბუნებრივი ფოთოლცვენა იწყება და მერე...

**მამა:** – ხო, ხო, აი, ის მერე მაინტერესებს...

**დედა:** – მერე... მერე ფოთლები!

ცვივიან... ცვივიან... ცვივიან... ცვივიან...

**მამა:** – ჩვენ ხომ არა ვართ ფოთლები?!

**დედა:** – ჰოდა, არც უნდა ვცვივოდეთ?!

**მამა:** – მაშინ რა გვემართება?! ფოთოლს ხომ არავინ არაფერს ეკითხება, ჩვენ კი ყოველთვის გვაქვს არჩევანი, უნარი შევინარჩუნოთ წონასწორობა.

**დედა:** – ... სიყვარული...

**მამა:** – ოჯახი, სითბო, სახლი.

**დედა:** – შვილი...

**მამა:** – ხო, ხო, ხო, აი ახლა შენ ნამდვილი ველური ხარ, ჩემი პატარა ლამაზი, არისტოკრატიული ველური, გახსოვდეს, ბევრი, ბევრი ფოთოლცვენის წინ, როგორ შევხვდით შენ და მე.

**დედა:** – ... ყველაფერი ნათელია, ფოთოლცვენისას მოსული თოვლი ყველაფერს ათბობს და ააშკარავებს... და ახლა ჩემთვის ყველაფერი ნათელია.

სცენაზე აბსოლუტური სიჩუმეა. იხსნება ფარდა, „დედა" და „მამა" ფარდებს მიჰყვებიან, სცენის საწინაალმდეგო კიდეებში განლაგებულ სავარძლებში სხდებიან.

ნათელი ოთახის ნახევარსცენაზე, კულისიდან გამოდის ქალი ზურგით მაყურებლისკენ, მის წინ ასევე გამოდის კაცი, რომელსაც უჭირავს სარკმლის იმიტაცია და გულმოდგინედ წმინდავს ქალი. შედარებით ბნელი ოთახის კულისიდან გამოდის ორი კაცი, ერთი ჯდება სკამზე შუა ოთახში, მეორე ჩაჯდება იატაკზე. იშვერს ხელებს, პირველი იწყებს „ბეჭდვას" მის ხელებზე. „სარკმელი" ნელ-ნელა უახლოვდება „საბეჭდს". ქალი მექანიკურად მიჰყვება „სარკმელს", თან წმინდავს. „სარკმელი" თითქმის „მბეჭდავის" თავთან, სულ უფრო და უფრო მაღლა იწევა, ქალი ისევ მიჰყვება. ამასობაში მბეჭდავი მიჰყვება თავის „საბეჭდს", რომელიც სულ უფრო და უფრო დაბლა ჩადის. ქალის ფეხებთან „საბეჭდი" თან მინაზეა გართხმული, თან გაცხარებული მიანიშნებს კაცს ქალზე. კაცი ახედავს ქალს, ქალი ჩამოხედავს კაცს, მიატოვებენ თავიანთ გულმოდგინებას და იწყებენ ერთმანეთის თვალიერებას გაოცებულები. გაოცება გადადის სითბოში, სინაზეში. ძალიან ახლოს ერთმანეთთან.

**კაცი:** – შენ!

**ქალი:** – მეც!

კოცნა. ერთმანეთს ოდნავ დაშორდებიან, წინ გამოვლენ, ჩაჯდებიან იატაკზე. თვალებს უშტერებენ სივრცეს... მათ უკან „სარკმელი" და „საბეჭდი" ქმნიან ფონს. „სარკმელი" ოდნავ გვერდზე და მაღლა შეყვარებულების თავებიდან. „საბეჭდს" ამჯერად ხელში უჭირავს ან სახეზე აქვს ნილაბი – დიდი ყვითელი დისკო – „მთვარე" ან თუნდაც „მზე". ორივე ყურებამდე ღიმილით დაჰყურებს შეყვარებულებს და თვალებს აფახურებს.

**მამა:** – მე მიყვარდა ეს ქალი, მე მიყვარდა მარტო ეს ქალი, მთელი ჩემი ცხოვრების მანძილზე მიყვარდა, მარტო ამ ქალის ხელისგული ათბობდა ჩემს გულს. ის იყო ერთადერთი სიმი, რომლის ერთადერთი უმნიშვნელო ბგერაც კი ჩემთვის ნიშნავდა რაღაც მისტიურ ნიშანს...

მისტიური სისულელეებისთვის მერე ბურუსი დნებოდა და წვეთები, წვეთები, წვეთები, შენს ცრემლებში ჩაძირულს, როგორ მეწვოდა ხელები და ფეხები და მკერდი და შუბლი, რა დამანგრეველი ცრემლი მოჰყვებოდა ოდნავ გულისტკენას, როგორ მიყრუოლებდა შენი გულჩვილობით გაოგნებულ აზრებს შენი ცრემლები. ახლა კი დგახარ აქ ჩემს წინ ასეთი გულგრილი და ნიშნისმოგებით, საქმის გარჩევით მანადგურებ, რაღაც აბდაუბდას მტკიცებით იდიოტობაში გადადიხარ... რასაც თვითონ ვერ იტანდი ვერასოდეს.

**დედა:** – არა! – პაუზა... არაფერშიც არ გადავდივარ.

**მამა:** – დღეს... თითქოს გუშინდელი დღე არც არსებულა, ისე მართმევ სიცოცხლეს, თითქოს გუშინაც ისეთივე უცნობი ვიყავი, როგორიც ხვალ ვიქნები ყველასთვის დაღესტანში...

**დედა:** არაფერს მე შენ არ გართმევ... ყველა აკეთებს რაღაც არჩევანს ადრე თუ გვიან, შენც ძვირფასო, როგორც ვხედავ უკვე გააკეთე შენი არჩევანი, ჰოდა კარგად იყავი, არ მჭირდები, არა... არა... არა...

**მამა:** – საოცარია, თვალი ცრემლით გევსება და მაინც რა იოლად მახლი ამ საშინელ „არ მჭირდები"-ს... თითქოს წლობით ელოდი ამ წუთს, როცა, ბოლოსდაბოლოს, გამიმეტებდი ამ საშინელი დაცინვისთვის... არა ძვირფასო, ახლა შენ კი არა, ცხოვრება დამცინის... იქნებ როგორმე

გიფიქრია ჩემზეც, ისე როგორც საკუთარ თავზე, როგორც შვილზე, ან იმ ცისფერ, სიფრიფანა ძარღვზე, შენს ლამაზ ხელებზე, თუმცა შენ არაფრად გიღირს, ერთ მშვენიერ დღეს მათი გადახსნა, მაგრამ მაინც... სისხლისგან დაცლა ადვილია, როცა სიცოცხლე არაფრად გიღირს... ჩემი სიცოცხლე... შენ არც არასოდეს გჭირდებოდი, ან სწორედ, რომ ყოველთვის გჭირდებოდი და მეტი არაფერი.

**დედა:** – რა სისულელეა, კიდევ მე გადავდივარ იდიოტობაში?!

**მამა:** – სისულელე? ამ ეტაპზე, ყველაფერი სისულელეა...

**დედა:** – დაივიწყე რომ ვარსებობ... როგორმე შეეეჩვევი ფერფლით სავსე სიცარიელეს, რომელიც შენს შემდეგ დარჩება ამ ოთახში, ამ უსასრულო, უაზრო ოთახში, რომელიც... შენს შემდეგ... კიდევ დიდხანს და სულ მარტო... სულ ნაცრისფრად... და სულ დარჩება...

**მამა:** – და ეს იქნება ყველაფერი, რაც დარჩება.

**მამა გადის. სცენა გაორმაგებულია გამჭვირვალე ფარდით. დედა დგება სავარძლიდან, მიდის კომოდთან, ისხამს ჭიქაში წყალს, გრაფინიდან, სცენის მიღმა წვიმს... წვეთები გამჭვირვალე ფარდას დიაგონალზე სერავენ... დედა განევისას გრაფინს გამოედება, რომელიც ხრიალით გადაგორდება კომოდზე და ძირს დაეხეთქება... დაიმსხვრევა... ისმის ჭექა-ქუხილი... თავსხმა წვიმა... ფეხის ხმა, ქუჩის ხმაური... ფეხის ხმა მატულობს, წყდება...**

**„მეგობრის“ ხმა:** – რა დიდხანს მომიწია ლოდინი!

**შვილის ხმა:** – თავი დამანებე, გითხარი არ მოვდივარ-მეთქი!

**„მეგობრის“ ხმა:** – აბა, სად წახვალ, ვერსად ვერ წახვალ!

**შვილის ხმა:** – არასოდეს მომწონდა-მეთქი ეგ აზრი, არ წამოვალ-მეთქი! მე მაგას არ გავაკეთებ!

**„მეგობრის“ ხმა:** – ვა! ლომკა როცა გვაქვს სხვანაირად ვბაზრობთ?! შენ რა, არ იცი, რომ ერთხელ ნაგავი, ყოველთვის ნაგავია?! ან რა სინდისობანა და დიდი ამბავი უნდა ერთი გაქსუებული, ტურასავით გაიძვერა ბიძის დაბრედვას?!

**შვილის ხმა:** – შემეშვი, ჩემთვის შენც ისეთივე ტურა და გაიძვერა ხარ, როგორიც ნებისმიერი ტურა და როგორც არის...

**„მეგობრის“ ხმა:** – ვითომ რატომ, მე სამშობლო და დედის ძუძუ წამალზე არ გამიცვლია!

**შვილის ხმა:** – შენ შენი სამშობლო, ჩირად რომ არ გიღირდეს, გვარს არ შეიცვლიდი მოპარული დანასავით... მე ეგ შენი საქმე არ მესინდისება და სინდისზე ნუ მელაპარაკები!

**„მეგობრის“ ხმა:** – ბიჭო, შე დედიკოს შვილიკო, იცოდე დაგკლავ, პატრონი ვერ გაგარჩევს...

**შვილის ხმა:** – ნუ გეშინია, შენნაირებისგან ყოველთვის გამარჩევს საკუთარი დედა. სხვა თუ არავინ ჩემში მისი სისხლი დუღს და თუნდაც დაღვრილს მაინც იცნობს.

**„მეგობრის“ ხმა:** – შენ ვის ემუქრები, ბიჭო, დაგბრიდავ. შენ რა გგონია, ვერ გავბედავ?

**შვილის ხმა:** – არაფერიც არ მგონია, ერთი მხდალი ნაძირალა ხარ და არავის არ ეშინია შენი ჟანგიანი რევოლვერის, ჰოდა, თავი დამანებე.

მე ჩემი არა ვთქვი, შენ თუ გინდა სიზმარშიც „დიახ“, „დიახ“ იძახე, სინდისის წინაშე სუფთად იგრძენი თავი, ისე, ან რა სინდისზე მელაპარაკები, შენთვის ხომ სინდისი და ვაჭრობა ერთი ნაგავია, საკუთარ თავსაც კი ევაჭრები, ყველას თავისი გზა აქვს, მეც ჩემი, შეიძლება არასწორი, მაგრამ მაინც ჩემი გზა მაქვს, შენგან განსხვავებით ყოველთვის სიცოცხლეს ვირჩევ და არა სხვების სიცოცხლეში ჩარევას. ჰოდა, შემეშვი **(პაუზა)** ჰმ! ისე დაბრედილი ვინ იქნება, ეგ არ არის მთავარი... **(პაუზა)** მთავარია ბავშვი იყოს ჯანმრთელი **(შეტრიალდება და ფეხებზემკიდია ნაბიჯით განაგრძობს გზას... უეცრად სროლის ხმა ისმის, ადამიანი მოწყვეტით ეცემა მიწაზე... ძირს...) თან ისმის „მეგობრის“ აკანკალებული ხმა – დაგბრიდავ! – გარბის. წვიმა წყდება, სცენაზე სრული სიჩუმე და აბსოლუტური სიბნელეა... სროლის ხმის დროს, პარალელურად დედას ხელში უჭირავს იარაღი, რომელიც კომოდის უჯრიდან ამოიღო ცოტა ხნის წინ, მასაც უვარდება იარაღი, გასროლის ხმასთან ერთად, ოღონდ ძირს, იატაკზე... აკეთებს ტკივილის გრიმასებს, ხელებს იტაცებს საფეთქლებზე, ბოლო ჩაბნელებამდე ქალის გულისგანმგმირავი ღრიალი ან ხრიალი სულ ერთი წამით, მერე მისი აკუსტიკა...**

**სცენა ოდნავ იწყებს ანთებას, შუქჩრდილები ოდნავ ეხებიან ერთმანეთს, ძალიან ყრუ და უსუსური მოტივი ნელნელა ძლიერდება. სცენის შუაგულში ზის ქალი, მუხლებზე უსვენია შვილი (ვისიც აქამდე მხოლოდ ხმა ისმოდა). სანახაობა გვაგონებს მიქელანჯელოს „პიეტას“.**

**ოთახის დეკორაცია გაუგებარია, ეს არ არის არც ოთახი, არც სახლი, არის მინდორი, არის სივრცე, გამოქვაბული,**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**თუნდაც კოსმოსი, ეს, შეიძლება იყოს ყველაფერი და არაფერი. ქალი ცმუტავს, წინ და უკან ქანაობს, ძალიან ჭვრილი, ჰაერით გაჟღენთილი, ნაზი ხრინწი, ოდნავ გაბზარული (ნამტირალევი) ხმით იწყებს სიმღერას. უმღერის შვილს:**

დაიძინე! და ხვალ ისევ დილა მოვა,
დაიძინე! ხვალ ხომ ისევ მზე ამოვა,
ჩემი იქნები!
ჩვენ სულ ერთად ვიქნებით...
მერე ისევ, მერე ლამაზ სიზმრებს ნახავ!
ხვალინდელი მზის სხივებში წარსულს
ვხლართავ...
შენთვის,
რომ არ იყო დაჩაგრული...
პატარავ, ცუდზე ფიქრებს გაუშვი ხელი,
დილით მოვა სულ ახალი სიხარულის...
დღე!
და პირველად გაგიღიმებს ძველისძველი
სიყვარული,
დაიძინე! გაღვიძებულს გელოდება
სულ ახალი...
ოცნებებით ფრთაშესხმული, ჯერ
აქამდე არნახული,
სათნო ფერის და სულ შენი...
ხვალინდელი დღე...
აი, მერე ისევ გეტყვი ამბავს უფრო ახალს,
და გიმღერებ სხვა სიმღერას,
კიდევ უფრო ლამაზს
როცა თვალებს გაახელ...
რომ ასეთი გაყინული აღარ იყო,
და ასეთი, ასეთი გაგიჟებით
აღარ ვთრთოდე...
იმიტომ, რომ ჩვენ ჯერ
კიდევ გვჯერა ზღაპრის,
და ხვალ ისევ, შენ მაჩუქებ
ღიმილს თაფლის,
შვილო! როცა თვალებს ისევ გაახელ!
თვალებს როცა მართლა გაახელ!
როცა, როცა მართლა გაახელ!
როცა ისევ გაახელ თვალებს!

**(ბოლო კუპლეტის განმავლობაში სცენაზე ნელა ეშვება ფარდა)**

დასასრული

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაკა მეტრეველი

# პიესები

## გემზე

სიმონი
ანდრო

(ბინდდება. ისმის ტალღების ხმაური)

**სიმონი** – რას დაემსგავსა ჩემი ხელები, დაკოჟრილია, უხეში...

**ანდრო** – ნაპირი მომენატრა...

**სიმონი** – მე ხელებზე ვლაპარაკობ...

**ანდრო** – ნაპირი არ მოგენატრა?

**სიმონი** – აბა, შენი ხელები მაჩვენე!

**ანდრო** – ჩემი? ჩემი, ატამივით ნაზია!..

**სიმონი** – ფუ, თევზივით ყარხარ...

**ანდრო** – შენ ხომ ამბროზიის სურნელი აგდის!..

**სიმონი** – რუთი ვერ იტანს უხეშ შეხებას და სუნს...

**ანდრო** – ნუ ღელავ,უფრო ფაქიზი და სურნელოვანი შეგცვლის...

**სიმონი** – ენას ამოგაცლი იცოდე და თევზების სატყუარად გამოვიყენებ!..

**ანდრო** – არ გამოგადგება, სიტკბოც დაკარგა და სიმწარეც...

**სიმონი** – მაინც ამოგაცლი!..

**ანდრო** – ვერ ამომაცლი!..

**სიმონი** – ამოგაცლი, შენი დედაც!..

**ანდრო** – ტყუილად ყბედობ, მეთევზე ხარ, ყასაბი კი არა...

**სიმონი** – როცა დამჭირდება, ყასაბიც გავხდები და ჯალათიც.

**ანდრო** – ყასაბი რომ გახდე, მეთევზე უნდა მოკლა შენში, ხოლო თუ მეთევზეს მოკლავ, მაშინ ხომ ჯალათიც იქნები.

**სიმონი** – თუ დამჭირდა, ჯალათიც ვიქნები!...

(სიჩუმე)

**სიმონი** – რუთი მომენატრა...

**ანდრო** – მე ნაპირი მომენატრა...

**სიმონი** – რუთს არ უნდოდა მეთევზე გავმხდარიყავი, მაგრამ უნდოდა ფული, რუთს არ უყვარს თევზი, მაგრამ უყვარს ფული, არა კი არ უყვარს, სჭირდება...

**ანდრო** – ქალია...

**სიმონი** – შენ რა, არ გჭირდება?

**ანდრო** – ალბათ, მჭირდება...

**სიმონი** – რუთი თვენახევრის ფეხმძიმე იყო, როცა წამოვედი, ბავშვს რამდენი რამ უნდოდა, ხომ იცი... არა, რუთი არ წუწუნებ-და, უბრალოდ აღარ იცინოდა და აღარც გარეთ გადიოდა...

**ანდრო** – მხიარული გოგო იყო რუთი...

**სიმონი** – მართლა, შენ ხომ რუთს ლექსებს უწერდი?..

**ანდრო** – ჰოო, იყო ასეთი ძველი კარგი დრო...

**სიმონი** – ახლა აღარაფერს წერ?

**ანდრო** – რაზე ვწერო?

**სიმონი** – თუნდაც თევზზე...

**ანდრო** – თევზი... იესო...

**სიმონი** – წერე ოკეანეზე, ნაპირზე, სახლზე; ალბათ გამოგივა, იმიტომ რომ, ზოგი რამ ძალიან მოგბეზრდა და ზოგიც ძალიან მოგენატრა...

**ანდრო** – უკვე აღარც მობეზრების გრძნ-ობა მაქვს და აღარც მონატრების...

**სიმონი** – წელან ხომ გენატრებოდა ნაპირი...

**ანდრო** – უბრალოდ ვთქვი, რაღაც რომ მეთქვა...

**სიმონი** – შენ ნაპირი გჭირდება...

**ანდრო** – შენც... თუმცა სად არის ნაპირი? არსებობს კი? ნაპირი აღარ არის ნაპირი... აღარ არის დასაწყისი და აღარც დასასრული... რატომ უნდა მომენატროს, რა უნდა მომენატროს, ასე ხომ ოკეანეშიც ვტორტმანებ და არაფერი ჩანს... არც ის ვიცი, სად არის ზევით, სად არის ქვევით, მარჯვნივ და მარცხნივ...

**სიმონი** – აღმოსავლეთისკენ ჰორიზონტი ისე ჩაშავდა და შემპარავად ჩამოცხა, დიდი ქარიშხალი გველის...

**ანდრო** – ესე იგი, შენ ჯერ კიდევ გესმის ბუნების...

**სიმონი** – ბებიაჩემმა მასწავლა, ღრუბლების, ქარების და ვარსკვლავების ენა ესმოდა...

**ანდრო** – მე კი ბრმა ვარ და ყრუ.

**სიმონი** – შენ მარტო შენს თავს ხედავ და უსმენ... რაო, იესოო?

**ანდრო** – იესო?

**სიმონი** – იესო და თევზიო...

**ანდრო** – იესო თევზია...

**სიმონი** – რატომ არის თევზი?

**ანდრო** – იმიტომ, რომ იმდენს დააპურებ, რამდენსაც შია...

**სიმონი** – შენ გშია?

**ანდრო** –მე აღარც მშია...

**სიმონი** – მაშინ აქ რატომ ხარ, თუკი არაფერი გინდა?

**ანდრო** – ახლა სწორედ იმიტომ ვარ აქ, რომ არაფერი მინდა, ადრე ფული მინდოდა...

**სიმონი** – რისთვის გინდოდა?

**ანდრო** – ჩემებისთვის...

**სიმონი** – ახლა აღარ გინდა შენებისთვის?

**ანდრო** – მეჩვენება, რომ ჩემები ჩემები აღარ არიან... თუმცა ჩემი გაგზავნილი ფული მაინც სჭირდებათ...

(სიჩუმე)

**სიმონი** – აცივდა, ის ახვარი ჰეროდე ალბათ დაზამთრებამდე არ დაგვირიგებს თბილ ტანსაცმელს...

**ანდრო** – შეეშვი!

**სიმონი** – რატომ უნდა შევეშვა?

**ანდრო** – იმაზე ხარ დამოკიდებული და იმიტომ...

**სიმონი** – ეგ არაფერს წყვეტს.

**ანდრო** – ბევრ რამეს...

**სიმონი** – მოკეტე, რა უფლებით მარიგებ ჭკუას!..

**ანდრო** – მე ჭკუას არ გარიგებ, უბრალოდ დროს ვკლავ, არ მეძინება და ცხოვრებისეულ გამოცდილებას გიზიარებ...

**სიმონი** – შენი გამოცდილება ლეშის გამოცდილებაა, ყველაფერი გეზარება, ამდენი ხნის ნამარხულევს შიშველი ქალიც ველარ აგაღელვებს ალბათ...

**ანდრო** – მე ახლა კოსმიური ორგანიზმი მინდა ან არც ეგ...

**სიმონი** – ჯერ მიწაზე ხარ და ქალებთან იჟიმავე, კოსმოსს რას ეპოტინები...

**ანდრო** – შენ არაფერი გესმის...

**სიმონი** – შენ ხომ გესმის...

**ანდრო** – ჩემთან მეამბოხესავით იქცევი, ჰეროდესთან კი ენას კბილს აჭერ. თუ რამის თქმას ბედავ, იმასაც კუდის ქიცინით, რადგან იცი, ვერ იტანს მართლებსა და მეამბოხეებს!..

**სიმონი** – ერთხელ იქნება და ვიტყვი!..

**ანდრო** – თუ თქმა გინდოდა, გუშინ უნდა გეთქვა!..

**სიმონი** – შენ რატომ არ თქვი?

**ანდრო** – ჩემი სისხლი აღარ არის ცხელი...

**სიმონი** – სულსაც ხომ სისხლი არ სჭირდება, ერთი გამოსაქომაგებელი სიტყვა მაინც გეთქვა...

**ანდრო** – უსისხლო ყველაფერი უმოძრაოა.

**სიმონი** – შეგეშინდა?

**ანდრო** – შენც ხომ შეგეშინდა...

**სიმონი** – უბრალოდ, ჩემი დაუბადებელი ბავშვის ბედი დამიდგა თვალწინ. თუ კი მამისს პურის ფულიც სამათხოვრო ექნება, ვინლა უპატრონებს? მე ჩემს შვილსა და ვილაც უცხოს შორის გავაკეთე არჩევანი...

**ანდრო** – დაუბადებელ ბავშვსა და შენ წინ მდგარ ნაგვემ კაცს შორის...

**სიმონი** – შენ რა მსაჯულივით მირჩევ საქმეს, ყველამ თავის თავს მიხედოს, თვითონ გაიფუჭა საქმე... როგორ გვიყურებდა თავისი უცნაური მზერით, თითქოს ყველაფერი იცოდა, ყველაფერი ესმოდა და დუმდა... არა, რას მიყურებდა, ეგონა, გამოგვესარჩლებოდა და მაგის გულისთვის მეც გემის საპყრობილეში ჩავჯდებოდი ან თავს შევაკლავდი?

**ანდრო** – ყველა დასცინოდა, მეც გავიცინე, კეფაზე რომ ურტყამდნენ თვალებახვეულს, გამოიცანი ვინ დაგარტყაო... მომეჩვენა, რომ ჩემი სიცილი იცნო...

**სიმონი** – შენ ხომ დაგალევინა წყალი ტუჩებდამსკდარს, სიცხიანს...

**ანდრო** – ყველას დაალევინა, ვისაც უჭირდა, მარტო მე კი არა... უბრალოდ შეიპარა და ჰეროდეს წყლის მარაგი გამოგვიტანა...

**სიმონი** – მერე წყლიან კასრში ჩააყოფინეს თავი, ახლა სვი გახეთქვამდეო, თქვენ კი ყველანი გაჩუმდით...

**ანდრო** – მე ავად ვიყავი... შენ? შენ არ შეგეძლო ხმის ამოღება?

**სიმონი** – მე წყალი არ შემხვედრია გესმის? არ შემხვედრია! რომ დამელია, რამეს ვიტყოდი, წყალი მაიძულებდა მეთქვა...

**ანდრო** – მოდი გავჩუმდეთ, ხომ ხედავ, რაც უფრო ხშირად ვაღებთ პირს, მეტ საზიზღრობას ვანთხევთ... რაც იყო იყო, ახლა ვერაფერს შევცვლით...

(სიჩუმე)

**სიმონი** – ხვალ ოკეანეში გადააგდებენ, აბა, იესოსავით ზედაპირზე გაიაროს.

**ანდრო** – ხვალ ის მოკვდება...

**სიმონი** – მართლა ეს ხომ არ არის, რომ გაიაროს.

**ანდრო** – ხვალ მოკვდება და ჰეროდეს აღარაფერი შეაშფოთებს.

**სიმონი** – არც ჩვენ, თუ კი ეს დავივიწყეთ...

**ანდრო** – დავივიწყებთ?

**სიმონი** – არ ვიცი...

**ანდრო** – რომ ვერ დავივიწყოთ?

**სიმონი** – რომ დავივიწყოთ?

**ანდრო** – სად გვინდა გავექცეთ საკუთ-არ თავს?

**სიმონი** – ვერსად.

**ანდრო** – ნაპირზე?

**სიმონი** – რა?

**ანდრო** – ნაპირზე.

**სიმონი** – მასთან ერთად?

**ანდრო** – ჰო, მთავარია მოვინდომოთ...

**სიმონი** – რომ არ ისურვოს?

**ანდრო** – რას ჰქვია არ ისურვოს, მართ-ლა იესო ხომ არ არის?

**სიმონი** – მერე საპყრობილე?

**ანდრო** – ყველაფერი შიგნიდან ტყდება.

**სიმონი** – რა ეშველებათ მათ ჩვენს შემდეგ?

**ანდრო** – ჩვენთან ერთად წამ-ოვიდნენ.

**სიმონი** – სად?

**ანდრო** – ნაპირზე.

**სიმონი** – სად არის ნაპირი?

**ანდრო** – სადაც რუთია.

**სიმონი** – როგორი იყო რუთი?

**ანდრო** – მხიარული გოგო იყო...

**სიმონი** – კი მაგრამ, რატომ ვარ აქ?

**ანდრო** – თევზი უნდა დაიჭირო...

**სიმონი** – მაშინ რა საჭირო იყო რუთის არსებობა, თუ კი მე აქ უნდა ვიყო?

**ანდრო** – სულ აქ ხომ არ იქნები?

**სიმონი** – აბა, სად წავალ?

**ანდრო** – შენებთან.

**სიმონი** – შენებთან?

**ანდრო** – შენ – შენებთან, მე – ჩემებთან.

**სიმონი** – მეჩვენება, რომ ჩემები ჩემები აღარ არიან...

**ანდრო** – მაშინ რატომ გზავნი ფულს?

**სიმონი** – ვგზავნი კი? მისამართი აღა-რც კი მახსოვს...

**ანდრო** – მგონი გაატარეს...

**სიმონი** – ვინ?

**ანდრო** – ის კაცი.

**სიმონი** – როგორ? დღეს არის ხვალე თუ ხვალეა ხვალე...

**ანდრო** – არ ვიცი, ის კი გაატარეს...

**სიმონი** – იქნებ გაიაროს!..

**ანდრო** – შეიძლება...

**(სიჩუმე)**

**სიმონი** – რუთი მომენატრა...

**ანდრო** – მე ნაპირი მომენატრა...

**დასასრული**

# სარკე

**ქალი**
**კაცი**

**(ოთახში სიჩუმეა, აქ ყველაფერი ძვე-ლია, ყავლგასული, მაგრამ სუფთა. ღუმელში ნედლი შეშა შიშინით იწვის. ზედ ჩაიდანი დგას. კაცი პატარა სამფ-ეხა სკამზე ზის წინ წახრილი, ცეცხლს მიშტერებია. მოშორებით საწოლზე ქალი წევს ავადმყოფი, მილეული...)**

**ქალი** – აღარა წვები, კაცო, შუაღამეა?

**კაცი** – !!!

**ქალი** – ამბაკო! **(წამოიწევა ბალიშიდან)**

**(პაუზა)**

ხმელი შეშა მაინც შეუკეთე, რა გულის-გამაწვრილებლად ჩუის ეგ უპატრონო...

**(დუმილი)**

**ქალი** – შენც რავა ჩემსავით დაგჩემდა უძილობა, დღედაღამე გამიერთიანა ლოგინ-ტიელმა... რული არ მეკარება. ჩაშავებულ-ჩაწითლებული მაქ უპეები...

სარკე მომიტანე ერთი, ჩემი ლანდის ლანდი მინდა ვნახო... არ გეყურება, კაცო? რა დუმილი ამოიშენე ციხე-კოშკივითა...

**(კაცი მძიმედ დგება და რაფაზე მდგარ სარკეს იღებს)**

**ქალი** – ეგ არა, ჩემი ნამზითვი მომიტანე, ქალიშვილობის ანარეკლი იმას უფრო ექნება შემორჩენილი.

**(კაცი სარკეს აწოდებს და ისევ ჯდება. ქალი სარკეში იყურება.**

**ტუჩის კუთხეებს მწარე ღიმილი მოუგრეხს).**

**ქალი** – აი, თურმე, როგორიღა ვარ!.. გეზიზღება განა ეს დამჭკნარი დედაკაცი, ამბაკო? დრო ყოფილა, დრო ყველაფერი, ჩემო ქმარო, მაინც შენ უკეთ შეინახე თავი. არ შეგეფერება ამნაირი დედაკაცი არა შე ბედდამწვარო? მაიკო უკეთეს ცოლობას გაგიწევდა მინად რომ...

**კაცი** – გაჩუმდი!

**ქალი** – საფლავში რომ არ იწვეს ახლა...

**კაცი** – მორჩი-მეთქი!

**(პაუზა)**

**ქალი** – მეც კაი გოგო ვიყავ ამბაკო, დიდყურაანთ თედო და გიგუაანთ მამუკა ჩემს ნატერფალებს კოცნიდენ. ჩვენი მეზობელი მართა იტყოდა, მთელი რაჭის მაზრას გადასწვამს შენი ნაღვერდლიანი თვალებიო. ერთი შენ ვერა მოგიხერხე-რა, ბრმა იყავი და ყრუ ჩემთვის.

გიორგობა დღეს გახსოვს ნაეკლესიართ-ან? დიდი გვალვა რო იყო იმ წელს. მთელი

სოფლის მოჩიტული ახალგაზრდობა კოცონთან ვათევდით ღამეს. დოლ-გარმონი საცეკვაოდ გვახელებდა ისედაც ალგზნებულებს. ცეკვა მე დავიწყე და მაიკო გამოვითამაშე. ამ დროს შუაში ჩაგვეჭერ, ალეწილი გავდექი განზე. გოგოები თქვენზე პუტპუტებდნენ. თითქოს ჯიბრზე, მერე ლადომ გამოიწვია ი ჩემი ცოდვით სავსე. მაიკოს მამინაცვალს ლადოსთვის ლამის ლოგინში ჩაეწვინოს გერი, ისე უნდოდა სიძედ. ახლა კიდე შენ მიეტანე მიმინოსავითა. მე ზედაც არ შემომხედე ი კოცონზე უფრო აბრიალებულს.

იმ დღიდან დავკარგე მოსვენება. იმ დღიდან ამედევნა შენზე ფიქრი აჩრდილივითა. აგრე რატო მიყურებ, გიკვირს განა ჩემი მოულოდნელი ალსარება? ერთხელაც ხო უნდა დავარღვიო შენი მდუმარების კედელი, ლაპარაკი მინდა, გესმის? ლაპარაკი! უნდა ვთქვა, ერთხელაც ხომ უნდა შევაშფოთო, შეგძრა...

**(ისევ დუმილი. ძაღლების ღავლავი)**

**ქალი** — რა ავი ღამეა. მაშინაც ეს დრო იქნებოდა. სიჩუმეს ძაღლების ყეფა ამძაფრებდა. გოგოებმა ქვრივი მართას სახლში მოვიყარეთ თავი, მაიკო გვიან მოვიდა. მამინაცვალი არ უშვებდა თურმე, ერთიანად კანკალებდა, ეშინოდა. ასეთი რამეები არ უყვარდა. ძლივს დავითანხმეთ. თვალებადქცეული გოგოები ზოგჯერ წამოიკივლებდნენ ხოლმე: დავინახე-ქა, ვხედავ, ის არისო... მე იდუმალი ძრწოლა მქონდა შემდგარი.

მაიკო რომ სარკესთან მივიდა და სანთლის შუქზე აციაგდა მისი ფერმკრთალი, არაამქვეყნიურად ლამაზი სახე, ვიგრძენი, როგორ შემშლიდა თქვენი ერთად ყოფნა, ბედნიერი სარეცელი და ოჯახი. ჰოდა, ვეღარ ვაჯობე თავს, სარკეს რაც მინდოდა ის ვაჩვენებინე, გოგოებიც დავიდასტურე: მაიკოს მოტყუებას რა უნდოდა, გულუბრყვილო იყო ბეჩავი. სულთა ნების შეცვლა უბედურებას მოუტანს ყველას-თქო — დავარწმუნე. ცოცხალმკვდარი წავიდა შინ.

იმ ხანებში, თითქო ბედად, ჩვენებისა მოგიხდა წასვლა ზემო სოფელში. ჩემი ხელის სათხოვნელად არის-თქო — მაიკოს მივახალე, გზაზე ნულა გადაგველობები, შენ შენი ბედი გაქვს, მე — ჩემი-მეთქი. თუმცა გაფრთხილება არცა სჭირდებოდა იმ უბედურსა. სარკეში დანახული ბედით დაჯერებულს განსაცდელი უნდოდა შენთვის აეცილებინა და თვითონ დაუწყო გამოწვევა ლადოს. ის კიდე ისე იყო შენგან დაშინებული, ერთი ხანობა უარს ეუბნებოდა, ერიდებოდა.

მერე ისევ მე დავარწმუნე, ყველაფერი დამთავრდა მათ შორის-თქო.

**(პაუზა)**

**ქალი** — რას გაჩუმებულხარ, მათრიე ახლა თმებით, მაგინე, მლაწქლე, თქო, მასე ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ მასე! ხმა ამოიღე ამბაკო, ხმა, შე ულმერთო! გეცოდები განა? ყოველთვის მაგით მანადგურებდი, არ დაგიჩივლია. ყველაფერს აკეთებდი, კაი ქმრობას მიწევდი, მაგრამ სახელად, სახელად, სხვისთვის... მოვალეობას იხდიდი მხოლოდ, შიგნით ხომ ვგრძნობდი, რომ ცარიელი იყავ ჩემთვისა, კაცების მზერა თუ მარწმუნებდა ხოლმე, რომ ქალი ვიყავ.

იმ ზაფხულს მაიკოს წლისთავი ახალი გადახდილი იყო, გული ვერ დავიცხრე: სინანული და ჯიბრი ერთად იყო არეული. ბოლომდე მაინც არ მომცა შენი თავი. უნაყოფო ქალად დამტოვა ისეც და ასეც. თვითონ ბალღები მაინც დაიხვია.

აალებულს მდინარის ტალღები მიგრილებდა ფეხებს. სარეცხი მქონდა გასავლებად გამოტანილი. უცებ ვილაცის მზერამ ამიწვა მოშიშვლებული გულისპირი. გავიხედე და ლადო მიყურებდა ბილწი თვალებითა. ავილეწე, გაბრაზებულმა გავხედე, მაგრამ ცოდვა გამხელილი ჯობია, ქალად ვიგრძენი თავი, ასეთი ნდომით შენ არასდროს შემოგიხედავს. უკანასკნელი ბალიშისპირი გავავლე და თეძოზე ტაშტმიდგმულმა ამაყად ჩავუარე. იცი, რამ მითხრა? „შენმა ქმარმა არ იცის შენი ძუძუ-მკერდის ფასი, ნამდვილი ალერსი გინდა, რო გაიფურჩქნოო".

— რავარც მაიკო გაფურჩქნე ისე-თქვა. გონს მოეგე, შე უბედურო, თუ დაგავიწყდა ამბაკოს მკლავის ძალა-თქო — მივახალე, გამწარებული შემოვვარდი. შენ ისევ იმ დასაწვავ ხეს უკირკიტებდი, შანდალს თლიდი უცნაურს. გამომწვევად გაგიარგამოგიარე, ყურადღება არ მოგიქცევია.

მაშინ იყო რო თავი ველარ შევიკავე: დავილალე-თქო, შენი ლოდინით დავილალე, ქალი ვარ და მჭირდები-თქო — ვყვიროდი გაშმაგებული.

შენ გაოცებულმა ამომხედე. წამოდექი და ჩემსკენ წამოხვედი. არა მგონია, ამაზე სასაყვედურო გქონდესო! მე მოვიკუნტე, ერთიანად დავიშალე. შენს მზერას ველარ გავუძელი და კარები გავიჯახუნე.

ვერ გაგაბედნიერე, ამბაკო, ვერა!

ძილი აღარ მეკარება, მოგონებებსლა ვართავ. სიჩუმით შეხუთული სულ ვეძებ ამ სარკის მიღმა ჩემს სახეს, ი ვარსკვლავა მაიკოს და ბიჭს, ორივეს რო გვიყვარდა — ვერ მიპოვნია-კი... წყეული სარკე!..

— ამბაკო, ბიჭო!

**(სარკეზე მიშტერებულს თვალები გაუცივდა)**

**დასასრული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ისინი

**დოდი**
**გაიანე**

**(სიბნელეში ქალისა და მამაკაცის ვნებიანი კვნესა და თავდავიწყებული ალერსი თანდათან ცხრება და სიჩუმე ისადგურებს, რომელსაც ნელ-ნელა დაედება საათის აკომპანიმენტი, იგი სულ უფრო ძლიერდება, გამოკვეთილი და გაუსაძლისი ხდება... ჰაერი იმუხტება... კაცი იშმუშნება...)**

**გაიანე** – **(ისტერიულად)** – არ გაიღვიძო! არ გაიღვიძო, ვიცი არ გძინავს, მაგრამ არ გაიღვიძო!..

**(დოდი უხმოდ ეძებს ასანთს, პოულობს და სანთელს ანთებს)**

**გაიანე** – არ აანთო, არ აანთო, მეშინია...

**დოდი** – რა დაგემართა?

**გაიანე** – რატომ აანთე?

**დოდი** – თვალებში უნდა ჩაგხედო...

**გაიანე** – რატომ აანთე? შენც ხომ არ გინდოდა ანთება...

**დოდი** – საიდან მოიტანე?

**გაიანე** – ვერ გაუძელი, არა?

**დოდი** – ნუ სულელობ!..

**გაიანე** – აი, ხომ ხედავ, შენც ის განამებს, რაც მე...

**დოდი** – მე მანამებს რამე?

**გაიანე** – შენი სექსი მარტოობიდან თავდახსნის ცდა იყო და არა სიყვარული...

**დოდი** – გეჩვენება, გაიანე, გეჩვენება...

**გაიანე** – არ მეჩვენება...

**დოდი** – იქნებ ეს შენთვის იყო მარტოობის ბორკილების წყვეტა?

**გაიანე** – ალბათ ორივესთვის...

**დოდი** – ჰმ, რა სილასავით გამაწანი!..

**გაიანე** – და შენც შვებით ამოისუნთქე, არა?

**დოდი** – ცდები!..

**გაიანე** – მოდი, ნუ ეცდები რომ დელიკატური იყო...

**დოდი** – იქნებ შენც დაივიწყო დროებით მაინც, შენი კატეგორიულობა, ცოტა მოეშვა...

**გაიანე** – აი, ხომ ხედავ...

**დოდი** – რას ვხედავ, რას?

**გაიანე** – უკვე ველარ ფარავ გალიზიანებას...

**დოდი** – დავიღალე... რას მოითხოვ ჩემგან!..

**გაიანე** – მოვითხოვ? ძალიან ცივი სიტყვაა, შეურაცხმყოფელიც კი... შემაჟრჟოლა...

**დოდი** – ჰოო? რა ვქნა? რა გავაკეთო?

**გაიანე** – წამოკრიფე ჩემში ყველაფერი შენი, ალარაფერი დამიტოვო და წადი...

**დოდი** – ჯერ კიდევ ბავშვი ხარ!...

**(სიჩუმე)**

წვიმის ხმაა?

**გაიანე** – მე ჩემი ცრემლების ხმა მგონია ჩემივე სასვენებლის სახურავზე...

**დოდი** – ნუ გიყვარს ყველაფრის დრამატიზება... ჩვეულებრივი ღამეა და ჩვეულებრივი წვიმა...

**გაიანე** – ჰო, იმდენად ჩვეულებრივი, რომ საშიშიც კია...

**დოდი** – ჩვეულებრივი არასოდეს არაა საშიში...

**გაიანე** – მაგით რისი თქმა გინდა?

**დოდი** – მოდი, დავიძინოთ!..

**გაიანე** – ტკივილები არ იძინებენ...

**დოდი** – რატომ გიყვარს ადამიანის წამება?

**გაიანე** – მაინც საიდან დაიწყო ყველაფერი?!

**დოდი** – რა ყველაფერი? ჩვენი ლტოლვა თუ?..

**გაიანე** – ხმაში ირონიაც შეგეპარა...

**დოდი** – მხოლოდ ასე თუ მოგიგერიებ...

**გაიანე** – უკვე ჩემი მოგერიებაც გჭირდება, არა?

**დოდი** – ჰო, შენი გაუთავებელი ეჭვებისა!

**გაიანე** – ჩააქრე სანთელი!

**დოდი** – რატომ?

**გაიანე** – სიბნელეში მინდა ყოფნა...

**დოდი** – ტკივილები არც სიბნელეში დაიმალება, სხვათაშორის...

**გაიანე** – არც ვაპირებ დამალვას, ყველაფერი უნდა გითხრა!

**დოდი** – მარტო შენ, თუ ჩემგანაც ითხოვ გულახდილობას!

**გაიანე** – ხედავ? სათქმელი ორივეს დაგვგროვებია...

**დოდი** – მე არაფერი მაქვს სათქმელი!..

**გაიანე** – როგორ?

**დოდი** – რა როგორ? ვცხოვრობთ და მორჩა, ზოგს სექსიც არა აქვს...

**გაიანე** – შენ? შენ ამბობ მაგას?

**დოდი** – ჰო, მე...

**გაიანე** – უცხო გახდი...

**დოდი** – შენ მაინც და მაინც გინდა, რომ ყველაფერი დაასათაურო, სახელი დაარქვა არა?

**გაიანე** – შენ ხომ ეს გიყვარდა ჩემში...

**დოდი** – რაღაცა ყოველთვის არის ჩვენში თვალდასახუჭი და ხელშეუხები, რომლის გაშიშვლებაც არ შეიძლება...

**გაიანე** – მე შენ ტვირთად გექეცი, არა ტვირთად არა, რაც დრო გადის, ალბათ მით უფრო გამაღიზიანებელ სახეს ვიღებ შენი შეცდომისას...

**დოდი** – არ გეჩვენება, რომ ამარტივებ და აბანალურებ ჩვენს ურთიერთობას?..

**გაიანე** – შეიძლება ჩვენს დახვეწილ სმენას ეჩოთირება ეს ყველაფერი, მაგრამ, სამწუხაროდ, ასეა...

**დოდი** – ესე იგი, შენ ჩემი სინდისი ყოფილხარ, რომელმაც არჩევანის საშუალება მომცა და მერე განუწყვეტლივ მახსენებს, რომ მივატოვე ცოლი და ორი არასრულწლოვანი შვილი!..

**გაიანე** – შენი ცინიზმი უკვე აუტანელია...

**დოდი** – რომ ვარ ეგოისტი და სასტიკი ბებერი, რომ...

**გაიანე** – გეყოფა!

**დოდი** – რომ ვაცდუნე ჩემზე ბევრად ახალგაზრდა და პერსპექტიული ქალი... რომ რასაც ხელს შევახებ, ყველაფერი იმსხვრევა...

**გაიანე** – ამოწურე? ახლა ჩემზე გადმოდი...

**დოდი** – აი, შენ კიდევ, რატომღაც შენს ქმედებებს ვერ უძებნი სახელს, სხვებისას ასე იოლად რომ არქმევ...

**გაიანე** – მე არ გავურბივარ...

**დოდი** – მაგრამ შენი სიმართლის კუნძულიდან რაღაც-რაღაცები ინისლება და ისე მკაცრად ცხადი აღარ არის...

**გაიანე** – ესე იგი, გაინტერესებს, რატომ არ დავირქვი ბოზი, როცა მაშინ დავწექით ერთად, სანამ შენ ჯერ კიდევ ვიღაცის ქმარი გერქვა, არა?

**დოდი** – შენ თითქმის მეგობრობდი იმ ვიღაცასთან, რომელსაც უყვარდი, პატივს გცემდა და თან ქმარს ართმევდი...

**გაიანე** – რა სასტიკი ხარ! მეგონა შენ მაინც გესმოდა ჩემი... მე მართლა გამიჩნდა მზრუნველობის გრძნობა მის მიმართ, რაღაც დედაშვილური თუ დამარცხებული მეტოქისადმი სიბრალულისმაგვარი...

**დოდი** – შენი უპირატესობის მწვერვალიდან...

**გაიანე** – ო, ღმერთო, ალბათ როგორ მქირდავდნენ ჭორიკანა ქალები, მე კი არ მინდოდა ის მოშვებული და თმადაუვარცხნელი მენახა... გეფიცები, გულწრფელად მინდოდა კარგად ყოფილიყო... მაგრამ ვცოფდებოდი იმის წარმოდგენაზეც კი, რომ ერთ საწოლში იწექით, თუმცა დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერი ჩავლილი იყო...

**დოდი** – შენ შეგეძლო გაქცევა ამ ყველაფრისგან...

**გაიანე** – ხედავ? თურმე უნდა გაგქცეოდი... მე ხომ არ დამიწყია არაფერი!..

**დოდი** – მაგრამ შენ უსიტყვოდ შეიფარე ჩემი მარტოობა...

**გაიანე** – მეც მარტო ვიყავი...

**დოდი** – ვერც ერთმა ვერ ვთქვით უარი... ახლა კი...

**გაიანე** – იმიტომ, რომ სული უკვე დიდ რიყედ მქონდა ქცეული ჩაქოლილი სურვილებისაგან...

**დოდი** – და ახლა გაცოფებს ჩემი დაბნეული ღიმილი, რომლითაც შემთხვევით შეჩეხებულ ნაცნობებს ვეგებები!..

**გაიანე** – უკვე აღარ შემეძლო გლოვა ჩემში: არ შემდგარი ბავშვების, არ შემდგარი მუსიკოსის, არ შემდგარი ქალის, არ შემდგარი დედის და საერთოდ...

**დოდი** – შენ უნდა გაქცეოდი ამ ყველაფერს, უნდა გაქცეოდი, რომ ასეთი არ გენახე...

**გაიანე** – რომ ერთ ჩვეულებრივ დღეს ასეთი გულისამრევად ჩვეულებრივი და ცარიელი არ ყოფილიყო ჩვენი ურთიერთობა...

**დოდი** – მე უკვე დაღლილი ვიყავი შენთვის, მაგრამ არ მინდოდა ამის აღიარება...

**გაიანე** – და დიდი ტკივილისთვის გამწირე!..

**დოდი** – რა ვქნათ ახლა ჩვენ, გაიანე?..

**გაიანე** – არ ვიცი... იქნებ კიდევ შეიძლება რაღაცის დაწყება თავიდან!..

**დოდი** – რაც დრო გადის, მით უფრო იზრდება ჩემს გარშემო უკიდეგანობა და უფრო და უფრო მიჭირს საკუთარი თავის პოვნა!..

**გაიანე** – მოდი, გავჩუმდეთ... გავჩუმდეთ და დავიძინოთ, ოღონდ სანთელს ნუ ჩააქრობ... მეშინია...

**(სიჩუმე... საათის ხმა თანდათან ისევ გამოიკვეთება და გაუსაძლისი ხდება...)**

**დასასრული**

თამაზ ბუაჩიძე

ბიბლიოთეკა

# ნიკოლაი დობროლიუბოვი — არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცენზენტი

1858 წელს პეტერბურგში, რუსულ ენაზე, გამოქვეყნდა წიგნი „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები". ამ თხზულების ავტორი იყო კეთილშობილ ქალთა ამიერკავკასიის ინსტიტუტის მასწავლებელი, თბილისის სასულიერო სემინარიის პროფესორი, არქიმანდრიტი გაბრიელი.

დღეს ამ წიგნის ავტორს ქართული საზოგადოება იცნობს როგორც გაბრიელ ეპისკოპოსს, შესანიშნავ მოღვაწეს, რომლის დაკრძალვაზე გამოსათხოვარი სიტყვა წარმოთქვა დიდმა ილიამ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლების" გამოქვეყნების დროსაც ქართულმა საზოგადოებამ კარგად იცოდა არქიმანდრიტ გაბრიელის – ამ ფართოდ განათლებული პედაგოგისა და გამოჩენილი სასულიერო პირის სახელი. 1843 წელს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის დამთავრების შემდეგ ის სამშობლოში დაბრუნდა. სწორედ ამ წლებში მუშაობდა „ცდისეული" ფსიქოლოგიის საფუძვლებზე (ქართულ ენაზე თარგმნილი ეს წიგნი, გამოსცა სასულიერო სასწავლებელმა მაშინდელი რექტორის, მამა გიორგის (გამრეკელის) ხელშეწყობით.).

1859 წელს, პეტერბურგში ჟურნალ „სოვრემენნიკში" დაიბეჭდა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკოლაი დობროლიუბოვის რეცენზია არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნზე. რეცენზია არც დადებითია და არც მთლად უარყოფითი: რეცენზენტის აზრით, წიგნის შინაარსი არაფერს ახალს არ შეიცავს. მისი ღირსებაა გადმოცემის მეთოდი და ფიზიოლოგიურ ფაქტთა სიუხვე. „არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნი, – წერს ნ. დობროლიუბოვი, – ნამდვილად თუ ვიტყვით, არაფერს ახალს წინანდელ ფსიქოლოგებთან შედარებით არ გვამცნობს, მაგრამ იგი განსხვავდება მათგან გადმოცემის მეთოდით და ფიზიოლოგიური ფაქტების შედარებითი სიუხვით, რაც მის უდავო უპირატესობას შეადგენს" (1.111).

ასეთია რეცენზენტის პოზიცია წიგნის მიმართ, პოზიცია, გამოთქმული კონკრეტული არგუმენტაციის გარეშე. რა თქმა უნდა, დობროლიუბოვის ეს დაუსაბუთებელი მსჯელობა უნდა გაანალიზდეს. უნდა ვიკითხოთ: ნუთუ სწორია რეცენზენტის მტკიცება, რომლის თანახმადაც წიგნის შინაარსში მკითხველი ვერ იპოვის რაიმე ახალს?

ეს რომ ასე არ არის, ამაში მკითხველი გამოკვლევის ზერელე გაცნობითაც დარწმუნდება. მიუკერძოებელი, ობიექტური მკითხველი აქ ბევრ ახალ დაკვირვებას, განსჯას, ფაქტების ორიგინალურ ინტერპრეტაციას აღმოაჩენს. რეცენზენტი აშკარად ეწინააღმდეგება თავისავე დებულებას – წიგნი არაფერს ახალს არ გვამცნობსო, როდესაც აღნიშნავს, არქიმანდრიტი გაბრიელი „ბევრ ფაქტს განსაკუთრებული თვალსაზრისით უყურებს" (II, III). რას ნიშნავს ეს განსაკუთრებული თვალსაზრისი, თუ არა არსებული, ჩვეულებრივი, აღიარებული თვალსაზრისის საპირისპიროს? სრულიად ახლებურ თვალსაზრისს? ასეთ ახსნას შეიძლება დაეთანხმო ან არ დაეთანხმო, მაგრამ შეუძლებელია, გამორიცხო მისი ორიგინალურობა, მისი სიახლე.

წიგნის შინაარსის სიახლეზე ლაპარაკობს აგრეთვე თავისებური ხასიათი – ნაწარმოები პოლემიკურია. არქიმანდრიტი გაბრიელი ეკამათება ნოვიცკის, კლინკეს, გონებაჭვრეტითობის მომხრეებს, მატერიალისტებს, კანტს, სიცოცხლის ძალის თეორიის წარმომადგენლებს და სხვ. მარტივი ჭეშმარიტებაა: პოლემიკოსს აუცილებლად უნდა გქონდეს საკუთარი პოზიცია, რომელიც სხვა თვალსაზრისს უპირისპირდება, ორიგინალურია, თვითონ შენი დაფიქრების ნაყოფია და, ამ აზრით, სრულიად ახალია. გაბრიელის წიგნის პოლემიკური ხასიათისათვის რეცენზენტს ყურადღება არ მიუქცევია, წინააღმდეგ შემთხვევაში, ის არ იტყოდა, წიგნის შინაარსობრივი მხარე არაფერს ახალს არ შეიცავსო.

კიდევ ერთი საბუთი ადასტურებს ნ. დობროლიუბოვის უარყოფითი შეფასების სიმცდარეს. რეცენზენტი, როგორც ჩანს, კარგად ვერ ერკვევა წიგნის მეთოდისა და შინაარსის ურთიერთობაში. მეთოდი არ უნდა იყოს წიგნის შინაარსის რაღაც გარეგანი მხარე, მხოლოდ მასალის დალაგებისთვის მოხმობილი ხერხი. ცდისეული მეთოდი ფსიქოლოგიაში არსებითად ეხება ამ მეცნიერების პრინციპებს, ამ პრინციპების ანალიზის გზებს. ის ფსიქოლოგიას წინანდელი ფსიქოლოგიებისაგან – მაგალითად, გონებაჭვრეტითი ფსიქოლოგიისაგან – სრულიად განსხვავებულ სახეს აძლევს. მაშასადამე, მეთოდი გარეგანი კი არ არის შინაარსისათვის, არამედ წიგნის შინაარსის სული და გულია, მისი ორგანული ნაწილია. მეთოდის სიახლემ შეუძლებელია წიგნის შინაარსობრივი სიახლე არ გამოიწვიოს.

---

*თავისი ერთ-ერთი ბოლო წერილი ცნობილმა მეცნიერმა საგანგებოდ „მნათობისთვის" დაწერა*

ასევე მცდარად უნდა მივიჩნიოთ რეცენზენტის განცხადება, რომელიც წიგნის შეფასებას ერთვის. ნ. დობროლიუბოვის აზრით, არქიმანდრიტი გაბრიელი მის მიერ მოყვანილ საწინააღმდეგო მოსაზრებათა უმრავლესობაზე მხოლოდ ირიბ პასუხებს იძლევა, ხოლო ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს სრულიად გადაუჭრელადაც ტოვებს (1. 111).

უნდა ითქვას, რომ ეს განცხადებაც არაფრით არ არის დასაბუთებული: მკითხველი ვერსად ვერ იპოვის თავად არქიმანდრიტ გაბრიელის მიერ მოყვანილ მოსაზრებებს, რომელთა მტკიცებაზე სავსებით გასაგები და „პირდაპირი" პასუხები არაა გაცემული, ასევე ვერ იპოვის „ზოგიერთ მეტად მნიშვნელოვან საკითხს", რომელიც წიგნში გადაუჭრელია. რეცენზენტი არსად არ ლაპარაკობს ასეთ საკითხებზე. ერთადერთი პრობლემა, რომელსაც იხილავს ნიკოლაი დობროლიუბოვი, ტვინისა და შეგრძნების ურთიერთობის პრობლემაა.

გავერკვეთ რაშია პრობლემის არსება?

არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნში დეტალურად გაანალიზებულია შეგრძნების გარეგანი ორგანოების – თვალის, ყურის, ცხვირის და ა.შ. აგებულება და ფუნქცია. არქიმანდრიტი აღნიშნავს, რომ ყოველი ორგანო იღებს შთაბეჭდილებებს, შემდეგ ნერვების საშუალებით ეს შთაბეჭდილებები გადაეცემა ტვინს და აქ იყრის თავს. რეცენზენტი ეთანხმება წიგნის ავტორის მსჯელობას: „ყოველივე ეს, – წერს ის, – ჯერჯერობით თითქოს დამაკმაყოფილებელია" (1. 111). დაპირისპირება იწყება უფრო გვიან, კერძოდ, მაშინ, როდესაც წიგნის ავტორი არჩევს საკითხს, თუ რას უნდა მიეწეროს შეგრძნების უნარი – თავად ორგანოს, მაგალითად, თვალს, ნერვებს, მატერიალურ ტვინს, თუ მატერიალური, ნივთიერი, სივრცეში არსებული ტვინისაგან დამოუკიდებელ და განსხვავებულ სულიერ, ფსიქიკურ აქტს. ამ საკითხს, როგორც არქიმანდრიტი გაბრიელი წერს, „დიდი და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ცდისეული ფსიქოლოგიისათვის" (2. 12). მართლაც, აბა, ნათლად წარმოვიდგინოთ ორი განსხვავებული, ურთიერთდაპირისპირებული თვალსაზრისი: ერთი ამტკიცებს, რომ შეიგრძნობს, აღიქვამს, მსჯელობს, დასკვნებს აკეთებს მატერიალური, ნივთიერი, სივრცეში არსებული ტვინი, მეორე თვალსაზრისის მიხედვით შეგრძნების, აღქმის, მსჯელობის, დასკვნის უნარები მიეწერება მატერიალურისაგან განსხვავებულ ფსიქიკურ, სულიერ სინამდვილის ფენომენებს. პირველი თვალსაზრისის მიხედვით, შეგრძნებაში არაფერია ისეთი, რაც მატერიალური ტვინის ფარგლებიდან გაგვიყვანს: შეგრძნება თვით ტვინის უნარია. მეორე თვალსაზრისის მიხედვით კი არსებობს სულიერი, ფსიქიკური, ფიზიოლოგიურისაგან განსხვავებული სინამდვილე, რაც ამართლებს ფსიქოლოგიის, როგორც მეცნიერების არსებობას.

რეცენზენტისა და წიგნის ავტორის დაპირისპირება აიხსნება სწორედ იმით, რომ ისინი ამ შეურიგებელ თვალსაზრისებს იცავენ: პირველს – ნ. დობროლიუბოვი, მეორეს – არქიმანდრიტი გაბრიელი.

ნიკოლაი დობროლიუბოვი უკიდურესი მატერიალისტია. მისთვის „ყველგან ერთი და იგივე მატერიაა, მხოლოდ განვითარების სხვადასხვა საფეხურზე" (1, 113). თავდაპირველად მატერია არსებობს არაორგანულ, უსიცოცხლო სხეულთა სახით, უფრო გვიან ის ვლინდება მცენარეთა ფორმაში – მცენარე უფრო განვითარებულ მატერიას წარმოადგენს. მატერიის განვითარების შემდეგი საფეხურია ცხოველთა სამყარო. ბოლო საფეხური კი ადამიანთა სამყაროა, თუ ადამიანის სხეულის ყველაზე განვითარებულ ნაწილს ტვინი შეადგენს, – წერს ნ. დობროლიუბოვი, – მაშინ რატომ არ უნდა დავუშვათ, რომ ტვინს შესწევს ისეთი მოქმედების უნარი, რომელსაც ჩვენ ვერ ვამჩნევთ ქვასა და ხეში?" (1. 113). რეცენზენტის აზრით, განვითარების ამ თეორიაზე დაყრდნობით, ტვინი უნდა მივიჩნიოთ შემგრძნებ საწყისად. განვითარებულ მატერიას, ე.ი. ნივთიერ, სივრცეში არსებულ ფენომენს აქვს შეგრძნების უნარი – ასეთია ნ. დობროლიუბოვის აზრი. ამიტომ ის ვერ ურიგდება არქიმანდრიტ გაბრიელის დებულებას, რომლის თანახმადაც ტვინი არ უნდა ჩაითვალოს შეგრძნების უნარის მქონედ. ეს დებულება, რეცენზენტის თანახმად, არ არის დამტკიცებული წიგნის ავტორის მიერ. „ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმებოდით ამ დებულებას, – წერს რეცენზენტი, – ავტორს რომ მართლა დაემტკიცებინა იგი. არ შეიძლება საკითხი გადაჭრა სანახევროდ – ასწავლის ჭკუას რეცენზენტი – და იმავე დროს ამტკიცო, რომ იგი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ამით შეიძლება გონებაჩლუნგი ადამიანის მოტყუება. ვისაც კი რამდენადმე მაინც საღი მოსაზრება აქვს, იგი საეჭვოა, რომ ასეთი ცალმხრივი გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდეს" (1. 111-112).

როგორც ვხედავთ, ნ. დობროლიუბოვს არ სურს ჩაითვალოს „გონებაჩლუნგ ადამიანად". მაგრამ ამისთვის საბაბი როდია არქიმანდრიტ გაბრიელის დებულება, რომელიც უარყოფს ტვინის მიჩნევას შეგრძნების უნარის მქონედ და ამ დებულების მტკიცებას.

არქიმანდრიტ გაბრიელის თანახმად ფიზიოლოგი სწავლობს ნივთიერ ტვინს, სულიერს ის არ ეხება. „ფიზიოლოგს, რომლის ამოცანასაც მხოლოდ ის შეადგენს, – წერს ის, – რომ გამოარკვიოს ადამიანის სხეულის ორგანოების დანიშნულება და მოქმედება, შეუძლია აქ შეჩერდეს" (2. 12). ფიზიოლოგი არ უნდა გავიდეს მატერიალურის გარეთ. „მაგრამ ფსიქოლოგმა, – ვკითხულობთ „ცდისეულ ფსიქოლოგიის საფუძვლებში", – რომელსაც სურს შეისწავლოს ადამიანის უხილავი მხარე, სწორედ ამ პუნქტიდან უნდა დაიწყოს თავისი კვლევა-ძიება" (იქვე).

ფსიქოლოგია იკვლევს ადამიანის არა ფიზიოლოგიურ პროცესებს, რომელთაც უკა-

ვიათ გარკვეული ადგილი, ვრცეულნი და, მაშასადამე, ხილულნი არიან, არამედ ფსიქიკურ, სულიერ პროცესებს, რომელნიც არიან უხილავნი, სივრცეში ადგილი არ უკავიათ. ასეთი შეგრძნებაა. ის, როგორც სულიერი, ფსიქიკური პროცესი, სივრცეში არ არსებობს, მხოლოდ დროში არსებულია. შეგრძნებათა ორგანოების აგებულებისა და დანიშნულების ანალიზის საფუძველზე არქიმანდრიტი გაბრიელი მიდის დებულებამდე, რომლის თანახმადაც „საწყისი ან სუბსტანცია, რომელიც ადამიანში ყველაფერს შეიგრძნობს და ამოძრავებს, სრულიად განსხვავებულია ტვინისაგან და საერთოდ, ყოველგვარი ორგანიზმისაგან" (2. 13). ეს არის უხილავი, არასხეულებრივი სულიერი სუბსტანცია – სული. მაშასადამე, ფიქრობს არქიმანდრიტი გაბრიელი, არსებობს ორი სუბსტანცია: მატერიალური და სულიერი. შეიგრძნობს სულიერი სუბსტანცია და არა მატერიალური სუბსტანცია – ტვინი.

არქიმანდრიტ გაბრიელს, როგორც ვხედავთ, სურს სულიერი, ფსიქიკური პროცესები მკაცრად გამოყოს ფიზიოლოგიური პროცესებისაგან. შეგრძნებას ის, სრულიად მართებულად, თვლის მატერიალური, ვრცეული აქტისაგან განსხვავებულ, უხილავ, არავრცეულ სულიერ აქტად, ატყობს, რომ ფიზიოლოგიურისაგან ფსიქიკურის განსხვავების გარეშე ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება არ არსებობს, ფსიქოლოგიის ადგილს დაიკავებს ფიზიოლოგია.

საერთოდ მატერიალიზმი არქიმანდრიტ გაბრიელისთვის მიუღებელია, სენია. „ვინც მატერიალიზმით დასნებოვნებულ ადამიანებს შეხვედრია, – ვკითხულობთ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში" – მას ადვილად შეუძლია შეამჩნიოს, რომ მათი ერთადერთი საყრდენი პუნქტი ის აზრია, თითქოს შეგრძნების უნარი ორგანიზმს ჰქონდეს" (2. 45). არქიმანდრიტ გაბრიელისთვის ორგანიზმის, ტვინის, ნივთიერის მიჩნევა შეგრძნების მატარებლად გამორიცხულია.

არქიმანდრიტ გაბრიელს წამოყენებული აქვს არგუმენტი, რომელიც ასაბუთებს, რომ შეგრძნება ნივთიერ ტვინს კი არ ძალუძს, არამედ მხოლოდ ადამიანის სულს, რომ სინათლეს ხედავს, ბგერას ისმენს არა მატერიალური ტვინი, არამედ ადამიანის სული, ერთი არსება. წიგნის ავტორის აზრით, ტვინი შეგრძნების აუცილებელი იარაღია, საშუალებაა, მაგრამ თვითონ არ არის შეგრძნება, ის ფიზიკური და არა ფსიქოლოგიური მოვლენაა. რეცენზენტისათვის ეს არგუმენტი მიუღებელია, ის წერს: „იმის (ე.ი. რომ ტვინი არ არის შემგრძნების საწყისი) მთავარ და სრულიად საკმაო დამტკიცებას, – ამბობს ავტორი, – ჩვენ ვპოულობთ ჩვენს შეგრძნებათა ერთიანობასა და სიმარტივეში, ერთიანობასა და სიმარტივეში, რომელნიც ესოდენ ეწინააღმდეგებიან ტვინისა და მთელი ნერვული სისტემის სირთულეს (1. 112).

არქიმანდრიტ გაბრიელის არგუმენტი, რომელიც არ მოსწონს ნ. დობროლიუბოვს, მარტივია და ეყრდნობა ყველასათვის მისაწვდომ ფაქტს. დავაკვირდეთ: არსებობენ სხვადასხვა სახის შეგრძნებები – სინათლის, ბგერის, სუნის და სხვ. შეგრძნებებს შორის რაიმე მსგავსებას ვერ ვიპოვნით: სინათლეს ჩვენ ვხედავთ, ბგერას – ვისმენთ, სუნს – ვყნოსავთ და ა.შ. შეუძლებელია თვალით დავინახოთ სიჩქარე, ან ყურით მოვისმინოთ სიტკბო, მიუხედავად შეგრძნებათა ასეთი განსხვავებისა, ისიც ფაქტია, რომ შეიგრძნობს ერთი და განუყოფელი არსება – ადამიანი. მე არ ვნაწილდები, ერთი ვარ და ერთად ვრჩები, როცა შევიგრძნებ რომელიმე საგანს. ეს ერთი ხედავს კიდეც, ისმენს კიდეც, ყნოსავს კიდეც და სწორედ ამაში ხედავს არქიმანდრიტი გაბრიელი შეგრძნების ერთიანობას. სიმარტივე გამოხატავს შეგრძნების იმ თვისებას, რომ ის არ შედგება ნაწილებისაგან, განუყოფელია. თუ შეიგრძნობს ტვინი, მისმა ერთმა ნაწილმა უნდა შეიგრძნოს სინათლე, მეორემ – სუნი, მესამემ – გემო და ა.შ. მივიღებთ ფაქტის საწინააღმდეგო ვითარებას: თურმე ისმენს და ხედავს არა ერთი განუყოფელი არსება, არამედ განსხვავებული არსებანი. არქიმანდრიტი გაბრიელი წერს: „ჩვენში ისმენს და ხედავს ერთი და იგივე განუყოფელი არსება, ერთი რომელიღაც სუბსტანცია ანუ მონადა, რომელიც ერთმანეთს ადარებს ორ შეგრძნებას და ამ შედარებიდან სათანადო დასკვნებს აკეთებს" (2. 16). არქიმანდრიტ გაბრიელის არგუმენტში არაფერია გაუგებარი: ის ფაქტი, რომ შეგრძნება ერთი და მარტივია, ეწინააღმდეგება ტვინის სირთულეს. „განიცდის არა ტვინი, მით უმეტეს, არა თვალი, ყური ან ცხვირი, – ვკითხულობთ „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლებში", – არამედ სული. ცალკეულ ორგანოებში და თვით ტვინშიც კი, ტვინის ბუშტულებში მიმდინარეობს ქიმიურ-მექანიკური ცვლილებები, რაც ჯერ კიდევ არ წარმოადგენს შეგრძნებას" (2,203). მხოლოდ ამ დებულების ძალით დაიძლევა ე.წ. ფიზიოლოგიზმი – სულიერის, ფსიქიკურის დაყვანა ფიზიოლოგიურზე, რაც მატერიალიზმის თვალსაზრისის კონკრეტული გამოვლენაა.

რეცენზიის მკითხველისთვის სრულიად ცხადია, რომ არქიმანდრიტი გაბრიელი ფსიქოლოგიის ყველა საკვანძო საკითხს ნათლად ასაბუთებს, არავითარ „ირიბ" დასაბუთებას მასთან არ ვხვდებით. რაც შეეხება იმ „მნიშვნელოვან საკითხებს", რომლებსაც, რეცენზენტის აზრით, წიგნის ავტორი „სრულიად გადაუჭრელად სტოვებს". უნდა ითქვას, რომ ნ. დობროლიუბოვის სამწუხაროდ, ასეთ საკითხებს წიგნში ვერ მივაგენით. სამაგიეროდ ძალიან აშკარად ჩანს ერთი მართლაც „მნიშვნელოვანი" ფაქტი: რეცენზენტი წიგნში განხილულ ბევრ არსებით პრობლემას – ასეთებია, მაგალითად, სულისა და სხეულის ურთიერთობის, ნების თავისუფლების, ტემპერამენტის, ხასია-

თის, თვითცნობიერების, შემეცნების, სულის უკვდავების პრობლემები – სავსებით უყურადღებოდ ტოვებს.

ამ აზრს იზიარებს აგრეთვე ა. ქუთელია, რომელიც 1943 წელს შეეხო არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნზე ნ. დობროლიუბოვის მიერ დაწერილ რეცენზიას. „დობროლიუბოვის რეცენზია – წერს ა. ქუთელია – არაა ამომწურავი. ეხება რა ყველაზე მთავარ საკითხს, დობროლიუბოვი სხვა თავისთავად მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ საკითხებს განუხილველად ტოვებს" (1. 130). საერთოდ ა. ქუთელიას წერილი ტიპიური ნიმუშია ჩვენში ტოტალიტარული რეჟიმის ბატონობისა: წერილი ცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ გაბრიელ ქიქოძის წიგნში ბევრი მატერიალისტური ელემენტია, თუმცა ის ტვინისა და სხეულის ურთიერთობის პრობლემას იდეალისტურად, ე.ი. არამეცნიერულად წყვეტს.

ვეთანხმებით ა. ქუთელიას აზრს, რომ დობროლიუბოვის რეცენზია ეხება მხოლოდ ერთ საკითხს და სხვა მეტად მნიშვნელოვან და საინტერესო ფილოსოფიურ საკითხებს განუხილავად სტოვებს. სწორედ ამიტომ გვაკვირვებს რეცენზენტის ამგვარი განცხადება: „ჩვენ სრულიადაც არ უკუვაგდებთ მის ძირითად დებულებებს" (1. 111). ავტორის ძირითადი დებულებები რეცენზენტის მიერ საერთოდ არ განიხილება და უკუგდებული როგორ უნდა იყოს? ნ. დობროლიუბოვს უნდა სცოდნოდა, რომ ნებისმიერი რეცენზია, ძირითადი საკითხების განხილვის მიზნით იწერება. რეცენზიის ბოლოში ნ. დობროლიუბოვი უსურვებს წიგნის ავტორს, რომ „მან განყენებულობისა და ფრაზეოლოგიის დამოუკიდებლად, მიგვითითოს უფრო დადებით ფაქტებზე, რომლებმაც იგი გამოთქმულ შედეგებამდე მიიყვანეს, ამჟამად კი ჩვენ მაინც საგონებელში ვართ" (1. 114).

სწორი გითხრათ, საგონებელში უნდა ჩავარდეს არა რეცენზენტი, არამედ ყველა, ვინც ამ რეცენზიას წაიკითხავს და ისურვებს გაარკვიოს, თუ როგორ ესმის მატერიალისტ ნ. დობროლიუბოვს არქიმანდრიტ გაბრიელის მიერ აღძრული ბევრი ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური და რელიგიური საკითხი, რაზეც რეცენზიაში პასუხს ვერ იპოვის.

ლიტერატურა:

1. „მნათობი", თბილისი, 1943, №7
2. გაბრიელ ეპისკოპოსის „ცდისეული ფსიქოლოგიის საფუძვლები", თბილისი, 1993 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიორგი ცქიტიშვილი

# ქართული თეატრის ისტორია

უძველესი ისტორიის, თვითმყოფადი კულტურის მქონე საქართველოს ყველა ეპოქაში გააჩნდა განუმეორებელი, სხვათაგან გამორჩეული, მაღალგანვითარებული ხელოვნება, რომელიც ყოველთვის იწვევდა კაცობრიობის ინტერესს. ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების, მწერლობის, უმდიდრესი ხალხური ფოლკლორის, მუსიკის, მხატვრობის გვერდით, საკუთარი ღირსეული ადგილი უკავია ქართულ თეატრს. მისი, როგორც თავისთავადი ფენომენის არსებობა, კარგა ხანია მთელმა მსოფლიომ აღიარა. ქართულ თეატრს საზღვარგარეთ დიდი ავტორიტეტი აქვს მოპოვებული.

მე-20 საუკუნეში არაერთი მნიშვნელოვანი, სქელტანიანი ნაშრომი შეიქმნა თეატრის ისტორიის განხრით. ყოველთვის კეთილი შურით მშურდა, როდესაც ვკითხულობდი გ. ბოიაჯიევის ხელმძღვანელობით დასტამბულ „საზღვარგარეთის თეატრის ისტორიის" სამ ტომეულს, ან ს. მოკულსკის ხელმძღვანელობით გამოცემულ „დასავლეთ ევროპის თეატრის ისტორიის" ტომებს, თქვენ წარმოიდგინეთ „სომხური თეატრის ისტორიის" რამდენიმე ტომეულიც არსებობს, რომელიც გასული საუკუნის 50-იან წლებშია გამოცემული. მე-20 საუკუნე ისე მიიწურა, მრავალსაუკუნოვანი ქართული თეატრის ისტორია არ შექმნილა. ვგულისხმობ, სისტემაში მოყვანილ, ეპოქის მიხედვით გაანალიზებულ, ერთ ნაშრომს ანტიკური ხანიდან დღემდე. ქართველი თეატრმცოდნეები მრავალი წელია იკვლევენ ქართული თეატრის სხვადასხვა ხანას. თითოეული მათგანი საგულისხმო, საინტერესო გამოკვლევაა, მაგრამ ეს მაინც ცალკეული ნაშრომებია.

ვფიქრობ, 21-ე საუკუნის დასაწყისშივე გამოსულმა „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის" პირველმა ტომმა, ეს ხარვეზი გარკვეულწილად შეავსო. მისი ავტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი სასწავლო დარგში, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი ვასილ კიკნაძე, კარგა ხანია ცნობილია, როგორც თეატრალური წრისათვის, ისე ფართო აუდიტორიისათვის. მისი რეცენზიები, სტატიები, პრობლემური წერილები თანამედროვე ქართულ თეატრში მიმდინარე ძიებებსა თუ შემოქმედებით პროცესებზე, თითქმის ნახევარი საუკუნეა იბეჭდება ქართულ ჟურნალ-გაზეთებში. იგი ავტორია არაერთი ფუნდამენტური ნაშრომისა ქართული თეატრის ისტორიის ამა თუ იმ პერიოდის თაობაზე. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი წიგნები დიდი ქართველი რეჟისორის სანდრო ახმეტელის შესახებ. ვ. კიკნაძე ერთ-ერთი პირველი გახლდათ, ვინც გასული საუკუნის 50-იან წლებში, უსამართლოდ რეპრესირებული და მივიწყებული რეჟისორის რეაბილიტაცია, მისი ღვაწლის გაანალიზება, წარმოჩენა, პოპულარიზაცია გაბედა. ამ წიგნების გარეშე, დღეს უკვე შეუძლებელია ქართული თეატრის ისტორიის კვლევა.

„ქართული დრამატული თეატრის ისტორიის" პირველი ტომი ჩვენს წელთაღრიცხვამდე ხანით იწყება და მე-20 საუკუნემდე, კერძოდ, 1935 წლამდე განვითარებულ მოვლენებს მოიცავს. პირველ თავში, რომელსაც „სათავეები" ეწოდება, ძალიან მოკლედაა გაანალიზებული ქართული თეატრალური ხელოვნების საწყისები. ავტორი, სამართლიანად აღნიშნავს, რომ ეს ეპოქა ბრწყინვალედ აქვს შესწავლილი ქართული თეატრმცოდნეობის პატრიარქს, ან განსვენებულ დიმიტრი ჯანელიძეს. ამიტომ, ვ. კიკნაძე მისი ნაშრომებიდან მოკლედ, კონსპექტურად კრებს მასალას, იმ უმთავრესს, რაც ანტიკური და შუა საუკუნეების ქართულ თეატრზე საერთო წარმოდგენის შექმნისთვისაა აუცილებელი.

შემდგომი თავი „ტრაგიკული ბედი თეატრისა" XVIII საუკუნეს ეხება. ბუნებრივია, შეუძლებელია სრულფასოვნად გააანალიზო ქართული თეატრალური ხელოვნების განვითარების მთლიანი პროცესი, ცალკეული მნიშვნელოვანი ეტაპების საფუძვლიანი შესწავლის გარეშე. ასევე, საყოველთაოდ აღიარებული ჭეშმარიტებაა, რომ ამა თუ იმ ეპოქის, იმხანად მიმდინარე პროცესების თუ განვითარებული მოვლენების გარეშე, ყოვლად წარმოუდგენელია, ყველაფრისგან მოწყვეტით, ცალკე განიხილო თეატრის ისტორია.

ვ. კიკნაძე ვრცლად, საფუძვლიანად მიმოიხილავს კონკრეტულ ისტორიულ პერიოდს და აქედან გამომდინარე საუბრობს თეატრალური ხელოვნების განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. ამის გამო, ნაშრომი კიდევ უფრო ღირებული ხდება.

მე-18 საუკუნეში მსოფლიოსა და საქართველოში განვითარებული მოვლენების ანარეკლი თეატრზე ნათლად ჩანს. ავტორი ჩვენი ქვეყნისა თუ საქართველოს უახლოესი მეზობელი სახელმწიფოების იმჟამინდელი ყოფის ფონზე წარმოაჩენს ერეკლე II-ის სამეფო

კარის თეატრს, რომელიც ევროპული კლასიციზმის გავლენის შედეგად, თანდათან პროფესიულ ნიშან-თვისებებს იძენს. მის პარალელურად ვითარდება ხალხური იმპროვიზაციული თეატრი („ბერიკაობა" და „ყეენობა"), აგრეთვე სასკოლო დრამა თუ სასულიერო, რელიგიური მისტერია. ძალდაუტანებლად იქმნება მაჩაბლის, გაბრიელ მაიორის, გიორგი ავალიშვილის, ოთარ ნორიოელის, ოიანა-ბუიანას აკვარელური სიმსუბუქით აღბეჭდილი პორტრეტები. თეატრის გვერდით, ნაბიჯ-ნაბიჯ ისახება და ყალიბდება ეროვნული დრამატურგია. დავით ჩოლოყაშვილის „იფილენია", ალექსანდრე ამილახვარის „მოქმედება ასტრახანში"-სთან ერთად, რა თქმა უნდა, დიდი მხატვრული ღირსებებით არ გამოირჩევა, მაგრამ, ქართული დრამატურგიის გარიჟრაჟია.

საერთოდ, წიგნის ყოველ მონაკვეთში, ნათლადაა წარმოჩენილი ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში ქართველი ერის სულიერი ცხოვრების გრადაციები. ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის, ფილოსოფიური მიმდინარეობის, მწერლობის, თეატრის ურთიერთკავშირი კომპლექსურად განსაზღვრავს კიდეც ერის სულიერ ცხოვრებას. ვ. კიკნაძის ნაშრომი ამ ღირსების გამოცაა მნიშვნელოვანი.

„სათეატრო კულტურა მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში" იმ ეპოქას ეხება, როდესაც საქართველო კარგავს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას (1801 წელი) და რუსეთის იმპერიის კოლონია ხდება. სხვის განაპირა გუბერნიად ქცეული ქვეყანა თანდათან თმობს ეკლესიის ავტოკეფალიას, მშობლიურ ენას, ეროვნულ თვითშეგნებას... წინასწარ განწირულ აჯანყებებს თუ 1832 წლის შეთქმულებას, არსებული მდგომარეობის შეცვლა არ ძალუძს... მოწინავე, მოაზროვნე საზოგადოება ისევ მწერლობის, ხელოვნების განვითარებით, ქართულ ენაზე გამოცემული ჟურნალ-გაზეთებით ცდილობს ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ოჯახურ თავყრილობებზე, წვეულებებზე იქმნება სალონური ატმოსფერო, იმართება ლიტერატურული საღამოები, საოჯახო წარმოდგენები... ადამიანები ამ სახით იკმაყოფილებენ სულიერ მოთხოვნილებებს. ვითარდება დრამატურგია, რომელსაც გიორგი ერისთავი ლიდერობს. საზოგადოება თეატრისადმი დიდ ინტერესს იჩენს. მეფისნაცვალი ვორონცოვი დიპლომატიურ დათმობაზე მიდის და... მომდევნო თავი, „გიორგი ერისთავის თეატრი", 1850 წლის 14 იანვარს აღდგენილ პროფესიულ ქართულ თეატრს ეძღვნება.

ავტორი იმ ადამიანის სრულყოფილ პორტრეტს ქმნის, ვინც ერეკლე მეფის სამეფო კარის თეატრის აღსასრულიდან 55 წლის შემდეგ: აბსოლუტურად ცარიელ ადგილას აღადგინა, დაამკვიდრა პროფესიული ქართული თეატრი; დასაბამი დაუდო ეროვნულ, თვისობრივად ახალ დრამატურგიას; გორის და მისი მიმდებარე სოფლების ახალგაზრდობიდან მოამზადა, აღზარდა პროფესიული თეატრის სამსახიობო დასი; 1852 წელს დაარსდა ჟურნალი „ცისკარი"... ყოველივე ზემოაღნიშნულის გარდა, გიორგი ერისთავის, როგორც თეატრის ხელმძღვანელის, მსახიობის, მოღვაწის საქმიანობაა წარმოჩენილი. მის გვერდით, არც მიხეილ თუმანიშვილის, ზურაბ ანტონოვის, ივანე კერესელიძის, გიორგი დვანაძის, გიორგი ჯაფარიძის, ალექსანდრე მეიფარიანის, ნინო უზნაძის და სხვათა ღვაწლია დავიწყებული.

„დაცემაში" ავტორი აღდგენილი პროფესიული თეატრის არსებობის ექვსი წლის თავზე ტრაგიკული აღსასრულის გამომწვევ მიზეზებზე გვესაუბრება. მისი პირმშოსავით დრამატულია თავად გიორგი ერისთავის ცხოვრებაც. ნაშრომის ამ მონაკვეთში თავს იჩენს წიგნის კიდევ ერთი თავისებურება. ვ. კიკნაძე თეატრის ისტორიას მშრალად, აკადემიურ სტილში კი არ მოგვითხრობს, არამედ ემოციურად, ლირიკული გადახვევებით, სხვადასხვა ასოციაციების მოხმობით. ყველგან აშკარად, დაუფარავად მჟღავნდება ავტორის პოზიცია, შეხედულება, დამოკიდებულება ამა თუ იმ პიროვნებისა თუ მოვლენის მიმართ.

„სამზადისი" გ. ერისთავის აღდგენილი პროფესიული თეატრის დახურვის შემდგომ პერიოდს ასახავს. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, საზოგადოებაში თანდათან მწიფდება პროფესიული თეატრის არსებობის აუცილებლობა. „თერგდალეულებს", ილიას წინამძღოლობით, ხალხში ეროვნული მეობის, მშობლიური ენის შესანარჩუნებლად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ტრიბუნად, სცენის მოყვარეთა მიერ გამართული წარმოდგენები აღარ აკმაყოფილებთ. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება მე-19 საუკუნის ცნობილ ქართველ მოღვაწეთა უტყუარი პორტრეტები, მათი ღვაწლი პროფესიული თეატრის განახლების მამულიშვილურ საქმეში.

„მუდმივი სცენა" 1879 წლის 5 სექტემბერს დაფუძნებული მუდმივმომქმედი ქართული თეატრის შესახებ მოგვითხრობს. აქედან მოყოლებული, მიუხედავად მრავალი გასაჭირისა, პროფესიულ ქართულ თეატრს არსებობა აღარ შეუწყვეტია. წიგნის ამ მონაკვეთში საზოგადო თუ თეატრალურ მოღვაწეთა მთელი გალერეაა (ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დიმიტრი ყიფიანი, ივანე მაჩაბელი, გიორგი თუმანიშვილი, ნიკო ავალიშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი, რაფიელ ერისთავი, მიხეილ ბებუთაშვილი, ვაჟა-ფშაველა, დავით ერისთავი, აქვსენტი ცაგარელი, ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, ნატო გაბუნია, მაკო საფაროვა, კოტე ყიფიანი, კოტე მესხი, ვალერიან გუნია, ბაბო ავალიშვილი, ნინო ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გოცირიძე, გიორგი არადელიშხნელი, ვასილ ბალანჩივაძე და სხვები) წარმოდგენილი, გაანალიზებულია თითოეული მათგანის ღვაწლი. ვ. კიკნაძე გვიჩვენებს ქართული თეატრის განვითარების პროცესს,

ევროპისა და რუსეთის თეატრალურ ხელოვნებაში მიმდინარე მოვლენების ფონზე. „დრამატურგთა რეჟისურას" თანდათან ცვლის „მსახიობთა რეჟისურა", ხოლო მე-19 საუკუნის დასასრულს, მე-20 საუკუნის დასაწყისში რეჟისურის, როგორც დამოუკიდებელი პროფესიის არსებობა აუცილებელი ხდება. ქართულ დრამატურგიაში მოდიან ახალი ავტორები. თაობათა ცვლაა მსახიობებშიც. განახლების პროცესი თეატრალური ხელოვნების ყველა კომპონენტს ეხება. ამ თავში განსაკუთრებული ადგილი დავით ერისთავის „სამშობლოს" (1882 წ.) დადგმას ეთმობა. სპექტაკლმა, არა მხოლოდ როგორც მხატვრულმა მოვლენამ, არამედ როგორც პატრიოტულმა მოწოდებამ გაიჟღერა. სწორედ ამის გამო იქცა იგი მნიშვნელოვან წარმოდგენად. ავტორი ოსტატურად აცოცხლებს იმჟამინდელ ყოფას, სპექტაკლის მიერ გამოწვეულ დიდ რეზონანსს.

განახლების აუცილებლობას გრძნობენ არა მარტო თეატრის მოღვაწენი. თვით ილიაც კი რეპეტიციების რაოდენობის გაზრდას ითხოვს, რათა მომავალი წარმოდგენა სერიოზული მუშაობის შედეგი იყოს და არა ნაუცბათევი, სახელდახელო, სცენისმოყვარეთა ნაცოდვილარი.

მე-19 საუკუნის მიწურულს, მე-20 საუკუნის დასაწყისში ასპარეზზე გამოდის ახალი დრამატურგია (დავით კლდიაშვილი, ვაჟა-ფშაველა, პოლიკარპე კაკაბაძე, გრიგოლ რობაქიძე, ნიკო შიუკაშვილი, ტრიფონ რამიშვილი, შალვა დადიანი და სხვები), რომელსაც ახალი, თვისობრივად განსხვავებული ფორმა თუ პრობლემატიკა მოაქვს ქართულ სცენაზე. კომედიურ-ვოდევილურ ან გმირულ-პეროიკულ, რომანტიკულ პიესებს ცვლის ტრაგიკომედია, ფსიქოლოგიური დრამა, სიმბოლისტური ნაწარმოებები. მე-20 საუკუნის დასაწყისში „მსახიობთა რეჟისურას" ცვლის პროფესიული რეჟისურა (ალექსანდრე წუწუნავა, აკაკი ფალავა, ვალერიან შალიკაშვილი, მიხეილ ქორელი და სხვები), რომელიც მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპებს ამკვიდრებს. ამავე საუკუნის 10-იან წლებში აქტიურ მოღვაწეობას იწყებს სანდრო ახმეტელი, ჯერ როგორც კრიტიკოსი, ხოლო შემდეგ როგორც რეჟისორი. იგი არ იზიარებს ე. წ. „მხატელი" რეჟისორების შემოქმედებით კრედოს. მიაჩნია, რომ ქართულ თეატრს, ეროვნული ხასიათიდან, ცხოვრების წესიდან, განსხვავებული ტემპერამენტიდან გამომდინარე, განვითარების საკუთარი გზა აქვს. მისთვის ყოვლად მიუღებელია მოსკოვის სამხატვრო თეატრის პრინციპების ბრმა მორჩილება.

რეჟისურის როლის გაძლიერებას უპირისპირდება ძველი თეატრის ტრადიციებზე აღზრდილ მსახიობთა ნება. კონფლიქტი უკომპრომისოა. 1918 წელს თბილისში იხსნება გიორგი ჯაბადარის დრამატული სტუდია, რომელიც პროფესიულად გაწვრთნილ-მომზადებული მსახიობების აღზრდისთვისაა მონოდებული. 1918-21 წლებში საქართველო მცირე ხნით იბრუნებს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას... აი, მოვლენების ის ფართო სპექტრი, რომელსაც საფუძვლიანად აანალიზებს ავტორი.

„ქართულ დრამაში", ვ. კიკნაძე მთლიანად ანგრევს მანამდე არსებულ სტერეოტიპს 1918-21 წლების ქართული თეატრის შესახებ და დასაბუთებულად გვაცნობს იმ რთულ, მაგრამ საინტერესო პროცესებს, რომლებიც ქართული თეატრალური ხელოვნების განახლების მიზნით ვითარდება. საბჭოთა იდეოლოგიის ტყვეობაში მყოფი მკვლევარები, მენშევიკური მთავრობის დროინდელ ქართულ თეატრს სულთმობრძავს, ულიმღამოს ხატავდნენ. სინამდვილეში მიმდინარეობდა ქართული თეატრის თვისობრივი განახლება. ეს ხანგრძლივი პროცესი უფრო მასშტაბურ ხასიათს კოტე მარჯანიშვილის მოსვლის შემდეგ (1922 წ.) იძენს. მაგრამ, მარჯანიშვილისა და ახმეტელის ძირეული რეფორმებისათვის ნიადაგი სწორედ წინა წლებშია შემზადებული. „ძიება ახალი თეატრისა" ამ ორი გენიალური რეჟისორის შემოქმედებითი პრინციპების დამკვიდრებას ეხება, რის შედეგადაც ქართული პროფესიული თეატრი თავისი განვითარების მაღალ საფეხურს აღწევს. ყოველივე ეს კი რთულად მიიღწევა. ხშირია კონფლიქტები, უკომპრომისოა დაპირისპირება, მოუთოკავია პიროვნული ამბიციები... ყოველივე ზემოაღნიშნულს დაუფარავად, შეულამაზებლად, პირუთვნელად გვაცნობს წიგნის ავტორი, რაც მისი ნაშრომის კიდევ ერთი ღირსებაა.

„გარდატეხა", ძველ და ახალ თეატრებს შორის ბრძოლის კულმინაციურ ეტაპს ეძღვნება. კორპორაცია „დურუჯის" შექმნა (1924 წ.) თანამოაზრეთა თეატრის დაფუძნების მაუწყებელია. მაგრამ, ქართული თეატრის განვითარების ამ მონაკვეთში, უმნიშვნელოვანესია კონფლიქტი მარჯანიშვილსა და ახმეტელს შორის. განხეთქილებამ, რომელმაც რუსთაველის თეატრიდან მარჯანიშვილის წასვლა (1926 წ.) გამოიწვია, შემდგომ მრავალნაირი ინტერპრეტაცია შეიძინა. ტყუილ-მართალი ორგანულად შეერწყა ერთმანეთს. ისტორიული რეალობის აღსადგენად, ჭეშმარიტების განსასაზღვრად, ლეგენდების, მითების, ჭორების მეშვეობით ბურუსში გახვეული მოვლენის არსში ჩასაწვდომად, პრინციპულად პირუთვნელი, ობიექტურია ვ. კიკნაძის პოზიცია. იგი ნათელს ჰფენს ორ დიდ ხელოვანს შორის, განსხვავებული შემოქმედებითი პრინციპების გამო გაჩენილ განხეთქილებას.

წიგნის ამ თავში განხილულია მარჯანიშვილისა და ახმეტელის ორ სხვადასხვა თეატრში მოღვაწეობა, მათი ლეგენდად ქცეული სპექტაკლები. თუმც, ავტორის მცდელობის მიუხედავად, ახმეტელთან შედარებით, მარჯანიშვილის შემოქმედება საგრძნობლად მწირადაა გაანალიზებული. ნაშრომის ეს მონაკვ-

ეთი მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში, ორი დიდი ქართველი რეჟისორის თეატრიდან (ცხოვრებიდანაც) წასვლით მთავრდება.

„სივრცე თეატრისა" მუდმივმომქმედი ქართული პროფესიული თეატრის განახლებიდან (1879 წ.), მე-20 საუკუნის 30-იან წლებამდე საქართველოს სხვადასხვა ქალაქების (ქუთაისი, თელავი, სოხუმი, გორი, ჭიათურა, ფოთი, ცხინვალი, ზუგდიდი, ოზურგეთი) თეატრალურ ცხოვრებას ასახავს. ამავე თავში ეთმობა ადგილი ბაქოს ქართულ თეატრს, რომელიც იმხანად არსებობდა და საზღვარგარეთ ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. ვინაიდან ქართული თეატრის ისტორია არ იქნებოდა სრულყოფილი, მხოლოდ თბილისის (რუსთაველისა და მარჯანიშვილის სახელობის) თეატრების მიერ განვლილი ცხოვრების გაანალიზებით, ნაშრომის ეს მონაკვეთი ძალზე მნიშვნელოვანია. ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს თბილისში, 1928 წელს, ალექსანდრე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით შექმნილ მოზარდ მაყურებელთა ქართულ თეატრზე.

„დაბრუნება" აჭარის თეტრალურ ცხოვრებას ეძლვნება. ავტორი ბათუმის სცენისმოყვარეთა წარმოდგენებიდან პროფესიულ თეატრად ქცევის პროცესს გვიჩვენებს.

„ბოლოთქმა" ლაკონურად აჯამებს ნაშრომს. „მე გავაკეთე, რაც შემეძლო, დეე გააკეთონ უკეთესთა შემძლებელთა" – დასასრულ, დასძენს ვ. კიკნაძე – „ქართულ თეატრმცოდნეობას, ისევე როგორც „მცოდნეობის" ყველა დარგს არ შეეძლო თავისუფალი ყოფილიყო იმ იდეოლოგიური ზეწოლისაგან, რომელიც საბჭოთა სისტემის დროს ხდებოდა... ამიტომ გასაგებია, რომ დღეს თეატრის ისტორიის ხედვა მოითხოვს სხვაგვარ გააზრებას. ბევრი რამ ახლებურად არის დასანახი და განსასჯელი". სწორედ ამ ამოცანის დაძლევაა ავტორის მიზანი, ამითაა წიგნი საინტერესო.

როგორც აღვნიშნე, „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის„ პირველი ტომის გამოსვლა მეტად მნიშვნელოვანია არა მარტო თეატრის მოღვაწეთათვის და მკვლევართათვის, არამედ ფართო საზოგადოებისათვის, რადგან ესაა ქართული კულტურის, ქართული აზროვნების, ქართული სულიერების ისტორია, განვლილი წლებისა თუ საუკუნეების ქრონიკა. წიგნის ბოლოს დართული პერსონალიების თვალის ერთი გადავლებაც საკმარისია, რათა ჩვენი ქვეყნისათვის წმინდათაწმინდა მრავალ სახელს წავაწყდეთ. ვასილ კიკნაძემ მართლაც კოლოსალური შრომა გასწია ამ ფუნდამენტური ნაშრომის შესაქმნელად. მან თავი მოუყარა, სისტემაში მოიყვანა, ეპოქების მიხედვით გაწალაგა, რაც მთავარია, დღევანდელი თვალსაწიერიდან გააანალიზა ქართული თეატრის მიერ განვლილი გზა სარიტუალო-საფერხულო სანახაობებიდან, კოტე მარჯანიშვილისა და სანდრო ახმეტელის უნივერსალურ თეატრამდე. აქვე არ შემიძლია მადლიერების გრძნობით არ მოვიხსენიო წიგნის სპონსორები – საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია (გ. ჭანტურია) და ქალაქ თბილისის მერიის კულტურის სამსახური (დ. ოქიტაშვილი). დღეს, როცა მრავალ სასიკეთო საქმეს ფინანსური ხელმოკლეობის გამო, ასრულება არ უწერია, ჩვენი ქვეყნისათვის ასე იშვიათი ქველმოქმედება უდაოდ აღსანიშნავი და დასაფასებელია. დარწმუნებული ვარ, ვ. კიკნაძე მალე მეორე ტომსაც შემოგვთავაზებს. ამის იმედს მაძლევს ის, რომ უკვე დაწყებულ საქმეს ბოლომდე უნდა მიყვანა. 1935 წლიდან დღემდე კი უამრავი ღირსშესანიშნავი რამ მოხდა ჩვენი თეატრის განვითარების გზაზე, რაც განსჯა-გაანალიზებას მოითხოვს. გარდა ამისა, „ქართული დრამატული თეატრის ისტორიის" მეორე ტომის გამოცემას საქართველოს კულტურის სამინისტრო აფინანსებს.

არ შემიძლია გულისტკივილით არ აღვნიშნო ერთი გარემოება. მსგავსი ტიპის წიგნები ძალიან იშვიათად (საქართველოში საერთოდ პირველად!) იბეჭდება და შემდეგ წლობით (თუ საუკუნით არა) რჩება ერთადერთ სპეციალურ გამოცემად. ამიტომ, ყველაფერს ექცევა ყურადღება.

„ქართული დრამატული თეატრის ისტორიის" პირველი ტომი აუარებელი კორექტურული შეცდომით ძლიერ აკნინებს აკადემიური, ფუნდამენტური ნაშრომის იმიჯს. ეს სამომავლოდ უთუოდ გასათვალისწინებელია.

დასასრულ, კვლავ ვ. კიკნაძის სიტყვები მინდა მოვიშველიო: „მოვა დრო და ჩვენს მიერ დაწერილ ისტორიასაც მოუწევს გადააზრება, მაგრამ მის ავტორებს უთუოდ გაახსენდებათ ძველი სიბრძნე, რომ ახალი ისტორიის თაღი ისე ვერ შეიკვრება, ერთი ქვა რომ არ ამაგრებდეს მეორეს!..".

ბიბლიოთეკა

ნინო მშვენიერაძე

# დიმიტრი უზნაძე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესახებ

დიმიტრი უზნაძემ 1911 წელს „სახალხო გაზეთის“ ორ ნომერში (№483, 484) გამოაქვეყნა წერილი „განდგომილობის პრობლემა ილია ჭავჭავაძის „განდეგილში“. ეს ის პერიოდია, როდესაც დ. უზნაძემ მიზნად დაისახა, ქართულ აზროვნებაში შემოეტანა ლიტერატურის „ესთეტიკური და ფილოსოფიური კრიტიკა“. ეს მოთხოვნა მას სავსებით გაცნობიერებული აქვს და კიდეც ახორციელებს თავის წერილებში, რომლებიც იმდროინდელ პრესაში იბეჭდებოდა.

მაშ ასე, დ. უზნაძის თვალსაზრისით, ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის შეფასება ორი მიმართულებით უნდა ხდებოდეს, ესაა „კრიტიკა ესთეტიკური და კრიტიკა ფილოსოფიური“. ესთეტიკური კრიტიკა ძირითადად ნაწარმოების კონკრეტულ სახეს უტრიალებს და მასში გამოიკვლევს, გამოარკვევს თუ რატომ იქცა იგი ხელოვნების ნიმუშად, თუ რამ გამოიწვია, რა იყო მიზეზი ჩვენი ესთეტიკური განცდის, ესთეტიკური ტკბობის. ჯერ კიდევ რომანტიკულმა ფილოსოფიამ იცოდა, რომ ესთეტიკური განცდა ადამიანის სულიერ ცხოვრებაში ერთ-ერთი უძლიერესი განცდაა (ამიტომ ამბობდა შილერი, ადამიანი მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი ადამიანი, როდესაც იგი ესთეტიკურ ტკბობას განიცდისო).

ფილოსოფიური ანალიზის დროს კი მკვლევარი ყურადღებას მიაქცევს არა კონკრეტულს, არამედ ზოგადს, იმ ფარულ ტენდენციებს, რომელთაც შეიძლება მიელოთ ამგვარი კონკრეტული ფორმა. მართალია, არც ისე ადვილია, აღნიშნავს დ. უზნაძე ერთმანეთისაგან მკვეთრად გავმიჯნოთ ესთეტიკური და ფილოსოფიური ანალიზი, მაგრამ მაინც ვეცადოთ და სანიმუშოდ ფილოსოფიური თვალსაზრისით წავიკითხოთ ილია ჭავჭავაძის ცნობილი პოემა „განდეგილი“.

ერთი შეხედვით, პოემის დედააზრის გადმოცემა მეტად მარტივი საქმეა. ძირითადი კოლიზია ესაა განდეგილის სულისა და ხორცის მოთხოვნათა დაპირისპირება, და რომ განდეგილი ვერ უძლებს ამ წინააღმდეგობას და მსხვერპლად ეწირება მას. ე.ი. ეს არის ნაწარმოები პიროვნული ტრაგედიის შესახებ. იმ ადამიანის შესახებ, რომელმაც უარყო ამქვეყნიური ცხოვრება, ამქვეყნიური სურვილები, მაგრამ ამ სოფლის დათმობა ბოლომდე ვერ შეძლო და ძლეული იქნა ამ ბრძოლაში. მაგრამ იმისათვის, რომ უფრო ნათელვყოთ ამ პრობლემის არა მხოლოდ კერძო, არამედ ზოგადი ხასიათი, უფრო შორიდან დავიწყოთ.

ადამიანი ყველაზე რთული არსებაა ყველა სხვა ცოცხალთან შედარებით. ეს ითქმის როგორც მის ფიზიკურ, სხეულებრივ მოცემულობაზე, ასევე მისი ცხოვრების სხვა უფრო მნიშვნელოვან მხარეზე – სულიერ ცხოვრებაზე (სულიერ ცხოვრებაში ავტორი მოიაზრებს ადამიანის სპეციფიკურ უნარს შემოქმედებისა, რომელსაც ეფუძნება მთელი ადამიანური სამყარო – კულტურა).

სულიერი ცხოვრების ნიშანდობლივი თვისებაა აქტივობა, შემოქმედება. მაშინ, როცა, ამ თვალსაზრისით, სხეული ინერტულია, პასიურია. ამიტომ არის, რომ ადამიანის ცხოვრების სპეციფიკად სულიერი ცხოვრებაა მიჩნეული. ადამიანის არსება ამიტომ განისაზღვრება ორგვარი ხასიათით: ერთია სულიერ ან ფსიქიკურ მოვლენათა სამყარო, ხოლო მეორე – ფიზიკურ მოვლენათა სამფლობელო.

მაგრამ საინტერესო ისაა, – ამბობს უზნაძე, – რომ აქტივობასა და პასიობას შორის განსხვავება მხოლოდ სულისა და სხეულის სხვადასხვაობას არ ეხება. იგი შეიძლება აღმოვაჩინოთ თავად ფსიქიკურ მოვლენათა შორის. და აქტივობის ეს განსხვავებაა სწორედ ის, რაც სულიერ მოვლენათა შორის განსხვავებას ამკვიდრებს.

ისმის კითხვა: რომელ სულიერ მოვლენებს შეიძლება აკლდეს აქტივობა და უფრო პასიური იყოს? ნათქვამიდან გამომდინარე ამ კითხვაზე პასუხის გაცემა არ უნდა გაგვიჭირდეს, ჩვენ უკვე ვიცით, რომ ადამიანი შექმნის თვალსაზრისით ფიზიკურად პასიური არსებაა, ამიტომ ნაკლებ აქტიური იქნება ის მოვლენები, რომლებიც უფრო მჭიდრო კავშირში არიან ადამიანის ფიზიკურ მხარესთან. კერძოდ, ესაა შეგრძნებები.

ადამიანის ბიოლოგიური კონსტიტუცია იმგვარია, რომ ყველა ტიპის შეგრძნებას აქვს თავისი შესაბამისი ორგანოც. ასევე გასათვალისწინებელია ის, რომ ყოველ შეგრძნებას თან ახლავს გრძნობა – გრძნობა სიამოვნებისა და უსიამოვნებისა. მაგრამ ამ სახის გრძნობა, რადგან იგი სხეულთანაა მიბმული, პასიური გრძნობაა. სულ სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანის ნებას ვეხებით. ადამიანის ნება – შეიძლება თამამად ითქვას – საფუძვლად უდევს მთელ ადამიანურ აქტივობას, მის თავისუფლებას. ნებას არაფერი აქვს საერთო ადამიანის ბიოლოგიურ მხარესთან. ადამიანი, როგორც სულიერი არსება, სწორედ ნების საფუძველზე მოქმედებს. იგი არის ადამიანის ცხოვრების დამდგენი და მამოძრავებელი. ნება არის ის ფენომენი, რომელიც ადგენს არამარტო ადამიანის არსს, არამედ განსაზღვრავს ადამიანის ინდივიდუალობას, მის პიროვნულ „მე“-ს – ასე ფიქრობს დ. უზნაძე. პოტენციის მიხედვით ნება აბსოლუტური, დაუსრულებელი ლტოლვაა, აქტივობაა მთლიანად უნივერსუმისადმი, ნება თავის პოტენციაში განუსაზღვრე-

ლია და სწორედ აქ იმალება ადამიანისათვის ძირითადი ხიფათი. ფაქტობრივად, ადამიანის ცხოვრებაში მისი შეჩერება – დაკონკრეტება არ მოხერხდება, თუ არ შემოვიტანთ „ღირებულებების“ ცნებას, ვინაიდან ადამიანის მთელი ცხოვრება შეიძლება განვიხილოთ, როგორც რაღაც მიზნებისაკენ ნების მიმართვა. ადამიანი იმგვარადაა მოწყობილი, რომ განსაზღვრული მოთხოვნილებანი მას აიძულებენ, რომ მიაღწიონ მის განხორციელებას, და როდესაც ის ამას აღწევს, სულიერი მღელვარება ცხრება, ადამიანი წონასწორობას აღიდგენს. ამგვარად, ადამიანის მოქმედების საზომი უნდა იყოს „ღირებულება“, ე.ი. ჩვენი მოქმედება შესაბამისობაში უნდა იყოს ღირებულებებთან. სწორედ ეს მრავალგვარი ღირებულებაა ადამიანის მოქმედების სტიმულიც და მიზანიც.

ადამიანი როგორც კი განახორციელებს ერთი ტიპის განსაზღვრულ ღირებულებებს, მისი ნება მაშინვე ახალი ტიპის ღირებულებებისაკენ იწყებს ლტოლვას. ამის უტყუარი მოწმეა მეცნიერების ისტორია, როგორც ინტელექტუალურ ღირებულებათა ევოლუციის პროცესი. ადამიანის აქტიურობა, მუდამ მიისწრაფვის არა რომელიმე კონკრეტული, კერძო სახის ღირებულებისაკენ, არამედ მისი მოთხოვნაა სრული ღირებულების, დასრულებული, აბსოლუტური ჭეშმარიტების პოვნა (ადამიანი, მართალია, შეუზღუდავი არსებაა როგორც შემმეცნებელი, მაგრამ ეს შეუზღუდაობა არ უნდა გავავრცელოთ მისი ცხოვრების სხვა მხარეების მიმართ).

ადამიანის ცხოვრების სპეციფიკა ისაა, რომ იგი მუდამ არსებობს ორ სიბრტყეში, ორ ველში: ესაა რეალობა და შესაძლებლობა. იგი გამუდმებით ქმნის თავის სამყაროს. ადამიანს აქვს ბიოლოგიური მოთხოვნები (დ. უზნაძე მას ფიზიკურ ღირებულებებს უწოდებს), ასევე არაბიოლოგიური, მაღალი ადამიანური მოთხოვნილებანი: ესაა ინტელექტუალური, ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური მოთხოვნილებანი, რომლებსაც შეესაბამება ინტელექტუალური, ესთეტიკური, ეთიკური და რელიგიური ღირებულებანი (უზნაძე იმეორებს ი. კანტის სქემას). და სწორედ აქაა ადამიანის არსის დადგენის გასაღები. მაშასადამე, დ. უზნაძის თვალსაზრისით ადამიანი არის შემოქმედი არსება, რომელიც თავად ადგენს არსებობის წესს, ქმნის რა კულტურულ-ადამიანურ სამყაროს. ასეთი ცხოვრების შექმნა ადამიანმა მოახერხა იმის გამო, რომ მას აქვს თავისუფალი ნება და შეუძლია მოქმედება ღირებულებების შესაბამისად.

ე.ი. ადამიანი არის არსება, რომელიც განსაკუთრებული ღირებულების შესატყვისად ეძებს ჭეშმარიტებას, ჩადის ზნეობრივ საქციელს ან ქმნის მაღალ ხელოვნებას. ადამიანის ნება, მისი მოქმედება ძირითადად განსაკუთრებულ ღირებულებათა ცვლაში მჟღავნდება, მაგრამ, ამავე დროს, ნებამ უნდა შესძლოს და აბსოლუტური ლტოლვა მოაქციოს გარკვეულ საზღვრებში. იმის გამო, რომ ადამიანს აქვს თავისუფალი ნება, მან ლტოლვა, აბსოლუტური აქტიობა გარკვეულ ფარგლებში უნდა მოაქციოს და ამით მიაღწიოს სრულყოფის მდგომარეობას. ადამიანის ამგვარი ცხოვრების წესი მომდინარეობს მისი „ბუნებრივი შეზღუდულობიდან“, ეს „ზღვარდადებულობა“ არის ადამიანის არსებობის წესი. რა თქმა უნდა, ეს არ არის მარტივად გადასალახი წინააღმდეგობა. ადამიანში მუდმივად არსებობს წინააღმდეგობა აბსოლუტურ ლტოლვასა და მის საზღვრის დამდებ ღირებულებებს შორის, მაგრამ ადამიანის არსება ასეთია, ესაა მისი „ბედისწერა“. ეს დაძაბულობა განსაკუთრებით საცნაურდება გენიალურ პიროვნებებში. ამ დრამატულ კონფლიქტს მრავალი პიროვნული „მე“ შეწირვია.

ამ თვალსაზრისის გათვალისწინებით თუ გადავხედავთ ჩვენი პოემის მთავარი პერსონაჟის ისტორიას, ჩვენთვის ნათელი გახდება მისი ცხოვრების ტრაგიკულობის ამბავი, რომელიც მომდინარეობს კონფლიქტიდან შესაძლებელსა და სასურველს შორის. დაპირისპირებიდან – ადამიანის აულაგმავ თავისუფალ ნებასა და მის ადამიანურ ღირებულებებს შორის – ადამიანის ბუნება ისეთია, რომ მას თავად მისი „ადამიანობა“ უწესებს ზღვარს. როდესაც მისი ნების მიზანი გადის ადამიანური მიზანშეწონილობის, კეთილდღეობის, ბედნიერებისა და მოვალეობის საზღვრებიდან, ტრაგედია გარდაუვალია.

როდესაც ადამიანს არ აკმაყოფილებს ადამიანური ღირებულებანი და უჩნდება მწვავე განცდა ამ ღირებულებების ამაოებისა, იგი სცილდება ღირებულებათა ამ სისტემას, ამ სამყაროს, ანუ „ამა სოფელს“ და მიელტვის განსხვავებულს, ზეციურს. ასეთ დროს მარცხი გარდაუვალია. ადამიანს არ შეუძლია ადამიანური საზღვრების გარღვევა, მისთვის მიუღწეველია აბსოლუტური სრულყოფა, ვინაიდან მისი თავისუფალი ნების ადგილსამყოფელია ცოცხალი, გრძნობადი ადამიანი. მას ყოველთვის თავს შეახსენებს ადამიანური ბუნება, მისი გრძნობადი მხარე, რომლის გაუთვალისწინებლობაც აუცილებლად იქცევა ადამიანური ტრაგედიის მიზეზად. ე.ი., მიუხედავად იმისა, რომ ადამიანი გონითი არსებაა, მას მაინც არ შეუძლია „ადამიანური საზღვრების“ გარღვევა, სხვაგვარად ქცევა, ხოლო ყოველი ამგვარი სურვილი უცილობლად გამოიწვევს თავად ადამიანური სამყაროს ნგრევას და ადამიანის „დაშლას“.

დ. უზნაძის თვალსაზრისით, ნაწარმოების ამგვარი წაკითხვა დაგვეხმარება კარგად შევიცნოთ, არა მარტო განდეგილის პიროვნული ტრაგედია, არამედ ადამიანის არსიც და ეს პოემა არ მივიჩნიოთ მხოლოდ „მხატვრულ-ესთეტიკურ შემოქმედებად“, ან „ქართველთა სავალალო ბედის ქომაგობად“, არამედ გავაცნობიეროთ ის ფაქტიც, რომ ნაწარმოებს საფუძვლად უდევს გარკვეული ფილოსოფიური მსოფლმხედველობა, გარკვეული ფილოსოფიურ-ანთროპოლოგიური კონცეფცია.

და ამ წერილის დაწერის მიზანიც სწორედ ეს იყო, მხატვრული ლიტერატურის ფილოსოფიური ინტერპრეტაცია და, ვფიქრობ, რომ ამ ამოცანის გადაწყვეტას დ. უზნაძემ ღირსეულად გაართვა თავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შოთა ჭოიძე

# პოეტი-მეფე

1922 წელს გალაკტიონ ტაბიძე წერდა: „ჟურნალ-გაზეთებში მოთავსებულია ასეთი ცნობები: „917 და 918 წელი საბედისწერო გახდა მონარქებისათვის". ჩამოთვლილია სახელები: ნიკოლოზ მეორე, ვილჰელმი, კარლ-ფერდინანდი, მაგრამ უფრო საბედისწეროა 920 და 921 წელი მეფეთათვის. გარდაიცვალა მეფე რუსეთის პოეტების ალექსანდრ ბლოკი".

სამი წლის შემდეგ, 1925 წელს, პოეტმა ეს სტრიქონები ასე გარდაქმნა:

**რა საოცარი დასრულდა წლები,**
**მეფეთა წყება გაქრა, ვით ლანდი,**
**მოშორდნენ ტახტებს: ვილჰელმი, კარლოს,**
**ნიკოლოოზი და ფერდინანდი.**
**მაგრამ მწუხარე მათზე კი არა,**
**სხვაზე იფიქრებს მარტიროლოგი;**
**იმ საშინელ წელს პოეტი-მეფე**
**გარდაიცვალა ალექსანდრ ბლოკი.**

ეს ლექსი დიდი რუსი პოეტის გარდაცვალების ოთხი წლისთავზე დაიწერა, მაგრამ მისი სიკვდილით გამოწვეული მწუხარება კვლავაც გრძელდება. ამით გალაკტიონმა მთელი ქართველი ინტელიგენციის გულისტკივილი და შეშფოთება გამოხატა. ყოველივე ეს ბუნებრივი იყო. პოეტმა, რომელმაც ოთხი ათეული წელი იცოცხლა, შექმნა მთელი პოეტური სამყარო, რომლითაც განუზომელი გავლენა მოახდინა თავისი ეპოქის რუსულ და სხვა ეროვნებათა ლიტერატურულ გარემოზე.

ალექსანდრ ბლოკს ბედმა ორი დიდი ისტორიული მისია არგუნა. იგი იყო მე-19 საუკუნის რუსული პოეტური გენიის უკანასკნელი მოჰიკანი, ამავე დროს ამ პოეტით დაიწყო მე-20 საუკუნის რუსული პოეზიის თავფურცელი. მან დახურა მე-19 საუკუნის რუსული პოეტური გენიის ანთოლოგია და დაიწყო ახალი ერა.

ალექსანდრ ბლოკი დაიბადა და აღიზარდა მეცხრამეტე საუკუნის რუსული ინტელიგენციის უმაღლეს წრეში. ამ გარემომ დიდი გავლენა იქონია მისი პიროვნებისა და ხასიათის ჩამოყალიბებაზე. პოეტის მშობლები და უახლოესი ნათესავები მეცნიერებისა და ლიტერატურის თვალსაჩინო მოღვაწეები იყვნენ: მამა — პროფესორი, იურისტი, ფილოსოფოსი; დედა — მწერალი და მთარგმნელი; მეუღლე — საქვეყნოდ ცნობილი ელემენტთა პერიოდული სისტემის შემქმნელის, დიდი რუსი მეცნიერის დ. მენდელეევის ქალიშვილი; ბაბუა — პეტერბურგის უნივერსიტეტის რექტორი. შეიძლება ითქვას, რომ მომავალი პოეტი ძველი რუსული უნივერსიტეტის კედლებში დაიბადა და აღიზარდა.

ახლა ჩვენთვის ერთნაირად საინტერესოა ალექსანდრ ბლოკის პიროვნებაც და პოეზიაც, პირველში ჩვენ ვხედავთ გარდასული დროის ცხოვრების ნაღველსა და ტკივილს, ხოლო შემოქმედებით მემკვიდრეობაში — რუსული პოეზიის სრულიად ახალ ნაკადს.

გზა პირველი ლექსებიდან რუსეთის დიდ ნაციონალურ პოეტამდე აღსავსე იყო ისტორიული და სოციალური მოვლენებით, წინააღმდეგობებითა და მძაფრი ვნებათაღელვით, სოციალური და რევოლუციური გარდაქმნებით, ეპოქალური ქარტეხილებით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი ცხოვრება სიმბოლისტებთან სიახლოვით დაიწყო, მაგრამ იმთავითვე იგრძნობოდა მათ შორის სერიოზული წინააღმდეგობა. „დროა ხელები მივუშვა ნებას, ანი აღარა ვარ მონაფე, ანი არავითარი სიმბოლიზმი", — წერდა პოეტი 1912 წელს. იგი ფენიქსივით წამოდგა ძველი რუსული ინტელიგენციის წიაღიდან და რუსეთის უდიდეს პოეტად მოგვევლინა.

შემოქმედის ცხოვრებაში ხშირად მთავარ როლს ასრულებს პირველი სულიერი აღტკინება, რომელიც შემდგომ განსაზღვრავს მთელ მის შემოქმედებას. ბლოკისათვის ეს იყო სიყვარული, რომელიც 1897 წელს ჩვიდმეტი წლის ყმაწვილმა საზღვარგარეთ, საკურორტო ქალაქ ბადნაუჰეიმში განიცადა, სადაც დედასთან ერთად ცხოვრობდა. აქ სადოვსკაია მისთვის მეათე მუზად იქცა. მან არგუნა პირველი და უნუგეშო სიყვარული, ღრმა კვალი დააჩნია ალექსანდრ ბლოკს, როგორც პიროვნებას.

ალექსანდრ ბლოკის ლექსების პირველი კრებული „ლექსები მშვენიერ მანდილოსანზე" 1904 წელს გამოიცა. მასში აისახა დიდი სიყვარულის ღრმა ნაკვალევი. იგი აღიბეჭდა მისტიკური განწყობილებებით, ინტიმური განცდების სიჭარბითა და ირეალური სამყაროს ანარეკლით. ალექსანდრ ბლოკის პოეტური თვალსაწიერი მიწიერ სიხარულსაც სწვდება, ეს სიხარული დაკავშირებულია მშობლიურ მხარესთან. პოეტის ზეშთაგონების სამყაროში გამოკრთა სამშობლოს სილუეტი.

პირველი რევოლუციის შემდეგ იწყება ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი აღმავლობა და მისი, როგორც პოეტის, საზოგადოებრივი ავტორიტეტის ზრდა. იგი აქტიურად ჩაება იმდროინდელ ლიტერატურულ პოლემიკაში,

როგორც პოეტი და როგორც პუბლიცისტი.

1905წელს დაიწერა ბლოკის ბრწყინვალე ლექსი „გოგონა გალობდა ტაძარში“. ეს ლექსი ძალიან უყვარდა პოეტს, ამიტომაც ხშირად კითხულობდა ტრიბუნიდან. მართლაც, რაოდენი სივრცე და სინათლე, რაოდენი სინატიფე და სათნოებაა მასში ჩაქსოვილი. ვკითხულობთ და თვალწინ წარმოგვიდგება არა სანთლებით განათებული ტაძარი, არამედ მზითა და სინათლით სავსე ქვეყანა, რომელშიც გულმხურვალედ ლოცულობს გოგონა სიცოცხლეზე და უმაღლეს ადამიანურ გრძნობებზე.

თუ გავითვალისწინებთ მე-20 საუკუნის ორ ათწლეულსა და ურთულეს ეპოქალურ მოვლენებს, რასაც მთლიანად ემთხვევა ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი ცხოვრება, მივხვდებით, რომ პოეტი თავისი დროის შვილია. მის ლექსებში აღიბეჭდა რუსული სული, რუსული ხასიათი, რუსეთის უკიდეგანო სივრცე. ბლოკის ლექსებში ძალუმად იგრძნობა სამყაროს სუნთქვა, სამყაროში ადამიანის დანიშნულების გააზრება. ყოველივეს აგვირგვინებს ფიქრი რუსეთზე და მის ბედზე. „თუ არ ცხოვრობ თანამედროვეობით – წერა არ შეიძლება“, – ამბობდა იგი. მხოლოდ შეყვარებულებს აქვთ უფლება ატარონ ადამიანის მაღალი წოდება, – წერს პოეტი და თავად არის ამისი შეუდარებელი მაგალითი. მხედველობაში მაქვს არა მარტო ციკლი „ლექსები მშვენიერ მანდილოსანზე“, „კარმენი“ და „თოვლის ნიღაბი“, არამედ ის ლექსებიც, რომლებიც ერთი შეხედვით, თემატიკურად შორს დგანან, მაგრამ სიყვარულის უზენაესი იდეა ასულდგმულებთ. ალექსანდრ ბლოკის პოეზიაში სიყვარული წარმოდგენილია, როგორც სამყაროს ულამაზესი სახე, ადამიანის სიცოცხლის გამართლება.

რუსულ და მსოფლიო მწერლობაში ბევრი მშვენიერი მანდილოსნის სახელი ანონიმურია. საბედნიეროდ, ჩვენთვის კარგად არის ცნობილი ლ. მენდელეევასა და ლ. დელმასის არა მარტო სახელები, არამედ მთელი მათი მოღვაწეობის უძვირფასესი წლები. არც ის ამბავია გასაკვირი, რომ 17 წლის ჭაბუკი მოიხიბლა ქალით, რომელიც 32 წლის იყო. ისიც ცნობილია, რომ ქ. სადოვსკაია მაშინ სამი შვილის დედა გახლდათ. ალექსანდრ ბლოკის ეს გატაცება ისევე სუფთაა და ფაქიზი, როგორც მისი უმშვენიერესი ციკლი „ლექსები მშვენიერ მანდილოსანზე“ და „თორმეტი წლის შემდეგ“.

1969 წელს გარდაიცვალა ლიუბოვ დელმასი, მაშინ იგი 85 წლისა იყო. 40 წელზე მეტ ხანს იცოცხლა ბლოკის გარდაცვალების შემდეგ. მის პირად არქივში უამრავი საგულისხმო და საინტერესო მასალა აღმოაჩინეს, რომელთა შესახებ ბევრი იწერება და კვლავაც დაიწერება.

„ყველაფერი უნდა გადაკეთდეს, საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ ჩვენი ცრუ, ბინძური და საზიზღარი ცხოვრება სამართლიან, ფაქიზ, მხიარულ და მშვენიერ ცხოვრებად იქცეს“ – წერდა ალექსანდრ ბლოკი. მთელი მისი მონიფული შემოქმედება რუსეთის ცხოვრების განახლებისა და გამშვენიერების ძალუმი სიმღერაა.

„რუსეთის საშინელ წელთა შვილი“ უწოდა პოეტმა თავისი ლექსების ლირიკულ პერსონაჟს. თუ ადრე პოეტს ხელოვნება ცხოვრებაზე მაღლა მდგომ სასწაულად მიაჩნდა, მერე და მერე გამდიდრდა მისი ესთეტიკური სივრცე, ამაღლდა ხალხისა და საზოგადოების წინაშე დიდი მოვალეობისა და პასუხისმგებლობის შეგნება. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ეს არის წლები, როცა სიმბოლიზმმა პოზიციები განიმტკიცა. ალექსანდრ ბლოკი პუშკინის, ლერმონტოვის, ნეკრასოვის, ტიუტჩევისა და სხვათა ტრადიციების ათვისებას მიელტვის. თუ მისი დროის დეკადენტი პოეტები აღტაცებულნი არიან „დიდი ქალაქის სიმშვენიერით“, ალექსანდრ ბლოკს სულს უხუთავს აუტანელი ატმოსფერო. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ლექსების ციკლი „თავისუფალი აზრები“.

პოეტი ბევრს მოგზაურობს. 1909წელს ეწვია იტალიას, გერმანიას. 1911 წელს იყო პარიზში, ბელგიაში, ჰოლანდიაში, რამაც ფართო ასახვა ჰპოვა მის ლექსებში. ამ შთაბეჭდილებებს ეკუთვნის „იტალიური ლექსები“ და პოემები.

1920 წლიდან პოეტი სათავეში ჩაუდგა სრულიად რუსეთის პოეტების კავშირის პეტროგრადის განყოფილებას. მაშ, სხვა ვინ უნდა ყოფილიყო ამ პოსტზე, თუ არა რუსეთის პირველი პოეტი? პასუხი ერთია, მხოლოდ ალექსანდრ ბლოკი. მისი მოქალაქეობრივი და შემოქმედებითი პოტენციალი კიდევ უფრო მძლავრად გამოჩნდა პოემაში „თორმეტნი“. ამ პერიოდს ეკუთვნის ოდა „სკვითები“. პოეტი თვალნათლივ ხედავს, თუ როგორ ინთქმება „მსოფლიო ხანძარში“ ძველი სამყარო, იგი კითხულობს მოხსენებებს პოეტის დანიშნულებასა და ხელოვნების აქტუალურ საკითხებზე.

თანამედროვეთა შეკითხვას, საჭიროა თუ არა ავტორმა უპასუხოს კრიტიკოსს, ალექსანდრ ბლოკი უარყოფითად პასუხობდა. იგი ამ კითხვაში ვერ ხედავდა ვერავითარ პრინციპულ გონებამახვილობას. მას მიაჩნდა, რომ ამ კითხვას არ ექნება ადგილი მომავალში, ისე, როგორც არ ჰქონია ადგილი წარსულში.

ალექსანდრ ბლოკი იხსენებს ფლობერს, რომელიც მეგობრობდა კრიტიკოს სენტ-ბიოვთან. ეს იყო კრიტიკოსი, რომელიც თითქმის სწორად მიუდგა მის სამყაროს. როდესაც „სალამბო“ გამოვიდა, სენტ-ბიოვმა გამოაქვეყნა აშკარად მტრული რეცენზია. ფლობერმა მას უპასუხა ვრცელი წერილით, თუმცა იგი არ იყო გამოსაქვეყნებლად გათვალისწინებული, ხალხმა მაინც გაიგო მისი არსებობა ფლობერის წერილიდან, რომელიც მაშინ დაიბეჭდა, როცა არც მწერალი და არც კრიტიკოსი ცოცხლები აღარ იყვნენ. რომანი „სალამბო“ კი კაცობრიობის კუთვნილება გახდა. შემდეგ ალექსანდრ ბლოკი

დასძენს, რომ ჩვენთვის სირცხვილია არ ვიცოდეთ „სალამბო", მაგრამ გვაქვს უფლება, არ წავიკითხოთ ავტორის წერილი მის კრიტიკოსთანო.

ისიც ცხადია, რომ ალექსანდრ ბლოკის პოეზიის გაგება არცთუ ისე იოლია. იგი რამდენჯერმე უნდა წაიკითხო, როგორც არაერთგზის აღუნიშნავთ, ალექსანდრ ბლოკის პოეზია, და არა მარტო პოეზია, მთელი მისი შემოქმედება, უაღრესად მონოლითურია. ისე, როგორც მისი ლექსები, ასევე მთელი მისი პროზა ერთნაირად მიზანსწრაფულია. როცა პროზას ვახსენებთ, იგულისხმება პოეტის პუბლიცისტური მემკვიდრეობა, რაც ავსებს და ერთგვარად აგრძელებს პოეზიის ესთეტიკურ სამყაროს.

თავისი სტატიების წიგნში ლევ ოზეროვი წერს: „ბლოკის – პოეტისა და დრამატურგის სახელმა დაჩრდილა ბლოკის, როგორც პროზაიკოსის სახელი. ეს იმ დროს, როცა ბლოკის პროზა სამართლიანად ითვლება მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის განუყოფელ და მნიშვნელოვან ნაწილად. ჩვენ ვხმარობთ „პროზას" კრიტიკული და პუბლიცისტური სტატიების მიმართ და იმ განსაზღვრის თანახმად, რომელიც პოეტმა აირჩია 1917 წელს, თხზულებათა კრებულის გეგმის შედგენისას. ამ შემთხვევაში „პროზა" აერთიანებს ყველაფერს, რაც არ არის არც პოემა, არც პიესა.

როგორც ცნობილია, ბლოკს არა აქვს არც რომანები, არც მოთხრობები, მაგრამ მის პროზაში შთამბეჭდავად არის გამოხატული დროის სახე და თვითონ პოეტის სახე დროში. ბლოკისადმი მიძღვნილი ვერც ერთი მონოგრაფია, ვერც ერთი გამოკვლევა ვერ იძლევა ეპოქისა და პოეტის შემოქმედების ისეთ გაგებას, როგორც მისი პროზა, ლირიკოსის სახე ეპიკურობის ნიშნებს იძენს".

ალექსანდრ ბლოკი ძალიან ბევრს ფიქრობს საერთოდ პოეზიის რაობისა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის პრობლემებზე. ხშირად კრიტიკულად აფასებს საკუთარ ძალებს. ერთხელ იგი წერს: „ამ დღეებში ვიფიქრე, რომ ლექსები აღარ უნდა ვწერო, რადგან მეტისმეტად კარგად ვიცი ეს საქმე".

ამ სიტყვებში ხაზგასმულია პოეტის უდიდესი პასუხისმგებლობა შემოქმედებითი პროცესისადმი. მისთვის მთავარი ლექსის კარგად დაწერა კი არ არის, არამედ უმთავრესია კარგი ლექსის დაწერა, ლექსისა, რომელიც თავად დაგაწერინებს თავს. ამ მომენტზე ამბობდა ტიციან ტაბიძე: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერს, ჩემი ცხოვრება ამ ლექსს თან ახლავს... ლექსს მე ვუწოდებ მოვარდნილ მეწყერს, რომ გაგიტანს და ცოცხლად დაგმარხავს". პოეზიის რაობის ამგვარ გაგებაში უთუოდ არის საერთო ამ ორ პოეტს შორის.

1919 წლის აპრილს ალექსანდრ ბლოკი წერდა: „მე მოვძველდი და წარმატება აღარ მაქვს. ხომ არ მელის არქივი?"

ცხადია, ამ შემთხვევაში პოეტი მართალი არ არის, რადგან მის პოეზიას არ შეხებია სიბერის მსახვრალი ხელი. ერთობ მოულოდნელიც კი იყო ასეთი განცხადება რუსეთის პირველი პოეტისაგან. რა თქმა უნდა, ეს ფაქტიც მის სასარგებლოდ მეტყველებს და ხაზს უსვამს პოეტის დანიშნულებასა და დიდ პასუხისმგებლობას. ჩემი აზრით, იგი კარგი გაკვეთილია ყველა დროისა და თაობის პოეტებისათვის.

ალექსანდრ ბლოკის შემოქმედებითი გზა, როგორც უკვე ვთქვით, დაიწყო წიგნით მშვენიერ მანდილოსანზე და დაგვირგვინდა პოემით „თორმეტნი". რევოლუციის „მსოფლიო ხანძარში" იგი ძველი სამყაროს ნგრევას და რუსეთის ხსნას ხედავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან გომართელი

# ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს

### ჩვენი ჟურნალის კორესპონდენტი ესაუბრა ლიტერატურათმცოდნე ამირან გომართელს

**ა.ბ. ბატონო ამირან, დღეს, XXI საუკუნეში, ალბათ, ხელახლა უნდა გადავხედოთ XX საუკუნის ქართულ ლიტერატურას. კერძოდ, მე მინდა მთლიანობაში გავამახვილოთ ყურადღება გასული საუკუნის 60-იანი წლების მწერლობაზე, და იმავდროულად, ყველაზე მნიშვნელოვან ნაწარმოებებზე, რომელთაც „მსოფლიო რადიუსით" გამართეს ქართული ლიტერატურა.**

ა.გ. დავიწყებ თქვენს მიერ ნახსენები ფრაზით: „ქართული ლიტერატურის გამართვა მსოფლიო რადიუსით". თქვენ კარგად მოგეხსენებათ და, ალბათ, მკითხველმაც იცის, რომ გამოთქმა „გამართვა მსოფლიო რადიუსით" ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის. ეს სიტყვები მან დევიზად დასახა, სამოქმედო პროგრამად აქცია გასული საუკუნის პირველ მესამედში. ამ დევიზის საქმედ ქცევა თავად ტიციანმა, მისმა „ცისფერყანწელმა" მეგობრებმა და, რაც მთავარია, დიდებულმა გალაკტიონმა ითავეს ქართულ პოეზიაში. პროზაში კი მისი განხორციელება ვასილ ბარნოვის, ნიკო ლორთქიფანიძის, გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას, მიხეილ ჯავახიშვილისა თუ დემნა შენგელაიას... ხვედრი იყო. ოღონდ, სამწუხაროდ, 30-იან წლებში შეწყდა ქართული ლიტერატურის ბუნებრივი განვითარება. მისი აღდგენა მხოლოდ XX საუკუნის 60-იანი წლებიდან მოხერხდა. ქრონოლოგიურად თითქმის ზუსტად განმეორდა საუკუნის წინანდელი მოვლენა. მეტი სიზუსტისათვის შეგვეძლო გვეთქვა, რომ ის თაობა, რომელსაც მე და თქვენ XX საუკუნის სამოციანელებს ვუწოდებთ, ასპარეზზე განახლებული „ცისკრით" გამოვიდა. ჟურნალის პირველი ნომერი, მოგეხსენებათ, 1957 წლის ზაფხულში გამოიცა. თუმცა ის უდავოა, რომ „ცისკრელების" შემოქმედებითი ჩამოყალიბება 60-იან წლებში მოხდა.

როგორც ითქვა, XIX საუკუნეშიც 60-იანი წლებიდან დაიწყო ქართული მწერლობის განახლება „თერგდალეულთა" მეთაურობით. ორსავე შემთხვევაში ორიენტირი ერთი და იგივე იყო – მიბრუნება ქართული მწერლობის უძველესი ტრადიციისაკენ, გაწყვეტილი ხაზის გამთლიანება, ეროვნული ცნობიერების გალვივება, არსებული რეალობის სალი შეფასება, მე ვიტყოდი, XX საუკუნის სამოციანელთა ამოცანა უფრო რთულიც იყო, რადგან პრობლემა უნდა გადაეწყვიტათ არა მარტო ესთეტიკურ და ნაციონალურ პრიზმაში, არამედ პოლიტიკურ ჭრილშიც, რაც უმძიმესი იდეოლოგიური არტახებისაგან თავის დაღწევაში მდგომარეობდა. ასეთი იდეოლოგიური წნეხის ქვეშ არ ყოფილან XIX საუკუნის სამოციანელები. ხოლო თუ XX საუკუნის 10-იან წლებში აუცილებელი იყო „ნაციონალური ჰერმეტიზმის გარღვევა" (ეს გამოთქმაც ტიციან ტაბიძეს ეკუთვნის), ახლა აღსადგენი შეიქმნა ნაციონალური სულიც, გამრუდებული ცნობიერებაც და სინამდვილის რეალისტური აღქმაც (სიცრუისაგან თავის დაღწევა).

რეალისტური ხედვისათვის, სინამდვილის ასახვისათვის XX საუკუნის 60-იან წლებში არავითარი პირობა არ არსებობდა. ამიტომ მწერალმა ისწავლა სტრიქონებს შორის წერა, აზრის მინიშნებითა და ქვეტექსტით გამოხატვა. ეს უკანასკნელი გარკვეული დოზით არსებობდა 20-30-იანი წლების ქართულ მწერლობაშიც. ოღონდ იქ ქვეტექსტს ძირითადად მხატვრული ფუნქცია ჰქონდა. XX საუკუნის მეორე ნახევრის ქართულ მწერლობაში კი ქვეტექსტს მხატვრულზე უფრო მეტად ჰქონდა აკრძალული, ანუ ხელისუფლებისათვის მიუღებელი აზრის გამოხატვის მიზანი და დანიშნულება.

ამიტომ მიმართა XX საუკუნის 60-იანელთა პროზამ 70-იან, 80-იან წლებში მითოლოგიას. ამით მათ ერთგვარად აღადგინეს კავშირი „მამების" თაობასთან. გავიხსენოთ, თუ რა როლს თამაშობდა მითოსი გრიგოლ რობაქიძის, კონსტანტინე გამსახურდიას ან, ვთქვათ, დემნა შენგელაიას პროზაში; როგორ იქმნებოდა მითით მეორეული პლანი და როგორ სძენდა იგი ნაწარმოებს ეშხსა და აზრობრივ სიღრმეს. მაგრამ მხოლოდ ამ მიზნით არ მიუმართავს ქართულ მწერლობას მითოსისათვის 70-იან წლებში. მეორეული პლანით ხელისუფლებისათვის მიუღებელი აზრობრივი შინაარსი გამოითქმოდა. ზღვისაგან მიტოვებული ოთარ ჭილაძის ვანი („გზაზე ერთი კაცი მიდიოდა"), ხომ მწერლის თანამედროვე საქართველოა, მას შემდეგ, რაც პირველმა ბერძენმა დაადგა ფეხი მის მიწაზე. ბერძენში მკითხველმა მკაფიოდ ამოიცნო ის დამპყრობელნი, რომლის ხსენება საბჭოთა საქართველოში შეუძლებელი იყო. არც მწერლის მეორე რომანის ურუქია ძნელად გასაშიფრი. ისიც საქართველოა, სადაც ყველაფერს დამპყრობლის, ეპოლეტებიანი და ჩექმებიანი მაიორის მიერ „დაჩოქილი და დაძრული დრო დაეპატრონა". ყოველივე ეს ქვეტექსტით იყო ნათქვამი.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ კრიტიკის

მდგომარეობა, რომელსაც სათქმელის მხატვრული სახეებით, სიტუაციის მეშვეობით ან ქვეტექსტით გამოხატვა არ შეეძლო, სათქმელი მეტი პირდაპირობით უნდა ეთქვა. მიმაჩნია, რომ 60-იანელთა თაობის კრიტიკოსების ტალანტიცა და გამბედაობაც დიდი დაფასების ღირსია.

**ა.ბ. რას იტყოდით 60-იანი წლების ქართულ პოეზიაზე? ერთმანეთისგან სრულიად განსხვავებული პოეტები, ალბათ, საინტერესო პანორამას ქმნიან?**

ა.გ. ათწლეულების მიხედვით პოეზიის თვისობრივ ხასიათზე მსჯელობა წმინდა ქრონოლოგიური ფაქტია. XX საუკუნის მეექვსე ათწლეულის ქართული პოეზიის შეფასებისას მე მახსენდება გურამ ასათიანის შესანიშნავი წერილი – „დინოზავრების ნაკვალევზე სიარული აკრძალულია". გურამ ასათიანს აზროვნების სილაღე ჰქონდა, რაც ამ წერილის სათაურშიც გაცხადდა. კრიტიკოსს ეს ფრაზა არ მიუთვისებია. იგი პეტრე ჭაბუკიანის, სათაფლიაზე დინოზავრების ნაკვალევის აღმოჩენის, ფრთიანი გამოთქმა ყოფილა, მაგრამ გურამმა სხვა შინაარსით აავსო. იგულისხმება ორიგინალობა, ის თავისთავადობა და ინდივიდუალობა, რაც უნდა ჰქონდეთ შემოქმედთ, რადგან ამის გარეშე მწერლობის, გნებავთ საკუთრივ პოეზიის, პანორამულობა შეუძლებელია. აქ შეიძლება გავიხსენოთ რუსი ფუტურისტის ხლებნიკოვის ლექსის სტრიქონები, სადაც იგი, შეიძლება ცოტა ირონიული ლაღობითაც კი წერს, რაც მთავარია, იყო ორიგინალური და თუნდაც „ბაყაყივით იყიყინო".

გურამ ასათიანის წერილის სათაურში სხვა ჩინებული აზრიცაა დაჭერილი – დინოზავრების ანუ დიდი პოეტების ნაკვალევზე სიარული აკრძალულია. ამერიკელ ლიტერატურათმცოდნეს ჰ. ბლუმს ამის შესახებ შექმნილი აქვს „გავლენის შიშის" თეორია და საგანგებო ტერმინიც კი აქვს მიგნებული – „ეფებოსი". ერთი სიტყვით, რაც გურამ ასათიანმა ერთ ფრაზაში ჩაატია, იმაზე ამერიკელმა ინტელექტუალმა მთელი ტრაქტატი შექმნა. ახლა პირველსავე სიტყვას დავუბრუნდეთ და ვთქვათ, რომ პანორამულობას თავისთავადი, თვითმყოფადი პოეტების სიმრავლე ქმნის. 60-იან წლებში ეს ორიგინალობა, რა თქმა უნდა, არ აკლდა ამჟერად უკვე კლასიკოსებად მიჩნეულ ანა კალანდაძეს, მურმან ლებანიძეს, შოთა ნიშნიანიძეს, მუხრან მაჭავარიანს თუ ოთარ ჭილაძეს ან ტარიელ ჭანტურიას... თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ქართულმა პოეზიამ გალაკტიონის გალაქტიკაში მოქცეულმა, ძირითადად მაინც ვერ მოახერხა მისი „ეფებოსიდან" თავის დაღწევა. გავბედავ და ვიტყვი, ამ შიშმა წარმოშვა ვერლიბრის მოძალება გალაკტიონის შემდგომი ხანის ქართულ პოეზიაში, რაზეც შესანიშნავად იხუმრა ტარიელ ჭანტურიამ: „ლექსი, ლექსი წერე, ბაბაია, ვერ[illegible]რეშიც მოესწრები!" („ლექსპრომტი [illegible] და პოეტებს"). პოსტგალაკტიონისეული პერიოდი მე, რა თქმა უნდა, დიდ სიჩუმედ არ მეჩვენება. ესაა, ალბათ, უფრო ამოსუნთქვის ხანა, როცა ბუნება ისვენებს გენიოსის შვილებზე, თუმც შთამომავლობის გაგრძელება წესით და რიგით მიმდინარეობს (ეს კი გენიოსის ხელახალი დაბადების გარანტიაა). გალაკტიონმა, ისევე როგორც თავის დროზე რუსთაველმა, ჩვენი ერის პოეტური გენიის უდიდესი ნაწილი წაიღო. ქართული პოეზიის სახეცვლილებას ხომ თითქმის ექვსი საუკუნე დასჭირდა რუსთაველიდან გურამიშვილამდე. გახსოვთ, ალბათ, შესანიშნავი ნათქვამი: გურამიშვილი სამჯერ გაიქცა ტყვეობიდან. ორჯერ ლეკებს გაექცა, ერთხელ – რუსთაველს. ყველაზე დიდი გმირობა ეს უკანასკნელი გაქცევა იყო. თუ თანამედროვე რიტმსა და ტემპს გავითვალისწინებთ, იმედი მაქვს, ამგვარ გმირობას ექვსი საუკუნე არ დასჭირდება.

**ა.ბ. თვისობრივ სხვაობას თუ დაინახავდით მაშინდელ და ახლანდელ პოეზიას შორის?**

ა.გ. მე ვფიქრობ, რომ მაშინდელი პოეზია ბევრად სულისმიერი იყო, არ იყო მისული ტრაგიკულობის ზღვრამდე. მაშინდელი პოეტები გარკვეული ცდების მიუხედავად, სიტყვებს ნაკლებად ღლიდნენ და ნაკლებად აფუტუროებდნენ. ისევ მინდა გავიხსენო: გურამ ასათიანი ბუნდოვანებას საყვედურობდა ახალგაზრდა პოეტებს, რასაც გოეთეს ცნობილი ფრაზით: „მეტი სინათლე!" აღნიშნავდა. რას იტყოდა გურამ ასათიანი თანამედროვე პოეზიის წაკითხვისას, როცა სიტყვისა და აზრის დაშლამ ზენიტს მიაღწია?! ნაწილობრივ ეს ფორმალიზმის ნიშანია. აქ ერთი ანეკდოტური ამბავი მახსენდება, რომელიც ჯოისზე წავიკითხე. თურმე, ეს დიდი მწერალი მაგიდაზე უმწეოდ გადამხობილი უნახავთ. შეწუხების მიზეზი რომ ჰკითხეს, ასე უპასუხია, შვიდი სიტყვა დავწერე და არ ვიცი, წაღმა წავიკითხო თუ უკუღმაო.

ფორმალისტური ნიშნები, ჩემი აზრით, მძლავრად ატყვია თანამედროვე პოეზიას. ამისი მაგალითი, ვფიქრობ, ახალ თაობაში რატი ამაღლობელია. მასთან ფორმა ძლევს აზრს. ამ ნიშნით იგი, ალბათ, უფრო ბესიკ გაბაშვილს ჰგავს. რატი ამაღლობელისა არ ვიცი, სხვამ კი ეს შედარება შეიძლება კომპლიმენტად მიიღოს, რადგან ბესიკი არაა პატარა სახელი პოეზიაში. გაიხსენეთ, „ცისფერყანწელთა" საპროგრამო წერილის საყვედური „თერგდალეულთა" მიმართ, ბესიკი გააძევეს ქართული პოეზიის ბაღიდანო, რითაც ლექსის მუსიკალობის მივიწყებას საყვედურობდნენ წინამორბედ პოეტებს. მაგრამ, რაც არ უნდა

მართლები იყვნენ „ცისფერყანწელები", ფრიად მუსიკალური „ტანო ტატანო"-ს ავტორი, არც აკაკია და არც გალაკტიონი. ასეთი ლექსები ოდენ ნიადაგს ამზადებენ „სულიკოსა" და „ლურჯა ცხენებისათვის".

თანამედროვე პოეზიას აქვს სხვა ნიშანიც, კერძოდ, გროტესკულობა და ყოველგვარი სულისმიერისადმი, ბახტინის ცნობილი თქმა რომ მოვიშველიოთ, „გვირგვინის ახდა" («развенчивание»). ჩემი აზრით, ეს ეპოქის სტილის გამოხატულებაა. სამწუხარო ფაქტორი ისაა, რომ თანამედროვე პროზასაც და პოეზიასაც აკლია კლასიკური გროტესკისათვის დამახასიათებელი ამბივალენტურობა – ყველაფრის გამაშიშვლებელ უმწვავეს გროტესკულ სუსხში არა ჩანს იმედისმომცემი, ამაღორძინებელი საწყისი. ამ თვალსაზრისით შემიძლია პრეტენზია წავუყენო XX საუკუნის უკანასკნელი ათწლეულის ჩემთვის ყველაზე საინტერესო სახელს – აკა მორჩილაძეს, განსხვავებით მისი უფროსი კოლეგისა და სულიერი თანამოძმის – გურამ დოჩანაშვილისაგან. ისე კი ვიტყვი, იქნებ ვცდები და ამაღორძინებელი საწყისის არარსებობა აკა მორჩილაძის პროზაში ეგების დროის ნიშანი და დამღა იყოს?

რაც შეეხება თქვენს მიერ საუბრის დასაწყისში დასმულ შეკითხვას, თუ 60-იანელთა ქმნილებათაგან რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი, რა თქმა უნდა, ამაზე შეუძლებელია ცალსახა პასუხი მქონდეს, მაგრამ პოეზიაზე საუბრისას სიტყვა პანორამამ გამახსენა – ყველაზე პანორამული რომანი „დათა თუთაშხია". ამ რომანის უმთავრეს ღირსებას, კვლავ ბახტინისეული ტერმინი რომ მოვიშველიოთ, პოლიფონიურობა წარმოადგენს. რომანში ბევრი თავისთავადი პერსონაჟი, ამბავი და ჭეშმარიტებაა. სწორედ აქ არის უპრიანი მოვიხმოთ სიტყვა – პანორამულობა.

**ა.ბ. 60-იანი წლების მწერლობის ჟანრობრივი მრავალფეროვნება გარკვეულ აღმავლობაზე მეტყველებს. რომანისტიკის და დრამატურგიის სფეროში ძალზე მნიშვნელოვანი მიღწევები შესანიშნავ საერთო სურათს ქმნის. რას იტყვით ამის შესახებ? 20-30-იან წლებში ქართული თეატრის წარმატება მნიშვნელოვანწილად იყო დამოკიდებული მწერლობაზე. ეს ტრადიცია 60-იანი წლების მწერლობაშიც იკრებს ახალ ძალას.**

ა.გ. გეთანხმებით, ოციანი წლების ქართული თეატრი არსებითად ქართულ მწერლობასთან არის დაკავშირებული, რომელიც არა მარტო პოლიკარპე კაკაბაძეა თავისი უბრწყინვალესი ყვარყვარეთი, არამედ (მიუხედავად იმისა, რომ თვითმხილველი არ გახლავართ), ჩემი ანალიზით, მისი წარმატება, გარკვეულად, გრიგოლ რობაქიძემ განაპირობა. სანდრო ახმეტელის თეატრის სტილისტიკა „ლამარას" ავტორმა განსაზღვრა. ახმეტელის თეატრის ჰეროიკული სტილი დასაბამს გრიგოლ რობაქიძის დრამატურგიაში იღებს, სადაც იგი თავის მხრივ გრიგოლ რობაქიძის პოეზიიდან და პროზიდან გადმოვიდა.

ჰეროიკულ სტილში იყო გააზრებული არამარტო საოცრად სახელმოხვეჭილი სპექტაკლი რობაქიძე – ახმეტელისა „ლამარა", არამედ სანდრო შანშიაშვილის მიერ რუსულიდან გადმოკეთებული პიესაც – „ანზორი". ასე რომ, შეიძლება ითქვას, გარკვეული აზრით თეატრალური მიმართულებისა და მოდის კანონმდებელი ქართული მწერლობა გახლდათ. მეტიც, საწყის ეტაპზე ქართული კინოს თემატიკაც კი ქართულმა მწერლობამ განაპირობა – „ქრისტინე", „პირველი ნაბიჯი", „სამანიშვილის დედინაცვალი"... ამ ფილმებს ქართული კლასიკური მწერლობის ნიმუშები ედო საფუძვლად და ამ საქმესაც ხელოვნების კომისარიატში გრიგოლ რობაქიძე ხელმძღვანელობდა. ვფიქრობ, ესეც მისი დამსახურებაა.

XX საუკუნის 60-იანელთაგან რამდენადმე მნიშვნელოვან წარმატებას დრამატურგიაში მხოლოდ თამაზ ჭილაძემ მიაღწია. მაგრამ 70-იანი წლების რუსთაველის თეატრის სასახელო და გახმაურებული წარმატება მაინც საუკუნის პირველი მეოთხედის ქართულ დრამატურგიას უკავშირდება. პირველ რიგში ესაა შალვა დადიანის „გუშინდელნი" თემურ ჩხეიძის დადგმით, ხოლო ახალი ეტაპი თეატრისა და მისი მთავარი რეჟისორის რობერტ სტურუას შემოქმედებაში „ყვარყვარეთი" იწყება. „რიჩარდს" „ყვარყვარე" უსწრებდა წინ. „ყვარყვარეშია" მიგნებული ის გროტესკული გადაწყვეტა, რომელიც „რიჩარდშიც" გადავიდა. „ყვარყვარეს" დადგმის თაოსანი კი ისევ ქართველი მწერალი იყო, თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი აკაკი ბაქრაძე.

**ა.ბ. 70-იან წლებში „ცისკრის" ფურცლებზე ძალზე მწვავე კამათი გაიმართა ენის პრობლემებზე. კამათობდნენ ენათმეცნიერები, ლიტერატორები, მთარგმნელები. ერთნი იცავდნენ ქართული ენის არქაული ფორმების გამოყენებას, მეორენი გმობდნენ. ფაქტია, რომ ეს კამათი ძალზე ფართო და ღრმა მნიშვნელობისა იყო. ყოველი მოკამათე არა მხოლოდ თავის ენობრივ პოზიციას, არამედ ლიტერატურულ მრწამსსაც გამოხატავდა. ამ კამათის მონაწილენი სწორედ სამოციანელები იყვნენ. მათი ნააზრევი მათსავე ნაწარმოებებში აღიბეჭდა. აქ, რა თქმა უნდა, თარგმანებსაც ვგულისხმობ.**

ა.გ. ჯერ დავაზუსტოთ. თუ არ ვცდები, პოლემიკა 1969 წელს დაიწყო არლი თაყაიშვილის წერილით „ენა ძველი, ენა ახალი" და 70-იანი წლების დასაწყისში დამთავრდა. როგორც მახსოვს, მაშინ (ეს კი ჩემი სტუდენტობის ჟამი იყო), ვნებები ძლიერ გაცხარდა, მაგრამ ახლა,

დროის გადასახედიდან რომ ვუყურებ, ეს კამათი ჩვენი ლიტერატურისთვის დადებითი მნიშვნელობისა აღმოჩნდა. მიუხედავად ვნებების გაცხარებისა ეს არ იყო კამათი, რომელსაც ციდამტკავლური ინტრიგა ამოძრავებდა, რაც, სამწუხაროდ, ხშირად ხდება დღეს. ორივე მხარეს საკუთარი სიმართლე ჰქონდა. ამ კამათის წამომწყები, მწერალი და ენათმეცნიერი არლი თაყაიშვილი მიიჩნევდა, რომ მისი თვალსაზრისი სალიტერატურო ენის სისადავისათვის ბრძოლას ისახავდა მიზნად და ამით იგი XIX საუკუნის 60-იანელთა პოზიციას იზიარებდა. სხვები კი (რევაზ თვარაძე, ბაჩანა ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, ზვიად გამსახურდია...) მიიჩნევდნენ, რომ სისადავე გაუბრალოებას და რაც მთავარია, გალარიბებას არ გულისხმობს. შემთხვევით არ მიხსენებია გალარიბება. არლი თაყაიშვილის მოწინააღმდეგენი, როგორც თქვენ ბრძანეთ, არქაული ფორმების გამოყენების მომხრენი იყვნენ. მათი აზრით, XX საუკუნის სალიტერატურო ქართულს უნდა აღედგინა სისხლხორცეული კავშირი ძველ ქართულ მწერლობასთან — მერჩულესა და ჟამთააღმწერელთან, ბიბლიისა და „ვისრამიანის" მთარგმნელებთან (უფრო ადრე ამ პოზიციას ყველაზე მკაფიოდ კონსტანტინე გამსახურდია იცავდა). საინტერესოა, რომ საკუთარი პოზიციის გამოხატვისას არლი თაყაიშვილი სწორედ მთარგმნელებს უპირისპირდებოდა. საანალიზოდ გამოყენებული იყო ბაჩანა ბრეგვაძის, ზურაბ კიკნაძის, თამაზ ჩხენკელის, ზვიად გამსახურდიას... თარგმანები.

ჩვენმა მკითხველმა უფრო ნათლად რომ წარმოიდგინოს თუ რაზე იყო დავა, ერთ მაგალითს მოვიტან. არლი თაყაიშვილი იწუნებდა „სეფენულს" და ამბობდა, „უფლისწული" ხომ არქაიზმია, მაგრამ „სეფენული" არქიარქაიზმიაო. როგორც ჩანს, აქ უფრო ენათმეცნიერული მეტყველებდა, ვიდრე მწერალი; სინონიმები ამდიდრებენ ენას. ამ თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, ვერც „სეფენული" ჩაითვლება არქიაზმად და ვერც „უფლისწული". ენის უძველესი პლასტი ის წყალქვეშა მდინარებაა, რომელიც დიალექტებთან ერთად კვებავს დედამდინარეს. აქვე, რა თქმა უნდა, ანგარიში უნდა გაეწიოს ფრაზის სილამაზესა და პოეტურობას. რამდენადაც მახსოვს, აკი შენიშნეს კიდეც ოპონენტებმა, თუ რაოდენ მომხიბლავია ზურაბ კიკნაძის ფრაზა მის მიერ თარგმნილ „გილგამეშიდან" — „დიაცმა განახვნა ბაგენი".

ერთი აუცილებლად უნდა ითქვას, არლი თაყაიშვლის, წესიერი და პატიოსანი კაცის მიერ წამოწყებული პოლემიკით ყურადღება გამახვილდა როგორც მთარგმნელთა ფრიად საინტერესო ჯგუფზე, რომელთაც ხელახლა გაუხსნეს გზა უცხოური ლიტერატურის საუკეთესო ნიმუშებს, ისე სალიტერატურო ენისა და მეტიც. თარგმანის საკითხებზე.

ასე რომ, კამათმა „სეფენულისა" და „უფლისწულის" გამო გარკვეულწილად წინ წასწია ჩვენი ლიტერატურული აზროვნება და დახვეწა გემოვნებაც. თუმცა ისიც მგონია, რომ დღევანდელი შეჭირვებული დროის შემყურე ახალგაზრდა, გონიერი მკითხველი უთუოდ იფიქრებს, თუ რა ფუფუნებაა ამგვარი კამათი, თუკი, რა თქმა უნდა, კითხულობს ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკას; ანდა, მე და თქვენ ამ საოცრად არალიტერატურულ გარემოში გადაშენების პირას მისული დინოზავრების ჩამორჩენილ ნაშიერად არ მიგვიჩნევს ვინმე.

... და მაინც, უფრო საინტერესო ის კაცია, ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დომენტი თომაშვილი

# წინაპართა სახეები

## წინასიტყვაობა

დომენტი თომაშვილი (ოყრეშიძე) – პოეტი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე, XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული ინტელიგენციის ღირსეული წარმომადგენელი – დაიბადა 1876 წელს ქუთაისის რაიონის სოფელ ჭოლევში. სწავლობდა ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში და ხონის საოსტატო სემინარიაში. დაამთავრა ქუთაისის სასულიერო სემინარია. ეწეოდა ხანგრძლივ და ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას, თანამშრომლობდა „ივერიის“ რედაქციაში. 1896 წლიდან სისტემატურად ბეჭდავდა ლექსებს, თარგმანებს, ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს ჟურნალ-გაზეთებში: „ჯეჯილი“, „ნაკადული“, „ივერია“, „კვალი“ და სხვ. მისი ლექსების პირველი კრებული გამოქვეყნდა 1939 წელს, შემდეგ კი – 1955 და 1977 წლებში. გარდაიცვალა 1952 წელს. დაკრძალულია ქუთაისის საზოგადო მოღვაწეთა „მწვანე ყვავილას“ პანთეონში.

დომენტი თომაშვილის პოეზია შთაგონებულია XIX საუკუნის 60-იანელთა ლიტერატურული ტრადიციებით. ავტორისათვის დამახასიათებელია ეროვნულ-განმათავისუფლებელი, პატრიოტული, აღმზრდელობით-განმანათლებლური მისწრაფებები. განსაკუთრებით ახლოს იყო აკაკი წერეთლის შემოქმედებასთან.

მამის სახელოვანი გზა გააგრძელეს შვილებმა: თამარ ოქროშიძე – ცნობილი ფოლკლორისტი იყო, ქეთევან გიორგობიანი – ჟურნალისტი, მედეა ოყრეშიძე – რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგი, ხოლო სამხატვრო აკადემიის წარჩინებული სტუდენტი ლეო – დიდ სამამულო ომში დაიღუპა.

დომენტი თომაშვილის არქივში შენახული კრებულიდან „მოგონებები და შთაბეჭდილებანი“, ამოღებულია წინამდებარე ნარკვევები ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე.

*აკაკი ხინთიბიძე*

წილად მხვდა მწერლობასთან შედარებით ახლო დგომა; მწერალთაგან კი – ცოტა მოშორებით...

ამისდამიუხედავად, ჩვენი ქვეყნის დიდ ჭირისუფლებთან, დიდი კალმისა და გულის პატრონებთან მუდამ ახლო ვიდექი სულიერად და მათს ყოვლად მადლიან ზედამხედველობას ყოველ წუთს მოკრძალებით განვიცდიდი.

მინდა ის მკრთალად ნაჩვენები სახე ჩვენი მოღვაწე მწერლებისა და პედაგოგებისა, ჩემი სულისა და გულის პრიზმაში გატარებული, დარჩეს მომავალს, როგორც პატარა კაცის პატარა ფიქრები და განცდანი, პატარა მოგონებანი და სახსოვარნი.

ამათი ღირსად დაფასების ლონე არ შემწევს. მხოლოდ გაკვრით, რამდენადაც ჩემს მეხსიერებას შემოუნახავს და გრძნობაგონებას განუცდია პირადად, მკითხველს ვთავაზობ მცირე მოგონებებს ჩვენს სახელოვან წინაპართა ცხოვრებიდან.

## ილია ჭავჭავაძე

უპრინციპობისა და გაორების ხანაში, უილაჯობისა და დაავადების დროს, ნაღვლიანობისა და სევდის ეპოქაში გაისმა შეუპოვრად ძარღვიანი და ჯანსაღი ხმა ილიასი:

**„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?“**

და ამ ბედნიერსა და აღმაფრთოვანებელს შეძახილს მოჰყვა შემდეგი და შემდეგი მიმართვები, მოწოდებანი, უფრო ძლიერნი, უფრო გამამხნევებელნი:

**„მას ნულარ ვსტირით, რაც დაკარგულა“, „მოვიკლათ წარსულ დროებზე დარდი!“, „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი!“** და სხვ.

ხომ ხედავთ, რა გვიყო სხვისმა იმედმა? საკუთარი ძალისა და თავის იმედით „ჩვენ უნდა მივსცეთ მომავალი ხალხს".

ეს იყო პირველი სანაყოფე კვირტი, ილიას მიერ მიგნებული საქართველოს ნაცარმიყრილ ნალკოტში. ეს იყო სრულიად ახალი სიტყვა, მწუხრისას დარეკილი ზარი, საგანთიადო ზარის მაუწყებელი. დიდი ხნის დაობლებულმა ქართველმა ერმა ამ ხმაზე იცნო ნამდვილი მამა, იპოვა თავისი სისხლ-ხორცი, გულსავსედ მიანდო მას თავისი სულისკვეთება.

როგორც სიცხისგან დამჭკნარ ყვავილს განთიადის ცვარი დაეპკუროს და სიცოცხლისაკენ შემოაბრუნოს მთელი მისი არსება, ეგრე იმოქმედა ქართველ ერზე ილიას მიერ დაფრქვეულმა აზროვნებისა და გრძნობის ცხოველმყოფელობამ.

ამიტომ შემოსა იგი ქართველმა ერმა უსაზღვრო სიყვარულითა და ნდობით. ჯერ კიდევ ჩემი ბალღობისას იმერეთში ყველგან გაიგონებდით:

**„სულ ძილი, ძილი! სულ ძილი, ძილი!**
**როსღა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?“**

ან კიდევ:

**„დედამ რომ შვილი გაზარდოს,**
**ე მაგრე ჩვენისთანაო!“** — მღეროდა ხალხი.

„დედა-ენა“-დან პირდაპირ „კაკო ყაჩაღზე“ გადავედი და სიყვარულით ვიზეპირებდი. მართალია, „მწუხრის ზარი“ და ასეთები როდი მესმოდა, მაგრამ მხეცი ბატონის სახე და ბატონყმობის სურათები ცხოვლად აღიბეჭდა ჩემს სულსა და გულში! არსენა სათაყვანებელი პიროვნება გახდა, რადგანაც იმას „გლეხკაცი თურმე ძმად ჰყვარებია!“ ზაქროსთან ერთად მეც თითქო არსენობა მენატრებოდა; მენატრებოდა, მითუმეტეს, რომ, როდესაც მამამ 7 წლის ბიჭუკელა მაშინდელ ჭუჭყიან ქუთაისში ჩამომიყვანა, მეც ზაქროსავით მივუჯდებოდი ბრონეულის ბუჩქს (აბა, სხვა ბუჩქი სად იყო?) და „იქ მარტოკა დიდხანს ვტიროდი“.

ილიას ცნობილი ლექსი, სასიმღეროდ გადაქცეული: „გახსოვს ტურფავ“ უფრო მოინტელიგენტო წრეებში თუ გამიგონია.

არ შემიძლია, აქვე არ აღვნიშნო შემდეგიც.

ალექსი ჭიჭინაძე, ცნობილი პედაგოგი, ზაფხულს ყოველთვის თავის მშობლიურ ჭოლევში ატარებდა. ძლიერ უყვარდა და ჭოლევს მეორეხარისხოვან ბორჯომს უწოდებდა: «боржом второй степени»-ო, იტყოდა განსვენებული.

უკვე კარგა მოზრდილი ვარ. სასულიერო სასწავლებელი დამთავრებული მაქვს და შემდეგზე ვფიქრობ.

გაზაფხულია, კვირა დღე. მამაჩემი წირვაზე მიდის, უამისოდ არ შეუძლია დადგეს. დამავალა სამარიობო მსხალი დაკრიფე, შეარჩიე და ნათლიაშენს მიართვი, ესიამოვნებაო. უნდა ვთქვა, რომ ალექსის სიამოვნებას ყველა ცდილობდა, არა მარტო ნათლიმამა და ასეთნი! მსხალი დავკრიფე, მოვემზადე და დავეშვი ქორენასაკენ. ჩვენი პატარა მდინარე ძლივსღა ამჩნევია კალაპოტს, გვალვას შეუსუტავს თითქო. მაინც თავისებური მუსაიფით, მხიარული რაკრაკით მიხტის ქვიდან ქვაზე, მიჩქერავს დაღარულ სიპზე; ტრიალებს გუბეებში, ერთხელ კიდევ შემოურბენს მის ნაპირებს, თითქო ეთხოვებაო, იბრუნებს პირს და მიჩახჩახებს ქვევით, რომ თავისი ანკარა წყალი თამარის ხიდთან მღვრიე წყალწითელას შეუერთოს. ერთხანს კიდევ ცდილობს თავისი ანკარება შეინარჩუნოს, იბრძვის ამისთვის; მაგრამ ბოლოს მაინც ძლეული წყალწითელაში იკარგება, რომ აქედან ყვირილას ენვიოს, შემდეგ რიონს, შავ ზღვას, რომ იქ აორთქლებულ-ანისლებული კვლავ საყვარელ საბადოს დაუბრუნდეს. დაუბრუნდეს და ისევ ანკარა, ისევ ბროლივით გამჭვირვალე კვლავ აჩუხჩუხდეს მშობლიურ ჩქერებში.

ქორენას მეორე (მარჯვენა) ნაპირიდან უკვე აღმართი იწყება. ახლა უჭირთ ჩემს ბებერ მუხლებს, თორემ მაშინ ასეთ აღმართ-დაღმართებს რად ჩავაგდებდი?

ვუახლოვდები ალექსის კარ-მიდამოს, ხიმით შელობილი ეზო. განიერი ფიცრული ჭიშკარი. აქედან საკმაოდ განიერი გზა სახლამდე შესდევს. აივნებიანი ხის ოდა, ყავრით დახურული, ჭიშკრიდან კარგა მოშრებით დგას შიგნით ეზოში. აივნიდან პირდაპირ გასცქერ დიდებულ გელათს, მილმა მთის კალთაზე ამართულს. რამდენი დარდისა და სევდის სამაგიეროდ რამდენი საამაყო მოგონების აღმძვრელია გელათი, რომანტიკული განწყობილების, ფიქრებისა და ტკბილი ოცნების სამყაროც არის ის.

ეზოში გზის მარჯვენით პატარა ვენახია გაშენებული. აქ ოციოდე ძირი ოჯალეშის ვაზიცაა დარგული, ოდიშიდან გამოგზავნილი. სხვაგან ეზოში ახალშენი ნარგავებია სხვადასხვა ხეხილისა. გიგოია თუთბერიძის ერთგული ხელი ბეჯითად უვლის აქაურობას.

ეზოში უცხო ადამიანები დავინახე. ალექსი და მასთან ერთად შავგვრემანი ვაჟკაცი, სქელი წარბებით, ხელიხელჩაკიდებულნი ვენახს ათვალიერებენ, ვენახს ცოტა ასხია. ახალია. მტევანი მშვენიერია და აქა-იქ კიდეც შეთვალულია.

— ჯერჯერობით ჩემი ჯიხაიშური სჯობს შენს ჭოლევურს! — ყური მოვკარი, იმ უცხო კაცმა რომ უთხრა ალექსის.

— მსხმოიარობით თუ აჯობებს, თორემ სიკეთით რა მოგახსენო...

ჩვეულებრივი თავაზიანობით მიუგო ალექსიმ.

ალექსიმ შემნიშნა, შორიახლოს რომ ვიდექი, მსხლით სავსე კალათით ხელში. ღიმილი მომაგება: დომენტიუს, ჰა, დომენტიუს! — ლათინურად უქცევდა.

— ნიკო, აბა, ჩემს ნათლულს წარმოგიდგენ, — და წარმადგინა კიდევაც.

შევარდენის თვალმა გაიელვა ჩემს თავზე.

ალექსისას იმ დღეს მთელი წვეულება აღმოჩნდა. აქ იყვნენ ნ. ნიკოლაძე — ალექსის ცოლისძმა; კატო და ანიჩქა (ასე ეძახდნენ) — ცოლისდები; გ. წერეთლის ქალი — ელიკო, „ჯეჯილის“ თანამშრომელი; წერეთლისვე ვაჟი სტუდენტი (უმცროსი ვაჟი), ალექსის ბიძაშვილები — ვარლამი, კბილის ექიმი, ნინოშვილის მეგობარი, ანდრია, ილიკო და სხვ. აქვე ბრძანდებოდა იოსებ „სიმონიჩი“ — ბიძა ალექსისა, მისი მოამაგე გიგოია და რამდენიმე ქალი სამზარეულოში ფუსფუსებდნენ: ვინ საცივს აკეთებდა, ვინ მზალეს (მზალე ძლიერ უყვარდათ და მოსწონდათ), ვინ სწვავდა, ხარშავდა და ვინ კიდევ ქვაბს ხეხავდა ლომისთვის), აბა, უღომოდ როგორ იქნებოდა? ფროსიკო (ასე ეძახდნენ) —

ალექსის მეუღლე, არსადა ჩანდა, — სასადილო სუფრას დასტრიალებდა და თადარიგს იჭერდა.

ასეთ ამბავს წავაწყდი იმ დღეს.

უკვე სადილობის დრო დადგა. სტუმრები აივანზე შემოიკრიბნენ. ნიკო აივნის რიკულთან დაბრძანდა და გელათს გაჰყურებდა.

გ. წერეთლის შვილები და ვარლამი (ჭიჭინაძე), ვარლამის დები — ელენე და ლიზა (ეს შემდეგ ნიკო ელიავას მეუღლე გახდა) ხშირად ახსენებდნენ ლასალს, კაუცკის, ბებელს, ნოეს, ფილიპეს, ეგნატე ნინოშვილს; უფრო ხშირად კი მარქსს, ენგელსს, ჰეგელს. ვილაცამ მიხაილოვსკიც გაიხსენა და პ. ლავროვიც, იმოწმებდნენ ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვს; ჩერნიშევსკის ხსენებაზე ნიკომ მოიხედა, მისმა სახემ რაღაც სხვაგვარი გამომეტყველება მიიღო. რასაც ყმაწვილები ვერა გრძნობდნენ, ალექსი მაშინვე სწვდა: აი, ნიკოლაი იაკოვლევიჩ, ეს ყმაწვილები თქვენს მეგობარსაც იცნობენ, ტყვეობიდან რომ იხსენითო.

— რასა ბრძანებთ? ნიკოლაი გავრილოვიჩს ვინ ვერ იცნობს? მტერიც და მოყვარეც ბევრი ჰყავს რუსეთში!

საუბარი გრძელდებოდა. ვილაცამ გოგოლი და პუშკინიც არ დაივიწყა; ბელინსკიც დაიმოწმეს რაღაცაზე.

— „მკვდარი სულების“ იდეა გოგოლმა პუშკინს მოსტაცა!

— თუ ეგრეა „კაცია-ადამიანის“ იდეა ილია ჭავჭავაძემ გოგოლისაგან ისესხა, — მოისმა ჰამაკიდან, რომელიც აივნის კუთხის სვეტთან იყო გაბმული და რომელშიც ამ დროს სტუდენტი წერეთელი ნებივრობდა.

— საერთოდ, ილიას ძლიერი გავლენა ეტყობა ჩერნიშევსკის აზროვნებისა და გოგოლსაც ჰბაძავს წერის მანერითა და თემატიკითაცაო, — მოისმა ჰამაკიდანვე.

— ხომ შესაძლოა, რომ ჩერნიშევსკი და გოგოლი სულაც არ ყოფილიყვნენ ქვეყანაზე, აბა, ერთი მიბრძანეთ, ყმაწვილო, მაშინ ილია, ის ილია იქნებოდა, როგორსაც დღეს ვიცნობთ, თუ არა? — შენიშნა ნიკომ დისწულს.

— ხომ შეიძლებოდა, ბატ, ბიძია, არც ილია ყოფილიყო!

— შეიძლებოდა.

— მაშინ?

— მაშინ სხვა ვინმე დაიჭერდა მის ადგილს, თუმცა იმ სიცარიელეს, ილიამ რომ ამოავსო, ვეჭვობ, სხვა ვინმე ამოავსებდა, ნამდვილ ილიაობას ვერვინ გასწევდა! დიდი ჭკუაა, დიდი, ჩვენს წუნია კრიტიკოსებს ძლიერ უყვართ გავლენაზე საუბარი. ეგაა სურვილი, ფონში იოლად გასვლისა! თუ ჭკუა და ცოდნა შეგწევს, თან მამულის მსახურება დაგისახავს მიზნად, ცხოვრება ისეთი მძლავრი ოსტატია, რომ აგამოქმედებს და გაგაკეთებინებს, რაც საჭიროა ქვეყნისათვის, საქმე მხოლოდ ისაა, რომ ქვეყნის მსახურება ყველას თავისებურად ესმის; ჭკუაცა და ცოდნაც არ შესწევს, ან თუ შესწევს, სხვადასხვა ზომით. ილიას ძალაც დიდი შესწევს, ცოდნაც ძლიერ უწყობს ხელს. სრულიად დამოუკიდებელ მწერალს, მეცნიერს, გინდ ჩვეულებრივ ხელოსანს ვერსად იპოვით... ასეთი მხოლოდ ადამი თუ იქნებოდა! ამბობენ, იაკობ გოგებაშვილმა რუსული «Родное слово» სთარგმნა და ქართული „დედა-ენა“ გააკეთაო! გოგებაშვილი იმდენად ჭკვიანი კაცია, რომ ასეთ სისულელეს როგორ ჩაიდენდა?! მაშინ უშინსკიზედაც ხომ შეუძლიათ სთქვან, პესტალოცო, ან დისტერვეგი „სთარგმნა“ და «Родное слово» შექმნაო! ასეთი აზრი რომელიმე კეთილგონიერს რუსს დაებადება განა? მსოფლიო მოწინავე აზროვნების დებულებები რომ გამოიყენო და შენი ქვეყნის საჭიროებას მიუსადაგო იგინი, ეს გავლენა კი არა, რაღაც უფრო დიდია... დღეს ისეთ ხანაში ვცხოვრობთ, რომ ახალი იდეები ელვისებურად ვრცელდებიან, ერთის აზრსა თუ იდეას მეორისა მოხვდება, შეებრძვის, შეჩიწჩხალდება ნიგუზალი და ახალი აზრი დაიბადება. განა ის აზრები და იდეები, „კაპიტალში“ რომაა გამოთქმული, სენ-სიმონს, ვიქტ. კონსიდერანს, ლუი-ბლანსა და სხვ. გამოეპარათ? Нет дорогой! Ничто не ново под луной и на грешней земле»...

ნიკო ალბათ, კიდევ ბევრ რასმე იტყოდა; მაგრამ ამ დროს ჭიშკარმა გაიჭრიალა და ეზოში ერთი ჩოხოსანი შემოვიდა; ყველამ მისკენ გაიხედა. ალექსიმ იცნო თავისი მამიდაშვილი, ბობოთელი (ზემო ოკრიბაში) აზნაური ბესარიონ როინიშვილი, ქუთაისიდან ჭოლევზე გავლით შინ მიდიოდა. აბა, ალექსის როგორ არ ინახულებდა?

— ფროსიკო! ფროსიკო! — დაუძახა ალექსიმ მეუღლეს, — ბესარიონი გვეწვია, ჩვენი სუფრა დღეს უფრო მხიარული იქნება.

სტუმრებმა ახალმოსულს თვალი მოჰკრეს. წერეთელი ჰამაკს კარგა ხანია რაც ჩამოშორდა. ზრდილობა მოითხოვდა, ნიკოს საუბარი ფეხზე დგომით ყურადღელო და როცა ბესარიონი აივნის კიბეზე ამოვიდა და თავისებურად ჩასმანდურად, სტუმრებს მიესალმა და მოიკითხა, ფროსიკოც გამოჩნდა სასადილო დარბაზიდან და ღიმილით შეხვდა როინიშვილს.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ გვეწვიეთ, მაგრამ, ცოტა არ იყოს, გემდური.

— რათა, ქალბატონო, რა დავაშავე სამდურავი?

— შე კაი კაცო, ოკრიბაში ერთი პატარა ბიჭი როგორ ვერ მიშოვნე, რომ ქუთაისიდან ჩაი, შაქარი და პური მოგვიტანოს ხანდახან?

— იმე, თქვენს მტერს ამისთანა! ქე რავა ვერ ვიშოვნე! ბარე ორი ბიჭი გაახელი, ქალბატონო, მარა ორივე დაიწუნე: ამან წერა-კითხვა არ იცის, იმან — ანგარიშიო. ახლა თუ დამიჯერებ, ქალბატონო, კაი წერა-კითხვა საქართველოში ილია ჭავჭავაძემ იცის და ანგარიშში ნიკო ნიკოლაძეს ვერავინ მოუგებს! აგერ ბრძანდება და ეს დეიყენეო!.

ბევრი იცინეს. შეწყვეტილი საუბარი კი ნიკომ ასე დაამთავრა:

ილია ჩვენის სამშობლოსთვის, პირველ ყოვლისა, ილიაა და შემდეგ ჩერნიშევსკიცა და ბელინსკიც, პუშკინიცა და გოგოლიც, ტურგენევიცა და შჩედრინიც.

სასადილო სუფრას ამშვენებდა აუცილებელი საცივი და ოკრიბული ღომი; ალ-

ექსის ოჯახში დანურული, საიასალოდ შენახული ღვინო და ჩემი მირთმეული მსხალი.

ალექსიმ სუფრაზე მიმიწვია, ვერასგზით ვერ დამითანხმა; აბა, ნიკოსთან ერთ სუფრაზე ჯდომას როგორ გავბედავდი: ხომ მშიერიც დავრჩებოდი და მწყურვალიც.

თამადად, რა თქმა უნდა, ბესარიონი აირჩიეს და კარგი არჩევანიც იყო. როცა ცოტა შეზარხოშდნენ, ალექსიმ მიბრძანა, აბა, ერთი შემოსძახეო. ხმაც კარგი მქონდა და სიმღერაც ვიცოდი მამიჩემის შვილმა, შემოვძახე:

**„დედამ რომ შვილი გაზარდოს, ბოშო,**
**ე მაგრე ჩვენისთანაო,**
**ძმურად გამოსადგენი ვართ, ბოშო,**
**ყველგან და ყველასთანაო!**

– კაი მოგივიდათ, კაი შვილები თქვენ იქნებით, თუ ცოციალისტები დეიზარდეთ! – ჩაიხვიხვინა ბესარიონმა და კარგა გრძელი დარბაზი ახალი მხიარულებით აივსო.

უკვდავი ილიას სიტყვებმა საყვარელი პედაგოგიც აალილინეს, როდესაც მიბრძანეს განმეგრძო და მეც განვაგრძე:

**„ჩემო კარგო ქვეყანავ, რაზედ მოგიწყენია?**
**აწმყო თუ არა გვწყალობს,**
**მომავალი ჩვენია!“**

და ჩემს დაწყებას ალექსიმ მაღალი ბანი მიაყოლა...

იმ დღეს ილიამ ძლევის სიმღერით აამღერა ქორენას ნაპირები, ჭოლევის ბორცვებიცა და ჩვენი გულიც!

და განა მარტო იმ დღეს.

* * *

ეს დიდებული ადამიანი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ ვნახე. ეს იყო (წელიწადი ზუსტად აღარ მაგონდება) ნ.კ.საზ.წლ. კრებაზე, როდესაც ირ. ევდოშვილმა რეპლიკა ესროლა ილიას: „კნიაზო, სიტყვას ნუ აგდებო“ – და სხვ. დიდმა პოეტმა იქვე უპასუხა: „ჰო, ხოსიტაშვილო, თქვენა ბრძანდებით? თუ ვერ ასწვდი, კიბე მიიდგიო“.

იმ დღეს იმდენად კრება არ მიზიდავდა, რამდენადაც ილიას ნახვის ძლიერი წადილი.

და, აი, ილია ვნახე; დინჯი, აუღელვებელი, მახვილმეტყველი... ზომიერად შეკრეჭილი, შუაზე გაყოფილი და ლამაზად გადავარცხნილი თმა მის დიდებულ შუბლს ოდნავადაც არ აჩეროებდა. და იგი შუბლი, რომელზედაც ალბეჭდილი იყო ჩვენი სამშობლოს დარდი თუ ლხენა, შვება თუ ვარამი, ზრუნვა თუ მისაღწევარნი უდიდესი ეროვნული საუნჯის – ილიას აზროვნებისა და ფიქრების არედ მეჩვენა.

თვალები, ჰო, იტყვიან, თვალები ადამიანის სულის სარკეაო. თუნდა ეგრეც იყოს, განა ყველა ადამიანის თვალები ასეთ ნათლად გვიჩვენებენ თავისი პატრონის სულს?.. ალბათ, ილიას სულიერი ბრძოლა თუ განცდა განსაკუთრებით ძლიერია, რასაც ეგრე ძლიერადვე ამჟღავნებენ საცნობელნი. დაილოცოს ის დღე და ჟამი, როდესაც ეს დიდი ადამიანი პირველად ვიხილე! ადამიანი, რომელმაც ესოდენი მადლი და სიკეთე დასთესა მთელ საქართველოში! ადამიანი, რომლის უდიდესი ღვაწლის წაშლას ეგრე შორსგაუჭვრეტლად და უკანმოუხედავად ლამობდა მაშინ ეროვნული ნიჰილიზმის სენით შეპყრობილი დასი.

ამ დასის „სასიამოვნოდ“ გავბედე და 1917 წ. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ქუთაისის თეატრში წავიკითხე მოხსენება: „ილია ჭავჭავაძე, როგორც რევოლუციონერი“. მეგობრებმა, მათ შორის განსვენებულმა მწერალმა ნიკო ლორთქიფანიძემ, გამაფრთხილეს: ვაი, თუ, ცუდად ჩაიაროს, აფორიაქებული დროაო. არ დავუჯერე, გავედი. საღამო მრავალრიცხოვანი იყო. მაშინაც ვგრძნობდი, რომ მოხსენება არ იყო ისეთი, როგორც ილიას დიდ სახელს შეეფერებოდა... მაგრამ, მაინც, ვგონებ, დამაჯერებლად აღვნიშნე, რომ ილია დიდი ქართველი რევოლუციონერი იყო, ვინაიდან მან გვასწავლა ბრძოლა ერისა და ადამიანის თავისუფლებისათვის; ბრძოლა მაშვრალთა და ტვირთმძიმეთა განკაცებისა და მათთვის წართმეულ ნიჭთა დაბრუნებისათვის; ბრძოლა სიბნელისა და უმეცრების წინააღმდეგ; ბრძოლა ეროვნულ-კულტურული და ეკონომიური აღორძინებისათვის – და ასე.

ყველაფერი რიგიანად ჩატარდა, ქანდარამაც უხვად დამაჯილდოვა. ნასაღამოებს მეგობრებმა „გამარჯვება“ მომილოცეს და ქუთაისის პრესამაც დადებითად აღნიშნა.

ორიოდ კვირის შემდეგ ეგევე მოხსენება ზესტაფონში „გავაკეთე“ თუ „გამაკეთებინეს“. აქაც კარგად მიიღეს, თითქმის ძალიან კარგად.

გამიწვიეს ჭიათურაშიც. აქ კი ცოტა შევყოყმანდი: მუშათა სამყაროა და ვინ იცის, როგორ შემხვდებიან, მაგრამ მაინც...

დანიშნულ საღამოზე უზარმაზარი აუდიტორიის წინაშე გავჩნდი. ინჟინრები, ტექნიკოსები, წვრილი მრეწველები, ეგ არაფერი! – „საიმედო“ ხალხია! საქმე ისაა, ის აუარებელი მუშები, მაღლობები რომ დაუჭერიათ, როგორ მიიღებენ...

რალა ჯანი იყო? დავიწყე, როგორც გაისმა – „ილია რევოლუციონერიო“, იქვე მოაყოლეს:

– დიახ! რასაკვირველია!..

– ოჰო! რა თქმა უნდა!

– იფჰ! დაგელოცა რევოლუცია! და ასე – სარკასტულად, – დაცინვით.

ვდგავარ. არ ვიძვრი. სტვენა არ არის. ესეც კარგია. დამყარდა სიჩუმე. ვთხოვე, მომეცით ნება, მოგახსენოთ. სიტყვის თავისუფლებაა.

მაშინ ასეთი გამოსვლა საჭირო იყო. დრო მოითხოვდა ამას. რაკი არავინ იფიქრა ამაზე, მე ვიკისრე ეგ საქმე. საჭირო იყო, ვიმეორებ, თორემ, ვინ მე და ვინ ასეთი რამეები!

* * *

1907 წ. 30 აგვისტოს სისხლისფრად იჟიჟრიბანდა, იმავე დღეს, 2 საათზე წიწამურას ველი ილიას სისხლით შეიღება.

– ნუთუ? ნუთუ? – ყველა თავზარდაცემული ეკითხებოდა ერთიმეორეს. ერთხელ ხომ თვით ილიამაც დაუჯერებელ ამბავს „ნუთუ“-თი უპასუხა! („ივერია“, 1905 წ. №68).

ეგაა, რომ იქ სხვა ამბავი იყო; აქ კი – სინამდვილე! და მწარე სინამდვილე! წინათაც ხომ

ეგრე ყოფილა და მამინაც ეგრე იყო: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მერე გამოჩნდებაო!

გვიანღა იყო! ურემი გადაბრუნდა, დაიმსხვრა კიდეც! და ნახევარი საუკუნის მანძილზე საქართველოს სულიერად მასაზრდოებელი გული გაიგმირა და ტვინი დაინთხა!

1905 წ. ერთხნობით „ივერიის" რედაქციაში ვმუშაობდი, მაშინ იქ ხშირად შემოცუქცუქდებოდა ხოლმე ერთი არამზადა სახის ბიჭი, ხან ერთ სამუშაო მაგიდასთან მიირბენდა, ხან მეორესთან. ვიღაცას რაღაცას ეტყოდა, მიიყნოს-მოიყნოსავდა და გაჰქრებოდა. ალბათ ვიღაც დიდი საქმის კაცი თუ იყო, რომ ეგრე ჩქარობდა! ამ კაცს ია ეკალაძე დიმიტრი ჯაშს ეძახდა, რას აკეთებდა, რისთვის შემორბოდა რედაქციაში, ვგონებ, არც თუ ვინმემ იცოდა!

ვინ იფიქრებდა მაშინ, რომ ეს ლაწირაკი ილიას ოჯახში შეძვრებოდა მოურავად?! ვინ იფიქრებდა, რომ ის ილიას მკვლელობის მთავარი ორგანიზატორი გაჰხდებოდა?! „ყვავისა კვერცხი ყვავსა შობს". რომელმა ყვავმა ჰშობა ეს უტიფარი, რომ მან შემდეგ საჯაროდ თავის მართლებაც კი გაჰბედა?

მთელი საქართველო ემზადებოდა, რომ დანიშნულ დღეს თავისი დიდი მოამაგე ილია ღირსეულად მიებარებია მშობლიური მიწისათვის.

9 სექტემბერს მშობლიურმა მთაწმინდამ გულში ჩაიკრა ეს ახალი საშვილიშვილო სამარე.

სიმრავლე ერისა — აურიცხველი. ყველა ჩუმად ქვითინებდა, ყოველ მუშა დღეს თითოეულ დაბაში გაცილებით მეტი ხმაურობაა, ვიდრე იმ დღეს თბილისში იყო. გაოგნებულ ხალხს სახმაუროდ გული აღარა ჰქონდა.

მხოლოდ ვიღაც გაჰკიოდა ჭირისუფლის ხმით, წინამურიდან დაწყებული თბილისის ყოველ ქუჩაბანდსა და შესახვედრებში გაისმოდა ეს ხმა: — ი. ევდოშვილი ჰგოდებდა...

ვაჟა ხარ-ლაღივით „მინასა ჩხვერდა" და ბუბუნებდა: ღმერთო, სამშობლო მიცოცხლე! შეიწირე ილიას წმიდა სისხლი!..

„მშვიდობით, ძმაო, დამტოვე ობლად", ქვითინებდა აკაკი...

ამგვარები და ასეთი შეცხადებანი გაისმოდა მხოლოდ... და დინჯად დაძრულ ხალხს ვალიკო გუნია დინჯადვე მიუძღოდა მთაწმინდისაკენ.

მე კი იმ დღეს წილად მხვდა ილიას ცხედრის პირისპირ ვმდგარიყავი სიონში და ეკლესიური მსახურების დასრულებამდი მეჭვრიტა მისი ტყვიანაკრავი შუბლისათვის, ვიდექ გარინდებული. ვერა ვგრძნობდი და არც მესმოდა, რა ჰხდებოდა ტაძარში, რომ ვისმე ეკითხა, რას ჩაფიქრებულხარო, — ვერაფერს მივუგებდი, ან კი ვფიქრობდი რასმე?.. მხოლოდ მაშინ გამოვერკვიე, როდესაც კუბო ასწიეს და ვორონცოვ-დაშკოვმა მას თავისი მხარი შეაგება.

* * *

მეფე გიორგი რუსეთის იმპერატორის სახელით აძლევდა პასუხს საქართველოს დაუძინებელ მტერს.

ილია ჭავჭავაძე მშობლიური ერის სახელით მედგრად იგერიებდა ჩვენი მამულის მტერს და ჰმეგობრობდა მეგობარს.

ამიტომ ის, თუ მაშინ „დაეცა ფოთოლივით", დღეს „წამოდგა მთასავით", როგორც ამბობს ერთი წარჩინებული თანამედროვე პოეტი...

* * *

ლიტერატურასა და ხელოვნებაში თითქმის ყოველ ერსა ჰყავს თავისი ლუწი, რომელიც ერის შემეცნებაში მთლიან და თითქო განუყოფელ ერთეულად ასახულა. რუსებს ასეთი ლუწი ჰყავთ პუშკინისა და ლერმონტოვის სახით; გერმანელებს — გოეთე და შილერი; ინგლისელებს ბაირონი და შელი, სხვებს კიდევ სხვანი.

ქართველი ერის შეგრძნებასა და შემეცნებაში განუყრელ ერთეულადაა წარმოდგენილი ილია და აკაკი.

ჩვენს სამშობლოში ვერსად მოძებნით კუთხეს, სადაც ილიას გვერდით აკაკის არ ახსენებდნენ ისეთივე პატივითა და სიყვარულით, და პირიქით, აკაკისთან ერთად ილიას.

გასაოცარია ასეთი შემხვედრობა ამ ორი დიდი ადამიანისა!

ეს იმით აიხსნება, რომ ისინი თითქმის ერთ დროს გამოვიდნენ სამოქმედო ასპარეზზე...

— ეს ჯერ კიდევ არაფერია!

ერთგვარად იყვნენ გულდათუთქულნი და ერთგვარადვე განიცდიდნენ არსებული მდგომარეობის უკულმართობას...

— არც ეს კმარა!

ერთნაირად უპასუხებდნენ და იბრძოდნენ ამ უკუღმართობის წინააღმდეგ...

— კიდევ რაღაც?..

იბრძოდნენ და გონების სიმახვილით თითქმის თანაბრად იყვნენ აღჭურვილნი — და, ყოველ შემთხვევაში, ერთს თუ რამ აკლდა, მეორისაგან შეივსებოდა...

ეს ორი დიდი ადამიანი ხან ერთიმეორეს ეთათბირებოდა; ხან ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ; ხან „მწარეც" შემოეხარჯებოდათ ერთმანეთის მისამართით, ხან ტკბილიც! მათი მწარეც კი საამო იყო და ტკბილი!

ერთიმეორის დიდი პატივისცემა არაოდეს დაჰკარგვიათ.

და ეგ სულ ქვეყნის სიყვარულით, ქვეყნის სასამსახურო გზნებით...

ამ გზნებასა და სამსახურს ქვეყნისთვის რეალური სარგებლობის მოტანა ჰქონდა მიზნად და არა მარტოოდენ „მღერა ტკბილ ხმათათვის"...

ველარ იხილეს ნაყოფი თავიანთ მსახურებისა! ჩვენ გული გვწყდება ამის გამო...

ვნუგეშობთ იმით, რომ ისინი საპირადოზე როდი ზრუნავდნენ; საქვეყნოსა და მომავალზე!

და, აი, ქვეყანაც მოესწრო და მომავალიც...

ეგ არის მათთვის უდიდესი ძეგლი, გამარჯვების გვირგვინი, უჭკნობელი მარადისობა!..

ილიას მუშაობის თავისებური რეჟიმი ჰქონდა. იგი მტკიცედ განსაზღვრული იყო იმ სამუშაოთა ხასიათით, რომლითაც ხელმძღვ-

ანელობდა: მრავალმხრივი სარედაქციო მუშაობა; სხვადასხვა გამოცემათა რედაქტირება, წ.კ.საზ., დრამატული საზოგადოება, ბანკი, მრავალრიცხოვანი წერილების წერა, რომლითაც სავსეა მისი ტომები და სხვ. ყოველივე ეს უფრო დამჯდარს მუშაობას მოითხოვდა...

ზოგიერთი ასეთი დატვირთვისაგან (მაგ. ბანკი) აკაკი იმთავითვე თავისუფალი იყო. რომელიმე სამსახურებრივი მოვალეობით პოეტს თავისი დიდი ნიჭი არ შეუზღუდავს და ამ თავისუფლებით მეტად ნაყოფიერად სარგებლობდა.

## იროდიონ ევდოშვილი

იროდიონს თბილისში არც თუ ისე ხშირად შევხვედრივარ, – უფრო კი რედაქციაში („ივერია", „ერთობა", „ცნობის ფურცელი"), ეს შეხვედრები თუ მოულოდნელი არა, ანაზდეული მაინც იყო: გამარჯობა! გაგიმარჯოს! – ეს იყო და ეს.

როგორც ვიცით, პოეტი, რომელმაც მთელი საქართველო რევოლუციის ჰანგზე აამღერა, უკუღმართი ცხოვრებისა და წყობილების საშინელი სურათებით აღაშფოთა მკითხველის სული და გული და იარაღი აალებინა 1905 წ. რიყრაყზე დევნილთა და წამებულთა ხსნისთვის; – თვით რამდენჯერმე იყო გადასახლებული, წამებული, განლეული წამებისა და საშინელი სენისაგან, რომელიც პოეტმა ამ წამების დროს მიიღო...

პოეტის ნაზსა და სათუთ გულს უფრო მეტი სითბო სჭირდებოდა, ვიდრე მას ეგრე დაუმსახურებლად დახვდა სამშობლოში გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ...

1915 წ. ქუთაისმა პოეტს საღამო მოუწყო. იროდიონი გვეწვია. ეგ ის იროდიონი აღარ იყო, რომელსაც წინა წლებში შევხვედრივარ და ვიცნობდი. სახეგანლეული; თითქო ბეჭებშიც მოხრილი, თითქო დაჩიავებული სხეულით... ჩოხა-ახალოხით იყო. ჯეჯილი თმა ლამაზ შუბლს კიდევ დასთამაშებდა. გული მეტკინა. ეს ამაყი ავტორი ძლიერი შეძახილისა

„მეგობრებო! წინ, წინ გასწით!
ნუ შედრკება თქვენი გული!.."

როგორ გატეხილა; უწყალო სენს როგორ „შეუჭამია"!.. – არა! – ადამიანმა განლია, ადამიანმა „შეჭამა", ადამიანმა გაუჩინა ეგ სენი!

ოხ, „ადამიანო"! შენც კიდევ ადამიანი ხარ?!

საღამო ჩინებულად ჩატარდა. პოეტს ცოტა რამ მიუთვალეს სამკურნალოდ... ვგონებ აქედანაც ბევრი არაფერი გაჰყოლია: სუფრის გარშემო დაიჩუტა მეტი წილი...

„ჩოტკო" გაგიწყდეს გამკუთხი, რომელმა ხელმა გაგთალა!

„ნუ მიირთმევთ! თქვენთვის ხომ განსაკუთრებით მავნებელია? მოერიდე! ვურჩიე მეგობრულად.

– რას ამბობ? ეგ ხომ ქართული მიწის რძეა! მისი ზეგნებისა, მისი ბარისა, მისი ძუძუსი! ეგ როგორ მავნებს! და თუ მავნებს, სულერთია! – მაინც ვკვდები და ეგაა!

და უკვე ყანწს წაეტანა. არ დავანებეთ. კიტა აბაშიძე თამადობდა. უბრძანა, ყანწი წაელოთ.

პოეტის საღამოში მეც ვმონაწილეობდი.

1916 წელს იროდიონიც დავიტირეთ.

## სილოვან ხუნდაძე

ქართველ პედაგოგებს ქუდბედად დაჰყოლიათ თავიანთი ძირითადი სამუშაოს გვერდით დაძაბული საზოგადო მოღვაწეობა და კალმით მუშაკობაც.

ასეთი იყო მაშინ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობა, რომ მარტო ერთ დარგში მუშაობით ხელი აკლდებოდა მეორე და მესამე დარგს. ამიტომ ვისაც ღონე შესწევდა, იქაც მუშაობდა, იქაცა და იქაც. რა თქმა უნდა, ძალის ასეთი განაწილება თვით ნაშრომის ღირსებაზედაც, ასე თუ ისე, მოქმედებდა, მაგრამ მეტი ჯანი არ იყო და ისევ ცალუღელს გაჰქონდა ალოცა, კალოცა და ყამირიც.

ასეთი ცალუღელნი პედაგოგთა შორის უფრო მეტნი იყვნენ, ვიდრე სხვა რომელიმე დარგის მუშაკნი. საკმარისია დავასახელოთ ისეთი დიდი სახელები, როგორნიც არიან იაკობ გოგებაშვილი, ალ. ჭიჭინაძე, ლ. ბოცვაძე, ნიკო ლომაური, ვასილ ბარნოვი, არისტო ქუთათელაძე, ვაჟა, ნიკო ცხვედაძე, თ. ჟორდანია, ი. ოცხელი, გ. წერეთელი (ერთხანს ისიც ეწეოდა პედაგოგიურ მუშაობას) და მრავალნი სხვანი.

ასეთ სახელოვანთა თანავარსკვლავედში ფრიად საპატიო ადგილი უჭირავს სილოვან ხუნდაძეს, როგორც პედაგოგს, კრიტიკოსსა და გრამატიკოსს, ქართული სალიტერატურო ნორმების მკვლევარსა და ცნობილ პოეტს.

სილოვანი მეტად გულმართალი და პირსწორი კაცი იყო, ამიტომ მეგობრები თუ ჰყავდა, „მტერიც" არა ნაკლები! აკაკის დიდი პატივისმცემელი იყო, როგორც პოეტისა და გულთბილი ლექსიც კი უძღვნა დიდ მგოსანს: მაგრამ ზოგი რამ მისი კერძო ცხოვრებიდან არ მოსწონდა და ბანკის საზოგადო კრებებზედაც აკაკის ოპოზიციაში ედგა... არ მოსწონდა ის ადამიანები, რომელთა შორის აკაკისაც ჰხედავდა:

„თუ ერის გამრყვნელს გვერდში უდგახარ
და ან გულგრილად შორით უყურებ,
მაშინ, ნუ გიკვირს, შენს სიცოცხლეში
თუ მხოლოდ გმობას დაიმსახურებ!
თუ საქმითა შლი სიტყვით აღბეჭდილს,
ნიჭით თუნდ ცამდი იყო მაღალი,
აწმყოსგან პატივს ნურას თხოულობ,
ნიჭისთვის თაყვანს გცემს მომავალი!"

სილოვანმა იცოდა დროზე შეტევაცა და დროზე გამხნევებაც:

**„დახე ცრუთ ენას, მტერთ შურსა,**
**სოფლის ჭირსა და ვარამსა!**
**დიდებულ მგოსანს უვიცნი —**
**ვის გიწუნებენ კალამსა?!**
**კიცხვა და ლანძღვა უმართლოთ**
**ხშირია, ქვეყნის მეფეა!**
**შოთამ სთქვა: „ვარდი უეკლოდ**
**არავის მოუკრეფია!...“**

სილოვანი ვაჟას დიდად აფასებდა, როგორც პროზაიკოსს და სანიმუშოდ მოჰყავდა „სათაგური“, „ჩხიკვთა ქორწილი“, და საგანგებოდ კი – „შვლის ნუკრის ნაამბობი“.

– მარგალიტია! – იტყოდა, ობოლი მარგალიტი! კეთილშობილი გრძნობით სავსე! არ მოსწონდა ვაჟას ლექსი, კერძოდ, პოემები: ეთნოგრაფიული მასალაა თავმოყრილი. ლექსი აქვს ოღრო-ჩოღრო, ხშირად რიტმიც არ არის დაცული! გაქანდება ეს დალოცვილი, გაიჯირითებს, ათ-თორმეტ წყვილ ერთგვარ რითმას ჩაარიგებს, მოულოდნელად ახალ რითმაზე გადადის ეს კი ისე მოქმედობს, თითქო სწორ ბილიკზე მიმავალმა უეცრად ჯირკს ფეხი წაჰკრა და იღრძო!

ვაჟას გმირებს სინაზე აკლიათ, მთიულურად, ორწოხებივით გამოიყურებიანო.

საერთოდ, პოეტურ ნაწარმოებთა მოწონება და დაწუნება – ხშირად პირადი შეხედულებებით არის განსაზღვრული. გემოვნებისა და შეხედულების შემუშავება თავისი მხრით ბევრ რამეზეა დამოკიდებული: კულტურული დონე, ნივთიერი მდგომარეობა, აღზრდა და ასეთები თავის დაღს ასმენ მკითხველის გემოვნებას.

სილოვანს ხშირად არ ვეთანხმებოდით ვაჟას შეფასებაში: ვაჟა სწორედ იმითაა დიდი და განუმეორებელი, რომ მისი გმირები სწორედ ორწოხებივით ან მთის მწვერვალებივით გამოიყურებიან სპეტაკნი, გულფაქიზნი, კეთილშობილი რაინდული სახით, ცრუ განათლებით ბუნებაშეურყეველნი, ბუნებასავით უმწიკვლონი, უზადონი.

სილოვანი, მისი ტემპერამენტის მიუხედავად, დინჯად მოისმენდა, ნარბიც არ შეეხრებოდა და დინჯადვე იტყოდა: კიდევ შევისწავლი, კიდევ გავსინჯავ, თუმცა ჩემი აზრი ვაჟას შესახებ სწორედ შესწავლის ნაყოფია და არა ზერელედ თქმული რამ.

კიდევ წავისაუბრებდით ვაჟას ლექსის შესახებ:

– ვაჟას ლექსი ხშირად ჩქერივით გაექანება ისე, როგორც შავი და თეთრი არაგვის ჩქერები, აქ ვაჟა მთის ნაკადებსა და ჩქერებს მოგვაგონებს. ამას გარდა, ერთგვარი გაქანებული წყობით ვაჟა, თუ დავუკვირდებით, ერთ აზრს იწყებს და აბოლოებს, როდესაც სხვა რითმაზე გადადის, იქ აზრიც სხვაობს. ეს ვაჟასთვის იგივე აბზაცია, თუ გნებავთ, ლიტერატურული თუ პოეტური აბზაცი!

სილოვანი ამასაც გულდასმით მოისმენდა; არ ვიცი, გვეთანხმებოდა თუ არა... ერთი რამ ცხადია: თუ თანახმა არ იყო, მაშინვე გვეტყოდა.

ილია ჭავჭავაძის ღირსეული დამფასებელი იყო. მისი ტრაგიკულად გარდაცვალების გამო დაბეჭდა რამდენიმე ლექსი და წიგნაკი – „მკვლელები და მცველები“, სადაც დაუზოგავად ამხილა ილიას საწინააღმდეგოდ ბარბაროსული ბრძოლის დამწყებნი და სულისჩამდგმელნი.

ილიას პროზა სამაგალითოდ მიაჩნდა. შიგა და შიგ ენას მასაც უწუნებდა: „ან შენ მაშინ რა იცოდი, ან შენ გიჟმა რა იცოდა“... პოეტიკა – ლიცენცია მისაღებია, მაგრამ არც ეგრე?!..

არ მოსწონდა ზოგიერთი ახალთხზული (ნეოლოგიზმები) სიტყვები და გამოთქმანი: „ქვემეხი“, „ფეხოსანი ჯარი“ – თითქო უფეხო ჯარი შესაძლო იყოსო! „კრებას გახსნილად ვაცხადებ“ – ტიპიური რუსიციზმია! „დაუშვებელია, დავუშვათ“, ეგეც იგივეა, და სხვა.

სილოვანი შეურიგებელი მტერი იყო ჭრელი საუბრისა; ვერ ითმენდა საუბრის აჭრელებას უცხო და უადგილო სიტყვების ჩართვით, ამის წინააღმდეგ იბრძოდა პრესითაც და პირადი გამოსვლითაც.

ერთხელ (განა ერთხელ?..) ვილაც მოწაფეს დაედევნა ქუჩაში.

– ყმაწვილო, რა იყიდეთ თქვენ ახლა?

– რუჭკა, ბატონო. – მიუგო შეჩქვიფებულმა ახალგაზრდამ.

ააა! რუჭკა, რუჭკა, რუჭკა, კიდევ რა? – პერო! პო, პერო! სადაც რუჭკა იყიდე, იქ პეროსაც იყიდდი! გრცხვენია შენს დედაენაზე ილაპარაკო?!

მთელმა ქუთაისმა იცოდა სილოვანის ეს თვისება და მასთან ჭრელ საუბარს ვერავინ გაბედავდა...

სილოვანი ქუთაისის საზოგადოების სინდისი იყო; წრფელი და მხურვალე პატრიოტი, რადიკალურად მოაზროვნე და ცხოვრებაშიც რადიკალი; სიმართლისთვის განწირული, მამა და მწვრთნელი მოსწავლე ახალგაზრდობისა, ბევრი თაობა აღუზრდია მას და დაუყენებია სწორ გზაზე: შთაუნერგავს ღრმა სიყვარული სამშობლოისა, მისი ისტორიისა და მწერლობისადმი. მისი ყოფილი მოწაფეები, მის მიერ დამოძღვრილნი, ყმაწვილობაშივე განბრძობილნი მრავლად და ნაყოფიერად მუშაობენ დღეს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა ასპარეზზე – განსაკუთრებით ლიტერატურასა და ისტორიაში, შემიძლია ასეთები დავასახელო აქვე: კონსტანტინე გამსახურდია, აკაკი ბელიაშვილი, ბესარიონ ჟღენტი, შალვა რადიანი, გიორგი ვასილის ძე წერეთელი. განსვენებული ნიკო ლორთქიფანიძეც მისი ნახელმძღვანელები იყო – და მრავალი სხვა. იოსებ ოცხელი იტყოდა, სილოვანი გიმნაზიის მარჯვენაა და მე უმისოდ ბევრს ვერას გავაკეთებდიო.

ხასიათის სიფიცხე ეტყობოდა, მაგრამ ეს გულმართლობით მოსდიოდა და ხშირად იქვე

შეინანებდა თუ დარწმუნდებოდა, რომ უსამართლოდ გაფიცხდა.

სილოვანი ცნობილი პოეტი იყო და სიტყვის ოსტატი; კიდევ უფრო ცნობილი, როგორც ქართული ენისა და მისი განსაკუთრებული თვისებების ავტორიტეტული მკვლევარი. სილოვანის გრამატიკაზე საქართველოში მთელი თაობები აღიზარდნენ, ხოლო მისი „სწორენის საფუძვლები" დღესაც არ არის მოკლებული ღირსებას. ქუთაისში არც ერთი საზოგადო საქმე უიმისოდ არ წამოიწყებოდა — ხშირად ინიციატორიც იყო. გაზეთი „კოლხიდა", „მეგობარი" და სხვ. წიგნების გამომცემელი ამხანაგობა და სხვ. საჯაროდ გამოსვლა არ უყვარდა და ზეიმებსაც თავს არიდებდა. მახსოვს, 1907 წელს თბილისიდან ქუთაისს ეწვივნენ ფერეიდანიდან ჩამოსული ქართველები: ყოლამ-ჰუსეინ ონიკაშვილი და ყოლამ-რეზა ხუციშვილი. დაკარგული ძმების მოსვლას ჩვენი ქალაქი ოვაციებით მიეგება. ამათ ჩვენს თეატრში მოხსენება წაიკითხეს ფერეიდანის ქართველების შესახებ. სილოვანი ვერ დაითანხმეს, რომ სცენაზე პრეზიდიუმში დამჯდარიყო და როდესაც ე. წ. „საოჯახო ბალში" მოწინავე საზოგადოებამ ონიკაშვილი და ხუციშვილი ვახშმად მიიწვია, სილოვანმა ჩინებული პატრიოტული ლექსით მიმართა მათ — და სუფრაც მაღლე დასტოვა, თუმცა სიტყვები და მხურვალე პატრიოტული მიმართვები კიდევ კარგა ხანს გაგრძელდა.

ზოგიერთი მეთოდისტი გვასწავლის: გაკვეთილზე მოწაფის პასუხში ნუ ჩაერევით, ხელს ნუ შეუშლით, შეცდომები კი დაიმახსოვრეთ და შეფასების დროს გაუსწორეთ და ამხილეთო. არ ვიცი, იქნებ ასეც სჯობდეს... სილოვანი კი შეცდომას, განსაკუთრებით ენის წინააღმდეგ, ძირშივე აღკვეთდა, მაშინვე სწვდებოდა და ხანდახან რისხვასაც არ დაიშურებდა დედა-ენის დამმახინჯებლის წინააღმდეგ. და ეს არა მხოლოდ გაკვეთილზე და გიმნაზიის კედელთა შორის, — ქუჩაში ან სავაჭროში ვისაც მიუსწრებდა ჭრელ საუბარზე, რუსულ-ქართულად არეულ-დარეულ სიტყვა-პასუხს არასგზით არ შეარჩენდა და იქვე ამხილებდა. — იბრძოდა დედა-ენის სისწორისა და უფლებისათვის.

გიმნაზიის პედსაბჭოს მდივანს შავად შედგენილი ოქმი ჯერ სილოვანისათვის უნდა წარედგინა და მისი მხრით სათანადო შესწორების შემდეგ თუ ეღირსებოდა გადათეთრება. განსვენებულ ალექსი თორაძეს პედსაბჭოს მდივანს — ოქმი სამჯერ გადააწერინა და მანამ არ მოეშვა, სანამ სისწორეში არ დარწმუნდა.

1914 წელს სამოსწავლო ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა რუდოლფმა ქუთაისის ქართულ გიმნაზიაში დასამთავრებელ გამოცდებზე დეპუტატად მოავლინა ახალციხის გიმნაზიის დირექტორი კორიცკი. ეს კაცი აშკარა მტრული განწყობილებით შეუდგა თავის საქმეს; დაუწყო ჯიჯგნა VIII კლასის მოწაფეთა საბუთებს, რომ უმეტესობა მოწაფეობისა გამოცდებზე არ დაეშვათ; ამით გამოსაშვები კლასის საქმე ჩაიფუშებოდა და ოლქის მზრუნველს საბუთი მიეცემოდა ეთქვა, — ქართველებმა ერთ გიმნაზიასაც კი ვერ უპატრონეს, ავტონომიას რომ თხოულობენ, ქვეყანას როგორ მოუვლიანო? ეს იქნებოდა კიდევ ერთი საბუთი იმისა, რომ გიმნაზია ჩამორთმეოდა ქართველ საზოგადოებას და უკვე სულიყო ოლქის ხელში. აკი, როდესაც იმავე რუდოლფმა პირველად დაათვალიერა გიმნაზიის ახალი შენობა, მოიწონა და თანვე დაურთო: Нечего сказать, хорошее здание. Оно построено на русские деньги и; конечно, должно принадлежать нам. თითქოს რუსეთში სხვა რომელიმე ფული მუშაობდა, გარდა რუსულისა!

კორიცკი ამ პროგრამის განხორციელებას ლამობდა.

განსვენებულმა ი. ოცხელმა და სილოვანმა იმით უპასუხეს თავგასულ ბიუროკრატს, რომ მას ჩამოსართმევად გამოშვერილი ხელი ჰაერში დარჩა გაშეშებული.

ცოფიანივით გამოვარდა სამასწავლებლოდან და დეპეშა აფრინა ოლქში: მთავრობის დეპუტატს ოცხელმა და ხუნდაძემ ხელიც არ ჩამოართვესო.

იოსებიც მოხსნეს დაუყოვნებლივ და სილოვანიც.

რამდენიმე თვის შემდეგ ი. ოცხელი აღადგინეს; სილოვანს კი შემოუთვალეს, კორიცკისთან ბოდიში მოიხადე და აღგადგენსო.

— ააა! ბოდიში? კორიცკისთან? არასოდეს!

და სილოვანი გიმნაზიის გარეთ დარჩა სამი წლის მანძილზე.

1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ სილოვანის გიმნაზიაში დაბრუნება დიდი ტრიუმფი იყო მისთვის და საზეიმო გამარჯვება.

ჯერ კიდევ ბავშვობაში გვასწავლიდნენ ლექსს:

**„რაც უნდა ვიცოცხლო, დედა მე არ დამავიწყდება,**
**მე მისი სახე ახლაც ცოცხლად წარმომიდგება.**
**მახსოვს, მე დედა ღამით გულზე მიმიხუტებდა**
**და წმინდა ლოცვებს ტკბილად,**
**წყნარად მიფუჩუნებდა..."**

და სხვ.

ამ მშვენიერ ლექსს ვიზეპირებდით და მისი დასასრული ხშირად თვალებსაც ცრემლით დაგვინამავდა ხოლმე:

**„გახსოვდეს შვილო, რაც რომ შენმა**
**დედამ გასწავლა,**
**ჰკვდები... სიკვდილმა... მეტისა თქმა**
**აღარ მაცალა!"**

მაშინ ეს ლექსი გ. ჭალადიდელის სახელით იყო გამოცხადებული. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ლექსი სილოვანისა ყოფილა!

ჰქონდა თუ არა სილოვანს საბუთი ეთქვა: უსამართლოდ მეპყრობიანო?..

ჰოდა ამან გამოიწვია განსვენებულის ანდერძი: „ჩემს დაკრძალვაზე არც ერთი გვირგვინი! არც ერთი სიტყვაო!"

1928 წლის მაისში, სილოვანის ცხედარი დიდძალმა საზოგადოებამ დუმილით მიაცილა საფიჩხიის სასაფლაოზე.

მშობლიური მიწა აგრილებს მის მტკივნეულ გულს და საღამოის ნელი სიო არხევს მის საფლავზე დარგულ ჭადარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნანა კიკაბიძე

# გაზეთ „დროების" ფურცლებზე

## XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საარჩევნო სისტემის სატირული კრიტიკა

*ზოგისგან ნაქები, სხვებისგან ნალანძღი,*
*მე სულელებს მასხრად ვიგდებ, ბოროტებს*
*ვებრძვი და ვცდილობ ყველაფერზე ვიცინო,*
*რომ ტირილი არ მომერიოს.*

**ბომარშე**

XIX საუკუნის ქართულ პრესას ამშვენებს პოლიტიკურ-ლიტერატურული, პროგრესულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთი „დროება", რომელიც XIX საუკუნის 70-80-იან წლებში გამოდიოდა სერგეი მესხის რედაქტორობით და ჭეშმარიტად ემსახურებოდა ერთ მიზანს, მიზანს მიმართულს სამშობლოს დამოუკიდებლობისა და კეთილდღეობისაკენ. „დროების" ფურცლებზე ქვეყნდებოდა ჩვენი გამოჩენილი საზოგადო მოღვაწეების განცდილი და ნააზრევი, ქვეყნის პოლიტიკური მდგომარეობით გამოწვეული მათივე ტკივილი და სიხარული. გაზეთის საშუალებით დიდ თუ ნაკლებად ცნობილ ქართველ მწერალთა გულისწუხილი გამოსჭვივოდა ფართო საზოგადოების თვალსაჩინოებაზე გამოსულ პუბლიცისტურ წერილებსა და პოეზიაში.

სალად მოაზროვნე ქართველი ინტელიგენცია დაცინვით ლამობდა იმ ნაკლოვანი მხარეების გამოსწორებას, რომელიც აფერხებდა პროგრესულ საზოგადოებრივ აზრს, კეთილშობილურ ქმედებას, ერის წინსვლას, და ძლიერი სატირული შეძახილით აფხიზლებდა ქართველობას, რომელიც რუსთა ე. წ. მფარველობის ქვეშ დღითი-დღე, თანდათანობით კარგავდა წმინდა ეროვნულ სახეს, თვითმყოფადობას.

1870 წელს ოფიციალური რუსეთის მიერ მიღებულ იქნა საქალაქო დებულება რუსეთის იმპერიის განაპირა მხარეებისათვის. XIX საუკუნის 70-80-იანი წლების საქართველოში, 1870 წლის საქალაქო დებულებით დაწესდა საარჩევნო სისტემა საქალაქო თვითმმართველობის განმკარგულებელი ორგანოს სათათბიროს ხმოსანთა, ქალაქის თავის და სხვა თანამდებობის პირთა ასარჩევად. 1870 წელს გამოცემული საქალაქო დებულება ბურჟუაზიული ხასიათისა იყო. იგი მხედველობაში არ ღებულობდა ქალაქის მოსახლეობის წილობრივ დაყოფას და საარჩევნო თანრიგებს საფუძვლად უდებდა არა მოქალაქეთა სოციალურ წარმოშობას, არამედ ეკონომიურ მდგომარეობას. სათათბიროს ხმოსნები, ქალაქის თავი და სხვა თანამდებობის პირები აირჩეოდნენ ოთხი წლის ვადით.

თბილისის საზოგადოებრიობა საქალაქო რეფორმას დიდი იმედით მოელოდა: -"აირჩიეთ ისეთი კაცები, რომელთაც საზოგადო საკუთრებისათვის გული შესტკივათ; ისეთი კაცები, რომელთაც გაეგებათ, თუ რით და როგორ შეიძლება საზოგადო საჭიროების დახმარება და ხელის „გამართვა" მოუწოდებდა „დროება". ს. მესხი ქალაქის ფართო საზოგადოების ინტერესებსა და სურვილებს გამოხატავდა, მაგრამ თბილისის მოსახლეობის ყველა სოციალურ ფენას საქალაქო სათათბიროს შემადგენლობის განსაზღვრასა და თვითმმართველობის მუშაობაზე თანაბარი გავლენის მოხდენა როდი შეეძლო. დებულება, ქალაქის თვითმმართველობაში გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებდა უძრავი ქონების მსხვილ მესაკუთრეებსა და ვაჭარ-მრეწველებს, რომელნიც ადგენდნენ პირველ-მეორე საარჩევნო თანრიგებს. თუ რა დამოკიდებულება დამყარდა წლების განმავლობაში ქართული საზოგადოებისა, დებულებით გათვალისწინებული ამ საარჩევნო სისტემის მიმართ, მალე აშკარად გამოჩნდა იმდროინდელი პრესის ფურცლებზე:

1882 წელს „დროება" (№20, გვ. 1) წერდა: „ჩვენი ამორჩეულები განა იმისთვის მოიცლიან? - ჩვენ ვირჩევთ მოწინავე კაცებს განა იმისათვის, რომ ქვეყანას ემსახურონ და ხალხზედაც იფიქრონ? რა ბრძანებაა, იმათ თავიანთი საქმე აქვთ. ჩვენ ამორჩეულებს, თავისი კერძო მოთხოვნილება და საჭიროება საქვეყნო საქმედ მიაჩნიათ. აი, რისთვის იტეხენ ხოლმე თავს და უხეთქენ სხვებსაც სამ წელიწადში ერთხელ. მოძრაობა, დიპლომატიური მიმოსვლა და მიმოთქმა ახლავე იწყეს": „არა ჩვენ გვეჭირვება ისეთი კაცი, რომელიც ქვეყნისათვის ზრუნავდეს და სასარგებლო იყოს", „განა გველი მაისში გაბულბულდება?" . . . -ვინ რას დაგვიჯერებს იქ, სადაც გაზეთი და მწიგნობრობა გაშლილი სუფრაა, მჭევრმეტყველება-ზუთხორაგული, ჭკუა-სხვა და სხვა მოხარშულ-შემწვრები და სინდისი-ოციოდ-თუმნიანი?!".

გაზეთი, აკაკის სატირული ენით უმასპინძლდება ქუთაისის არჩევნებში მარშლობის მდომებს:

**დამდეგ მაისს დაიწყება**
**შინაური ომი:**
**დას-დასებად გამოვლიან**
**მარშლობისა მდომი.**
**ზოგს შაშხები აიმედებს,**
**ზოგს ზუთხი და ლომი.**

ნაცნობობას და პირად ინტერესებს ეწირება საზოგადოებრივი საქმე და ეს იწვევს „დროების" გულისტკივილს. იგი თავს ესხმის

იმდროინდელი ინტელიგენციის იმ ნაწილს, რომელიც ფიქრობს მხოლოდ იმაზე, რომ „კენჭი არჩევანში შესაფერად მოიხმაროს":

**საზოგადო სამსახურად**
**კაცისათვის ისიც კმარა**
**თუ რომ კენჭი არჩევანში**
**შესაფერად მოიხმარა.**

**არდი-ალი**

"დროებასთან" ფრიად აქტიურად თანამშრომლობდა ჩვენი სასიქადულო პოეტი აკაკი წერეთელი. გაზეთი აკაკის სატირის ბასრი ენით სასტიკად კიცხავდა „გამოცვლილ დროს", რომელ დროშიაც „ბრიყვნი და უსწავლელები თავში უდგიან ჭკვიანებს":

**გამოიცვალა ქვეყანა**
**ჩარხი უკუღმა ტრიალებს,**
**ვირი კოკობ-ვარდს დაჰგალობს,**
**ბულბული ვირებრ ღრიალებს!**

განსაკუთრებით დასცინა არჩევნების პროცესს აკაკიმ ლექსით „დამდეგ მაისს დაიწყება", რომელიც დაიბეჭდა 1882 წლის №20 „დროებაში". ეს გაბედული სატირა შესანიშნავად ახასიათებს თავად-აზნაურობისა და მათი წინამძღოლების ანგარებას, რომელთა პირადული ინტერესები ლექსში დაპირისპირებულია საზოგადო საქმის კეთილმოსურნე ხალხის ინტერესებთან. განსაკუთრებით მკვეთრად არის დასურათებული ის ამორალური ატმოსფერო, რაც იქმნებოდა თავად-აზნაურთა სამაზრო და საგუბერნიო არჩევნების დროს:

**მითქმა-მოთქმა და გინება,**
**კრებას აამყრალებს,**
**ერთი-მეორეს ამტყუნებს,**
**მუხთლობას აბრალებს . . .**

პოეტი, თავის წინდახედული დასკვნით მწვავედ ამათრახებს მაისის თვის არჩევნებს:

**ეგ მაისიც არ იქნება სხვებზე უკეთესი,**
**ღვარძლ-გორვალა გამრავლდება**
**ხალხში დანათესი,**
**ვარდს დააჭკნობს და ეკალს-კი**
**უმაგრდება ფესვი!**

სავალალო ისიც იყო, რომ ინტელიგენციას მცირე გამონაკლისის გარდა, საკმარისი ქონებრივი ცენზი არ გააჩნდა და ამიტომ არ შეეძლო პრაქტიკული მონაწილეობა მიელო საქალაქო თვითმმართველობების საქმიანობაში. პროგრესული საზოგადო მოღვაწეები ცდილობდნენ როგორმე შემოევლოთ კანონისთვის და სათათბიროში გაეყვანათ მათი წარმომადგენლები. ქუთაისის საქალაქო რჩევის დროს ნოქრის მოწმობის უქონლობის გამო ამომრჩეველთა სიიდან ამოუშლიათ ცნობილი მოღვაწეები: კ. ლორთქიფანიძე, ივ. მესხი, დ. დადიანი, დ. ბაქრაძე, ივ. ჯაიანი, ნ. კანდელაკი და სხვა.-ყველა ეს მოხსენებულნი კაცნი, ცნობილი არიან ქუთაისში..., ამათი გამორიცხვა,-გულისტკივილით დასძენს რედაქცია,-დიდათ დაემჩნევა ქუთაისის საქალაქო რჩევას".

ჩვენი სატირიკოსები უყურადღებოდ როდი ტოვებდნენ საქალაქო თვითმმართველობის სუსტ მხარეებს. 1882 წლის 16 მაისის „დროებაში" ანჩხატელის (პ. უმიკაშვილი) ფსევდონიმით გამოქვეყნებული ლექსი-„მართალი არ არის" არსებული საარჩევნო სისტემის მძაფრი სატირული კრიტიკაა. იგი თავისი სატირის ქარცეცხლში ატარებს ისეთ არჩევნებს, როგორშიც იმარჯვებენ არა ნაღდი მამულიშვილები, რომლებსაც ერის ბედ-იღბალი და მომავალი კეთილდღეობა აფიქრებთ, არამედ საკუთარი განდიდებისათვის მზრუნველი ვაჭარმრეწველები, მოხელეები და სხვა ჯურის საქმოსნები.

„ანჩხატელს" არაკის ენით სატირულად ჰყავს დახასიათებული არჩევნების საზოგადო ხასიათი ჩვენში. მიუხედავად იმისა, რომ ქართველ ერს არ აკლია რჩეული კაცები, მოწინავე ადამიანები „გონებით ძლიერნი, ქველნი, მუშაკნი, მშრომელნი", მაინც „იმ უფროს ერთსა თვის აზრიუაზრო გაჰყავს ღრიალით". მწერლის სატირული თქმით „სახედართ კრებამ", კვლავ მათთვის გამოსადეგი კაცი ამოირჩია თავის წინამძღოლად; მათმა ყროყინმა დაფარა ბედაურების ჭიხვინი:

**არ ისმის იმათ ღმუილში,**
**ბედაურების ჭიხვინი,**
**არც იმათ ჩამომავლობის**
**ლამაზთა კვიცთა ხვიხვინი.**

„ვაი იმ დროსო, როდესაც ველარ სჭრის ჭკუა-გონება"-ერთი კი ამოიკვნესა აკაკიმ და მერე თავის გესლიანი ენით იმ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ წყობილებას, რომელიც სახედრებს ამრავლებს და იმ ერს, რომელიც ულირსთა წინამძღოლობას იტანს, მისებურად გულმოსაფონად შეუკურთხა:

**ფუ! იმ მოედანს, სადაცა**
**ვირები ბედაურობენ!**
**შაბაშ იმ ერსა, რომელსაც**
**ულირსნი მეთაურობენ.**

„დროების" 1882 წ., V, 16, №99-ში მოთავსებულია - „უკენჭო-კენჭიანის" ლექსი-„მახლას", რომელშიც სატირიკოსის მიერ, სასაცილოდაა აღებული საგუბერნიო კრება, სადაც მოთავეთა დიდ რჩევაში არიან და გულ-დინჯად იხილავენ პირადი გამორჩენისათვის მზრუნველი ამოსარჩევები,-"რა გვავნებს? რა მოგვიხდება?". მათ ნამდვილად არ სურთ გამდიდრების შანსი ხელიდან გაუშვან და „თავიანთთვის ძვირფასი დროება გაიფუჭონ". მალე დიდი მონდომება და თავგამოდება დაუფასდათ და შედეგმაც არ დააყოვნა:

**ქუთაისში ზუთხმა გასჭრა,**
**ტფილისს დანივრულმა ხაშმა,**
**ჩვენი კეთილშობილთ კრება,**
**მის ჭამაში დაიხაშმა.**

"ჩვენდა სამწუხაროდ, ეს ბატონი ერთად-ერთი არ არის ჩვენს შავბედითს რჩევაში",-აგრძელებს 1882 წლის №47 „დროება" საქალაქო თვითმმართველობის არჩევნების მძაფრ სატირულ კრიტიკას და აშიშვლებს ქართველი საზოგადოების თვალწინ საარჩევნო სისტემის გახრწნილ პოლიტიკას:-მას ჰყავს რამდენიმეზე მეტი ამხანაგები, რომელნიც ყველასაგან შეს-

აცვლელად სასურველი ცენზის გამო, ხმოსნებათ დასკუპებულან ნორჩი თვითმმართველობის დარბაზში და უფრო ვნებენ მას ვიდრე ენევიან . . . , საჭიროა მათი, რაც შეიძლება მალე დაცვლა, თორემ მათს „დაჭკუიანებას" და „ცოდნის შეძენას" თუ უყურეს, ისინი მაშინ „შეიძენენ ცოდნას" და სისულელეების თქმას თავს დაანებებენ, როგორც ამბობს სახალხო ლექსი,-

**ოდეს ზღვა დაშრეს,**
**ქვიშა გამოჩნდეს,**
**თევზი მთას ვლიდეს**
**სიარულითა;**
**ვირი ბჭედ ედგეს,**
**ჯორი შვილს ჰშობდეს,**
**მგელი თავს ადგეს**
**ჭიანურითა.**

„დროების" სატირა მკაცრია, ულმობელი, თუმცა მწარედ, მაგრამ მაინც პირში უძრახავს მოკვეთეს ჭეშმარიტ სათქმელს, გადაუშლის შეულამაზებელ სინამდვილეს უკუღმართი დროისას, დროისას, რომლის წყობილებას დაჰყვა:

**აზრთა, ენის ცვლილებანი,**
**დღეს გარყვნილს, მაგრამ**
**ჯიბე-სქელს კაცს ჰქვია პატიოსანი,**
**უგნურთ, ბილწთა შემწეობით**
**გათეთრებას-"არჩევანი".**
**დრ. №216, 1888 წ.**

1882 წლის „№124 „დროებაში" ივ. თავართქილაძე კრიტიკით განაწყენებულ „ამორჩეულებს" მიმართავს: „ეკალივით ესობა თურმე გულში ზოგიერთ ვაჟბატონებს. ვბეჭდავთ უფრო საინტერესოს და ამასთანავე, მართალი მოგახსენოთ, ყოველს ნამდვილ მამულიშვილზე უფრო შემზარავი შთაბეჭდილების მომახდენელს ადგილს":

**ქეიფზე დარდიმანდად ვარ,**
**მწყალობს ბ... და ღმერთიო,**
**იყბედონ, დეე, რომ ხრიკებს ჩემსას**
**სუნი სდის ლეშისა!**
**ჯერ ამირჩიონ! ვაჩვენებ**
**ყველას ბიჭობა-სეირსა,**
**ნადიმს ნადიმზე გავმართავ,**
**ურიებს მივცემ ხეირსა".**

„ვაი, ჩვენი საზოგადო საქმეების ბრალი, ამისთანა „ბიჭობის" მოქადულ პირთა ხელში!"- დაასკვნის გაზეთი.

საზოგადოებაში უკეთესი მომავლის რწმენის ჩანერგვა, ქართველი ხალხის ბრძოლისუნარიანობის ამაღლება, ქართული პრესისა და მისი ერთ-ერთი მესვეურის გაზეთ „დროების" რედაქტორ-გამომცემლის ს. მესხის მთავარ მიზანს წარმოადგენდა. იგი გაზეთთან ერთად იბრძვის ყველა იმ მახინჯ გამოვლინებათა წინაალმდეგ, რომელიც ახალი ვითარების შესაბამისად თავს იჩენდა ქართულ საზოგადოებაში და ადუნებდა მათ ეროვნულ შეგნებას. „დროება" ეხება ჩვენი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხს, მოხელეთა ბოროტმოქმედებას, მთავრობის ბრძანებების, განკარგულებების უსუსურობას, მწვავედ აყენებს ეროვნულ და სოციალურ საკითხებს, გამძაფრებით იბრძვის იმათ წინააღმდეგ, ვინც ცდილობს ქართველი ერის მოსპობას.

დიახ, ასე გულმართლად ემსახურებოდა გაზეთი „დროება" თავის წმიდათაწმინდას, სათაყვანებელ საქართველოს; არ indობდა მამულის მტრებს, შინაურს თუ გარეულს და ისე უმასპინძლდებოდა მშვენიერი სატირით, როგორც იმსახურებდა. არ შეიძლება, ანალოგია არ მოეძებნოს ყოველივე ზემოთქმულს თანამედროვე დროშიაც. მართლაცდა, ხანდისხან ეს მწვავე სატირა მწარედ გაგვაცინებს და ამ სიცილით მოგვეხამავს კიდეც. რომელი ჩვენგანისათვის იქნება დღეს უცხო, განანამები ყოფით დაღლილი ქართველებისათვის 1882 წ. „დროების" №216-ში დაბეჭდილი ივ. თავართქილაძის ლექსის „დასტურის" ეს სტრიქონები:

**უკუღმა მიდის სოფელი,**
**ბოროტებამ ფრთა გაშალა**
**დაძაბუნდნენ მამაცები,**
**დედაბრები ვაჟკაცობენ;**
**მოხუცები ყმაწვილთ ჰბაძვენ,**
**ბაღანანი მოხუცობენ,**
**ჭკვიანებს „სულელთ" არქმევენ**
**და სულ ლენჩებს კი აბრძნობენ,**
**მამულისა ერთგულსა ჰკვლენ,**
**და მოღალატეს სწყალობენ!**

„დროებამ" ღრმა კვალი გაავლო ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში და XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული აზრის შესანიშნავ მატიანედ დარჩა. გაზეთში თანამშრომლობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები: ილია ჭავჭავაძე, აკ. წერეთელი, გ. წერეთელი, ს. მესხი, პ. უმიკაშვილი, დ. ერისთავი, რ. ერისთავი, სიმ. ჯორბენაძე, პარ. ცახელი, ავქ. ცაგარელი, ანტ. ფურცელაძე და სხვანი.

"დროების" ფურცლებზე ქართველი ერის ფიქრი და ტკივილია დაღვრილი, თუმც ხშირად ღვარძლიანად გადმოხეთქილი, მაგრამ არა იმიტომ, რომ ქვეყანა აბუჩად აიგდოს, არამედ იმისათვის, რომ „სულსა და გულს მოძრაობა მისცეს, ფეხი აადგმევინოს და ის თითოეული ნაპერწკალი, რომელიც არ შეიძლება, რომ ყოველს კაცში არა ჟოლავდეს ერთ დიდ ცეცხლად შეაგროვოს ჩვენის ქვეყნის გაციებულის გულის გასათბობად." დიახ, დღესაც ისე როგორც არასდროს ჭირდება საქართველოს „გაციებული გულის გათბობა" და დროა, ბომარშესი არ იყოს სულელები მასხრად ავიგდოთ, ბოროტებას ვებრძოლოთ და ყველაფერზე ვიცინოთ, რათა გადავრჩეთ.

ეროვნული

ნინო მამარდაშვილი

# უიარაღოს რომანი „მაძიებელნი“

უიარაღო (კონდრატე თათარიშვილი – 1872-1929) ქართველი მკითხველის ცნობიერებაში დამკვიდრდა, როგორც ავტორი შესანიშნავი ისტორიული მოთხრობისა „მამელუკი“, მაგრამ „მამელუკით“ არ ამოიწურება უიარაღოს ღვაწლი შთამომავლობის წინაშე. მწერალმა საინტერესო ლიტერატურული მემკვიდრეობა დაგვიტოვა.

ქართულ ლიტერატურათმცოდნეობაში ნაკლებადაა შესწავლილი უიარაღოს რომანი „მაძიებელნი“. იგი რეფორმისშემდგომდროინდელი ქართული საზოგადოებრივი ცხოვრების მხატვრული მატიანეა, ამ ფართოპლანიანი თხზულების შესწავლა ცხადყოფს, რომ „უიარაღო ერთი იმათგანი იყო, რომლისგანაც გაღებულ წვლილს ახალი ქართული ლიტერატურის ისტორია ვერ დაივიწყებს“.[1]

კ. თათარიშვილმა რომანის წერა XIX საუკუნის 90-იან წლებში დაიწყო, მწერლის სემინარიელი მეგობარი იპოლიტე ვართაგავა იგონებს, რომ კონდრატე რომანზე მუშაობას 1893-94 წლებში შეუდგა.[2] „მაძიებელნი“ უიარაღომ 1902 წელს დაასრულა, მისი გამოცემა სცადა ცნობილმა რედაქტორ-გამომცემელმა ვასილ გადილიამ. ქვეყანაში შექმნილმა ვითარებამ, შემდგომში ვასილ გადილიას დაპატიმრებამ, რომანის გამოცემას ხელი შეუშალა.

1906-1912 წლებში კ. თათარიშვილი, ფაქტობრივად, არალეგალურად ცხოვრობდა. რასაკვირველია, მწერალი ამ წლებშიც ვერ მოახერხებდა საკმაოდ დიდტანიანი თხზულების გამოცემას. 1912-1922 წლებში კ. თათარიშვილი საზღვარგარეთ იმყოფებოდა, საქართველოში დაბრუნების შემდეგ მას „მაძიებელნის“ დაბეჭდვა არ უცდია. 1929 წელს უიარაღო გარდაიცვალა და ნაწარმოები გამოუქვეყნებელი დარჩა.

პირველად „მაძიებელნი“ გამოქვეყნდა ჟურნალ „მნათობში“ 1940-1941 წლებში,[3] 1943 წ. ეს რომანი საბლიტგამმა ცალკე წიგნად დაბეჭდა, ამ გამოცემებში ტექსტი საგრძნობლად იყო შეკვეცილი და დაშორებული ავტოგრაფიული ნუსხისაგან.[4]

1958 წელს „მაძიებელნის“ სრული ტექსტი გამოსცა სოლომონ ცაიშვილმა და შეიტანა უიარაღოს თხზულებათა სრული კრებულის II ტომში.

რომანის ტექსტის ისტორია და გამოცემების ქრონოლოგია იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც გვინდა ხაზი გავუსვათ იმ გარემოებას, რომ მკითხველმა ნაწარმოები შექმნიდან ნახევარი საუკუნის დაგვიანებით გაიცნო, რის გამოც რომანის თემამ და ავტორის მსოფლხედველობამ აქტუალობა დაკარგა. რეფორმისშემდგომი პერიოდის ქართული საზოგადოებრივი ვითარება და თავად-აზნაურთა ყოფა უკვე დიდი ოსტატობით ჰქონდათ ასახული ისეთ გამოჩენილ მწერლებს, ქართული ლიტერატურის კლასიკოსებს, როგორებიც იყვნენ დავით კლდიაშვილი, ნიკო ლორთქიფანიძე და სხვები.

კ. თათარიშვილმა რომანში წარმოაჩინა სამეგრელოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ თავად-აზნაურთა ყოფა და გლეხთა ეკონომიკურად გაძლიერების პროცესი, შექმნა საინტერესო მხატვრული სახეები. იდეური და თემატური შინაარსის მიხედვით კ. თათარიშვილი აგრძელებდა ქართული რეალისტური მწერლობის ტრადიციებს.

უიარაღო ის შემოქმედი იყო, რომელიც პერსონაჟთა სახეების დასახატად ირჩევდა თავის გარემოს, იმ დროსა და სივრცეს, რომელშიც თვითონ ცხოვრობდა, ქმნიდა იმ სახეებს, კარგად რომ იცნობდა და გრძნობდა ტკივილსა თუ სიხარულს მათი ავ-კარგის გამო.

კ. თათარიშვილის მოთხრობა „მშვიდობით“ ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნდა,[5] მას გამოეხმაურა ილია ჭავჭავაძის „ივერია“. მიმომხილველი წერდა: „ჩვენ სიამოვნებით მივესალმეთ ამ მოთხრობას, რადგან ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეების ცხოვრება გვაქვს დაწვრილებით აღწერილი და სამეგრელოს ცხოვრებას კი არავინ შეხებია.“[6]

კ. თათარიშვილმა ცოცხალი სურათების მეშვეობით მკითხველს გააცნო სამეგრელოში ფეოდალურ-მემამულური წყობილებიდან ბურჟუაზიულ ურთიერთობაზე გადასვლის პერიოდში მომხდარი პროცესები. მკვლევარი ს. ცაიშვილი წერს: „ვისაც რევოლუციამდელ სამეგრელოში უცხოვრია, ან ვინც იქ დაბადებულა და გაზრდილა, მისთვის საოცარ შთაბეჭდილებას ახდენს რომანში დახატული სურათების სიზუსტე, მხატვრის დაკვირვებული თვალი, განცდილის აღქმისა და გადმოცემის უნარი.“[7]

პირველი წერილი უიარაღოს „მაძიებელნის“ შესახებ დაბეჭდა დავით შამათავამ 1942 წელს ჟურნალ „მნათობში“ (№3), რომანის ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. ეს წერილი ინფორმაციული ხასიათისაა და ზოგადად ეხება ნაწარმოებში ასახულ პრობლემებსა და მხატვრულ მხარეს.

მეცნიერული გამოკვლევა უიარაღოს შემოქმედების შესახებ, რომელშიც „მაძიებელნის“ იდეურ-მხატვრული ანალიზიც გვხვდება, ეკუთვნის სოლომონ ცაიშვილს. მეცნიერმა გამოკვლევა წაუმძღვარა უიარაღოს თხზულებათა სრული კრებულის I ტომს. ს. ცაიშვილი აღნიშ-

ნავდა: „მაძიებელნი“ მეტად რთული და საინტერესო პერიოდის რეალისტური მხატვრული ტილოა. ამ ნაწარმოებზე ქართულ კრიტიკას განსაკუთრებული ყურადღებით მართებს შეჩერება“.[8] სამწუხაროდ, ქართული სალიტერატურო კრიტიკა ამ თხზულებით აღარ დაინტერესებულა. რომანი „მაძიებელნი“ დაიწერა 1894-1902 წლებში, ეს ის პერიოდი იყო, როცა ქართულ მწერლობაში თითქმის არ იქმნებოდა ფართოპლანიანი თხზულებები. XX საუკუნის დასაწყისიდან აქტიურად გვხვდება მცირე ზომის ნაწარმოებები: ნოველა, ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა.

მკვლევარი შ. ჩიჩუა საფუძვლიანად მიმოიხილავს იმ მიზეზებს, რამაც შეაფერხა ქართული რომანის ფორმირების პროცესი ამ პერიოდში და შენიშნავს: „მეცხრამეტე საუკუნეში არც თუ ისე ვრცლად დაწყებულ პროცესს, მეოცე საუკუნის დასაწყისში ახალი სიძნელეები გადაელობა და უფრო ინტენსიურად ესკიზი, ეტიუდი, მინიატურა, ნოველა და პატარა მოთხრობა განვითარდა. ვრცელი ჟანრების ფორმირება შეფერხდა და რომანი იშვიათობა გახდა, საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლომდე.“[9]

კ. თათარიშვილის „მაძიებელის“ დაბეჭდვა რახან არ მოხერხდა, ამდენად ეს 49 თავისაგან შემდგარი რომანი მკაფიოდ გამოკვეთილი არქიტექტონიკით, მდიდარი გმირთა გალერეით, საინტერესო მხატვრული ხერხებით შესრულებული, ქართული კრიტიკის მიღმა აღმოჩნდა.

ანასტასია ერისთავ-ხოშტარიას რომანები: „მოლიპულ გზაზე“ და „ბედის ტრიალი“ იმ პერიოდში შეიქმნა, როცა იწერებოდა „მაძიებელნი“. ეს რომანები იმ სიცარიელეს ავსებენ, XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში რომ შეიქმნა ქართული რომანისტიკის ისტორიაში.

უიარალოს რომანის სიუჟეტი კონკრეტულ ისტორიულ ფონზე იშლება. ნაწარმოების სათაური მიგვანიშნებს იმ კამპანიაზე, რომელიც დაიწყო საქართველოში მეფისნაცვალ მიხეილ ვორონცოვის 1846 წლის რესკრიპტის შემდეგ წოდების დამადასტურებელი საბუთების მოპოვებისათვის.

1846 წელს იმპერატორ ნიკოლოზ I-ის ბრძანებით, სენატს დაევალა ქართლ-კახეთისა და იმერეთის თავადაზნაურობის დამდგენი კომისიების შექმნა თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებში. ფაქტობრივად, აღმოსავლეთ საქართველოში, იმერეთსა და გურიაში 1850 წლისათვის თავადაზნაურთა სიები საჭირო დოკუმენტების წარდგენის საფუძველზე დაფიქსირდა. სამეგრელოს სამთავრო, როგორც ცნობილია, 1867 წელს გაუქმდა. ამიტომაც დაიგვიანა სამეგრელოს თავად-აზნაურთა რეგისტრაციამ. აქ „კეთილშობილთა წოდებაში დამტკიცება“ XIX საუკუნის 80-90-იან წლებში დაიწყო. სამეგრელოში, ისევე როგორც საქართველოს სხვა მხარეში, ჭირდა სათანადო სიგელ-გუჯრების მოძიება და მოპოვება. ამ პროცესმა არც თუ ისე სახარბიელო სახე მიიღო: ყალბისმქმნელთა მეშვეობით ზოგჯერ აზნაურის წოდებას ანიჭებდნენ იმ პირებს, ვისაც შეეძლო დიდი თანხის გადახდა, და ის კი, ვისაც ეს წოდება წინაპრებისაგან ჰქონდა გადაცემული, კარგავდა მას საჭირო საბუთების წარმოუდგენლობის გამო. ასე რომ, სახელმწიფო უბიძგებდა მოსახლეობას დანაშაულისაკენ. ცნობილი სოლომონ აშორდიას „ფენომენი“ სწორედ ამგვარი ვითარების „კეთილი ნაყოფი“ იყო.“[10] როგორც ცნობილია, რუსეთის ხელისუფლებასა და მთავარმართებელ მ. ვორონცოვს ეს კანონი თავიანთი მიზნების განხორციელებისათვის სჭირდებოდათ, ითვალისწინებდა რა თავად-აზნაურთა უფლებების გაძლიერებასა და არისტოკრატიისათვის პრივილეგიების მინიჭებას.

ილია ჭავჭავაძე წერდა: „თუ კანონი ჭეშმარიტ და სწორეს აზრზეა დამყარებული და ნამდვილის მიზეზისაგან წარმომდგარი, იგი ყოველთვის და ყველგან საკეთილოა და გამოსადეგი. ძნელი საფიქრებელია, რომ სადმე ანუ როდესმე ადამიანი ცუდისათვის მომზადებული იყოს და კარგისათვის კი მოუმზადებელი. გონიერი კანონი თავის დღეში ცუდს არ მოახდენს.“[11]

„კეთილშობილთა წოდებაში დამტკიცებისათვის“ საჭირო საბუთების მოსაპოვებლად ბრძოლაა უიარალოს რომანის სიუჟეტის მთავარი თემა. რომანში მოქმედება ხდება სოფელ ჭყონონაში, სადაც მრავლადაა ციხეებისა და კოშკების ნანგრევები, ძველი დიდების ნაშთები. ახლა სოფელს რკინიგზა და გზატკეცილი შორიდან უვლის და ამიტომაც ეს მხარე მიყრუებულად გამოიყურება. აქ ცხოვრობენ რომანის გმირები: აზნაური ბასილ მძებრაძე ჭანისწყლის პირას სახლობს, ოციოდე წელია გასული, რაც ბატონყმობა გაუქმდა, ბასილს კი რვა-ცხრა ქცევა მიწა შერჩენია, სახლ-კარი ვაკეზე აქვს გაშენებული. შუაგულ ეზოში ოთხი თვალი მეგრული ოდა დგას. ქონებისა და სახლ-კარის მიხედვით, ბასილს ღარიბი აზნაური არ ეთქმის, ჰყავს ერთი მოჯამაგირე და ერთი მოსამსახურე გოგო.

ბასილი თავის ქონებას ფრთხილად და გონივრულად უძღვება, ვაჟიშვილი სასწავლებელში ჰყავს მიბარებული. მძებრაძე საკმაოდ ცბიერი და მოხერხებული კაცია. ავტორი გვიამბობს: „ბასილს უყვარდა თავის ღარიბად და გაჭირვებულად გამოჩენა, განსაკუთრებით უიმედო კაცებთან, რომ ფულები სესხად არ ეთხოვათ, მაგრამ ამასთანავე გადაჭარბებული ტრაბახიც იცოდა, ამდენს და ამდენს ვხარჯავო“.[12]

ბასილს თავის მამულში შემოსული სიმინდით შეეძლო ოჯახის გამოკვებაც და სამასიოთხასი ფუთის გაყიდვაც. იზაბელას ღვინო საკმარისად მოსდიოდა. ფული ოჯახის საჭიროები-

სათვის არ აკლდა, ორმოცდაათ თუმნამდე გასესხებულიც კი ჰქონდა. როგორც ეკადრებოდა ტახტის აზნაურს, ორი და სამი ცხენი მუდამ ჰყავდა, კარგი ჩაცმა-დახურვაც უყვარდა.

მძებრაძეების ოჯახის წევრები, ბასილის მეუღლე მარიკა და ვაჟიშვილი ძუკუ ჯერ ისევ თავიანთი წოდებით ამაყობენ, ძველებურად ხელგაშლილად ცხოვრობენ და მუდამ იმის ცდაში არიან, არავინ აჯობოს, სოფელში ყველაზე უკეთ ჩაცმულ-დახურულნი იყვნენ.

ბასილ მძებრაძის ფრთხილი, მაგრამ მშვიდობიანი ცხოვრება დაირღვა მაშინ, როცა შეიტყო, წოდების დამადასტურებელი საბუთების წარდგენა რომ გახდა საჭირო. მძებრაძეებს სათანადო საბუთები ოჯახში არ აღმოაჩნდათ. მარიკა მეუღლეს ამშვიდებდა: „სოფელში რალაცას რომ ბოდავენ, განა სათქმელია, საბუთების მოთხოვნას ვინ გაუბედავს მაღალ საზოგადოებას, მაღალ ნოდებას."[3]

მარიკა თუ სიმართლეს გაურბის, ბასილი, პირიქით, მძაფრად განიცდის უსაბუთობით გამოწვეულ რეალობას და გადაწყვეტს, რადაც უნდა დაუჯდეს, რა თანხის გაღებაც არ დასჭირდეს, სათანადო საბუთი მოიპოვოს, ამიტომაც შფოთავს:

„მამაჩემი, პაპაჩემი, პაპისპაპა და ბაბუა ამიერ მითამჟამობამდე, უკუნისამდე აზნაური ყოფილა, ყმა ჰყოლია, სახლ-კარი ჰქონია, მიწა, მამული ჰქონია, სამამულო საქმეში მტრისათვის ზურგი არავის დღეში არ უჩვენებია... და ახლა გლეხი ბასილი მძებრაძე რომ დამიძახონ, მაგას ჩემი ყური ვერ გაიგონებს, ხარჯის შიშით ეს საქმე მივატოვოთ და ცოცხალი დავიმარხო?"[4]. ბასილ მძებრაძემ კარგად იცის, რომ აზნაურის წოდებაში დამტკიცება მას მატერიალურ სიკეთეს არ მოუტანს, მაგრამ გლეხებთან გათანაბრებას ვერ ეგუება და იწყება რომანში მძებრაძეების ოდისეა სიგელ-გუჯრების ძიებისა. ბასილის ბიძაშვილები, გალატაკებული, უსაქმური ბართლომე, დაბეჩავებული პავლე და ირაკლიც ვერ პოულობენ საჭირო საბუთებს.

ბასილ მძებრაძე თავისი გვარის დიდი პატივისმცემელი იყო, თუ მისი სახლიკაცები რაიმე უსიამოვნო საქმეში გაებმებოდნენ, ყოველთვის ცდილობდა მათ დახმარებოდა. როცა ბართლომემ მიკიტანი იაგორა სცემა, ვალი რატომ მომთხოვეო, სასამართლოდან ბართლომეს გათავისუფლება 30 თუმანი დაჯდა. თანხა ბასილს უნდა გადაეხადა.

აზნაური მძებრაძე ფულისათვის ისევ გლეხ ნიკოია თოხიტარიას მიადგა, გირაოდ ნიკოიას ოჯახისათვის საოცნებო მიწის ნაკვეთი „ირმის მონახეთქი" მისცეს. თოხიტარიებს ფულის სასესხებლად აზნაური დრიმინტია ჭანდრაკელიაც ესტუმრა. მას ბასილის ვალი ჰქონდა, ბასილმა სასამართლოში უჩივლა. ჭანდრაკელიას, ახლა გაკოტრებულ, ყოფილ ვაჭარს, უკვე აღარავინ ენდობოდა. თოხიტარიებმა იგი უარით გამოისტუმრეს.

დრიმინტიამ თოხიტარიების ოჯახში ბავშვების მიერ გადაგდებული ძველი სიგელი შემორჩენია, წაიკითხა, მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. სიგელში ბასილ მძებრაძის მამა მერაბი აზნაურად მოიხსენიებოდა, დოკუმენტი სათანადო წლითა და დადიანის ხელმოწერით იყო დამოწმებული.

დრიმინტიამ ნაპოვნ სიგელში მძებრაძეებს საკმაოდ დიდი თანხა დასტყუა, ვალიც გამოუქვითეს, ბართლომემ, ირაკლიმ და პავლემ სესხი კვლავ ნიკოია თოხიტარიებისაგან აიღეს, ახლა გირაოდ წისქვილში თავიანთი წილი რომ ჰქონდათ, ის ჩადეს.

ბასილ მძებრაძესა და მის ბიძაშვილებს „კეთილშობილთა წოდებაში დამტკიცებისათვის" სხვა საბუთების წარდგენაც მოუხდათ, ყოველივე ამან აზნაური მძებრაძეები მატერიალურად დააზარალა.

ბასილ მძებრაძის ვაჟი ძუკუ, ერთი ყალთაბანდი და უზნეო ახალგაზრდა, სასწავლებლიდან გამორიცხეს და შინ დაბრუნდა, მთელ დღეებს ან ნადირობაში ატარებდა ან სოფლის გზა-შარაზე საკბილო „მტრედს" უთვალთვალებდა.

ძუკუმ თვალი დაადგა ნიკოია თოხიტარიას ქალიშვილს გაიანეს. გამოუცდელ გოგონას ხან საჩუქრებით, ხანაც დაპირებებით ატყუებდა, ცოლად შერთვას პირდებოდა. სოფელი ალაპარაკდა გაიანეს ქცევაზე, ეს თოხიტარიებმაც გაიგეს, მძებრაძეებსა და მათ შორის მტრობა ჩამოვარდა. შობის ღამეს სისხლი დაიღვარა, ძუკუს მეგობარმა თავადმა მიხა ფარქანაძემ დაჭრა გაიანეს ძმა პეტრე.

ძუკუმ დანაშაული თავის თავზე აიღო, ეს ჩხუბი ბასილს ძვირად დაუჯდა. შუამავლების მეშვეობით პეტრეს მამამ შერიგება ამჯობინა და სანაცვლოდ ორასი მანეთი მიიღო. დრო გავიდა, ორივე მხარე დამშვიდდა. „მაგრამ სოფელი განა საქმის ასე გათავებას დასჯერდებოდა? სოფელს პოეზია უნდა. მღელვარე გრძნობა უნდა, სალაპარაკო და დარდის გადასაყოლებელი", – გვიამბობს ავტორი, მართლაც, ერთი თვეც არ იყო გასული, სოფლის ბავშვებმა ახალი სიმღერა შექმნეს, სიმღერის ტექსტი ძუკუს გაიანესთან არშიყობას, საიდუმლოს გამჟღავნებას, თოხიტარიების შურისძიებას, პეტრეს ჭრილობას ეხებოდა. ლექსში ნიკოია თოხიტარია ვერცხლისმოყვარე და სულმდაბალ ადამიანად იყო გამოყვანილი, რომელმაც ოც თუმნად გაყიდა ქალიშვილის ნამუსი და შვილის ჭრილობა.

მოულოდნელი ის აღმოჩნდა, რომ სიმღერაში მძებრაძე გმირად და რაინდად იყო მოხსენიებული და სოფლის ბიჭები ამ სიმღერას თოხიტარიებისა და მათი მსგავსი გლეხების გასაგონად მღეროდნენ. შერცხვენილმა თოხიტარიებმა გვარიანი მზითვის წყალობით გაიანე საჩქაროდ გაათხოვეს.

კონდრატე თათარიშვილი რომანში რეალისტური ფერებით ხატავს როგორც თავად-აზ-

ნაურთა ეკონომიკურ დაცემასა და ზნეობრივად დაკნინებას, ისე გლეხთა დაწყებულ დიფერენციაციას და ახალი ბურჟუაზიული კლასის წარმოჩენის პროცესებს. თუ ერთი მხრივ, აზნაური მძებრაძეები და ამ წოდების სხვა წარმომადგენლები ყოველმხრივ ქვეითდებიან და სიღარიბის უფსკრულში ეშვებიან, მეორე მხრივ, გლეხი ნიკოია თოხიტარია და მისი შვილები გარჯითა და მონდომებით დღითიდღე ახალ-ახალ წარმატებებს აღწევენ. სიმდიდრესა და ქონებას იხვეჭენ და გავლენიან ადამიანებად იქცევიან, თუმცა თავიანთი წრისათვის გაუცხოვდნენ კიდეც.

ავტორი ხაზგასმით გვიჩვენებს, თუ როგორ ცხოვრობდნენ თოხიტარიები ადრე და შემდეგში, როცა ისინი ტომბაშვილს დაუკავშირდნენ.

რომანის დასაწყისში ნიკოიას კარ-მიდამო მეტად შესაბრალისად გამოიყურება. „სახლი შედგებოდა ერთი კარგა მოზრდილი ხის ოთახისაგან, რომელსაც არც ჭერი ჰქონდა, არც იატაკი და არც ფანჯარა. კედლის ფიცრები და ისლის სახურავი მჭვარტლისაგან გიშერივით შავად ბზინავდა. სახლს ორი კარი ჰქონდა, ერთი წინ და მეორე უკან. უკარო კედლების გასწვრივ ტახტები იყო მიდგმული და ერთ ტახტზე ელაგა კარგა მოძველო და გვარიანად მჭვარტლისაგან შემურული ლოგინი, რომელზედაც შინაურულად გაკეთებული ჩითის ზეწარი ეფარა. წინა კარის გვერდით, მარჯვნივ იდგა რაღაც მაგიდის მსგავსი, რომელიც სკამს უფრო ნაავგავდა, თუმცა პირველზე მაღალი და დიდი იყო და მეორეზე დაბალი და პატარა. უკანა კარის აქეთ-იქით პირუტყვებისათვის ბაგა იყო გაკეთებული".

ნაწარმოების ფინალში ნიკოია თოხიტარიას სახლ-კარს კი ასე აღწერს ავტორი: „ნიკოიამ ამჟამად მშვენიერი ოთხთვალა ოდა აიშენა. ყავრით გადახურა, კარ-ფანჯრები შეაღებინა, და ახალ მოდაზე, ლამაზჩუქურთმიანი ბუხარი მიადგმევინა. უკეთესი სახლი ჭყონინაში კი არა, მეორე სოფელშიც არ იდგა..." [15] თვითონ ნიკოია ყველას ჭკვიან და გამოცდილ კაცად მიაჩნდა. თხუთმეტი წლის წინათ მისი ჭკუა-გამოცდილება არც არავის უნდოდა და არც სჯეროდა და რამე საზოგადო საქმის გარჩევის დროს ახლოსაც არავინ იკარებდა". მწერალი პაუზას აკეთებს და გვიამბობს: „ახლა კი მობრძანდი, ნიკოია! – პატიჟობდნენ, მის ნათქვამს დიდი ყურადღებით ისმენდნენ და მნიშვნელობას აძლევდნენ. თვითონაც თავი მორცხვად არ ეჭირა, ღირსეულად მიაბიჯებდა, და ვერცხლით მოჭედილ ჯოხს ნება-ნებაზე უბაკუნებდა დედამიწას".[16] მწერალი დანანებით, მაგრამ ხაზგასმით აღნიშნავს თუ რა შეუძლია ფულს, რომელმაც სოფლელების თვალში ღირსება შემატა თოხიტარიებს.

ნიკოია თოხიტარიას უმცროსი ვაჟი ფარმა ცოლად შეირთავს აზნაურ ბასილ მძებრაძის ქალიშვილს. ეს ფაქტი მორალურ და სულიერ ტრაგედიამდე მიიყვანს ტასიას მშობლებს, საბოლოოდ რომანში გამარჯვებული გლეხობა გამოდის.

რომანის ბოლოს ბასილ მძებრაძეს სინანული იპყრობს, გრძნობს თავის შეცდომებს. ეკონომიურად და ფიზიკურად განადგურებული მოხუცი აზნაური გულისტკივილით უყურებს თავის სახლს, სადაც ისე წვიმს, როგორც გარეთ, აივანზე ასასვლელი კიბეც ჩალპა, დასაგირავებელიც აღარაფერი დარჩა, აზნაურობის დამადასტურებელი საბუთებიც დაუწუნეს, უთხრეს, რომ პეტერბურგიდან თქვენი საქმე უკან დააბრუნესო. თავზარი დაეცა ბასილს, რადგანაც უქმად ჩაიარა ამდენმა წვალებამ, მიზანი მიუღწეველი დარჩა. როგორც ვხედავთ, უიარაღოს რომანში მთავარი გმირი მაინც „შემოდგომის აზნაურია".

"ვინაა ეს „შემოდგომის აზნაური", რას წარმოადგენდა იგი სინამდვილეში, ძველად და ახლა, 90-იან წლებში... ისტორიკოსთა მოწმობით, ეს არის ქართული სოციალური ურთიერთობის ერთ-ერთი რთული და მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სათანადო სისრულით ჯერ კიდევ არ ყოფილა შესწავლილი", – წერს ბ. ბარდაველიძე[17] და საფუძვლიანად ხატავს აზნაურულ ხასიათს, ქართული თავად-აზნაურობის მკვეთრად გამოხატულ თვისებებს, მათ ნეგატიურ ნიშნებს, რომლებიც განსაკუთრებით გამოვლინდა ეთიკურ სფეროში.

ქართული მწერლობის გამოჩენილი კლასიკოსის დავით კლდიაშვილის თხზულებებს, სადაც იმერეთის თავად-აზნაურთა ყოფაა მხატვრულად ხორცშესხმული, კონდრატე თათარიშვილის რომანი „მაძიებელნიც" ეხმაურება.

კ. თათარიშვილის „მაძიებელნის" სიუჟეტი, როგორც ვნახეთ, არც თუ ისე ორიგინალურია, ზოგჯერ გვაგონებს გიორგი წერეთლის „პირველ ნაბიჯს" და დავით კლდიაშვილის მოთხრობებს. მკვლევარები შენიშნავდნენ: კ. თათარიშვილი ქართული რეალისტური სკოლის წარმომადგენელია, თავის შემოქმედებაში განიცდის ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, გიორგი წერეთლის, ეგნატე ნინოშვილის, დავით კლდიაშვილის გავლენას.[18] ეს თვალსაზრისი, რასაკვირველია, ჭეშმარიტებაა. დიდი ქართველი მწერლები უნდა ახდენდნენ გავლენას ეროვნულ ლიტერატურაზე, მაგრამ არასასურველია მუდმივი ეპიგონობა და მიმბაძველობა, რასაც ვერ ვიტყვით უიარაღოს შემოქმედებაზე. უპირველესად, ეს ეხება „მაძიებელნის" პერსონაჟთა ხატვის პრინციპებსა და იმ საგნობრივ სამყაროს, რომელშიც რომანის გმირები ცხოვრობენ.

თხზულებაში ხაზგასმითაა გამოკვეთილი „ახალი დროის გმირები", მათ გვერდით ვეცნობით პერსონაჟებს, რომელთა „ცხოვრების ფილოსოფიას", რომანის გმირის, მღვდელ სევერიანე წყალაძის თვალსაზრისით, ტერენციუსის სენტენცია შეეფერება: „Homo sum humani nihil a me alienum nuto".[19]

„ადამიანი ვარ, არაფერი ადამიანური ჩემთვის უცხო არ არის", – ამ დევიზით ცხოვრობს რომანის მრავალი პერსონაჟი – მღვდელიც კი. პართენა მღვდელი მექრთამე, უსინდისო კაცია, მისთვის წირვა-ლოცვა და უფლისადმი სამსახური როდია მთავარი, სოფლის მწერალთან ერთად ფულს ძალავს მოსახლეობას, ჯვრისწერასა და სულის გაპატიოსნებაში ათ-ათ თუმანს იღებს. არც სხვა საქმეში ჩარევას თაკილობს, საიდანაც სარგებლობას ელის. ასეთივე მექრთამეა ბლაღოჩინი, მამასახლისი, სოფლის მწერალი.

სარგებლობის მიღებისა და ორიოდე მანეთის ხელში ჩასაგდებად ყველაფერს იკადრებს თემა ბოჭოკია, სოფლის მაშვალი, მისი თვალები, მუდამ დამცინავი, ერთდროულად ჰოსაც ამბობდნენ და არასაც.

როსტომ მძებრაძე, მერაბ ტომბაშვილი, დრიმინტია ჭანდრაკელია – აზნაურები არიან, რომლებიც თაღლითობას, ქურდობასაც არ თაკილობენ. როსტომ მძებრაძე გააციმბირეს, მერაბი ცუდკაცობას შეეწირა და ავაზაკებმა მოჰკლეს. ჭანდრაკელია ფუქსავატურმა ცხოვრებამ გაალატაკა და არსებობა მოპარულ საბუთში აღებული ფულით შეინარჩუნა.

მეწისქვილე მაძინია რულაია საოცრად კოლორიტული სახეა, მხიარული და ოხუნჯი, ქოსა, ფართოტუჩა და კისერდაბალა კაცი. იგი თავადის ოჯახში დაიბადა, მშვენიერ ცირაია გამდელს გაუჩნდა ბატონისაგან. ქალბატონი გაებუტა ბატონს და აიძულა ცირა თავის მცირეწლოვან შვილთან ერთად მზითვად გაეტანებინათ ქალიშვილისათვის, რომელიც მეზობელ სოფელში გათხოვდა. აქაც არ მოუსვენეს „ლამაზ ცირაიას" და ისევ დაორსულდა. ახალმა ქალბატონმა აიძულა ქმარი, ორსული ცირაია და პატარა ბაძინია გაეყიდათ, ისინი ბატონმა როსტომ მძებრაძეს მიჰყიდა, საზღაურად შვილში ერთი მოვერცხლილი თურქული დამბაჩა აიღო.

უბედურმა ცირაიამ მეორე მშობიარობა ვერ გადაიტანა და როსტომ მძებრაძის სახლში ობლად დატოვა ორი წლის მაძინია. მძებრაძე, ცნობილი ქურდი და ავაზაკი, ბუნებრივია, ვერაფერ სიკეთეს ვერ ასწავლიდა მაძინიას. როცა ბიჭი წამოიზარდა, როსტომის მარჯვენა ხელი გახდა. ბევრი ცხენი მოუპარავს, მრავალი ხარკამეჩისათვის გამოუჭრია ყელი, ბევრი ქვრივი და ობოლი აუტირებია.

ბატონყმობა გადავარდა, როსტომ მძებრაძეს ციმბირში უკრეს თავი, მაძინიას უკვე თმაში ჭაღარა გაერია და არც თავშესაფარი ჰქონდა და არც ერთი მტკაველი მიწა. „გაიხედ-გამოიხედა და გაშტერებულმა პირი დააღო, ღმერთო ჩემო, რამდენი ცვლილება მომხდარიყო, სარკესავით ნათლად დაინახა თავისი მდგომარეობა, აღეძრა სურვილი, ისეთი საქმე ეშოვნა, რომ ცივი ლომის დაუყვედრებელი ლუკმა ჰქონოდა, მის ბედზე ამ დროს გააკეთეს წისქვილი და მაძინიაც მეწისქვილედ გახდა".[20]

მაძინია წისქვილში საქმიანობს, დაუყვედრებელი ლუკმაც აქვს და სოფლის ამბებსაც დაწვრილებით იცის. ერთხანს თავისმა წარსულმა სინანულში ჩააგდო, მაგრამ ეს დროებითი აღმოჩნდა, როცა შემთხვევა მიეცა, გამორჩენის მიზნით ფარნასა და ტასიას საქმეშიც ჩაერია, ამასთანავე მძებრაძეებსა და თოხიტარიებს შორის ატეხილ დავას ვერაგულად აღვივებდა, მძებრაძეები არ უყვარდა და თოხიტარიების სიმდიდრე შურდა. ასე რომ, ვერც მაძინია რულაია იქცა ადამიანად.

სხვაგვარია მწერლის მიერ შექმნილი „ახალი დროის გმირთა" სახეები: ფარნა და ტასია, სევერიანე წყალაძე და მასწავლებელი ქალი, ვაჭარი კონსტანტინე ტომბაშვილი.

კ. თათარიშვილის რომანის „ახალი დროის გმირები" საიმედო, პატიოსანი ადამიანები არიან, ცოდნის, შრომის, ადამიანური ღირსების დამფასებლები. წარმატებას ნიჭითა და უნარით აღწევენ. ფარნა, მწყემსი ბიჭი, ცნობილი ვაჭარი და მოიჯარადრე ხდება. სოფლის მღვდელი სევერიანე წყალაძეა მისი მასწავლებელი და გზის გამკვლევი. გლეხის შრომისმოყვარე ოჯახში აღზრდილი ჭაბუკი პირად ბედნიერებასაც ეზიარება. იგი ცოლად შეირთავს აზნაურ ბასილ მძებრაძის ქალიშვილს ტასიას, რომელიც ბავშვობიდანვე უყვარდა. ტასიაც ასევე დიდი სიყვარულით უპასუხებს ფარნას გრძნობას.

ტასია თანამედროვე ქალია, იგი ამბობს: „მე მიყვარს ახალი დროება, მე ახალი დროების შვილი ვარ და ფარნაც ახალი დროების შვილია... ის ცოცხალი დროების წარმომადგენელია, ჩემს დედ-მამას სიცოცხლე არა სწამთ, ისინი წარსულ მკვდარ დროებაში ეძებენ ბედნიერებას, ახალი ცხოვრების მოთხოვნილების დაკმაყოფილების ნაცვლად ბედნიერებას დადიანის მოცემულ, ძველ, ჭუჭყიან ქაღალდის ნახევში ეძებენ".[21]

ტასიასთვის წოდებრივ უპირატესობას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მან ადამიანის ღირსებას, ცოდნასა და ნიჭს ახალი აზნაურობა უწოდა. „როგორც ძველი ჩალანდარი წინ ველარ დაუდგება ახლანდელ რკინიგზას, ვერც ძველი აზნაურობა დაუდგება წინ თანამედროვე ცხოვრებიდან წარმოშობილ აზნაურობას. აზნაურობა ახლაც არის და ყოველთვის იქნება, მაგრამ არა დადიანის საბუთით მინიჭებული, არამედ შეძენილი ცოდნით, სწავლით, შრომითა და გამოცდილებით. ახალი დროის აზნაურებს ისეთ საბაჟოს აძლევენ, რომლის წინაშე ახლანდელ დროში ყოველი მოკვდავი ქედს იხრის".[22] როგორც ვნახეთ, ტასია მიიჩნევს, რომ ახალი აზნაურების საბუთი შრომით მოპოვებული ფულია, მისმა მამამ მოხერხებულობით რომ დააგროვა და ახლა ძველ აზნაურობას შეწირა, ოჯახიცა და თავიც დაიღუპა.

რომანის „ახალი დროის გმირები" ტასია და ფარნა პირად ბედნიერებასაც ეზიარებიან. ტასიას სიყვარული ფარნასადმი ძლიერია და

გულწრფელი. ახალგაზრდა ქალი მოიხიბლა ფარნას პიროვნული ღირსებით, დასძლია დიდი წინააღმდეგობა და მისი მეუღლე გახდა.

რომანში მკაფიოდ იგრძნობა დრო. ილია ჭავჭავაძის „ოთარაანთ ქვრივის" გიორგის სიყვარულმა დაატოვებინა მამაპაპისეული სახლკარი, ჭაბუკი ძლიერმა გრძნობამ აიძულა მოჯამაგირედ დამდგარიყო და საოცნებო ქალისათვის ისე ექცირა, როგორც უცქერენ ცაზე ვარსკვლავს, მაგრამ უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა. გიორგის ბუნებიდან გამომდინარე, იგი მაინც დაილუპებოდა, რადგანაც მის გრძნობას დახვდა „ბრმა გული გვარიშვილობის ცხრაკლიტულით გადარაზული".

არც გიორგი წერეთლის ბახვა ფულავაა ბედნიერი. ღარიბმა ბიჭმა ცხოვრებას ალღო აუღო, დიდძალი ქონებაც დააგროვა, საყვარელი ქალი ცოლად შეირთო, მაგრამ მშვენიერი ესმა თავისი სილამაზის მსხვერპლად იქცა. ბახვა თავზეხელაღებული აზნაურია, იერემია წარბას მკვლელი გახდა და, ფაქტობრივად, დაილუპა.

კ. თათარიშვილის „ახალი დროის გმირები" კი იმარჯვებენ, მომავალი ფარნასია, რადგანაც ადამიანური ღირსების განმსაზღვრელი უნარი, ცოდნა და შრომა ხდება. პიროვნული თავისუფლება უკვე ადამიანებს მოქმედების ფართო ასპარეზს უხსნის.

„მაძიებელნის" „ახალი დროის გმირთა" შორის გამოირჩევა მღვდელი და მასწავლებელი სევერიანე წყალაძე. მან აღზარდა და ცხოვრების ასპარეზზე გამოიყვანა ფარნაცა და ტასიაც. იგი რომანში პროგრესულ, ნათელ პიროვნებადაა წარმოდგენილი. სემინარიელმა ყმაწვილმა საზაფხულო არდადეგების დროს მამისეულ სახლში, შემდეგ ეკლესიის სასენაკოში, სოფლის გოგო-ბიჭებისათვის საზაფხულო სკოლა გამართა და ღარიბთა ბავშვებს წერა-კითხვას, ანგარიშს უსასყიდლოდ ასწავლიდა. გლეხებს ცოდნის შეძენას ურჩევდა. „ქვეყანა ღმერთმა გაანათლა, გამოდი, თვალი გაალე, განათლება შეიძინე, გითხრა და შენ იმ სიბნელიდან, რომელშიც დროის ვითარების გამო მომწყვდეულხარ, აღარ გინდა გამოხვიდე?"[23] – ასე მიმართავდა იგი ნიკოია თოხიტარიას.

სევერიანე ბავშვებს სულს უფაქიზებდა, ზნეობის გაკვეთილებს აძლევდა, ჯონათან სვიფტის „გულივერის მოგზაურობის" დედააზრს მოსწავლეებს ასე უხსნიდა: „სუსტთან რომ ძალმომრეობა გამოეჩინა, მძლავრი მასთან ძალმომრეობას იხმარდა. მომრევის მომრევი ხომ არ დაილევა, ჩვენ ის უნდა ვისწავლოთ, რომ სუსტი და უძლური თავის დღეში არ უნდა დაიჩაგროს მძლავრისაგან".[24] მოსწავლეებიც უქებდნენ გულივერს მოქმედებას ჯუჯების ქვეყანაში, სადაც შეეძლო ყველაფერი ნაცარტუტად ექცია, პირიქით, ის დიდი პატივისცემით ეპყრობოდა მათ, იქაურ ზნე-ჩვეულებასა და კანონებს ემორჩილებოდა. მათს ენას სწავლობა და მათს სიმამაცეს აფასებდა."[25]

ვინც კონდრატე თათარიშვილის ბიოგრაფია იცის, ის სევერიანე წყალაძის პროტოტიპს უეჭველად ამოიცნობს, მაგრამ დააფიქრებს გვარი, რატომ უწოდა მას წყალაძე? ვფიქრობ, რომ ამით მწერალმა საკუთარი მოღვაწეობისადმი და ზოგადად ინტელიგენციისადმი, კრიტიკული დამოკიდებულება გამოხატა. კონდრატეს სემინარიის დამთავრების შემდეგ სხვა მიზნები ჰქონდა, მაგრამ ოჯახურმა პირობებმა აიძულა მღვდელი გამხდარიყო. თავის მეგობარს, ფოთის ეპარქიის მდივანს, სოფრომ მგალობლიშვილს კიდევაც წერდა, რომ მღვდლობა ცხოვრების სახსარისათვის სჭირდებოდა, მისი მოწოდება კი მშობლიური ლიტერატურის სამსახური იყო.

რომანში სევერიანე წყალაძეც ბევრს ეცადა სხვა სამსახური ეშოვნა, მაგრამ უშედეგოდ. ამ დროს ახალგაზრდები ჭეშმარიტებას პოზიტიურ ბედნიერებაში ეძებდნენ, რელიგიას სხვა კუთხიდან უცქერდნენ. მაგრამ სევერიანე წყალაძეც ბედს დასჯერდა და სოფელში მღვდლად დაინიშნა, ხალხის რწმენის, ზნეობის სამსახურში ჩადგა.

უიარაღომ რომანში წინა პლანზე წამოსწია ინდივიდი. რომანში ვერ შეხვდებით ხელისუფლების, წყობილების კრიტიკას, მწერლისთვის არსებითია, რომ მახინჯი სოციალური ურთიერთობის წესი – ბატონყმობა – მოისპო. გლეხი თავისუფალი, მიწა მადლიანია, ვინც შრომობს და სწავლობს, იმარჯვებს, მწერლის პატივისცემას იმსახურებს სუბიექტი თავისი უნარით. მნიშვნელობა არ აქვს მის წარმომავლობას. მაგალითად, აზნაური კონსტანტინე ტომბაშვილი დადებითი გმირია. იგი უნარიანად გაუძღვა საქმეს, მდიდარი ვაჭარი გახდა, მაგრამ ადამიანური ღირსება ფულზე არ გაუცვლია, სხვათა დახმარების სურვილიც შერჩა და ერთგულების ფასიც იცის. კონსტანტინემ გლეხები ფარნა და ივანე თოხიტარიები თავის მოიჯარადრედ გაიხადა.

უიარაღო რომანში კონსტანტინე ტომბაშვილის სახეს ისე ხატავს, რომ ხაზს უსვამს ერთ გარემოებას, დრომოჭმული პრივილეგირებული წოდების წარმომადგენელსაც შეუძლია ქვეყნისათვის სასარგებლო შრომა. ისევე, როგორც ყველა გლეხი არ შეიძლება იყოს იდეალური, თავად-აზნაურთა შორისაც არიან პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები. მწერლისათვის თანაბრად მისაღებია ქართული საზოგადოების ყველა ფენა. კ. თათარიშვილი ამ თვალსაზრისით ეხმიანება ილია ჭავჭავაძის 1892 წლის შინაურ მიმოხილვას. ილია წერს: „თუ არ დავივიწყებთ, რომ თვითოეული ჩვენგანი – გლეხია, თავადი, აზნაური, ქალია თუ კაცი, – სულ ყველანი ერთად ქართველები ვართ, ჭირსა და ლხინში განუყრელნი და განუყოფელნი... მარტო ამ საერთო სიყვარულით გამსჭვალული კაცია უძლეველი და გამარჯვებული".[26]

რომანში ავტორის მიზანი ნათლადაა გამოხატული. დროა კლასობრივმა დაპირისპირებამ,

ნოდებრივმა გაუცხოებამ ადგილი დაუთმოს ურთიერთპატივისცემას. უიარაღო ადამიანებს სინანულისა და სიყვარულისაკენ მოუწოდებს.

უიარაღოს „მამელუკის" გმირი მარკოზ მღვდელი ბატონიშვილ ალექსანდრეს ასე მოძღვრავს: – „იცოდე, თავადიშვილო, ჩვენ აღვსდგებით და აღვიმართებით, სძლევს სიკეთე სიბოროტეს, მაგრამ შურს არ იძიებს; ქრისტიანულ სიკეთეს შურისძიება არ უყვარს. რაც იყო, შვილო, იყო, მას ნუღარ გავიხსენებთ... დავადგეთ ახალ გზას. მაშინ ნახავ, რომ ცაც დროზე წვიმას მოგვცემს და ქვეყანაც უხვად აღმოაჩენს ნაყოფს თვისსა, მოსავალიც კარგი იქნება და სიმართლეც ხალხში სანატრელი".

უიარაღოს „მაძიებელნის"[27] დედაზრია ადამიანთა შორის ჯანსაღი ურთიერთობისა და „სიმრთელისაკენ" სწრაფვაა, „ძველმა აზნაურობამ" „ახალსა" და „სულით" აზნაურობას უნდა დაუთმოს ადგილი, რაც ქვეყნის წინსვლისა და ხალხის კეთილდღეობის საფუძვლად იქცევა. კონდრატე თათარიშვილის რომანი „მაძიებელნი" ეროვნული ლიტერატურის ისტორიის ერთი შემადგენელი ფურცელია, ამიტომაც მას დავიწყების ფერფლი არ უნდა ფარავდეს.

## ლიტერატურა


1. ს. ცაიშვილი, უიარაღოს თხზულებათა სრული კრებული. ტ.I, თბ., 1957 წ. გვ. 5.
2. ი. ვართაგავა, უიარაღო (კონდრატე თათარიშვილი) „ქართველი მწერლების სილუეტები", ტ. I, 1956 წ. გვ. 139.
3. ჟურნალი „მნათობი", 1940 წ. №№10, 11, 12, 1941 წ. №№3, 4, 5, 6, 7
4. უიარაღოს რომანი „მაძიებელნის" ავტოგრაფიული ნუსხა დაცულია საქართველოს ლიტერატურულ მუზეუმში, 6-10711.
5. ჟურნალი „მოამბე", 1895 წ. №№ 8,9,10,11. ფსევდონიმით „თ-ლი".
6. გაზეთი „ივერია", 1895 წ. № 282, გვ. 4
7. ს. ცაიშვილი, წიგნში „უიარაღოს თხზულებათა სრული კრებული". ტ. I. თბ. 1957 წ. გვ. 32.
8. იქვე
9. შ. ჩიჩუა, „XX საუკუნის ქართული რომანი", ლიტერატურული ძიებანი, XIX, თბ. 1999 წ. გვ. 261.
10. მ. ბარათაშვილი „აშორდიას აზნაურები", გაზ. „ცხოვრება და კანონი" 1991 წ. 2. III 4 (19).
11. ი. ჭავჭავაძე, „ცხოვრება და კანონი", თხზ. სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყვას რედაქტორობით. თბ., 1956 წ. გვ. 72-73.
12. უიარაღო, „მაძიებელნი", თხზულებათა სრული კრებული ორ ტომად, ტ. II. ტომი შეადგინა და შენიშვნები დაურთო სოლომონ ცაიშვილმა. თბ. 1956 წ. გვ. 39.
13. იქვე, გვ. 41.
14. იქვე, გვ. 231.
15. უიარაღო, „მაძიებელნი". დასახ. წიგნში, გვ. 467.
16. იქვე.
17. ბ. ბარდაველიძე, დავით კლდიაშვილი, თბ. 1986 წ. გვ. 61.
18. შ. რადიანი, „მეოცე საუკუნის ქართული ლიტერატურა", თბ. 1959 წ. გვ. 280, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. V, თბ. 1982 წ. გვ. 429.
19. ტერენციუსი პუბლიუს აფრიკელი (ძვ. წ. 195-159 წ.წ.) რომაელი კომედიოგრაფი, ატიკური დრამატურგიის საფუძველზე შექმნა თავისი კომედიები, რომელთა თემატიკა საყოფაცხოვრებო ხასიათისაა, ქადაგებს ეთიკურ პრინციპებზე დამყარებულ ჰუმანისტურ იდეებს, ქსე, ტ. 9, თბ., 1985 წ. გვ. 697.
20. იქვე, გვ. 487.
21. იქვე, გვ. 393.
22. იქვე, გვ. 487.
23. იქვე, გვ. 152.
24. იქვე, გვ. 262.
25. იქვე, გვ. 261.
26. ი. ჭავჭავაძის თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, პ. ინგოროყავს რედაქტორობით, ტ. V, 1955 წ. გვ. 340.
27. „უიარაღო", „მამელუკი", თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989 წ. გვ. 51.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქეთევან სოხაძე

# „ქვათა ღაღადის“ ეპოქამდე და შემდგომ

## ლორესა და სხვათა დაკარგულთა მამულთა შესახებ

### ნაწილი III

საუკუნეების განმავლობაში ისტორიული ლორე თრიალეთ-ქვემო ქართლის შემადგენელი ნაწილი გახლდათ. მისი გაუდაბურების პოლიტიკა შაჰ-აბასმა დაისახა მიზნად. „ამით ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი ეშლებოდა და მის პოლიტიკურ არსებობას საფრთხეს უქმნიდა“ (შ. ლომსაძე). ამიტომ XVII-XVIII საუკუნეების საშინელებათა შემდგომ ყველაზე მეტად ეს მხარე გაჩანაგდა. ცარიზმმა კი საკუთარი მეცნიერებათა აკადემიის მეშვეობით ძალიან კარგად შეისწავლა ეთნოგრაფიული და ისტორიული მასალა, თავისი ქართველი ძმის ხასიათი და შეეცადა, ეს მხარე საერთოდ მათ გარეშე დაეტოვებინა. ასე ჩანს დღევანდელი გადასახედიდან, თორემ მაშინდელ ქართულ საზოგადოებას ეს ასე არ აღუქვამს, პირიქით, მგონი, ვერც ხვდებოდა, რომ მათ თავს რაღაც ხდებოდა (წინააღმდეგ შემთხვევაში, ტაშირ-თრიალეთის მხარეში თავადაზნაურობა მასობრივად არ დაიწყებდა მამულების გაყიდვას. თუმცა, გაკოტრების გზაზე დამდგართათვის მყიდველი იყო მთავარი). სპარსეთის პრეტენზიები ამიერკავკასიაში ბატონობისათვის რუსეთმა და თურქეთმა 1724 წ. კონსტანტინეპოლში დადებული ხელშეკრულებით მოსპეს და ბრძოლა პირველობისათვის ამ ორ უკანასკნელს შორის მიმდინარეობდა. 1806-12 წლებში ამიერკავკასიაში მოქმედ ფრონტს თურქთა წინააღმდეგ ტორმასოვი ხელმძღვანელობდა. მან ეს ომი ნააგო და „უკვე 1810 წ. ქართველ კათოლიკეთა 1500 ოჯახი აჰყარა სამცხედან, ერთი ნაწილი ბორჩალოში (ლორეს ნაწილი) გააჩერეს, მეორე ნაწილი კი დიდ ლილოში გადაასახლეს (შ. ლომსაძე, გვ. 325). ლორე-ბორჩალოში მათ დასახლებას არც არავინ აპირებდა, რადგან „ჯავახეთის ექსპერიმენტის“ განხორციელება პირველად სწორედ აქ დაიწყეს, რომ თავისთვის სანდო ხალხი დაესახლებინათ და ასეთი ხალხიც უკვე შერჩეული იყო... ჯავახეთიდან ქართველ კათოლიკეთა ოჯახები თავისი ნებით არ წამოსულან, ისინი ძალით აჰყარეს. ტორმასოვი ამის შესახებ თვითონ წერდა: „ახალციხის საფაშოდან ხალხის გადმოსახლება ხდება მათი სურვილის გარეშე. ჩვენ ამას ვაკეთებთ ორი მოსაზრებით, როცა ფაშა დაინახავს ამდენი ხალხის ჩვენს მხარეზე გადმოსვლას, ადვილად დათანხმდება წამოყენებულ წინადადებაზე და მეორეც, საქართველოს განადგურებული კუთხეები შეივსება ხალხითო“ (შ. ლომსაძე, გვ. 325). ტორმასოვი ჯავახეთისა (რომელიც რუსებს თურქთაგან ჯერ კიდევ არ ჰქონდა გამოხსნილი) და ლორე-ბორჩალოს ცარიზმისათვის სანდო პირებით დასახლებისათვის ამზადებდა. ჩასახლება კი მარკიზმა პაულიჩმა დაიწყო, რასაც რუსული საისტორიო წყაროებიც აღიარებენ. თუმცა — ეს „პროცედურა“ მათ ჯერ კიდევ ერეკლეს სიცოცხლეშივე მოახერხეს. კრწანისის ომის შემდეგ პატარა კახს თხოვნით მიმართეს მელიქმა მეჯლუმმა (ეს ის შუშელი მელიქი გახლავთ 1795 წ. 11 სექტემბერს თავისი 5000 სომეხი მებრძოლით თბილისში განჯის კარი რომ აილო და ზურგში მიუქცა ქართველებს) და აბოვმა, რომ ისინი თავისი ხალხით საქართველოში დაესახლებინათ. მათი ეს „თხოვნა“ დაკმაყოფილდა და შუშისა და სხვა რაიონების სომხური მოსახლეობა კომპაქტურად ჩაასახლეს შულავერ-ბამბაკის (ანუ საბარათიანოში, რაც ერეკლეს სამეფოში მოწინავე სადროშოდ ითვლებოდა) ტერიტორიაზე, როგორც შემდეგ აღმოჩნდა, საქართველოში დასახლების სურვილი მარტო მათ არ გასჩენიათ. სომეხმა მელიქებმა (ჯამშედი და აფრადონი) ქართველთა მეფეს გვერდი აუარეს და ამ თხოვნით პირდაპირ რუსთა ხელმწიფეს მიმართეს. სპარსეთის კარზე ინგლისის ელჩის მალკოლმის ინფორმაციით: „1799 წ. ნოემბერში მელიქი ჯიმშედი (შაჰ-ნაზარის შვილი) და მელიქი აფრიდონი (მელიქ ბეგლარის შვილი) ჩასულან იმპერატორ პავლესთან მოსალაპარაკებლად. მათ მიეცათ 3000-3000 დოლარი და ყველანაირი დაპირება დახმარებისათვის სომეხთა პრივილეგიებზე...“ (დ. ლენგი, საქართველოს მონარქიის უკანასკნელი წლები, სულიკო გრიგალაშვილის თარგმანი, ხელნაწერი, გვ. 42).

რუსულ წყაროებზე დაყრდნობით გამოვლინდა, რომ პავლე მათ დაჰპირებიათ საქართველოში სომეხთა ეროვნული თავშესაფრის დაარსებას რუსეთის მფარველობით, რითაც უზრუნველყოფდა სომეხთა დაცვას სპარსეთისა და თურქეთისაგან. ამ დასახლებას საქართველოს სახელმწიფოს შიგნით ავტონომიის უფლება მიეცემოდა (დ. ჭუმბურიძე, გვ. 38). აღნიშნული საკითხის პავლესთან მოგვარებაში „დიდი როლი ითამაშეს გეოლოგმა გრაფ მუსინ-პუშკინმა და გენერალმა ლაზარევმა (სომეხი გახლავთ — ხაზი ჩვენია)“. მეფე გიორგიმ, მამის მსგავსად, რუსთა „რჩევით“ (რაც უფრო ბრძანება იყო) მიიღო დაჩაგრული ხალხი და კვლავ ლორეს ტერიტორიაზე კომპაქტურად დაასახლა. ახალმოშენეებს სულ მალე რუსულმა ხელისუფლებამ (1801 წ-დან ოფიციალურად რომ მართავდა ქართლ-კახეთს) გარკვეული სასათბურე პირობები შეუქმნა და პროვინციის

---

I და II ნაწილი იხ. ჟ. „მნათობი“ №5-6, 2001 წ.

ეს ნაწილი სომხურ მხარედ აქცია, რადგან იმდენად დიდი ხელშეწყობა ჰქონდათ, რომ თვით იქ მცხოვრები ქართული მოსახლეობაც კი გაასომხეს. ამაში ყველაზე დიდი წვლილი სომხურ ეკლესიასა და მის საჭეთმპყრობელს იოსებს (ოსეფ) ალრუთინსკის მიუძღოდა. ფაქტობრივად, რუსეთმა აქ ექსპერიმენტი ჩაატარა და ოციოდე წლის შემდეგ იგივე გაიმეორა ჯავახეთში. ლორეს და ალავერდის საბადოები კი საქართველომ რუსთა მეშვეობით უკვე 1921 წლის ანექსიის შემდეგ დაკარგა და ესეც ეტაპობრივად მოხდა, ისევ „ზემოდან" დაგეგმილი გზით.

1917 წლამდე რუსეთს კავკასია ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულად (ქუთაისის, თბილისის, ერევნისა და ელისავეტოპოლის გუბერნიად) ჰქონდა დაყოფილი. იმავე წლის ოქტომბერში მომხდარი რევოლუციით მთელ ამიერკავკასიას თავისუფლების პრეცენდენტი შეექმნა და, რალა თქმა უნდა, დღის წესრიგში სამი სახელმწიფოს გამიჯვნის საკითხიც დადგა. „პირველად შინაკავკასიური გამიჯვნის საკითხი დაისვა კავკასიაში ერობის შემოღების გეგმის შედგენისას. აქ არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა დიდი დავის შემდეგ მსოფლიო ომის დაწყების გამო ერობის შემოღების საკითხი ვერ განახორციელეს, მაგრამ 1917-18 წლებში, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, ეს საკითხი კვლავ წამოიჭრა. სომხეთმა და აზერბაიჯანმა მოითხოვეს საზღვრების დადგენა რეალური მოსახლეობის პრინციპით, აზერბაიჯანმა რელიგიური პრინციპიც კი წამოაყენა" (დ. ჭუმბურიძე, საქართველო-სომხეთის ურთიერთობა, გვ. 4).

აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ერობების შემოღების საკითხი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ბოლშევიკური ფრთის (რსდმპ (ბ)) იდეა იყო, იმ პარტიისა, რომელიც შემდეგ წითელი რუსეთისა და საბჭოთა კავშირის მმართველი ძალა გახდა და ეს იდეაც, მისივე ლიდერის სიტყვებით თუ ვიტყვით, „დერჟავული" გახლდათ, ამავე დროს, საქართველოს წინააღმდეგ ცარისტული რუსეთის პოლიტიკის გაგრძელება. ისიც ცნობილია, რომ აზერბაიჯანის დელეგაციას სომხები აგულიანებდნენ, რადგან რელიგიური პრინციპით ტერიტორიის გაყოფის მოთხოვნა თავისთავად აყენებდა საინგილოსა და ბორჩალოს მაზრის საკითხს, სადაც ქართული მუსულმანური (საინგილო) და მუსულმანური მოსახლეობა (ბორჩალო) პროცენტულად მეტი იყო. სომხებს კი რეალური მოსახლეობის პრინციპი ნამდვილად აწყობდათ, რადგან XIX საუკუნის 20-30-იან წლებში რუსთა მეშვეობით დემოგრაფიული სიტუაცია შეცვალეს ლორეს ნაწილში და ჯავახეთში. ლორე კი თავის მხრივ ბორჩალოს მიმდებარე ტერიტორია იყო და, ფაქტობრივად, მთელი სპეკულაცია ქართული მიწების ხარჯზე მიმდინარეობდა.

ოფიციალური მონაცემებით: „სომხეთი პრეტენზიას აყენებდა ლორე-ბორჩალოს, ახალციხე-ახალქალაქის, თბილისის, მცხეთის, გორის, ბათუმისა და ბათუმის ოლქის მიმართ, აზერბაიჯანი — საინგილოს, ბორჩალოს, ახალციხის მაზრისა და ბათუმის ოლქზე" (დ. ჭუმბურიძე, გვ. 4). თუ „ქვათა ღაღადის" ეპოქას მივუბრუნდებით და პატკანოვის მიერ გამოცემულ რუკებსაც ჩავხედავთ (მტკვრის მარჯვენა სანაპირო „დიდი სომხეთია", ხოლო მარცხენა — „ალანია" და რასაც დღესაც „დიდი წარმატებით" იყენებენ მავანნი და მავანნი), დავრწმუნდებით, რომ სომეხთა მადას ბათუმი და ბათუმის ოლქი მიემატა და არც ეს იყო გასაკვირი — მათ სავაჭრო კაპიტალს ხომ ზღვაზე გასასვლელი სჭირდებოდა (და დღესაც სჭირდება)? აზერბაიჯანელთა აყოლიება კი იმისთვის იყო საჭირო, ხმათა უმრავლესობით გაეტანათ საკითხები კენჭისყრაზე (დელეგაციები წარმომადგენლობითი იყო, გადაწყვეტილებათა მიღება კი დემოკრატიული პრინციპით — ხმათა უმრავლესობით ხდებოდა).

ამასობაში ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც დაიდო (3, III, 1918 წ.), რუსეთმა საქართველო გაწირა — არდაგანის, ბათუმისა და ყარსის ოლქები (ტაოკლარჯეთი და შავშეთ-ერუშეთი) თურქეთს არგუნა (Большая Советская Энциклопедия, т. IV, გვ. 26) და რომ არა გერმანიის (I მსოფლიო ომში გამარჯვებული ქვეყანა) საქართველოში შემოსვლა, ბათუმი ჩვენთვის ისევე დაკარგული იქნებოდა, როგორც არდაგანისა და ყარსის ოლქები. ფაქტობრივად, გერმანიის მთავრობამ პატარა საქართველოს ინტერესები მცირე ხნით დაიცვა, მაგრამ მისი საბოლოო მარცხის შემდეგ ანტანტის ქვეყნების ნაქეზებით (უფრო ინგლისი) სომხეთმა თავისი პრეტენზიები წამოაყენა. საქმე ის იყო, რომ 1918 წ. 11 ივნისს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ — ნოე ჟორდანიამ — ქვეყნის საზღვრების დამდგენი კომისია შექმნა (ირაკლი წერეთელი, დავით ონიაშვილი, პავლე ინგოროყვა და გენერალი ოდიშელიძე), რომელმაც ისტორიულ-გეოგრაფიულ პრინციპზე შემუშავებული საზღვრები დაადგინა, სადაც ყველა ის ისტორიული მხარე შედიოდა, მეზობლებმა თავისად რომ „მიითვალეს". არადა, ქართველი მენშევიკები რსდმპ იდეებით ხელმძღვანელობდნენ. ჯერ კიდევ 1917 წ. აპრილში გამართულმა საქართველოს ინტერპარტიული საბჭოს პირველმა კრებამ მოხაზა სადაო ტერიტორიები, ლორე-ბორჩალოც იქ შეიტანა და დათანხმდა ეთნიკური პრინციპის გამოყენებას, რაც 1914 წ. კიევის კონფერენციაზე მიიღეს. ოღონდ, დამოუკიდებლობის შემთხვევაში მოსახლეობას რეფერენდუმის გზით უნდა გადაეწყვიტა თავისი დამოკიდებულება ამა თუ იმ სახელმწიფოსადმი. თავის მხრივ ეს დიდი შეცდომა იყო, რადგან ლორე საზღვრისპირა პროვინცია იყო და თურქების მიერ დარბეული (რაც 1916 წ-დან მასობრივად ხდებოდა) სომხური მოსახლეობა აქ აფარებდა თავს; უფრო მეტიც, მავანთა და მავანთა ხელშეწყობით იქ კომპაქტურად სახლდ-

ებოდა. ქართველობა ამას მეზობლური ვალის მოხდად მიიჩნევდა და დემოგრაფიულ ანექსიას ვერ ხედავდა. სწორედ ლტოლვილთა საკითხი არ გაითვალისწინა ქართულმა მხარემ. ეს კოზირი კი შემდეგში ბრწყინვალედ გაითამაშა სომხეთის მთავრობამ, რადგან ლორეში მან სწორედ ლტოლვილთა მეშვეობით მოიპოვა რიცხობრივი უპირატესობა. რეფერენდუმის ჩატარება კი ჩვენთვის წინასწარი მარცხით რომ დამთავრდებოდა, არც ამას გაუწია ვინმემ ანგარიში, რადგან ეროვნული თვითშეგნება ლტოლვილებში ძალზე მაღალი იყო და თანაც სომხური ეკლესიისა და დაშნაკური მთავრობის მხრიდან მათი ტოტალური აგიტაცია ხდებოდა. და, სხვათა შორის, არც ამას აღდგომია წინ ვინმე. ყველაზე პარადოქსული კი ის იყო, რომ თვით საქართველო-სომხეთის ომის დროსაც კი არავის შეუშლია ხელი სომეხ ლტოლვილთა აქ დასახლებისათვის, უფრო მეტიც, სომხური პრესის დაახლოებით 90% თბილისში იბეჭდებოდა (მოწოდებები ქართველთა წინააღმდეგ, ქართული მთავრობის მაკომპრომენტირებელი მასალა და ა.შ.), ასევე თბილისიდანვე იგზავნებოდა იარაღი და სურსათ-სანოვაგე სომეხი მებრძოლებისათვის (ერთი სიტყვით, თბილისის სომხური მოსახლეობა ბრწყინვალედ ასრულებდა „მეხუთე კოლონის" მოვალეობას) და კაცი არ იყო მათი განმკითხავი!

აქ ერთი ფაქტიც უნდა აღინიშნოს, სომხეთმა თვითონ არ მიიღო თავისი ლტოლვილები და ჩვენსკენ გამორეკეს, ესეც წინასწარ იყო გათვლილი, რადგან „დაშნაკელთა ბელადებმა „დიდი სომხეთის" იდეა ისე აამოქმედეს, რომ იგი სომეხი ხალხის იდეად აქციეს და საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილიც ამ იდეას უნდა შეწირვოდა" (დ. ჭუმბურიძე, გვ. 16).

ომის საბაბად კი იქცა თბილისის ქალაქის საბჭოს სხდომაზე ეროვნულ-დემოკრატ გრიგოლ ვეშაპელის მშობლიურ ენაზე გამოსვლა, რომელსაც მოსთხოვეს, „რუსულად ილაპარაკეთო!" პასუხი კი მათთვის ერთობ მოულოდნელი იყო: „აქამდე ქართულად ლაპარაკი ყველას უფლება იყო, დღეიდან კი იგი საქართველოს ყველა მოქალაქის მოვალეობააო!" სწორედ ამის შემდეგ 1918 წ. სექტემბერში რესპუბლიკის ეროვნული საბჭოს სხდომამ მიიღო „კანონი დედა-ენის გამოყენების შესახებ", რითაც საფუძველი ჩაეყარა ქართული ენის სახელმწიფო ენად გადაქცევის პრაქტიკულ მხარესაც – „თანამდებობაზე მყოფ ყველა პირს 6 თვის ვადა მიეცა ქართული ენის შესასწავლად, ვინც ვერ ისწავლიდა, სამუშაოდან თავისუფლდებოდა" (დ. ჭუმბურიძე, გვ. 16-17). სომხები იმ ფაქტმა შეაშფოთა, რომ სოციალ-დემოკრატებმა (ჟორდანიას მთავრობა) არ შეასრულეს დანაპირები, ანუ რსდმპ იდეალებს „უღალატეს" და არ შექმნეს ინტერნაციონალური საქართველო, სადაც სახელმწიფო ენად სომხური თუ არა, რუსული მაინც იქნებოდა. ისინი ხომ ნაციონალური საბჭოს პროგრამაში პირდაპირ წერდნენ, თუ სომხობა მოსახლეობის 15% მაინც შეადგენდა, სომხური ენა ქართულის თანაბრად უნდა ყოფილიყო გამოყენებული. სომეხთა ნაციონალურმა საბჭომ დამფუძნებელი საბჭოს (იგულისხმება საქართველოს დამფუძნებელი საბჭო) საკონსულტაციო კომისიაში წარადგინა სომეხთა ნაციონალური თვითმმართველობის პროექტი, რაც მენშევიკებმა ყოველგვარი პროტესტის გარეშე მიიღეს. ამ პროექტის რამდენიმე მუხლის განხილვაც კი ნათელ წარმოდგენას შეგვიქმნის ჩვენს „დემოკრატთა" ინტერნაციონალური სახელმწიფოს იდეებზე.

„მუხლი 7: იმ რაიონებში, სადაც სომეხი მოსახლეობა შეადგენს მთელი მცხოვრებლების არანაკლებ 15 პროცენტისა (ქალაქი, მაზრა, თემი, სოფელი) სომხური ენა სრულუფლებიანია სახელმწიფო ენასთან, ადმინისტრაციულ ადგილებში, თვითმმარველობებში, სასამართლო დაწესებულებებში, საჯარო კრებებზე და ფოსტა-ტელეგრაფებში. ამასთანავე, ეს ზემოხსენებული დაწესებულებანი მოვალენი არიან მიიღონ სომხებისაგან როგორც ზეპირი, აგრეთვე წერილობითი განცხადებები სომხურ ენაზე და სომხურადვე გასცენ პასუხი.

მუხლი 8: კანონმდებლობით ორგანოებში სომხური ენა სრულუფლებიანია სახელმწიფო ენასთან და ყველა საერთო სახელმწიფოებრივი კანონები და ცენტრალური მთავრობის განკარგულებანი ცხადდება ქართულ ენასთან ერთად სომხურ ენაზეც. ამასთანავე, აქვეყნებენ სომხურ ენაზე ყველა ადმინისტრაციულ დადგენილებებს, თვითმმართველობისა და სასამართლო დაწესებულებათა დადგენილებებსაც იმ რაიონებშიც, რომელიც აღნიშნულია მე-7 მუხლში.

მუხლი 9: სომხური ენის უფლება, რომელიც აღნიშნულია მე-6, მე-7, მე-8 მუხლში, უზრუნველყოფილი უნდა იქნას სპეციალური კანონით" (გაზეთი „სახალხო საქმე", 792, 1920 წ. 1 აპრილი).

საქმე ის იყო, რომ თუ მთავრობა მათ პირობებს შეასრულებდა, ააშენებდა ე.წ. „ღია საზოგადოებას", ანუ საქართველო იქნებოდა ყველა ერისა და ეროვნებისათვის (ქართველების გარდა) ბრწყინვალე საცხოვრებელი ადგილი, რადგან რაც უფრო ინტერნაციონალური, ღია და ეროვნულ ინტერესთაგან თავისუფალი იქნება ქვეყანა, მით უფრო თავისუფლად იგრძნობენ თავს უცხო ეროვნებების წარმომადგენლები. ეს ჟორდანიას მთავრობამ ვერ შეძლო, სამაგიეროდ, ძალიან კარგად მოხერხდა საბჭოთა ხელისუფლების დროს და დღესდღეობით სწორედ მაშინდელ დათესილს ვიმკით.

სომხებმა საკუთარი დიასპორის მეშვეობით მრავალი „მშველელი" იპოვეს სხვადასხვა სახელმწიფოს სახითაც კი. საბჭოთა რუსეთი, რომლის ხელმძღვანელ პირებთანაც უშუალო კონტაქტები ჰქონდათ, ველარ „ეხმარ-

ებოდა“, რადგან დენიკინთან და ვრანგელთან ანარმოებდნენ სამოქალაქო ომს, მაგრამ თვით თეთრგვარდიული რუსეთი იყო მათი შემწე შავ ზღვასთან არსებული ინტერესების გამო და ახლა ინგლისის მხარდაჭერაც მიიღეს.

სომხურმა მხარემ ყველა ღონე იხმარა ქართველთა საერთაშორისო დონეზე გასაშავებლად, პრესა, კავშირები და დასავლეთი (ინგლისი) თავის სასარგებლოდ განაწყვეს და მხოლოდ „საინფორმაციო ომის“ მოგების შემდეგ დაიწყეს აშკარა ბრძოლა. 1918 წ. 9 დეკემბერს პირველი შეტაკება სანაიანთან მოხდა. საპროტესტო ნოტაზე სომხები არ პასუხობდნენ. მხოლოდ „13 დეკემბერს აღიარეს, რომ გენერალმა დრომ (დრასტამატ კანინანი – ხაზი ჩვენია) თავის არმიას პირველად უბრძანა, შეტევაზე გადასულიყო“ (დ. ჭუმბურიძე, გვ. 26).

საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 17 დეკემბერს გადაწყვიტა, რომ იარაღის გარეშე საქმე არ გადაწყდებოდა. მან ისიც აღიარა, რომ ეს ომი ჩვენთვის იძულება იყო და არა სურვილი. თბილისის არაქართველი მოსახლეობიდან კი მარტო ებრაელები ამოგვიდგნენ მხარში.

მოულოდნელობის გამო სომხებმა ბოლნის-ხაჩინიც კი აიღეს. 17 დეკემბერსვე ქართული ჯარის მთავარსარდლად გენერალი მაზნიაშვილი დაინიშნა და თითქმის მაშინვე დაიწყეს მტრის უკუგდება. „ომის მსვლელობისას მდ. ხრამის ხიდთან შეიპყრეს სომხეთის სამხედრო შტაბის აგენტი, ვინმე სივოპლუსოვი, რომელსაც დავალებული ჰქონდა ხიდის აფეთქება, ბოლნის-ხაჩინის აღების დროს კი ქართულ ჯარს ხელში ჩაუვარდა დოკუმენტები, რომლითაც დასტურდებოდა, რომ სომხეთი ჯერ კიდევ ოქტომბერში შესთანხმებია ოსმალეთს საქართველოს წინააღმდეგ ომის დაწყებაში“ (დ. ჭუმბურიძე, გვ. 41). არადა, თვითონ ოსმალეთთან საომარ მდგომარეობაში იყვნენ, უფრო კი პორტა სომხებს თავის სამფლობელოში დაკარგული ტერიტორიებისა და გენოციდის სანაცვლოდ, „დიდსულოვნად უთმობდა“ ქართულ მიწებს. მაგრამ მაზნიაშვილის სტრატეგიამ გაამართლა და უკვე 28 დეკემბერს ქართულმა ჯარმა შულავერი აიღო. თბილისში კი ინგლის-საფრანგეთის მისიები ჩამობრძანდნენ ომის შეწყვეტის მოთხოვნით. ჟორდანიას მთავრობამ არ დათმო, არ შეწყვიტა ბრძოლა 31 დეკემბრის 24 საათამდე და მოითხოვა, სადემარკაციო ხაზი იქ გაევლოთ, სადაც მათი ნაწილები შეჩერდებოდნენ. ამჯერად ეს მართლაც ასე მოხდა. აღდგა „სტატუს კვო“ და მხოლოდ ამის შემდეგ 1919 წ. 3 იანვრის საპარლამენტო სხდომაზე გადაწყვიტეს თბილისიდან 300 ვერსის მანძილზე ლტოლვილების გაძევების საკითხი. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არც ლორეში და არც საქართველოს სხვა რაიონებში მათ შემოსვლასა და დასახლებას კვლავ არავინ აღდგომია წინ. ლტოლვილების საკითხით კი სომხები ბრწყინვალედ ჟონგლირებდნენ და ბრალს სდებდნენ ქართველებს მათ უპატივცემულობაში, რაც იმით გამოიხატებოდა, რომ საკუთარ მოსახლეობას [illegible] არ ყრიდნენ მათთვის [illegible] ტერიტორიებიდან და სომხებს იქ რუსებივით სასათბურე პირობებს არ უქმნიდნენ.

1919 წ. 10 იანვარს სომხეთ-საქართველოს კონფერენცია დაიწყო ინგლის-საფრანგეთის მონაწილეობით და ლორე-ბორჩალოს მაზრის ნაწილი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. სამხრეთ ნაწილი სომხებს მისცეს, ჩრდილოეთი – ქართველებს, ხოლო ლორე ნეიტრალური იყო...

„ქართული მთავრობა ამას ორი მიზეზით შეურიგდა:

1. ეს იყო დროებითი, ევროპის კონფერენციის მოწვევამდე მიღებული გადაწყვეტილება;

2. ანტანტა გამარჯვებული ბლოკი იყო და ამიერკავკასიის სტაბილიზაციისათვს (თუ უფრო გადანაწილებისათვის – ხაზი ჩვენია) საკუთარი მოთხოვნები ჰქონდა, რასაც საქართველოს მთავრობა უნდა დათანხმებოდა.

სულ 4 კონფერენცია გაიმართა და გადამწყვეტი ხმები მოკავშირეებს ეკუთვნოდათ... სომხებმა ახალქალაქის საკითხი ვერ გაიტანეს, მაგრამ გააგრძელეს „საინფორმაციო ომი“ მოკავშირეების დასარწმუნებლად, რომ ერთადერთი დასაყრდენი ამიერკავკასიაში სომხები არიან და მათ უნდა დაუჭირონ მხარი, ქართველები კი მათი მოწინააღმდეგენი არიან, რადგან გერმანიის მოკავშირეობა აირჩიეს (დ. ჭუმბურიძე, გვ. 47-48)“.

ლორესთან დაკავშირებით მენშევიკურმა მთავრობამ დაუშვა თუ არ დაუშვა შეცდომები, ეს სხვა საკითხია, ერთი კი ცხადია – ტერიტორიული მთლიანობა მაინც შეინარჩუნა, რასაც ვერ ვიტყვით მის რსდმპ-ელ ბოლშევიკ ძმებზე, რომლებმაც ბოლო მოუღეს საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობას და ანექსიასთან ერთად მისი ტერიტორიული დანაწილებაც მოახერხეს. მოვლენები კი ძალზე საინტერესოდ ვითარდებოდა. საბჭოთა რუსეთს ამიერკავკასიის გარეშე საკუთარი ეკონომიკის არათუ გამართვა და პოლიტიკურად წინ წასვლა, მოპოვებულის დაკარგვაც კი ელოდა. ბაქოს ნავთობი და ქართული ნიალისეული მას ჰაერივით სჭირდებოდა. „წითელი არმიის მიერ ამიერკავკასიის გასაბჭოება, როგორც იტყვიან „დღის წესრიგში“ დააყენეს 1920 წ. გაზაფხულიდან... ლენინის დეპეშაში ორჯონიკიძისადმი შემდეგს ვკითხულობთ: „ბაქოს აღება ჩვენთვის უაღრესად, უაღრესად საჭიროა, მთელი ღონისძიებანი აქეთ წარმართეთ, ამასთან აუცილებელია განცხადებებში უდიდესი დიპლომატიურობა გამოიჩინოთ და მაქსიმალურად დარწმუნდეთ, მტკიცე ადგილობრივი საბჭოთა ხელისუფლების მომზადებაში. იგივე ეხება საქართველოს, თუმცა გირჩევთ, მას კიდევ უფრო ფრთხილად მოეპყროთ. ჯარების გაყვანაზე შეუთანხმდით მთავარსარდალს. ლენინი – 1920 წ. 17.III.“ (ლ. თოიძე. ინტერვენციაც, ოკუპაციაც,

ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც, თბ. 1991 წ. გვ. 11-12).

საქართველოს მთავრობისათვის კი მთავარი იყო, მოსკოვს ორი დებულება ეცნო: დამოუკიდებლობა და საზღვრები. ამ ორივეზე თანხმობა 1920 წ. 7 მაისის ხელშეკრულებით მიიღო, მაგრამ იმავე წლის ბოლოსათვის გასაბჭოებული აზერბაიჯანისა და სომხეთის ფონზე საქართველო „დისონანსს" ქმნიდა და ამიტომაც მისი პოლიტიკური დისკრედიტაცია დაიწყო, განსაკუთრებით ქართველი ბოლშევიკების მხრიდან, რომ ანტანტა ამ ქვეყნის ტერიტორიას საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ საბრძოლო პოლიგონად იყენებს და ქართული მხარე გაუთავებლად არღვევს 7 მაისის ხელშეკრულების პირობებს. ეს აშკარა ცილისწამება იყო და ამავე დროს ფაქტორი, რომელიც „საინფორმაციო ომის" სახით არის ცნობილი და დიდი ჩრდილოელი ძმა მას დღესაც ჩვენს წინააღმდეგ წარმატებით იყენებს.

1920 წ. 26.XI. სტალინმა ლენინს აცნობა: „საქართველო ემზადება ჩააბაროს ანტანტას ბათუმი და, შეიძლება, უკანდასახევი გზაც კი გაუხსნას ვრანგელს, აგრეთვე ბაქოს მიმართულებით შეტევისთვისაც" (თ. ლეონიძე. გვ. 32).

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დასამხობად რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის ბიურო ხომ ყოველთვის მზად გახლდათ, მაგრამ ომის დაწყების წინააღმდეგი კამენევი იყო, რომელიც 1920. 30.XI. ლენინს სწერდა: „კავკასიაში რომ ომი დავიწყოთ, კერძოდ, საქართველო რომ დავიკავოთ, ამის უახლოესი შედეგი იქნება ანტანტასთან ჩვენი ურთიერთობის უეჭველი გამწვავება. ანტანტა, უპირველეს ყოვლისა, გააძლიერებს მუშაობას იმისათვის, რომ ჩვენს წინააღმდეგ აამხედროს ყველა ჩვენი დასავლელი მეზობელი, ფინეთით დაწყებული და რუმინეთით დამთავრებული. ამასთან ის კარგ ნიადაგს ჰპოვებს იმიტომ, რომ საქართველოს მხარეს ჩვენს მოსაზღვრე წვრილ-წვრილ ქვეყნებს გარდაუვლად გაუღვივებს ჩვენი პოლიტიკისადმი უნდობლობას, თავისი ბედიღბლისათვის შიშს და ამით უბიძგებს მათ ჩვენს წინააღმდეგ გასაერთიანებლად" (ლ. თოიძე, გვ. 36). ლენინმა ეს წერილი სტალინს გადაუგზავნა.

თვით საბჭოთა რუსეთს საქართველოს წინააღმდეგ ოფიციალურად ომი არ დაუწყია. და ესეც დიპლომატიური სვლა იყო. სამწუხაროდ, სხვა საშუალება გამონახა და ეს საშუალება ისევ და ისევ ლორეს პროვინცია გახლდათ. ლორე ანტანტის სახელმწიფოთა ჩარევით კი „გაანაილეს", მაგრამ მასზე პრეტენზიას სომხეთი (შულავერი-დებედამდე) აცხადებდა. მას კი იმხანად თურქეთთან ჰქონდა ომი და 1920 წ. 13 ნოემბერს საქართველოსა და სომხეთის მთავრობები შეთანხმდნენ, რომ ლორეს ნეიტრალურ ზონას 3 თვით ქართული ჯარი გააკონტროლებდა, თურქებთან მარცხის შემთხვევაში ეს ტერიტორიაც რომ არ დაკარგულიყო. თურქების „ბრძოლისუნარიანობა" აქ ცალკე აღნიშვნის ღირსია – თურქეთის, როგორც გერმანიის მოკავშირე ქვეყნის, ტერიტორიის „ათვისება" ანტანტის ჯარებმა დაიწყეს, რომ ევრაზიის ტერიტორიიდან კიდევ ერთი ძლიერი მეტოქე გაეძევებინათ. 1918 წ. შემოდგომაზე „ანტანტის ჯარებმა დაიპყრეს სტამბოლი, დარდანელის სიმაგრეები. იმავე ქვეყნების სამხედრო ფლოტი შავ ზღვაში შემოდის და თურქეთის პორტებს იკავებს. ამერიკის შეერთებული შტატები ცდილობს, მანდატის უფლება მოიპოვოს სტამბოლზე, სრუტეებზე, აღმოსავლეთ ანატოლიასა და სომხეთზე. 1919 წ. მაისში ანტანტის ფლოტის მხარდაჭერით საბერძნეთის ასიათასიანი არმია შეიჭრა იზმირში და ქვეყნის სიღრმისაკენ დაიძრა. აშშ-ის პრეზიდენტი ვილსონი ევროპიდან თურქების გაყრას და თურქეთის გაყოფას მოითხოვდა" (ლ. თოიძე, გვ. 48). სწორედ ამ სიტუაციაში თურქთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას სათავეში მუსტაფა ქემალი ჩაუდგა. მალე იგი თურქეთის ეროვნული კრებისა (მეჯლისის) და მთავრობის თავმჯდომარედ აირჩიეს. მის ქვეყანას კი მოკავშირე სჭირდებოდა, რომ სახელმწიფოებრიობა შეენარჩუნებინა და დახმარებისათვის საბჭოთა რუსეთს მიმართა. „1920 წ. 26 აპრილს მუსტაფა ქემალი ლენინს სწერდა, რომ თურქეთი ვალდებულებას იღებს საბჭოთა რუსეთთან ერთად იბრძოლოს იმპერიალისტურ სახელმწიფოთა წინააღმდეგ და მიზნად ისახავს მეგობრული ურთიერთობების დამყარებას საბჭოთა რუსეთთან. 1920 წ. 12 ივლისს კი თურქეთის დიდი ეროვნული კრება ატყობინებდა რსფსრ-ს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატს, რომ მთავრობის ყველა წევრი მხარს უჭერს პოლიტიკას, რომელიც რუსეთის დიდი რევოლუციის ძირითად პრინციპებს შეუფარდებს თურქეთის რელიგიურ და ეროვნულ ტრადიციებს" (ლ. თოიძე, გვ. 48).

საბჭოთა რუსეთი კი ცარისტული რუსეთის პოლიტიკის გამგრძელებელი იყო და ამ უკანასკნელის წინააზიაში და მსოფლიოში ბატონობის იდეა „მსოფლიო რევოლუციის" იდეით შეიცვალა და ამ მხარეში ბატონობაზე ხელს არ იღებდა. მაგრამ ამჯერად წინააზიაში გასაბატონებლად აქ ანტანტას უნდა შესჯახებოდა, თუ, რა თქმა უნდა, ის თურქეთს გაანეიტრალებდა, მათთან ბრძოლა უფრო ძნელი იქნებოდა და ამიტომ თურქეთის სახელმწიფოს შენარჩუნება გახდა მისი პოლიტიკის განმსაზღვრელი ხაზი, რომ ამ უკანასკნელს რეგიონიდან ინგლისი გაეძევებინა და არ დაეშვა ამერიკის შემოსვლა. ამიტომ ქემალის მთავრობის ფულითა და იარაღით მომარაგება დაიწყო. „თურქეთის დელეგაციის პირველ წევრს ოსმან-ბეის თურქეთში გასაგზავნად გადაეცა მოსკოვსა და როსტოვში შეგროვებული იარაღის დიდი პარტია. 1920 წ. ზაფხულში თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ძალებმა საბჭოთა

რუსეთიდან კვლავ მიიღეს იარაღი: 6000 შაშხანა, 5 მლნ-ზე მეტი ვაზნა, 18 000-მდე საარტილერიო ჭურვი. მაშინვე აღმოუჩინა საბჭოთა რუსეთმა თურქეთს ფულადი დახმარებაც – 5 მლნ. მანეთი ოქროთი, 1920 წ. სექტემბერში რსფსრ-ს მთავრობამ თურქეთის წარმომადგენლებს ერზრუმში გადასცა 200,6 კგ. ოქრო ზოდებით (Документы внешней политики СССР — т.3, 1959, ст.675). „1920 წ. 27 დეკემბრიდან 1921 წ. 9 იანვრამდე კავკასიის ფრონტის სარდლობამ ტუაფსეში თურქეთის მისიას გადასცა 6 ქვემეხი და 9000 ყუმბარა. 1921 წ. 14.II (დააკვირდით თარიღებს) იმავე ტუაფსედან თურქეთში ზღვით გაიგზავნა 3733 შაშხანა და 5 მლნ-ზე მეტი ვაზნა“ (ლ. თოიძე, გვ. 49). ყოველივე ამის სანაცვლოდ რუსეთს გარკვეული პირობაც ჰქონდა – ქემალის მთავრობას ხელი უნდა შეეწყო თურქეთის ტერიტორიაზე ბოლშევიკური ორგანიზაციების შექმნისათვის. ერთი სიტყვით, რუსეთმა ანტანტასთან საბრძოლველად გაამაგრა თავისი სამხრეთ-დასავლეთი საზღვარი. ეს იყო ბარიერი მუსულმანურ სამყაროში და ეს ორივე მხარეს კარგად ესმოდა. თურქეთმა თავისი ტერიტორიის დასავლეთი ნაწილი დაკარგა და სახელმწიფოებრიობის შენარჩუნება აღმოსავლეთსა და ჩრდილო-აღმოსავლეთის მიმართულებით უნდა მოეხდინა, რაც რუსთა მეშვეობით კიდეც მოახერხა და ფაქტობრივად დღესდღეობით აღიარებული სომეხთა და სხვა არამუსულმანთა გენოციდი, მათ შორის ქართველთაც, რუსული იარაღითა და ფულით ხდებოდა, ანუ ქართული პროვინციების ხარჯზე თურქეთის „ზრდა“ წითელი რუსეთის დამსახურება იყო. რუსეთი კი საუკუნენახევრის მანძილზე სომეხთა „მეოხი და მფარველი“ იყო და თურქეთში დაკარგული „დიდი სომხეთის“ ტერიტორიები მათთვის სხვა ადგილებით უნდა შეევსო, თუმცა, ალბათ საბჭოთა რუსეთის პოლიტიკა არ გამორიცხავდა ცარისტულ პრეტენზიებს და მსოფლიო რევოლუციის სახელით ადრე თუ გვიან მის დაბრუნებასაც აპირებდა, ანუ თავისი სახელმწიფოს „ზრდას“ თურქული ტერიტორიების ხარჯზე გააგრძელებდა „მსოფლიო რევოლუციის“ სახელით. მუსტაფა ქემალსა და მის მთავრობას კი წინ საბჭოთა აზერბაიჯანისა და სომხეთის მაგალითები ჰქონდათ, ამიტომ მშვენივრად გათვალეს მოსალოდნელი საფრთხე და კონტრლონისძიებებს მიმართეს, 1920 წ. სექტემბრის ამბების შესახებ ჯებესოი მუსტაფა ქემალს სწერდა: „ბაქოში მათ მიერ გამოგზავნილი (მხედველობაში რუსები ჰყავდა – ხაზი ჩვენია) მუსტაფა სუბჰისა და მისი ამხანაგების მეშვეობით თურქეთის კომუნისტთა გენერალური ცენტრი შექმნეს. მთლიანად ბოლშევიკური იდეების მქონე გულუბრყვილო და არაგულუბრყვილო ხალხი სანაპიროს ყველა პუნქტში გადმოსხეს და ქვეყნის შიგნითაც – ესკიპერსა და ანკარაშიც გაგზავნეს. მათი მიზანია ქვეყნად სოციალისტური რევოლუციის განხორციელება. ამ შემთხვევაში ქვეყანა უშუალოდ III ინტერნაციონალს, ე.ი. რუსეთს დაუკავშირდება, რის გამოც ბოლშევიკები ყოველგვარი დაპირებისა და დახმარების საჭიროების გარეშე ჩამოგვიცილებენ. ჩვენსა და დასავლეთთან პოლიტიკური ვაჭრობის დროს უფრო ძლიერი პოზიცია ექნებათ. ჩვენი ქვეყნის იდეებისა და რევოლუციის მომხრე, ანდა ამ ფარდის უკან სხვადასხვა მიზნების მისაღწევად მოქმედი ადამიანები, მიუხედავად ამ საფრთხისა, ბოლშევიკთა ორგანიზებას აადვილებენ“ (ლ. თოიძე, გვ. 55).

თურქეთის მთავრობას ბოლშევიკური ორგანიზაციების სახით თავსატეხი გაუჩნდა, მაგრამ მისდა სასარგებლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ჩიხიდან თავდასაღწევი გზა საკმაოდ ადვილად და იოლად იპოვა და „მსოფლიო რევოლუციის“ იდეას „რელიგიური და ეროვნული ტრადიციები“ დაუპირისპირა, რითაც ძალიან ბევრი მოიგო; მუსტაფა ქემალი უკვე ჯებესოის სწერდა: „ქვეყნის შიგნით არსებული კომუნისტური ორგანიზაცია, რომელიც უცილობლად ნიშნავს რუსეთის მორჩილებას, თავისი მიზნებით მთლიანად გვეწინააღმდეგება ჩვენ. იძულებული ვართ, დავაპატიმროთ და განვდევნოთ საიდუმლო კომუნისტური ორგანიზაციის წევრები. რა თქმა უნდა, კომუნიზმისა და ბოლშევიზმის აშკარა მოწინააღმდეგეობა მე მიზანშეწონილად არ მიმაჩნია“ (ლ. თოიძე, გვ. 56).

ერთი სიტყვით, აგორის მთავრობა სიტყვით ეთანხმებოდა, საქმით კი ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ კომუნიზმის იდეები თურქეთში არ განხორციელებულიყო და თავისას მიაღწია კიდეც!

თურქეთის ინტერესებში კი საქართველოს ტერიტორიებიც შედიოდა, ამიტომ მან ჟორდანიას მთავრობას თავის დროზე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებაში მონაწილეობაც კი შესთავაზა. მენშევიკებმა კი ნდობა გამოუცხადეს თავის თანამოძმე რუს სოციალ-დემოკრატებს (ოღონდ ბოლშევიკებს) და მოლაპარაკებაზე არ ჩავიდნენ. ტროცკიმ რაზეც მოაწერა ხელი, ამის მოსავალი 21-ში მოიმკეს ქართველებმა. „ებრაულ-რუსულმა დერჟავამ“ (როგორც ჟორდანიას მთავრობა უწოდებდა „წითელ რუსეთს“) დიდსულოვნად დაუთმო თურქებს ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-ერუშეთი და მესხეთის ტერიტორიის სხვა ნაწილები (თორთომის, ისპირისა და რიზეს მხარეები, რომლებიც დაახლოებით 4-5 ათას კმ$^2$ შეადგენს), სულ დაახლოებით 17.115 კმ$^2$, მაგრამ ეს ცოტა მოგვიანებით მოხდა. მანამდე კი მოვლენები ცოტა სხვაგვარად განვითარდა...

1920 წლის ნოემბრის ბოლოსათვის სომხეთიც „გაასაბჭოეს“ და დემოკრატიული საქართველო უკვე დისონანსს ქმნიდა კავკასიის რგოლში, ამიტომ სასწრაფო ზომების მიღება იყო საჭირო და თანაც ისეთის, მსოფლიო აზრი თავის წინააღმდეგ რომ არ განეწყოთ. სომხ-

ეთის საბჭოთა მთავრობამ კავბიუროს რჩევითა და უშუალო ჩარევით საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას ლორეს ნეიტრალური ზონის გამო პროტესტი განუცხადა. არადა, თურქეთთან ომის გამო მათივე წინადადებით იქ ქართული ჯარები 3 თვით, დაახლოებით 1921 წ. 13 თებერვლამდე უნდა ყოფილიყვნენ. თავის დროზე კავბიურომ უარყო სტალინის წინადადება საქართველოს გასაბჭოების მიზნით მის სხვადასხვა კუთხეში მშრომელთა აჯანყებების დაწყებისა, მაგრამ თვით „აჯანყების იდეა" კი შეინარჩუნა და სანამ 13 თებერვალი დადგებოდა, ლორე შეარჩია ასეთ „ცენტრად"... აქ აჯანყების მომზადება კავბიურომ უშუალოდ დაავალა სომხეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომელმაც ჯერ კიდევ 1920 წ. დეკემბრის მეორე ნახევარში შექმნა „მეამბოხეთა შტაბი" ყარაკლისში. „შტაბისა და ლორეს მთელი შეიარაღებული აჯანყების მომზადების პასუხისმგებელ ხელმძღვანელად გ.კ. ორჯონიკიძის მითითებით დაინიშნა პროფესიონალი რევოლუციონერი, ყოფილი ასოთამწყობი, ბაქოს კომუნის აქტიური მონაწილე, სომხეთის წითელი არმიის პოლიტგანყოფილების უფროსის მოადგილე ახალციხელი იოსებ გერასიმეს ძე ლაზიანი" (ლ. თოიძე, გვ. 70-71). ხოლო მე-11 არმიის სარდალი კი საერთოდ თბილისში დაბადებული და გაზრდილი გენერალი ჰეკერი გახლდათ. „აჯანყება" 11 თებერვლის ღამით დაიწყო, ანუ 2 დღით ადრე, ვიდრე ქართულ ჯარს ნეიტრალური ზონის დატოვების დრო დაუდგებოდა. რამდენიმე დღით ადრე შტაბსკაპიტანმა სტეპანიანმა და სხვა სამხედროებმა „ლტოლვილების სახელით" ქართულ მხარეზე სამიკიტნოები გახსნეს... დაათვრეს ჯარისკაცები და მძინარები განაიარაღეს შაგალის ხიდის აღების შემდეგ. „2-3 დღეში აჯანყებულებმა მთელი ზონის მიდამოები დაიკავეს და შულავერამდე (ამჟამად შაუმიანი) მივიდნენ. მხოლოდ აქ შეიქმნა საქართველოს რევკომი. მეოთხე დღეს კი აჯანყებულთა მოწოდების პასუხად მოვიდა წითელი არმია" (ლ. თოიძე, გვ. 89). ამავე დროს, რუსი კოლონისტების სოფლებში (ვორონოვკა, პრივოლნოე, პოკროვსკოე და სხვა — უკვე ლორეს მაზრის ჩრდილო-ქართულ ნაწილში) ქართული მთავრობის „წინააღმდეგ დაიწყო აჯანყება და კვლავ 11 თებერვალს... ფაქტიურად მთელ საომარ ოპერაციებს არც სომეხი და არც რუსი კოლონისტი „აჯანყებულები" არ აწარმოებდნენ, ეს მე-11 არმიის მანევრები იყო. ისიც საინტერესოა, თუ როგორ გამოეხმაურა ამ მოვლენებს რუსული პრესა. 1921 წ. 23 თებერვალს „პრავდა" იტყობინებოდა: „ტაიმსის" კონსტანტინეპოლელი კორესპონდენტის ცნობით, საქართველოსა და სომხეთს შორის სამხედრო მოქმედება იმიტომ დაიწყო, რომ საქართველომ უარი განაცხადა გაეწმინდა ბორჩალოს მაზრა (როსტა)" — (ლ. თოიძე, 92). ერთი სიტყვით, რუსეთი აქ არაფერ შუაში იყო და პრესაში „დაჩაგრულ" სომხურ მხარეს უჭერდა მხარს, რადგან ქართველები, როგორც ყოველთვის, „შოვინისტები და დამპყრობლები" არიან (მსურს, მკითხველმა პარალელი გაავლოს საქართველოში 90-იან წლებში მიმდინარე მოვლენებთან აფხაზეთსა და სამაჩაბლოში, სამწუხაროდ, ბევრ საერთოს იპოვის).

ასევე მკითხველისთვის ურიგო არ იქნება ამ მოვლენების ნოე ჟორდანიასეული შეფასებაც: „რასაკვირველია, ამ სომხებით დასახლებული მიდამოების შემოერთება იყო დიდი შეცდომა, მაგრამ ჩვენმა სტრატეგებმა ასე გადაწყვიტეს. თავდაცვის სიმაგრედ დაინახეს ძველებურად მთა-გორა და არა თვითონ მოსახლეობის სულისკვეთება" („ჩემი წარსული", გვ. 120). ერთი სიტყვით, „ჩვენს სტრატეგებსა" და თვით მთავრობის თავმჯდომარესაც ლორეს ნეიტრალური ზონის სახით „სხვისი" ტერიტორია „შემოუერთებიათ" და არა საქართველოს კუთვნილი ისტორიული მხარე... თანაც კი არ „შემოიერთეს" ინგლის-საფრანგეთმა „დაყავი და იბატონეს" პრინციპით ქვეყნის ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოაცხადებინა... ისე, ამას რომ ნოე ჟორდანია „აღიარებდა", რაღას იტყოდა მოწინააღმდეგე მხარე?! აქ მეორე მომენტიც იყო — ეტყობა, მთავრობის თავმჯდომარეს არ სურდა საკუთარი შეცდომის აღიარება, ან, უბრალოდ, როგორც რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ინტერნაციონალური აღზრდის პროდუქტი, საერთოდ ვერ ხედავდა ამ შეცდომას, რომ ამ ტერიტორიებზე სომეხ ლტოლვილთა დასახლება კი არა, მათი შემოსვლის ფაქტებიც კი არ უნდა დაეშვათ, რას ვიზამთ, ეს ხომ ჩვენი ტოლერანტობის შედეგია და, ალბათ, 80 წლის შემდეგ მომხდარზე საუბარიცა და, მით უმეტეს, ამ ტერიტორიებზე პრეტენზიები საჩოთიროა, რის გამოც არათუ ახლანდელი ჩვენი მთავრობა, მისი წინამორბედიცა და პოლიტიკური პარტიებიც პირში წყალს იგუბებენ.

მსოფლიოს თვალში კი საქართველოს თავზე ლაფს ასხამდნენ. თვით ლენინი უკვე ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ მოსკოვის მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების 28 თებერვლის სხდომაზე ამბობდა: „ჩვენ ვიცით, რომ აჯანყება დაიწყო სომხეთში, სწორედ იმ ნეიტრალურ ზონაში, რომელიც საქართველოსა და სომხეთს შორის მდებარეობს და რომელიც საქართველომ იმპერიალისტების ნებართვით დაიკავა (ე.ი. ინგლისისა და საფრანგეთის...) ქართველი მენშევიკების ხელში იყო სომეხი გლეხების გასაღები — საერთო რკინიგზა. არავის ეყოფა მოთმინება წაიკითხოს ის დეპეშები და განცხადებები, რომლითაც ჩვენ მივმართავდით საქართველოს ამის გამო" (თხზულებანი, ტ. 32, 175). აქ აშკარად ჩანს „პროლეტარიატის დიდი ბელადის" პროსომხურობა, სადავო ტერიტორიის უდავოდ მიკუთვნება სომხეთის-

ათვის. თუმცა ეს წითელი რუსეთის პოლიტიკა იყო და მას ხომ არ გამოააშკარავებდა?

მაინც რატომ ცდილობდა რუსეთი თავისი საომარი ქმედება სომხეთსა და საქართველოს შორის ტერიტორიულ ნიადაგზე წარმოშობილ ომად მოენათლა? ნუთუ მხოლოდ იმისთვის, რომ კონფლიქტში ჩარევის საბაბი მისცემოდა და არბიტრის როლი ეკისრა? თავის მხრივ ეს მას საშუალებას არ მისცემდა, წითელი არმია შეეყვანა ქვეყნის ტერიტორიაზე და ძალით გაესაბჭოებინა იგი. და აი, როცა ქართულმა ჯარმა „სომეხთა“ იერიშები მოიგერია, 15 თებერვალს უკვე აზერბაიჯანის მხრიდან შემოვიდა წითელი არმია და ეს „ფრონტიც“ აზერბაიჯან-საქართველოს ომად მოინათლა... 18 თებერვალს კი ალ. შეინანმა ცკ-ის დავალებით პროტესტი განუცხადა საქართველოს მთავრობას საბჭოთა სომხეთის ნაწილისა და ნეიტრალური ზონის ოკუპაციის გამო... „ასეთი პროტესტი უბრალოდ დიპლომატიურ სვლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან სწორედ 18 თებერვალს, ნაშუალამევს წითელმა არმიამ იერიში მიიტანა არამარტო თბილისის მისადგომებზე, არამედ სრულიად ახალ ფრონტზეც – მეხადირთან, საქართველოსა და საბჭოთა რუსეთის საზღვარზე. ეს შეტევა მოიგერიეს, მაგრამ 25 თებერვალს წითელმა არმიამ თბილისი დაიკავა...“ (ლ. თოიძე, გვ. 109).

21 თებერვალს ნოე ჟორდანიამ დეპეშით მიმართა ჩიჩერინს, აეხსნა ომის მიზეზები... ოფიციალური პასუხი არ მიუღიათ, სამაგიეროდ, რუსეთმა სამი ახალი მიმართულებით გაშალა შეტევები: 1) ვლადიკავკაზიდან სამხედრო გზის გავლით, 2) მამისონის უღელტეხილიდან ქუთაისისაკენ და 3) შავი ზღვის სანაპიროდან სოჭის მიმართულებით. „ამგვარად, საქართველოს ყოველი მხრიდან შემოესივნენ რუსის ჯარები. კერძოდ, მე-11 არმია, შემდეგ კი მე-8, მე-9 და მე-13 არმიები და აგრეთვე ბუდიონისა და ჟლობას კავალერიის ნაწილები (იქვე, გვ. 110).

22 თებერვალს თურქეთის მთავრობამ (რაღა თქმა უნდა, რუსებთან წინასწარი შეთანხმებით) ჟორდანიას მოსთხოვა არდაგანისა და ართვინის ოლქების დაცლა. ისიც იძულებული იყო, იქიდან ჯარები გამოეყვანა, მაგრამ თურქთა მხარე ამას არ დასჯერდა და შესთავაზა ქართველებს, რომ ბათუმში შეეშვათ ისინი და დაიცავდნენ მას ბოლშევიკებისაგან. ბათუმში შესვლის შემდეგ კი განაცხადეს: ანგორის დიდმა ეროვნულმა კრებამ დაადგინა, მოხდეს ბათუმისა და მთელი პროვინციის ანექსიაო და შეეცადნენ, ძალით აეღოთ სახელმწიფოებრივი შენობები და ციხე-სიმაგრეები. თან ჟორდანიას მთავრობისაგან ულტიმატუმის მიხედვით მოითხოვდნენ ჯარის განიარაღებას. ცხარე ბრძოლების შედეგად ქართველებმა მტერი ბათუმიდან გაყარეს და 18 მარტამდე ინარჩუნებდნენ მთელ ოლქს, სანამ აღმოსავლეთის ფრონტი არ მოხსნეს და წითელი არმია არ შეუშვეს ქალაქში. ისიც ნიშანდობლივია, რომ ოფიციალური მონაცემებით, 10 მარტიდან თურქეთის დელეგაცია მოსკოვში ლენინთან მართავდა მოლაპარაკებებს და სპეციალურად აჭიანურებდა, რომ ეგებ ბათუმი აელო. საბჭოთა რუსეთს კი თვითონ სჭირდებოდა ბათუმი, როგორც შავი ზღვის ერთ-ერთი საპორტო ქალაქი და არც მისი ოლქის დათმობას აპირებდა. თუმცა, ამას ისე, როგორც მთელი საქართველოს გასაბჭოებას, რუსეთი რესპუბლიკის მშრომელთა წინაშე ინტერნაციონალური მოვალეობის მოხდად, განმათავისუფლებელი მისიის შესრულებად და მსოფლიო რევოლუციის გზაზე გადადგმულ უდიდეს ნაბიჯად ნათლავდა. „მესიონიზმის“ იდეას კი ერთიანი „საბჭოთა ხალხის“ შექმნა უნდა მოეტანა და ამიტომაც, რაც უფრო ნაკლები ერი და ეროვნება იქნებოდა ერთიან სივრცეში, მით უკეთესი იქნებოდა ერთი ძლიერი და მთლიანი „საბჭოთა ერთობის“ შექმნის გზაზე. ამიტომაც საჭირო იყო იმ პოლიტიკის გატარება, რაც უძველესი კულტურის ქვეყნებსა და ერებს „გააქრობდა“, ან, უკეთეს შემთხვევაში, გათქვეფდა სხვაში, უფრო დიდ ერში... არც ეს იყო ახალი ხილი... ესეც ძველი, ცარისტული რუსეთის მემკვიდრეობა გახლდათ. პირველი ასეთი სამაგალითო და საცდელი პოლიგონი საქართველო აღმოჩნდა და არც ეს იყო შემთხვევითი... საქართველოს უქართველებოდ საკუთარი მიზნებისათვის გამოყენება უფრო იოლი იყო. არც ზემოთაღნიშნული არმიების დაბრუნება სურდათ ძველი დისლოკაციის ადგილებზე (განსაკუთრებით მეთერთმეტესი), რადგან მთელ რუსეთის ტერიტორიაზე შიმშილობა მძვინვარებდა და მშიერი „თოფიანი კაცი“ მათი ხელისუფლებისათვის მეტად საშიში იყო. ანუ ის, რითაც მათ მეფე და თეთრგვარდიული რუსეთი დაამარცხეს, ახლა შეიძლება ბუმერანგად მობრუნებოდათ...

მკითხველმა მიკერძოებად რომ არ ჩამოგვართვას, ოფიციალურ დოკუმენტებს მოვიშველიებთ. „მიიღეთ უაღრესად ენერგიული ზომები, რათა ეს არმია (იგულისხმება მეთერთმეტე – ხაზი ჩვენია) დატოვებული იქნას საქართველოში და, რადაც უნდა დაჯდეს, დააჩქარეთ პურის ჩამოტანა უცხოეთიდან საქართველოს კონცესიებზე, მარგანეცზე და სხვაზე გაცვლით. სწრაფად მიპასუხეთ. პოლიტბიუროს დავალებით. ლენინი“ (ლ. თოიძე, გვ. 147).

საქმე ის იყო, რომ საბჭოთა რუსეთი იგნორირებული იყო დასავლეთის მიერ და ლენინს სურდა, „საგარეო ვაჭრობის საფარის“ როლი კავკასიას, კერძოდ, საქართველოს შეესრულებინა. ეს იყო ნავთობი, მარგანეცი, ქვანახშირი (ტყვარჩელის მაღაროები), სპილენძი და სხვა... ისიც საინტერესოა, რომ სწორედ სპილენძის საბადოები (ალავერდის მაღაროები) გახდა ძირითადი მიზეზი ლორეს ნეიტრალური ზონის სომხეთისათვის გადასაცემად. ცარისტულ ხელისუფლებასავით საბჭოთა ლიდერებმაც ძალიან კარგად იცოდნენ, რომ

„სამხრეთელ მეზობელს" მათი მფარველობის გარეშე არსებობა არ შეეძლო, სულ უბრალოდ აღმოჩნდებოდა მისი ტერიტორია თურქეთსა და სპარსეთს შორის გადანაწილებული... თანაც არსებობდა პირობა „დიდი სომხეთის" შექმნისა და თურქეთის მიერ უკვე ტერიტორიების დაპყრობაც ფაქტი იყო (და, როგორც ზემოთაც გავარკვიეთ, ანგორის სახელმწიფოც სწორედ რუსეთმა შეინარჩუნა დასავლეთთან საბრძოლველად და შემდეგში კი „მსოფლიო რევოლუციის" სწორედ მისი ტერიტორიების მიმართულებით წარსამართავად)... თურქეთის მთავრობამ ამ მისწრაფებებს ალღირი ამოსდო და ისევ რუსული იარაღითა და ფულით მომძლავრებულმა რუსთათვის ბათუმის წართმევაც კი მოისურვა...

ყველაზე ცუდად კი საქართველოსათვის მოვლენები სწორედ გასაბჭოების შემდგომ განვითარდა. ქვეყანას საქართველოს კომპარტიის ცკ-ი კი არ მართავდა, არამედ მე-11 არმია და კავბიურო, უშუალოდ კი ს.მ. კიროვი (კოსტრიკოვი). ეტყობა, მაინც მართლები იყვნენ ქართველი მენშევიკები, როცა წითელ რუსეთს „ებრაულ-რუსულ დერჟავად" მიიჩნევდნენ – კიროვი უშუალოდ ტროცკისა და ლენინს ემორჩილებოდა და მათ მითითებებს ასრულებდა.

„ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ტერიტორიული საკითხების მოგვარების მიზნით რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს 1921 წ. 2.V. პლენუმმა შექმნა სპეციალური კომისია, რომლის სხდომები იმავე წლის 25-27 ივლისს მიმდინარეობდა ქ. თბილისში. კომისიის მუშაობაში მონაწილეობდნენ: კიროვი (თავმჯდომარე), სვანიძე, თოდრია (საქართველო), გუსეინოვი, გაჯინსკი, რასულ-ზადე, ომარ ფაიკი (აზერბაიჯანი), ბეკზადიანი (სომხეთი)" (ლ. თოიძე, გვ. 186).

აზერბაიჯანსა და სომხეთს საქართველოს ტერიტორიების მიმართ ჰქონდათ პრეტენზია და ეს პრეტენზიები კიევის კონფერენციიდან (1914 წ.) იღებდა სათავეს, როცა ნოე ჟორდანიამ და მისმა ფრთამ ე.წ. „კიევის რუკას" მოაწერა ხელი...

ჯერ კიდევ 25 ივლისის სხდომაზე ბეკზადიანმა განაცხადა: „მოსკოვის ხელშეკრულების დადების შემდეგ (იგულისხმება რუსეთ-თურქეთის შეთანხმება – ხაზი ჩვენია) სომხეთის მდგომარეობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან თავისი ტერიტორიის თითქმის ნახევარი დაკარგა. ეკონომიკური რესურსებიდან – უმდიდრესი მარილისა და ქვანახშირის მაღაროები და ყარსის, სარიყამიშის, ოლთისა და ყაგიზმანის ტყის საძოვრებიანი რაიონები... ახლა სომხეთს არც საკმარისი ტერიტორია აქვს და არც ტყისა და არც სხვა ფონდები – სახელმწიფო სახსრების უმთავრესი წყარო, ამიტომ იგი, როგორც პოლიტიკურად დამოუკიდებელი ერთეული ვერ შეძლებს არსებობას" (ლ. თოიძე, გვ. 187).

ამის გამო ბეკზადიანი მოითხოვდა, მეზობელი აზერბაიჯანისა და საქართველოსათვის ჩამოეჭრათ ტერიტორიები და მათთვის გადაეცათ – ეს იყო ლორეს ნეიტრალური ზონა მთლიანად, ჯავახეთი, მთელი ბორჯომის ხეობა... აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ აზერბაიჯანისათვის (ის თურქეთის მოკავშირედ ითვლებოდა) არაფერი ჩამოუჭრიათ, უფრო მეტიც, მისი პრეტენზიებიც დააკმაყოფილეს და საქართველოს საკმაოდ ვრცელი ტერიტორია ჩააბარეს. ქართული დელეგაცია ბუდუ მდივნის მეთაურობით ამ ჩამოჭრების წინააღმდეგი იყო, თუმცა გარკვეულ დათმობებზე მიდიოდა და ლორეს ნეიტრალური ზონის აღმოსავლეთ ნაწილს, როგორც სომხური მოსახლეობით დასახლებულს (იმას არავინ აღნიშნავდა, ბოლო წლების მანძილზე რომ ეს ლტოლვილთა კომპაქტური დასახლებით იყო მიღწეული), დასავლეთს კი არ თმობდა. ამიტომ კავბიურომ მეორე დღისთვის მოიწვია გ.კ. ორჯონიკიძე, მ.დ. ორახელაშვილი და ზ.შ. ელიავა, რადგან იმედოვნებდნენ, რომ მათი ავტორიტეტი ხელს შეუწყობდა სადავო საკითხების „უმტკივნეულოდ" მოგვარებას... ანუ ქართველთა გაჩუმებას. ბუდუ მდივანი არ თმობდა და ამიტომ საკითხი კავბიუროში გადაიტანეს. მისი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნებოდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა კომუნისტური პარტიებისათვის. და აი, 1921 წ. 7 ივლისს რკპ(ბ) ცკ-ის კავბიურომ ი.ბ. სტალინის მონაწილეობით განიხილა საქართველოსა და სომხეთის შიდა საზღვრების საკითხი... კავბიურომ დაადგინა, რომ ლორეს ყოფილი ნეიტრალური ზონა შეუერთდეს სომხეთის საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას. რაც შეეხება ახალქალაქსა და ხრამის რაიონების სომხეთისათვის გადაცემის საკითხს, იგი განსახილველად გადაეცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტს, რომლის დასკვნა შემდეგ კვლავ კავბიუროს პლენუმს უნდა განეხილა" (ლ. თოიძე, გვ. 192).

საქართველოს კომპარტიის ცკ-ი იძულებული იყო პარტიული დისციპლინის წესით დამორჩილებოდა ზემდგომი პარტიული ორგანოს – კავბიუროს გადაწყვეტილებას და ლორე დათმო, დათმო საინგილოც, მაგრამ შეინარჩუნა ჯავახეთი და ხრამის ხეობა... ამ დათმობებზე ხელი საქართველოს რევკომის თავმჯდომარემ ფილიპე მახარაძემ (1921 წ. 15/XI საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრის თაობაზე) და ბუდუ მდივანმა მოაწერეს...

დღესდღეობით „საქართველოს გასაბჭოება" იურიდიულად კვალიფიცირებული: რუსეთის ფედერაციის მხრიდან პირდაპირ აგრესიად შეიარაღებული ფორმით, საბჭოთა წეს-წყობილების ექსპორტირება სამხედრო ოკუპაციის საფუძველზე, რის შედეგადაც ორმა სახელმწიფომ რუსეთმა და თურქეთმა გადაინაწილეს მისი ტერიტორია:

1) ჩრდილო-დასავლეთიდან მაიკოპიდან გაგრამდე, მდ. ფსოუმდე – ზღვის სანაპირო. სოჭის ჩათვლით კავკასიონის წყალგამყოფ ქედამდე, რაც 4000 კვ. კმ-ია იგი ბოლშევიკურმა რუსეთმა თვითონ მიიერთა, ამ ტერიტორიას ისტორიულად ჯიქეთი ერქვა.

2) ბოლშევიკებმა საქართველოს ჩრდილოეთ ნაწილს ჩამოაკლეს დვალეთის ტერიტორია და მიუერთეს ჩრდილო ოსეთს, ივ. ჯავახიშვილის ცნობით, ეს მიწა 497 კვადრატულ ვერსს შეადგენდა, რაც დაახლოებით 400 კვ. კმ-ზე მეტია. ამ ტერიტორიას რუსები არდონის ხეობას უწოდებენ.

3) უფრო აღმოსავლეთით, კავკასიონის ქედს გადაღმა საქართველოს ჩამოაჭრეს შედარებით მცირე, 300 კვ.კმ ტერიტორია ხევხევსურეთისა, რაც ასევე რუსეთის ფედერაციას, კერძოდ, ჩეჩნეთ-ინგუშეთის ავტონომიურ რესპუბლიკას გადასცეს.

4) ჩრდილო-აღმოსავლეთით საქართველოს წაჰგლიჯეს ჰერეთის მიწები, რომელსაც საინგილოს სახელწოდებით ვიცნობთ. დაკარგული საინგილო 3,564 კვ.კმ-ია. ჰერეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილი, იგივე კამბისენა, ახლანდელი კამბეჩოვანი, მინგეჩაურის წყალსაცავიდან მტკვრის მარცხენა სანაპირომდე აზერბაიჯანს გადაულოცეს (კამბეჩოვანი 2,500 კვ.კმ).

5) ბოლშევიკებმა ასევე უსინდისოდ წაგვგლიჯეს ლორე-ტაშირის მიწები, იგივე გუგარეთის სამხრეთი. ეს მხარე ქართლის მოწინავე სადროშო იყო. საქართველოს ამირსაპსალარის რეზიდენცია გახლდათ ლორეს ციხე, მისი ტერიტორია, 3.500 კვ. კმ-ია. სომხები ლორე-ტაშირს ვრაცების, ანუ ქართველთა ველს უწოდებდნენ.

6) 1921 წელს დაიკარგა სამცხე-საათაბაგოს უდიდესი ნაწილი: შავშეთი, ჩირდილი, კლარჯეთი, კოლა, არტაანი, ისპირი (ისტორიული სპერი), ამიერ და იმიერი ტაო, თორთომი, აღმოსავლეთ ჭანეთი ქალაქ რიზეს ჩათვლით. საზღვარი გადიოდა ქ. ოფთან. აღნიშნული ძველი ქართული მიწები მიითვისა თურქეთმა (მესხეთის ტერიტორიიდან ართვინი 3,339 კვ.კმ, არტაანი – 5,137 კვ.კმ, ოლთისი – 3,051 კვ.კმ, ფოცხოვი – 588 კვ.კმ, სულ 12.115 კვ.კმ, მაგრამ მასში არ შედის თოლრთომის, ისპირისა და რიზეს მხარეები, რომლებიც დაახლოებით 4-5 ათასი კვ.კმ-ია).

(გიორგი მამალაძე, ქართველ ნაციონალისტთა პარტიის თავმჯდომარე, „კვირის პალიტრა“, 2000 წ. 25-31 დეკემბერი).

ჩვეულებრივ არითმეტიკას თუ მივმართავთ, რუსეთს ჩვენთვის „ჩამოუჭრია“ დაახლოებით 5000 კვ. კმ, აზერბაიჯანისთვის მიუცია 6000 კვ.კმ, სომხეთისთვის – 4000 კვ.კმ, თურქეთისთვის – დაახლოებით 17000 კვ.კმ (სულ 32 0000 კვ.კმ). თუ ამას აფხაზეთსა (8600 კვ.კმ) და სამაჩაბლოსაც (3900 კვ.კმ) მივუმატებთ, გამოდის 45000 კვ.კმ-ით შაგრენის ტყავად უქცევიათ საქართველო...

საქართველოს „დანაწილების პროცესი მარტო 1921 წლით არ ამოწურულა: ტროცკი-ლენინის კავშირი სულაც არ გამორიცხავდა რუსეთის სახელმწიფოს დამპყრობლურ პოლიტიკას, უფრო მეტიც, „მსოფლიო რევოლუციის“ სახელით, პირიქით, აფართოებდნენ ამ მასშტაბებს. და აი, იმისათვის, რომ სამხრეთის მიმართულებით გაეგრძელებინათ სახელმწიფოს ზრდა (წინა და მცირე აზიისაკენ) ჩრდილოეთი-სამხრეთის გზა ხელთ უნდა ჰქონოდათ, რაც დარიალის ხეობით თბილისამდე გამავალი გზა გახლავთ. სწორედ ამის გამო რუსეთმა ჯერ კიდევ 1921 წ. იანვარში შექმნა ვლადიკავკაზის (ოსური) ოლქი მთიელთა ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში. სხვათა შორის, მის შემადგენლობაში შესული არდონის ხეობა საქართველოსათვის ჩამოჭრილი ტერიტორიის ნაწილი იყო. თვით ვლადიკავკაზის ოლქი 1924 წ. 7 ივლისს რუსეთის ფედერაციაში შევიდა ჯერ როგორც ავტონომიური ოლქი, ხოლო 1936 წ. დეკემბრიდან ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით. საინტერესოა, რომ თვით „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიურ ლექსიკონში“ პირდაპირ არის აღნიშნული: „აქ იწყება ოსეთის სამხედრო გზა და საქართველოს სამხედრო გზა“ (გვ. 1197), ერთი სიტყვით, ეს არის სამხრეთის მიმართულების გზის დასაწყისი. სწორედ ამის გამო თვით იმავე პერიოდში საქართველოშივე „შეაკოწიწეს“ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი სამაჩაბლოს, იმერეთის, რაჭისა და ლდევანდელი ყაზბეგის რაიონის გარკვეული ტერიტორიების ხარჯზე. რუსეთს კი ყველაზე მეტად შავი ზღვა და მასზე ძლიერი პორტები სჭირდებოდა ხმელთაშუა ზღვაზე გასვლის თვალსაზრისით, ამიტომ არც იყო გასაკვირი, რომ თავიდანვე სოჭი და მისი ოლქი „მიიერთა“ და უკვე 1921 წ. 4 მარტს შექმნა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა სამურზაყანოსა და ისტორიული დალის სვანეთის (ახლანდელი კოდორის ხეობის) ტერიტორიების მიერთებით. ცოტა მოგვიანებით კი თურქეთის მოთხოვნით 1921 წ. 16 ივლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა შექმნეს. ერთი სიტყვით, ე.წ. „მატრიოშკის პრინციპი“ გამოიყენეს და ამ საუკუნის ბოლოსათვის კი საქართველოს, როგორც „მცირე იმპერიის“ დემონტაჟი დაიწყეს. ხოლო რაც ამით ქართველებმა XX ს-ის ბოლოს მოვიმკეთ, დღესდღეობით ყველასათვის ნათელია.

საზღვრების ცვლილებები კი ამით არ ამოწურულა... განსაკუთრებით სამხრეთელი მეზობელი – სომხეთი გვიტევდა. ლორეს მაზრის ნეიტრალური ზონის მითვისებას აღარ სჯერდებოდა და საქართველოს საზღვრებში დარჩენილ ტერიტორიასაც ეპოტინებოდა. სომხური მოსახლეობა, პირველ რიგში, ტყისა და წყლის რესურსებს ანადგურებდა, რითაც კიდევ უფრო ცვლიდა ამ მხარის კლიმატს და ხელს უწყობდა მის გაუდაბურებას.

საბედნიეროდ, საქართველოს მაშინდელი ხელისუფლება დროზე მოეგო გონს და

ტერიტორიის მცირე ნაწილის დაბრუნებაზე დაიწყო ზრუნვა 1930 წ. ამიერკავკასიის ცკ-ში დააყენა საკითხი საზღვრების შეცვლის თაობაზე და 30 აპრილის დადგენილებასაც მიაღწია, რომელშიც აღნიშნულია: „სომხეთსა და საქართველოს შორის სახელმწიფო საზღვარის რეგულირების საკითხი წამოიჭრა შემდეგი გარემოებების გამო: 1. რომ ყველა მდინარეები და წყაროები, რომლებიც ბორჩალოს მაზრის დაბლობ ნაწილებს კვებავენ წყლით, სათავეს იღებენ იმ მასივებში, რომლებიც 1921 წ. ნოემბრის დადგენილებით სომხეთზე იქნა მიკუთვნებული. ის ტყეები, რომლებიც ებჯინებიან – ლოქლალვარის ქედს, ამჟამად ლორეს რაიონის მოსახლეობის მიერ ბარბაროსულად ნადგურდება და ბორჩალოს დაბლობ ადგილებს უმზადებს კატასტროფას; სომხეთის სატყეო ადმინისტრაცია კი, რომელიც ლალვარის ქედის იქით მდებარეობს, ფიზიკურად სათანადოდ ვერ ახერხებს ტყეების დაცვას. ამას ისიც ემატება, რომ ისინი ჩრდილოეთით მიიწევენ და ნეიტრალიზაციას უკეთებენ იმ ხელუხლებელი ტყის ზოლსაც, რომელიც მათ არ ეკუთვნით. 2. რომ ბორჩალოს მაზრის სოფლების სამელიორაციო ტერიტორია და ტყეში მდებარე საძოვარი დარჩა სომხეთის ტერიტორიაზე. ტყის ამ საძოვრებთან საქართველოს დაქვემდებარებული ბორჩალოს მაზრის მოსახლეობას სასიცოცხლო კავშირი ჰქონდა და მის გარეშე პირუტყვის გამოკვება წარმოუდგენელია, ამის გამო მათი დატოვება სხვა რესპუბლიკის ტერიტორიაზე ქმნის განუსაზღვრელ წინააღმდეგობებს და უხერხულობას, რომელსაც უკულტურო და ბნელი მოსახლეობა თავს ვერართმევს... ამჟამად უკვე იგრძნობა ეს არანორმალური მდგომარეობა და მოსახლეობაში სუფევს უკმაყოფილება. ამასთან ერთად ჯანმრთელ მაღალმთიან ლორეს რაიონს სრულიად არ ესაჭიროება აღნიშნული სამნყემსო ადგილები. 3. რომ 1921 წ. ნოემბრის შეთანხმებით საზღვრების დადგენის პრინციპი არასწორი იყო. 4. რომ საქართველო შეუდგა ჩათახის თუჯსადნობი ქარხნის აღდგენას, რომელიც არა მარტო საქართველოსათვის, არამედ მთელი ამიერკავკასიის რესპუბლიკების ცხოვრებაში 300 ათასი ფუთი თუჯის გამოდნობით მნიშვნელოვან ფაქტორს შექმნის. ამ ქარხნის ნორმალური მოქმედებისათვის საჭიროება მოითხოვს დიდი რაოდენობის ხეს, ხოლო ძრავების მოქმედებაში მოსაყვანად კი წყლის იმ რესურსებს, რომელიც ლალვარის ქედიდან დაედინება. ამიტომ აუცილებლობა მოითხოვს, ქარხნისათვის გამოიყოს ტყის დიდი მასივი, რომელიც ლოქლალვარის ქედის აქეთ არის მოქცეული. 5. რომ სომხეთსა და საქართველოს შორის 1918 წ. მომხდარი ომის დაზავებისას ინგლისელების შუამავლობით ლოქლალვარის ქედის ჩრდილო ფერდობი ნეიტრალურ ზონად იყო გამოცხადებული და ქმნის გაუგებრობას" (ჯ. კეკელია, საქართველოს ტერიტორია და საზღვრები, თბ. 1996 წ. გვ. 39-40).

სხვათა შორის, საქართველოს მთავრობის ეს მოთხოვნა რატომღაც შეიწყალეს და უკვე სომხური მხარის პროტესტისათვის არავის მიუქცევია ყურადღება.

აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ზემოთმოყვანილი ტექსტის პირველ პუნქტში მითითებული მოსახლეობის მიერ ტყის მასივის ბარბაროსული განადგურება შემთხვევითი არ იყო. თურქეთიდან ლტოლვილი სომხები თავს იმით იმართლებდნენ, რომ ხე-ტყე სახლების ასაშენებლად სჭირდებოდათ და ამ დროს არად დაგიდევდნენ ეკოლოგიას. მაგრამ თუ მოგვიანო მოვლენებსაც გავითვალისწინებთ, ეს მეთოდიც სპეციალურად იყო შემუშავებული. მთიანი ყარაბაღისა (და თვით ყარაბაღის მიმდებარე) და აფხაზეთის ტერიტორიებზე დღესაც იყენებენ ამ ხერხს ადგილმდებარეობის გაუდაბურებისათვის, რის შემდეგაც ადგილობრივ მოსახლეობას იქ აღარ ედგომებოდა რთული ეკოლოგიური პირობების გამო. ამიტომ უნდა აყრილიყვნენ, რაც სომხურ მოსახლეობას ხელს აძლევდა, მას ხომ საშუალება ეძლეოდა კიდევ უფრო წინ წაწეულიყო. ანუ ეს უსისხლო ანექსიის ერთ-ერთი სახეა.

სომხეთის მთავრობა ამიერკავკასიის ცკ-ის გადაწყვეტილების უკმაყოფილო იყო, სწორედ „ჩამოცოცების" პრინციპისათვის სჭირდებოდა მას ლალვარის ქედის ჩრდილო ფერდობზე განლაგებული ტყის მასივები და იმ მოტივით, რომ თითქოს სომხეთი უტყეო რესპუბლიკაა და „გინდა არ გინდა, ტყე სომხეთზე უნდა დაკანონებულიყო... როგორც შემდგომში ირკვევა, ამას ისინი სხვადასხვა ფორმითა და ხერხებით მაინც აღწევდნენ... მოხდა ის, რომ სასოფლოსამეურნეო ტერიტორიების გამიჯვნისათვის 1927 წ. 20 აპრილიდან დაწყებული იქნა საზღვრისპირა ზოლის ტოპოგრაფიული სამუშაოები, 1928 წ. 10 აგვისტოს საქართველოსა და სომხეთის მინსახკომებში შეთანხმდნენ ბორჩალოსა და ლორე-ბამბაკის მაზრების ადმინისტრაციულ-სამეურნეო გამიჯვნის თაობაზე, რომლის ძალითაც ლალვარის ქედის ჩრდილო ფერდობის ტყეები დარჩა სომხეთის გამგებლობაში, ხოლო ვინაიდან მიიჩნიეს, რომ ტყეებს წყალდამცავი მნიშვნელობა აქვს, მასზე დააწესეს განსაკუთრებული ზედამხედველობა. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამაგრა სომხეთის სუბიექტური მოთხოვნები, 1929 წ. 2 სექტემბერს ამიერკავკასიის ცკ-მა პრეზიდიუმზე დაამტკიცა საქართველოსა და სომხეთს შორის მ. ლეგლიდაგიდან ბაბაყარის ქედამდე დადგენილი საზღვრები, რომლის ძალით სოფლები ახკერპი, ჩანახჩი, ბარდ: ძორი (ეს მოსული სომხური მოსახლეობის მიერ დარქმეული სახელებია და არა ისტორიული ქართული – ხაზი ჩვენია) მოექცა საქართველოს საზღვრებში. მაგრამ იმ დადგენილებას მოჰყვა პროექტი და 2 სექტემბრის დადგენილების დამატებისა და ცვლილებების შესახებ (იგივე მონა-

კვეთზე) ამ პროექტით აღნიშნული სოფლები სომხეთის ტერიტორიაზე უნდა მოქცეულიყო. უფრო მეტიც, მათ პუჯაბის მონასტერი და მისი მიმდებარე ტერიტორიაც თავისად მიითვალეს. არსებული სარქივო მასალების ანალიზით ვრწმუნდებით, რომ საქართველოსა და სომხეთს შორის 1923 წლიდან 1929 წლის ჩათვლით საზღვრის ხაზის გადაწევის უმთავრეს მიზეზად ყოველთვის ფიგურირებდა ტყე და საზღვრისპირა სოფლების სომხური მოსახლეობა“ (ჯ. კეკელია, გვ. 45). სამაგიეროდ არც მაშინ და არც დღეს არავინ ლაპარაკობდა და, მგონი, არც ვინმე აპირებს იმის თქმას, რომ ეს „ფაქტორი“ ხელოვნურად იყო შექმნილი და მაშინ სულაც 10 წლის დასახლებული იყო ეს მოსახლეობა, რადგან ეს იყო შეგნებული სწრაფვა ჩრდილოეთისაკენ, ანუ ქართული მიწების დაუფლებისაკენ, რომ სომხებზე დაეკანონებინათ ის ტერიტორიები, თავის დროზე თურქეთიდან ლტოლვილი სომხობა რომ შეიფარა. თუ დღევანდელი გადასახედიდან შევხედავთ მოვლენებს და იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სომხეთის მთავრობა, არ იღებდა ამ ხალხს და ყოველთვის ჩვენკენ „ერეკებოდა“ მათ, გასაგები ხდება, რომ ყველაფერი წინასწარ მოფიქრებული გეგმით კეთდებოდა და ამ გეგმის ავტორი კი თვით სომხური ეკლესია გახლდათ იოსებ (ოსეპ) არღუთინსკიდან მოყოლებული. ეს ის იოსებ არღუთინსკია, სომეხი კათალიკოსი – ვანქის ტაძარში დიდი პარაკლისი რომ გადაიხადა საქართველოს უძველესი სამეფოს მოსპობის გამო მანამდე, სანამ ქართველებს სიონში რუსთა ერთგულებაზე დააფიცებდნენ (შ. და ო. თეთვაძეები, სომხები საქართველოში, თბ. 1998 წ. გვ 46). ამავე დროს ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 200 წლის მანძილზე რუსთა „დახმარების ხელი“ ყოველთვის სომხებისკენ იხრებოდა, როგორც მათი სტრატეგიული პარტნიორებისა (რასაც დღესაც აღიარებს სომხური ხელისუფლება) ამიერკავკასიაში. ამ რეგიონში მათი ინტენსიურ დასაყრდენად გამოყენება ჯერ კიდევ არაბებმა დაიწყეს (სპარსელებზე რომ უკვე აღარაფერი ვთქვათ), სწორედ მათ შექმნეს „სომეხთა განსახლების გეგმები“, რაც ვაჭარ-ხელოსანთა დიდ ქალაქებში ჩასახლებას ითვალისწინებდა და ეს შემდეგში შაჰ-აბას I-მა ბრწყინვალედ გამოიყენა. ერთი სიტყვით, „სომხური კოზირი“ არ ახალი ხილია, მას ჯერ კიდევ ვახტანგ გორგასლის დროს იყენებდნენ სპარსელები და მას დღესაც არც თუ ნაკლებად „ათამაშებს“ ჩვენი ჩრდილოელი მეზობელი. ის მეზობელი, რომლისთვისაც მარტო ეს „კოზირი“ არ კმარა და უამრავ დიდ თუ მცირე მიზეზს პოულობს კავკასიის ე.წ. „სატრანზიტო დერეფნის“ სამუდამოდ თავის მფლობელობაში დასატოვებლად, მცირე და წინა აზიაში და შემდეგ მათი მეშვეობით მთელ მსოფლიოში ბატონობისათვის. ის ჩამოთლილ-ჩამოჭრილი ტერიტორიები კი ჩვენი ქვეყნისათვის მეტად მნიშვნელოვანი იყო.

„1923 წ. გადაწყვეტილების გამო საქართველოს მეცხოველეობამ საგრძნობი [illegible] განიცადა ელდარის სტეპის საძოვრების [illegible] ხვისების გამო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ 1921 წ. გადაწყვეტილების შეცვლის შედეგად საქართველომ თავის სამხრეთ-აღმოსავლეთ კიდეში დათმო მდ. იორი 43 კმ-ის სიგრძით და იორის ამ მონაკვეთის მარჯვენა და მარცხენა მხარეზე ელდარ-სამუხის სტეპი და პალატუკანის ქედის მთელი ჩრდილო ფერდობი მდ. იორამდე, რომელთა საერთო ფართობი შეადგენდა 336 კვ.კმ-ს ანუ 33600 ჰექტარს. საბოლოოდ, 1929 წ. 18 თებერვლის დადგენილების №3 ოქმის საფუძველზე ამიერკავკასიის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიჩნია, რომ „საქართველოს მეცხოველეობის განვითარებისათვის საჭიროა გამოიყოს 15000 დესეტინა ზამთრის საძოვრები ელდარ-სამუხის სტეპის ტერიტორიიდან ე.ი. საქართველოს დაუბრუნდა მხოლოდ 16388 ჰა ზამთრის საძოვრები. ამ გადაწყვეტილებით კი საქართველომ დაკარგა 17222 ჰა“ (ჯ. კეკელია, გვ. 55).

ჩვენ იმ ქვეყნის შვილები ვართ, რომელსაც ტერიტორიებს სულ აჭრიან და თუ რაიმეს დიდსულოვნად „უბრუნებენ“ (ელდარის საძოვრები), ისიც მხოლოდ მის კუთვნილს, ადრე წაღებულს... ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, თუნდაც ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ.

„აფხაზეთის ასსრ-ის შექმნის შემდეგ უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი საზღვარი მდ. ხალოდნაია რეჩკაზე გადიოდა, შემდეგ იგი ადიოდა წყალგამყოფ თხემზე, მოუყვებოდა მას ღა მ. არაბაკის გავლით (2650 მ) და გაგრის ქედით მიემართებოდა მ. აგეფსტაზე (3256 მ), საიდანაც აცუტუკის ქედით და ახუნდარას გადასახედის გავლით ადიოდა კავკასიონის მთავარ წყალგამყოფ ქედზე, მაგრამ 1931 წ. საქართველოს მთავრობის მოთხოვნით, ყოველგვარი სადემარკაციო და სადელიმიტაციო შეთანხმების გარეშე, უბრალო აქტით, რსფსრ-ისა და საქართველოს შორის საზღვრის ხაზი აქ გადაწეული იქნა მდ. ფსოუზე“ – იქვე. გვ. 60 (ეს ნესტორ ლაკობას პირადი მოსაზრებითა და ინიციატივით მოხდა). ჩრდილოეთით საზღვრის ცვლილება საქართველოს სასარგებლოდ 1943 წ. ოქტომბერში მოხდა (ყარაჩაველთა ავტონომიური ოლქის გაუქმების შემდეგ. როცა მას დაუბრუნეს (1921 წ. წაღებული) უჩკულანსკისა და მიქოიანოვსკის რაიონების ტერიტორიის ნაწილი, რომელზეც ქლუხორის რაიონი შეიქმნა ცენტრით ქ. მიქოიანშახარეში, შემდეგში ქ. ქლუხორი რომ ეწოდა, ეს იყო სოჭის ოლქის ტერიტორიის ნაწილი.

„1944 წ. 7 მარტს, სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით გააუქმეს ჩეჩნეთ-ინგუშეთის ასსრ. მისი ტერიტორიების მეზობელ რესპუბლიკებს შორის გადანაწილების შემდეგ საქართველოს შემადგენლობაში შეიყვანეს იტუნკალინსკის რაიონი მთლიანად,

შაროვსკის რაიონის დასავლეთი ნაწილი და ჩრდილო ოსეთის ასსრ გიზელსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი[1]... და გალაშანსკის საგარეუბნო რაიონი დაუქვემდებარეს ყაზბეგის რაიონს. მოხდა ის, რომ საქართველოს დაუბრუნდა ისტორიულად კუთვნილი ტერიტორია და აღსდგა საქართველოს ადმინისტრაციულ-სამეურნეო უფლებები. რსფსრ-თან საზღვრის ხაზი გატარდა ზუსტად ისე, როგორც ეს აღწერილია ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიაში და მის რუკაზე (ჯ. კეკელია, გვ. 62). სწორედ იმავე წელს სვანეთის ტერიტორიას შეუერთეს მ. იალბუზისა და ბალყარეთის ასსრ-ს მთიანი რაიონები — ისიც საქართველოს ისტორიული ტერიტორიები იყო. მაგრამ მოგვიანებით ამ დაბრუნებული მხარეების უკან წაღება დაიწყო. პირველად ქლუხორის რაიონი წაილეს და რსფსრ-მ მიიერთა.

„1957 წ. რუსეთმა გააუქმა ახალხევის ადმინისტრაციული რაიონი და საქართველოსთან შეთანხმების მიღწევის გარეშე კვლავ შეიერთა ყაზბეგის რაიონს დაქვემდებარებული დარიალის უბანი და სოფლები (ზემო და ქვემო ლარსი, თერგის პირი, სანიბა, დარიალი, თამარიანი, განახლება, შრომა, თერგულა, მთისძირი" (ჯ. კეკელია, გვ. 64).

მანამდე კი ავადსახსენებელი 56 წელი იყო... სტალინის სიძულვილით ხრუშჩოვ-მიქოიანის ტანდემი კიდევ ბევრ უბედურებას უპირდებოდა ქართველ ხალხს. არც შუა აზიაში გადასახლება იყო მხოლოდ საშიშროება... და როცა ეს გეგმა ჩაიშალა, მიქოიანისა და გენერალ ბაგრამიანის თაოსნობითა და უშუალო ხელშეწყობით თურქეთიდან ორი გემით შემოიყვანეს სომხები და გაგრიდან მოყოლებული სოჭის მიმართულებით ჩაასახლეს, მათი დასახლებისა და მეურნეობის წარმოების ხარჯები მთლიანად სომხურმა ეკლესიამ და მისმა მაშინდელმა საჭეთმპყრობელმა ვაზგენ II-მ ითავა. ერთი სიტყვით, აღსრულდა ჯერ კიდევ პეტრე პირველის დროს შემუშავებული გეგმა შავი ზღვის სანაპიროზე სომხური კოლონიების დაარსებისა. შემდეგში, უფრო სწორად კი აფხაზეთში ომის დროს სწორედ ამ მოსახლეობამ რა როლიც შეასრულა, მკითხველს ვთხოვ, იხილოს შ. და ო. თეთვაძეების წიგნში „სომხები საქართველოში". ჩვენ კი ერთი გვინდა დავსძინოთ, ე.წ. „ხრუშჩოვის გასახლების გეგმა" რომ აღსრულებულიყო, არა მარტო პატკანოვის მიერ 1883 წ. გამოცემული რუკა (მტკვრის მარჯვენა სანაპირო არმენიაა, მარცხენა — ალანია, საქართველო კი არსად არის) იქნებოდა საცნაური, არამედ „დიდი სომხეთი" ფრთებს გაშლიდა ამერ-იმერში და სომხურ სახელმწიფოს მთელი შავი ზღვის სანაპირო ექნებოდა ხელთ... თუ ვინ შთააგონა განსახლების გეგმა ბ-ნ „გენსეკს", ალბათ, არც ეს იქნება მკითხველისთვის ძნელი გამოსაცნობი. მერე, როცა ეს ტრიუკი აღარ გავიდა, ზემოთ ჩამოთვლილი „ჩამოჭრები" განახორციელეს და უფრო მეტიც მოისურვეს, უკვე 1958 წ. შეეცადნენ, საქართველოსა და დაღესტნის ასსრ-ს საზღვარშიც შეეტანათ ცვლილებები.

დაინტერესებულ მკითხველს შეუძლია ყველა ეს ცვლილება იხილოს ბ-ნ ჯანსუღ კეკელიას წიგნში, „საქართველოს ტერიტორია და საზღვრები" (თბ. 1996 წ.).

სამწუხაროდ, დღეს ცოტა ვინმემ თუ იცის ამ წიგნის არსებობა და ისიც, რომ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიის ინსტიტუტის ტოპოგრაფიულ განყოფილებაში წლების მიხედვით ფიქსირებულია ყველა საზღვარი და რომ იგი კავკასიონს იქით იყო და არა აქეთ. სწორედ რუკები უნდა იყოს სახელმძღვანელო ჩვენი პარლამენტისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტისათვის, რომ ნაბიჯ-ნაბიჯ წინ წამოწეული „მეზობლები" თავისივე „საზღვრებში" დააკავონ. აგრეთვე გაითვალისწინონ თუ 21 არა 15-კილომეტრიანი სასაზღვრო ზოლი და მაშინ არც გაუთავებელი „თავისმართლებები" იქნება საჭირო, საკუთარი ტერიტორიების უკან დაბრუნების მოთხოვნაზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

*1. იმავე წელს საქართველოზე გადაცემული ჩრდილო-ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ყოფილი ბიზელსკის რაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი.*

ბესიკ ბარქთელძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრიადის საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში

ანტიკური ფილოსოფიის განვითარების უკანასკნელი ეტაპის, ნეოპლატონური ფილოსოფიის კვლევა შეუძლებელია შუა საუკუნეების უდიდესი ქრისტიანი მოაზროვნის, არეოპაგიტული თხზულებების ავტორის, ფსევდო-დიონისე არეოპაგელის შემოქმედების გათვალისწინების გარეშე.

არეოპაგიტულმა თხზულებებმა უდიდესი გავლენა მოახდინა მომდევნო დროისა და ეპოქების მოაზროვნეთა ფილოსოფიურ-ესთეტიკურ შეხედულებებზე, ასევე შუა საუკუნეების პერიოდის სულიერ კულტურაზე და არა მხოლოდ. ამ თხზულებების იდეები გარკვეულწილად ახალი დროის აზროვნებასაც გადმოსწვდა. მიუხედავად იმისა, თუ ვინ იყო არეოპაგიტული თხზულებების ნამდვილი ავტორი, დიდია მისი საფუძვლიანი კვლევისა და შესწავლის მნიშვნელობა, როგორც საერთოდ საკაცობრიო კულტურის, ისე ქართული კულტურის არსების გაგების თვალსაზრისითაც. არეოპაგიტული იდეების გავლენა ქართულ კულტურაზე უდავო ფაქტია და არანაირ ეჭვს არ იწვევს. თუმცა, ეს ცალკე შესწავლის საგანია და ამჯერად ჩვენი კვლევის მიზანს არ წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, ფილოსოფიური აზრის ისტორიაში არეოპაგიტიკა არის უმნიშვნელოვანესი რელიგიურ-ფილოსოფიური ძეგლი. მისი მიზანია ნეოპლატონური ფილოსოფიის საფუძველზე ქრისტიანული მოძღვრების ძირითადი იდეების თეორიული დაშენება. არეოპაგიტიკაში წარმოდგენილი უმნიშვნელოვანესი ფილოსოფიური თვალსაზრისები იძლევიან ამ ძეგლის ესთეტიკური ანალიზის საფუძველს. არეოპაგიტული თხზულებების გულდასმითი ანალიზი მეტყველებს იმაზე, რომ მისი ავტორის წინაშე ყოველთვის იდგა ესთეტიკური პრობლემატიკა რელიგიური ფილოსოფიური თეორიების საპასუხისმგებლო პუნქტებში. ყოველივე ეს გამოვლინდა იმ ორიგინალური ესთეტიკური სისტემის შექმნაში, რომელიც, მართალია, მთავარი ამოცანის სახით მის წინაშე არც მდგარა, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი მკვეთრად გამოხატავდა იმ დიდ ინტერესს, რომელიც გამოავლენდა ეპოქის ფილოსოფიური სისტემისათვის დამახასიათებელი ესთეტიკური ღირებულებების ფართო სპექტრს, ხოლო ესთეტიკის სფერო არის მისი მთლიანი მოძღვრების ერთ-ერთი შემადგენელი და მთავარი ნაწილი.

არეოპაგიტული მოძღვრების ესთეტიკური პრობლემატიკა, როგორც თეოცენტრული, ჩამოყალიბდა კულტურულ-ფილოსოფიურ სისტემაში. სისტემის ცენტრია პირველსაწყისი, ერთი, ღმერთი. იგი (პირველსაწყისი) განასახიერებს აბსოლუტურ მშვენიერებას, სილამაზეს, აბსოლუტურ სიკეთესა და აბსოლუტურ ჭეშმარიტებას.

არეოპაგიტულ ესთეტიკაში პირველსაწყისის ცნება ცენტრალური ცნებაა. მისი ძირითადი სტრუქტურული კანონზომიერებანი თანხვდება საკუთრივ ესთეტიკურ კანონებს. ეს არის უწინარესად მთლიანობა, ერთიანობა, მსგავსება, შეუსაბამისობა, თანაზომიერება, ჰარმონია. ყველა ეს კანონზომიერებანი საფუძვლად უდევს ხელოვნებას.

არეოპაგიტული ესთეტიკის და საერთოდ მოძღვრების ძირითადი საკითხია პირველსაწყისისა და სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხი, სწორედ ამ პროცესში ესმება ხაზი უწინარესად პირველსაწყისის, როგორც ცენტრალური ცნების მნიშვნელობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პირველსაწყისის სტრუქტურას განაპირობებს აბსოლუტური მშვენიერება, აბსოლუტური სიკეთე და აბსოლუტური ჭეშმარიტება. აქ, როგორც ვხედავთ, სახეზეა ე. წ. „ესთეტიკური ტრიადა": მშვენიერება-სიკეთე-ჭეშმარიტება. ჩვენი ინტერესი, ბუნებრივია, ამ მიმართულებით წარიმართება. თუმცა ეს ეხება არა მხოლოდ „ესთეტიკურ ტრიადას". ჩვენ, ასევე გვაინტერესებს საერთოდ ტრიადის საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში და მისთვის დამახასიათებელი თავისებურებანი, რის შესახებაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

არეოპაგიტიკაში ხაზგასმულია სამი ასპექტის ერთიანობა პირველსაწყისში, რაც ასევე გამოიხატება სამყაროსადმი მიმართებაში. კერძოდ, პირველსაწყისის მიმართება

სამყაროსადმი, რომელიც ტრიადულია, შეიცავს ონტოლოგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ასპექტებს. პირველსაწყისი სამივე მნიშვნელობითაა უმაღლესი ღირებულება, შესაბამისად, სამყაროც, როგორც მისგან წარმოქმნილი, სამივე ასპექტით ღებულობს ღირებულებასა და მნიშვნელობას პირველსაწყისისაგან.

ამრიგად, პირველსაწყისი ხასიათდება მშვენიერება-ჭეშმარიტება-სიკეთით. მაშასადამე, იგი სწორედ ამ ღირებულებების წარმომჩენია. არეოპაგიტული ესთეტიკის მიხედვით, მშვენიერება გვევლინება „ვითარცა სიყუარული და საყუარელი"[1] და სიკეთესთან ერთად საყოველთაო სწრაფვის საგნად იქცევა. ამიტომაა, რომ სიკეთის, ჭეშმარიტების, მშვენიერების „მიერ არიან ყოველნი შემოკრებანი და მეგობრობანი და ზიარებანი... მისგან არის ყოველი სახენი, ყოველი მოქმედებაი, მოგონებაი, ხელოვნებაი, ყოველი შეერთებაი და ერთბაშად ყოველი".[2] არეოპაგიტიკის ავტორის აზრით, როდესაც სიკეთეს ვახასიათებთ როგორც მშვენიერს, კეთილს (ეთიკური მნიშვნელობით), ეს სულაც არ ნიშნავს, რომ პირველსაწყისი ცალკე მშვენიერია და ცალკე კეთილი. „ხოლო სახელნი ესე კეთილსა და სიკეთისანი არა განყოფილად სათქმელ არიან ერთისა მის ზედა ყოველთა შემომკრებელისა მიზეზისა".[3]

თუკი პირველსაწყისის, როგორც სიკეთის მიმართება სამყაროსადმი მას ეთიკურ ღირებულებასა და მნიშვნელობას აძლევს, მისი მიმართება, როგორც მშვენიერებისა, სამყაროს ესთეტიკურ ღირებულებას განსაზღვრავს. მათი მნიშვნელობა თითქმის თანაბარია: „იგივე არს და ერთ სახიერებისთვის კეთილ სახელდებაიცა"[4], რაც ეფრემ მცირეს განმარტებით, ნიშნავს: ერთი და იგივეა – ღმერთს სიკეთეს უწოდებ, თუ მშვენიერებას.

როგორც ვხედავთ, პირველსაწყისი ყველაფრის მომცველია. მშვენიერება და სიკეთე მასში, როგორც ერთში აუცილებლობით არიან შერწყმულნი, პირველსაწყისი ერთდროულად სიკეთეც არის და მშვენიერებაც.

აქ ბუნებრივად დგება ასეთი კითხვა: შესაძლებელია თუ არა და, თუ შესაძლებელია, მაშინ როგორ უნდა ახასიათებდეს სიკეთე და მშვენიერება პირველსაწყისს, როგორც გაყოფადს? ეს შეუძლებელია და აი რატომ: ვინაიდან პირველსაწყისი არის მხოლოდ ერთი, სიმრავლესთან, გაყოფასთან საქმე გვექნება მხოლოდ და მხოლოდ ხილულ სინამდვილეში. სიკეთე და მშვენიერება ხილულ სინამდვილეში უკვე არიან ცალკე, „რამეთუ ესენი საცნაურთა ყოველთა ზედა მისაღებელთა და [illegible] მიმართ განიყოფიან".[5]

მაშასადამე, ავტორის აზრით, სიკეთე (ეთიკური მნიშვნელობით) და მშვენიერება ცალ-ცალკე, მხოლოდ მაშინ შეიძლება განვიხილოთ, როდესაც ვეხებით ხილული სინამდვილის სიკეთესა და მშვენიერებას. თავისთავად კი თავის უმაღლეს გვარში ისინი გაერთიანებულნი არიან პირველსაწყისთან. სიკეთე და მშვენიერება ცალცალკეა მხოლოდ მაშინ, როდესაც პირველსაწყისი ერთიდან (ე. ი. თავის თავიდან) გადის სიმრავლეში. ეს სიმრავლე დამახასიათებელია ხილული სინამდვილისათვის. სიკეთე (ეთიკური მნიშვნელობით) და მშვენიერება ფაქტობრივად არის პირველსაწყისის გამოვლენის ფორმები.

არეოპაგიტიკის მიხედვით, პირველსაწყისში არსებული იდეები სრულყოფილი და მარადიულია. სულ სხვაა ხილულ სინამდვილეში არსებული მშვენიერება, როგორც იდეა. მშვენიერების ეს უმაღლესი იდეა სიკეთის იდეასთან ერთად არის მიზეზი დანარჩენი არსებებისა და არ არსებობს არსება, რომელიც მათგან არ იღებდეს რაიმეს. „რამეთუ კეთილსა (იგულისხმება მშვენიერება, ხოლო სახიერება ნიშნავს სიკეთეს) და სახიერებისა მიმართ სურს ყოველთა ყოველსავე ზედა მიზეზსა და არარა არს არსთაგანი, რომელი არა მიიღებს რასმე კეთილისა და სახიერებისაგან".[6] ამასთან, როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველსაწყისში არსებული მშვენიერება მარადიულია, იგი არც წარმოიშობა, არც მოისპობა, არც გაიხრწნება და ა. შ.

ამ შემთხვევაში არეოპაგიტულ მოძღვრებაზე პლატონის ფილოსოფიის უშუალო გავლენა აშკარაა.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი იყოს ეს განსხვავება, განვიხილოთ ასეთი არეოპაგიტული დებულება: „ღმერთი ყოველთა შორის ყოველ არს".[7] „ესთეტიკური ტრიადის" სამივე წევრი – ჭეშმარიტება, სიკეთე, მშვენიერება აქ სახეზეა. პირველსაწყისში გაერთიანებულია ონტოლოგიური, ეთიკური და ესთეტიკური მხარეები, და პირველსაწყისი, სამივე მნიშვნელობით არის უმაღლესი ღირებულება. მნიშვნელობას, რომელსაც არეოპაგიტიკის ავტორი მშვენიერებას ანიჭებს სიკეთესთან შედარებით, ცხადი ხდება დებულებით: „იგივე არს და ერთ სახიერებისათვის კეთილ-სახელდებაიცა".[8]

რაშია ამ შეხედულების პლატონთან მსგავსება-განსხვავება? პლატონთან მშვენიერების, როგორც ერთ-ერთი უმაღლესი იდეის საფუძველი ეთიკურია. უმაღლესი

იდეა მშვენიერია იმიტომ, რომ ის სიკეთეა. შესაბამისად ამისა, არეოპაგიტიკაში, რომელიც ნეოპლატონიზმის ხაზს ახალ იდეოლოგიურ ვითარებაში აგრძელებს ახალი ფორმით, სიკეთესა და მშვენიერებას საერთო საფუძველი აქვს, ესაა პირველსაწყისი.

მშვენიერება პირველსაწყისში აბსოლუტურია და „არცალა რას მოიპოვებს, არცა წარწყმსდეს, არცა ალორძინდების, არცა მოაკლდების, არცა ამით რაიმე კეთილს არს და ამით რაითმე არა კეთილ არც ოდესმე არს და ოდესმე არა არს, არცა ვიეთმე მიმართ კეთილ არს და ვიეთმე მიმართ ძვირ, არცა აქა სადმე ოდენ არს და იქა სადმე არა".[9] მშვენიერების მოცემული განმარტება თითქმის ემთხვევა პლატონის მოსაზრებებს, მაგრამ ეს არის დამთხვევა თავისთავადის ფარგლებში.

არეოპაგიტიკაში პირველსაწყისი ამაღლებულია ყოველ არსებულზე, ზეალმატებულია ყოველგვარ ჭეშმარიტებაზე და სცილდება ადამიანური გონების სფეროს. ღმერთსა და სამყაროს შორის განსხვავებული მიმართება არსებობს. ესაა „წინაგამოვლობის", ემინაციის მიმართება. ი. პეტრიწი იტყოდა: „გზავმაი", „წარმოქმნაი", „წარმოარსებაი", რაც ნეოპლატონიზმში გულისხმობს რეალობის გამოტანას მიზეზისაგან, პირველსაწყისისაგან, ემანატორის არსებიდან, რომელიც მეტი თუ ნაკლები სისრულით მასში მონაწილეობს.

ესე იგი, არეოპაგიტიკაში მშვენიერება და სიკეთე ეკუთვნის პირველსაწყისს. ისინი, როგორც ერთში მყოფნი, აუცილებლობით არიან შერწყმულნი. პირველსაწყისში მშვენიერება და სიკეთე ერთად არის მოცემული და არა ცალცალკე. ერთი არ მოჰყვება მეორეს. ავტორი ერთდროულად იყენებს პრედიკატებს „სიკეთე და მშვენიერება", და თუ დავაკვირდებით თვით ტექსტს, ეს ორი განსაზღვრება თითქმის ყოველთვის, უმეტეს შემთხვევაში მაინც, ერთად განიხილება და გამოიყენება.

არეოპაგიტული ესთეტიკის მიხედვით, პირველსაწყისიდან სამყაროს შექმნა გაგებულია, როგორც მხატვრული სახის შექმნა. სამყარო პირველსაწყისის სახედ მოიაზრება, ხოლო მხატვრული სახე სწორედ იმ ღირებულებების წარმომჩენია (მშვენიერება-სიკეთე-ჭეშმარიტება), რაც ე. წ. „ესთეტიკურ ტრიადას" უკავშირდება. პლატონთან ერთ-ერთი მათგანია მიჩნეული სხვების საფუძვლად და შინაარსად (ასეთია სიკეთე), არეოპაგიტიკაში კი, როგორც დავინახეთ, ერთი და იგივე უზენაესი ღირებულებების ასპექტებად, მხარეებად (მაგ. პირველსაწყისი, ერთი ღმერთი), ანდა კიდევ ჰეგელთან, სადაც მათი წარმოდგენა ერთისა და იმავეს განვითარების საფეხურებად იყო მიჩნეული. ყოველივე ეს ხელს უწყობდა მოსაზღვრე სფეროებზე – შემეცნებითსა და ზნეობრივზე – ესთეტიკურის დაყვანის ცდებს. ამ ცდებს მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჭეშმარიტების, სიკეთის, მშვენიერების – ე. წ. „ესთეტიკური ტრიადის" – წევრების იგივეობის დამტკიცების ცდა ტრადიციად იქცა ესთეტიკაში. საკმაოდ გავრცელებული აზრის თანახმად, ეთიკური ესთეტიკურის შინაარსია, ხოლო ესთეტიკური ეთიკურის ფორმაა და ა. შ.

უნდა აღინიშნოს, რომ ესთეტიკურისა და ეთიკურის, მშვენიერებისა და სიკეთის მჭიდრო კავშირი იმდენად ძლიერია, რომ ეს გარემოება ესთეტიკის ისტორიაში ხშირად ბადებდა მათი ერთმანეთთან გაიგივების ცდებს (პლატონი, შეფტსბერი, ტოლსტოი და ა. შ.) და როგორც ზემოთ ითქვა, ერთის მეორეზე დაყვანა ხდებოდა. ასეთი გაიგივებისა და დაყვანის ცდები განსაკუთრებით დამაჯერებელ შთაბეჭდილებებს ახდენდნენ იმ თეორიებში, რომლებიც განასხვავებენ დაბალ და უმაღლეს, გრძნობად და ზეგრძნობად, მიწიერ და ზეციერ, ან გარეგან და შინაგან მშვენიერებებს.

როგორც ვხედავთ, სიკეთე და მშვენიერება არეოპაგიტული ესთეტიკის მიხედვით პირველსაწყისში, „ერთში", როგორც მთელში არსებობენ იმ წესით, რომლის მეშვეობითაც ერთი მეორის წარმოჩენას უწყობს ხელს და პირიქით. ორივენი ერთად კი „ერთში" არსებულის, პირველსაწყისის გამოვლენის ფორმებია. სიკეთე ღვთაებაშია, ამიტომაც ღვთაების „გაშლა" („განყოფა") გარკვეულად არის სიკეთის თავისი თავიდან „მშვენიერი გასვლა", რომლის ძალითაც არსებებს ენიჭებათ სიცოცხლე, არსებობა („ხოლო უკუეთუ საღმრთო განყოფა არს სახიერების შუენიერი იგი გამოსვლა საღმრთოისა მის ერთობისა. ვითარ იგი უფროისად შეერთებულსა მას სახიერებასა შინა თჳსსა განმრავლდების და მრავალ-ნაწილ იქმნების, არამედ ეგერთცა შეერთებულვე არიან საღმრთოსა მისებრ განყოფისა განუყოფელნი მიცემარ, არს-ქმნანი, ცხოველყოფანი... ")[10], რაც ნიშნავს მათში წესრიგის შეტანას.

ამასთან დაკავშირებით საყურადღებოა ისიც, რომ ეს „მშვენიერი გასვლა" სიკეთისა თავისი თავიდან, არსებებში წესრიგის შემტანია, რაც კარგად ჩანს არეოპაგიტული მოძღვრების იმ ადგილიდან, სადაც მისი ავტორი აღნიშნავს: სიკეთე არსებებს აძლევს სინათლეს, ღვთაებრივ ძალას და განწმ-

ენდს მათ ყოველგვარი ბურუსისაგან – „ყოველსავე ნათელთ სიდიდესა მისცემს მათ და საცნაურთა მათ თვალთა მათთა განწმედს ზედამდებარისაგან მათდა უმეცრებისა, რამეთუ აღსძრავს და განაფრთხობს ფრიადითა სიმძიმითა ბნელისა და მისცემს მათ პირველად უკუე ნათელსა ზომიერსა"[11].

თანამედროვე ესთეტიკა რომ ესთეტიკური ტრიადის შესახებ მსჯელობის დროს ზემოაღნიშნულს ითვალისწინებს, ამას ადასტურებს ნ. ჭავჭავაძის თვალსაზრისი: „მსოფლიო ხელოვნების ისტორია ადასტურებს, რომ მაღალეთიკური იდეები არა მარტო ხელს უწყობენ კაცობრიობის ესთეტიკური კულტურის განვითარებას, არამედ „შემადგენელ ნაწილადაც" შედიან ამ კულტურაში. მაღალმხატვრული ძეგლები შეიცავენ ეთიკურ შინაარსსაც, მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ესთეტიკური შინაარსი ეთიკურია, არამედ მხოლოდ იმას, რომ ჭეშმარიტად მხატვრული შემოქმედება მაღალეთიკურ პათოსს მოითხოვს და მხატვრულ-ესთეტიკურის შინაარსში ეთიკური მომენტიც მონაწილეობს. ეთიკური ესთეტიკურის შინაარსში დამუშავებული და ესთეტიკურის დამორჩილებული სახით შედის. ყოველ შემთხვევაში, აქ იგი შიშველი და წმინდა სახით არ არის მოცემული"[12].

ეს, რაც შეეხებოდა ე. წ. „ესთეტიკური ტრიადის" საკითხს, მის თავისებურებებსა და შინაარსს. ამის შემდეგ ჩვენი მსჯელობა გაგრძელდება ტრიადის საკითხის შესახებ არეოპაგიტულ მოძღვრებაში, შევეცდებით ვაჩვენოთ ის მომენტები, რომლებიც ამ საკითხს უკავშირდება.

როგორც ცნობილია, არეოპაგიტიკა ქრისტიანულ-ფილოსოფიური მოძღვრებაა და, ბუნებრივია, „სამების" ცნება წარმოადგენს მთელი შუა-საუკუნეობრივი ქრისტიანული ფილოსოფიის ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს და იგი არეოპაგიტიკაში განიხილება, როგორც ფილოსოფიური კონსტრუირების უმნიშვნელოვანესი მეთოდი.

არეოპაგიტიკის ავტორის იერარქიის თეორიის თანახმად, სამყარო როგორც „კოსმოსი", არის სტრუქტურა, შესაბამისი დაქვემდებარება გრძნობიერისა და ზეგრძნობიერის, მთელი უნივერსუმი პირველსაწყისსა (ღმერთს) და ადამიანს შორის იყოფა ორ იერარქიულ საფეხურად: ზეციერი, მიწიერი.

„ზეციური იერარქია" სამი საფეხურისაგან შედგება, თითოეული საფეხური – სამი წევრისაგან, მთლიანობაში კი ცხრა საფეხურს მოიცავს. ე. ი. ტრიადულია. ესენია:

1. სერაფიმნი, ქერუბიმნი, ტახტნი;
2. მეუფებანი, ძალნი, ხელისუფლებანი;
3. მმართველობანი, მთავარანგელოზნი, ანგელოზნი.

პირველსაწყისის სამყაროსთან ურთიერთობისთვის, და რაც მთავარია, ადამიანთა მიერ მისი შემეცნების შესაძლებლობისათვის, ავტორი, შემდეგნაირად გვიხასიათებს მის მეორე, მიწიერ საფეხურს, რომელიც ასევე ტრიადულია და სამ-სამი საფეხურისაგან შედგება.

1. ნათლობა, ევქარისტია, მირონცხება;
2. ეპისკოპოსები, მღვდლები, დიაკვნები;
3. მონაზვნები, მორწმუნენი, კატეხემები.

არეოპაგიტული მოძღვრების (ესთეტიკის) მთავარი საკითხი – პირველსაწყისისა და სამყაროს ურთიერთმიმართების საკითხი, – რაც გულისხმობს პირველსაწყისიდან სამყაროს წარმოქმნას, ასევე ტრიადულია და სამების პრინციპით ხორციელდება. კერძოდ:

1. პირველსაწყისი – როგორც მიზეზი;
2. სამყარო – მისგან წარმომდგარი, როგორც შედეგი;
3. უკუდაბრუნების საფეხური.

ე. ი. აქ სახეზეა მსგავსება-განსხვავება-უკუდაბრუნების სურათი, რაც ესთეტიკური პრინციპებით ხორციელდება.

ტრიადულია სილამაზის არეოპაგიტული გაგება, რაც სამყაროს იერარქიების პრინციპებიდან გამომდინარეობს.

1. აბსოლუტური, ანუ ღვთაებრივი სილამაზე, ანუ ჭეშმარიტად მშვენიერი;
2. ზეციურ არსებათა სილამაზე;
3. მატერიალურ საგანთა და მოვლენათა მშვენიერება.

სილამაზის სამივე გაგებას, სამივე საფეხურს აერთიანებს საერთო ინფორმაცია აბსოლუტური მშვენიერების – „სულიერი მშვენიერების" შესახებ.

ასევე, გვერდს ვერ ავუვლით ტრიადის პრინციპს, როდესაც ვსაუბრობთ არეოპაგიტულ ესთეტიკაში სიმბოლოების თეორიის შესახებ.

არეოპაგიტიკის მიხედვით, სიმბოლოთა წარმოშობას აქვს თავისი გარკვეული მიზანი, სიმბოლომ ერთდროულად უნდა დამალოს და თან გამოავლინოს, გამოაჩინოს კიდეც ჭეშმარიტება. ერთის მხრივ სიმბოლო ემსახურება გამოსახვას და იმის გამოვლინებას, რაც მიუწვდომელია, ღვთაებრივია, ან მახინჯი. მეორეს მხრივ, არის გარსი, საფარი და საიმედო დამცველი ენით გამოუთქმელი ჭეშმარიტებისა. როგორც ვხედავთ, სიმბოლომ უნდა გამოავლინოს ის, რაც დაფარულ-დამალულია და თან უნდა დაფაროს ის, რაც უნდა გამოავლინოს. აქ ორი ურთიერთგამომრიცხავი მომენტია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მათი გათიშვის საფრთხეს ქმნის. მაგრამ, საქმე ისაა, რომ თვით სიმბოლოს ამ წინააღმდეგობრივ ბუნებაში არსებობს ჭეშმარიტების ისეთი განსაკუთრებული ფორმა, რომელიც მოხსნის გათიშვის საფრთხეს და ხელს შეუწყობს ურთიერთგამომრიცხავი მიზნების განხორციელებას. ასეთ განსაკუთრებულ ფორმას მიეკუთვნება „სილამაზე", რომელიც სიმბოლოს შიგნით არსებობს და სულიერი სინათლე მიჰყავს პირველსაწყისის წვდომისაკენ. აქ საუბარია არა გარეგანი სილამაზის ფორმაზე, არამედ რაღაც სულიერ სილამაზეზე, რომელიც მოიცავს ყველა შესაძლებელ-სიტყვიერს, გამოსახვითს, მუსიკალურს, საგნობრივ და ა. შ. სიმბოლოს. ეს სილამაზე ხელმისაწვდომია იმისთვის, ვისაც „შეუძლია ხედვა". ამიტომ არეოპაგიტიკის მიხედვით, საჭიროა ვასწავლოთ ადამიანებს „სიმბოლოთა ხედვა".

ე. ი. როგორც ვხედავთ, არეოპაგიტიკაში „სიმბოლოების" წარმოშობას აქვს თავისი მიზანი, იგი წინააღმდეგობრივი ბუნებისაა და ტრიადის პრინციპით არის აგებული, რაც უკავშირდება – გამოვლენა-დაფარვა-წინააღმდეგობის მოხსნას.

ტრიადულია სიმბოლოს გაგების ასპექტებიც:

1. ნიშნის ფორმა;

2. სახის ფორმა;

3. სიმბოლო, როგორც არა მხოლოდ აღმნიშვნელი რაიმე ნიშნისა, არამედ, როგორც მისი მნიშვნელობის გამომსახველი.

შესაბამისად, ასევე ტრიადულია სიმბოლოს ასპექტების ფუნქციებიც:

1. სულიერი არსის ფუნქცია;

2. მიიყვანოს მასთან ადამიანი;

3. რეალურად აჩვენოს ზე-ყოფიერი სამყარო ყოფიერების დონეზე.

და ბოლოს, არეოპაგიტულ მოძღვრებაში სიმბოლოების თეორიასთან ერთად, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ფერთა და სინათლის შესახებ თეორიებს. სამივე ეს ფენომენი გნოსეოლოგიურია, რაც საფუძველდებულია ესთეტიკური ასპექტით, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ მათი საშუალებით ხდება არეოპაგიტულ-ესთეტიკური შინაარსის – მშვენიერებისა და სილამაზის წარმოჩენა და რეალიზება. ფერი, სინათლე და სიმბოლო, სწორედ ის კატეგორიებია, რომლებიც კარგად გამოხატავს არეოპაგიტულ-ესთეტიკური მოძღვრების არსს, რაც ისევე განსაზღვრულია მათი ბუნების ტრიადულობით.

## შენიშვნები:


1. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961, გვ. 36.
2. იქვე. გვ. 36.
3. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1962, გვ. 36.
4. იქვე. გვ. 36.
5. იქვე, გვ. 36.
6. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961. გვ. 72.
7. იქვე, გვ. 36.
8. იქვე. გვ. 36.
9. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961. გვ. 18.
10. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961. გვ. 34.
11. პეტრე იბერიელი (ფსევდო-დიონისე არეოპაგელი), შრომები, თბ., 1961, გვ. 34.
12. ნ. ჭავჭავაძე, ესთეტიკის საკითხები, თბ., 1958. გვ. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თარიღები

## ჭაბუა ამირეჯიბი-80

## უდრეკი სულის მწერალი

ვისაც „დათა თუთაშხია“ ერთხელ მაინც წაუკითხავს, ის უეჭველად მიხვდებოდა, რომ ამგვარი გმირის სახე მხოლოდ ცხოვრებაში მრავალნაცად კაცს შეეძლო გამოეძერწა. დათა მართლაც ნაძერწია, ქანდაკებასავით ხელშესახებია და პლასტიკური. ყოველი მისი სიტყვა, მოძრაობა, სულიერი მღელვარების გამომხატველი მიმიკა გადამდებია მკითხველისათვის. დათა თუთაშხია სულით ხორცამდე ქართველი კაცია ხასიათის თავისებურებით, გონიერებით და შემწყნარებლობის ნიჭით, სიცოცხლის სიყვარულით და მოყვასისადმი თავდადებით, მისი ზნეობრივი მეტამორფოზაც უფრო დამაჯერებელსა და სარწმუნოს ხდის გმირის გამომსახველობას.

ჭაბუა ამირეჯიბის შემოქმედება ნათელი მაგალითია იმისა, თუ რა მდიდარი ცხოვრებისეული გამოცდილება სჭირდება მწერალს, რათა მკითხველის წინაშე წარსდგეს. თუკი „დათა თუთაშხიაში“ გარკვეული სახეცვლილება განიცადა ამ გამოცდილებამ, „გორა მბორგალში“ უშუალოდ წარმოჩნდა მწერლის მიერ გადატანილი, ნაგრძნობი და ნანახი. და მიუხედავად ცხოვრებისეული რეალიების სიზუსტისა, „გორა მბორგალშიც“ მხატვრული რეფლექსიაა, ფართო ტილოა, რომელზეც საბჭოთა ტოტალიტარიზმის ყველაზე უფრო სასტიკი სახე აღიბეჭდა.

ჭაბუა ამირეჯიბმა თავის რომანებში ცხოვრება მთელი სისავსით გადმოსცა. მას არ შეეძლო ძუნწად და მწირად მოეთხრო იმის შესახებ, რაც ნახა და განიცადა, გაიაზრა და გაიფიქრა. მისი მსგავსი უდრეკი სულის ადამიანები ცხოვრებას ყველანაირი ნაკლითა და ღირსებით ჭვრეტენ. ჭაბუა ამირეჯიბმა, მწარე გამოცდილების მიუხედავად, თავის ნაწარმოებებში ცხოვრების ყველაზე ნათელი მხარეებიც აღბეჭდა. რაც მთავარია, ზნეობრივი უკომპრომისობა მისი განუყრელი ნიშანი იყო და არის.

ჭაბუა ამირეჯიბი 80 წლის შესრულდა. რა შეიძლება უსურვოს მას მკითხველმა, თუ არა ჯანმრთელობა, მხნეობა და ახალი შემოქმედებითი წარმატებები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



დურმიშხან ცინცაძე

# ჩვენი თაობის მშვენება

ლაშა ჯანაშია იმ ქართველთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებმაც ცოტა ხანი ილვაწეს ამ ქვეყნად, მაგრამ, სამაგიეროდ, იმდენი კარგი დათესეს, მათ შესახებ ნაამბობი თაობიდან თაობას გადაეცემა. ის იყო ღირსეული წარმომადგენელი იმ დიდი ოჯახისა, რომელმაც ერსა და ქვეყანას ორი დიდი მამულიშვილი მისცა, ბაბუა, ნიკო ჯანაშია, ცნობილი ქართველი პედაგოგი, ეთნოგრაფ-ფოლკლორისტი და საზოგადო მოღვაწე, მამა, სიმონ ჯანაშია, საქვეყნოდ აღიარებული დიდი მეცნიერი, ისტორიკოსი, აკადემიკოსი, დიდი მოღვაწე პიროვნება. გარდა იმისა, რომ ეს სამი პიროვნება ნიჭით ძალიან ჰგავდნენ ერთმანეთს, ბედიც ერთნაირი ჰქონდათ. ბატონი ნიკო ჯანაშია 46 წლის ასაკში გარდაიცვალა, ბატონი სიმონ ჯანაშია 47 წლის, ხოლო ლაშა ჯანაშიამ 51 წლის ასაკში დატოვა ეს ქვეყანა. ლაშა ჯანაშია ჩვენი თაობის, სამოციანელთა მშვენება და დიდი იმედი იყო. იგი გამოირჩეოდა თავისი განსწავლულობით, სიბრძნით, პატიოსნებით, ჯენტლმენობით და შეუდარებელი მეგობრობით. ლაშას დედა, მართა მაჩაბელი, დარბაისელი ქართველი მანდილოსანი, ჩვენი სამეგობროს უპირველესი დამრიგებელი იყო. ნოემბრის თვის 18 რიცხვში ლაშა ჯანაშიას დაბადების დღეა. ამავე რიცხვში 1947 წელს მთაწმინდაზე დაკრძალეს ბატონი სიმონ ჯანაშია. ორივე ამ თარიღს ჯანაშიების ოჯახი ტრადიციულად სათანადო დონეზე აღნიშნავდა.

1949 წელს ლაშა ჯანაშია, თბილისის ვაჟთა მე-7 საშუალო სკოლის წარმატებით დამთავრების შემდეგ უგამოცდოდ ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე. მაშინ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტზე ისეთი დიდი რანგის პროფესორ-მასწავლებლები ასწავლიდნენ, როგორებიც ბრძანდებოდნენ, ბატონები: ნიკო ბერძენიშვილი, გიორგი ნიორაძე, გიორგი ჩიტაია, სიმონ ყაუხჩიშვილი, შალვა ამირანაშვილი, იასე ცინცაძე, შოთა მესხია, დავით გვრიტიშვილი, აბელ კიკვიძე, კოტე გრიგოლია, მათე ალექსიშვილი, გიორგი გოზალიშვილი, მაქსიმე ბერძენიშვილი, ლეონ მელიქსეთბეგი, ალექსანდრე ფირცხალაიშვილი, გიორგი ტივაძე, ვარლამ დონაძე, აკაკი სურგულაძე, ზურაბ ანჩაბაძე, ლალი (ალექსანდრე) ჯავახიშვილი, თინა ყაუხჩიშვილი, მაშინდელი ახალგაზრდა მეცნიერები: მარიამ ლორთქიფანიძე, ოთარ ჯაფარიძე, გივი კიღურაძე, ილია ტაბაღუა და სხვები.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლაშა ჯანაშიამ დაამთავრა 1954 წელს. იმავე წელს მან მისაღები გამოცდები ჩააბარა ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ასპირანტურაში. აქ მისი ხელმძღვანელი ბრძანდებოდა ცნობილი ქართველი მეცნიერი ბატონი ილია აბულაძე. ალბათ მისმა მოთხოვნამ და საქმისადმი მეტად სერიოზულად მიდგომამ თავისი ნაყოფი გამოიღო და ლაშა ჯანაშია საქვეყნოდ აღიარებული არმენოლოგი გახდა. ისტორიის ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებაში ლაშა ჯანაშიამ 1970 წლამდე ილვაწა, ხოლო შემდეგ, ვიდრე გარდაცვალებამდე, ე. ი. 1982 წლის სექტემბრამდე კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის დირექტორის მოადგილედ მუშაობდა სამეცნიერო დარგში.

1962 წელს ლაშა ჯანაშიამ ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს სხდომაზე წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ" (თარგმანი და გამოკვლევა). ეს მონოგრაფია არის შესანიშნავი ისტორიული გამოკვლევა IV-V საუკუნეების საქართველოს ისტორიის, ქართულ-სომხურ და ქართულ-ირანულ ურთიერთობათა შესახებ. არ შეიძლება არ გავიხსენო პროფესორ ვარლამ დონდუას მიმართვა სამეცნიერო საბჭოს წევრებისადმი: ბატონებო, ენდეთ ჩემს ადამიანურ და მეცნიერულ სინდისს, ჩემს პატიოსნებას, შემოვდივარ წინადადებით, რათა დღევანდელ ხარისხის მაძიებელს ლაშა ჯანაშიას მიენიჭოს ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი და არა მეცნიერებათა კანდიდატისაო. წარმოდგენილი ნაშრომი მე მაძლევს ამის თქმის უფლებას და მისი ავტორი ჭეშმარიტად ამას იმსახურებსო. აქვე იმასაც აღვნიშნავ, რომ ამავე აზრისა ბრძანდებოდა აკადემიკოსი სიმონ ყაუხჩიშვილი. მას შემდეგ ლაშამ ბევრი საინტერესო წიგნი და მეცნიერული ნაშრომი გამოსცა. საბედნიეროდ, მოასწრო და მიაღწია იმ მწვერვალებს, რასაც ბევრი გამოჩენილი ისტორიკოსი უწინასწარმეტყველებდა.

ლაშა ჯანაშია 1982 წლის 7 სექტემბერს სოხუმში, მამისეულ სახლში გარდაიცვალა. ამჟამად იქ ლაშას მამიდა, ქალბატონი ნინა ჯანაშია მარტო ცხოვრობს. ეს მოხუცი ქალი ჯიქურ ფეხს არ იცვლის სოხუმიდან. აქვე, იმასაც დავძენ, რომ იმ ავადმოსაგონარი ომის დროს, არც სახლსა და არც ქალბატონ ნინას ვაგლახად არავინ არ შეხებია. თქვენ, როგორც გნებავთ ისე ჩათვალეთ და მე ამ ფაქტზე ასე ვფიქრობ, ამ კეთილშობილურ და ადამიანურ საქციელში ლაშა ჯანაშიას სახელსა და ავტორიტეტს ლომის წილი უდევს.

ექვთიმე თაყაიშვილის ნაკვალევზე — ასე უნდა ენოდოს 70-იანი წლების ბოლოს ლაშა ჯანაშიას მოღვაწეობას. აქ უნდა გავიხსენოთ მისი იმდროინდელი ურთიერთობა საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან: ნინო და კალისტრატე სალიებთან. ქართველი საზოგადოებისათვის ცნობილია ამ დიდებული პიროვნებების დამსახურება ქართული კულტურისა და მეცნიერების წინაშე. მარტო ის რად ღირს, რომ წლების მანძილზე ისინი პარიზში შეუფერხებლად გამოსცემდნენ საქვეყნოდ აღიარებულ ქართველოლოგიურ ჟურნალს „ბედი ქართლისა". ქართული კულტურისა და მეცნიერებისათვის მეტად მნიშვნელოვანი ფაქტი იყო სალიების მიერ კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტისათვის იშვიათი წიგნების ფონდის შეწირვა, სულ 1200 ეგზემპლარისა. პარიზიდან ამ უნიკალური წიგნების ჩამოტანა ლაშა ჯანაშიამ რის ვაი-ვაგლახით მოახერხა. შინ მშვიდობით დაბრუნების შემდეგ ის ხშირად მოიგონებდა იმ დაბრკოლებებს, რასაც მოსკოველი ჩინოვნიკები ხელოვნურად უქმნიდნენ.

ლაშა ჯანაშიას მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა მისი თაობის ქართულ მწერლობასთან. იგი წლების მანძილზე ჟურნალ „ცისკრის" რედკოლეგიის წევრი იყო. ძველი თაობის მწერლებიდან ლაშა ჯანაშიას დიდ ოჯახს მეტად ახლო ურთიერთობა ჰქონდა ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახთან. ამ ორი დიდებული ქართული ოჯახის ურთიერთობიდან ერთი ასეთი ფაქტი დამამახსოვრდა: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრაზე საკანდიდატო დისერტაცია წარადგინა დასაცავად ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას ან გარდაცვლილმა შვილმა თამარ გამსახურდიამ. კათედრამ დისერტანტის ერთ-ერთ ოპონენტად გამოჰყო ლაშა ჯანაშია. მან ისეთ მაღალ მეცნიერულ დონეზე შეასრულა თავისი მოქალაქეობრივი ვალი, რომ დაცვის შემდეგ ბატონ კონსტანტინე გამსახურდიასაგან მადლობა დაიმსახურა.

ახლა, მოკლედ ლაშა ჯანაშიას მეცნიერულ ნაშრომებზე და პუბლიკაციებზე. რა თქმა უნდა, ეს სია სრული არ არის, მაგრამ ვფიქრობ, მკითხველს მაინც სათანადო შთაბეჭდილება დარჩება ლაშა ჯანაშიას მეცნიერულ ღვაწლზე. ამათგან აღსანიშნავია:

ა) „ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ" (თარგმანი და გამოკვლევა). თბ., 1962 წ. 282 გვ. ბ) „შუშანიკის წამება, ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი გამოკვლევა", ნაწილი I, თბ., 1980 წ. 242 გვ. გ) „ისტორიულ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები", თბ., 1986 წ. 348 გვ. დ) „შუშანიკის წამება", ნაწილი I და II, თბ., 1988 წ. 390 გვ.

ლაშა ჯანაშიას თარგმანებიდან ორ წიგნს გამოვყოფდი: ერთი, ეს არის ვ. ნალბანდიანის წიგნი „თბილისი ძველ სომხურ მწერლობაში უძველესი დროიდან XVIII საუკუნის ბოლომდე", რომელიც მან თარგმნა ელენე ცაგარეიშვილთან ერთად. მეორე, ეს არის საქვეყნოდ გახმაურებული კ. კერამის წიგნი „ღმერთები, აკლდამები და მეცნიერები" (რომანი არქეოლოგიაზე). ლაშა ჯანაშია მეტად საინტერესო სტატიებს ბეჭდავდა ჟურნალებში: „ცისკარში", „მნათობში", „მრავალთავში" და სხვაგან. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების" მეორე ტომში ის არის ავტორი თავისა, რომელიც მას ასე აქვს დასათაურებული: „ქართლი IV-V საუკუნეებში".

ლაშა ჯანაშიამ სხვებთან ერთად მნიშვნელოვანი რედაქციულ-ორგანიზატორული სამუშაო ჩაატარა: ნ. შოშიაშვილის, თ. ენუქიძისა და ვ. სილოგავას „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის" პირველი ტომის გამოცემასთან დაკავშირებით. აქვე, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მისი რედაქტორობით გამოცემულ იქნა ბატონ სიმონ ჯანაშიას შრომების ორი ტომი. ლაშა ჯანაშიას დიდი წვლილი მიუძღვის ბატონ ვახტანგ ჭელიძის „ქართლის ცხოვრების ქრონიკების" რუსულ ენაზე გამოცემის რედაქტირებაში.

ლაშა ჯანაშია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის კომისიისა თუ მრავალი სარედაქციო კოლეგიის წევრი. წლების მანძილზე ის ღირსეულად ასრულებდა „საქართველოს საისტორიო საზოგადოების" სნავლული მდივნის მოვალეობას, რომელსაც აკადემიკოსი გიორგი ჩიტაია უძღვებოდა. ასეთია მოკლედ ლაშა ჯანაშიას ცხოვრება და ღვაწლი. მას წელს, 18 ნოემბერს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. ქართველი ისტორიკოსები, ქართული ინტელიგენცია, მისი დიდი სამეგობრო, სათანადო პატივს მიაგებენ მის ხსოვნას, რასაც ის ჭეშმარიტად იმსახურებს. ლაშა ჯანაშია მართლაც ხომ ჩვენი თაობის შეუდარებელი მშვენება და უბადლო ქართველი მამულიშვილი იყო. ასე იყო და ასე დარჩება ის მუდამ თანამედროვეთა მეხსიერებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნათელა ურუშაძე

მიხეილ თუმანიშვილი — 80

# მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს...

## მაყურებელზე

ყველაფერი, რაზედაც მიხეილ თუმანიშვილი აქამდე ფიქრობდა, დაკავშირებული იყო სპექტაკლის შეთხზვის პროცესთან. მაყურებელი ამ პროცესში მხოლოდ წინასწარი ვარაუდის სახით შეიძლება იყოს ჩართული. მიუხედავად ამისა, ძალიან ბევრს ფიქრობდა იგი მაყურებელზე. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ იცოდა — მაყურებელზეა დამოკიდებული მისი ქმნილების დაბადებაც, სიცოცხლის ხანგრძლივობაც და ისტორიული ბედიც. ყველაფერი, რაშიც აირეკლება მოუხელთებელი მისი ქმნილება, მაყურებლის წყალობაა — რეცენზიასაც კრიტიკოსი-მაყურებელი წერს, მემუარებსა და მოგონებებსაც, ფოტო და კინოფირზეც მისი თანამედროვე მაყურებელი ფოტოგრაფი და ოპერატორი იღებს!

ახლა ვნახოთ, რანაირადაა მიმართული მ. თუმანიშვილის ფიქრი მისი უდიდებულესობა მაყურებლისაკენ და რამდენ ასპექტში განიხილავს იგი ამ, მართლაც, ძალზე რთულ, მუდმივსა და ნაკლებად შესწავლილ პრობლემას.

თავის პირველივე წიგნის დასაწყისში წერს: „თეატრალური ხელოვნება, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებასთან, მაყურებელთან კავშირი გახლავთ... მაყურებელთა დარბაზი თეატრის თანამოაზრე რომ გახდეს, თვით მსახიობები უნდა იყვნენ განსაკუთრებული ადამიანები, რომლებთან ურთიერთობა საინტერესოა... მსახიობისთვის ეს აუცილებელი პროფესიული თვისება უნდა იყოს.

მაყურებელთან ურთიერთობა მარტო ერთმანეთისათვის რაღაცის გაზიარება კი არ არის, არამედ, ვიმეორებ, — რაღაცის შეცვლა ურთიერთში. თეატრალური პროცესის უნიკალობა მსახიობის სცენური შემოქმედებისა და მაყურებლის ურთიერთკავშირის შედეგია. სწორედ მსახიობისა და მაყურებლის ურთიერთკავშირში იბადება თეატრალური ხელოვნება, ცოცხალი ადამიანის განუმეორებელი, სწორუპოვარი ხელოვნება, მაყურებლის თვალწინ წარმოშობილი, მისი შემოქმედებითი წარმოსახვის მონაწილეობით შექმნილი. როცა ასეთი კავშირი და ურთიერთობა არ არსებობს — თეატრი კვდება“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“, 1977, გვ. 18,20,25).

ამგვარად, სათეატრო ხელოვნების რაობა, ხელოვნების სხვა სახეობათაგან მისი გამორჩეულობა, მაყურებლის არსებობის აუცილებლობითაც ყოფილა განპირობებული. ხოლო, რადგან სპექტაკლი ძალზე რთული აღნაგობის ქმნილებაა, მაყურებელთან მისი კავშირებიც მრავალწახნაგოვანია. უპირველესად მნიშვნელოვანი ის კავშირია, რომელიც წარმოდგენის ორ ცოცხალ მხარეთა შორის არსებობს — მსახიობთა და მაყურებელთა შორის.

თეატრის მაყურებელი მუდამ მისი თანამედროვეა და მრავალნაირი. დარბაზი განსხვავებულთა საკრებულოა. ერთი აქვთ საერთო — დღეს ყველა ამ კონკრეტული წარმოდგენის სანახავად მოვიდა. რა თქმა უნდა, საკუთარი სურვილით, რომელიც უთუოდ დაკავშირებულია იმ სულიერ მოთხოვნილებასთან, რომლის აღსრულებასაც ის აქ მოელის სხვებთან ერთად. თეატრი სულით აღელვებულ ადამიანთა ერთად ყოფნის სურვილსაც აკმაყოფილებს.

სულის განწმენდას და ამაღლებას ელოდებიან თეატრისაგან ერთმანეთისთვის უცნობი ადამიანები, ჩაბნელებულ დარბაზში რომ სხედან. ელოდებიან თანაგანცდითა და თანამოაზრეობით მონიჭებულ უჩვეულო სიამოვნებას. თანაგანცდას განწმენდამდე მივყავართ, კათარზისისკენ. ეს სინამდვილის შემეცნების განსაკუთრებული, უჩვეულო მღელვარებით დატვირთული ფორმაა.

სცენა და დარბაზი, მსახიობები და მაყურებლები — ადამიანთა ორი ჯგუფია. ისინი ხვდებიან ერთმანეთს იმისთვის, რომ რაღაცაზე ერთად იფიქრონ, რაღაც ერთად განიცადონ. მათი ურთიერთობა არაა უბრალო და ადვილი. ბუნებით ანსამბლური სათეატრო ხელოვნება ჰარმონიულად აერთიანებს ყველა სახის ხელოვნების ენასა და გადააქცევს მას ახალ, სახეობრივ მეტყველ ენად — ცოცხალი ქმედების ენად. ამ ენაში ურთიერთშერწყმული სახეობრივი

*დასასრული. დასაწყისი იხ. „მნათობი“ №№1-2 – 9-10.*

საშუალებები ერთდროულად მიემართებიან მაყურებლებისაკენ და ერთდროულადვე აღიქმებიან მათ მიერ, ვინც აქ ესთეტიკური ტკბობის განცდის სურვილმა მოიყვანა.

ზემოქმედებას განიცდის მაყურებლის მთელი არსება – მხედველობაც, სმენაც, გონებაც, გრძნობაც... ასე რომ, სპექტაკლის აღქმა დატვირთვაა, სულის შრომაა, ენერგიის ხარჯვაა. რადგან თეატრში ცოცხალი ცოცხალზე ზემოქმედებს – მსახიობები მაყურებლებზე, ხოლო მაყურებლები მსახიობებზე – აქ აღქმის პროცესი ურთიერთზეგავლენის პროცესია. სპექტაკლის მოქმედ პირთა ცხოვრება შეუჩერებლივ მიმდინარეობს, მაშასადამე, აღქმის დინამიკაც ამ მიმდინარეობაზეა დამოკიდებული. ამიტომ მაყურებლის სპექტაკლთან შეხვედრა არაა უბრალო, ჩვეულებრივი აღქმა – ის მუდამ დაკავშირებულია განცდა-გაგებასთან, წვდომა-ამოხსნასთან ანუ აზროვნებასთან. ამიტომ შეუძლია თეატრს აღმზრდელობითი ფუნქცია იკისროს.

თუ ნაწარმოები მხატვრულია, მისი აღქმაც სახეობრივი აღქმაა. თუ წარმოდგენამ ჩამითრია, მაშინ მე შეთხზული სამყაროს ტყვეობაში ვარ, მიუხედავად იმისა, რომ ვიმყოფები არა სცენაზე არსებულ შეთხზულ გარემოში, არამედ რეალურში – მაყურებელთა დარბაზში,რომელიც სცენისაგან გამოცალკევებულია რამპით, ზოგჯერ კი ორკესტრის ადგილსამყოფელითაც. მაგრამ მე, წარმოსახვის ჩემი უნარის წყალობით, გადავლახავ ხოლმე ამ ზღვარს და აქტიურად ვერთვები იმაში, რაც სცენაზე ხდება: აზრით ხან წინ გავრბივარ (რაღაცას მივხვდი!), ხან უკან ვბრუნდები (რაღაც გამახსენდა!) და ა. შ. აღქმის პროცესი ისედაც დინამიკურია საერთოდ, მით უფრო მაშინ, როდესაც თვით აღქმის სუბიექტია დინამიკური. მთელი სირთულეც ამაშია – ერთსა და იმავე დროს, მე, მაყურებელმა, ვიცი, რომ სცენაზე არსებული არაა ნამდვილი, მაგრამ განვიცდი მას როგორც ნამდვილს და რეაქციაც წარმოსახულზე მაქვს.

მსახიობისგან განსხვავებით, უკიდურესად დინამიკური ჩემი განცდა მხოლოდ სულიერადაა დინამიკური, ფიზიკურად მე სავარძელში ვარ მომწყვდეული და არა მაქვს უფლება ავმოძრავდე. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა მოხდება, მაყურებლებმა რომ სპექტაკლის დროს სავარძლის ზღვარი გადალახონ!

და მაინც, ჩვენი რეაქციები, ჩვენი გამოძახილია სცენასთან კონტაქტის დამამყარებელი ანუ სავარძლის რეალური სამყაროდან შეთხზულ სცენურ სამყაროში ჩვენი ჩართვები. და რადგან შეთხზულ სამყაროში ჩავერთეთ, რადგან ამუშავდა წარმოსახვის ჩვენი უნარი, თანაშემოქმედებაც აღმოცენდა. იგი აღმოცენდება სცენასთან შეხვედრის (ფარდის გახსნის) პირველსავე წუთში, თუნდაც მსახიობი ჯერ არ იყოს სცენაზე, იყოს მხოლოდ მოქმედ პირთა საცხოვრებელი ანუ სცენოგრაფია – ისიც ხომ მხატვრის წარმოსახვის შედეგია! მაშასადამე, ის აუცილებლად აღძრავს ჩემში წარმოსახვის ჩემ წილ უნარს – მე ვირწმუნე, რომ სცენაზე მართლა ვენეციის დოჟთა პალატაა! ვირწმუნე „ვითომ"...!

თუ მხატვრული სახე ჩემი, მაყურებლის, გრძნობა-გონებაში ყალიბდება, ცხადია, მეც ხელოვანის თანაშემოქმედი ვარ, რადგან ერთად ვქმნით ხატს, რადგან უჩემოდ ის ვერ აღმოცენდება. მხატვრული ნაწარმოები წარმოსახვის ნაყოფია და ადრესატის წარმოსახვის უნარს მიმართავს, რადგან იცის, რომ აქტიური წარმოსახვის უნარი მის ადრესატსაც აქვს. მხოლოდ ხელოვანი არაა ნიჭიერი, მგრძნობიარე და გონიერი. ასეთივე უნდა იყოს მისი მაყურებელი. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში ამდიდრებენ ისინი ერთმანეთს სულიერად.

პირველი წიგნის დასასრულსაც უბრუნდება მ. თუმანიშვილი მაყურებლის პრობლემას და აკონკრეტებს სცენასა და დარბაზს შორის არსებული კონტაქტების ნიშნებს: „მაყურებელთა დარბაზის რეაქციაც კოდირებული ცნობაა. მაყურებელი ახველებს, ტაშს უკრავს, ლაპარაკობს, სტვენს, რეპლიკით ამხნევებს მსახიობს და ქმნის უჩვეულოდ დაძაბულ სიჩუმეს დარბაზში – სცენისა და მაყურებელთა შერწყმის ამ უმაღლეს ფორმას...

ცნობის ფორმის შეცვლა (მსახიობის ქცევა) უმალვე მოქმედებს მაყურებლის ქცევაზე ისევე, როგორც ორი მოფარიკავე სულ ცვლის თავის ქცევას, ძალიან ფაქიზად პასუხობს „მოწინააღმდეგის" ყველა მოძრაობას, ცრუ სვლას, გამოხდომას. ისევე, როგორც ისინი დამოკიდებულნი არიან ერთმანეთზე და შეჯიბრების დროს საქციელში კორექცია, ცვლილებები შეაქვთ, ასევე სცენა და მაყურებელი სულ შეუწყვეტელ ბრძოლა-ურთიერთობაში არიან" (გვ. 277).

ყველა მომდევნო თავის წიგნში მ. თუმანიშვილი აუცილებლად მიაპყრობს სცენის ხელოვანთა ყურადღებას მაყურებლის პრობლემას – შეახსენებს, რომ სცენურ ორთაბრძოლებში ისეთივე აქტიურობა და სიზუსტეა საჭირო, როგორც მაღალი დონის სპორტულ შეჯიბრში, რადგან მხოლოდ ასეთ შემთხვევაში გაჰყვება დარბაზი არა ტექსტს, არამედ მოქმედებას, იქნება არა მსმენელი მხოლოდ, არამედ მაყურებელი. იმასაც შეგვატყობინებს, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა იყო მიზანი რუსთაველის თეატრში ე. წ. მცირე სცენის შექმნისა:

„მცირე სცენა იმისთვის დაგვჭირდა, რომ კიდევ უფრო დავვახლოვებოდით მაყურებელს და ამგვარად შეგვექმნა მსხვილი პლანი, როგორც კინოში ამბობენ, რომ მაყურებელთან ადამიანური, ინტიმური კონტაქტი დაგვემყარებინა და იგი მსახიობთა შემოქმედებითი აქტის მოწმე, ზოგჯერ კი თეატრალური თამაშის მონაწილეც კი გაგვეხადა“ („რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, გვ. 192).

1998 წელს, უკვე მისი გარდაცვალების შემდეგ გამოცემულ წიგნში „ახლა კი, ფარდა...“ კონტაქტის პრობლემა მეტ სიღრმეს იძენს:

„ერთი ადამიანის ზემოქმედება მეორეზე, უმეტეს შემთხვევაში, ერთი მათგანის შეტევითა და მეორის თავდაცვით ხორციელდება. ყოველ ცხოვრებისეულ ეპიზოდში აუცილებლად იმალება ბრძოლა. თუ მსახიობისთვის გაუგებარია, ვინ გადადის შეტევაზე და ვინ იცავს თავს და მაინც განაგრძობს ავტორისეული ტექსტის კითხვას, მისი სიტყვები მაშინვე ცარიელ ლაქლაქად გადაიქცევა“ (გვ. 60).

„ცარიელი სცენა. იატაკზე მწუხარე პოზაში გოგონა წევს. არ ინძრევა, მაგრამ მოძრაობა მასში უკვე ჩასახულია, თუმცა, დროებით დამალული. მაყურებელთა დარბაზში გაფაციცებით ელიან მოძრაობის გაგრძელებას. აინტერესებთ, რად გადაიზრდება, როგორ განვითარდება იგი“ (იქვე, გვ. 92).

მ. თუმანიშვილისთვის მაყურებელი – ეს არაა თეატრში მყოფი ცალკეული ადამიანი. ესაა წარმოდგენის ხილვის სურვილით გაერთიანებული საზოგადოება, რომელიც მისთვის განკუთვნილ საგანგებო დარბაზში იმყოფება. ჩვენ, მაყურებლებს ხომ ყველა თეატრში საკუთარი ადგილსამყოფელი გვაქვს, რომელსაც ასე ეწოდება – მაყურებელთა დარბაზი. ყველაფერი, რაც აქაა – პარტერიც, ლოჟებიც, იარუსებიც, სავარძლებიცა და ჟალებიც – ჩვენთვისაა განკუთვნილი. არ არსებობს ქვეყნად თეატრი, სადაც სპექტაკლის შემქმნელთა სამყოფელი უფრო ლამაზი იყოს, ვიდრე მაყურებელთა. ეს უკვეა იმის ნიშანი, რომ მაყურებელი თეატრის მუდმივი საზრუნავია. სახელგანთქმული რეჟისორი ვს. მეიერჰოლდი პირდაპირ აცხადებდა ამას: „თეატრს ქმნიან არა მარტო ისინი, ვინც სცენაზე მუშაობს, თუნდაც ძალიან ნიჭიერად. თეატრი იქმნება აგრეთვე მაყურებელთა დარბაზის ნებით... თეატრი არსებობას იწყებს იმ წუთიდან, როდესაც დარბაზი გამოეხმაურება იმას, რაც რამპის მიღმა ხდება“.

მ. თუმანიშვილი ამ მოსაზრებას აკონკრეტებს – მაყურებელთა დარბაზად ის მიიჩნევს განსხვავებულ ადამიანთა არა ჯამს, არამედ სპექტაკლისადმი ინტერესით შედუღაბებულ კრებულს:

„რეპეტიციის დროს უსიცოცხლო მაყურებელთა დარბაზი სიცოცხლეს იძენს სპექტაკლის დროს: იგი სუნთქავს, მასში შეკავებული მოძრაობა იგრძნობა, იგი თითქოს დიდი, ძლევამოსილი და დაძაბული არსება ხდება, ხარბად ადევნებს თვალს მსახიობის ყოველ მოძრაობას, ყოველ სიტყვას“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“, გვ. 18, 266).

ნიმუშად მოჰყავს რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „ოტელო“, რომელიც 1947 წლის გასტროლების დროს წარმოადგინეს მოსკოვში: „უეცრად, მესამე მოქმედებაში, ოტელოსა და იაგოს დიალოგის დროს, წარმოდგენაზე რაღაც მოხდა. სტანისლავსკისა და ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის თეატრის უზარმაზარი მაყურებელთა დარბაზი დაიძაბა, გაირინდა, იქცა ერთ არსებად, რომელიც ისრუტავდა ყველაფერს, რაც სცენაზე ხდებოდა. იქ კი ამ დროს ხდებოდა სასწაული, სამსახიობო შემოქმედების ის სასწაული, რომელიც გაჯადოებს და გატყვევებს. სცენაზე ჭეშმარიტი ვნებები ბობოქრობდნენ. ეს ვნებები დარბაზში გადმოიფრქვა და წალეკა იგი“ („რეჟისორი თეატრიდან მიდის“, რუსული გამოცემა, 1983, გვ. 43).

მაყურებელთა დასწრება-დაუსწრებლობა და წარმოდგენის დროს მისი რეაქციები მიაჩნია მ. თუმანიშვილს თეატრის ცხოვრების ბარომეტრად. წარმატება-წარუმატებლობის სიხარულსა და სიმწარესაც აქ ხედავს: „გულგრილი, მოქირქილე, მთქნარებაავარდნილი დარბაზი საშინელი სასჯელია თეატრისათვის, ხოლო მოზეიმე ან აღელვებული დარბაზი – საუკეთესო ჯილდო“ („რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, გვ. 113).

მოგვიანებით, წარუმატებლობით განცდილ ტკივილსაც გაგვანდობს: „გიგრძვნიათ ოდესმე სპექტაკლზე ქანცგაწყვეტილი მუშაობის შემდეგ მაყურებელთა დარბაზის სიცივე? აი, მე კი ბევრჯერ მიგრძვნია. მახსოვს, როცა შექსპირის „იულიუს კეისარი“ დავდგი, ძალიან საინტერესო მასობრივი სცენები გვქონდა. ჩემი მოწაფეები შესანიშნავად მუშაობდნენ, ყველაფერი უზუსტესად აწყობილი და ორგანიზებული გვქონდა. მაგრამ, როდესაც პრემიერის შემდეგ ქუჩაში გამოვედი და მეგონა, მთელი თბილისი მუხლებზე დაემხობოდა ჩემ წინაშე – არავინაც არ დამხობილა. მარტო ჩემი მეუღლე იდგა, მელოდებოდა და ჩვენ ერთად გავუყევით ქალაქის ცარიელ ქუჩებს. ძალიან ბევრი კი ვიმუშავე, იმაზე მეტიც კი, ვიდრე საჭიროა“ („ახლა კი, ფარდა...“, 1998, გვ. 144-145).

ნარუმატებლობის ჟამს განსაკუთრებული დაჟინებით ეძებდა ამის მიზეზებს. უმთავრეს მიზეზად მაინც იმ მხატვრულ ენას მიიჩნევდა, რომელზედაც ეს სპექტაკლი მის დღევანდელ მაყურებელს ესაუბრება – სცენის ხელოვანთა მხატვრული ენა გასაგები უნდა იყოს მისი ქმნილების მაყურებლისათვის.

ვინ ასწავლის ამ ენას მაყურებელს? სად ისწავლება იგი? მ. თუმანიშვილს მიაჩნია, რომ თეატრში: „მაყურებელი ისევე უნდა აღვზარდოთ, როგორც ბავშვებს ვუნერგავთ მოცარტისა და პროკოფიევის კლასიკური მუსიკისადმი სიყვარულს. უბრალო თავაზიანობა მაინც უნდა შთავაგონოთ მას – სპექტაკლის დროს არ ილაპარაკოს, სპექტაკლის ან აქტის დაწყების შემდეგ ხმაურით არ შემოვიდეს დარბაზში, სპექტაკლის დასრულებამდე არ გაიქცეს საგარდეროპოში. ეს მსახიობისა და მთელი თეატრის უპატივცემულობაა. მაყურებელს ბავშვობიდან, ჯერ კიდევ მოზარდ მაყურებელთა თეატრში უნდა შთაუნერგოთ ეს.

მაყურებელი უნდა გაერკვეს დღევანდელი თეატრის რთულ თეატრალურ ენაში. დაე, იცოდეს მან, რომ თეატრი ყოველთვის არ არის დამნაშავე, როცა სპექტაკლში ყველაფერი გასაგები არაა. რომ ვილაპარაკოთ – სკრიაბინი და როდენი არ მომწონსო, – ამით მათ არაფერი დააკლდებათ. დააკლდება მას, ვინც არ შეეცადა გაეგო მათთვის" („სანამ რეპეტიცია დაიწყება...", გვ. 24).

„მაყურებელი სათანადოდ უნდა იყოს შემზადებული აზრებისა და განცდების გამოხატვის ამგვარი ხერხებისათვის. იაპონელები კარგად ამბობენ: ჯერ გაიგე, ვინ გისმენს და მერე იქადაგეო" („რეჟისორი თეატრიდან წავიდა", გვ. 114).

მ. თუმანიშვილისთვის არაა საკმარისი თუნდაც ესოდენ მნიშვნელოვანი მომზადება სცენის ხელოვნების თავისებური ენის ცოდნაში – ის აყენებს უაღრესად მნიშვნელოვან პრობლემას – მაყურებლის ნიჭიერების აუცილებლობას და მნიშვნელობას თეატრალური კონტაქტის გააზრებისთვის. იმისთვის, რომ ეს ნიჭიერება გამოვლინდეს, თეატრმა მაყურებელს უნდა შესთავაზოს ის, რაც მის ნიჭს გააღვიძებს:

„როცა რეჟისორი და მსახიობი მხოლოდ იმის ილუსტრაციას ახდენენ, რაც ისედაც ცნობილია პიესის ავტორისეული ტექსტით, მაყურებელს აღარაფერი რჩება აღმოსაჩენი, მას არ იწვევენ ხელოვნების კოდის გასაშიფრავად, არ სთავაზობენ ვარიანტთა არჩევანს, შემოქმედებითს კამათს, პიესის მოვლენებს არ ანიჭებენ უფრო რთულ (მრავალმნიშვნელოვან) აზრს... მაყურებელს ინტერესი ეკარგება" („სანამ რეპეტიცია დაიწყება...", გვ. 275).

„მაყურებელი უყურებს სცენის ამბავს და იგონებს თავის პაემანს – ერთს, მეორეს, პაემანს აივნის ქვეშ, სკამზე, სადარბაზოსთან, ხიდზე, აგონდება პაემანი ბედნიერი, უბედური, ვნებიანი, ნაღვლიანი და ა. შ. მაყურებელი თვით ავსებს გარკვეული შინაარსით იმ მოვლენას, რაც სცენაზე ხდება და რის მოწმეც თვითონაა... მაყურებელი შემოქმედებითი პროცესის თანამგრძნობელი და თანაავტორი ხდება, თუ არა და, თავის უკმაყოფილებას გამოხატავს.

ეს მეორე შინაარსი არის სწორედ სპექტაკლის ინფორმაცია. მის ამოკითხვაში თვით მაყურებელი იღებს მონაწილეობას. ამოკითხული ინფორმაციის ცნობის თვისება და რაოდენობა დამოკიდებულია მაყურებლის წარმოსახვაზე და მთავარი შინაარსის სახეობრივი მოსაზრების უნარზე და აგრეთვე ამ დარგში ცოდნის რაოდენობაზე და კიდევ უნდა იყოს ამოკითხვის აქტიური სურვილი" (იქვე, გვ. 276).

„ხელოვნების ნაწარმოები მოქმედებს ადამიანის შეგნებაზე, აფხიზლებს მის წარმოსახვას, აღებს (როგორც მეცნიერები ამბობენ) მისი მეხსიერების ბლოკს, იწვევს ემოციებს და ასხვაფერებს მის შეგნებაში ჩამოყალიბებულ დებულებებს, აზროვნებისა და საქციელის ჩვეულებრივ ნორმებს, ხელს უწყობს არაბანალური აზროვნების ფორმირებას. ამ პროცესში მოქმედებენ უკუკავშირები" (იქვე, გვ. 178-179).

მაყურებლის პრობლემა თანადროულობის პრობლემაცაა. მხოლოდ აწმყო დროის მქონე ხელოვნებისათვის, ცხადია, ის უმნიშვნელოვანესია, რადგან ამ ხელოვნების ნაწარმოები აუცილებლად მისი თანამედროვე მაყურებლისათვის უნდა იყოს გასაგები, საინტერესო და წარმტაცი, სხვანაირად ის თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს.

დრო შეუჩერებლივ მიედინება და ყველაფერი, რაც ასე თუ ისე, მაგრამ მაინც აუცილებლად იცვლება: ცხოვრების პირობები, საზოგადოებრივი შეგნება, რომელიც ადრე შექმნილი წარმოდგენებითაა ჩამოყალიბებული და ახალი სოციალურ-ისტორიული ტვირთის ქვეშ, რა თქმა უნდა, ირღვევა. ყოველი მოქალაქე არსებულ სინამდვილეს თავისებურად აღიქვამს და განიცდის. ფართო გაგებით – თანადროული არის აწმყო, რომელმაც შეისრუტა წარსული და მომავლისაკენ მიემართება. ასეთ დროს ადამიანები განსხვავებულად, ახლებურად იწყებენ ფიქრს. მაშასადამე, იყო თანადროული – ნიშნავს შენი დროის შესატყვისად იფიქრო და იმოქმედო. ფიქრი კი მუდამ ინდივიდუალურია.

შეცვლილი სინამდვილე ადამიანთა წინაშე ახლებურად აყენებს პრობლემას, ბადებს ახალ სურვილებს, ახალ გრძნობებს.

ძველი და მარადი გრძნობებიც ახლებურ ელფერს იძენენ. ახლებურად იცვამენ, ახლებურად იბრძვიან, ისვენებენ და ატარებენ დროს.

ყოველი ახალი თაობა სააშკარაოზე გამოიტანს ხოლმე თავის ცხოვრებისეულ გამოცდილებას და თავის პრობლემებს. მაგრამ ყველა დროს რეალურ სინამდვილეში სხვადასხვა ასაკის ადამიანები ცხოვრობენ. მათ შორის უფროსებიც ფიქრობენ ახალზე, ისინიც მიისწრაფვიან შემოქმედებითი განახლებისაკენ. ამავე დროს, ჯერ ცოცხალია ტრადიციაც ანუ ის ცოცხალი შინაგანი ურთიერთობანი, ეპოქებს რომ ერთმანეთს აკავშირებს.

დროსთან ერთად იცვლება არა მარტო შემოქმედი, არამედ მისი ნაწარმოების აღმქმელიც. თეატრისთვის – მაყურებელი. სცენის ხელოვნებისთვის ეს პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის უმჭიდროეს კავშირშია უამრავ მაყურებელთან ანუ მისი დროის ათასნაირ ადამიანთან. დრო, ეპოქა, თანადროულობა – მუდამ რთული კომპლექსია. ამიტომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში უნდა გაირკვეს – ამ ნაერთში ამ დროის მაყურებლისათვის რომელია უმთავრესი და განმსაზღვრელი.

წლები, როდესაც მ. თუმანიშვილი ქართულ თეატრში მოღვაწეობდა (1949-1996) ძალიან რთული და წინააღმდეგობებით აღსავსე იყო. იცვლებოდა ცხოვრება, ხელოვნება, მაყურებლები, მათი ინტერესები და მოთხოვნილებები, გემოვნება, ამიტომ მ. თუმანიშვილიც ძალიან ბევრს ფიქრობდა მაყურებელზე, ბევრს წერდა. შევარჩევთ მხოლოდ მათ შორის უმნიშვნელოვანესს:

„თანამედროვე მაყურებელი სპექტაკლში ეძებს უფრო რთულ ინფორმაციას, ვიდრე უბრალო სიუჟეტია, და არა მარტო თანამედროვე მაყურებელი! ძველი ათენის მცხოვრებლებმა შესანიშნავად იცოდნენ მითის სიუჟეტები, მაგრამ სიუჟეტი კი არ იყო მათთვის ინფორმაციის მთავარი წყარო, არამედ მისი ფსიქოლოგიური დამუშავება, სიუჟეტის ფსიქოლოგიური ანატომია, რაც მითს საინტერესოს, აქტუალურსა და ამაღელვებელს ხდიდა. ესქილე, სოფოკლე, ევრიპიდე...“ („სანამ რეპეტიცია დაიწყება...“, გვ. 26).

„როგორი უნდა ყოფილიყო სპექტაკლი „იულიუს კეისარი“? ეს უნდა ყოფილიყო ჩვენი თვალით დანახული და შექსპირის სიტყვით აღწერილი დღევანდელი ამბავი. აი, სპექტაკლის პრინციპი!“ (იქვე, გვ. 198).

1988 წლის ჟურნ. „საბჭოთა ხელოვნებაში“ (№7) გამოქვეყნებულ წერილში „ფიქრი თეატრის გარშემო“ თანადროულის შესახებ მ. თუმანიშვილის ფიქრი წუხილია. იმის გამო, რომ ქართულ თეატრში იკლო ეროვნულმა დრამატურგიამ: „ქართული თეატრის საფუძველი ქართული ლიტერატურა უნდა იყოს: „ბაკულას ღორები“ ანდა „წუთისოფელი ასეა...“ ჩვენს თეატრში მსახიობებისათვის და რეჟისორებისათვის ბევრად ძვირფასი და ახლობელია, ვიდრე მოლიერის „დონ ჟუანი“, რ. გაბრიაძის მიერ გადმოკეთებული „პატარა ქალაქი“ უფრო გასაგებია, ვიდრე უცნობი პიუსტონი. მე პირადად არ მესმის იმ რეჟისორებისა, არაჩვეულებრივი დაჟინებით რომ დგამენ პინტერს, იონესკოს, ბეკეტს, რომელთა ბუნება ჩვენთვის სრულიად უცხოა და არც ბოლომდე გასაგები“.

იმის გამო, რომ მსახიობი აღარაა ყურადღების ცენტრში:

„...ყველანი გავრბოდით სესილიას „ელისაბედის“ სანახავად, რომ კიდევ ერთხელ დავმტკბარიყავით მსახიობის წარმატებით, განგვეცადა, სიამოვნება მიგვეღო მისგან! დღეს კი სულ უფრო მეტს ვლაპარაკობთ იმის თაობაზე, ვინ ვის კლავს – რეჟისორი მსახიობებს, თუ მსახიობები რეჟისორს“.

აწუხებს ნგრევის პათოსის მოძალება:

„თავისუფლება კი არა, ჩვენ გვჭირდება ახალი, არაჩვეულებრივი როლები და სხვადასხვანაირი სპექტაკლები, თეატრებს შორის შემოქმედებითი შეჯიბრი, ხელოვნების ნამდვილი ნაწარმოების შექმნის სურვილი – აი, რა გვჭირდება“.

„მეტაფორების, ნიშნების თეატრმა, დროთა განმავლობაში, ისევე, როგორც ყველაფერმა ცხოვრებაში, შეიძლება ამოწუროს თავის შესაძლებლობები და ჩვენ ბანკროტები აღმოვჩნდებით, თუ დროზე არ გავიხსენებთ ერთ ჭეშმარიტებას: მხოლოდ თეატრს და პირველ რიგში მსახიობს შესწევს უნარი სხვა, მეორე ადამიანში გარდაისახოს. იქნებ ღირს ამაზე დავფიქრდეთ ჩვენც – რეჟისორები, კრიტიკოსები და, რაღა თქმა უნდა, მსახიობები...“

80-იანი წლების დასასრულისთვის რომანტიკა მოენატრა:

„სცენური რომანტიზმის კვდომას ხელი შეუწყო ბრეჰტმა. ჩვენც არ დაგვიკლია მისთვის ხელი. დღეს რომანტიკული ძველმოდურის სინონიმადაა ქცეული. მე კი მგონია, რომ სწორედ ნამდვილად რომანტიკული თეატრი ჩვენ ძალიან გვაკლია. ოღონდ არა ბუტაფორიული, არამედ ნამდვილად რომანტიკული. მაგრამ ასეთი თეატრის შექმნა იოლი საქმე როდია. რომანტიკულ თეატრს ხომ აუცილებლად სჭირდება უბრწყინვალესი მსახიობები, რომლებსაც ძალა შესწევთ მაყურებელთა სული შეძრან, რომლებსაც მომადლებული აქვთ განსაკუთრებული შინაგანი არტისტიზმი, არაჩვეულებრივის, ამაღლებულის, პოეტურის განსაკუთრებული რწმენა“ („რეჟისორი თეატრიდან წავიდა“, 1989, გვ. 11).

„სცენური სიტყვა, დიალოგი, რაც არსია თეატრისა, ნიშნების თეატრში, ფაქტიურად, იკარგება. ორთაბრძოლა – დიალოგი, ასე ვთქვათ, გადაშენდა თეატრიდან, რელიქვიად იქცა. იქ პარტერს უფრო ელაპარაკებიან, ვიდრე პარტნიორებს და დიალოგის დროსაც კი, როცა ერთმანეთის გვერდიგვერდ ვდგავართ, მაშინაც კი მაყურებელთა დარბაზში ვიყურებით, როგორც ეს ცუდ ოპერებშია. იქ, ოპერაში, ეს რაღაცით მაინც გამართლებულია – იქ მომღერლები დირიჟორს უყურებენ" (იქვე, გვ. 171).

„ხშირად ვიჭერ თავს იმაზე, რომ სპექტაკლის დროს თვალს ვადევნებ რეჟისორულ მეტაფორებს და არა იმას, როგორ თამაშობენ როლებს, როგორ წარმოიშობა და ვითარდება პროცესი, როგორ იქმნება სცენაზე ცხოვრების ატმოსფერო, განწყობილება, როგორ წარმოიქმნება განცდა და რაში გადაიზრდება იგი. ამიტომ გახდა ასე ადვილი თეატრში მსახიობების შეცვლა" (იქვე, გვ. 178).

90-იანი წლების ბოლოს საზოგადოებრივმა ცხოვრებამ ხელოვანი პოლიტიკას შეახვედრა უშუალოდ და მ. თუმანიშვილის ფიქრიც აქეთ წარმართა. მისი პასუხი მოკლეა და კატეგორიული:

„როგორ ავსახოთ სპექტაკლში პოლიტიკური მოვლენები – თეატრი აგიტპუნქტი არაა. არც სპექტაკლებია პროკლამაციები. ჩვენ ხელოვნებით უნდა ვიყოთ დაკავებულნი. მაგრამ ჩვენ ხომ ადამიანები ვართ და არ შეგვიძლია საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებისადმი და, აქედან გამომდინარე, ჩვენში მიმდინარე პროცესებისადმი გულგრილნი ვიყოთ. ამ პროცესთა არეკვლა გარდუვალია... ხელოვნებამ უნდა აგვალელვოს. ხელოვნება ლოზუნგზე რთულია"( „ახლა კი, ფარდა...", 1998, გვ. 156).

და რადგან ამის შემძლე უმთავრესი ძალა მსახიობია, მ. თუმანიშვილიც ისევ ამ ძალაზე ფიქრობს:

„თეატრი ხომ იმისთვის არსებობს, რომ სცენაზე ჩემ თანამედროვეთა ცხოვრების პროეცირება მოვახდინო, პროეცირება ჩემი შინაგანი სამყაროსი, სამყაროს ჩემეული ხედვის და საზოგადოების, რომელშიც ვცხოვრობ. თუ არადა, ბოლოს და ბოლოს, რა მესაქმება იმ ადამიანებთან, ოდესღაც სადღაც რომ ცხოვრობდნენ, რაღაცის გამო რომ ნაეკიდნენ ერთმანეთს („ექიმი შტოკმანი"), ანდა რაღაცას განიცდიდნენ" (რასინის „ფედრა", იქვე, გვ. 169).

„... თამაშის სიმართლის კრიტერიუმი დავკარგეთ. ან იქნებ, დღეს ის უკვე აღარც არავის სჭირდება?! სტანისლავსკი და მისი სკოლა – თეატრალური ხელოვნების ეს მაცოცხლებელი წყარო, ახლა რელიქტადაა გადაქცეული, გენიალური ბრეჰტი კი უნივერსალურ გასაღებს [illegible], რომელიც განურჩევლ[illegible] ერგება...

ბრეჰტი – მხატვარია. სტანისლავსკიც – სხვათა შორის, და არა ვიღაც ახირებული მოხუცი, რომელიც კარგი ტონის ოდესღაც არსებული წესებით გვაბეზრებს თავს. ეს არის ორი ნაკადი, რომელიც შემოქმედების დიდ მდინარეს უერთდება. დღეს ისინი ერთმანეთის გარეშე ხრიოკი უდაბნოა. ამ უდაბნოში ეკალ-ბარდი იწყებს მომრავლებას. მსახიობის რიგიანი თამაში კი თითქმის გაქრობის გზაზეა" (იქვე, გვ. 200).

„ახლა თეატრი უფრო გონებისმიერი, ცივი გახდა, თითქოს მას ცხელი სისხლი გამოაცალესო. არადა, ემოცია და სიტყვაგამოცლილი თეატრი ვის რა ეშმაკად უნდა?!... ინტელექტუალურმა თეატრმა უფრო გონებისმიერ განსჯას მიგვაჩვია, თანაგრძნობისა და სიხარულის განცდა დაგვაკარგვინა" (იქვე, გვ. 207).

ეს ფიქრები ცნობილი გახდა იმ მასალის წყალობით, მიხეილ თუმანიშვილის არქივში რომ ინახებოდა და გათვალისწინებული იყო მესამე წიგნისათვის. მასალის წიგნად ქცევა მან ვერ მოასწრო. როგორც მასალათა კრებული, ის გამოიცა 1998 წელს თვით ავტორის მიერ უკვე გათვალისწინებული სათაურით „ახლა კი, ფარდა...", მაგრამ მანამდე, ჯერ კიდევ მის სიცოცხლეში, ამ შინაარსის ფიქრები ვრცლად გამოქვეყნდა გაზ. „თბილისში" თამარ ჩიქოვანისთვის მიცემულ ინტერვიუში. ეს ინტერვიუ ბოლოსთვის მოვიტოვეთ, რადგან მის სიცოცხლეში იყო გამოქვეყნებული 1991 წლის 5 თებერვალს. 6 თებერვალს მას 70 წელი უსრულდებოდა. მაშ ასე – ფიქრობს 70 წლის მიხეილ თუმანიშვილი –

**„თამარ ჩიქოვანი** – რატომ მოაკლდა მაყურებელი თეატრს?

**მიხეილ თუმანიშვილი** – ალბათ, აღარ აინტერესებს... მაინც მგონია, რომ ამ ეტაპზე რეჟისორული თეატრის მთელი არსენალი უკვე ამოიწურა და დროა საჭირო, რომ კვლავ ახალი იდეები დაგროვდეს.

რაც უფრო სავალალოა, ძალიან დადაბლდა მსახიობის პროფესიული დონე, არა მხოლოდ საქართველოში, რუსეთშიც, საზღვარგარეთაც... ადრე ჩვენ დავდიოდით თეატრში, რადგან გვაინტერესებდა, როგორ თამაშობს სესილია თაყაიშვილი, აკაკი ხორავა, ვერიკო ანჯაფარიძე, სერგო ზაქარიაძე... ყოველ მსახიობს ჰქონდა თავისი საიდუმლო, განსაკუთრებული ხასიათი, მუშაობის სტილი.

ახლა თეატრში დადიან, რომ ნახონ როგორ დგამს თუმანიშვილი, სტურუა, ჩხეიძე... როგორ დადგამს და არა რას დად-

გმას. არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს რეჟისორული ფორმები და ძიებები არ უნდა იყოს, მაგრამ თვითონ მსახიობი აღარ მუშაობს ხოლმე ისე, როგორც ადრე მუშაობდა...

**თამარ ჩიქოვანი** – რა მისია აკისრია თეატრს?

**მიხეილ თუმანიშვილი** – მხატვრული, თეატრალური ხერხებით თქვას თავისი სათქმელი, დროის სათქმელი, თაობის სათქმელი.

თეატრი არის იმის ანარეკლი, რაც თეატრის კედლებს გარეთ ხდება... მიმაჩნია, რომ თეატრის მისიაა მიანიჭოს ადამიანს, საზოგადოებას სიხარული. თეატრში უნდა რაღაც გამეხარდეს, მივიღო დადებითი ემოცია, იმედი, სიკეთე, სიყვარული.

ვერასდროს დავეთანხმები პოზიციას, რომ თეატრმა უნდა უჩვენოს ცუდი, ყველაფერი შავი ფერით დახატოს... თეატრმა უნდა იქადაგოს, რომ სიყვარული, სიკეთეა ყველაფერი, რომ სიცოცხლე არაჩვეულებრივია, რომ ადამიანებს ერთმანეთი უნდა უყვარდეთ... თეატრიდან ადამიანი გალამაზებული, კეთილი, დამშვიდებული უნდა წავიდეს...

ჩემი თაობის მსახიობებმა, რეჟისორებმა, მხატვრებმა მაინც შეძლეს თავის თაობაზე გავლენის მოხდენა.

ხშირად ვფიქრობ – მხატვრისგან, კომპოზიტორისგან ან მოქანდაკისაგან რჩება მისი ნაწარმოებები, თეატრის რეჟისორისაგან თითქოსდა არაფერი, მაგრამ მისი თაობის მეხსიერებაში მაინც რაღაც რჩება.

**თამარ ჩიქოვანი** – ალბათ, ჩვენ დროში არც ფანატიკოსობაა ადვილი?

**მიხეილ თუმანიშვილი** – კინომსახიობთა თეატრის მაგალითზე ვიტყვი. როცა შეიქმნა ეს თეატრი, ყველა მსახიობი მოითხოვდა საინტერესო ვარჯიშებს, საინტერესო სპექტაკლებს, ყველა დილიდან საღამომდე იყო თეატრში, რადგან სხვაგან წასასვლელი არ ჰქონდათ. ეს იყო ადგილი, სადაც ყველას ერთად უნდოდა ყოფნა.

ახლა ყველას გაუჩნდა რაღაც საქმე – ოჯახი, მანქანა, კინო, რადიო, შვილი, ბაზარი... და მსახიობი თეატრში მოდის დაღლილი, შენუხებული, ნერვებაშლილი. და ამ დროს მე მოვითხოვ ვარჯიშებს და ეტიუდებს. რეჟიმში რომ იყო, ყველაფერს უნდა გამოეთიშო. აი, მაშინ შეიძლება მოხდეს სასწაული სცენაზე და მაყურებელი მოწმე იქნება იმ სასწაულისა. თუ სასწაული არ ხდება, თეატრი არ მაინტერესებს".

კიდევ არაერთ სხვა თეატრალურ პრობლემას დასტრიალებდა მიხეილ თუმანიშვილის ფიქრი, მათ შორის ისეთ მნიშვნელოვანს, როგორიცაა სათეატრო განათლებისა და თეატრის ეროვნულობის პრობლემა. ამჯერად მკითხველის ყურადღება მივაპყროთ იმ პრობლემათა შესახებ მის ნააზრევს, რომლებიც სათეატრო ხელოვნების უმთავრეს შემადგენელ ნაწილებს ეხება. როცა მის მიერ გააზრებული ყველა პრობლემა იქნება შესწავლილი, ნათელი გახდება, რომ მიხეილ თუმანიშვილი მუდმივ ქმნადობის ჟინით შეპყრობილი ხელოვანი იყო. მაშასადამე, თეატრზე განუწყვეტელი ფიქრით, რადგან თეატრი იყო მისი ყველაზე ძვირფასი საგონებელი, სადარდებელი და საზრუნავი.

ადამიანი განუწყვეტლივ ფიქრობს. მით უფრო, შემოქმედი – ახალი მხატვრული სინამდვილის მთხზველი. მხატვრული ნაწარმოები აზრითაა შეთხზული. ამიტომ მასთან შეხვედრა, განცდასთან ერთად, ფიქრსაც აღძრავს აუცილებლად. გავიხსენოთ მაყურებლად ქცევის ჩვენი წუთები: დაიწყო წარმოდგენა და მე ვიწყებ ფიქრს. რაზე? – იმაზე, რაც ხდება სცენაზე მყოფ ადამიანთა ცხოვრებაში. დასრულდა წარმოდგენა. განვშორდი ამ მხატვრულ ქმნილებას. მივდივარ თეატრიდან და ისევ ვფიქრობ. რაზე? – იმაზე, რაზეც სპექტაკლი მიამბობდა...

მაშ ასე, ჯერ ვუცქერ და განვიცდი იმას, რაც სცენაზე ხდება. შემდეგ განცდილი ამაღლდება იმის გააზრებამდე, რაც განვიცადე ამ მხატვრულ ქმნილებასთან ცოცხალ კონტაქტში, რომელშიც მე აქტიურად ვიყავი ჩართული. ეს ბუნებრივია, რადგან ემოციურად შინაარსიანი კონტაქტი ვიღაცის ფიქრის შედეგია. იმის ფიქრისა, ვინც თავისი ნააზრევის ჩემთვის გაზიარება ისურვა. ამ შემთხვევაში, მწერლისა და მისი ნაწარმოების მოქმედ პირთა გამაცოცხლებელ სცენის ხელოვანთა. ცხოვრებაზე მათ ჩამაფიქრეს. მათ აღძრეს ჩემში ის, რაც ყველაზე იდუმალი და პირადულია, მხოლოდ ჩემი კუთვნილებაა – ფიქრი. მინდა გავამხელ, მინდა – არა!

მიხეილ თუმანიშვილმა იცოდა ფიქრის ფასი და, მართლაც, განუწყვეტლივ ფიქრობდა. მით უფრო, რომ თეორიული გააზრების გარეშე პრაქტიკა უსუსურია. თეორიული გააზრებაა ის გზა, ახალ კანონზომიერებათა აღმოჩენისაკენ რომ მიემართება, მაშასადამე, შემოქმედებით შესაძლებლობათა გაღრმავება-გამდიდრებისაკენ. მისთვის კი შემოქმედება უდიდესი მნიშვნელობის შინაარსის მქონე მოღვაწეობა იყო. დანიშნულება, რომელიც ხორციელდება სცენაზე მყოფი ადამიანების განუწყვეტელი ბრძოლით მათი მასულდგმულებელი სურვილებისა და მიზნების განხორციელებისათვის.

ამასთან ერთდროულად, ასევე განუწყვეტლივ, მთელი წარმოდგენის განმავლო-

ბაში, სცენაზე მყოფნი იმისთვისაც იბრძვიან, რომ მაყურებლის ყურადღება ყოველ წამს მათ ეკუთვნოდეს. მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეუძლია თეატრს აიყვანოს მაყურებელი მაღალი კატეგორიის ტალღაზე, აამოძრაოს მისი საუკეთესო ადამიანური თვისებები და გაუძლევს მას სულიერი სრულყოფისაკენ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ფიქრი მისი სიღრმისკენაა მიმართული, იმისკენ, რაც რთულია და ძნელად მისაგნები, რადგან ზედაპირზე არ დევს, არ ჩანს. მიუხედავად ამისა, მაინც ისაა ყველაფრის წარმმართველი.

ჰქონდა განსაცვიფრებელი უნარი მოვლენის ხილული ზედაპირის ქვეშ ადამიანთა რთული კავშირების აღმოჩენისა. ფსიქოლოგიც იყო და მხატვრული ფორმის ოსტატიც. ეს იყო იმის მიზეზი, რომ მისმა სპექტაკლებმა დიდად განაპირობა მთელი თეატრალური თაობის შემოქმედებითი პრინციპები და ესთეტიკა. დააკვირდით, დღესაც როგორი აღტაცებით იხსენებენ მის სპექტაკლებს იმ დროის მაყურებლები. ალარარსებულ სცენურ ქმნილებათა სიცოცხლის რა საოცარი სახეობაა!

მიხეილ თუმანიშვილის შეხედულებები სათეატრო ხელოვნებაზე ყალიბდებოდა ე. წ. „რკინის ფარდის" პირობებში. ამიტომ უცხო გავლენა მხოლოდ ბოლო წლებში იყო შესაძლებელი, როცა საბჭოეთის ხელოვანთათვის ცნობილი გახდა ჟან ვილარის, ჟან ლუი ბაროს, ბერტოლდ ბრეჰტის, პიტერ ბრუკის, ჯორჯო სტრელერის და სხვათა შემოქმედება. ყველას ნააზრევს იცნობდა, ხშირად მოიხსენიებს კიდეც მათ, მაგრამ უმთავრესი მისთვის მაინც პრაქტიკაში ნამოქრილი უცნობის საკუთარი ძალით ამოხსნა იყო. ალბათ იმიტომ, რომ უცნობი არა მარტო აინტერესებდა, არამედ ძალიან აღელვებდა. სასცენო ხელოვნებაზე მისი ფიქრიც ემოციური იყო. ხომ ვნახეთ, 70 წელს განშორებული რეჟისორი როგორ განიცდის სცენაზე რომანტიკულის ანუ არაჩვეულებრივის ნაკლებობას! და რა არის სიყვარულზე მეტად არაჩვეულებრივი? სწორედ იმ წელს წერდა ასე, სამოცდაათი რომ შეუსრულდა:

„თეატრი — ეს რაღაც უნიკალური და განსაცვიფრებელია! ვერ წარმომიდგენია ჩემი ცხოვრება უთეატროდ, ისევე, როგორც მზისა და ჰაერის, წყაროს რაკრაკის და ვარსკვლავებით მოჭედილი ცის გარეშე, როგორც ნაწვიმარზე გამობრწყინებული ცისარტყელისა და აყვავებული ხეების გარეშე. მე მთელი არსებით მიყვარს თეატრი. მიყვარს ისევე, როგორც სიცოცხლე.

მე არ შემიძლია სიცოცხლე თეატრის გარეშე! ის მიყვარს პრემიერის დღეებში, მორთულ-მოკაზმული, გაბრწყინებული რომ ეგებება სტუმრებს. მიყვარს მაშინაც, როცა ჰაერში მარცხის სუნი ტრიალებს, როცა ის უფერულია, ჩამკვდარი, თითქოს დამნაშავეაო, მიყუჩებული და გარინდებული. მიყვარს მაშინაც, როცა დარბაზში უფრო ნაკლებია ხალხი, ვიდრე სცენაზე. მიყვარს თეატრი ღამით, როდესაც წარმოდგენის შემდეგ შეიძლება წყნარად იჯდე მოხერხებულად სავარძელში და მღელვარებით უცქერდე ჩაბნელებულ სცენას, ერთი მორიგე ნათურა რომ ანათებს. მიყვარს უზარმაზარი ცარიელი სცენა და მასზე მარტოხელა მეხანძრე, ვერაფრით რომ ვერ გაუგია, რატომ არ მივდივარ სახლში! მიყვარს ღამით მიყუჩებული ლიტავრების და კონტრაბასების — საორკესტრო ორმოების და ამ მუდმივი მობინადრეების — ცქერა (ისინი ხომ ქარაფშუტა ვიოლინოების მსგავსად, შინ არასოდეს მიდიან!).

... მიყვარს გავარვარებული ნათურები, აფიშების შრიალი, თეატრის მუზეუმის სიმყუდროვე. ზოგჯერ მინდა მივეგდო მტვრიან ფარდებზე, დავეშვა ძველი რეკვიზიტის სარდაფებში, ვიბორიალო გარდერობში ტანსაცმელს, ქუდებს, ქოლგებს, მარაოებსა და ფეხსაცმელებს შორის. რას არ ნახავ აქ?! ეს ხომ საოცარი, მშვენიერი სამყაროა!

ამქვეყნად ყველაფერს მირჩევნია თეატრი — მშვენიერი, საყვარელი, საოცრებათა განუმეორებელი სამყარო!".

ყველაფერში, რაც მიხეილ თუმანიშვილს თეატრზე უფიქრია, მისდამი სიყვარულია ჩაღვრილი. სწორედ ეს ამდიდრებს მისი ნაფიქრალის მკითხველს არა მარტო ხელოვნების ცოდნით, არამედ მისი სიყვარულითაც ანუ სულის იმ განსაცვიფრებელი ამაღლებით, რაც მხოლოდ სიკეთის ქმნის სურვილს ბადებს.

ხელოვანის ფიქრს ამის ძალაც აქვს — ადამიანი ხომ ყველაზე მეტად გულწრფელი და გულგახსნილი მაინც თავის ფიქრშია...

იქნებ, სწორედ ფიქრებით ხატავს იგი საკუთარ პორტრეტს?..

ეთერ ლონდარიძე

ბიბლიოთეკა

# ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში

ნიკოლოზ ბარათაშვილის შემოქმედება ფართოდ და მრავალმხრივ აისახა მუსიკალურ ხელოვნებაში, მასვე მიეძღვნა არაერთი სიმღერა, გუნდი, რომანსი, აგრეთვე ოპერა და ორატორია. ნიშანდობლივია ისიც, რომ პოეტის ლექსმა თვით ხალხურ მუსიკაშიც შეაღწია, რაც იშვიათობაა. თანაც, თავდაპირველად სწორედ იქ ჰპოვა გამოძახილი, შემდეგ კი პროფესიულ მუსიკაში გაიდგა ფესვი – ერთსა და იმავე ტექსტზე რამდენიმე ავტორის მუსიკალური ნაწარმოები მოგვეპოვება.

კომპოზიტორთა სწრაფვა მარტოსულის უზადო პოეტური სამყაროსადმი, მისი განსაკუთრებული მწარე ბედითაცაა განპირობებული, რამაც აიძულა ჭაბუკი-ბარათაშვილი მიეტოვებინა სამშობლო და განჯას გადახვეწილიყო (სამუშაოს შოვნის მიზნით), სადაც აღესრულა კიდეც.

მიუხედავად სულით ობლობისა, განუხორციელებელი სურვილებისა და ეროვნული სინამდვილიდან მომდინარი სულიერი ტკივილისა, ბარათაშვილის ლექსებში სოფლის სამდურავთან ერთად ისმის საწუთროსთან, ბედთან ჭიდილიც, იმედგაცრუებაცა და ღრმა რწმენაც, რომანტიკული ლტოლვა, თავისუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა...

ყოველივე, ბუნებრივია, აირეკლა ბარათაშვილის ლექსებზე შექმნილ ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებშიც, რაც კიდევ უფრო გაძლიერებულია მუსიკის ენით – „პოეზიის მგრძნობიარე სიცოცხლით". ამასთანავე, აღინიშნება ჟანრული სიმდიდრე, სტილისტური მრავალფეროვნება, პოეტური და მუსიკალური ტექსტების ორგანული მთლიანობა, ფორმის მასშტაბების გაზრდისკენ, სამნაწილიანობის გარღვევისკენ, არიისა და არიოზულობისკენ სწრაფვა, რადგან მარტივი ორ-სამნაწილიანი და კუპლეტური ფორმები ველარ იტევს ბარათაშვილის სულიერი სამყაროს წარმომსახავ კიდე-განს...

ქართული მუსიკის ბერმუხამ – კომპოზიტორმა ზაქარია ფალიაშვილმა პირველმა მიმართა ნ. ბარათაშვილის პოეზიას პროფესიულ მუსიკაში, ოპერაში „დაისი" (1923 წ.), კიაზოს არიაში – „სულო ბოროტო, რომლის ინტონაციურ წყაროდ გამოყენებულია ამავე სახელწოდების აღმოსავლური შტოს ქართული ქალაქური (ძველი თბილისური) ხალხური სიმღერის თემატური მარცვალი (დამახასიათებელი გადიდებული სეკუნდითა და მელიზმატიკური მელოდიური ხვეულებით), არნახული გარდასახვა-განვითარება რომ განიცადა. არია უბადლოდ გადმოგვცემს ოპერის ერთ-ერთი მთავარი გმირის – კიაზოს სულიერ დრამას, გამოწვეულს რწმენის ნგრევითა და იმედგაცრუებით. მძიმე სულიერი განწყობილება, გარდა ჰანგისა, ხაზგასმულია ინსტრუმენტულ თანხლებაშიც -- ორკესტრში მოცემული კვნესისმაგვარი დაღმავალი სვლის სეკუნდური გადაძახილებით, ოსტინატური პრინციპით წითელ ზოლად რომ გასდევს მთელ არიას. ამასთანავე, პოეტური ტექსტიდან გამომდინარე, შეიგრძნობა შინაგანი სითბო და ვაჟკაცური სულიც. ორი გენიალური ხელოვანის – ბარათაშვილისა და ფალიაშვილის შემოქმედებითი შეხვედრა გამარჯვებით დაგვირგვინდა – კომპოზიტორმა კიაზოს არიის სახით ერთგვარი ძეგლი დაუდგა პოეტს, ხალხურ წყაროს კი მარადიული სიცოცხლე მიანიჭა.

ზ. ფალიაშვილის გარდა, „ქართველი ბაირონის" შემოქმედებას უფროსი თაობის კომპოზიტორთაგან დიმიტრი არაყიშვილმაც მიმართა – დაწერა რომანსი „საყურე", ორი ხმისათვის (ფორტეპიანოს თანხლებით), დაამუშავა ქართული ქალაქური ხალხური სიმღერა „მორბის არაგვი", ბარათაშვილის პოემის ტექსტზე – „ბედი ქართლისა".

ამავე სიტყვებზე სიმღერა დაწერა ნიკო შარაბიძემ („არაგვი"), ხოლო ნიკოლოზ გუდიაშვილმა – აკაპელა გუნდი; მანვე დაამუშავა ქართული ქალაქური ხალხური სიმღერა „ფიქრნი მტკვრის პირას", ბარათაშვილისავე ლექსზე. აღნიშნული ხალხური წყარო – „მორბის არაგვი", „ფიქრნი მტკვრის პირას" (განსხვავებით ხალხური „სულო ბოროტოსაგან"), დასავლურ შტოს ქალაქურ ხალხურ სიმღერებს მიეკუთვნება, დამახასიათებელი ტონიკა-დომინანტური ფუნქციებითა და მაღალ (I-II) ხმებს შორის ტერციული კავშირებით, რამაც ასახვა ჰპოვა კომპოზიტორთა ზემოდასახელებულ სიმღერათა დამუშავებაშიც. ყოველივე ამასთან ერთად, გუდიაშვილისეულ ვარიანტში აღინიშნება კომპაქტური (მსუყე) ჟღერადობა – საგუნდო ფაქტურით განპირობებული, ასევე გულჩათხრობილი სევდის იერი, სიდინჯე, სიდარბაისლე და სიღრმე, რადგან იგი პოეტის ფილოსოფიურ ხედვას ეთმობა, ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობას რომ იძენს:

**„მაგრამ რადგანაც კაცნი გქვიან, შვილნი სოფლისა,**
**უნდა კიდევაც მივსდიოთ მას, გვესმას მშობლისა.**
**არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,**
**იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს".**

ამავე ლექსზე სიმფონია №2 „ვოკალური" დაწერა რევაზ გაბიჩვაძემ.

ნ. ბარათაშვილის ლექსის „მსოფლმხედველობრივი კონცეფცია განფენილია პოეტის მთელ ლირიკაში. „ალუვსებელი სანყაულის" სახე თავისებურ შუქს ჰფენს როგორც პოეტის ინტიმურ ლირიკას, ისე მოქალაქეობრივი შინაარსის ლექსებს". ამ მხრივ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ლექსი „ჩონგურს", რომლის მიხედვით ამავე სახელწოდების სიმღერები შექმნეს ალექსი მაჭავარიანმა, არჩილ ჩიმაკაძემ და ვაჟა აზარაშვილმა, ჩონგური აქ გაიგივებულია სამშობლოს მხატვრულ სახესთან: „ჰოი, ჩონგურო, ნეტავი ოდეს ხმა მხიარული შენგან მესმოდეს, რომ უკუმყრიდეს მე სევდიანსა გონისა სენი"... დიდი ემოციური ძალის მქონე თემა-მელოდია მთელი სისავსით გვაგრძნობინებს ტატო ბარათაშვილის სულიერ განწყობილებას, მის განცდებს, ოცნებას საქართველოს უკეთეს მერმისზე, სამშობლოზე, სალოცავ ხატად რომ მიუჩნევია. შესაბამისად ვოკალი განიცდის ემოციურ და დრამატურგიულ დატვირთვას. ბუნებრივია, აღინიშნება კომპოზიტორთა ინდივიდუალური მიდგომაც პოეტური სიტყვისადმი: მაჭავარიანთან იგი ეროვნული და თანამედროვე მუსიკის სიახლეთა თავისებური, ორიგინალური შერწყმით აჟღერდა, სადაც ხალხური თქმა (რეჩიტაცია) და ვოკალის რთული ინტონაციური სიმდიდრე ორგანულად ერწყმის ერთმანეთს; ჩიმაკაძესთან – ეროვნულისა და კლასიკურის სინთეზს ემყარება, მღერადი საწყისის პრიორიტეტით; აზარაშვილთან კი – ეროვნულის, კლასიკურისა და თანამედროვე მუსიკალური ენის შერწყმას. შეინიშნება ფორმის მასშტაბების გაზრდისკენ სწრაფვაც, თავშეკავებული ლირიკისა და დრამატიზმის, კანტილენისა და რეჩიტაციის ურთიერთმონაცვლეობა. ნანარმოებთა ეროვნული კოლორიტი გაძლიერებულია ინსტრუმენტულ თანხლებაში ხალხური საკრავის – ჩონგურის ჟღერადობის იმიტაციით, მისთვის დამახასიათებელი აკორდიკითა და რიტმებით, რაც თვით პოეტური წყაროთია ნაკარნახევი.

სინამდვილის ტრაგიკული განცდა, ასახული პოეტის ლექსში „ცრუო სოფელო", ნარმოჩენილია გრიგოლ კოკელაძის, გივი ციციშვილისა და ალექსანდრე შავერზაშვილის ამავე სახელწოდების რომანსებში, რაც შესაბამისად ხაზგასმულია თემატური მასალით, პირქუში აკორდული ფაქტურით, წყვეტილი რიტმული პულსით და საერთო განწყობილებით – ამ განცდის გადმოცემას რომ ემსახურება.

სინამდვილესთან შეხლა, ბრძოლა „შავ ყორანთან", კამათი „იდუმალ ხმასთან", ესოდენ დამახასიათებელი ბარათაშვილისათვის, თავის საბოლოო გადაწყვეტას „მერანში" პოვებს. ამ პოეტურ შედევრებს არაერთმა კომპოზიტორმა მიმართა. კერძოდ, „ხმა იდუმალს" – ალექსი მაჭავარიანმა, ოთარ თაქთაქიშვილმა, მერაბ გაგნიძემ, ალექსანდრე შავერზაშვილმა.

ა. მაჭავარიანის რომანსი „ხმა იდუმალი" კომპოზიტორის ვოკალური ციკლის ერთ-ერთი ნანილია. მასში ასახულია ბარათაშვილის ლტოლვა სამოქმედო ასპარეზისაკენ, გამჟღავნებულია პოეტის შემოქმედებითი მონოდგება, უზღვავი ენერგიის გამოხატულება, რომელიც მის სულში იყო დაგროვილი და თავის გამოსავალს ეძებდა... ამით არის განპირობებული ამ ლექსის ნაღვლიანი, მინორული ჟღერადობა", რამაც მინორულ ტონალობაშივე ჰპოვა მუსიკალური განსხეულება. ამიტომ აღინიშნება მათში ჭარბი ქრომატიზმი, პირქუში აკორდული შეხამებები (გაძნელებულია ტონალობის დადგენაც), გამძაფრებულია დრამატული საწყისი...

**„ვისი ხმა არის ეს იდუმალი?..**
**რად აქვს გულს ესე მწარე ნაღველი?.."**

არაერთგზის კითხულობს პოეტი, რადგან ეს „ხმა საკვირველი" დროდადრო რომ ჩაესმის და აფორიაქებს, ამოქმედებს კიდეც და უფრო აღაგზნებს მის ისედაც მგზნებარე სულიერებას... შესაბამისად მუსიკა აღსავსეა ფარული საგანგაშო ხასიათით, საიდუმლო განწყობით, იდუმალებით, რაც მიღწეულია ერთიდაიგივე თემა-მონაკვეთის ანტიფონური გატარებით (ოსტინატურ პრინციპს რომ ემყარება). ამით ხაზგასმულია „იდუმალი ხმის" შეგრძნება, შინაგანი განგაშის ასოციაცია...

ა. მაჭავარიანის ზემოაღნიშნულ ვოკალურ ციკლში, „ხმა იდუმალის" გარდა, შედის „სული ობოლი", „ჩონგურს", „საყურე", „თავად ბარათაშვილის აზარფეშაზედ" და „ცისა ფერს". ეს უკანასკნელი კომპოზიტორის მიერ 1947 წელსაა შექმნილი შ. რუსთაველის სახელობის თეატრის სპექტაკლისათვის – „ნიკოლოზ ბარათაშვილი". იგი გამორჩეულია როგორც ბარათაშვილის, ისე მაჭავარიანის შემოქმედებაში, და საერთოდ მთელ ქართულ პოეტურ და მუსიკალურ სატრფიალო ლირიკაში. იგივე ითქმის პოეტის ლექსზე აღმოცენებულ ა. ჩიმაკაძის რომანსზე „შენი დალალნი". ორივე ეროვნული ვოკალური ლირიკის კლასიკური ნიმუშია, ჟანრის შედევრი; მათში ჭეშმარიტი ოსტატობითაა მუსიკა და პოეზია შერწყმულ-შედუღაბებული. გვხიბლავს ნანარმოებთა სულიერი სიფაქიზე, მდიდარი შინაგანი ბუნება, რომანტიკულ განცდათა აღზევება... ფაქიზი ლირიზმიდან – განცდათა აღტკინებამდე – ასეთია ამ რომანსების მხატვრული სამყარო, პოეტურ-მუსიკალური განსხეულება. დიახ, მათ ბევრი აქვთ საერთო, „ნათესაური". ეს ეხება ხასიათსა და ჰარმონიულ ერთიანობას, მელოსის სინმინდეს, ჰაეროვნებას, აზრის ათრთოლებულ დინებას, მუსიკის სუნთქვას, ლაკონიზმს, ფაქტურის სიძუნწეს, რაც პირველქმნილ ფერთა გამით აღავსებს, ქალური სინაზითა და კდემამოსილებით მსჭვალავს. აკი ქალს – გენიალური ბარათაშვილის სანუკვარ არსებას, ღვთაებრივი სილამაზის ეკატერინე ჭავჭავაძეს უძღვნა ისინი პოეტმა. „ცისა ფერს" უფრო მეოცნებეა, ელეგიური; „შენი დალალნი" კი – ლირიკულ-დრამატული,

თუმც ორივე უტყუარი პოეტური შთაგონებით აღსავსე იშვიათი ნიმუშია, ჭეშმარიტი სიყვარულის გრძნობის უზადო გამომხატველი. „ცისა ფერს" ორიგინალურია მეტრული თვალსაზრისითაც – გამოყენებულია 5 3 4 ზომა, რაც ქმნის მუსიკალური აზრის დინების აქტივობას. 5 3 4 ზომა რამდენადმე თიშავს კვადრატულობას და შინაგანი მღელვარებით მსჭვალავს ვოკალს, მუსიკას კი უწყვეტ განვითარებას ანიჭებს. რომანსების შუა ნაწილები (დაწერილია სამნაწილიანი ფორმით) ერთობ დაძაბულია, დრამატიზებული, სწრაფვითი – მუსიკა დაუოკებელი ენერგიით ძალუმად მოჩქეფს. რეპრიზა (III ნაწილი) კვლავ საწყის მუსიკალურ მასალათა მშვიდ დინებას ემყარება – პოეტური თემა-მელოდია ზეციურ, პირველადქმნილ ფერთა სივრცეში იკარგება...

**„შენი დალალნი მექმნენ მფარველად..."**

**„ცისა ფერს, ლურჯსა ფერს,**

**პირველადქმნილსა ფერს"**

და არ ამქვეყნიურს სიყრმითგან ვეტრფოდი..." – ერთხელ კიდევ გაიჟღერებს რომანსების დასკვნით ტაქტებში ზეპოეტური თემა-მელოდიები და ნაწარმოებებიც მთავრდება.

განსხვავებით „ცისა ფერისგან", მაჭავარიანის ვოკალურ ციკლში შემავალი დანარჩენი ხუთი რომანსი ლირიკულ-ფსიქოლოგიურია, დაწერილია თანამედროვე მუსიკალური ენით, კომპოზიტორის მუსიკალური ლექსიკა აქ გამძაფრებულია – მიმართავს რეჩიტაციას, ქრომატიზმს, ქრომატულ გამასაც კი (რაც იშვიათობაა საერთოდ) რომანსში – „საყურე"; ასევე მელიზმატიკას, კლასტერს, აქცენტებს, მუსიკალური მასალის სეკვენციურ განვითარებას. ადგილი აქვს თავშეკავებული ლირიკის, დრამატიზებული რეჩიტატივისა და ვოკალის რთული ინტონაციური სიმდიდრის შერწყმას, რითაც ერთგვარად ვაჟა-ფშაველას სიტყვებზე შექმნილ ამავე ავტორის ვოკალურ-სიმფონიური ციკლის – „ხუთი მონოლოგის" ხაზს აგრძელებს, ნაწარმოებისა, რომელიც ახალი მიღწევაა ქართულ პროფესიულ მუსიკაში, მუსიკალური ენის განახლებისა და გამდიდრების საინტერესო მაგალითია. „ბუნების მგოსნის" პოეტური სტრიქონები აქ თანამედროვე მუსიკალური ენისა და აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოს უაღრესად თავისებური შერწყმით ახმიანდა, რითაც კომპოზიტორმა შექმნა სრულიად ახალი მუსიკალური მეტყველება – ერთი მხრივ გაღრმავდა ეროვნული საწყისი, მეორე მხრივ უფრო ზოგადი, ფართო, მასშტაბური გახდა მუსიკალური აზროვნება და მეტყველების ფორმა.

სიყვარულის მარადიულობის გრძნობას ბარათაშვილის არაერთი ლექსი მიეძღვნა. პოეტს ამ გრძნობისადმი საკუთარი აზრი გააჩნია – სასიყვარულო ნეტარება მხოლოდ მონათესავე, ამაღლებულ სულთან შეერთებით მიიღწევა. – „თვით უკვდავება მშვენიერსა სულში მდგომარებს!" – აცხადებს იგი და მყარად დგას ამ აზრზე, „არ სდევს ჟამთაცვლას..." ეს ზეამაღლებული დამოკიდებულება და მოწიწება სიყვარულისადმი აშკარაა პოეტის ლექსზე შექმნილ სულხან ცინცაძისა და გივი ციციშვილის რომანსებშიც – „ეკატერინე ჭავაჭავაძე":

**„ხმით მშვენიერით,**
**ტკბილი სიმღერით,**
**ჰაეროვანო, სულს ელხინები!**
**სადც ხარ იმ არეს**
**მოჰფენ სიამეს,**
**უშენოდ მოსცდეს მხიარულება!**
**შენი ენითა,**
**სავსე ლხენითა,**
**ვინ არა იგრძნოს გულკეთილობა!**
**მახსოვს სიამით,**
**ოდეს ტკბილი ხმით**
**ვარდსა და ბულბულს მოელხინარე,**
**პირმცინარითა, სინარნარითა**
**მგოსნის ყარიბ გულს ესხივმფინარე!.."**

პოეტური ტექსტიდან გამომდინარე, რომანსების თემატური მელოდია აღსავსეა ლირიკული სითბოთი და სინატიფით, ათრთოლებული ღაღადისით... ერთსა და იმავე სიტყვებზე დამყარებული ინტონაციების მრავალგზის განმეორებით („ჰაეროვანო, ჰაეროვანო"...) კი განმტკიცებულია ნაწარმოების დედააზრი, იგივეა პოეტის ტრფიალის ერთგვარი დახასიათებაც. რომანსებში აშკარაა არიოზულობისაკენ, ფორმის მასშტაბების გაზრდისაკენ, სამნაწილიანობის გარღვევისაკენ სწრაფვაც.

ნ. ბარათაშვილის ლექსი „შევიშრობ ცრემლსა" მუსიკის ენით ამეტყველდა ია კარგარეთელის, სანდრო მირიანაშვილისა და არჩილ ჩიმაკაძის მიერ. ლექსში ნატიფი პოეტური სტრიქონებით მოცემული ფიქრები სამშობლოსა და სათაყვანებელ არსებაზე, ბარათაშვილს სალოცავ ხატად რომ მიუჩნევია, სიცოცხლის ჩამავალი სხივებით იმოსება: მძიმე სულიერი განწყობილება, ფარული გრძნობის მთელი სიმშვენიერე, ანარეკლი თვით პოეტის შინაგანი სამყაროსი, ღრმადშესატყვის მუსიკალურ ხორცშესხმას პოვებს – მუსიკა აღსავსეა სევდით, შინაგანი დაძაბულობით, რომანტიკული მგრძნობიარობით; ეროვნული ჰარმონიული საფუძველი ხაზგასმულია პარალელური კვინტებით, კლასიკური მაჟორ-მინორის ხალხურ კილოებთან მონაცვლეობით, ეროვნული კოლორიტის შემქმნელი აკორდების – კვარტკვინტაკორდების გამოყენებით. ამასთანავე, მირიანაშვილის სიმღერაში აღმოსავლური კოლორიტიც, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავისებური სურნელებაც ისმის, რაც სრულებითაც არ არღვევს მის ქართულ ბუნებას, არამედ კომპოზიტორის საკუთარ ხელწერაზე მეტყველებს, მისი ხელწერიდან მოდის.

ნ. ბარათაშვილის ლექსებს („ხმა იდუმალი", „საყურე", „როს ბედნიერ ვარ", „ცისა ფერს",

„მერანი") მიმართა აგრეთვე ალექსანდრე შავერზაშვილმა ვოკალურ-სიმფონიურ ციკლში – „ხმა იდუმალი". განკუთვნილია ორი ხმისთვის, სადაც სოპრანო პოეტის „შინაგანი ხმაა", ბანი კი – ბარათაშვილის მხატვრული სახე. ჩვენს თვალწინ ცოცხლდება პოეტის მეოცნებე, მშფოთვარე სულიერი სამყარო – გასაუბრებაა „იდუმალ ხმასთან", თან რომ „სდევს ყოველთა მისთა ზრახვათა და საწადელთა". ამიტომაც ციკლში ურთიერთმონაცვლეობს ლირიკა და დაუოკებელი მგზნებარება – ესოდენ დამახასიათებელი ბარათაშვილის შემოქმედებითი ბუნებისათვის. ამიტომაც ციკლში დინამიკური ნიუანსების და კილო-ტემბრების დაპირისპირების სიჭარბეა. და მაინც, ამ მხრივ ციკლიდან განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ „ხმა იდუმალი" და „მერანი", რაც პოეტური ტექსტიდან მომდინარეობს, პოეტური სიტყვის მუსიკაში გადატანიდან, განსხეულებიდან. ნაწარმოები იწყება და მთავრდება ეკლესიის ზარების რეკვით, რაც გარდა ემოციური მხარისა, ინტონაციური თალის როლსაც ასრულებს, მეტ დრამატურგიულ მთლიანობას ანიჭებს მთელ ციკლს.

ამაღლებული განწყობილებითაა აღსავსე ვაჟა აზარაშვილის სიმღერა „ჩემი ლოცვა", ბარათაშვილის ამავე სახელწოდების ლექსზე. ვოკალის (ჰანგის) ლოცვისმაგვარი, სევდიანი კანტილენა ერთ სუნთქვაზე ვითარდება და დიდი ემოციური ძალით ხსნის ლექსის შინაარსს – მუსიკა ერთსა და იმავე დროს მშვიდიც არის და დაძაბულიც, ლირიკულიც და დრამატულიც, გამსჭვალულია შინაგანი ექსპრესიით.

იგივე აღინიშნება ბიძინა კვერნაძის ამავე სახელწოდების ერთნაწილიან ვოკალურ-სიმფონიურ პოემაში „ჩემი ლოცვა" (შერეული გუნდისა და სიმფონიური ორკესტრისათვის), რომელშიც ქორალური საწყისი კიდევ უფრო გამოკვეთილია გუნდის გამჭვირვალე ხმოვანებით. ვოკალს ორკესტრი ორგანულად ერწყმის და მეტ სითბოსა და გამომსახველობას, ტემბრულ მრავალფეროვნებას ანიჭებს პოემას.

შოთა მილორავას „სიმღერა ბართაშვილზე" (გუნდისთვის, ჩონგურის თანხლებით, ვაჟა-ფშაველას ტექსტზე) პირველი მიმართვაა, ოდა გენიალური პოეტისადმი, მისი დიდებული ქნარისადმი. ამ მარტივი კუპლეტური ფორმის სიმღერაშიც საუცხოოდ გამოიკვეთა კომპოზიტორისათვის დამახასიათებელი მელოდიურობა, ლირიკული ბუნება და ხალასი ეროვნული კოლორიტი, ხაზგასმული ჩონგურის აკომპანემენტით.

ოთარ თაქთაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი" (1970 წ.) პოეტისადმი მიძღვნილი პირველი მსხვილი ფორმის ნაწარმოებია. ემყარება ხუთ ლექსს („ვპოვე ტაძარი", „ხმა იდუმალი", „ალექსანდრე ჭავჭავაძესთან", „შემოღამება მთაწმინდაზე", „მერანი"), ხუთნაწილიანია; უხვადაა დატვირთული ორატორიის მხატვრულ-ემოციური და შინაარსობრივი მხარე. ტექსტის გადმოცემა, თხრობა თვით პოეტის პირით ხდება. ამავე პრინციპს ემყარება თაქთაქიშვილისავე ორატორია „რუსთაველის ნაკვალევზე" (1964 წ.) – მთაგონებული ირაკლი აბაშიძის ბრწყინვალე ლექსთა ციკლით – „პალესტინა, პალესტინა", თუმცა, მათ შორის არის განსხვავებაც – ერთ პარტიტურაში მომღერალთა ორი კოლექტივია – აკადემიური გუნდი და ხალხური ვოკალური ანსამბლი, სადაც სოლისტი-ტენორი ნ. ბარათაშვილის მხატვრულ სახეს წარმოაჩენს, მისი ამაღლებული პოეტური ლირიკის მთელ სიმშვენიერეს.

ორატორია ჟანრობრივად ლირიკულ-დრამატულია; მისი ყოველი ნაწილი შამბეჭდავი და ლაკონურია, აგებულია ისე, რომ თითოეული მათგანი ცალკე დამოუკიდებელ ორგანიზმსაც წარმოადგენს და ერთ მთლიანობასაც; გამოირჩევა ფორმის მასშტაბით, მხატვრულ-ემოციური ტონუსით, საერთო შთანაფიქრის საინტერესო ხორცშესხმით. მუსიკალური დრამატურგია სიმფონიური განვითარების პრინციპს ემყარება. ხშირია კონტრასტები, მოულოდნელი დრამატული დაპირისპირებები, ამაღლებული, ქორალური განწყობილება...

I ნაწილი – „ვპოვე ტაძარი" ექსპოზიციაა, დიალოგიურ პრინციპს ემყარება – გასაუბრება პოეტისა (ტენორი) ხალხთან (გუნდი), იდუმალ ხმასთან (ვოკალური ანსამბლი). ეს უკანასკნელი (იდუმალი ხმა) წარსულის ექოდ აღიქმება და დღევანდელობასთანაც გვაკავშირებს. საგალობლის სტილით, ქორალური ფაქტურის გამოყენებით (I, II ნაწილებში და ეკლესიის ზარების რეკვით – II-IV ნაწილებში) კომპოზიტორი ქმნის ეპიკური თხრობის განწყობას, შეგრძნებას ღალადისისა, ესოდენ შესატყვისს პოეტის მეოცნებე ბუნების, მისი ამაღლებული სულიერების წარმომჩენს.

II ნაწილი – „ხმა იდუმალი" ბარათაშვილის ფილოსოფიურ აზრებს ეთმობა – შეხლაა იდუმალ ხმასთან... ამიტომაც მხატვრული სახეები აქ ფსიქოლოგიზებულია და გაღრმავებული; ორკესტრში ეკლესიის ზარების ჩართვით გაძლიერებულია მუსიკის ემოციური ზემოქმედება.

წარსულის მწარე მოგონებას აცოცხლებს ორატორიის III ნაწილი – „ალექსანდრე ჭავჭავაძესთან". ვალსის რიტმზე დამყარებული თემა (არისტოკრატიული სალონებისათვის დამახასიათებელი კოლორიტით აღსავსე) არ პოვებს განვითარებას, პირიქით, დროდადრო წყდება კიდეც, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ბარათაშვილის მიერ ჭავჭავაძეთა ცნობილ ლიტერატურულ სალონში გატარებულ დღეებს, მისი უიმედო სიყვარულით გამოწვეულ სულიერ ტკივილს.

IV ნაწილი – „შემოღამება მთაწმინდაზე" დიალოგია პოეტისა მის სათაყვანებელ წმინდა მთასთან, ამიტომაც აქ მთაწმინდის პეიზაჟიცაა მოცემული – იდუმალებით, რომანტიკულობით მოცული, ამიტომვე კომპოზიტორი კვლავაც

მიმართავს საგალობლის სტილს, რომელსაც პერიოდულად ენაცვლება კაეშნიანი რომანტიკული თემა-მელოდია (პოეტის მონოლოგი):

> „ჰოი, მთაწმინდავ, მთაო წმინდავ, ადგილნი შენნი
> დამაფიქვრელნი, ვერანანი და უდაბურნი...“

ორატორიის ამ ნანილში (როგორც პოეტურ, ისე მუსიკალურ ტექსტში) ჯერ კიდევ არ იგრძნობა ბედთან, სინამდვილესთან შეხლა, თუმც შებრძოლების სამზადისი უკვე აშკარაა, რაც მთელი ძალით იფეთქებს ორატორიის მომდევნო ნანილში — „მერანი“. სნორედ ესაა ნანარმოების კულმინაციური ცენტრი, მონუმენტური კულმინაცია. სნორედ აქ, მთელი ძალით, როგორც ვულკანური ლავა, ამოხეთქავს ბედთან შეჭიდების დაუოკებელი სტიქია, მუსიკის დრამატული სანყისი... პოეტური სიტყვის მუსიკალური ხორცშესხმისას მთავარი აქცენტი მუსიკალური მასალის გამჭოლ სიმფონიურ განვითარებაზე, აქტიურ ქმედით რიტმზე მოდის, რაც სავსებით კანონზომიერია, რადგან აქ მოცემულია მერანზე ამხედრებული პოეტის დაუოკებელი სნრაფვა თავისუფლებისაკენ, ახალი პროგრესული იდეალებისაკენ... რადგან სნორედ „მერანში“ „ხდება სრული მობილიზება ადამიანიური ნებისყოფის, შემართების, გამბედაობის და განნირულის სულის კვეთების...“

> „მიჰქრის, მიმაფრენს, უგზო-უკვლოდ ჩემი მერანი,
> უკან მომჩხავის თვალბედითი შავი ყორანი,
> გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი,
> და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი...
> ..................................................
> ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირულის სულისკვეთება
> და გზა უვალი შენგან თელილი, მერანო, ჩემო, მაინც დარჩება.
> და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს
> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი თავის ბედის წინ გამოუქროლდეს!“

ამ უკიდეგანო დაუოკებელი ქროლვის, ზღაპრული ცხენის ჭენების ნარმოსახვის მიზნით კომპოზიტორი ბგერნერით ელემენტებსაც იყენებს — სახასიათო ქმედითი რიტმებითა და სინკოპირებული ბიძგებით მერნის ქროლვის რეალურ სურათს ქმნის. უსნრაფეს მუსიკალურ მასალას დროდადრო ენაცვლება ნელი ეპიზოდები — სევდიანი, მეამბოხე თუ მებრძოლი ხასიათისა, რაც დასასრულს ოპტიმისტურ სახეს იღებს.

ო. თაქთაქიშვილის ორატორია „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ ჟანრის საყურადღებო ნიმუშია, კარგად ნარმოაჩენს პოეტის მდიდარ სულიერ სამყაროს, მის უზადო შემოქმედებას.

როგორც უკე აღვნიშნეთ, ბარათაშვილს მიეძღვნა მონუმენტური ფორმის ქმნილებაც — ოპერა. მხედველობაში გვაქვს ფელიქს ღლონტის „იბერიელები“ („ნიკოლოზ ბართაშვილი“), რომელიც სცენური ხორცშესხმის მოლოდინშია. ნანარმოები აღბეჭდილია მუსიკალური ენის სიმდიდრით, საოპერო დრამატურგიის ახალი ტიპით. ოპერაში პოეტის მხატვრული სახე, მისი პიროვნება ნაჩვენებია მრავალგვარ ვითარებაში: ბედთან, საყვარელ არსებასთან, სამყაროსთან, ერის ისტორიასთან, „იდუმალ ხმასთან“, დამოკიდებულებაში... გრძნობათა გამოხატვის უმთავრესი საშუალება აქაც მელოდიაა, ოღონდ უკვე საოპერო ფორმებში (არია, დუეტი, კვარტეტი...) ნარმოდგენილი.

„იბერიელები“ საუკეთესო მაგალითია კომპოზიტორის ორიგინალური ხელნერისა, მისი სტილისა, თავისებური მსოფლგანცდის, სიმფონიური აზროვნების... ღლონტი სიმფონიურად მოაზროვნე ხელოვანია, მის შესახებაც თამამად შეიძლება ითქვას ბორის ასაფიევის საკმაოდ გახმაურებული სიტყვები: „... მუსიკაში კომპოზიტორმა სინამდვილისადმი თავისი დამოკიდებულება და ამდენად, საკუთარი თავიც უნდა აჩვენოს. აქ ვერსად დაიმალები, ეს ფორმა (სიმფონია — ე.ლ.) არ დაუშვებს სიყალბეს, რადგან მასში ისე მკაცრად და ბრძნულად მოქმედებს დიალექტიკის კანონები, რაც უცილობლად უზრუნველყოფს კომპოზიტორი-სიმფონისტის ანუ კომპოზიტორი-მოაზროვნის ცნობიერებას...“ ჭეშმარიტად!.. კომპოზიტორი-მოაზროვნე, კომპოზიტორი-სიმფონისტი საჭიროა ბარათაშვილის პოეზიის მუსიკაში, განსაკუთრებით საოპერო ჟანრში გადასატანად. ფ. ღლონტის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან შეძლო მოენახა ბარათაშვილის ქმნილებათა უაღრესად შესატყვისი მუსიკალური ექვივალენტი, მისი შესაბამისი მხატვრული სახეები. ოპერა სიმფონიზაციის ნიშნითაა აღბეჭდილი, დამაჯერებლადაა ნარმოსახული პოეტის მდიდარი სამყარო: ჭვრეტით-მეოცნებე თუ მგზნებარე სულისშემძვრელი, მძაფრი დრამატიზმითა თუ ლირიკული ფერებით სხივმოსილი; სნორედ ამიტომაც აშკარაა ოპერაში პროტესტი ბედისნერის, ყოველივე ბოროტის მიმართ; ამიტომვე ოპერის მუსიკა ემოციური სიღრმითა და მელოდიური სიუხვითაა აღსავსე, ერთსა და იმავე დროს მაღალი ადამიანური გრძნობებისაკენ, ზნეობრივისაკენ, სიწმინდისაკენ გზასაც რომ გვიჩვენებს.

ნ. ბარათაშვილის პოეზიას მიმართეს და სიმღერები და რომანსები დანერეს აგრეთვე გიორგი ჩლაიძემ, ელიბზარ ლომდარიძემ, გომარ სიხარულიძემ და სხვებმა.

როგორც ვხედავთ, ბარათაშვილი ფრიად საინტერესოდ და მრავალმხრივ აისახა მუსი-

კალურ ხელოვნებაში. აღინიშნება ჟანრული სიმდიდრე, სტილისტური მრავალფეროვნება. ნაწარმოებთა შინაარსი მდიდარია, თუმცა მათი გმირი მუდამ ერთია – პოეტი თავისი შინაგანი სამყაროთი, ფიქრებითა და ოცნებებით... მელოდია ყოველთვის წამყვანია, ვხვდებით სევდიან კანტილენას, ამაღლებულ ლირიკას, რომანტიკულ, ლოცვისმაგვარ ინტონაციებს, ქორალურ საწყისს, რეჩიტატივს (მღერადსა თუ დრამატულს); შეინიშნება რომანსით გატაცება, რადგან იგი დამახასიათებელი იყო ბარათაშვილისდროინდელი ეპოქისათვის, ძველი თბილისისათვის, არისტოკრატიული სალონური მუზიცირებისათვის. თუმც საკმარისად გვხვდება სხვა ჟანრებიც – სიმღერა, გუნდი, ვოკალური ციკლი, პოემა; გამონაკლისის სახით – ოპერა და ორატორია.

ფართოდაა ცნობილი ა. ჭავჭავაძის, ს. დოდაშვილის, მ. ორბელიანისა და სხვათა ლიტერატურული სალონების არსებობა. ჭავჭავაძის სალონში კითხულობდნენ თავიანთ ახალ ლექსებს ბარათაშვილი და პუშკინი, ა. გრიბოედოვი, გრ. ორბელიანი და სხვები. იქ ლიტერატურულ ნაწარმოებებს გარდა, მუსიკაც სრულდებოდა. ა. ჭავჭავაძის სალონში ედგათ პირველი პიანინო საქართველოში და პირველი ქართველი პიანისტებიც სწორედ მისი ქალიშვილები – უმშვენიერესი ნინო და ეკატერინე ჭავჭავაძეები იყვნენ. შინაურ ლიტერატურულ სალონებში დაიბადა ქართული პროფესიული მუსიკის პირველი ნიმუშებიც – ლირიკულ-ელეგიური ხასიათის სიმღერები, ე.წ. საყოფაცხოვრებო ტიპის რომანსები.

დაკვირვება გვიჩვენებს, რომ ნ. ბარათაშვილის ლექსებზე შექმნილ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში აღინიშნება პოეტური და მუსიკალური ტექსტების ორგანული მთლიანობა, სიტყვისა და მუსიკის კავშირი, რაც რთული პროცესია და ვლინდება როგორც რიტმში, მელოდიასა და ტემბრში, ისე სინტაქსსა და ფორმაში.

სიტყვის განსხეულება მუსიკაში მისი რიტმის, მელოდიისა და ტექსტის, მუსიკალური ენის გამდიდრებას ემსახურება. სიტყვის მნიშვნელობა და გამომსახველობა, მელოდიკა (ბგერათრიგი) და მეტყველების სინტაქსიც ურთიერთკავშირშია რიტმთან. პოეტური ტექსტი აქ ახლებურად იძენს ბგერით ფორმას, ან ანიჭებს მას განსაკუთრებულ ემოციურ ელფერს და ზოგჯერ მნიშვნელობასაც. რიტმი, მელოდიკა, ტემბრი, დინამიკა, ხმოვანების სიძლიერე – მთავარი ელემენტებია, როგორც მეტყველებისთვის, ასევე მუსიკისთვისაც; სამეტყველო ინტონაცია მეტ-ნაკლებად იხსნება მელოდიაში და ერწყმის მას. რიტმი არის როგორც მეტყველების, ისე მუსიკის ორგანიზაცია დროში, მას მიეკუთვნება აქცენტები, პაუზები, ტემპი და სხვა, კომპოზიტორები საჭიროებისამებრ რომ იყენებენ ხოლმე ლექსის ბუნებიდან, პოეტური სიტყვიდან, შინაარსიდან გამომდინარე.

ყოველივე მშვენივრად არის ნაგრძნობ-გადმოცემული ნ. ბარათაშვილის პოეზიაში და მის საფუძველზე შექმნილ ქართველ კომპოზიტორთა ქმნილებებშიც; ბარათაშვილის ლექსები უაღრესად საინტერესოა არა მარტო წმინდა მხატვრული თვალსაზრისით, არამედ სიტყვისა და მუსიკის დამოკიდებულების მხრივაც: აქ მელოდია ყოველთვის წამყვანია, რომანტიზებული; რომანტიკულობის ხაზგასმის მიზნით კომპოზიტორები ახდენენ მუსიკის ლირიკული საწყისის თანდათანობით დრამატიზებას, მიმართავენ ჰარმონიულ მაჟორს – რომანტიკოსი-ხელოვანის მხატვრული სახის, მისი პოეზიის მუსიკაში გადასატანად ესოდენ აუცილებელს. რიტმიკა აქ ხან ლექსის მეტრს ემორჩილება (ლექსის მარცვლებზეა დამყარებული რეჩიტატივური მელოდიკა) და პოეტური ტექსტის თითო მარცვალს თითო ბგერა შეესაბამება (ეს განსაკუთრებით აღინიშნება ქორალური, ლოცვისმაგვარი ლაღადისის ჩვენებისას), ხან ფსიქოლოგიურად დაძაბულ, დრამატულად მძაფრ მომენტებში, რეჩიტატივური ელემენტია, რეჩიტაციაა (ერთი სიმაღლის ბგერები) წინა პლანზე წამოწეული (მღერად საწყისთან შედარებით); ხან კი ლირიკულ-სატრფიალო განწყობილების ჩვენებისას, მუსიკა მელოდიურად ფართოდ გაშლილ კანტილენად მოედინება, სადაც მელიზმატიკასაც გარკვეული ადგილი ეთმობა, ზომიერების აშკარა გრძნობით. გვხვდება ასევე კოლორისტული დაპირისპირებები. იშვიათად – ბგერწერითი ელემენტები (მერნის ჭენება, ეკლესიის ზარების რეკვა...), აღმოსავლური კოლორიტიც (მელიზმატიკა, გადიდებული სეკუნდა). დაკვირვებამ ნათელყო, რომ ბარათაშვილის პოეზიაზე დაფუძნებული მუსიკალური ნაწარმოებების უძლიერესი მხარეა მელოდიკა – აღვსილი პოეტური ლირიკით, რომანტიკულობით, დრამატული სიმძაფრითა და სიმდიდრით, პოლიფონია – ქართულ მრავალხმიანობაში გადგმული ფესვებით. პოეტის შემოქმედებით გატაცება, მუსიკის გარდა, მხატვრობაშიც შეინიშნება – სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა ბარათაშვილის ღრმადშესატყვისი, შესანიშნავი პორტრეტი შექმნა, ახალგაზრდა მალალნიჭიერმა მხატვარმა ბადრი სამუშია-იორამაშვილმა კი თავის კერპს რამდენიმე ნამუშევარი უძღვნა: „ბარათაშვილი, ბარათაშვილი!", „ძველი თბილისი", „ბარათაშვილი და... მე", „ანჩისხატი", საკუთარი შრიფტებით შესრულებული პოეტის ლექსების ფრაგმენტები, რომლებშიც კარგად ჩანს პოეტის სამყარო.

# რეცენზია

ლერი მჭედლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფილოსოფიური კლასიკის კიდევ ერთი ნიმუში ქართულ ენაზე

გამომცემლობა „იოანე პეტრიწმა“ გამოსცა გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსის, ლოგიკოსის, სოციოლოგის, პუბლიცისტისა და საზოგადო მოღვაწის ბერტრან რასელის (1872-1970) შრომის „ფილოსოფიის პრობლემების“ ქართული თარგმანი; ის ინგლისურიდან თარგმნა მარინე ამბოკაძემ, რედაქტორი და წინასიტყვაობის ავტორია მიხეილ ბეჟანიშვილი. წიგნი გამოცემულია „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის სათარგმნი პროექტის“ მხარდაჭერით. დაფინანსებულია OSI-Zug-ის ფონდის მიერ, ბუდაპეშტის ღია საზოგადოების ინსტიტუტის, გამომცემლობის განვითარების ცენტრისა და ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ხელშეწყობით.

წიგნზე საუბარს მისი ბოლოდან დავიწყებთ. ის მთავრდება ამაღლებული სიტყვებით, რომლებშიც ადამიანისთვის ფილოსოფიის მნიშვნელობაა გააზრებული. იგივე, შესაძლოა სხვა სიტყვებით, ჩვენს დროშიც და სხვა ეპოქებშიც ბევრ სხვა ფილოსოფოსს გამოუთქვამს და მიუხედავად ამისა, როცა მას ვკითხულობთ, არ გვეუფლება ბანალურობის გრძნობა; მეტიც, გვიჩნდება იმედი, რომ ფილოსოფიურ შეხედულებათა არაჩვეულებრივ სიჭრელესა და დაპირისპირებაში არის საერთო ნიადაგი, რომელზეც ყველა ფილოსოფოსი მყარად დგას.

„ადამიანი, რომელიც ვერ გრძნობს ფილოსოფიის ნიუანსებს, მთელ ცხოვრებას ატარებს ცრურწმენების ტყვეობაში, რომლებსაც ქმნის საღი აზრი, თავისი დროისა და თავისი ერის ტრადიციული რწმენები და მის გონებაში... განსჯის დახმარებისა თუ თანხმობის გარეშე ჩამოყალიბებული შეხედულებები. ასეთი ადამიანისათვის... ჩვეული საგნები კითხვებს არ ბადებენ, ხოლო უცნობი შესაძლებლობები ქედმაღლურად უკუგდებულია. ფილოსოფოსობის დაწყებისთანავე კი, პირიქით, აღმოვაჩენთ, რომ... ყველაზე ჩვეულებრივ საგნებს ისეთ პრობლემებთან მივყავართ, რომლებზეც მხოლოდ მეტად არასრული პასუხების გაცემაა შესაძლებელი. ფილოსოფია, რომელსაც არ შეუძლია დამაჯერებლად გვითხრას, როგორია მის მიერვე წამოჭრილ ეჭვებზე ჭეშმარიტი პასუხი, გვთავაზობს უამრავ შესაძლებლობას, რომლებიც აფართოებენ ჩვენს აზროვნებას და ათავისუფლებენ მას ჩვევის ტირანიისაგან... ის იცილებს იმ ადამიანების... ამპარტავნულ დოგმატიზმს, ვისაც არასდროს შეუღწევია განმათავისუფლებელი ეჭვის სამეფოში...“

„ინსტინქტური ინტერესების პირადული სამყარო პატარაა; ის მოქცეულია მასშტაბური და მძლავრი სამყაროს შიგნით, რომელმაც, ადრე თუ გვიან, ჩვენი პირადული სამყარო ნანგრევებად უნდა აქციოს. თუ ვერ შევძლებთ ისე გავაფართოოვოთ ჩვენი ინტერესები, რომ მთელი გარე სამყარო მათში ჩავრთოთ, მაშინ ალყაშემორტყმულ ციხე-სიმაგრეში გამომწყვდეულ გარნიზონს დავემსგავსებით, რომელმაც იცის, რომ მტერი გაქცევის შესაძლებლობას არ მისცემს და რომ საბოლოო კაპიტულაცია გარდაუვალია. ასეთ ცხოვრებაში მშვიდობის ნაცვლად გამუდმებული ბრძოლაა... ამ ციხესა და ამ ბრძოლას თავი უნდა დავაღწიოთ“.

„თავის დაღწევის ერთ-ერთი გზა ფილოსოფიური ჭვრეტაა“, რომელიც „არ ყოფს სამყაროს ორ მტრულ ბანაკად“, ის „საკუთარი თავის საზღვრებიდან გასვლაა“.

„ჭეშმარიტი ფილოსოფიური... ჭვრეტისას ყველაფერი, რაც პიროვნული ან პირადულია, ყველაფერი, რაც დამოკიდებულია ჩვევაზე, ეგოისტურ ინტერესსა ან სურვილზე, ამახინჯებს ჭვრეტის ობიექტს და ამით არღვევს იმ კავშირს, რომელსაც ინტელექტი ეძებს... და თავისუფალი ინტელექტი ისე ხედავს, როგორც ღმერთი დაინახავდა, აქ და ახლას გარეშე, ჩვეულებრივი რწმენებითა და ცრურწმენებით შებორკილობის გარეშე“.

„გონება, რომელიც ფილოსოფიური ჭვრეტის თავისუფლებასა და მიუკერძოებლობას მიეჩვია, ამავე თავისუფლებისა და მიუკერძოებლობის რაღაც ნაწილს ქმედებისა და ემოციების სფეროშიც შეინარჩუნებს... მაშასადამე, ჭვრეტა მხოლოდ ჩვენი აზროვნების ობიექტებს კი არ ხდის უფრო მასშტაბურს, არამედ ჩვენი ქმედებებისა და გრძნობების ობიექტებსაც: ის ჩვენ გვაქცევს მთელი სამყაროს მოქალაქეებად და არა მხოლოდ ერთი გალავანშემორტყმული ქალაქისა, რომელიც სხვას

---

*ბერტრან რასელი „ფილოსოფიის პრობლემები“, გამომცემლობა „იოანე პეტრიწი“.*

ყველას ეომება. სამყაროს ასეთ მოქალაქეობაშია ადამიანის ჭეშმარიტი თავისუფლება და ვიწრო იმედებისა და შიშის მონობისაგან თავის დაღწევა".

ეს წიგნი 1911-ში დაიწერა და 1912-ში გამოქვეყნდა. შემდგომში იგი მრავალჯერ გამოიცა ინგლისურ და სხვა ენებზე. ბევრ უნივერსიტეტში ის ოფიციალურად იყო და ამჟამადაც არის რეკომენდირებული ერთ-ერთ ძირითად სახელმძღვანელოდ ფილოსოფიაში. და მხოლოდ 90 წლის შემდეგ ითარგმნა ქართულად. თავიდანვე ვიტყვით, ითარგმნა კარგად, კარგი ქართულითა და ქართული ფილოსოფიური და ლოგიკური ტერმინოლოგიის ადეკვატური გამოყენებით. ეს ბოლო მომენტი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ამ ორი სახის ქართული ტერმინების მორგება სპეციალურ ინგლისურ ფრაზეოლოგიაზე ერთობ ჭირვეული საქმეა. სარეცენზიო თარგმანში ამ სახის თითქმის ყველა სიძნელე დაძლეულია. ეს არის მთარგმნელისა და რედაქტორის უცილობელი წარმატება, რაშიც თავისი როლი, ალბათ, იმანაც ითამაშა, რომ რედაქტორი მიხეილ ბეჟანიშვილი ფილოსოფოს-ლოგიკოსია.

მაგრამ გვიან ხომ არ ითარგმნა? კარგი ფილოსოფიური წიგნის დროზე თარგმნას სხვა ენაზე ბევრმა გარემოებამ შეიძლება შეუშალოს ხელი. მაგალითად, ფილოსოფიური კულტურის განუვითარებლობამ. მაგრამ ჩვენს ქვეყანაზე ამას ვერ ვიტყვით. ფილოსოფიის, ნაპერწკალი კი არა, დიდი ნაკვერჩხლები ყოველთვის ღვიოდა საქართველოში, ადრეც და წინა, XX საუკუნეშიც. ჭეშმარიტ ღირებულებებზე ორიენტირებული ქართველი პროფესიონალი ფილოსოფოსები გარკვეულწილად განსაზღვრავდნენ საზოგადოებრივი აზროვნების მიმართულებას ჩვენში მაშინაც კი, როდესაც საქართველო უზარმაზარი ქვეყნის პატარა საკურორტო და საქეიფო პროვინცია იყო და როდესაც ყველაფერი იქით მიდიოდა, რომ საქართველოში მოაზროვნის ძირითად საქმედ ქცეულიყო ნარცისისტული პატრიოტიზმი და დამყაყებული, მაგრამ ეგზოტიკური ადათებისა და ჩვეულებების შემოსავლიანი ნარაცია. ეს გარკვეულწილად მოხდა კიდევაც. ამაზე მიგვანიშნებს ზოგიერთი სოციალური ნევროზი და ძველი დროის ნოსტალგიის ზოგიერთი ასპექტი. ხოლო თუ მთლიანად არ განხორციელდა, ეს არის ქართული ინტელიგენციის, მათ შორის ქართველი ფილოსოფოსების ღვაწლი, რომელთაგანაც XX ს-ის მეორე ნახევარში განსაკუთრებით შეიძლება აღინიშნონ ზურაბ კაკაბაძე და მერაბ მამარდაშვილი. ფილოსოფიური კულტურა კი არა, ეპოქა, დრო – ტოტალიტარული სოციალური გარემო, იყო შებრკოლება არასანქცირებული და არასაბჭოთა ავტორების შრომების თარგმნისათვის. მაგრამ არა მხოლოდ ეს. თუმცა ეს ფაქტორი ახლა აღარ მოქმედებს, მაინც, ალბათ, უფრო ხშირად ვერ შევძლებთ ყველა სასურველი თარგმანის დროზე მიტანას ქართველ მკითხველამდე, რადგან არის კიდევ ერთი გარემოება, რაც ამას განაპირობებს, ფატალური, მაგრამ მაორგანიზებელი – ჩვენი ქვეყანა პატარაა, მცირეა მისი ძალები. ამის საკომპენსაციოდ კი უფრო ინტენსიური მუშაობაა საჭირო.

და მაინც გვიან არ არის. არ არის გვიან იმიტომ, რომ ფილოსოფიის კლასიკოსის თარგმნა ყოველთვის დროულია. ბ. რასელს თავისი ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე გამუდმებით ჰქონდა დაუოკებელი გატაცება პრობლემებითა და პრინციპებით ამ სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობით. ეს სიტყვები არა მხოლოდ მისი ბევრი შრომის სათაურში გვხვდება, არამედ თითქმის ყველას შინაგან მიმართულებას გამოხატავს. თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რაც ამ გატაცების შედეგად შეიქმნა – ბ. რასელის ფილოსოფიური შრომებით, – რომც მხედველობაში არ მივიღოთ მისი სოციალური აქტიობა – ბრძოლა ფაშიზმის, ბოლშევიზმისა და კაცობრიობისათვის სხვა საფრთხეთა წინააღმდეგ, უყოყმაოდ შეიძლება ვთქვათ, რომ ის XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი მოაზროვნეა.

რასელის ფილოსოფიურ ნააზრევს რამდენიმე დროის გამძლე ღირებულების მქონე ასპექტი აქვს. ერთია მის მიერ ა.ნ. უაითჰედთან ერთად ლოგიკის ახალი სახის შექმნა სამტომიან მონუმენტურ შრომაში Principia Mathematica. მათი ჩანაფიქრი იყო მთელი წმინდა მათემატიკის ლოგიკიდან გამოყვანა, რის განხორციელებასაც წინ ელობებოდა რასელის მიერვე უფრო ადრე აღმოჩენილი პარადოქსი (ამ პარადოქსის ასი წლისთავი (!) წელს აღინიშნა ევროპაში დიდი სამეცნიერო კონფერენციით). Principia-ს ავტორებმა ამ გრანდიოზული პროგრამის განხორციელებისას შექმნეს ლოგიკის სრულიად ახალი სახე, ძველი ფორმალური ლოგიკისა და უფრო გვიანდელი ლოგიკის ალგებრის მემკვიდრე, მაგრამ მათზე ფართო და ღრმა, აღჭურვილი უფრო მძლავრი და ნაყოფიერი მეთოდებით. იმის გარეშე, რაც რასელმა და უაითჰედმა შექმნეს, რა თქმა უნდა, ახალი ლოგიკის სხვა პიონერების მიღწევების გათვალისწინებით, შეუძლებელია გავიგოთ თანამედროვე ლოგიკა, მათემატიკის საფუძვლები და მეცნიერების ფილოსოფია.

მეორეა რასელის რაციონალური კრიტიციზმი (ანტიდოგმატიზმი), რაც აისახა მისი შეხედულებების ცვალებადობაში; ინგლისური ნეოჰეგელიზმი, პლატონური რეალიზმი, ნეორეალიზმი, ნეიტრალური მონიზმი, პოზიტივიზმი, ჰიუმიზმი. ამ ტრანსფორმაციების შინაგანი პათოსი იყო ფილოსოფიური ცოდნის მეცნიერულად მყარი ბირთვის პოვნა, ფილოსოფიის მეცნიერული ხასიათის დადგენა. ეს არსებითად განასხვავებს მას ნეოპოზიტივიზმისგან, რასაც ჩვენში ზოგჯერ მხედველობაში არ იღებენ. საგანგებოდ მინდა ხაზი გავუსვა პლატონისტური მეტაფიზიკის საფეხურს რასელის შეხედულებათა ევოლუციაში. ამ პერიოდში, 1910-1913 წლებშია გამოსული Principia-ც და „ფილოსოფიის პრობლემებიც", რომლის თარგმანზეც ახლა ვსაუბრობთ. „პრობლემებში" წარმოდგენილი ცოდნის „ანატომია" აუცილებელ კომპონენტად შეიცავს უნივერსალიების – არსებული, მაგრამ არა დროსა და სივრცეში არსებული ზოგადი ობიექტების – უშუალო ცოდნა-ნაცნობობას. გასაოცარია თუ რამდენად ჰგავს ეს პლატონის მიხედვით ადამიანის სულის მიერ მის დაბადებამდე იდეების უშუალო ჭვრეტას. მთლიანობაში რასელის კონცეფცია ამ საკითხში არის ბრიტანული ფილოსოფიური ტრადიციის ქურაში გატარებული ცოდნისა და შემეცნების პლატონური თეორია. რეალისტურ საფუძველზე აშენებული ტიპების თეორია, Principia-ში განვითარებული ეს შედევრი აზროვნებისა, არის პლატონის იდეების იერარქიის ჭეშმარიტად თანამედროვე ვერსია. ამაზეც ყურადღებას იმიტომ ვამახვილებ, რომ მკვლევარებს, განსაკუთრებით ჩვენში, ზოგჯერ მხედველობიდან ეპარებათ რასელის შეხედულებათა ევოლუციის ამ საფეხურის მნიშვნელობის შეფასება.

კიდევ ერთი დროის გამძლე მომენტი მინდა გამოვყო რასელის ნააზრევში. ის უფრო ადრე გამოჩნდა რასელის შრომებში (მაგალითად, დესკრიფციების რასელისეული ანალიზი), მაგრამ „პრობლემებშიც" მკაფიოდ ჩანს. რასელის შემდეგ და მისი გავლენით XX ს-ში კიდევ უფრო განვითარდა ის და, ვფიქრობ, სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი, მთლიანად ფილოსოფიაში თუ არა, შემეცნების თეორიაში მაინც. ეს არის ლოგიკური ანალიზის მეთოდი – თანამედროვე ფორმალური, მათემატიკური ლოგიკის მეთოდების გამოყენება ფილოსოფიური პრობლემების კვლევაში. მხოლოდ „პრობლემებით" თუ შემოვიფარგლებით, ამ მხრივ ძალიან საინტერესოა XII თავი, რომელშიც რწმენითი (მიჩნევის) წინადადებების ჭეშმარიტების პირობების ანალიზის საფუძვლად აღებულია მიმართებათა თეორია, იმ დროის ლოგიკის [illegible] ნაწილი. ანალიზური ფილოსოფიის, რომლის მეთოდებს შორის ლოგიკური მეთოდები უპირველესია თავისი მნიშვნელობით, XX ს-ის ფილოსოფიის ერთ-ერთი მძლავრი ნაკადია.

„ფილოსოფიის პრობლემები" ფილოსოფიის ბრიტანული შესავალია: შემეცნების თეორიის (გნოსეოლოგიის) პრობლემატიკა მიმატებული „იმდენი" ონტოლოგია, რამდენიც საჭიროა იმ გნოსეოლოგიური კონცეფციისათვის, რომელსაც იცავს ავტორი. ეს, ცხადია, არის ფილოსოფიის შესავლის საკმაოდ მნიშვნელოვანი შეზღუდვა, მაგრამ სიღრმე და არგუმენტების მკაფიოობა, რომლითაც გამოირჩევა რასელის წიგნი, ამის კომპენსაციაა. ამავე დროს არ მინდა ამ სიტყვებით შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს წიგნის შინაარსი ღარიბია. წიგნში განხილული პრობლემების ჩამოთვლაც გვარწმუნებს საწინააღმდეგოში: მოვლენა და რეალობა, მატერიის არსებობა, მატერიის ბუნება, იდეალიზმი, უშუალო ცოდნა და დესკრიფციული ცოდნა, ინდუქციის პრობლემა, ზოგადი პრინციპების ცოდნა, აპრიორული ცოდნის პრობლემა, უნივერსალიების სამყარო, უნივერსალიების ცოდნის პრობლემა, ინტუიციური ცოდნის საკითხი, ჭეშმარიტება და მცდარობა, ცოდნა, შეცდომა და საალბათო შეხედულება, ფილოსოფიური ცოდნის საზღვრები, ფილოსოფიის მნიშვნელობა.

ზოგიერთ მათგანს უკვე შევეხეთ. ახლა კიდევ ერთ პრობლემაზე შევჩერდებით, რომელსაც სრულიად მოულოდნელი გაგრძელება აღმოაჩნდა XX ს-ში, ოღონდ გაგრძელება არა ისეთი, როგორსაც რასელი ვარაუდობდა. ესაა ინდუქციის პრობლემა. ინდუქცია ბჭობის გარკვეული ხერხია, რომელიც ტრადიციული შეხედულების მიხედვით როგორც თავის გამამართლებელს ეყრდნობა ე.წ. ბუნების ერთგვარობის პრინციპს; ამ პრინციპის თანახმად მომავალი ჰგავს წარსულს შემდეგი აზრით: თუ ორი საგანი (მოვლენა, გარემოება) გვეძლევა ხშირად ერთად (ერთდროულად ან ერთმანეთის მიმდევრობით) და არასოდეს იზოლირებულად, მაშინ ისინი მომავალში ერთად ან იმავე თანმიმდევრობით შეგვხვდება. დ. ჰიუმმა XVIII ს-ში ამ პრინციპის ლოგიკური უსაფუძვლობა და მისი დახმარებით ინდუქციის გამართლების განუხორციელებლობა უჩვენა. მეცნიერების ფილოსოფოსთა შემდგომი თაობები, თვლიდნენ რა ინდუქციას ცოდნის მოპოვების აუცილებელ საშუალებად, ხოლო ბუნების ერთგვარობის პრინციპს მეცნიე-

რების კანონებისადმი რწმენის აუცილებელ პირობად, ცდილობდნენ ამ პრინციპის ისეთ ფორმულირებას, რომელიც აღარ იქნებოდა ეჭვების ობიექტი და ამავე დროს დააფუძნებდა ინდუქციას. რასელი ასეთ ფილოსოფოსებს მიეკუთვნება — მისი აზრით, ამ პრინციპის გადარჩენა შესაძლებელია მისთვის ალბათური ხასიათის მიცემით. XX ს-ის 30-იან წლებში ტრადიციას მკვეთრად დაუპირისპირდა კ.რ. პოპერი, მან შექმნა ცოდნის ანტიინდუქციონისტური თეორია, რომლის მიხედვითაც ინდუქცია საერთოდ არ შედის მეცნიერების ლოგიკურ „აღჭურვილობაში". მისი აზრით, არ ხდება მეცნიერული დებულებების არავითარი გამოყვანა ერთეული ფაქტებიდან, მეცნიერული თეორია ისეთივე შემოქმედებაა მეცნიერისა, როგორც მითი მითშემოქმედისა და ხელოვნების ნაწარმოები ხელოვანისა. მაგრამ მათგან განსხვავებით, იმისათვის, რომ მან დაიმკვიდროს ადგილი მეცნიერებაში, უნდა გაიაროს შემოწმების პროცედურა, რაც, თუკი საქმე ლოგიკას ეხება, მხოლოდ და მხოლოდ დედუქციური ლოგიკის საშუალებებით ხორციელდება.

„პრობლემების" ქართულ თარგმანში დარღვეულია ქართული თარგმანების ერთი ცუდი ჩვევა — წიგნს ისევე, როგორც მის დედანს, დართული აქვს საძიებელი.

იმისათვის, რომ ქართველმა მკითხველმა მიიღო ბ. რასელის ეს შესანიშნავი წიგნი მთარგმნელისა და რედაქტორის გარდა გულითად მადლობას იმსახურებს გამომცემლობა „იოანე პეტრიწი".

ცალკე გვინდა ვთქვათ რამდენიმე სიტყვა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოზე". ის დიდ საქმეს აკეთებს იმით, რომ ყოველნაირად, მათ შორის ფინანსურად, მხარს უჭერს ჩვენში საზოგადოებრივი, საგანმანათლებლო და კულტურული ცხოვრების ახალ ეტაპზე გადაყვანის მტკივნეულ პროცესს. ამ საქმეში არცთუ უმნიშვნელო ადგილი უკავია ორიგინალური თუ თარგმნილი წიგნების, კერძოდ, ფილოსოფიური ლიტერატურის, გამოცემას. ბევრჯერ მომისმენია მსჯელობა იმაზე, რომ ფონდის ქველმოქმედება არის „ქველმოქმედება" რაღაც ფარული ზრახვებით, სარგებლის მიღების ანგარიშით და ა.შ. ეს არგუმენტი აზროვნების საბჭოთა ტრაფარეტითაა მოჭრილი, რომლის საბოლოო მიზანი იყო ყოველგვარი გარედან მოსულის მიმართ მტრული ან სულ მცირე ეჭვიანი დამოკიდებულების გაღვივება. ჩვენ ასე არ ვფიქრობთ. ქველმოქმედებით მხარდაჭერა ადამიანს აძლევს თავისუფლებას, დამქირავებლის (მაგალითად, სახელმწიფოს) წინაშე შიშის გარეშე მხარდაჭერილი საქმის წარმართვის საშუალებას. ფონდი „ღია საზოგადოება-საქართველო" ამ თვალსაზრისით ლიდერია და მისი მოღვაწეობა უდავოდ დადებით შეფასებას იმსახურებს. საქმე, რომელსაც ფონდი ემსახურება, კიდევ უფრო მოიგებს, თუკი ფილოსოფიური ლიტერატურის ქართულად გამოცემის მხარდაჭერა არა მხოლოდ გაგრძელდება, არამედ გაფართოვდება, თემატურად უფრო მდიდარი გახდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ჟურნალ „მნათობის“ 2001 წლის ნომრების შინაარსი

ჭილაძე თამაზ – ახალი ათასწლეულის კართან. №1-2

## პოეზია

ახობაძე ამირან – ლექსები. №5-6
ბერაია გივი – ლექსები. №11-12
დაუშვილი თამარ – ლექსები. №5-6
დობორჯგინიძე ჯემალ – ლექსები. №3-4
ეგრისელი ვაჟა – ლექსები. №11-12
ელიოტი თომას სტერნზ – ჯ. ალფრედ პრუფროკის სასიყვარულო სიმღერა. ინგლისურიდან თარგმნა მაია ნათაძემ. №3-4
ვეკუა რეზო – ლექსები. №3-4
ინჯია ჯემალ – სონეტები ციკლიდან: მეგრული სუიტა. №1-2
კიკოლაშვილი გელა – ლექსები. №1-2
მიქაუტაძე ამირან – ლექსები. №3-4
ოთხვანი ჟანა – ლექსები. №1-2
ფორჩხიძე შალვა – ლექსები. №5-6
შამათავა ომარ – ლექსები. №7-8
ჩარკვიანი ჯანსულ – ლექსები. №11-12
ძნელაძე გივი – ლექსები. №3-4, 7-8
ჭილაძე თამაზ – ლექსები. №3-4
ხუნდაძე ნოდარ – ლექსები. №3-4, 11-12
ჯანელიძე ჯანო – ლექსები. №5-6, 9-10

## პროზა, დრამატურგია

აბდალაძე გვანცა – თუთიყუში. პიესა. №7-8
არსენიშვილი ზაირა – „ვა, სოფელო...“ რომანი. №1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10
ახვლედიანი ვახტანგ – ნოველები. №3-4
ბუაჩიძე ანდრო – ბედობა. ერთმოქმედებიანი ფარსი. №5-6
კვირტია აქვსენტი – ნოველები. №3-4
მანველიძე გოჩა – უბის წიგნაკი. მოთხრობა. №11-12
მოლარიშვილი ლია – დები სევდის ხეობიდან. მოთხრობა. №1-2
ქარდავა ფრიდონ – ძაფზე მოფარფატე სული. მოთხრობა. №11-12

## პირველი ნაბიჯები

აფხაიძე დათო – მინიატურები. №1-2
მეტრეველი მაკა – პიესები. №11-12
შერვაშიძე გიორგი – მოთხრობები. №1-2
წერეთელი ია – „ციფერბლატი“. პიესა. №11-12

## კრიტიკა, პუბლიცისტიკა

ასლანიძე ზაზა – ქალთა იმპერია. №1-2
ბრეგვაძე ციალა – ავბედითი წლების გამოძახილი. №5-6
ბუაჩიძე ანდრო – კეთილქმედება დღევანდელობის კონტექსტში. №7-8;
ვისი გორისა ხარ. №9-10
ბუაჩიძე თამაზ – ნიკოლაი დობროლიუბოვი–არქიმანდრიტ გაბრიელის წიგნის რეცენზენტი. №11-12
გაჩეჩილაძე მაყვალა – გაზეთი „კვალი“ და „101 ნული“. №7-8
გულიაშვილი ია – გიორგი ჭანტურიას რომანი „მოსე“. №9-10
ზოიძე შოთა – ფაუსტური ვნებათაღელვა. №1-2; მუდმივი ერთგულება. №3-4; პოეტი-მეფე. №11-12
კვიტაიშვილი ნინო – ზოგი რამ ჯონ კიტსის ცხოვრებასა და პოეზიაზე. №5-6
მინდიაშვილი აკაკი – ტანჯვით – რწმენისაკენ! №5-6
მშვენიერაძე ნინო – დიმიტრი უზნაძე ილია ჭავჭავაძის „განდეგილის“ შესახებ. №11-12
ნიკოლეიშვილი ავთანდილ – ლევან გოთუას „გმირთა ვარამი“. №3-4
რატიანი ზურაბ – ასე აფხაზეთს ვერ დავიბრუნებთ! №9-10
საგინაშვილი ნელი – თანამედროვეთა მოგონებები მიხაკო წერეთლის შესახებ. №7-8

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ფაჩულია თამარ** – გურამ ასათიანი XX საუკუნის ქართველი პოეტების შესახებ. №5-6
**ფრუიძე ლევან** – ღია კარებს ნუ ამტვრევთ, დარგი გადავარჩინოთ! №9-10
**ცქიტიშვილი გიორგი** – ქართული თეატრის ისტორია. №11-12
**ჭილაძე თამარ** – „მაიმუნი და არსი“. №1-2
**ხელაია ნაზი** – „აველუმი“ ანუ ქართველთა მარადიული გოდების ექო. №5-6

## მეცნიერება

**ბარათელი ბესიკ** – არეოპაგიტული ესთეტიკა და კარლ-გუსტავ იუნგის არქეტიპების თეორია. №7-8; ტრიადის საკითხი არეოპაგიტულ ესთეტიკაში. №11-12
**ბარბაქაძე თამარ** – ქართული ვერლიბრის პირველი მკვლევარნი. №3-4
**დარცმელიძე ანზორ** – „ვეფხისტყაოსნის“ დაბოლოების შესახებ. №3-4
**დოლიძე მამუკა** – ქრისტიანული რწმენა და ფენომენოლოგიური ლოგიკა. №7-8
**ედილაშვილი ცირა** – გაბრიელ ეპისკოპოსი მართლმადიდებელი ქრისტიანობისა და ეკლესიის ეროვნული მნიშვნელობის შესახებ. №3-4
**ითონიშვილი ვახტანგ** – დვალური წარმომავლობის ზოგიერთი გვარის შესახებ. №5-6
**კიკაბიძე ნანა** – გაზეთ „დროების“ ფურცლებზე. №11-12
**მაისურაძე გურამ** – მნიშვნელოვანი საკითხი. №7-8
**მამარდაშვილი ნინო** – უიარაღოს რომანი „მაძიებელნი“. №11-12
**მომცელიძე გიორგი** – მამათა და შვილთა ბრძოლა. №5-6
**ნანობაშვილი ბიძინა** – თბილისი XVIII საუკუნის I მეოთხედში. №9-10
**ომარაშვილი ნანა** – საოჯახო წეს-ჩვეულებები ხუნძებში. №9-10
**რობაქიძე მერაბ** – „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკიდან. №7-8
**სოხაძე ქეთევან** – „ქვათა ღაღადის“ ეპოქამდე და შემდგომ. №5-6; 11-12
**სულაბერიძე გვანცა** – გლოვის რიტუალი და დატირება „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით. №9-10
**ქილარჯიანი ნინო** – ნების პრობლემა ვედურ და ბუდისტურ რელიგიებში. №9-10
**შარაბიძე თამარ** – ქალთა სალოცავების იდუმალება საქართველოში. №7-8
**შენგელია ქეთევან** – „დამაბნეველი სიდიადე“. №1-2
**ჩიქოვანი თეიმურაზ** – შენობა-ნაგებობათა ტერმინოლოგია სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონაში“. №5-6
**ჩხეიძე თენგიზ** – მაჩაბლების საგვარეულო. №3-4
**ხინთიბიძე აკაკი** – სიტყვათა სილაბური წონასწორობიდან სიყვარულის ჰარმონიამდე. №5-6
**ხოშტარია-ბროსე ედიშერ** – ივანე ჯავახიშვილი და მისი სკოლა. №1-2

## ფაქტები, მოგონებები

**ბელიაშვილი მანანა** – მამის გახსენება. №9-10
**ბუაჩიძე თამაზ** – ზურაბ კაკაბაძის გახსენება. №7-8

## პუბლიკაცია

**თომაშვილი დომენტი** – წინაპართა სახეები. წინასიტყვაობა აკაკი ხინთიბიძისა. №11-12

## ინტერვიუ

**არაბული ავთანდილ** – ენა ჩვენი არსობისა. №5-6
**ბენაშვილი გურამ** – ვეებერთელა პრობლემის ჩრდილში. №7-8
**გომართელი ამირან** – ვინც დინოზავრთა ნაკვალევს ეძებს. №11-12
**გურაბანიძე ნოდარ** – თვალებდათხრილი ოიდიპოსივით. №3-4
**ვოლკოვი სოლომონ** – საუბარი იოსიფ ბროდსკისთან. თარგმნა ანდრო ბუაჩიძემ. №9-10
**ნადირაშვილი შოთა** – თავისუფლებამდე გრძელი გზაა. №1-2

## თარიღები

### ჭაბუა ამირეჯიბი-80

უდრეკი სულის მწერალი №11-12

### ლაშა ჯანაშია-70

**ცინცაძე დურმიშხან** – ჩვენი თაობის მშვენება. №11-12

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ხელოვნება

**კლდიაშვილი ანა** – დაკარგული ორიენტირების ძიებაში. №1-2
**ლევანიძე მაია** – კინოკულტურა და საოპერატორო ხელოვნების თავისებურება. №9-10
**ლონდარიძე ეთერ** – ბარათაშვილი ქართულ მუსიკაში. №11-12

**მიხეილ თუმანიშვილი-80**

**ურუშაძე ნათელა** – მიხეილ თუმანიშვილი ფიქრობს... №1-2, 3-4, 5-6, 7-8, 9-10, 11-12
**ღვინჯილია გვანცა** – „ცისფერის“ სემანტიკა ქართულ მხატვრულ შემოქმედებაში. №7-8

## რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობის 200 წლისთავი

**გოგოლაძე დერმიშა** – ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისას“ კონცეფციისათვის. №9-10

## რეცენზია

**ბერძენიშვილი დევი** – გულისტკივილით დაწერილი წიგნი. №1-2
**ბუაჩიძე ანდრო** – მნიშვნელოვანი მოაზროვნე. №3-4; მრავალფეროვანი წიგნი. №5-6; წიგნები ფრანგული მწერლობის შესახებ. №7-8
**დედაბრიშვილი გულნარა** – მონოგრაფია მოსე გოგიბერიძეზე. №1-2
**მიხელიძე ეკა** – „შუქს ნუ ჩამიქრობთ“. №7-8
**მოდებაძე თორნიკე** – ავტორი საუბრობს ანომალიებზე. №9-10
**მჭედლიშვილი ლერი** – ფილოსოფიური კლასიკის კიდევ ერთი ნიმუში ქართულ ენაზე. №11-12
**ჯოხაძე მაკა** – ორი ახალი წიგნი. №7-8; ღელვა ქარიშხალში გადაიზრდება. №9-10

## გამოსათხოვარი

მწერლის უკანასკნელი სიტყვა (ჯანსულ ღვინჯილია). №1-2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თბილისი, რუსთაველის გამზ. № 28
ტელეფონი: მთ. რედაქტორის - 99-51-61
განყოფილებების - 99-91-00

გადაეცა ასაწყობად 1.11.2001 წ.
ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.01.2002 წ.
ტირაჟი 300. შეკვეთა №1

გამომცემლობა „მერანი“, რუსთაველის გამზ. №42

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი ორი ლარი

ინდექსი
76125